

972

ბავშვთა



2

1972

მნათობი

საქართველოს
ლიტერატურის
აქადემიის
გამომცემლობა

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

წელიწადი 47-ე

№ 2

თებერვალი, 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ე რ ს ი

სუბა ზერულაშვილი — ლექსები	3
ალექსანდრე ბრეჯვიანი — ლექსები	5
მედიკიანი — ლექსები	36
ლევან მგელიანი — ზეპირი სახესი მითითებული-მითითებით. მოთხრობა	38
ბარბაქაძე — ლექსები	99
გიორგი ბრეჯვიანი — მოთხრობები. მოთხრობა	103
სომეხი პარაკელი — ბრეჯვიანი. მოთხრობა	117
შაქარო სამაგალიანი — ანთროპოლოგიის შესახებ. მოთხრობა	123

კრიტიკა და კულტივისტიკა

მ. მგელიანი — კარბინის XXIV ყრილობა და საბჭოთა საზოგადოების სივნი- ლური სტრუქტურის საკითხები	126
გონდო პარაკელი — იოსებ ბრეჯვიანის ბიოგრაფიული	133
ლევან მგელიანი — დიმიტრი ბაქრაძე და საქართველოს მთავრობის	142
შალვა გოგალიანი — სახელობის მემორიალი და მემორიალი	148
გიორგი მელიქიანი — მისი „კრიტიკის“ გამო	154

მ ე ნ ი ვ რ ე ბ ა

რამაზ კახიანი — ქართული ასომთავრული. გეგმები	165
--	-----



საქართველოს კა დენტალური კომიტეტის გამომცემლობა



118411

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

საკრებელი კომისია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გომეზარაშვილი, მ. ლაზანიძე, ბ. ძღვანი, ბ. სულაიაშვილი, ბ. მუთათელი, ე. შიშიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შაფიაშვილი, დ. შანგელაძე, ვ. წულუკიძე, მ. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპეტიძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-16, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 10/II-72 წ., ხელმოწერილია დსაბეჭდად 2/II-72 წ., ანაწყობის ზომა 7 1/4 x 12, ქაღალდის ფორმატი 70 x 108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო თაბახი 12.
უე 01763. ტირაჟი 13.100. შეკვ. № 58.
საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



საბა ბიხნოზე...

ძმარაგვო, — ფშავის მთებმა აგრე გიწოდეს, —
საარწივოდან მოვარდნილო, ფიცხო არაგვო,
ნეტავ მიცნობდე, სულდგმულივით გრძნობდე, იცოდე,
რომ ვარ კლდესავით უღალატო, საამხანაგო!

ძმარაგვო, — მეც გიწოდებ ფშავის მთებივით
და თითქოს მათი ჭიუხები ცისკენ იძვრიან.
შენს ქუხილს ვფიცავ, როგორც მგზავრი ჩვეულებრივი,
უამქუხილოდ მე ცხოვრება არ შემიძლია!

გზინან ხვალის ღღეს

ნე საოცარი კაცი ვარ, ხალხო,
რაც უნდა ძნელი დღეები ვნახო,
რაც უნდა მწარე ფიქრები მწვავედეს,
რაც უნდა მწვავე ტკივილი ვიგრძნო,
რაც უნდა უღვთოდ მიმაგდონ სადმე,
რაც უნდა მიმტრო, ძმარა და ღვიძლო, —

გახარებული ველი ხვალის დღეს,
დამბადებული მეც რომ მალირსებს.
არ მეშინია მეწყრის და ზეავის,
არ მეშინია სიტყვის და სეტყვის,
ვიცი, რომ სადღაც ყორანიც ჩხავის,
მაგრამ სამდურავს ვერაფერს მეტყვის;

სამდურავს მართალს და საფუძვლიანს...
უსაფუძვლოს კი რა შეუძლია, —
ცოტას იაგებს, ჩქარა დაცხრება,



და გაუდგება გზაკვალს ნისლიანს:
 ცრუ სამღურავის დასამარცხებლად
 სულის შებერვაც საკმარისია...

წელია, მაგრამ ვასრულებ წმინდად,
 რაც დამიფიცავს ბავშვობის დღიდან:
 გახარებული შევხვდე ხვალის დღეს,
 როგორც გაზაფხულს ხვდება ხეხილი,
 ამომავალ მზეს და სიხალისეს
 მეც შევეგებო მკერდგაღელილი.

იმედიანი ვხვდები ხვალის დღეს,
 ბუნების ძალა რასაც შალირსებს.
 მე იგი მაძლევს ბრძოლის იარაღს,
 მე მისგან მხოლოდ სიკეთეს ველი,
 სიხარულია, დარდი კი არა,
 ჩემი მფარველი და ჩემი მსხნელი.

ამ გახარებას, როგორც ლიანდაგს,
 მეც უნდა გავეყვე, ხალხო, ნიადაგ,
 რომ ამამღეროს, რომ ამაცყავოს,
 რომ აღმამაღლოს, ვითარ ალვის ხე.
 ხვალის დღეს ელის მთელი სამყარო
 და გაუმარჯოს მზიან ხვალის დღეს!

• • •

ხვალ იქნებ შეწყდეს გმინვა გულისა,
 ქარცეცხლს რომ აჩენს სიყვარულისას.

ამაოდ შემრჩეს ამდენი ჯვარცმა —
 შრომა, ძიება და მოთმინება,
 არღა ინებოს ღმერთმა თუ კაცმა
 ვარსკვლავთა ჩემთა აღმობრწყინება.

ხვალ იქნებ ჩუმად ჩამთვლიმოს ისე,
 რომ ვეღარ შევძლო გახელა თვალთა
 ამიტომ ვეძებ სიმღერის მიზეზს
 და კვლავ მიზიდავს ბუნების კალთა...

ხვალ იქნებ შეწყდეს ამ გულის ძვერა
 და... შეჩქარება ლექსების წერა.

დიდი და პატარა პეატერიწა

რომანი

ნაწილი მესამე

დიდი პეატერიწის მოთხრობები

I

დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ჩამოვედი ხერგაში. განათლების განყოფილება. ლოდინი. განყოფილების გამგესთან დილით დაწყებულიმა თათბირმა ხუთ საათამდე გასტანა. თუთუნის კვამლით გაგუდული ოთახი. გამგე დაღლილია, მაინც ხალისიანად მიმიღო, ცივი ბორჯომიც-კი შემომთავაზა, ვიუარე. საქალაღდე გაშალა. ჩემი განცხადება. ეს განცხადება და წერილიც ერთი თვის წინ გამოვეუგზავნე თბილისიდან, ვთხოვდი, ჩემს სოფელში დავენიშნე მასწავლებლად.

— დაინიშნებით ხერგას საშუალო სკოლაში — მეცხრე და მეათე კლასში, — თქვა განყოფილების გამგემ და ამხედ-ღამხედა.

— ჩემს სოფელში გთხოვდით, — ვთქვი მე და თავი დაეხარე.

— თქვენ ხომ ლიტერატურის მასწავლებელი ხართ? — ხმამაღლა, გაჭავრებით თქვა გამგემ, ჩამქრალ პაპიროსს მოუქიდა და ადგა.

— დიახ.

— მერე?

პაუზა.

— ზურაბ ბარბაქაძე მოვხსნათ და თქვენ დაგნიშნოთ? — დაცივნით თქვა გამგემ და ისევ ამხედ-ღამხედა.

— როგორ გეკადრებათ! — გაეიოცე მე და გაეწითლდი.

— ჰოდა, თუ არ გეკადრება, დანიშნული ბრძანდებით ხერგას საშუალო სკოლაში, — დინჯად, დაყვავებით თქვა, განყოფილების გამგემ და ხელი გამომიწოდა.

— მე მაინც ჩემს სოფელში წავალ, ხერგას სკოლაში შეგიძლიათ სხვა დანიშნოთ! — ვთქვი მე და გამგეს გამოვემშვიდობე.

მე მაშიდამ გამზარდა. ახლა მაშიდა-ჩემი მარტოა, მელოდება, თვალი გზისკენ უქირავს და მე ხერგაში დავრჩები?

„თქვენი ყოფილი მასწავლებელი, პატივცემული ზურაბი მოვხსნათ და მის ადგილზე თქვენ დაგნიშნოთ?“ — დაცივნით თქვა განყოფილების გამგემ, სათვალე მოიხსნა, ამხედ-ღამხედა, ჩაიღიმა. მას რომ დავენიშნე ზურაბ ბარბაქაძის ადგილზე, განა მე დავ-

თანხმდებოდი? დაეყაბულდებოდი? როგორ გეკადრებათ! პატივცემული ზურაბი ჩემი მარტო მასწავლებელი როდი იყო, ზურაბი ჩემი აღმზრდელია, პირველი კლასიდანვე მესიყვარულებოდა... მერედა, მე შემძლია ზურაბი შევცვალო? მოვისმენიათ თქვენ მისი გაკვეთილები? თუ მოვისმენიათ, ვერასოდეს დაივიწყებთ. მე ზეპირად ვიცოდი რაფიელ ერისთავის „სამშობლო სეესტრისა“, მაგრამ ბარბაქაძემ რომ წარმოთქვა „არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უცვდავებისა ხეზედა“, სულ სხვა სამყარო გაიხსნა ჩემთვის და თვალწინ წარმომიდგა ლალი და ძლიერი, ძალიან ძლიერი ადამიანი, კლდესავით მტკიცე და შეუპოვარი, განთიადისას ქარაფზე ჯიხვებს რომ დასდევს და არწივებს ეყივილება. არა, ამ ადამიანს სხვათა ფუფუნებით ვერ დაახარებებ, მას თავდავიწყებით უყვარს კლდეზე მიშენებული პატარა სახლი, მთის ყვაილები, წყაროების ჩქრიალი, თოვლიან-ყინულიანი ქედები, ზამთრის გრძელ დამეგებში კერიასთან ფუსფუსი, ფიქრი და შაირები.

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უცვდავებისა ხეზედა“, — ისე ბუნებრივად და უშუალოდ ამბობს ზურაბ ბარბაქაძე, თითქოს მასვე დაწეროს ეს ლექსი. ჰო, თითქოს მან იფიქრა და მანვე დაწერა და რაკილა დაწერა, გული გაიღალა, ფიქრი გაიშლბუქა და დამშვიდებით ამოთქვა... „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, — დაჯერებით ამბობს და მოსწავლეთა გულს შესძრავს.

არა, არასოდეს დამავიწყდება ზურაბ ბარბაქაძის გაკვეთილები!

ჰოდა, ჩემს სოფელში არ დამნიშნეს, მეც ხერგაში დანიშნაზე უარი მოვახსენე და ხვალ დილით ხემაღალის გზას გავედგები.

ხერგაში ნაცნობები მყვანან და ლამეს რომელიმე მათგანთან ვაათევე. რკინიგზის სადგურში გადავიღამებდი, მაგრამ მეშინია; ცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ თითქოს მარტო დე-

დაქალაქში იყვნენ მოხულიგნო ახალგაზრდები. მე მეშინია ამ მოხულიგნო ყმაწვილებისა და იძულებული ვარ მაინცდამაინც არც ისე ახლობელ ადამიანს ვეწვიო ღამის გასათევადა, თუმცა ძალიანაც მერიდება. მართალია, მასპინძელი ხალისიანად შემოგვგებება, გადაგკოცნის, გეტყვის — ძალიან გამიხარდა თქვენი მოსვლაო, — მურაბიან ჩაისაც კი დაგაღვინებს, გულში კი ფიქრობს — არც ისეთი ახლობელი და შინაური მყავხარ, ღამის გასათევადა რომ მწვეოდიო... ეგებ მე ვცდები, მაგრამ მე ასე ვფიქრობ და ახლა ბარათაშვილის ქუჩისაკენ რომ მივდივარ, სადაც ჩემი ნაცნობი ქალიშვილი ცხოვრობს, ფეხი უკან პრჩება. მაინც მივდივარ, გასტრონომში ნამცხვარი ვიყიდე და მოსანამუსებლად მასპინძელთან მიმაქვს. როგორმე გადავიღამებ და დილაადრიან ხემაღალის გზას დავადგები, მამიდაჩემი მელოდება. თვალი გზისკენ უჭირავს, ცოდოა მამიდაჩემი.

ხერგაში შემომთავაზეს სამსახური... არა, ნუ გეშინია, არ დავეთანხმე, მე შენთან მოვდივარ. ხვალ საღამოს შენთან ვიქნები, მამი!

და მეორე დღეს, ადრეიან დილით, ხემაღალის გზაზე მივდივარ. ჩემმა მასპინძელმა კალთა შემომმაგლიჯა, უსაუზმოდ არ გავიშვებო, მაგრამ დავუსხლტი. წუხელ, კარის გაღებისთანავე გაიოცა ჩემი სტუმრობა, მერე უხერხულობა იგრძნო და ზომამზე მეტად მოიშხიარულა თავი, იმღერა და ვიტარაზედაც კი დაუკრა, მაგრამ პირველი შეხვედრის სიცივე მაინც ვერ გაათბო. უხალისოდ ვივასშმე, დაღლილობა მოვიმიზეზე და აღრე დავწექი. მთელი დამე შფოთიანად მეძინა.

და ახლა ხემაღალის გზაზე მივდივარ. ჯერ დილის რვა საათიც არ არის და გზის მესამედი უკვე გამოვიარე. ჩემი ხელჩანთა ცოტა მძიმეა, მაგრამ როგორღაც არ ვიღლები. დიდი აღმართი დილის სიგრილეში ამოვიარე, ახლა გზა დობერებზე მიდის, ხანდახან თემ-

შარას გადაუხვევ, ბილიკებით მივდი-
ვარ და გზას ვიმოკლებ.

... ეგებ გზა დამოკლდა? ეგებ და-
პატარავდა გზა ხერგასა და ხემადალს
შორის? აბა, ასე სწრაფად როგორ
ვივლიდი? ამოდენა გზა აგრე დაულ-
ლელად? ჭერ მხოლოდ თორმეტი სა-
ათია და ჩემს სოფელს ვხედავ! სანის-
ლეს ქედზე ვდგევარ და ხემადალს ვხე-
დავ! მართალია, აქედან ჭერ შორსაა
ჩემი სოფელი, შვიდი კილომეტრი მა-
რინც იქნება ჩემს სოფლამდე; მაგრამ
სანისლედან სატეველამდე დაკიდებუ-
ლი დაღმართია, სატეველადან კი პატა-
რა აღმართს აივლით და ესეც ხემა-
დალი!

ვინმეს რომ ეთქვა, ხერგადან სანის-
ლეს ქედამდე გზა აგრე სწრაფად და
აგრე დაულლელად გავიარეო, არ და-
ვუჭერებდი და ტრახახად ჩამოვარ-
თმევდი, თურმე შესაძლებელი კი ყო-
ფილა! ეგებ ჩემი საათი ტყუის? არა,
საათი მუშაობს და საათიც რომ არ მუ-
შაობდეს, მზეს შევხედოთ, — მზე ნიგ-
ვზიანს ადგას თავზე და ჭერ საშუ-
ადლეოზე არ მიუღწევია... ჰო, ვინმეს
რომ ეთქვა, ამხელა მანძილი აგრე მა-
ლე და აგრე დაულლელად გამოვიარეო,
არ დავუჭერებდი, ვიფიქრებდი მეტრა-
ბახება-მეთქი, — შესაძლებელი კი ყო-
ფილა, თურმე.

სანისლეს ქედიდან სოფელს რომ
დავხედვ, დადლილობა ვიკრძენი, ბი-
ლიკს გადაუხვევ, თელის ჩრდილს შე-
ვეფარე და მოლზე დავკეცი.

ცოტას დავისვენებ და სატეველამდე
სირბილ-სირბილ ჩავალ.

ჩრდილში მოლზე ვზივარ და ჩემს
სოფელს დავყურებ. უბნებს ვარჩევ,
შენობებს-კი ვერა. არა, ერთ შენობას
ვიცნობ — ეს ჩვენი სკოლაა. ჩვენი
სკოლის შენობა მთელს სოფელში ყვე-
ლა შენობაზე დიდია. ხუთ წელაწადს
აშენებდა სოფელი ამ სკოლას. მამიდა-
ჩემმა პირველ კლასში რომ შემეყვანა,
იმ წელს დაამთავრეს. ათი წელი ვსწავ-
ლობდი ამ სკოლაში, ხუთი წელი უნი-
ვერსიტეტში და ჩვენი სკოლის შენობა

ახლა თხუთმეტი წლისაა... მაპატიეთ,
შემეშალა, თხუთმეტისა კი არა, ჩვედამე-
ტისაა: სკოლა რომ დავამთავრე, მძვე-
წელს ვცადე უნივერსიტეტში შესვლა,
მაგრამ ისტორიასა და მათემატიკაში
ჩავიჭერი. თუ ფილოლოგიის ფაკულ-
ტეტზე შედიოდი, მათემატიკა რა შუ-
აშიაო, შეიძლება იკითხოს ვინმემ. იმ
დროს ასე იყო. ბევრ საგანში გამო-
იცდებოდნენ უნივერსიტეტში შემ-
სვლელნი; ჰოდა, მე ისტორიაში და მა-
თემატიკაში ჩავიჭერი. დაღონებული და
იმედგაცრუებული დავბრუნდი სო-
ფელში. მამიდაჩემმა მოისირცხვილა,
წყენით კი არ იწყინა, გამამხნევა და
მომიბოდიშა, დამხმარე ვერაფერ შევი-
გულე, უნივერსიტეტში მოხვედრა იო-
ლი როდია, იქ დიდი პროტექცია და
მფარველობა ტრიალებსო. სიცრუე
იყო. მათემატიკაში სამი მაგალითიდან
ვერცერთი ვერ ამოვხსენი, ისტორიაში
სამი კითხვიდან მხოლოდ ერთზე ვუპა-
სუხე და ჩავიჭერი. ჩავიჭერი და გულ-
გატეხილი ჩამოვბრუნდი სოფელში. ახ-
ლა ვერ გეტყვით, მაშინ კი, როცა მე
ვაბარებდი გამოცდებს უნივერსიტეტ-
ში, მფარველობა და პროტექცია არც
ისე ძლიერი იყო... შევშინდი და ვირ-
წმუნე, უნივერსიტეტში ვერასოდეს
შევალ-მეთქი და ბედს შევურიგდი.
ვიცხოვრებ სოფელში, გაივლის დრო,
ვინმეს შევუყვარდები, ან მე შევიყვა-
რებ ვინმეს, გაეთხოვდები, გავაჩენ შვი-
ლებს, შვილებისა და ქმრის მოვლაში
გავატარებ ჩემს წუთისოფელს.

მამიდა პელაგია კი — მამხნევებდა,
რას მიქვია გულის გატეხაო, მათემატი-
კაში ერთი სამი თვე გულასპირთან წა-
იმეცადინებ (მაშინ გულასპირ ჩაფიჩა-
ძე კოლმეურნეობის მონაგარი იყო),
ისტორიას შენ თვითონ გაიმეორებ და
გაისად აუცილებლად შეხვალ უნივერ-
სიტეტშიო.

... სოფლის საბჭოში დამიბარეს,
კულტმუშაკის ადგილი მაქვსო, მითხრა
საბჭოს თავმჯდომარემ საქმე დიდი
არაფერია, ეურნალ-გაზეთებს გაავრცე-
ლებ მოსახლეობაში და დღესასწაუ-

ლებზე კედლის გაზეთს დამიწერო, სხვა თუ რამეს მოიმოქმედებ, ნება შენიაო.

დავთანხმდი. საქმე თავსაყრელი აღმოჩნდა. ყველაზე უფრო კინომ გამიქირა საქმე. ზაფხულსა და შემოდგომაზე ხერგადან თვეში ორხელ უნდა გვწვეოდა კინო-მანქანა, თვეში ორხელ კი არა, ორ თვეში ერთხელ ძლივს ამობობდებოდა, იყო გაუთავებელი რეკვა და მიმოწერა, ცხენითაც ბევრჯერ ჩავსულვარ ხერგაში, მაგრამ საქმეს არაფერი შევლოდა. კინოზე ნაკლები ჭირი არც კედლის გაზეთი გამოდგა. დღესასწაულებზე თავისთავად, სათარილო კედლის გაზეთის დაწერა არც ისე ძნელია, საკამპანო კედლის გაზეთებია უბედურება. თესვა, მარგვლა, ჭირნახულის აღება, სილოსის დამზადება, ხორცის, ყველის, კვერცხის დამზადების გეგმების შესრულება, სასოფლო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობა, სასწავლო წლისათვის მზადება და კიდევდაკიდევ მრავალზე-მრავალი საჭირობოროტო საქმე.

ყოველდღე ვაგროვებ ცნობებს წერილებისათვის, მერე გვიან ღამემდე ვზივარ საბჭოს შენობაში და ვწერ წერილებს კედლის გაზეთის მორიგი ნომრისათვის. და ჩემს წერილებზე ხან საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერაა, ხან კოლმეურნეობის თავმჯდომარისა, ბრეგადირისა და რაგიითი კოლმეურნეებისა.

ვაგროვებ მასალებს, ვწერ წერილებს, გამოდის „ხემალაის სხივის“ ახალ-ახალი ნომრები, კითხვით კი ცოტა ვინმე თუ კითხულობს. გაზეთის მთავარი რედაქტორი და ცენზორი საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ. თავმჯდომარე კმაყოფილი იყო ჩემი მუშაობით, ერთხელ სოფლის საერთო კრებაზე დიდად შემაქო, მერე კი სრულიად მოულოდნელად წაიკიდინით.

კვირა დღე იყო და შინ ვიყავი. სალამოხანზე საბჭოს თავმჯდომარემ კიშკართან მოაგდო ცხენი და დამიძახა. მამიდაჩემი შეეპატიკა, მაგრამ თავ-

მჯდომარე არც-ი დაქვეითდა, სასწრაფო საქმე მაქვს ეკასთაწო, ვეახელ. ალწილი იყო, ცოტა ნასვამიყო მეჩვენა. მამიდაჩემი დაითხოვა — ეკასთან საიღუმლო საქმე მაქვსო. თავმჯდომარე ცხენიდან ჩამოხტა და ღვინის სუნი მეცა. შარვლის ჯიბიდან ქალაღების ბლუჯა ამოიღო, გარშემო მიმოიხედა და ხმადაბლა, ჩურჩულით მითხრა, — ეს საბუთებია და ყველაფერი ნათელია, ის ოხერგამწყურალი ფერმის გამგე მთავრობას და ხალხს ატყუებს, რძისა და ყველის დამზადების გეგმას არ ასრულებს, ყველს ბაზარში ჰყიდის და ფულს იჯიბავსო. დამზადების გეგმა ერთობ დიდიანო. ფერმის ძროხები ამდენს ვერ მოიწველიანო, საიდან გავაჩინო ამდენი რძე და ყველიო, ხედავ, რა ოხრობას ჩადის ეს ღმერთგამწყურალი? ეს მწყემსების წერილებია, დაჯექი და ამაღამვე დამიწერე კედლის გაზეთი, ოღონდ ორ ცალად, ერთს საბჭოში გავაკრავთ, ერთსაც ჩემი ხელით წაიღებ ფერმაში და მე ვიცი, რასაც ვიზამ, გუდანაბადს აეუკრავ მაგ ქურდსა და გათახსირებულს, დავაჭვრინებ და ციხეში ჩავსვამ, ღმერთიც ვერ უშველის.

თავმჯდომარე სხაპასხუპით, ალღევებით და ქადილით ლაპარაკობდა. მწყემსების წერილები ხელიდან ხელში გადააქონდა. მერე გადათვალა. ცხრა ქალაღი იყო და ცხრავე გადმომცა. ოღონდ ამაღამ იმუშავე და მერე თუნდაც ერთი კვირა დაისვენეო, მითხრა, ცხენს შეახტა და გააქუსლა.

ეს ღამე მამიდაჩემმა და მე თეთრად გვათენეთ და დილისათვის კედლის გაზეთის ორივე ცალი მზად იყო.

თავმჯდომარე საბჭოში გვიან მოვიდა, თორმეტი საათი იქნებოდა. კარგად გამოეძინა; ჩინებულ გუნებაზე იყო და იღიმებოდა.

— რაო ეკა, ახალი არაფერია? რაიონიდან ხომ არავის დაურეკია?

მე კედლის გაზეთი დაეუფინე მაგიდაზე.

გაკვირვებით ამოხედა.

— ჰოო, მართლა, ყოჩაღ შენ! — უხალისოდ, გაქიანურებულად თქვა და გაზეთის კითხვა დაიწყო.

თავმჯდომარის ღიმილიანი სახე თანდათან მოიღრუბლა.

— ნამეტანია, ეკა! — თქვა და ამოიხვნეშა.

— ნამეტანი? — გავიოცე მე. — ეს ხომ მწყემსების წერილებია, მე მხოლოდ სტილი გავასწორე, ისიც აქა-იქ!

— აზრიც უნდა გავესწორებია! — გადაჭრით თქვა თავმჯდომარემ და თვალი გამისწორა.

— აზრიც? ეს ხომ მწყემსების წერილებია და ხელსაც ისინი აწერენ.

— დიდი ამბავი, მწყემსები! მერე რა რომ მწყემსები არიან? ცუდად ცხოვრობენ? უკმაყოფილონი არიან ფერმის გამგესა? ფერმის გამგე აკონტროლებს და ბევრს ვერ იპარავენ? ამიტომ ფერმის გამგე ცუდი კაციაო, ამტკიცებენ და ქურდობას მასვე აბრალევენ? ვერ არის აწყობილი საქმე, ეკა!

სახტად დაერჩი და ვერაფერი ვთქვი.

— ეს წერილები, მართალია, მე მოგიტანე, მაგრამ ის გიყი მწყემსები, ასეთ სისაძავლეს თუ წერდნენ, არ ეიცოდო. პირდაპირ გვეუბნებიან — ჩვენი ფერმის გამგე ქურდია, ხელი სტაცეთ და დაიჭირეთო. ერთი ამათ დამიხედეთ! ნამეტანია! ვერა, ამას ვერ ჩავიღვენ! — თქვა თავმჯდომარემ, ირონიულად ამხედ-დამხედა, გაზეთი ოთხად გაკეცა, მაგიდის უჯრაში ჩადო და დაუშატა — ვითომ ეს გაზეთი არ გამოგიშვია, ეკა!

მე დაღლილობა მოვიმიზეზე და შინ წამოვედი.

ის იყო და ის.

სოფლის საბჭოში აღარ მივსულვარ. მეორე დღეს მამიდაჩემმა გულასპირ ჩაფიჩაძესთან მიმიყვანა.

— მათემატიკას ისე შეგასწავლი.

არა თუ გამოცდას ჩააბარებ, შენს საყვარელ ლიტერატურას შეგიტელებს და მათემატიკას შეიყვარებო, — ღიმილით მითხრა ჩაფიჩაძემ და პირველსავე დღეს თავის თანაშემწედ დამნიშნა.

— ბარე ერთი წელია, ამ ადგილს შენთვის ვინახავდიო, — ყურში ჩამიჩურჩულა ვითომ არავინ გაიგოსო და თვალი ჩამიკრა.

— თვეში ოცდახუთი შრომადღე დაგწერება, ცოტაა? — თქვა გულასპირმა და გამომცდელად შემომხედა. როგორ გეკადრებათ, მაგრამ მეშინია-მეთქი. — შიში? საშიში არაფერია, ასამდე ანგარიში ხომ იციო, ირონიულად მკითხა, ვიცი-მეთქი, მიამიტად ვუპასუხე. ჰოდა, ასამდე ანგარიში თუ იცი, საქმე წინ გექონია წაგდებული, ნახავ ჩვენს ბალანსებს როგორ მწყერსაც შევუწყავთო.

შემწევარი მწყერისა ვერაფერი გავიგე და, გაუღიმე.

— ჰოდა, დაეწყეთ! — საქმიანი კილოთი თქვა გულასპირმა.

ოთახში მეორე მაგიდა შემოატანინა და თავის მაგიდასთან ახლოს, დაადგმევინა. ეს შენი მაგიდააო, მითხრა, მერე კარადიდან ორი დავთარი გამოიღო, ჩემს მაგიდაზე დადო, დაბრძანდით მითხრა და თავისი სკამიც ჩემს მაგიდას შემოუდგა.

— მაშ ასე, — დინჯად თქვა გულასპირმა, — ეს ორი ტომი ჩვენი კოლმეურნეობის კარაბადინია. ავილოთ ტომი პირველი. ამ ტომში კოლმეურნეთა საერთო სიაა, მაგრამ ეს უბრალო სია არ გახლავთ. გადაეშალოთ მეექვსე გვერდი, — და გულასპირმა კარაბადინის მეექვსე გვერდი გადაამაშლეინა. ნახე ნომერი ცხრა. ენახე. წამიკითხე. ვკითხულობ:

1. გურგენიძე ხარიტონ ალექსანდრეს ძე.
 - დაბადების წელი — 1903.
 2. გურგენიძე ძუტა — მისი მეუღლე.
 - დაბადების წელი — 1912.
 3. გურგენიძე ალმასხან — მათი შვილი.
 - დაბადების წელი — 1934.
- ახლა ჯამი წამიკითხე, — თქვა

გულასპირმა და ფანჯარი მოიშარჯვა.
ვკითხულობ ჯამს: $3-2=1$.

— ხარიტონი მიმტყიცებს, — ჩაიქირჩილა გულასპირმა, — ჩემს ცოლზე სამი წლითა ვარ უფროსიო, აგერ არ მიწერია კარაბადინში? პატივეცემული ხარიტონი ბარე ცხრა წლით უსწრებს თავის მეუღლეს. ახლა მეორე ტომის მეექვსე გვერდი გადაშალე!

მეორე ტომის მეექვსე გვერდი გადავშალე.

— ნახე ნომერი ცხრა და წაიკითხე. მეცხრე ნომერს თითი დავადევი და ვკითხულობ: გურგენიძე ხარიტონი აღუქსანდრეს ძე: $3-2=1+190$.

— გავშიფროთ ახლა; — თქვა გულასპირმა და გაშიფრა: კოლმეურნეობის წევრთა საერთო დავთარში ხარიტონ გურგენიძის რიგითი ნომერია ცხრა. მისი ოჯახი შედგება სამი წევრისაგან, ოჯახის სამი წევრიდან შრომისუნარიანია ერთი, ამ შემთხვევაში კონკრეტულად თვითონ ხარიტონი. მართალია, ხარიტონ გურგენიძის მეუღლე ძუტა ჩანმრთელია, მაგრამ მას მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, არც თვითონ და, თავისთავად ცხადია, არც მისი შვილი, ჯერჯერობით შრომისუნარიანებად არ ჩაითვლებიან. $3-2=1+190$ და კოლმეურნეობის ამ ერთმა შრომისუნარიანმა წევრმა, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ხარიტონ გურგენიძემ, ასოთხმოცდაათი შრომადლე გამოიმუშავა. ბარაქალა ხარიტონ გურგენიძეს! ცოტას წლოვანებაში მატყუებს პატივეცემული ხარიტონი, მაგრამ შრომისმოყვარეა და ვაბატიოთ. აი ასე, ყველა კოლწევრის ასავალდასავალი ასე დაწვრილებით მიწერია ჩემს კარაბადინში. გადაიკითხე, გადაიკითხე კი არა, შეისწავლე, დაწვრილებითაც შეისწავლე! ხალხის შესწავლაა ძნელი, თორემ მათემატიკა? ფიქრიც ნუ გექნება!

ორი წელი ვიმუშავე გულასპირ ჩაფიჩაქსთან. სამსახურში მისვლა მიხაროდა, ხშირად გვიან დამემდე ვრჩებოდი კოლმეურნეობის კანტორაში და მანც მიხაროდა. თუ გულასპირიც კან-

ტორაში იყო, დრო შეუმჩნევლად გადიოდა, ხალისიანი და აგერაგინი ყველას გვიყვარდა. თავისი სწამე! ხომ ხარისძირობამდე იყო, მეზობელ სოფლებშიც იწვევდნენ საკონსულტაციოდ, ერთხელ ხერგას რაიმეწვანამაც მაგრად მოუდგა ფეხი — სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელად ნიშნავდა, — მაგრამ გულასპირი თავის სოფელს როგორ დატოვებდა!

ძალიან შევეჩვიე, თვითონაც მომიშინაურა, სულ ხუთი-ექვსი წლით იყო ჩემზე უფროსი და მამასავით მექცეოდა. როცა გულასპირი კანტორაში არ იყო, ყურებჩამოყრილები ვიყავით. გარეგარე სიარული კი არ აკლდა. საქმე ცალკე და ღვინი ცალკე. ნიშნობა, ქორწილი, დღეობები. ამას სოფელში რა გამოიღვეს და სადაც ღვინი იყო, გულასპირ ჩაფიჩაქეც იქ გახლდათ.

...თუ არ ვცდები, ითხვისელმა შარანგიამ ხემალღელი კონდრატე ჯინორიძის ქალი შეირთო ცოლად. საერთოდ ასეა — ხემალღელი ქალიშვილები ითხვისელ ვაჟებზე თხოვდებიან, ითხვისელი ქალიშვილები კი ხემალღელ ვაჟებზე... იმ ქორწილში თამადად გულასპირი იყო და სიმის მაყრებს შავი ღლე გაუთენა. ითხვისელები დაექადნენ ვნახავთ ითხვისიდან როგორ გამოაღწევო და დანაქადი შეუსრულეს. ქორწილის მეორე დღეს მთელი მაყრონი ამობრუნდა ხემალღში, გულასპირი კი ვერა. ზვალ ამოვავო, მითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — ცოტა შეუძლოდ შეიქნა და მოსვენება ირჩიაო.

არც მეორე დღეს გამოჩენილა გულასპირი. მესამე დღეც მიიღია და ის იყო კანტორას ვკეტავდი, ორი უცხო კაცი გამომეცხადა და გულასპირი იკითხეს. კოლმეურნეობის საქმეზე ითხვისში წავიდა-მეთქი, — ვიკრუე-ზვალ დილით აუცილებლად დავგხედესო, თქვა ერთმა. თუ ფიქრობთ არ ჩამოვა, კაცი გაუგზავნეთო, დაუმატა მეორემ. რატომღაც შევშინდი. თქვენ ვინ ბრძანდებით და რა საქმეზე ხართ

მოსული-მეთქი, — ცოტა მკვანდე ეკითხე. — რაიმეწგანის რევიზორები ვართ, ჩაფიჩაძე დილით კანტორაში დაგვხვდესო, — მკვანდე მომიგეს და წავიდნენ.

თავმჯდომარეს ვაცნობე. თავმჯდომარემ კოლმეურნეობის დარაჯი ცხენით აფრინა გულასპირთან. დილით ითხვისიდან მარტო დარაჯი ამოვიდა. მაგ პატოსან და პატისაცემ ადამიანებს მოახსენეთო, შემოგვითვალა გულასპირმა, თუ აუცილებელი საქმე აქვთ და ჩემი ნახვა სურთ, დამელოდნონო, მე ბარე სამ დღეს ვერ ამოვალო, თუ საბუთები გთხოვთ, ყველა საბუთი უჩვენეთ, ყველაფერი აქურშიაო.

დილით რევიზორები მოვიდნენ.

— გულასპირი შეიძლება ზეგამდე ვერ ჩამოვიდეს, მის მაგივრობას მე გაგიწევთ, — ვთქვი მე და რევიზორები თავმჯდომარის ოთახში შევიწვიე.

ჯერ შეყოყმანდნენ, მერე გადაჭრით თქვეს გულასპირს დაველოდებითო და წავიდნენ. მეორე დღეს ადრინად მოვიდნენ და საღამომდე იჯდნენ კანტორაში. თავმჯდომარემ ვახშმად მიიწვია, როგორ შეგაწუხებთო, გულცივად, თქვეს და ჭინორიძეთა უბანში წავიდნენ. თავმჯდომარემ იცოდა, ერთ-ერთი რევიზორი აღმასხან ჭინორიძეს უნათესავებოდა და ამიტომ კალთა არ ჩამოუგლეჯია.

მეოთხე დღეს, კარგად მახსოვს, ხუთწაბათი იყო, ნაშუადღევზე გულასპირმა წილიფად შემოიარა კანტორაში და რევიზორებიც იქ დახვდნენ. ემცხეთა, მიხვდა რევიზორები რომ იყვნენ, მაგრამ განგებ სხვა ხალხად შეიცნო. მისალმებისთანავე დაიბუბუნა — როგორაა ჩვენი რაიკომი და ალექსანდრეო (მაშინ ზერგას რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე გახლდათ), მაგარი ხალხი ხართ, ამდენი ახალახალი საქმეები რომ დაატრიალეთ ჩვენს რაიონშიო. რაიადმასკომის თავმჯდომარე რაიკომის მდივანზე უფრო შინაურულად მოიკითხა, ზერგას რეინგზის სადგურის რეკონსტრუქციის გეგმა თუ და-

გვიმტკიცეს მოსკოვშიო, მე რომ მკითხოთ, სადგური მთლიანად დაეკარგა, მარტო რეკონსტრუქცია ექნა და დაეკარგა ველისო. მერე ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმს შემოჰკრა წიკპურტი გულასპირმა — ამერიკელები და ინგლისელები ორპირი ხალხია, მართალია ამერიკელებს ორპირობა ინგლისელებმა ასწავლეს, მაგრამ ახლა მუხანათობასა და ორპირობაში ამერიკამ ინგლისს გაუსწროო...

ოდნავ შეყოვნდა და ქაღალდის ფურცელი გამომიწოდა. გამოვართვი. ვკითხულობ: „მეგონა ეს ოხრები წასულები იყვნენ, თორემ რა სიკვდილი მომიყვანდაო. შედი თავმჯდომარის ოთახში, ტელეფონი გამოართე, შემოდი და ხმამაღლა მითხარი — რაიკომის პირველი მდივანი ტელეფონთან გთხოვს-თქო. იცოდე ხმამაღლა თქვი. თავმჯდომარის ოთახის კარი ღიად დატოვე“.

თხოვნა შევუარულე.

გულასპირი დინჯად ადგა, სტუმრებს მოუბოდიშა, თავმჯდომარის ოთახში შევიდა და ჩაახველა.

— გამარჯობათ ამხანაგო ალექსანდრე. გულასპირი გახლავართ. არაგვისშავს, ვართ რაიკომის წყალობით! თქვენ ხომ კარგად?

პაუზა.

— ოჯახში! ოო, ღმერთმა გაგახარათ! მოგილოცავთ, სულთ და გულთ მოგილოცავთ ჩემო ალექსანდრე. დიდებულის საქმეა, ნამდვილად დიდებულე, საშვილიშვილო!

პაუზა.

აუცილებლად ჩამოვალ! როგორ გეკადრებათ, როგორმე გამოვებნი დროს და აუცილებლად ჩამოვალ, პირადად მოგილოცავთ.

პაუზა.

კარგად, ძალიან კარგად მიდის.

ხანგრძლივი პაუზა.

ოო, ცუდად! მიზეზი? ხარჯთაღრიცხვა შეეადგინე, კარგახანია რაიმეწგანშია და დღემდე არ დაუმტკიცებიათ. სუსტად აკონტროლებთ რაიმეწგანის მუშაობას ამხანაგო ალექსანდრე! მერტი

კონტროლია საქირო. შტატი? ჩვენი რაიმიწვანის შტატი რესპუბლიკას დააკომპლექტებს, დიახ-დიახ, მართალს მოგახსენებთ. მაინც ვერ ასწრებენ ხომ? ვერც მოასწრებენ!

პაუზა.

რატომ? რატომ და რევიზორებითა ხსენებთ. რა აქვს ამდენი სარევიზიო რაიმიწვანს? თავისი უშუალო საქმისათვის ვერ მოუვლია და ვითომ კოლმეურნეობებს გვეხმარებიან? სიცრუეა, დიდი სიცრუე. რაიმიწვანის რევიზორების მუშაობას კარგად ვიცნობ მე ამხანაგო ალექსანდრე! რისი ბალანსი, რისი ანგარიშები! სამი-ოთხი დღე უნდა მოუვლინო, ტაში და ტუში, მაგარმაგარი სადღეგრძელოები.

ხანგრძლივი პაუზა.

გულასპირმა ხმა დაიბოხა.

— არა, წელს არ ჩამოსულან. რაში გვეკირდება ჩვენ რაიმიწვანის რევიზია? გმადლობთ, ამხანაგო ალექსანდრე!

პაუზა.

თქვენც ასევე, ჯანმრთელობას გისურვებთ, სალამი თქვენს ოჯახს.

გულასპირმა ყურმილი ხმაურით დადო, ჩაახველა, თავის ოთახში შემოვიდა და შემომიტირა.

— ასეთი პატივსაცემი ხალხი ამობრძანებულა რაიონიდან და დროზე ვერ შემატყობინეთ? ასე უნდა ძვირფას სტუმრებს დახვედრა? ღმერთო-კი მომკალი!

მერე ვითომ ყურში ჩამიჩურჩულა, მაგრამ ისე, რომ სტუმრებსაც გაეგონათ.

— ახლავე გადადი კესარიასთან, სხვა გოგოებიც მოიხმარე, თავმჯდომარეს გაუარე და უთხარი ჩემსას ვადმოვიდეს. აბა, ცოცხლად! ჩვენც მალე მოვალთ.

მკვდარი რომ ჩემდადა, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრები გულასპირს ვერ უსწორებენ თვალს, გულასპირი სტუმრებს. წამალივით იქნებოდა ვინმე რომ გამოჩენილიყო, მაგრამ მაინცდამაინც არავინ შემოიარა. მერე სიჩუმის დასარღვევად ჩაახველა და ჩაახველა

გულასპირმა, ყალიონი გააწყო და ქისა სტუმრებს მიაწოდა. სტუმრებმა უარეს, არ ვეწევითო. გულასპირმა ცალიონს მოუქიდა, ადგა და ისევ შემომიტირა.

— რამ გაგაშეშა ეკა, არ გითხარი ჩემს სახლში გაიქციე-მეთქი?

სტუმრები ადგნენ. ერთი, უფრო მაღალი და ჩაფსკენილი, უფროსად რომ ჩანდა, გულასპირს მოუბოდიშებს.

— თქვენსაც ვერ წამოვალთ, პატივცემულო გულასპირ!

— რა დამიშავებია ისეთი? — გაიოცა გულასპირმა.

— აღმასხან ჭინორიძესთან ვართ სტუმრად, გველოდება.

— ამ საქმეს მოევლება. კაცს გავგზავნი და აღმასხანსაც ჩემსას ვადმოვიყვან. — გადაჭრით, შეუვალად თქვა გულასპირმა.

სტუმრები უარზე დადგნენ. გულასპირმაც არ დაიხია უკან, მაგრამ სტუმრები უფრო მაგრები გამოდგნენ, გადაჭრით თქვეს — ჯერ ჩვენს მასპინძელს მოვინახულებთ და თქვენთან შემდეგ ვადმოვალთო.

გულასპირი, ვითომ ცოტათი გატყდა. — იყოს ასე, ოღონდ მეც თან გამოგყვებით, მარტო არავითარ შემთხვევაში არ გაგიშვებთ, ხალხი ვართ, მადლობა ღმერთს, ჯერ სინდის-ნამუსი არ დაგვიკარგავსო და გულასპირ ჩაფიჩაძე სტუმრებიანად ეწვია აღმასხან ჭინორიძეს.

ცხოვრებული აღმასხან ჭინორიძე, შეძლებული და კაი ყაძახი იყო და შინმობრუნებულ სტუმრებს სხვის სახლში როგორ გაუშვებდა!

გაიშალა სუფრა და დადგა გულასპირ ჩაფიჩაძე თამადად, გარეკა და გარეკა, დალოცა და ამოლოცა სტუმრები და მასპინძელი. სიმღერა, ტაში-ტუში, ცეკვა. მერე, შეუქურთხა და შეუქურთხა გულასპირ ჩაფიჩაძემ რევიზორებს, მოცილილი და ახირებული ხალხია, თავს მოულოდნელად დაგესხმიანო, თითონ ცოტა რამ იციან და სხვებს ბევრს ასწავლიანო, ხალხისთვის ზარალია, საქ-

მისთვის ზარალი, მთავრობისთვის ზარალი, მარტო თავის-თავისთვის არიან სასარგებლონიო. ქრისტესავით ჯვარზე გააყრა გულასპირმა რევიზორები.

გამთენიისას მოამრგვალა გულასპირმა სადღეგრძელოები. მასპინძელს დიდი მადლობა მოახსენა და სტუმრებიანად სადილად გადმოიპატიოა. და ვიდრე არ შეიპირა, არ მოეშვა.

ეზოში ჩამოსულს უფროსი რევიზორის ცხენი მოუვიდა თვალში. შეაკაზმინა, მერე — მერე დარღმინდულად ამხედრდა და თოხარაკით წამოვიდა. ცხენი ბიჭის ხელით ვაუგზავნა უკან და ძალიან კარგი ცხენი გყოლიაო, შეუთვალა.

აქ გათავდა აბავი.

ის რევიზორები ქურდულად გაიძურწნენ.

...გუშინ ვნახე, შებინდებისას. თავის ჭიშკართან ახლოს, მუხის ფესვზე იჯდა, სანისლეს ქედს ვასცქეროდა და ხმადაბლა ლიღინებდა. დავაყურადე. ჩუმად იყო. პირი ოდნავ ღიად ჰქონდა, მეგონა ლიღინებდა, ხმაც მომესმა, დავაყურადე, ჩუმად იყო, შეკრთი და გავეცალე. ათიოდე ნაბიჯი გადავდგი და ისევ სიმღერასავით მომესმა, მოვიხედე, ისევ მუხის ფესვზე იჯდა, პირი ოდნავ გაეღო და სანისლეს ქედს ვასცქეროდა.

...სანისლეს ქედიდან ღიღხანს დაეცქეროდი ჩემს სოფელს. თელის ჩრდილი გამეპარა. ხელჩანთა ავიტაცე და დაღმართზე სირბილით დავეშვი.

მაშიდა სატეველაზე შემომხვდა. ვოცოდი, დღეს ჩამოხვიდოდით, მითხრა მაშიდამ, გულში ჩამიყრა და ატირდა.

სადილზე ზურაბ ბარბაქაძე და გულასპირ ჩაფიჩაძე მოიწვია მაშიდამ.

— დროზე ჩამოხვედი, ეკა, — თქვა ზურაბ ბარბაქაძემ და თვალი გამიყარა. — დანიშნის ქალადლი წამოიღე?

— ხერგაში მნიშნავენ. — ვთქვი მი და თავი დაეხარა.

— ხერგაში? ხერგაში რატომ? — შეიკვირვა ზურაბმა.

— ხემაღალში ადგილი არ გვაქვსო...

— სიცრუეა! — გაბრაზდა ზურაბ

ბარბაქაძე, — არ იციან ექვს კლასს რომ ვასწავლი? სამი კლასი შენია, ეკა! მეექვსე, მეშვიდე და მერვე, ბარბაქაძეს ხეალზე დაეწერა.

II

ზურაბ ბარბაქაძის შვილიშვილი, მეხუთე კლასელი მანანა, დილით სკოლის ჭიშკართან დამხვდა და წერილი გადმომცა.

„პატივცემულო ეკატერინე, გუშინ საღამოს მოულოდნელად ცუდად გავხდი. ეტყობა გული მღალატობს. ვაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ვთხოვთ, მინახულოთ. ჩემი ავადმყოფობის ამბავს ნურავის ეტყვიოთ. პატივისცემით ზურაბი“.

გულმა არ მომითმინა. ჩემი პირველი ვაკვეთილი ფიზკულტურის ვაკვეთილით შევაცვლევიენე და ზურაბის სანახავად წავედი.

ჩვენი დირექტორის ავადმყოფობა არ მახსოვს. სამოცი წლისააო, ამბობენ და სანისლეს ქედზე ნადირობს, შემოდგომასა და ზამთარში სატეველაში თევზაობს. ვეებერთელა კაკლის ხეები უდგას ეზოში. იმ კაკლის ხეებზე ჰაბუკივით მსუბუქად აღის, კენწეროში მოექცევა და ჰოკით ისე დაბერტყავს, ცალსაც არ შეარჩენს. კაკლის ტოტებს მაგარი დაჭერგვა უხდება, ჩემი შვილი ვერ ახერხებსო, ამბობს ზურაბი. მისი შვილი — კი ოცდაათი წლისა ვახლავთ.

მაისის თბილი დღე იყო. ჩქარა ვიარე და გავოფლიანდი.

ზურაბის ჭიშკართან შევჩერდი. ეზოში ჩავიხედე. კაკლის ჩრდილში, კილოფზე ზურაბი წევს და უმცროს შვილიშვილს გიორგის ეთამაშება.

შევცბი. რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე, მესერას ამოვეფარე და ახლა ქურდულად ჩავიხედე ეზოში.

ზურაბი იყო. ზურაბი და მისი უმცროსი შვილიშვილი, სამი წლის გიორგი. ვითომ ჭიდაობდნენ. ზურაბი დაბლა ეგდო, გიორგი მკერდში ჩაფრენოდა და

გაიძახოდა — წაგაქციე, წაგაქციე, ბა-
ბული — და ხითხითებდა.

კიდევ დაეხიე რამდენიმე ნაბიჯი
უკან, ხეს ამოვეფარე და ხმამალა და-
ვიძახე. — გიორგი, გიორგი!

ზურაბი მარდად წამოხტა, ბავშვი
აიტატა და ჭიშკრისაკენ წამოვიდა.

ლიმილით შემომეგება, ხელში მისი
წერილი მეჭირა, დაინახა, თვალბში
შემომხედა და მკითხა — გაკვეთილი?
შევეცვალე-მეთქი და შევატყვე, არ ესი-
ამოვნა. თვალბი დაბლა დახარა და
საყვედურით თქვა.

— ასე საუცბათოდ არ მიხმობარ.

პაუზა.

ნახვამდის-მეთქი და წამოსვლა დავა-
პირე.

ხელი მკლავზე წამავლო.

— რახან მოსულხარ, დარჩი.

ჩრდილში შემიწვია. სკაზზე დამსვა.
ახლავე მოვალო, თქვა და შვილიშვილი
ოდაში აიყვანა.

„ავად ვარ და მინახულეო; ეტყობა
გული მღალატობსო, ჭილოფი გაუგა
ჩრდილში, ზედ კოტრიალობს და შვი-
ლიშვილს ჭიდაობანას ეთამაშება! გუ-
ლი ტყევა და ჭიდაობანას თამაშობს?
სამი წლის ბუნულა შვილიშვილი ატა-
ტებული დაპყავს? ვერაფერი გამიგია!“

— მაშ, გაკვეთილი გაუცვალე, ეკა?
— გამომცდელად მკითხა და გვერდით
მომიჯდა.

შევხედე. ფერმკრთალი, ძალზე ფერ-
მკრთალი მეჩვენა. მზერას მარიდებს.

— რომელი საათია?

მაჯის საათს დავხედე.

— ათს ოცი წუთი უკლია.

— ოც წუთში მეორე გაკვეთილი და-
იწყება. — ისე თქვა, ჩემთვის არ შე-
მოუხედა.

— ფანჯარა მაქვს, — ვთქვი და თვა-
ლი გავუსწორე.

— ფანჯარა? — გაიოცა ზურაბმა,
მარცხენა ხელისგულით შუბლი მოის-
რისა და ისე შემომხედა, მივხვდი, და-
ეკვდა. — მეორე გაკვეთილი და ფან-
ჯარა? არა მგონია!

— სამშაბათობით ასეა. — ვთქვი მე

და ჩემი ნაქსოვი ჩანთა გავხსენე.

— არ ვიცოდი! — გაქიანურბულად
თქვა ზურაბმა და კვლავ გამომცდელად
შემომხედა.

ჩემი გაკვეთილების ცხრილი გავუ-
წოდე.

გამომართვა, ხელი უკანკალებს. კი-
თხულობს: სამშაბათი — პირველი გაკ-
ვეთილი, მეხუთე კლასი, (ზეპირი), მე-
სამე გაკვეთილი — მეშვიდე კლასი
(წერა).

— უნდა მცოდნოდა! დიახ, უნდა
მცოდნოდა! — გულმოსულად თქვა და
სკამიდან ადგა.

— მეგონა იცოდით, — ჩურჩულით
ვთქვი მე.

— დიახ, უნდა მცოდნოდა! საქმეც
ეგ არის — უნდა მცოდნოდა! ნამდვი-
ლად კი არაფერი ვიცი! ჭართულის მას-
წავლებელს ფანჯარა აქვს და მე არ ვი-
ცი! კარგი საქმეა!

— სასწავლო ნაწილის გამგემ, —
დავიწყე განმარტება და ზურაბმა იფე-
თქა.

— დირექტორი? სკოლის დირექტო-
რი? ინგლისთან ურთიერთობის საქმეს
აგვარებს? სკოლის დირექტორი რას მი-
კეთებს, პა? სკოლის დირექტორი, ისიც
ჭართულის მასწავლებელი? მის კოლე-
გას ფანჯარა აქვს და არ იცის! კარგი
საქმეა!

ჩრდილში დადის, ხან ნელა, ხან წა-
უჩქარებს ნაბიჯს. მე არ მიყურებს, ისე
მიდი-მოდის, თითქოს მარტოა... მერე
თანდათან დაცხრა და დამშვიდდა, ისევ
ჩემს გვერდით დაჯდა.

— მაშ, სწორი ყოფილა! — დიახ, ერ-
თი თვის წინათ... ბარაქალა, ბიჭებო! —
ლიმილით, სევდიანი ლიმილით თქვა და
თვალბი მილულა.

მინდა ვკითხო, რა მოხდა ერთი თვის
წინათ, მაგრამ მეშინია და ვდუმვარ.

— რატომ არ მეკითხები, ერთი თვის
წინათ რა შემემთხვა? — ხელბი ლო-
ყებზე შემომამკლო და თვალბში ჩამა-
ცქერდა.

ამღვრეული, ძალიან ამღვრეული
თვალბი აქვს.

— ჰო, რატომ არ მკითხავ, ერთი თვის წინათ რა მომივიდა? ვითომ არ იცი? ჰა, ვითომ არ იცი? თუ იცი და თავს იკატუნებ? დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით თქვა, ხელები შემიშვა, სკამიდან ადგა და ისევ ჩრდილში დაიწყო სიარული.

გრძელი, ძალიან გრძელი ნაბიჯებით დაიწყო სიარული, თითქოს ამ ჩრდილში ორმოებია ამოთხრილი და იმ ორმოებზე აბიჯებსო, მერე ნაბიჯი დაიმოკლა და სიარული აჩქარა. დადის და მე შემომტყერის, მე შეშინებული ვზივარ სკამზე და ვნანობ აქ მოსვლას. ზურაბს ავადმყოფობისა არაფერი ეტყობა, ჯიქივით დააბიჯებს... რალაც სხვა ამბავია, ამ ამბავსა მე არაფერი ვიცი და ჩემი აქ მოსვლა საჭირო არ იყო. ამ კაკლის ჩრდილში ჰილოფი ეგო, ჰილოფზე იწვა, მკერდზე უმცროსი შვილიშვილი გიორგი ეჯდა და ბაბუა და შვილიშვილი ჰილოფიდან თამაშობდნენ. წაგაქციე, წაგაქციე ბაბულიო, — ჰყიბინებდა შვილიშვილი და ხითხითებდა. მოულოდნელად მოვედი. აფორიაქდა, აიღეწა — ფანჯარა საიდან გაქვსო, სკოლის დირექტორი მე ვარ და რატომ არ უნდა ვაიოდე, ქართულის მასწავლებელს სამშაბათს, ისიც მეორე გაკვეთილი, ფანჯარა თუ აქვსო... „მამ, სწორი ყოფილა, ერთი თვის წინათ... ბარაქალა, ბიჭებო“. რატომ არ მკითხები ერთი თვის წინათ რა შემემთხვა? ვითომ არ იცი, ჰა? თუ იცი და თავს იკატუნებ?“

ნამდვილად არაფერი ვიცი, ვერც ვერაფერს ვეკითხები. კაკლის ჩრდილში ვზივარ სკამზე, შევყურებ ზურაბს, იგი ბოლთას სცემს, ხანდახან შემომხედავს და შემომიბღვერს.

ახლავე მოვალ, — თქვა და ოდამი ავიდა.

„ეგებ რამე დავაშავე? ვფიქრობ მე, — სკოლაში ეუხერხულა თქმა და სახლში მისმო, მიკბულ-მოკიბულად მელაპარაკება და ვერაფერს მივმხვდარვარ. არა, ზურაბ ბარბაქაძემ თქმა პირდაპირი იცის. თუ რამე უსწორობა შე-

გამჩნია, მოკრძალებულად, მაგრამ პირდაპირ, დიახ, პირდაპირ გეტყვის.

ოდისახლის უკანა კარი, ჯალიღო და ზურაბმა მეუღლე და შვილიშვილი ბოსტანში ჩააცილა, მერე ალაგზე გადასვლაში უშველა შვილიშვილს, მეუღლეს კი დოქი მიაწოდა. ჩანს, სატეველაზე აგზავნის.

ზურაბი სახლში შემობრუნდა, წინა აივანზე გამოვიდა და ხელის დაქნევით მიხმო.

ზალაში შემიყვანა და კარი დახურა. სუფრაზე საუშმე ეწყო.

— დაჯექი, — ბრძანების კილოთი თქვა და ორ ჰიქაში რძე დაასხა.

— უკვე ვისაუშმე.

— ძალიან კარგი. ერთ ჰიქა რძეს დააყოლებ.

დაესხედით. შაქარი მომაწოდა.

— უშაქროდ ვსვამ. — ვთქვი მე და რძეში მარილი ჩაეყარე.

თუ ნებას მომიცემ, მე ჰიქა არაყს დავლევ, — თქვა ზურაბმა, ღვინის ჰიქა არაყით შეავსო და გადაჭკრა. მერე ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გაიხედა. მეც ფანჯარასთან მივედი და ეზოში გავიხედე. ეზოში არავინ იყო.

— სკოლას თავს ვანებებ, — რალაც ნაირი შეუვალი ხმით თქვა ზურაბმა და სუფრას დაუბრუნდა. მე ფანჯარასთან ვდგევარ, ეზოში ვიხედები, — ეზოში არავინაა, ქურდულად გამოვხედე ზურაბს. ზურაბმა ღვინის ჰიქაში ისევ დაასხა არაყი და გადაჭკრა. არაფერი წაიხეშა. როგორც-კი მეორე ჰიქა არაყი გადაჭკრა, სახე წამოეჭარხლა.

— დიახ, სკოლას თავს ვანებებ და ამას პირველად შენ გიმხელ, — ახლა უკვე დანანებით თქვა ზურაბმა, თვალი აუტყრემლდა და სახე ამარიდა.

„ზურაბ ბარბაქაძე სკოლას ანებებს თავს? ფარსაგი მიზეზია! სკოლას თავს ანებებს და ასე მოულოდნელად? გაძლებს-კი უსკოლოდ? კვირა დღესაც აუცილებლად მოინახულებს სკოლას. კვირაში ერთ დღესაც ვერ ძლებს უსკოლოდ და ახლა სამუდამოდ ანებებს

თავს? არაფერი. მესმის. ვერაფერი გამოვიგია, — ისევ ეზოში ვიხედები და ეზოში არავინაა... დილით ყველას ასწრებს სკოლაში მოსვლას, დამთავრდება მეცადინეობა, ყველანი წამოვალთ, იგი სკოლაში რჩება, ყველა ოთახს შემოვივლის, მერე ნაბიჯ-ნაბიჯ დაივლის ეზოს... და ახლა სკოლაში არ ივლის? სკოლას ანებებს თავს ზურაბ ბარბაქაძე? და მერე რატომ? მიზეზს რატომ არ ვეკითხები?"

— მიზეზი უთუოდ იცი და მიტომაყ არ მეკითხები, — ხმაძალდა თქვა და გარშემო მიმოიხედა, შეამოწმა, ჩემს გარდა ზომ არავინ ისმენდა.

— ნამდვილად არაფერი ვიცი, დედას გეფიცებით, არაფერი ვიცი.

დარწმუნდა. ფანჯარასთან მოვიდა. ეზოში გაიხედა. მერე კარის სახელურს ჩაავლო ხელი და ისედაც მიხურული კარი, თითქოს უფრო მაგრად მიხურა. და გასაღებით ჩაქცა.

— მით უფრო თუ შენ არაფერი იცი, და სხვა მასწავლებლებსაც არაფერი გაუგია, დროზე ვანებებ თავს. დიახ, დროზე. მოწაფეებს ნამუსი შეუნახავთ ჩემთვის. მაშ, მიზეზი არ იცი? მე გეტყვი: შემეშალა, დიახ, ნამდვილად შემეშალა! ერთი თვის წინათ და გუშინაც შემეშალა.

უთუოდ ისეთი გაოგნებული გამომეტყველება მქონდა, მიხვდა, ვერაფერი გავიგე და იფეთქა.

— და ეს არაფერია? არაფერია გაკვეთილი რომ შემეშალა? ნაწარმოებს რომ არასწორად ვუხსნი მოწაფეებს, არაფერია? მე თვითონ შევამოწმე და დაერწმუნდი: მახსოვრობა მალატობს. ეკა, გონება მალატობს!

მერე დაწვრილებით მოჰყვა: ერთი თვის წინათ, დაახლოებით ერთი თვის წინათ, მეათე კლასში ვატარებ გაკვეთილს. ჯერ გამოვკითხე მოწაფეებს. მე საერთოდ კმაყოფილი ვარ ჩემი მოწაფეებისა, გულმოდგინედ სწავლობენ, საღად, თავისუფლად მსჯელობენ, დაწვრილებით არჩევენ ნაწარმოებს და ზოგი მათგანი იმდენად დაუფლებულია

საგანს, ზოგიერთი ნაწარმოების სხეულ-მძღვანელოში მოცემულ *„ხსნას“* არ ეთანხმება, უფრო ღრმად იხედება მწერლის სულში და ნაწარმოების თავისებურ განმარტებას მთავაზობს. მე მიხარია გაკვეთილზე შესვლა, ყოველთვის მიხარია. და მე ისინი სულგანაბლური მისმენენ, შიშის გამო კი არა. აქაოდა ჩვენი მასწავლებელი დირექტორიც ბრძანდებო, არა, მე მათ, ასე ვარ დარწმუნებული, საინტერესოდ ვუხსნი გაკვეთილს. აი, მეორე მერხი. გოგო და ბიჭი ერთად სხედან. განა ყველა ერთნაირად მისმენს? ჰო, ჩუმად კი სხედან და მე შემომცქერიან, მაგრამ ვგრძნობ ეს ყმაწვილი არ მისმენს! ეგებ იმის გამო, წინასწარ იცის, რასაც მე ვეუბნები ან ვეტყვი. ან სხვა ფიქრსა ფიქრობს: ერთი წელი და სკოლას დავამთავრებ. თბილისში წავალ და ფილოლოგიის ფაკულტეტზე კი არ შევალ, არც სამედიცინო ინსტიტუტში, საავიაციო სასწავლებელში შევალ, გავხდები მფრინავი და დედამიწას შემოვიფრენ. და ქალიშვილიც თავის ფიქრს ფიქრობს: კიდევ ერთი წელი, დავამთავრებ სკოლას. ვერ შევალ უმაღლესში? ჯანდაბას მისი თავი. შეყვარებული ხომ მყავს? გავთხოვდები! უმაღლესში რომ ვერ შევიდე, უარს მეტყვის შეყვარებული? არა მგონია! როსტომი კარგი ყმაწვილია, მე მას გულით ვუყვარვარ, მას ჩემი ცოდნა კი არ უყვარს, არამედ ჩემი ხასიათი და სილამაზე. ჩემი მშობლები ამიხირდებიან? ჯერ უმაღლესი დავამთავრებ და მერე გათხოვდიო? არ დაეუჯერებ! მართალნი არ არიან და იმიტომაც არ დავუჯერებ! ავდგები და გავთხოვდები. ეს ჩემი მეათეკლასელი ქალიშვილი აგერ ჩემს წინ, მეორე მერხზე რომ ზის, საპატარძლოდაა მოართული, სიძის მყარები მოვლენ, ცხენზე შესვამენ და გააქროლებენ. თეთრ ცხენზე ზის თეთრკაბიანი პატარძალი, მარჯვნივ და მარცხნივ მყარები ახლავს, პატარძლის ცხენი უცაბედად წაიფორსილებს, ოღონაც შექანდება პატარძალი და მყარები მკლავებში წააველებენ

ხელებს, ოღონდ მსუბუქად, როგორც პატარძალს შეჰფერის. ნიავეით ზის პატარძალი ცხენზე, მრავალყამიერს მღერის მაყრიონი და სიძის სოფელი თოფების სროლით ეგებება პატარძალს... მეათე კლასი, ოცნებაა, ჩემო ეკა, დიდი ოცნება. რთული ცხოვრების კართან დგას მეათე კლასი და ფრთები აქვს გამოსხმული.

მცირე ხნით დადუმდა. ოთახში ნელი ნაბიჯით გაიარა, მერე სუფრას მიუჯდა. მე ზურაბის პირდაპირ დავექეტი. დოქისკენ წაიღო ხელი. ხელი უკანკალებს. ახლა ღვინო დაისხა ღვინის ჭიქაში.

— რძე რატომ არ დაგიღევია, ეკა?

ჭიქა ავიღე და უკვე გაცივებული რძე მოესვი.

— რამე შეატანე, — თქვა ზურაბმა და ყველი და ქადის ნაჭერი მომწოდა.

— თქვენ რატომ არაფერს ჭამთ?

— დამაფიწყდა. ჰო, დამაფიწყდა, — დაბნეულად თქვა და თვითონაც ქადი და ყველი გადაიღო, პრასის წნილსაც წაატანა ხელი, ერთი თავი პრასი ხელში მოაღუქმა და პირში ჩაიღო, ღვინო დააყოლა.

— მეათე კლასელებთან შემეშალა, ეკა! დიახ, მეათე კლასელებთან შეეცდი. იმათ კი არაფერი მანიშნეს, მაგრამ მე მივხვდი.

უცებ შევამოწმე ჩემი ნათქვამი, შეცდომა აშკარა იყო. მოწაფეები თვალს მარიდებენ; რცხენიათ, ჰო, რცხენიათ შემოხედვისა, თავები დაბლა დაუხრიათ და გულში იცინიან.

ეგებ შეეცდი. ეგებ ცილი დაეწამე ჩემს მოწაფეებს. ეგებ არ დამციხოდნენ, პირიქით, შემიბრალეს, მაგრამ თვალი კი ამარიდეს, შერცხვათ და თვალი ამარიდეს. თითქოს თვითონ ყოფილიყვნენ დამნაშავენი, თავები დაბლა დახარეს და მზერა ამარიდეს... შეცდომა ისეთი აშკარა იყო, გამხელაც მესიხრცხვილება და შენ ნულარ მკითხავ. შენ ეგებ უმნიშვნელოდაც მიიჩნიო, მაგრამ ასე არ არის, ეკა!

ჭიქა ღვინო შესვა და ადგა.

— ჩემმა უმცროსმა შვილმა შვილმა დამიდასტურა, რომ მახსოვრობა ძალაღობს. ხანდახან ადრე მოწყობილ ზღაპარს მოუფუყებდი, უცებ ხელს წამოვლებს და გამაჩერებს. — როსტომი კი არა, იმ ბიჭს მზეჭაბუკი ჰქვიაო, საიდან იცი-მეთქი, ვკითხავ. — საიდან და — გუშინ მზეჭაბუკი ერქვაო. ჩემი მოწყობილი ახსოვს და მისწორებს.

— ბაბულო, — ეზოდან შემოგვესმა გიორგის ხმა და ზურაბი შეერთა. სწრაფად გავიდა აივანზე და მეუღლეს ხელებით რაღაც ანიშნა. შემობრუნდა და კარი ისევ სიამედოდ ჩააკეტა.

— ხეალ ხერგაში წახვალ, ეკა.

— ხერგაში? გავიკვირვე მე და ავდექი.

— ჰო, ხერგაში წახვალ, — კოლმეურნეობის მანქანა წაგიყვანს. განათლების განყოფილებაში გელოდებიან... ხეალ შენ ჩვენი სკოლის დირექტორად დაგნიშნავენ. — ღინჯად და გადაქრით თქვა ზურაბმა.

— მე? დირექტორად მე დამნიშნავენ?

— დიახ, შენ! რატომ გიკვირს?

— მეშინია ბატონო, ზურაბ, — გამოუცდელი ვარ!

— ახალგაზრდა ვარო, გინდოდა გეტქვა, — ირონიულად თქვა ზურაბმა და წარბები შეჰყარა, — სწორედ იმიტომაც! ახალგაზრდა ხარ და სწორედ იმიტომაც. სწორედ ახალგაზრდა უნდა იყოს სკოლის დირექტორი. სწორედ შენი ხნისა ვიყავი დირექტორად რომ დამნიშნეს. ძლიერი ვიყავი, ჯანღონით სავსე, მოწაფე მიყვარდა და ჩემი ძალა სკოლას შევალე... შენი ცოდნა გენანება სკოლისათვის? შენი ენერჯია გენანება? არ გენანება? ჰოდა, ხეალ ხერგაში წახვალ! ახლა კი სკოლაში მიბრძანდით, თქვენი „ფანჯარა“ ღიადაა დარჩენილი.

ქიშკრამდე გამომაცლია.

იმ წელს სკოლას სწავლეს და არ გაკარებია ზურაბი.

ვითომ გულს უჩიოდარყველა ასე ეგონა. ზურაბის ოქსნაც ასე ეგონა.

რა არ მოვიგონე, სკოლაში რომ მოსულიყო, მაგრამ თავი შორს დაიჭირა — მეათე კლასელებისა მრცხენია, ეკა, ამას შენ გეუბნები და ნუ გამამხელო, აი მეათე კლასელები წავიდ-წამოვიდნენ, მერე თუ საქმეს გამომიჩენ, სულ სკოლაში ვიტრიალებო.

პირველად დღეგამოშვებით შინც დავდიოდი ზურაბთან. მოვიდოდი თუ არა, ოჯახის წევრებს დაითხოვდა, ან ჩვენ გავნაპირდებოდით ეზოში და ანა გამომიკითხავდა სკოლის ამბებს. მერე თავი ამარბდა. რა დროსაც არ მივსულიყავი, შინ არ იყო. რატომღაც მეგონა, შინ არის და შემალემა-მეთქი! ერთხელ გვიანობამდე დავრჩი. კარგა დაღამებული იყო ზურაბი რომ მოვიდა. ერთი აცმა სატეველას წვერა მოიტანა...

...სოფლისაგან თავი მოიკვეთა ზურაბ ბარბაქაძემ, პირწმინდად ყველას ზურგი შეგვაქცია, — დღესასწაული, ღვინო, ტირილი... ზურაბ ბარბაქაძე არსად გამოჩნდება და სოფელი თანდათან შეურიგდა ამას. იყო და არა იყო რა... ზღაპარივით, დიახ, როგორც ზღაპარშია — იყო და არა იყო...

„მე ხომ ნამდვილად ვიცი, ჯანმრთელია. სანისლეს ქედზე ნადირობს, სატეველაზე თევზაობს, ნიგვზიანიდან შესას ეზიდება, ვეებერთელა კაკლის ხეებს კაკლის სახრეთივე ტოტებს უჭერავს, — გაისად მეტ ნაყოფს გამოიხამს ასე დაჯერგილი ტოტებით, ვაზს სხლავს, ყურძენს თვითონ კრეფს, საწნახელში თვითონვე ჰყლუტს და წურავს, წვეთსაც არ გაატანს ქაქას. ავადაა? სიცრუეა. მეათე კლასელებთან გაკვეთილზე შეეშალა — ეს არის და ეს“.

სექტემბრის მიწურული. თბილი, ძალიან თბილი შემოდგომა. კვირა დღე. გათენებისას მოვედი ზურაბ ბარბაქაძის სახლში. აუცილებლად მინდოდა მისი ნახვა. სამზადის კარი ღია იყო, ეტყობა ვიღაც ამდგარია. — გიორგი, — დაბალი ხმით დავიძახე. სამზადიდან ზურაბის მეუღლე გამოვიდა. ეზოში

შევედი. ქალბატონი სალომე გაცვირვებული შემომეგება, — ზომიერად გიქითო, მეკითხება.

— ბატონი ზურაბის ნახვა...

— დაგავიანდათ, — ზურაბი წავიდა — მშვიდად თქვა ქალბატონმა სალომემ და გამიღიმა.

დავექვიდი... ზურაბი სახლშია, მეუღლე დაანამუსა, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი სატეველაზე წავიდა-თქო.

— ასე აღრიანად? — გავიოცე მე.

— უფრო აღრეც მიღის. გათენებული არ იყო, სატეველაზე რომ წავიდა ბოდიში მოვეუხადე ქალბატონ სალომეს.

— დარჩით, ვისაუზნოთ, — თქვა ქალბატონმა სალომემ და ხელი მკლავზე წამავლო.

— სატეველაზე რომ წავიდე, ვერ ვიპოვნი?

— ძალიან შორს მიღის, წისქვილს ზემოთ, დიდი მორევიანო, ამბობს.

წავედი. სკოლაში გამოვიარე. სკოლის დარაჯი ეზოში ჩალიჩობდა. ჩემი მისვლა გაუკვირდა.

სატეველაზე თუ დაღინარ-მეთქი, ვკითხე. რატომაც არაო, მიპასუხა. არა, ახლა არ დავდივარ, სათევზაოდ ბარე ხუთი წელია არ ვყოფილვარ, ისე კი სატეველა ბევრჯერ ამომიხელავსო. მაშ, წისქვილის ზემოთ მორევი რომ არის, გეცოდინება-მეთქი, ვკითხე. წისქვილის ზემოთ მორევი? ჩაფიქრდა. მერე გაიღიმა, — წისქვილს ზემოთ ითქმის, მარა წისქვილიდან შორსაა, სამი ვერსი იქნება.

სატეველაზე წავედი. წისქვილთან ბავშვები თამაშობდნენ. წისქვილის წინ მინდორივითაა, იმ მინდორზე კინკის ბურთს დასდევდნენ. მიცნეს ბავშვებმა და ბურთს თავი ანებეს. მე შორიანლოს ჩაუყარე, ითამაშეთ-მეთქი, დავიყვირესავით და ბავშვები კინკის ბურთს მიეცივნენ.

წისქვილიდან სამი კილომეტრი? რა დიდი მანძილი ეგ არის! მდინარისპირის საცალფეხო ბილიკი მისდევს, დაადექი და იარე. და მეც მივიდი-

ვარ, მიეცევი ბილიკს, მდინარის კალაპოტი თანდათან მალდება, ბილიკიც მალდება. ერთი საათი ვიარე და ჯერ მორევი არსადაა. ბილიკმა მდინარისპირი მიატოვა და ტყეში შეიჭრა. გავყევი, ორასიოდე ნაბიჯი გავიარე და დაბურულ ტყეში აღმოვჩნდი. წაბლიანია. უთუოდ წაბლზე აქ დადიან ჩვენი სკოლის ბავშვები. ძალიან ბევრი წაბლია: ჯერ არ მწიფს, ეს კარგად იციან ბავშვებმა, ამიტომ წისქვილის წინ მინდორივით რომაა, იქ ჭინჭის ბურთს თამაშობენ და ჯერ წაბლიანში არ მოდიან.

ბილიკმა მარჯვნივ მოუხვია. გავყევი და ისევ მდინარისპირას გამოვედი. აქ სატეველა ძალზე ჩქარია და ხმაურობს. ეტყობა სკოლის დარაჯი შეცდა, წისქვილიდან ზუთი კილომეტრი მაინც გამოვიარე და მორევი არ ჩანს. დავიღალე. ლოდზე ცხვირსახოცი დავაფინე და დავეჭეტი. ზოგს ამშვიდებს მდინარის ხმაური, მე პირიქით, საოცრად მღლის და ნერვებს მიშლის. ავდექი და გზა განვაგრძე. ახლა სატეველას მიეტმასნა ბილიკი, ისე ახლოს მიჰყვება, მდინარის შხეფები მწინწკლავს, თითქოს ნიაცეკარში მივდიოდე, მიეყვები ბილიკს და მდინარის ხმაური თანდათან ნელდება. გავაკებულივითაა, სატეველა ნელა მიედინება და მე მორევთან ვდგევარ. ფართო მორევია. მორევი ცაცხვისა და ხურმის ხეებითაა შემოზღუდული. ვხედავ — ლოდზე ზის ზურაბ ბარბაქაძე, ანკესი მორევში ჩაუკიდია და ღიღინებს. დაბალი, ძალიან დაბალი ხმით ღიღინებს, მაგრამ მე მესმის.

ანკესი ამოისროლა. არაფერი ამოჰყვა, ანკესის ტარი ჰაერში შეარხია და რაღაც წყველასავით თქვა. ანკესზე ახალი ჭია ჩამოაცვა, ჭიას მიაფურთხა და ანკესი წყალში ჩააგდო. კი არ ადგა, ჩოჩეა-ჩოჩეით ჩაათავა ლოდი, იქ მეორე ანკესი ჰქონია ჩაყიდული და ამოისროლა. ძალიან პატარა, ლიფსიტასავით თევზი ამოჰყვა და მაინც გაუხარდა, ანკესის ტარს აკოცა, თევზი პატარა კასრში ჩააგდო, ლიფსიტას ჭია ვერ გადაეყლაპა, ანკესზე შერჩენილ ჭიას და-

აფურთხა და ანკესი წყალში ჩაჰკიდა.

— ეს ერთი და სხვა აფსი... ხმა... დლა ვთქვი, ჩემი ხმა გვიღონო, დე... შეხტა. შემომბღვირა, ზურგი შემომაქცია, მერე დაიხარა და მუხლებამდე აკაბიწებული შარვლის ტოტები წვალეზწვალეზით ჩამოისწორა, ჩაახველა და ჩემსკენ შემობრუნდა.

— სათევზაოდ მოხვედი? გულმოსულად შეკითხება. პო, სათევზაოდ მოვედი-მეთქი, დავუყვავე. ახა ანკესები სადა გაქვს? ისევ აფოფრილად შეკითხება. აკი ჩემი ანკესები თქვენ წამოიღეთ მეთქი, — ველიმილები და უკებ ზურაბმაც გამიღიმა, შემომეგება, ხელი ჩამომართვა. ტომარა ლოდზე დააფინა, დაბრძანდით, მთხოვა და დაესხედით.

— მაინც როგორ მომაგენი, პა? როგორ მომაგენი? სალომემ ვითხრა? სალომემ მოგასწავლა?

— სალომემ რატომ? სხვამ არავენ იცის?

— არავენ! — დარწმუნებით თქვა ზურაბმა და თვალი გამიყარა.

— სატეველას ეს მორევი არავენ იცის? — გავიოცე მე.

— ეგ არ მითქვამს! — შემომიტია, — აქ რომ მორევია, მთელმა სოფელმა იცის. მე რომ აქ დავდივარ საანკესოდ, მართო სალომემ.

— ჩვენი სკოლის დარაჯსაც სკოდნია, — ვიცრუე და ვიგრძენი — სახე წამომიწითლდა.

გაშრა. თვალები მოქუტა. „დარაჯსაც სკოდნია? სკოლის დარაჯსაც?“ ახავაიო, წამოიძახა და ადგა. მდინარეში ჩადგმული დოქი ამოიღო და ტუჩზე მიიყუდა. სვენებ-სვენებით სვამდა. ჩემსკენ მოიხედა, ბოდიშით, მითხრა, ეგებ გწყურია? მწყურია-მეთქი, დოქიდან ცოტა წყალი გადაღვარა და დოქი მომაწოდა. კიდევ მომიბოდიშა, ვიდრე მე დავლევდი, მანამდე უნდა შემომეთავაზებია შენთვისო.

რიგრიგად სამივე ანკესი ამოისროლა. არაფერი ამოჰყვა. დაირცხვინასავით. ანკესები ისევ წყალში ჩაჰყარა; დღეს თარსი დღეაო, გულმოსულად თქვა და

თითქოს მე ვყოფილიყავი მიზეზი, შემომიტირა, რა მაინცდამაინც დღეს მოიხურვილე აქ წამოსვლაო. მონადირეები და მებაღურები ქალებს ემალებიანო. აბა, ასეა ეს! ხევსურეთში ყოფილხარ? არ ყოფილხარ და არ გეცოდინება: სანადიროდ წასვლის წინაღამით, მონადირის ოთახში ქალი ვერ შევა. ჰო, ეს ასეა... ამ დღით სალომემ დამლანდა. მაინც რამ ააყენა ასე აღრიანად? სალომემ მოგასწავლა, არა? მივბრუნდე სახლში!

ქასრში ხუთთოდე ლიფსიტა დაცურავდა. სატრეველაში თევზი ამოწყვეტილამეთქი, ვითომ დანანებით ვთქვი და ესლა ყოფილა საჭირო, იფეთქა, მარა რა იფეთქა — შენც თარსი ყოფილხარ, ჰო, ნონადირისა და მებაღურისათვის ყველა ქალი თარსია და შენ რა წითელი კვერცხი... უნდოდა ეთქვა — მივდიხარო, მაგრამ როგორღაც სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა და მომახალა — რა ფარსაგი საქმე გამოვიჩნდა ამ სიშორეზე რომ მომადექიო.

— წავალ, — საყვედურით ვთქვი მე.

— წახვალ? აწი რა ფასი აქვს შენს წასვლას, რაბან მოსულხარ, დარჩი. მოშიებულნი იქნები, წავიხემსოთ. — თქვა ზურაბმა და ზურამის ტოტიდან კალათა ჩამოხსნა.

მესამე კიქა რომ დალია, სახე წამოეჭარხლა. მეც დავლიე. ერთი კიქიდან ვსვამდით. სატრეველაში ჩაციებულნიზაბელა სასიამოვნო სასმელი იყო.

— ვითომ იცე, ჰ—პარად მიდი? ეშმაკურად მკითხა.

— შენ ყოველდღე დადიხარ?

— ყოველდღე.

— ამ სიშორეზე?

— შენ გეშორება...

— როცა წვიმს? ჰო, წვიმაში?

— წვიმაში?

პაუზა.

— კარავი დავიდგი.

გარშემო მიმოვიხედე. კარავი არსად ჩანდა.

— ვერ დაინახე და მე არ გაჩვენებ!

— ვადაპრით თქვა, მეოთხე კიქა შესვა,

კიქა მე გამომიწოდა და მორევს დაამტერდა.

„მოუსაფარი ვიყავ მე და ჩემ შემოფარე“. ჩურჩულთ, ლოცვასავით თქვა და შემომხედა.

იმ დღიდან მოყოლებული (მიეხვედი, სკოლიდან წასვლის დღეს გულისხმობდა) დავდივარ აქ. ერთ დღესაც რომ გამოეტოვებ, მორევი მოწყენილი დამხვდება. გამოვიჩნდები და გახალისდება, შხუილს უმატებს. ახლა რომ შხუის, გესმის? გესმის ხომ?

თავი დავუქნიე.

— ჰოდა ჩვენ რომ წავალთ, მე და შენ რომ წავალთ, მორევი შხუილს მოუკლებს, დაჩუმდება და მოიწყენს. ეს ქეაც, ხელისგული გადაუსვა ლოდს — უჩემოდ მოწყენილია და მელოდება. გიკვირს? ეს ჩემი ლოდია. მოვალ და რალაცას მეჩურჩულება. ტომარას დავაფენ ლოდზე, დავქდები და ანკესებს გავაწყობ. „მშიერი ვიყავ მე და შენ დამაპურე“, — ვჩურჩულებ ჩემთვის და ანკესებს ვუთვალთვალებ. პატარა, ლეტია თევზები გაეთამაშებიან ანკესებს, მაგრამ ის ლეტია თევზები მე ვერ მომატყუებენ, მათი გულისთვის ანკესებს არ ამოვიღებ. მორევი მღვრიეა, თევზებს მე ვერ ვხედავ და ის თევზები მე ვერ მხედავენ, იციან-კი, რომ მე დიდ ქვაზე ტომარა მაქვს დაფენილი, ქვაზე მაგრად ვზივარ და ანკესებს ვუთვალთვალებ. ეს კიები მე მათ მოსატყუებლად ჩამოვაცვი ანკესებზე და ფრთხილობენ, მსუბუქ-მსუბუქ ეთამაშებიან ანკესებს, რიგრიგად წიწკნიან ანკესებზე ჩამოცმულ კიებს... ჰო, მე ამას ვერ ვხედავ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ეს ასეა და ანკესებს არ ამოვიღებ. ლიფსიტები უფროდაუფრო გათამაშდებიან და უფრო გაბედულად წაეტანებიან კიებს, ჰოდა, ამ ლიფსიტებს ჭილედან რომ უთვალთვალებს კაი მოზრდილი მურწა, ვერ მოითმენს და შუა ანკესისკენ — ეს ანკესი იმ ორზე უფრო დიდია, — გამოცურდება, კულს მოიქნევს, ლიფსიტებს დაიფრენს, ანკესს ეძგერება, გადაყლაპავს

და გაქანდება!.. გაქანდება, მაგრამ უკაცრავად, ზურაბ ბარბაქაძე მაგრად ზის ლოდზე, მისი მარჯვენა მაგარი, იმ მარჯვენით ამოსვრის ანკესს და მუწა მდელოზე აფარტქალდება.

„რამეთუ მშვიტი ვიყავ მე და შენ დამაპურე!“ — ხმამაღლა თქვა და წამოდგა.

— აქ მოსვლამდე ჩემს სულს რაღაც აკლია...

პაუზა.

— ჰო, ეს მდინარე და მორევი, ეს ტყე და ხავსიანი ლოდები აკლია! მოვალ, გავიგონებ მორევის შხუილს და ჩემი სული იესება, გონება მინათლდება, შორს იმზირება თვალი ჩემი, მკლავი მიმაგრდება! — ყალბად, პათეტიკურად თქვა. თითქოს ესტრადაზე იყო და აუდიტორიას მიმართავდა.

დაკვირვებით შემომხედა. ღიმილი რომ შევაგებე, დაიმორცხვა და გაწითლდა.

ჩემგან მოშორებით დაჭდა და თვალი მორევეს გაუშტერა.

მეც მორევეს მივატყერდი და ხანდახან ნამალევიდ ვაგებდავდი ზურაბს.

სიწითლე გაუქრა. ფერმკრთალი, ძალიან ფერმკრთალი გახდა. შუბლზე ნაოქები შეჰყარა, ვითომ გულმოსულია, მაგრამ თვალები უცინის.

— მაშ არ გამოატანა? — ხმამაღლა თქვა და გაიღიმა.

...შარშანდელი სექტემბერი. წვიმა. წვიმიანი დილა თენდება. ზურაბი დილაუთენია დგება, სამზადში ფეხაკრეფით შედის და ზეზეურად წისასუშმებს, ადრინადად უნდა მივიდეს სკოლაში. სკოლის აქა-იქ შემპალი სახურავი ზაფხულში შეაკეთებინა, მაგრამ გუშინწინ გრიგალივით ქარმა ვადმოიქროლა, — უცნაური კია, ხემაღალში ძლიერი ქარი არ ჰქრის, ხემაღალის ქარი ნიავე ვითაა და ის შლეგისანი ქარი საიდან გამოიქრა? ჰოდა, ქარმა უთუოდ დააზიანა სახურავი, წუხელ გამბულად წვიმდა და ეგებ გამოატანა სახურავს? ადრინადად მივა სკოლაში, დარაჯს შეეშველება, მერე მასწავლებლებიც მოვლენ,

უფროსი კლასის მოწაფეებსაც დაასაკმებს, ყავარი სხვენზე აწყვედა და სახურავს სახელდახელოდ შეაკვეთებინა. მორჩა და ვათავდა.

წვიმა. ნისლი.

ატალახებული გზა. მაინც ჩქარა მიდის. სკოლის ეზოში დარაჯი შემოეგება. დარაჯს არ გაჰკვირვებია ზურაბის ასე ადრინადად მოსვლა.

— გამოატანა? — ეკითხება დარაჯს, დარაჯი იღივება.

— მაშ, არ გამოატანა?

და ზურაბიც იღივება.

„მაშ, არ გამოატანა?“

ნაოქებიანი შუბლი. ფერმკრთალი სახე. ახლა თვალები არ უცინის. თვალები ოდნავ მოკუტა და ქუთუთოები შეუშუბდა.

„მაშ არ გამოატანა?“

ხმადაბლა, ჩურჩულით თქვა. ვითომ მორევეს მისჩერებია მოკუტებული თვალებით, ფიქრი კი სკოლაში უტრიალებს.

...სკოლა. მეათე კლასი. მესამე გაკვეთილი. ზარი. ზურაბის ნაცვლად კლასში ეკატერინე შედის. კლასი ჩუმდება. — დასხედით, — ამბობს ეკატერინე და მოწაფეები უხმაუროდ სხდებიან. ეკატერინე რომ დირექტორია იმიტომ კი არ სხდებიან უხმაუროდ, არა, ეკატერინე უყვართ მოწაფეებს. ეკატერინე ნიჭიერი მასწავლებელია, მარტო მცოდნე კი არ არის, ნიჭიერიცაა, ამიტომ უყვართ, ამიტომ ერიდებათ მისი. ეკატერინე ახალ გაკვეთილს ხსნის, დინჯად საუბრობს, უბრალოდ, მიმზიდველად... ჰო, ეკატერინე ხსნის ახალ გაკვეთილს და კლასი სულგანაბული უსმენს. ეს ზურაბ ბარბაქაძის კლასია, ამ კლასმა ზურაბი დაივიწყა და ეკატერინე შეიყვარა. ეს ბუნებრივია, არაფერია გასაკვირი და ნურც ნურავინ გაიკვირებს.

ეკატერინე მეათე კლასს ახალ გაკვეთილს უხსნის, — ზურაბი კი სატყველანება. მორევი. ცივი, ხავსიანი ლოდი. ლოდზე ოთხად დაკეცილი ტომარა აფენია. ლოდზე ზურაბ ბარბაქაძე ზის,

ანკესები ჩაუყრია სატეველაში და ლიფსიტებს იჭერს. მარტო ლიფსიტებს რატომ? ხანდახან წვერასაც. სატეველას ემდურის? როგორ გეკადრებთ! სკოლა რომ მიატოვა, შინ რომ აღვილი ვერ იპოვნა, სატეველამ არ შეიფარა?

„მიუსაფარი ვიყავ მე და შენ შემიფარე“.

ტეგერ, იმ თელებს ხომ ხედავთ? სამი ბოლა ერთად ისე ახლოაბლო დგას, შორიდან ერთი გეგონება, — იმ თელების უკან, თვალისათვის მოფარებულ ადგილას ზურაბ ბარბაქაძეს კარაჭი უდგას. კარავს კედლებად მესერი აქვს, ისლითაა დახურული კარავი, საჭურავში საკვამურია დატოვებული და წვიმიან ამინდში იმ კარავში შუაცეცხლი უნთია ზურაბ ბარბაქაძეს, ნაწახე კარდალა ჩამოკიდებული და კარდალაში ლიფსიტები იხარშება. მარტო ლიფსიტა რატომ? სატეველას წვერაც იხარშება კარდალაში... ვანიერ ფიცარს ფეხებად ოთხი პალო შეუყენა, იმ ფიცარზე გაშალაშინებული მორი უდევს მუთაქად და წვიმიან ამინდში იმ ხიმუთაქიან ფიცარზე არხეინად წევს ზურაბ ბარბაქაძე, ანთია შუაცეცხლი და კარდალაში სატეველას წვერა იხარშება, — არა, სატეველას ოდნავადაც არ ემდურის ზურაბ ბარბაქაძე...

„მიუსაფარი ვიყავ მე და შენ შემეფარე!“

ჩურჩულით იტყვის, თითქოს ზურაბ ბარბაქაძის გარდა, კიდევ ვინმე იყოს ამ კარავში და ეშინია, იმან არ გაიგონოსო.

ხისმუთაქიანი ფიცრიდან ადგება, კარდალას ჩამოხსნის და მოხარულ თევზებს ჭინჭრის ფოთლებზე შორი-შორ დაალაგებს. თევზი შესრება და გაიმტკიცება. ახლა საუზმის დროა, ბატონო ზურაბ და ვისაუზმოთ. კეთილი და პატიოსანი, ვისაუზმოთ! კალათიდან ჭადს, ყველს და პრასის წნილს ამოალაგებს. დოქში იზაბელა უსხია, ცივი იზაბელა, მაგრამ ამ დილით ღვიწხოს არ დალევს, სკოლაშია წასასვლე-

ლი და ერთი ჭიქის დაღვევაც არ შეიძლება. ისე-კი სატეველას წვერას ერთი ჭიქა ცივი იზაბელა წამოღვივებოდა, მაგრამ არა, არავითარ შემთხვევაში... მეათე კლასი. გაკვეთილი, სწორედ პირველი გაკვეთილი, ჩქარა ვისაუზმოთ, გაკვეთილზე არ დაგვაგვიანდეს, ბატონო ზურაბ! ესეც თქვენი საუზმე! მორჩა და გათავდა. კლასში შესვლისას აუცილებლად ჩაახველებს, მოწათყეებს ანიშნებს — მოვედიო და მოწათყეები უხმაუროდ სხდებიან მერხებზე. ყურნალის ამოკითხვა არაა საჭირო, ყველა მოწათყე კლასშია...

სატეველა. წვიმა. ნისლი. ისლით დახურული კარავი. შუაცეცხლი, ხისმუთაქიანი, პალოებზე შედგმული ფიცარი. ფიცარზე ზურაბ ბარბაქაძე წევს. კარდალაში სატეველას წვერა იხარშება. დოქში ცივი იზაბელა, კალათაში ჭადი, ყველი, პრასის წნილი. პალოებზე შედგმულ ფიცრის ქვეშ ნუ შეიხედავთ, იქ წიგნები, რვეულები, ფანქრები და საწერ-კალამია. აბა, ერთი ნათელა ჩაფიჩაძის რვეული ვნახოთ! არა, თქვენ არა, ამ რვეულს მარტო ზურაბ ბარბაქაძე გადაათვალიერებს. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“. ლამაზი ხელწერა აქვს ნათელა ჩაფიჩაძეს — მოგზაო, მომრგვალებული ასოები. ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი, წერს ნათელა ჩაფიჩაძე, მწერალმა მოხევეს ათქმევინა — „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოსო“. სწორია. „მგზავრის წერილების“ ფილოსოფია შეუმცდარად ეგ გახლავთ — და ნათელა ჩაფიჩაძესაც ასე უწერია საკლასო რვეულში. მეათე კლასელების რვეულები აქ, კარავში აქვს ზურაბ ბარბაქაძეს და როცა წვიმს, ამ რვეულებს კითხულობს, თუ ხანდახან ადრე შეუმჩნეველ შეცდომას იპოვნის, მოიღრუბლება, რვეულს გადადებს, ლიტერატურის სახელმძღვანელოს გადაფურცლავს და იწყება გაკვეთილი.

„დღეს ჩვენ ვიწყებთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ შესწავლას... ეს ისტორიული პოემა“...

თევი შემშრალია და გამტკიცული, საუზმის დროა, ბატონო ზურაბ და ვისაუზმოთ. კალათში მქადი, ყველი და პრასის წნილი. დოქონი ცივი იზაბელა. ცივი იზაბელა სატველას მურწასთან წამალივითაა და შევსვით. სკოლაში არ გელოდებიან, თქვენ სკოლაში არ მიდიხართ და შეგიძლიათ ცივი იზაბელა შესვით, დიახ, რამდენიც მოგესურვებათ, იმდენი დალიოთ, შეგიძლიათ მაგრადაც დათვრეთ, მერე ხისმუთაქიან ტახტზე წამოწვეთ და დაიძინოთ, ამით არაფერი დაშავდება.

მზე შემალდა და ჰაერი შეიხუთა. ჩამოცხა. წვიმის წინ სწორედ ასე შეიხუთება ჰაერი. სატველაც დაჩუმდა. ზურაბ ბარბაქაძე გალურსული ზის ლოდზე და მოჭუტული თვალები მორევისათვის მიუშტერებია. პო, მორევს დასცქერის, მორევს ეჩურჩულება, ვერც იმ თელებს ხედავს, შორიდან ერთ ხედ რომ გვეჩვენება, ვერც ანკესებს, ვერც მე.

— ხვალ ორშაბათია. — სხვათაშორის ვთქვი მე.

ცქრად გამომხედა. — კვირას ორშაბათი მოსდევს? — დაცინვით თქვა და ანკესის ტარს დაავლო ხელი. ჯერ ნელნელა ამოსწია ანკესი, მერე, ეტყობა იგრძნო, რაღაც მოჰყვებოდა ანკესს, ადგა და ერთბაშად ამოისროლა.

ანკესისოდენა ღორჯოს გადაეყლაპა ანკესი. ვასათყარი იყო — ღორჯოს ტანი არ ჰქონდა, მარტო თავი და კუდი იყო, თავი თხილისოდენა, კუდი კი ძალიან პატარა, მძიმესავით. ძლივს დავინახე და გამეცინა, ხმამალა გამეცინა. ზურაბმა შემომიბღვირა და ანკესი ღორჯოიანად ისროლა წყალში. ჩაიღუღლუნა, „თარსი“ შემომესმა, მივხვდი, მე მლოცავდა.

— კვირას ორშაბათი მოსდევს? მერე რაო? — გაჯაერებით მკითხა.

— შეათეკლავსელები დისპუტს მართავენ, — დინჯად ვთქვი მე და თვალი გავუყარე. პაუზა.

ზურგი შემომაქცია. — შენი წასვლის დროა, ეკა! — ბრძანებასავით თქვა და ჩახვეწა. — ერთად წავალთ. — შევიდოდ, მაღლიან მშვიდად ვთქვი მე და ჭიქიდან ღვინო მოვსვი.

— მე დაღამებამდე დავრჩები. — მეც. — მე ბილიკი ზეპირად ვიცი. შენ გაგიძნელდება.

— მე ჯიბის ნათურა მაქვს. — ნიშნისმოგებით ვთქვი და ჭიქაში დარჩენილი ღვინო შევსვი.

— არავინ გიყვარს, ეკა? — ეს კითხვა მოულოდნელი იყო ჩემთვის და დავიბენი. ვიგრძენი, სახე წამომიწითლდა, კინალამ სუნთქვა შემეკრა. კარგახანს ვდუმდი, მერე როგორღაც გონს მოვეგე.

— არავინ! — შევებით ამოვისუნთქე და ვითომ გავიციენე.

— სასაცილო არაფერია, ეკა! მამიდაშენის გზას მიჰყვები?

— სხვა რა გზა?

— გზა ბევრია! — ისე თქვა, თითქოს დამიყვავა.

— მე ეს გზა გამიყვლია მამიდა!

— მამიდა? — ჩამკითხა და შემომაცქერდა. პაუზა.

ახლა მე ავიფოფრე.

— რატომ გიყვირს? მამიდაჩემმა გამიყვლია ეს გზა! — დარწმუნებით ვთქვი მე. — დიახ, მამიდა! ჩემი ცხოვრების თარგი მამიდაჩემმა გამოქრა, თქვენი ცხოვრების თარგი — თქვენმა შშობლებმა, თქვენ კიდევ თქვენი ვაჟიშვილის თარგი! სკოლა სადღა არისო, მკითხავ, — სკოლა ცოდნას გვაძლევს, სულს კი აღმზრდელი გვექსოვს და მამიდაჩემის სული გადმოსახლდა ჩემში... ეს თავისთავად, შინაგანად ხდება ასე და ამას თეორიები არ სჭირდება, ბატონო ზურაბ!

— უკვე იშვილე ვინმე? რატომ არაფერი ვიცი?

— მოვესწრები! — ვთქვი და წარბები ავზიდე.

— სიამაყე ღუპავს ადამიანს, — დიდმნიშვნელოვნად თქვა ზურაბმა და ანკესი ამოისროლა. ანკესზე ისევე ის სასაცილო ღორჯო ეკიდა.

— მიწა. წყალი. ჰაერი. ცეცხლი. — დაფიქრდა.

— ღორჯო! — შევაშველე მე.

მწყრალად გამოხედა. ანკესის ტარი მოიქნია და შუა მორევში ისროლა.

— მიწა. წყალი. ჰაერი. ცეცხლი. — ეპიკურე! — ზურაბის ხმაზე ვთქვი და გავიღიმე.

— დიახ, ეპიკურე! — იფეთქა ზურაბმა. ეპიკურე ჰკიცხავს სიამაყეს, შენ კი ამაყი ხარ.

— ამაყი? გავიოცე და თვალეში შევაქცერდი.

— დიახაც! — მამიდაშენმა ამაყი გაგზარდა! პატარაობიდანვე ამაყი იყავი, პირველი კლასიდანვე... დავიჯერო, არავე შეგიყვარდა?

პაუზა.

— მეც უნდა მიყვარდეს!

— მხოლოდ სიყვარულიან გულს შეუძლია შეყვარება, ეკა! — თქვა და მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამითათუნა, მომეფერასავით, მერე, არავე გაიგონოსო, ყურში ჩამჩურჩულა — მამიდაშენი კარგი ქალი იყო, ეკა, მაგრამ უკარებელი, მის ხელეებს არავე გაუთბია... ჰო, არავე გაუთბია მის ხელეებს... და უცებ სიტყვა ბანზე ამიგდო, — რაო, კვირას ორშაბათი მოსდევსო? რა მინდაო ორშაბათმა?

გული შემეკუმშა, შემცივდა და თვალდათვალ დავპატარავდი. მერე თანდათან მორევიც გაჰქრა, ზურაბიც, ის სამი თელაც, შორიდან ერთ ხედ რომ ჩანს, ლოდიც გამომეცალა და ჰაერში გამოვეკიდე. — ვარ და არცა ვარ... „ეკა, ვინმესთვის უნდა იცხოვრო, ჩამესმა მამიდაჩემის ხმა, და ზურაბი კვლავ დავინახე, ჩემთან ახლოს დამქდარიყო და რაღაცას ჩურჩულებდა. თითქოს ისევე წაიბუტბუტა — „მის ხელეებს არავე გაუთბიაო“ და ეს კეთილი და ლამაზი მოხუცი მახინჯად და ბოროტად მეჩვენა.

წასვლა გადავწყვიტე და ავღებქი.

— რაო, ორშაბათმა რა მინდაო, ეკა? — ბუბუნით თქვა და ისიც ავღებქი თითქოს ზურაბიც დაპატარავებულა, მხრებამდე ძლივს მწვდება, ხელეები მკერდზე გადაუჯვარდინებია და მაინც უცახცახებს. შემებრაღა.

— ხვალ შეათე კლასელები ლიტერატურულ გასამართლებას აწყობენ.

— დიდი ამბავი! ცივად თქვა და ზურგი შემომამქცია.

პაუზა.

— ვის ასამართლებენ? — ვითომ სხვათაშორის მკითხა.

— „მამის მკვლეულს“.

შეტოკდა: ჩემსკენ შემობრუნდა. თვალი გამიყარა.

— სხვა ვერავე იბოვეთ? ბევრჯერ გავვისამართლებია „მამის მკვლეული“!

— სასამართლოს თავმჯდომარედ გიწვევენ. — დაყვავებით ვთქვი მე.

— მე? მე მიწვევენ თავმჯდომარედ? გაიოცა და ისევე შეტოკდა, სახეზე სიწითლე შემოენთო, თვალეები დააბრიალა.

— წავიდეთ! — გაჯავრებით თქვა ზურაბმა, — ნაკლული ღოჭი, თეფშები და ჭიქა კალათში ჩააწყო, ყველისა და ჭადის ნარჩენი მორევში ისროლა, ლოდზე დაფენილი ტომარა აიღო, დაფერთხა და კალათს გადააფარა.

— წავიდეთ! — ცივად თქვა, კალათს დაავლო ხელი და გააბიჯა.

— ანკესები? — წამოვიძახე მე.

შედგა. მორევს დახედა. მორევში რომ ანკესი ისროლა, იმისი ტარი მორევის შუაგულში სასაცილოდ ყვინთავდა, — ხან ერთ თავს ამოჰყოფდა ზევით, ხან მეორეს, ვითომ თვითონვე თევზაობდა ანკესი. გაეცინა, მორევთან მივიდა, წყალში ჩაიკიდული ორივე ანკესი ფრთხილად ამოიღო და ნაპირზე დააწყო. კასრში ჩაიხედა და კვლავ გაეღიმა. ლიფსიტები მორევში ისროლა, მერე სახიდან ღიმილი ჩამოიჩეცხა და შემომიბტია.

— რას გაშეშებულხარ? წავიდეთ!

წამოვედით.

წინ ზურაბი მიდის, უკან მე. ბილიკმა ტყეში შეუხვია, ტყე ხშირია, ჩამობნელდა.

— ნათურა გაქვს?

— მაქვს, — ვთქვი მე, — ხელჩანთიდან ნათურა ამოვიღე და ავანთე ნათურამ ბილიკი გაანათა.

— ჩააქრე და კვალში მომყევი, — თქვა ზურაბმა და ნაბიჯს უკლო.

ნათურა ჩავაქრე და კვალში მივეყევი.

ტყიდან გამოვედით. მზე ჩასულია, მაგრამ ჭერ არ დაღამებულა, სატყველა თეთრი მდინარეა და ბილიკს მდინარის ნათელი ადგას. წისქვილს მიუუახლოვდით.

— არ დაიღალე? — ალერსიანად მკითხა.

— არა.

წისქვილთან მივედით. წისქვილში არაფერია. ღარიდან გადაგდებული წყალი ჩხრიალებს.

— მე-კი დავიღალე, — თქვა ზურაბმა და მოლზე დაჯდა. ტომარს მარჯვდის.

— არ თინდა! — ვთქვი მე და მეც მოლზე დავჯექი.

ზურაბმა სიგარეტს მოუკიდა.

— ხომ არ გეჩქარება, ეკა?

არა.

პაუზა.

— რაღაც გულმოსულებით ხარ. — ვითომ დამიყვავა, სიგარეტი მოჭაჩა და ჩაახველა.

ვითომ დაიღალა? დღმართზე მოვდიოდით და დაიღალა? ჭერ კარგად დაღამებული არაა, სოფლის შარავნაზე ხალხი მიდრ-მოდის, იმ ხალხთან შეხვედრას ერიდება ზურაბ ბარბაქაძე და წისქვილთან იმიტომაც დაიხანა.

— მოწაფეებს რა გადავცე?

აღვა. სიგარეტი მოისროლა და კალათს დაავლო ხელი.

— ასამართლებენ და თვითონვე უთავმჯდომარეონ! — წავიდეთ!

წამოვედით. წინ ზურაბი მიდის, მე კვალში მივეყევი. ჭერ-ნელა მიდიოდა,

მერე ნაბიჯს აუჩქარა. ბოგირთან შედგა.

— ნათურა ანთე!

ხელჩანთიდან ნათურა ამოვიღე, ავანთე და ბოგირს მივანთე. განზე გადავა

— ახლა შენ იარე წინ, — ბრძანებასავით თქვა.

წინ წავედი. ბოგირთან აღმართი იწყება და ნაბიჯი შევანელე.

თემშარაზე გამოვედით და ძაღლის ყეფა შემოგვესმა.

— ძაღლი ნათურას უყეფს, ჩააქრე!

— ხმადაბლა, ჩურჩულით თქვა.

ნათურა ჩავაქრე, მომიახლოვდა და ხელი მსუბუქად დამადო მხარზე.

— რატომ მიინცდამინც „მამის მკვლელი“ შეურჩიე, ეკა?

— თვითონვე შეარჩიეს.

პაუზა.

— ბევრჯერ გავგისამართლებია „მამის მკვლელი“... რახან ისევე მოუსურვებიათ მისი გასამართლება, გასამართლონ და სასამართლოსაც თვითონ უთავმჯდომარეონ; ნახვამდის, — თქვა და ხელი გამომიწოდა.

სოფელში შემოვსულვართ. გულასპირ ჩაფიჩაძის ჭიშკართან ვდგევართ. ოღაში ლამპა ანთია.

— გულასპირთან მიდიხართ?

— სახლში.

— მერე? — გავიოცე მე.

— აქ შეუხვევ, წყაროდან მოკლე გზაა, — თქვა და წავიდა.

წავიდა. ნახვამდის-მეთქი, მივაძახე. შედგა, არ გამეპასუხა, ეგებ ხელი დამიქნია და სიბნელეში ვერ დავინახე. ვიცი, ახლომახლო წყარო არ არის. და ის წყარო ზურაბმა გამოიგონა. მოფარებული გზა აქვს ნაპოვნი და იმ მოფარებული გზით მიიპარება შინ. მივა და მეუღლეს შეუბღვერს — რატომ მოასწავლე ეკას ჩემი სამყოფელი? მთელი დღე რიტინრიტინით გამაცდინაო, — ნამდვილად ასე ეტყვის და ხელცარიელი რომ დაბრუნდა, იმასაც მე დამაბრალებს, ვითომ დღემდე არასოდეს დაბრუნებულა ზურაბ ბარბაქაძე სატყველადან ხელცარიელი.

...თემშარას გადაუხვია, ქურდულად ჩაუარა გულასპირ ჩაფიჩაძის ეზოს, მერე ასანთს გააკრა, ბილიკს წვერი უპოვნა და სიმინდის ყანას ნაპირნაპირ მიჰყვა.

„მამის მკვლელს“ ასამართლებენ... რატომ მაინცდამაინც „მამის მკვლელს“? ვითომ ნამუსი შემინახეს მეთათელასელებმა?“

ყანა ჩაიარა და ჩაიმუხლა. ბინულში მოათათურა ხელი. ცივი წყალი ემა.

„წყაროდ ვთქვი. ეკა იფიქრებს, ვიცრუე. ჩემი წყარო ეგ არის და მე მას წყაროს ვეძახი“.

ალაგეზე მსუბუქად გადავიდა. ოდაში, ბუხრისთავზე ჩაწეული ლამა ანთია. ეზოში მიმოიხედა, — სიმინდი მოუტეხიათ, ჩალაც აუჭრიათ... დაღლილან და ამიტომაც ადრე დაწოლილან, შვილიცა და რძალიც, შვილიშვილებიც, სალომეც... დაღლილან, დაწოლილან და დაუძინიათ. ზურაბს არავინ ელოდება და ზურაბიც არავის გააღვიძებს.

ნაბიჯი აიშვებუქა, კალათი სვეტზე ჩამოკიდა და სამზადის კარი ფრთხილად შეაღო.

კერაზე ცეცხლი ანთია, ჯორკოზე სალომე ზის, ხელები მუხლისთავებზე შემოუწყვია, თვლემს.

„მეგონა ყველას ეჩინა“...

შებრაღა სალომე.

„მე რომ დილაუთენია ავდექი, სალომე უკვე ზეზე იყო. ზეზე იყო კი არა, მე რომ ავდექი, ცხელი საუზმე გამიწყო. ერთი საათით მაინც ჩემზე ადრე ადგა, საუზმე და საგზალი მომიმზადა. — მერე დილიდანვე დაიწყებდნენ სიმინდის ტეხვას, ბარაქიანად უშრომიით — ერთი ქცევა ყანა მოუტეხიათ, და ჩალაც აუჭრიათ, — დაიღლებოდნენ, ძალიანაც დაიღლებოდნენ. დაწოლილან და დაუძინიათ, — ესკი კერიასთან დამჯდარა, ჰადი ცეცხლისთვის მიუფიცებია, თვლემს და მელოდება“

— მოხვედი? — მუხლებიდან თავი არ აულია, ისე ჰკითხა სალომემ.

— ჰოო, მოვედი. *მეზღოვითაა* პაუზა.

— უჩემოდ რატომ მოტეხეთ სიმინდი? — ჩალაც აგიჭრიათ, შემშრალიყო ცოტა. — ხმამალლა, გაჯავრებით თქვა ზურაბმა.

სალომემ დაამთქნარა და მუხლებიდან თავი აიღო.

— დილით გულასპირი იყო. ხვალისგან წვიმები დადგებაო, — თქვა.

— ვინ შემომითვალაო? — დაცინვით ჰკითხა ზურაბმა.

— დედის მუხლებმა! — მუხლებში ტეხდა და მთელი ღამე ვერ დაუძინია გულასპირის დედას... შენ ვერა გრძნობ, როგორ დაიხუთა ჰაერი?

სალომემ აქანდაზით ნაკვერჩხალი მოჩხრია და ადგა, მუგუზალმა ალი ამოავდო და სამზადი განათდა.

სალომემ კედლიდან ტაბაკი ჩამოხსნა.

— არ გივანშშია? — გაიოცა ზურაბმა.

— დაგელოდე, — ჩურჩულით თქვა სალომემ და განჩინიდან დოქი გამოდგა.

— ჭური მოვხადეთ.

— რომელი? — გაჯავრებით თქვა ზურაბმა და დოქს წაავლო ხელი.

— გოგიასი! მეტი რომელი დარჩა?

— გოგიასი? — იფეთქა ზურაბმა, — გოგიას ჭური რატომ? გოგიას ჭური გოგიას დაბადების დღეს უნდა მოგვეხადა.

სალომე შეკრთა.

„დილით დამიბარა, გოგიას ჭური მოხადეთ, ხვალ ხომ გოგიას დაბადების დღეა და ნახეთ, ღვინო ხომ არ მომეყვდა, ხომ გახსოვს, შარშან როგორ შევრცხვითო, ახლა კი გაჯავრდა, — გოგიას ჭური რატომ მოგხდითო, გოგიას ჭური გოგიას დაბადების დღეს უნდა მოგვეხადაო, ისე გვქონდა დათქმულიო... ნუთუ დაავიწყდა დილით ნათქვამი?“

ზურაბმა დოქიდან მოსვა ღვინო და ოღნავ ემეჯავა.

— წელს დიდ ჭურში ჩაეასხათ გო-

ვიას ღვინო, ღრმადაა ჩამარხული, უფრო შეინახავს.

...ოდაში ფეხაყრფით ავიდნენ, გოვიამ მაინც იგრძნო მათი მოსვლა და ბალიშიდან ყური ცქვიტა. სალომემ ხელათ ანიშნა ხმა არ ამოიღო და შეილიშვილს ლოგინში შეუწვია.

აივანზე სიმინდის ტაროები ჰყრია და ოდაში ახალმოწველილი რჩის სუნი დგას.

— ბაბუღიმ თევზი მოიტანა? — ჰურჩულით ჰკითხა გოვიამ სალომეს.

— ჰო, მოიტანა.

— ცოცხალი თევზი?

— ჰო, ცოცხალი თევზი! ჩუ, დავიძინოთ! — თქვა სალომემ და შეილიშვილი კედლისაკენ მისწია.

ზურაბმა ლამპა თავის ოთახში შეიტანა.

მაგიდაზე ბარათი იდო.

„ბატონო ზურაბ!“

ხვალ სამოცი წელი გისრულდებათ და ჩვენი სკოლა აღნიშნავს ამ დღეს. გთხოვთ, ხვალ სატყველაზე სათევეზაოდ არ წაბრძანდეთ. ხემაღალას სკოლის პედაგოგეტივი“.

შეცბა.

„აჰი „მამის მკვლელს“ ასამართლებენ მეთეკლასელებიო, იცრუა ეკამ?“

სიგარეტს მოუკიდა, ლამპა ჩააქრო, აივანზე გამოვიდა და სიმინდის ტაროებში მსუბუქად ჩაჯდა.

„ამათ არაფერი იციან, თორემ სიმინდით არ აავსებდნენ აივანს“...

ცხელა.

„ღამე და ასეთი სიცხე?“

„სანისლეს ქედს გახედდა.“

დაბლა, ძალიან დაბლა ჩამოწოლილან ღრუბლები.

„სამოცი წელი შესრულდა ყოფილი პედაგოგის ზურაბ ბარბაქაძის დაბადებიდან... დიდი ამბავი! ისტორიული მოვლენა! საზეიმო სხდომა. შესავალი სიტყვა. მოხსენება. მილოცვები და საჩუქრები. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, იუბილარი მადლობას მოახსენებს საზოგადოებას. მეტი კონცერტი, სიმღე-

რა და ცეკვა, ლხინი და გრძელგოშელი სადღეგრძელოები...“

აჰი, „მამის მკვლელს“ ასამართლებენ მეთეკლასელებიო, იცრუა ეკამ?

ბარათი უთუოდ ეკამ მოიტანა, შინ არ დავხვდი და სატყველაზე მომაკითხა. მიკიბ-მოკიბა — კვირას ორშაბათი მოსდევს, ხვალ ორშაბათია, მეთეკლასელები ლიტერატურულ გასამართლებას აწყობენ და სასამართლოს თავმჯდომარედ ზურაბ ბარბაქაძეს იწვევენო... როგორ ჩაალავა!

ზურაბ ბარბაქაძე სკოლაში მივა და სიურპრიზი: რისი ლიტერატურული გასამართლება! — ზეიმი, დიდი ზეიმი! ზურაბ ბარბაქაძეს სამოცი წელი შეუსრულდა!

სკოლის აივანი — სცენაა, სკოლის ეზო — დარბაზი.

სცენაზე გრძელი მაგიდა დგას, მაგიდის მოშორებით, ოდნავ შემადლებულ ადგილზე, სავარძელი.

სავარძელში იუბილარი ზის, პრეზიდენტში — იუბილარის ნამოწაფარნი — ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები და აგრონომები, ამ ზეიმზე საგანგებოდ ჩამოსულნი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

სცენაზე და ეზოში ხალხი ვერ ეტევა-ხმაური. ქალბატონი ეკატერინე აღგება, ხალხს გახედავს, ზარს დარეკავს და ანიშნებს დაჩუმდითო. ხალხი დაჩუმდება.

მე კი ვერ შემომხედავს ეკა! ჩემი რცხვენია და ვერ შემომხედავს.

...გუშინ კოლმეურნეობის მოფერს ვთხოვე, ხვალ სანისლედან შეშა ჩამომატანიე-მეთქი. გაიოცა.

— ხვალ? კვირას?

— ჰოო, ხვალ!

უარი მტკიცა. ხვალ ზერგაში მივდივარ, სტუმრები მყავს ამოსაყვანიო, თვალი ჩამიკრა და ეშმაკურად გამიღიმა.

ის სტუმრები ეკატერინემ მოიწვია ზურაბ ბარბაქაძის იუბილზე... ვრთი დამიხედეთ, ეკას!..

ღამათ არაფერი იციან, თორემ სიმინდ-

დით არ აავსებდნენ აივანს“.

ცხელა.

დაბლა, ძალიან დაბლა ჩამოწოლილა ღრუბელი.

სანისლეს ქედის ღრუბელში შეხვეულა, ნიგვზიანიც, სატყველას ხეობაშიც ჩაწოლილა ღრუბელი.

„ზეალ სკოლაში მივალ და მთელი სოფელი სკოლაში დამხედება.“

შემომხევევიან. დაბადების დღეს მომილოცავენ. ტაშს დამიკრავენ...

სკოლაში მობრუნებ, ევა?

არა, სკოლას არ დაუბრუნდება ზურაბ ბარბაქაძე.

მან თავისი კალო გალენა, თავისი სტველი გაიტანა“.

სატყველა. მორვეი. ხავსიანი ლოდები. თქორი.

კარავი. კერიაზე ცეცხლი ანთია, კარდალაში სატყველას წვერა იხარშება ხისმუთაქიან ფიცარზე წვეს ზურაბ ბარბაქაძე.

გადაიკარებს. კარაიდან გამოვა, ანკესებს გააწყობს და მორვეში ჩაჰკიდებს.

„მიუსაფარი ვიყავ მე და შენ შემოფარე!“

ცხელა. შუალამემ მოატანა და მაინც ცხელა.

აივანზე, სიმინდის ტაროებში ჩამჯდარა ზურაბ ბარბაქაძე, სიგარეტს ეწევა და ღრუბელში შეხვეულ სიბნელეს გასცქერის.

III

მამიდაჩემი ყველას თავისი მამიდა განსაკუთრებული ჰგონია და ნურც შეედავებით. თუ მაინცდამაინც გნებავთ, შეედავეთ და უმტკიცეთ, რომ მამიდამისი ჩვეულებრივი მამიდაა, თქვენი მტკიცება თქვენთანვე დარჩება, მამიდამისი კი განსაკუთრებულ მამიდად და ქალბატონად.

მამიდაჩემი!

მამიდაჩემი პელაგია კი ნამდვილად განსაკუთრებული ქალი იყო და არავის მამიდას არ ჰგავდა. მარტო მე არ

ვთვლიდი მამიდაჩემს განსაკუთრებულ მამიდად, მთელი სოფელი აზრობდა — პელაგია მამიდა ნამდვილად არაჩვეულებრივი მამიდააო და ეს ჭეშმარიტად ასე იყო.

ღიახ, მამიდაჩემი პელაგია არავის მამიდას არ ჰგავდა.

სახე ოდნავ მოგრძო და თეთრი, მაგრამ ჩვეულებრივი თეთრი კი არა, რალაც განსაკუთრებული თეთრი სახე ჰქონდა, ისეთი თეთრი, მსუბუქ ჩრდილსაც რომ არ გამოაფენს.

თვალეები კი ჩვეულებრივი ჰქონდა. მამიდაჩემს — თაფლისფერი, ღიმილიანი, მაგრამ ღიმილის დროსაც თვალისუბეებში სევდა ჰქონდა მიმწყვდეული, მაგრამ ამ სევდას თქვენ ვერ შეამჩნევდით, ძალიანაც რომ დაჰკვირვებოდით, მაინც ვერ შეამჩნევდით.

მამიდა პელაგია თქვენ რომ გესაუბრებოდათ და თვალეებში შემოგცქეროდით, თქვენდა შეუმჩნევლად სხვას, ვილაც მეორესაც ესაუბრებოდა, იმ სხვასაც იყო დაყურადებული და თქვენ ამას ვერ შეამჩნევდით. მე თვრამეტი წლისა ვიყავი, პირველად რომ შევემჩინე ეს და სანანებლად გამოხდა.

სექტემბრის თბილი საღამო. მზე უკვე სანისლეს ქედს იყო ამოფარებული და ქედს გვირგვინით რალაც საოცარი ნათელი ადგა. მამიდაჩემი და მე აივანზე ვისხედით, გოგრას და ახალ კაკალს შევექცეოდით და ორივე ქედს მიეჩერებოდით. მამიდა უცებ წამოდგა, აივნის მოაჯირს გადაეყრდნო, თვალეებზე ხელი მოიჩრდილა და სანისლეს ქედს მონუსხულივით შეაცქერდა. მერე ხელი თვალეებზე მიმოისვა, ჯერ მე შემომხედა და ისევ ქედს გაუსწორა თვალი. მოდის, — თქვა და ლუქმა გაიქვავა, ტუჩები მოკუმა და თვალეები გაიშეშა. გვერდით ამოუდგე და დავაკვირდი, ქვეშ-ქვეშად დავაკვირდი და თვალეების უბეებში მიმალული სევდა ვიპოვე და იმ სევდამ შემძრა, — თითქოს მამიდაჩემი კი არა, სხვა უცხო ქალი იდგა ჩემს პირისპირ: სახის ფერი გაუმუქდა, თვალეები უფრო გაუმუქ-

შდა და ტუჩები ისე მოკუმბა, რომ ტუჩები წაეშალა და გაუქრა. მოდისო, — ისევ თქვა ჩურჩულით და ხელები აიწინის სვეტს შემოაქლო. ვაუვლის — მეთქი, ვიფიქრე, პირიქით, უფრო გაილურსა, ხელები უფრო მაგრა შემოაქლო აიწინის სვეტს, სანისლეს ქედი უკვე ჩამუქებულისო და მაინც სანისლეს ქედს შესცქეროდა. შემეშინდა.

— მაშიდა, ვინ მოდის? — დაბალი ხმით ეკითხე და თვალეზში ჩაეხედე.

შეტოკდა და აიღეწა, სახე ამარიდა და მანამდე არასოდეს რომ არ აღმოხდენია ისეთი ხმით მომახალა. — რას მომჩერებობარ თვალეზში, შენს საქმეს მიხედვით და ხელი ჭიშკრისაკენ გაიშვირა.

ჭიშკართან ჩვენი გუტა იდგა. კიბე უხმაუროდ ჩავიარე და ეზოში ჩავედი.

როცა ჭიშკარი გავალე და ძროხა ეზოში შემოეშვი, თვალი ოდისაკენ გავაპარე.

მაშიდაჩემი აივანზე აღარ იყო.

სამზადში შევედი. დიდი ქოთანა გამოვიტანე და ძროხა მოვწველე. რძე ავადღუდე, კიჭებში ჩავასხი და აივანზე ავიტანე. ზალაში ფეხაყრფით შევედი. უკვე ბნელოდა, მაგრამ მაინც დავინახე — მაშიდაჩემი ტახტზე პირაღმა იწვა და თვალი ჭერისათვის გაეყარა. ვითომ ვერც შემამჩნია, ჩუმად იყო.

— მაშიდა, რძე მოგიტანე, — ჩუმად ეთქვი და მიეფახლოვდი.

— რას ჩამაცივდი, ეკა! არ მომეშვები? — ვედრებასავით თქვა და სახე ამარიდა, კედლისაკენ გადაბრუნდა და ყრუ ქვითინი შემომესმა.

ჩემს ოთახში შევიპარე. ეუთვალთვალე. დიდხანს, ძალიან დიდხანს იბორგა, მერე როგორღაც დაშშვიდა და ჩაეძინა.

...ახლა სიარული?
მაშიდაჩემი მსუბუქი ნაბიჯებით დიდის, ფეხს ისე ჰაეროვნად ადგამს, იფიქრებთ, მიწას ეფერებო. და ყოველთვის ასე მიაბიჯებს — როცა ყანაში მიდის, როცა წისკვილში საფქვა-

ვი მიიქვს, როცა წვეულებებში მებრძინდება.

მაშიდაჩემი!
ჩემი დედ-მამა მაშიდაჩემი იყო.

წლინახევრისა ვყოფილვარ, ჩემი მშობლები რომ გარდაცვლილან. გარდაცვლილან კი არა, დახოცილან... ჩვენი უბანი თითქმის ამოწყვეტილა.

ერთი ჩვენი უბნელი დიდი ვაჭარი ყოფილა. პირველად თითო დამხმარე კაცი ჰყოლია დაქირავებული ხერგასა და ოდესაში, მერე სავაჭრო ამხანაგობა დაუარსებია — „უღელტეხილი“. ამხანაგობის თავმჯდომარედ თვითონ დამდგარა, ხოლო მდივან-საქმისმწარმოებლად თვრამეტი წლის მაშიდაჩემი მიუწვევია, მარტო სილაშის გამო კი არა, როგორც ზოგიერთნი ფიქრობდნენ, ცოდნის გამო. მაშიდა პელაგიას ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, რუსული ჩინებულად იცოდა და ცოტაოდენი ფრანგულიც. სავაჭრო ამხანაგობა „უღელტეხილს“ კი გამოყვანილი კაცლის ხე და კაკალი, შემაგრებული იმერული ღვინო, ჭაჭის არაყი, ხილი ოდესაში და მარსელში გაჰქონდა, ხერგაში კი შემოჰქონდა მარსელის კრამიტი, ჯამ-ქურჭელი, ფართლული და ქერჩის ტარანი.

მე რომ წლინახევრისა ვყოფილვარ, ორმოცდათვრამეტი წლის წინათ, „უღელტეხილის“ თავმჯდომარეს ოდესიდან ჩვენს სოფელში შავი ტიფი ამოუტანია. ჩვენი ყურისმწივობელი ყოფილა და ჩემი ახალგაზრდა მშობლები თავს დასტრიალებდნენ ავადმყოფს. თვითონ და მისი ოჯახის წევრები პირველნი დახოცილან, მერე ჩემი მშობლები (მე ნათლიას გავუხიზნივარ ჭინორიძეთა უბანში). ამბობენ თხუთმეტამდე ოჯახი ამოწყდაო.

მაშიდა პელაგიას ხერგა დაუტოვებია და თავის ოჯახს დაბრუნებია.

საბრალო მაშიდაჩემი!
ლაშაში იყო, ჯანმრთელი, მეოჯახე, ბავშვების მოყვარული და გაუთხოვარი დარჩა...

...მაშინ უკვე ექვსი წლისა ვიყავი და ყველაფერი კარგად დამამახსოვრდა. გაზაფხული იდგა, მაისის დასაწყისი. შეღამებულზე ფოსტალიონმა წერილი მოუტანა მამიდას. წერილი წაიკითხა თუ არა, მოუსვენრობა დაეცყო, აწრიალდა. მე ადრე დამაწვინა. სამზადიდან კიბე ამოათრია, ოდის სხვენზე ავიდა და აკვანი ჩამოიტანა, ჩემი აკვანი. აივანზე გადგა და ცხელი წყლითა და საპნით გარეცხა. დილაუთენია გამომალევიდა, მამიდაჩემი ძალზე ფერმკრთალი შეჩვენა, ეტყობოდა, მთელი ღამე არ ეძინა. ზალაში გაწყობილი აკვანი იდგა. ჩემი საბანი ვიცანი, ოღონდ საბანს ახალი, გაქათქათებული შალთაჰქონდა შემოკერილი, აკვნის ტარზე — კი ჩემული თეთრი დათუნია ეკიდა საეღარუნებელით ხელში.

მეზობელთან დამტოვა. გულასპირ ჩაფიჩაძის ცხენზე შევდა და ხერგაში წავიდა. სალამოს თოთო, ახალდაბადებული ბავშვი ამოიყვანა. უმცროსი და იყო მოგიყვანეო, ღიმილით მითხრა და ბავშვი აკვანში ჩააწვინა. უბედური დედამისი მშობიარობას გადაჰყვა, მამა კი საღდაც გადაიკარგა და ეს თბოლი მე და შენ უნდა გავზარდოთო... ბავშვმა საცოდავად დაიკნაეღა და მამიდაჩემი ატირდა. სასწრაფოდ კონდრატე კიკნაველიძის უფროსი რძალი მახმობინა. მასაც ძუძუთა ბავშვი ჰყავდა და კონდრატე კიკნაველიძის უფროსი რძალი მთელი ერთი წელი ძიძობდა მაიკოს.

დამხმარე? დამხმარე არავინ ყავდა მამიდა პელაგიას. ჩვენი მარჩენალი ჩვენი ეზო იყო — ერთი ჰექტარი მიწა. ეზოს ნახევარზე სიმიინდი გვეთესა. გულასპირ ჩაფიჩაძე გვითესავდა, მამიდა თვითონ მარგლიდა და ამოროდებდა, ოთხჯერ მაინც გათოხნიდა ყანას. სარეველას გამოხელვაში მეც ვეშველებოდი. ხანდახან მაიკო შემოიბარებოდა ყანაში, მამიდა პელაგია დაუცავსანებდა და გაანაპირებდა. — შენი მოხმარება არ მინდა, ეკა, ბავშვს მიხედეო. მეტყოდა მამიდა პელაგია და მე მაი-

კოს გავეთამაშებოდი, მაგრამ მაიკო ჰირვეულობდა — შენთან არ მინდა, დედასთან მინდაო და მამიდაჩემი გამოხელვას თავს მიანებებდა, აიტატებდა მაიკოს, ეზოში დაატარებდა და ელულუნებოდა.

ვერ ვიტყვი მამიდაჩემს ჩემზე უფრო მაიკო უყვარდა-მეთქი, მაგრამ მაია ჩემზე. დიდად პატარა იყო და მამიდა პელაგია მას უფრო ეალერსებოდა. მთელი დღე კალთაზე ყავდა გამობმული და ღამით თავის ლოგინში იწვენდა. რალაც სურდოსავით შეეყრებოდა მაიკოს და მამიდაჩემი გიჟდებოდა, ფეხებს უთბუნებდა, ათასნაირი ბალახის ნახარშს ასმევდა და ვიდრე არ მოარჩენდა, ბორჯავდა.

ჩვენი ოჯახის მთავარი შემოსავალი ვაზი და ხეხილი იყო. ორმოცამდე ძირი მარტო ვაშლი და ლეღვი გვედგასამი ძალიან დიდი კაკლის ხე და ეზოს გარშემო მსხლის ხეები შესერივით იყო ჩამწყკრივებული. შაქარამსხალი, ღუჯა, მაქირე, ადრეული და ზამთრის. ხეხილის ყველა ხეზე ვაზი იყო აშვებული — იზაბელა. გულასპირ ჩაფიჩაძე ამტკიცებდა, თქვენი იზაბელა ხვანჭკარას და ოჯალეშს ჯობიაო. ამ ხილისა და ვაზის წყალობით მდიდარი იყო ჩვენი ოჯახი და მამიდა პელაგია სიამტკებლობით გვზრდიდა მე და მაიას. ჩვენ მას დედას ვეძახდით და მამიდა პელაგია ჩვენი ნამდვილი დედა იყო.

და სრულიად მოულოდნელად ექვსი წლის მაია მკერდიდან ააგლიჯეს მამიდაჩემს.

გუშინ გულასპირმა კაკლის ხეები დაგვიბერტყა. კაკალი გუშინვე ავკრიფეთ, დღეს კი მე და მაია ჩამობერტყილ ფოთლებს ვაქუჩებდით, მამიდა კი სახლს ალაგებდა.

ჩვენს ჭიშკარს მხედარი მოადგა და ხმამალა დაიძახა მაინძელოო.

სტუმრის ძახილი რომ გაიგონა მამიდამ, შეტკივლა.

მე და მაიას შეგვეშინდა და უმალვე ოდაში ავირბინეთ.

მამილამ მაიას სტაცა ხელი და კაბის კალთა შემოაფარა. ეკა, მიშველვო, დაიკვნესა მამილამ, მერე თვალები გაუშეშდა და იატაკზე ჩაიკეცა.

— პელაგო, მე ვარ, გამომხედვო, უსიამოვნო ხმით დაიძახა სტუმარმა, დაქვეითდა, ჭიშკარი გაალო და ცხენი ეზოში შემოიყვანა.

მამიდა როგორღაც უცებ გამოკეთდა. იატაკიდან მსუბუქად ადგა, სარკეში ჩაიხედა, ჩამოშლილი თმა შეისწორა, — სტუმარი შინ შემოიწვიეო, მიტხრა, თვითონ მაიკოს დაავლო ხელი და უკანა კარით სამზადში წავიდა.

აივანზე გამოვედი. სტუმარს წაბლისფერი ცხენი კაკლის ხეზე მიეზა და ოდისკენ მოდიოდა.

მობრძანდით-მეთქი. ვთქვი და სტუმარს კიბესთან მივეგებე.

ამოვიდა. ამხედ-დამხედა. მერე თვალი გამიყარა და ჩუმი, დახშული ხმით მკითხა — შენთან გოგონა რომ იყო, სადააო. დედამისმა სამზადში წაიყვანა-მეთქი და სკამი მივაწოდე.

ზალაში შევიდა, ოთახებში შეიხედ-შემოიხედა და უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ამ დროს აივანზე მამიდა და მაია ამოვიდნენ.

მამილამ და სტუმარმა ერთმანეთი შეათვალაიერეს, მაგრამ ერთმანეთს არ მიესალმნენ.

— ეკა, — დინჯად თქვა მამილამ, — შენ და მაიამ, მსხლის ქვეშ რომ მოთიბული ბალახია, ცხენს დაუყარეთ.

მე და მაია კიბეზე რომ ჩავდიოდით, მამიდაჩემის ხმა შემომესმა — რომელმა ჭარმა გადმოგაგდო, ბარძიძ!

ცხენს ბალახი დაუყარეთ და რადგანაც არ გვიხმეს, ბალახებში ჩამალული კაკლის მონაკერება დავიწყეთ და ერთი კალთა მოვინაკერეთ.

დიდი ხნის შემდეგ სტუმარი და მამიდაჩემი აივანზე გამოვიდნენ. მამიდა სამზადში წავიდა, სტუმარი კარგახან აივანზე მიდი-მოდიოდა და ეზოს ათვალაიერებდა, მერე ეზოში ჩამოვიდა და ჩვენთან მოვიდა.

— კაკალი ვინ დაგიბერტყათ? — იკითხა სტუმარმა და მე შემომხედა.

— გულასპირმა, — ვუთხარი და სტუმარს კაკალი გავუწოდე.

— გულასპირი ვინ არის?

— ჩვენი მეზობელი.

— ახალგაზრდაა?

პაუზა.

სტუმარი შევათვალაიერე.

— თქვენი ხნისა იქნება.

— შენ რა იცი, მე რა ხნისა ვარ?

— მკვახედ მომიგო სტუმარმა. ეტყობოდა გაბრაზდა.

გავწითლდი და თავი დაეხარე.

სტუმარი მე მესაუბრებოდა, თვალს კი მაიას არ აშორებდა.

მამილამ ოდაში გვიხმო, გულზე მომეშვა და გავიქეცი. სტუმარმა მაიას მზარზე დაადო ხელი და ნელ-ნელა წამოვიდნენ.

სუფრა აივანზე გაეწყო მამიდას. დავსხედით. სტუმარმა ორ ჭიქაში დაასხა ლეინო და როცა მამიდაჩემმა ჭიქა აიღო, მე თვალებში შევხედე და მისი თვალების უბეებში მიმალული სევდა ადვილად ვიპოვე.

პაუზა.

— მაიკო, დღეს შენი ბედნიერების დღეა! ჩვენი სტუმარი შენი მამაა! — დინჯად, ძალიან დინჯად თქვა მამილამ და სტუმარს თვალი გაუსწორა.

მაია შეტოკდა, ნაკვერჩხალივით გაუწვითლდა სახე, აცახცახდა. მამილამ თავზე გადაუსვა ხელი მაიას და ბავშვი თითქოს ოდნავ დამშვიდდა.

— მიდი, აკოცე მამაშენს, — ისევ დინჯად თქვა მამილამ, მაია აიყვანა და სტუმარს მუხლებზე დაუსვა.

მაიას მამა ადგა, ბავშვი ხელებში აიტატა, გააქან-გამოაქანა, მერე მკერდში მაგრად ჩაიკრა და შუბლი და თვალები დაუკოცა. მაიამაც აკოცა ლოყაზე მამას, მაგრამ გაუბედავად.

— რამხელა გაზრდილა ჩემი მაიკო! — ღიმილით თქვა მაიკოს მამამ და შვილი მუხლებზე დაისვა.

— ახლა დაეწყარდეთ! — თქვა მამილამ და სიჩუმე ჩამოვარდა.

— მამიკო, ჩვენთან დარჩები? — ჰკითხა მაიამ და მამას ხელი ლოყაზე მოუთათუნა.

პაუზა.

— არა! მამაშენი და შენ ქალაქში წახვალთ! — ცივად თქვა მამიდაჩემმა და შევატყვე — გულში ძაფი ჩაუწყდა, სახეზე ჭერ სიწითლე შემოენოო, მერე კი მიტკლისფერი დაედო.

მაია მამის მუხლებიდან ჩამოვიდა, მამიდაჩემთან მიიჭრა, თავი მკერდში ჩაურგო და ტირილით თქვა:

— დედი, მე შენთან მინდა.

— მე დეიდა ვარ შენი, მაიკო — ტირილით თქვა მამიდაჩემმა და მაია მკერდში მაგრად ჩაიკრა.

მაია აზლუქუნდა.

— არა, შენ დედა ხარ! შენ დეიდა არ ხარ! მე შენთან მინდა! — და მაია მამიდაჩემს ისე ეხვეოდა, პირდაპირ გულში ჩაძვრომას ლაშობდა.

ყველანი ავტირდით. ჰო, მაიას მამაც ატირდა. მერე მაიას მამამ ცრემლი დაირცხვინა, სუფრიდან ადგა, ზალაში შევიდა, დავინახე — ცრემლი ჰრელი ცხვირსახოცით მოიწმინდა და ყურები თითებით დაიგმანა.

— არა, სულ კი არა, ცოტახნით წაგიყვანს მამაშენი ქალაქში, ახალ კაბებს შეგიკერავს, ახალ ფეხსაცმელებს, სათამაშოებს გიყიდის... მერე ევა და მე ჩამოვალთ ქალაქში და წამოგიყვანთ. შენ უკვე ჰქვიანი და დიდი გოგო ხარ და ჰქვიანმა გოგომ მამას უნდა დაუჭიროს... ფერებ-ფერებით თითქოს დაამშვიდა მამიდაჩემმა მაია, მაგრამ მაია მაინც ცახცახებდა და მამიდაჩემის კალთას არ შორდებოდა.

— შეხედე, რა ლამაზი ცხენი მოგიყვანა მამიკომ! ამ ცხენზე შეგსვამს და სულ ჩიქჩიქით ჩაგიყვანს ქალაქში. — ღიმილით თქვა მამიდაჩემმა, ვითომ თავი გაიმხიარულა.

აბა, არ დავგვიანდეთო, თქვა მამიდაჩემმა და ოთახიდან ზურჯინი გამოიჩინა. — მაიას ნივთები და საგზალი ზურჯინშიაო, ცივად უთხრა მაიას მამას. მერე მაია უკანა აივანზე გაიყვანა,

ხელპირი დაბანა, ახალი კაბა ჩააცვა და ეზოში ჩამოიყვანა. *სტრუქტურული*
მაიას მამა და მე უკვე უხერხულად ვაყვიართ.

ჰიშკრისკენ დავიძარით.

მაიას ხელები მამიდაჩემის ხელისთვის ჩაეჭიდა და ლოყაზე მიედო.

ჰიშკარი მე გავაღე და ეზოდან გავედით.

ბავშვს გამოემშვიდობებო, მითხრა მამიდაჩემმა და მაია ჩემკენ გამოსწია.

თვალეებში ჩახვედე. ნამტირალევი თვალეები ამოწითლებული ჰქონდა. გავიგნებული იყო. შუბლზე ვაკოცე, შუბლი უხურდა, ლოყაზე ვაკოცე, ლოყაც უხურდა. მაია შემებრალა და ავტირდი. მამიდაჩემმა განზე გამწია და მაია ხელში აიყვანა. მკერდში ჩაიკრა და კარგახანს ჰყავდა მკერდში ჩაკრული, მერე თავი გადაუწია, თვალეებში ჩააქკერდა, კისერი და თვალეები დაუკოცა, მერე უცებ შეტოკდა მამიდაჩემი, მაია მკერდიდან სწრაფად მოიშორა და უნაგირზე დასვა.

მაიას მამამ აღვირი დააგრძელა და ცხენს წინ დაუდგა, ეტყობოდა, ქვეითად სიარულს აპირებდა, მაგრამ მამიდაჩემმა უბრძანა ამხედრებულოყო და მაიკოს მამამ ზურჯინი დაიუნაგირა.

— ბარძიმ! იცოდე, ბავშვს არაფერი მოაკლო, თორემ... გაჰკვესა მამიდაჩემმა... ჰო, ახლა კი წადით! — ცივად დაუმატა, — აჩუო, შეუძახა ცხენს და მაიას და ბარძიმს ზურგი შეაქცია.

პაუზა.

— რას უდგებარ, ბარძიმ, — შესძახა მამიდაჩემმა და ბარძიმმა ცხენი დასძრა.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, მაია უნაგირიდან გადმოიხარა და ჩვენსკენ გამოიხედა, დავინახე, ხელებიც რომ გაასავსავა, ტირილიც შემომგნმა, მერე ბარძიმის მხრებმა დაჰფარეს მაია და ცხენი თოხარკით წავიდა.

— წაეიდნენ? — ცივი ხმით მკითხა მამიდამ.

— წაეიდნენ, მამი! — ვთქვი მე და ავტირდი.

— ცრემლი არ დამანახო! ბრძანებასავე თქვა მამიდამ და ჩემსკენ შემოტრიალდა, მერე ქურდულად გზას გახედა, ვერაფერი დანახა და თვალები მიკლულა.

— თუნგი მომიტანე. — თქვა მამიდამ და ჭიშკარს მიეყრდნო.

როცა თუნგი მოუტანე, ისევ ჭიშკარზე იყო მიყრდნობილი.

— სატველაზე წავალ. — თქვა მამიდამ და წავიდა.

სადღესში შემოვედი და მესერს ამოვიყარე. მამიდა ჯერ ნელა მიდიოდა, მერე ნაბიჯს თანდათან აუჩქარა, მერე გაიქცასავით, ოღონდ სატველას გზაზე კი არა, იმ გზაზე მიბრბოდა, რომლითაც მათა და ბარძიმი წავიდნენ.

...სატველადან შედამებულზე ამოვივლი. მე აივანზე ვიჯექი. მამიდა პირდაპირ სამზადში შევიდა და მიხმო.

— რაო, მარტოს ხომ არ მოგეწყინა? შევხედე, თვალის ქუთუთოები შეშუპებოდა. მივხვდი, ტირილით მოეყურებინა გული.

— მომეწყინა, მამი! — მორჩილად ვთქვი მე და თავი დაეხარე.

— არაუინ ყოფილა?

— გულასპირი იყო.

— რა მინდაო, გულასპირმა?

— ლღღის არაყი მოგიტანა, გამოსინჯოსო.

— მოიტა! — თქვა მამიდამ და განჯინიდან ღვინის ჭიქა გამოიღო.

არაყიც განჯინაში იდგა. ჭიქა შევუყეს და მამიდამ არაყი გადაჰკრა.

ბაუზა.

— მამის უფლება მეტია, ვიდრე გამზრდელია და ცრემლი არ დამანახო, ეკა! — ნაღვლიანად, მაგრამ ბრძანებასავით თქვა მამიდამ და თვალი გაბიყარა.

— მათა ჯერ ბავშვია, ვინც მოუვლის და მოუფერება, იმას შეიყვარებს... მალე დაგვივიწყებს.

ის იყო და ის, მერე მათაზე სიტყვა არ დაცდენია მამიდას, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. გული კი გაუტყდა მამიდას. დანაღვლიანდა. არც შინ

იწვევდა მეზობლებს და თვითონაც შეწყვიტა მეზობლებში სიარული. სატველაზე სიარულს მოუხმობდა. სატველადან ყოველთვის ნამტირალევი ზრუნდებოდა და სახეს მარიდებდა.

არც მამიდაჩემი და მე ჩავსულვართ ეკას ამოსაყვანად ხერგაში, არც მათა და ბარძიმი ამოსულან ზემალაღში და თანდათან ყოველივე თითქოს დავიწყებას მიეცა.

მათს და ბარძიმს მე ჩვიდმეტი წლის შემდეგ შევხვდი. სკოლების დირექტორების თათბირზე ვიყავ ხერგაში. აგვისტოში, სასწავლო წლის დაწყების წინ, ტრადიციულად ატარებენ ასეთ თათბირებს, ვითომ ახალ ამოცანებს გვისახავენ ამ თათბირებზე, ნამდვილად კი შარშანდელ თუ შარშანწინდელ ინსტრუქციას გვიკითხავენ.

ხერგაში ჩვეულებრივ ცხელოდა, შესვენებისას ხევისწყალის სანაპირო პარკის პავილიონში შევედი და ნაყინი მოვიტხოვე. ჩემს ახლოს მაგიდას სამნი უსხდნენ — ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ხმამალა საუბრობდნენ და ქალის ხმაში მათს ხმა შევიცანი. ქვეშად გავხედე — მათა იყო. გამოცნაურება გადავწყვიტე და წამოვდექი, მაგრამ ბარძიმს რომ მოვკარი თვალი, თავი შევიკავე.

მათა და ახალგაზრდა კაცი ადრე წავიდნენ. ჩემს მაგიდას მოახლოებულმა მათამ შემომხედა, თვალი გამისწორა, მე თავი დაეხარე და მათა წავიდა. ეტყობა ვერ მიცნო.

მარტოდ დარჩენილმა ბარძიმმა კიდევ მოითხოვა ნაყინი და სიგარეტს მოუკიდა. შევხედე, ბარძიმმა შემომხედა და მიცნო. ადგა, მომესალმა და ჩემს მაგიდაზე გადმოჰდა.

— მათა იყო! ვერ იცანით? — ღიმილით თქვა ბარძიმმა და თვალი გამისწორა.

ბაუზა.

ბარძიმს ნაყინი მოუტანეს, ღიმილით მოითხოვა.

— ვერ იცანით, მათა?

— ვიცანი. — ვთქვი მე და ბარძიმს სახე ავარიდე.

— ახლაც მოვიყვან, აგერ ჩემს უნივერსიტეტში შევიდნენ. „ჩემს უნივერსიტეტში“, ბარძიმმა დამარცვლა, მაგრძნობინა, მე უნივერსიტეტის დირექტორი ვარო. მინდოდა მეტქვა ვიცი-მეტქვი რაი უნივერსიტეტის დირექტორი რომ ბრძანდებით, ისიც მოგვეხსენება, რაი უნივერსიტეტის ყოფილ დირექტორს რა ინტრიგები მოუწყვეთ და რამდენი დავაჯდათ დირექტორობის ხელში ჩაგდება, მაგრამ თავი შევიკავე და სანაწებლად დამირჩა.

— მაშ, ახლაც მოვიყვან, — თქვა ბარძიმმა.

— არა! — ვთქვი მე და ბარძიმს ავხედ-დავხედე. გასუქებულია. ძალიან გასუქებულია. სახე დაღარვია. კისერთან ორკეცი ღაბაბი ადევს.

— თქვენ ისევ კოლმეურნეობაში მუშაობთ? — სხვათაშორის მკითხა.

— სკოლაში.

— მონაგარიშედ?

— დირექტორად.

— დირექტორად? — გაიკვირვა და სკამზე შესწორდა.

— მამიდათქვენნი? ქალბატონი პე-ლაგია?

პაუზა.

— მამიდათქვენი როგორ არის-მეთქი?

— მამიდა შარშან გარდაიცვალა...

ვითომ შეტოვდა. სიგარეტი მაგიდაზე დაასრისა და ადგა. ვითომ ახლა გაიგო? ცრუობს.

— საოცარია... ჯანმრთელი ქალი იყო.

— მაია რომ წაართვით, გატყდა.

— უჰ, ეს როდის იყო! დამაეიწყდა კიდევ. — ცივად თქვა, ლიმონათი დაესხა და დალია.

— მამიდაჩემმა-კი მაია ვერ დაივიწყა! დააეიწყებოდა? ერთხელაც არ ამოაკითხა მაიამ, წერილიც არ მოსწერა. დაკრძალვასაც არ მოვიდა...

— მაია როგორ მოვიდოდა? ჩვენ

როგორ მოვიდოდით? არაფერი გაგვიგია!

— მე თქვენ ბარათში მხოლოდ ვიხსენებ...

— რომელი ბარათი?

— ის ბარათი, რომელიც მიიღეთ.

— არავითარი. ბარათი არ მიმიღია!

— გადაჭრით თქვა და მხრები აიჩეჩა.

— დიახაც მიიღეთ! მე ვიცი, რომ თქვენ ჩემი ბარათი მიიღეთ.

გაფითრდა. ლიმონათი დაისხა და დალია. ასანთს გაჰკრა, მაგრამ, სიგარეტს ვერ მოუკიდა, ხელი უქანკალებდა. ორკეცი ღაბაბი შეუთამაშდა, თვალი ამარიდა.

— თქვენ ბარათის მომტანი დაანამუსეთ, ვითომ იმხანად ხერგაში არ იყავით და მაიასაც დაუმალეთ გამზრდელის გარდაცვალება... თქვენ უგულო და ბოროტი ხართ!

რალაც უფრო დამამცირებელი მინდოდა მეტქვა და ვერ მოვახერხე. ზიზღით შევხედე და ავდექი.

— მომითმინეთ! ერთი წუთით დაბრძანდით! დიახ, ახლაც! — ხრინწიანი ხმით თქვა და ამღვრეული თვალები შემომანათა. ჯიბეში წვალელები ჩააცურა ხელი, პირსახოცისოდენა კრული ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე ოფლი შეიმშრალა.

— მამიდათქვენის მკვლელი თქვენ ხართ! — მომახალა და დამცინავად გაიღიმა.

— დიახ, თქვენ ბრძანდებით მამიდათქვენის მკვლელი! ქალბატონი პე-ლაგია თქვენ მოჰკალით და მაიას აბრალელებ! დიახ, ასეა ეს!

დავიძვარე და შემზარა. სული ყელში მომებჯინა და სკამზე მოწყვეტით დავეშვი.

— მე ვარ მამიდაჩემის მკვლელი?

— მამიდაშენი ჩემი საცოლე იყო... ჰო, უნდა შემერთო პელაგია! — ამყვად თქვა და გაიღიმა.

„ნუთუ ეს არარაობა უყვარდა მამიდაჩემს?“

— ვუყვარდი, დიახ პელაგიას ვუყვარდი! — კმაყოფილებით თქვა, დამ-

ცინავად გამიღიმა და ოქროს კბილები გამოაჩინა.

გული რომ არ წამსვლოდა, ლიმონათი მოვსვი.

— მერე?

— ეკასაც წამოვიყვანო.

— მე?

— სხვა ეკა არ ჰყოლია მამიდაშენს. მაშინ ორი წლისა იყავი. ჰო, ეკასაც წამოვიყვანო.

თავი დახარა, კბილის საჩიჩქნი მოიძია და მარცხენა ხელის თითებს გაეთამაშა.

— მე უარი ვუთხარი, სხვის შვილს ვერ ვაგზრდი-მეთქი. — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის თქვა და ქვეშად გამოშხენდა.

შემებრალა, ძალიან შემებრალა მამიდაჩემი.

— მე მაშინაც მდიდარი ვიყავი. — ისევ ხმადაბლა, თავისთვის თქვა, საჩიჩქნით გაწმენდილი ცერი მოლოცა და ლიმონათი დალია.

— ვერ მოვრიგდით. მამიდაშენმა შენ არ დაგტოვა... ჰოდა, მე სხვა ქალი შევირთე, აბა რა მექნა?

პაუზა.

— საბრალო ჩემი ცოლი უიღბლო გამოდგა, მშობიარობას გადაჰყვა და ჩემს მათს მამიდაშენმა უძიძაეა.

საჩვენებელი თითი მოლოცა და ლიმონათი დააყოლა.

— ბავშვი გაიზარდა და წამოვიყვანე. არ უნდა წამომეყვანა?

„შემოდგომა. ჩვენი სახლის აივანი. მამიდაჩემი და მე მაგიდას ვუსხედვართ — მამიდაჩემი სანისლეს ქედს გაცსკერის — „მოდის“ — ჩურჩულით ამბობს მამიდა და თვალები უშემოდგება ვიპოვე მამიდაჩემის თვალების უპეებში მიმალული სევდა და შემეშინდა.

— მამიდა! — დავიძახე. მამიდა შეტოკდა და აიძავრა.

თვალეებში რას მომჩერებხიხარ, ეკა! შენს საქმეს მიხედე! — დამტუქსა, მერე მამიდა ადგა და ზალაში შევიდა, ტახტზე წამოწვა და თვალი ჰერს გაუ-

ყარა. რალაც ვკითხე და იფეთქა — არ მომეშვები, ეკა? გვიან დაიძინა და მთელი ღამე ბორგავდა. წაუთქო ვაშრისმს ელოდა?“

— მაიას ძიძაობისათვის ფული დავუტოვე მამიდაშენს, უკან დამიბრუნა... ახლა მოგართმევთ და მის საფლავს მოახმარეთ.

— არ გაბედოთ! დავიყვირე და ბარძიშს სწრაფად გავშორდი.

თათბირიდან თავი გავითავისუფლე. საბარგო მანქანა დავიჭირავე და იმავე დღეს სოფელში ამოვედი.

დაღლილი ვიყავი, მაგრამ მამიდაჩემის სკივრი გადავქექე. ჩემი „დღეა-ენა“, რვეულები, მაიას პერანგი და წინდები, ფოტოსურათები, წერილები. ბარძიშის ნაცნობი წერილი. მამიდაჩემს წერს — ბავშვი უდევოდ დარჩა და ეგებ იშვილოო. ამ წერილისათვის ადრე ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა რომ გადავიკითხე, სხვანაირად შენიშნა. ეგებ მართლა უყვარდათ ერთმანეთი?

სკივრის ძირზე მტვერი დალექილიყო. სკივრი აივანზე გამოვიტანე, პირქვე დაეამხვე და ძირზე ხელი დავკარი, გამოვფერთხე. სკივრი ავიღე. იატაკზე ფოტოსურათი აგდია. ლამზა ავანთე და სურათს დავაცქერდი: მამიდაჩემი და ბარძიში. ჩვიდმეტი წლისა თუ იქნება მამიდაჩემი. ისე მსუბუქად დგას, სადაცაა ფრთები გამოეხსმება და გაფრინდება. მარცხენა ხელი ბარძიშისთვის მხარზე დაუდვია და ეღიმოლება. ჭკვივით დგას ბარძიში, დაბალი და მსუქანი, მარჯვენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაუდვია, მარცხენა მამიდაჩემის წელისათვის შემოუხვევია.

არაფერს მიმალავდა მამიდაჩემი, ეს ამბავი-კი, დამიძალა.

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა სიადუმლო, რომელი არა გამოხსნადეს“...

უნაკლო ქალი მეგონა მამიდაჩემი. თურმე ერთი ნაკლი მასაც ჰქონია.

მეფე კახიძე

...

ვწევარ გაუთელავ სამყურებზე
თვალეში ვარსკვლავები ჩამყურებენ,
გული იმნაირად ზარზეიმობს
ხელი ამიღია ყველაფერზე,
გინდაც სიყვარული მაზღვევინონ
ოღონდ შენს ლაქვარდებს შევაბერდე.
ირგვლივ ჭრიჭინების გაგანია

მთვარით გადამთვრალა მთა და ღელე,
განა ბევრი უნდა ადამიანს
ცოტა სიხარულიც აამღერებს.
სანამ შენი მიწის შემწვევს ნდობა
ცაო არ მომაკლო შემწეობა,
ვიწვევ გაუთელავ სამყურებზე
თვალეში ვარსკვლავები ჩამყურებდნენ.

ბებერო სახსვო!

შენ რაო, რა გაწუხებს,
ბებერო ცაცხვო,
შენს ტოტზე მოლაღური
გალობს ტკბილად,
ამ სახლში კი რა ხანია
არავინ სახლობს,
ფესვებზე ყლორტი არ ამოყრილა.
უზო ყურე დაყამირდა
ყამირ მიწად,
არ იქნა ის ბიჭი
არ დაბრუნდა,
ეს სახლი სიკვდილსაც
დააეწყადა,
კედელზე ძაფს ართავს აბლაბუდა,
შენ რაო, რა გადარდებს,
ბებერო ხეო,

შენ უნდა საამქვეყნო
დარდი დაგმო,
ამ სახლში რა ხანია
სიწუმე ღრეობს,
ღობე მოწოლილა გარდი-გარდმო.
თონეში
აღარავინ
პურს აღარ აცხობს,
შენ რაო,
რა გაწუხებს
ბებერო ცაცხვო?
შენს ტოტზე
მოლაღური გალობს
ტკბილად,
ფესვებზე ყლორტები
ამოყრილა!

ა ღ ვ ე ბ ი



ვაი ველარ გალობს გულით
 შენეულა ხშირი ტვერი,
 ხარის კუდზე გამობმული,
 ორღობეში მიიმტვრევი.
 სიჭაბუკის მეგზურებო
 ჭარში ფოთლებს ვინ დაფურცლავს,
 გზა უთქვენოდ შემძულდება,
 ცრემლს ჩამოყვრი კურცხალ-კურცხალ.

ვენარცხები ღობე-ყორეს,
 არსად გულის მოფონება,
 თვალი სვედით გაგაყოლეს
 ტანკენარა გოგონებმა.
 რსეე ისე მენატრებით,
 ვაი ახლაც მტკიცა გული,
 ჩემი თეთრი კელაბტრები
 ჩემთან შეხმატებილებული!

მ ა მ უ ლ ო

შორიდან მომძახიან, მახელებენ,
 სიზმრებშიც ვერსაით ვემალები,
 ჩემი სათაყვანო სახეები,
 ჩემი ცადქცული მწვერვალები.
 მიხმობენ, მელიან, მომზღაფიან,
 არაგვი, თერგია თუ იორია,
 თერგი ჩემული ორღანია
 და ხმის შეწყვილება იოლია.
 ხანდახან გზადაგზა შევეჩერდები,
 თვალი სილატეარდით დავარწყულულო,
 აღწევდი, გადმოსკდი ჩანჩქერებად

თერგო, გრძელკანჭება ნაკადულო!
 რაგინდ გახრიოკდეს მწვეანე ველი,
 არსაით მჭონდეს

მოჩრდილება.

ვარ ჩემივ სინდისის მბრძანებელი,
 ვერვინ მასწავლოს მოჩრდილება.
 რაგინდ აღმართები

იყოს მძიმე,

შენთვის გავათენო, დავალამო!
 აღწევდი, იბარტყე, ილორძინე

* სიკვდილშიც, სიცოცხლეშიც სათაყვანო!

ლადო გვირაზვილი

გვეხი სავსეა მოულოდნელობებით

მოთხრობა

ჯამამ ყური ცქვიტა და თოხი ნათოხნ-
შივე მიაციანა.

ხმაური ჯერ შორიდან მოისმა, შემ-
დეგ გაბმული კივილი გადაეგლო მინ-
დორს და მერე ყოველი სიმიინდის ლე-
რო გაიესო დაგადუგით, ქშენითა და
დგანდგარით.

ელმავალი ყანაში შემოვარდა, ერთ-
მანეთზე აკინძული ვაგონები შემოათ-
რია და აჯამეთისაკენ გაიმიინდერა.

ბიჭი იდგა და მონუსხულივით გასც-
ქროდა მზეში გავლებული უთვალავი
ფანჯრების ელვას. მერე შეპარვით შე-
ხედა მამას, თოხს ხელი უშვა და გა-
იქცა.

ალექსანდრე შეჩერდა და შვილს ნაწ-
ყენი მხერა გააყოლა.

— ბავშვია, თვალს წყალს დააღევი-
ნებს. — უთხრა ძმამ.

— გენადი ბავშვი არაა? — რა არის,
რომ ყოველი მატარებლის დანახვაზე
ბუზანკალიანი ხარვიით დაჩინდრიკობს.

გენადი თავჩადუნული უჩაჩუნებდა
თოხს გამოფიტულ მიწას. უწადინოდ
უყრიდა ცხელ ფქვირიელს დატროყებუ-
ლი სიმიინდის ძირებს. დროდადრო ჩუმით
გააბარებდა თვალს დოსტორივ მიმა-
ვალ ელმავლისაკენ და შურით უცქერ-

და რკინიგზასთან დამუხრუქებულ ბი-
ძაშვილს.

— არაა წამოსაყვანი სათოხარში.
რაც გათოხნა, ორი იმდენი გატკეპნა
წინდაუკან ქენებით. რკინიგზაზე მატა-
რებელი არ დაიღევა. ვის გაუგია ასე?
სულ იმას ცდილობს რაფერ გაარიდოს
თავი სამუშაოს. საიდან რა გამოვიდა
ასეთი?

— მიერვევა და მოსწყინდება.

— რა მოაწყენს მაგას, ნიკოლოზ,
როგორც კი თვალს მოკრავს, დამდულ-
რულივით გარბის. არაა წამოსაყვანი ყა-
ნაში. ხვალევე ძროხაში უნდა ეუკრა თა-
ვი. თუ ასე უნდა სირბილი, მოდგეს და
სდიოს კუდში საქონელს. — ალექსან-
დრემ შუბლზე ხელი მოიჩრდილა და
დასამხრებულ მზეს ახხედა. — ახლა
დრო ქვა დაეისვენოთ და პატარა წავი-
ხემსოთ კიდეც. შენ რას იტყვი, გენა-
დი?

გენადის მადლობის მეტი რა ეთქმო-
და. აიღო თოხი და უშალ მხარზე გაი-
დო.

დიდი იფნის ქვეშ საკმაოდ გრილო-
და. მზეს ვერაფერი დაეკლო ბალახისა-
თვის. და ხის ქვეშ სასიამოვნოდ ხას-
ხასებდა მოთელილი სიმწვანე.

ნიკოლოზმა სანოვავიანი ჩანთა ჩამო-
ხსნა იფნის ტოტიდან.

ალექსანდრე ვეება თეთრ ხელსახოცს შლიდა ბალახზე.

— აუჰ! აი, საქმე თუ გინდა.

— რა არის, ნიკოლოზ.

— წვეთი წყალი არაა დოქში. აბა, ჰე, გენადი, გაიქე, შენს გაზრდას და მოიტანე ჭიდან.

— ახლა?

— ახლა. აბა, სამარიაშობოდ ღვინოს მოგატანინებ.

— მოეშვი, დაღლილია ბავშვი, ამ სიტყვებში სად წაება ახლა.

— აბა, დაეხოცოთ უწყლოდ?

— ის ვაჟბატონი გავგზავნოთ. მაინც უყვარს უგზო-უყვლოდ სირბილი. ჯაბა, ბიჭო, ავიღეულდა ტვინი მაგ სიტყვებში, მოდი აქ, ბიჭო, რაღას დგახარ მანდ. მატარებელმა, ჰე, ჩაიარა და წაივია.

ჯაბა ნელ-ნელა უახლოვდებოდა იფანს. გზადაგზა შეფარვით იყურებოდა მამისაკენ და თან სიმინდის ფოთლებს წვეროებს აწყვეტდა. დაბალი იყო, ჩასხმული და ძვალშხვეილი. გახუხულ სახეზე მიაპიტური მოკრძალება ეხატა. მივიდა, ჩრდილში მოშორებით დაჯდა და მამას მორიდებით მიაჩერდა.

— მუშა-კაცმა კი უნდა იცოდეს, შეილო, იარაღის ყადრი. პატროსანი კაცი ამ მზეში დატოვებს თონს გარეთ? ახლა მაგას ტარი მოუყანყალდება, მოქნევის დროს გასძვრება და ვილაყას თავში მოადენს ბრახეანს. შემოიტანდი კოპიტის ქვეშ. აგერ მშვენიერი ჩეროა. მუშა ხარ ახლა შენ? ნწუ! — შენგან მუშა-კაცი არ გამოვა. თუ გეზარებოდა აქამდე თრევა, ჩაასობდი იმ დალოცვილ მიწაში და ყუასა და ტარს შემოუყრიდი გარშემო ფქვირელს. ასე არც მზე დახედავს და არც გამოაშრობს ტარს.

ჯაბა წამოდგა და ჩრდილიდან გავიდა.

— სად მიდიხარ ახლა შენ?

— თონს მოვიტან.

— კვი დროც არის, სწორეთ. ახლა უკვე თავისი ექნება დამართებული. აჰა, დოქი, წადი ახლა და სადგურიდან მო-

იტანე წყალი. აბა, ჰე, აგერ დაგფურთხებ და სანამ გაშრება აქ უნდა გაჩნდე. თონზე ნუ გეფიქრებ, მაინც კედს არ იცხელებ მუშაობით. ტარი თუ მოუყანყალდა, წყალს დაეასხამთ და ისევ გამაგრდება.

— ჰამდე ნახევარი კილომეტრია, რაფერ მოვიტან სანამ ფურთხი გაშრება?

— წელან რომ გიციქროდი, შენ ისეთი სირბილი იცი, მოიტან. აბა, ჰე, გაშპი ახლა გურულივით.

გენადიმ უფროსების მიხედვით შარვლის ტოტებზე შეიწმინდა ხელები და სუფრას მადიანად მიეტანა.

— მწყურია, მარა, არ იქნება ცული, სანამ ჯაბა მოვა თუ პატარა თვალსაც მოვატყუებთ. — თქვა ალექსანდრემ, როცა სუფრა აალაგეს და იფანის ძირზე თავი მოხერხებულად მიდო.

ჯაბამ სურა აიღო და თავქვე დაეშვა.

— სად მიხვალ, მაქეთ, ბიჭო? — თავი წამოყო ბიძამისმა.

— აგერ გავყვები რკინიგზას და პირდაპირ სადგურში მიმიყვანს.

— აქეთ წადი, მოკლებე, მალე მოხვალ.

— მანდეთ დამაგვიანდება, ნიკოლოზ ბიძია, ნათონზე უნდა ვირბინო ოკრობოკრო. აგერ გავყვები რკინიგზას.

ჯაბამ სიმინდების ყანა გალია და რკინიგზაზე აირბინა.

რკინიგზას გვერდზე წვრილი ბილიკი მიუყვებოდა, მაგრამ ბიჭმა შუა რკინიგზა არჩია. მიწაზე დაგდებულ, დაუსრულებელ კიბესავით იწვა ლიანდაგი და შორს თვალსაწიერამდე ვიწროვდებოდა. რუხ-მოშავო განძელები მიწიდან ოდნავ ამოშვერილიყო და სირბილში უშლიდა. თუ ნელა ივლიდა, პირდაპირ განძელებზე დააბიჯებდა, სირბილში კი დროდადრო მიწაზეც უწევდა ფეხის დადგმა. ამიტომ წარამარა ზღაყუნობდა. სიფრთხილე იყო საჭირო, თორემ თუ ფეხს წამოჰკრავდა განძელს ან დაუცდებოდა, შეიძლება ცხვირი და დოქი ერთად გაეტეხა.

ბიჭი მირბოდა და თვალს არ აცილებ-

ბდა რელსებშუა მოქცეულ მიწას. მხოლოდ დროდადრო გაჰხედავდა სადგურს, საითყენაც სატვირთის წვერივით იყო დამიზნებული ლიანდაგი. არასოდეს გასცილებოდა აჯამეთს და ყოველთვის იმას ფიქრობდა ამ სადგურს იქით რა სადგური იყო, და სულ უკანასკნელის იქით სადღა მიდიოდა რკინიგზა. ერთი სული ჰქონდა ახლოს ენახა ის საოცარი ძალის მხეცი, რომელიც დაფეთებული ჩაიქროლებდა კივილით და ხალხითა თუ სხვა ტვირთით დაზურგულ ვაგონებს მიითრევედა. ვინ იყვნენ, რა ხალხი იყვნენ, ვინც ამ მხეტს მართავდნენ და რა ძალით იმორჩილებდნენ თავიანთ სურვილზე.

ბიჭს მოზეზრდა განძელებზე სირბილი და რელსზე ავიდა. მიუჩვეველი იყო და ხშირად კარგავდა წონასწორობას. ერთხელ ფეხი დაუცვდა და კინაღამ სურა ზედ არ მიაფშენიტა. მაინც არ იშლიდა. ბოლოს ფეხის გულეები დასწვა შუადღის მზით გახურებულმა რკინამ. ძირს ჩამოვიდა და ბილიკზე გავიდა.

ეს მეორედ მოჰქონდა სადგურიდან წყალი. ლიანდაგს იქით ჰა იყო. ცივი წყალი იცოდა იმ დალოცვილმა.

ის იყო სურა წყლით გაავსო, მატარებელის კივილიც გაისმა. ჯაბამ ფაცაფუციტ შემოდგა ვედრო ჰის თავზე, დაავლო ხელი ჰურჰელს და სადგურისაკენ გაქანდა. მეისრე ლიანდაგს ასწორებდა. დიდებული სახე ჰქონდა მეისრეს და ბერკეტი ხელში ზვიადად ეჭირა. სადგურზე ლიანდაგი რამდენიმე განშტოებას ქმნიდა. ახლა მეისრის ხელში იყო, საით გაუშვებდა მატარებელს: პირველ ხაზზე, მეორეზე, მესამეზე თუ სულ ბოლოს — მეოთხეზე გადაიყვანდა.

მატარებელი სადგურში ქშენით, ყვირილით, ქოთქოთითა და შიშინით შემოვიდა. ორთქლმავალი იყო. ვაგონების თვალუწვდენი შემადგენლობა სადღაც მიჰქონდა. შავად მოლაპლაპე ქვანახშირით დატვირთული ორთქლმავალი

ნელ-ნელა მოახლოვდა, მოახლოვდა, მოვიდა. მოვიდა, ზედ ჯაბას ცხვირწინ დაიღრქიალა და დადგა. ჯაბამ უკან დაიწია და შიშითა და აღტაცებით მიაჩერდა ლიანდაგზე გაწოლილ უზარმაზარ გველეშაბის თავს.

ორთქლმავლის ფანჯარაში თავგამოყოფილი მემანქანე შენიშნა. ზევიდან ისე უფლებამოსილად, ისე შემწყნარებლურად, ისე კეთილად ილიმებოდა, რომ ავარდნილი ორთქლის დაგრაგნილი ღრუბლის ქულებში პირდაუბანელი ღმერთივით ჩანდა. გაუპარსავი სახე ოფლისგან უბზინავდა, თითქოს ზედნათელი გადასდისო. დიდი ხელი ფანჯარაში ილღამდე გადმოეყო და თებებს ათამაშებდა.

ჯაბა გაკვირვებით უცქეროდა ამ მსხვილ, ღონიერ, ოდნავ გამურულ ძალოვან თითებს და ფიქრობდა: როგორ იმორჩილებდა ამ უზარმაზარი მხეცის ყოველ მოძრაობას, როგორ თოკავდა მის ახირებებს, როგორ თრგუნავდა მოულოდნელი შემთხვევებისას და როგორ აიძულებდა თავის ნებაზე ევლო რკინიგზის საოცრად ვიწრო ლიანდაგზე მომწყვეტულს.

უეცრად პირი დააღო და თვალებს არ დაუჭერა. არა, ეს შეუძლებელი იყო; მემანქანე მას უღიმოდა და თითებს ისე ათამაშებდა.

ჯაბამ თვალეზი ააპარპალა.

— არა, არ ეჩვენებოდა: მემანქანე მას უყურებდა და თითით იხმობდა.

ჯაბა გახევებული იდგა და მონუსხულივით მისჩერებოდა.

მემანქანე რალაცას ანიშნებდა და თან პირს აცმატუნებდა.

ჯაბამ გონი მოიკრიბა და მთლად ყურადღებად იქცა.

მემანქანე რალაცას ეუბნებოდა. მემანქანე მას ეუბნებოდა რალაცას!

ჯაბამ გაბედა და ნაბიჯი წინ წადგა: ერთი.

ორი.

სამი.

და

მემანქანემ თქვა:

— წყალი, წყალი, პატარა ბიჭო!
ჯაბას ტეინი გაჰყინოდა და ვედარა
ესაშველა რა.

— ჰო, წყალი, წყალი დამალევენ.

— წყალი? — ჯაბამ ერთბაშად ვე-
რაფერი მოისახრა და ვერც თვალი მო-
სწყვიტა მემანქანის თეთრი კბილების
ვლევას.

— ჰო, სურა მომაწოდე.

— სურა?

— ჰო, შენი სურა, დოქი. მომაწოდე,
დაელიო.

ახლა კი მიხვდა ჯაბა, რასაც ეუბნე-
ბოდა გველეშაპის ბატონი.

უმალ მოტრიალდა და სურას ეცა.

მემანქანე ფანჯარაში წელამდე გად-
მოიხარა და ის დიდი, ღონიერი ხელი
მალა აწეული სურისაკენ ჩამოუშვა.

სურას ვერ მისწვდა.

ჯაბა შეეცბა.

როგორ, ეს ხელი სურას ვერ სწვდე-
ბა?

ჯაბამ სურა კიდევ უფრო მალა ას-
წია.

მემანქანე მაინც ვერ მისწვდა.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჯაბა
მალა ეწეოდა სურას.

სურა მძიმე იყო და ბიჭი ბარბა-
ცებდა ამ სიმძიმისაგან.

დაიღალა.

მკლავები უკანკალბდა.

არადა, ვერაფრით ვერ სწვდებოდა
მემანქანე წყლის ჭურჭელს.

ჯაბას კი როგორ უნდოდა, მისწვე-
ლომოდნენ მის სურას.

და მწარედ ინანა, რომ ჯერ კიდევ
პატარა იყო და თანაც ტანდაბალი.
აფსუს! — გენადი მაინც ყოფილიყო
ახლა აქ.

უკანასკნელი ძალა მოიკრება, თავი
ძირს დაღუნა და, რაც შეეძლო, მკლავ-
ები დაჭიმა.

ხელში სიმსუბუქე იგრძნო და მიხე-
და, სურა გამოართვეს.

ჯაბამ აიხედა და ვიღაც მალალი კა-
ცი შენიშნა. მან მემანქანეს სურა მია-
წოდა და თვითონ ორთქლმავლის

თვლებს ჩაქუჩი რამდენჯერმე მიუკა-
კუნა.

— აჰა, გამოართვე...
ჩაქუჩიანმა მემანქანეს ჭურჭელი

გამოართვა და ახლა თავით მოიყუდა.

კაცმა წყლის სმა მოათავა, ტუჩი
ხელის ზურგით მოიწმინდა და პატ-
რონს სურა მადლობით დაუბრუნა.

ჯაბა გატრიალდა, სურა ძველ ად-
გილზე დადგა და გაოგნებულმა ისევ
ორთქლმავალს აახედა.

მემანქანე მას უყურებდა, უღიმოდა
და მადლობის ნიშნად ხელს ქუდთან
ჯარისკაცურად უღებდა.

და ჯაბას გული იმ ორთქლმავლის ხე-
ლა გაუხდა. ხარბად ჩაისუნთქა ორ-
თქლის, ქვანახშირის, კვამლისა და

სადგურის მტერის ნახავი ჰაერი და
თავათაც სახე ღმერთთან წილდადე-
ბულოვით გაებადრა.

ჩაქუჩიანმა კაცმა ორთქლმავალს
გარშემო შემოუარა, თავისი ჩაქუჩი
ხან სად მიაკაკუნა, ხან სად რაღაცეები

გასინჯა, შეამოწმა და მერე ისიც
ორთქლმავალზე ავიდა.

სადღაც ზარმა დაიწკარუნა.
ორთქლმავალმა უზარმაზარი მუც-
ლით შემზარავად დაიბუყბუყა და ზე-

და მილით ბლუჯა-ბლუჯა ორთქლის
ბარდანები გამოყარა. მერე ერთი სა-
შინლად დაიყვირა და დაიძრა.

ჯაბამ ყურებზე ხელი იტაცა, სმენა
დაიხშო და რამდენიმე ნახტომით უკან
მიაწყდა.

მემანქანემ გაიცინა. ჯაბას ხელი ერ-
თხელ კიდევ აუღო და წავიდა.

მატარებელმა დუგდუგით, ჩახჩა-
ხით, გუგუნითა და დგრილით ჩაი-
რა.

ჯაბა იღგა და კვლავ იმ მხარეს მის-
ციებოდა თვალებით საითაც მატარე-
ბელი მიეფარა...

მერე მისრე თავის ჯიხურში შევი-
და.

მერე ვიღაც წითელქუდა კაცი გა-
მოვიდა სადგურის შენობიდან.

ხალხიც შედიოდ-გამოდიოდა იქი-
დან.

ბაქანზე მრავალი მიმოდინდა.

მეისრეც ისევ გამოვიდა გარეთ და ლიტრით ჰისკენ წავიდა.

ლიანდაგზე გაქუცულმა პატარა ძალ-ღმა გაიბრინა. ვილაცის წაყვირებაზე კუდი ლაჭებში ამოიღო და გაზონებისაკენ მოცოცხა.

მერე ალვიდან ბელურები ჩამოფრინდნენ და ხუთიოდე ნაბიჯზე დაგდებულ პურის ყუას ერთი ფართხუნითა და წიოკობით დაეხევენენ.

მაგრამ სადგურზე მაინც სიცარიელე იყო.

დიდი სიცარიელე.

საოცრად დიდი სიცარიელე და დიდი სიჩუმე...

ჯაბამ მოთენთილად მიიხედ-მოიხედა. მერე სურა შენიშნა. ერთხანს უცქირა. მივიდა, ხელში ასწია და შეაჭანჭყარა. ასე იდგა ერთხანს. სინანულით გაჰხედა სადგურიდან ზამთვალ ლიანდაგს და ჰისკენ გაბრუნდა.

მეისრეს ლიტრა გაევსო და უკან მოდიოდა. დაბალი, ხმელი კაცი იყო. დინჯად, გულდაჭერებულად მოდიოდა და თან სველ ლიტრას მოიჭნეედა.

ჯაბა შეჩერდა და თვალი გააყოლა.

მეისრემ ლიანდაგებს გადააღაჯა და პირდაპირ ჯიბურში შევიდა.

ჯაბამ სურა დადგა ჰსათან. ზურგით ჰის კედელს აეკრა და კვლავ სადგურს დაუწყო კეჭრა.

დიდხანს იდგა და იცქირებოდა.

ზურგზე სასიამოვნო სიგრძილე იგრძნო. მეისრეს ლიტრა გაევსო და ნახევარი ვედრო წყალი ჰისპირზე შემოედგა.

ჯაბას ჰიდან წყლის ამოდება დაეზარა. ვედროში ნარჩენით გაავსო სურა. სადგურზე ზარი დაარქვეს.

ჯაბამ ყური ეკვიტა. ქვეშეცნეულად მიხვდა, რომ სადგურზე ზარის რეკვას რაღაც კავშირი ჰქონდა მატარებელთან.

დაავლო ჰურქელს ხელი და ლიანდაგამდე მანძილი სირბილით გადაჭრა. დადგა სურა და თვალეზი დააკეცა. მერე ალლოთი მიხვდა: ბაქანზე გამოფენილ ხალხს საითაც პირი ჰქონდა, მატარებელი

ლი იქიდან შემოეარდებოდა.

გაისმა კივილი და მოსახვედრებულნი ვაგონების ვალაც გამოჩნდნენ. ერთ-ერთი ახლოვდებოდა მატარებელი, მით უფრო დიდდებოდა წინა ნაწილი და თავკომბალასავით ფორმას ღებულობდა. წინა ვაგონს თავზე გვირგვინი ედგა და თავით მავთულს ებჯინებოდა.

და ჯაბა უმალვე მიხვდა, რომ ეს ელმავალი იყო.

ელმავალმა უკლო, უკლო სიჩქარეს და ბოლოს სადგურში თითქოს შემოცურდა. ჯაბასაგან ოციოდე ნაბიჯზე რბილად, ფრთხილად შედგა და თავი ამაყად ააღირა.

ჯაბას ასე ახლოს არასოდეს ენახა ელმავალი.

დედა, რა ლამაზი იყო!

შუბლი მაღალი, განიერი, ცისფრად შეღებილი,

თვალეზი დიდრონი, მრგვალი და ბროლივით სუფთა, გამჭვირვალე.

წარბები წითლად გადაკალმული. ცხვირი წითლადვე ჩამოხატული, ნესტოებთან დაეწროვებული.

ნიკაპი წინ ვაეკაცურად წამოწეული. ნიკაპზე შავად შეღებილი მოაჭირი შემოვლებული...

და ჯაბა როდის, როდის მიხვდა, რომ სურა ისევ ხელში ეჭირა. დადგა ძირს, სიმძიმისაგან ნატკენი მკლავი მიისრის-მოსრისა, მერე გაბედა და კიდევ უფრო ახლოს მივიდა.

ბროლის თვალეზზე გადატეხილი მზის შუქი ცერად ირეკლებოდა და ჯაბას მოეჩვენა, დაღლილი ელმავალი მხოლოდ ჰარის ამოსაღებად შეჩერდა, თორემ ერთი დაწრუპუნება და დეზის კვრა უნდოდა, რომ ისევ დაძრულიყო და სულმოუთქმელად ერბინა რკინიგზით გაბობილ მთავორებსა და უკიდევანო ველეზზე.

ჯაბამ კიდევ გაბედა, რამდენიმე ნაბიჯი კვლავ წინ წადგა და ახლა გვერდიდან დაუწყო თვალეირება.

ელმავლის თანჯარაზე კაცს იდაყვი

ჩამოედო, ხელისგული ნიკაპისთვის შე-
ებჯინა და ჩაფიქრებულყო.

იქნება ეძინა? — ვინ იცის — შეიძ-
ლება ამ კაცს ათასობით კილომეტრი
გაველო მთელი ღამის განმავლობაში.
შეიძლება უძილობით გასაავთებულმა
ოდნავ ჩათვლიმა, რაკი ამ სადგურამდე
საღსალამათად მოიყვანა ქვეყნის მგზავ-
რები და მატარებლის მთელი შემად-
გენლობაც. და თუ ეს ძილი იყო, მაშინ
იგი იყო ძილი ყოვლისშემძლე, საოცარ-
ი ბუმბერაზისა, რომელმაც ათასი სი-
კეთე ჩაიღინა ადამიანთა საკეთილდღე-
ოდ და ახლა ისვენებს. კაცს სუფთა
ლურჯი კიტელი ეცვა და საყელოზე რა-
ღაც რომბების მაგვარი ნიშნები ეკეთა.
ქუდიც ლურჯი ჰქონდა. სულ ოდნავ
მოჩანდა წინაფრის ზემოთ რკინიგზელ-
თა კარგად ცნობილი თეთრი ემბლემა.

ბიჭმა მხარზე ხელის შეხება იგრძნო
და მოულოდნელობისაგან შეკრთა. მო-
ჩრუნდა და სიხარულით პირი ყურებამ-
დე გაეხა. — გვერდით გენადი იდგა. მა-
საც თავი აელირებინა და მეელმავლეს
უცქერდა.

ჯამამ ჩაჩაჩული შარვალი აიწია და
ბიჭაშვილს სხაპასხუბით მიაყარა.

— იცი, გენადი, წედან აქ ორთქლმა-
ვალი იყო. დიდი, უზარმაზარი, სულ
შავად იყო გამურული.

— ორთქლმავლები გამურული კი
არა, შავად არის შეღებილი, ტუტუტო.

— სულ ერთია, შავი იყო, დიდი
უზარმაზარი. ორი მემანქანე იჭდა შიგ-
წყალი მომთხოვეს. სურა მივაწოდე.
ორთქლმავალი მაღალი იყო და ვერ მიე-
წვდი. მერე ერთი მემანქანე მოვიდა.
ღამაში, ღონიერი იყო. დაავლო სურას
ხელი და მთავარ მემანქანეს მიაწოდა.
მემანქანემ წყალი დალია, დიდხანს სვა-
ნდა. ძალიან დასცხომოდა და დიდხანს
სვამდა. მერე, რომელმაც მიაწოდა,
იმასვე ჩამოაწოდა დოჭი, ახლა მეორემ
დალია, იმასაც ძალიან მოსწყურებოდა
და ბევრი დალია. მერე დოჭი დამიბრუ-
ნა და ხელით ტუჩები მოიწმინდა. მერე
ჩაქუჩით შემოუარა და ორთქლმავლის

თვლებს ყველგან უკაკუნებდა. ის,
მალითა მემანქანე მიციქოლდა და მად-
ლობას მეუბნებოდა, ხელს — ჩაჩაჩული
ამილო მაღლა. მერე მეც ავულე. მას გა-
ეცინა. ალბათ კარგად ვერ ავიღე. ჯა-
რისკაცურად. შეიძლება პიონერულად
შომივიდა და ამან გააცინა. ალბათ ამან
გააცინა, რადგან, სანამ წავიდოდა, სულ
მიყურებდა და იცინოდა. მერე ორთქლ-
მავალი დააყვირა. არა, ჯერ ააბუყბუყა.
მერე საშინლად დააყვირა. ისე დააყვი-
რა, ყურებზე ხელი ავიფარე. მაინც სა-
წინლად ყვიროდა მერე ნელ-ნელა და-
იძრა და წავიდა. დიდხანს მიდიოდა, ძა-
ლიან დიდხანს და როცა ორთქლმავალი
თვალს სულ მიეფარა, ბოლო ვაგონი
მაშინ გავიდა, სადგურიდან. მერე მაინც
დიდხანს მოჩანდა შორიდან. მემანქანეს
კი ვეღარ ვხედავდი. წასვლისასაც
ამილო ხელი მემანქანემ. გამოემშვი-
დობა და ისე წავიდა. წყალს ბევრს
სვამდა. კინაღამ ნახევარი დოჭი დალიეს
ორივემ. მერე ქვევითა მემანქანემ ბეჭ-
ზე ხელი დამკრა. მალითა მემანქანე
კი იცინოდა და ხელს მიქნევდა. სულ
იცინოდა. კბილები თეთრი ჰქონდა, ძა-
ლიან თეთრი, მხესავით თეთრი. რომ გა-
იცინებდა, თითქოს მზემ გამოაშუქაო.
მერე ქვევითამ ჩაქუჩით შემოუარა
ორთქლმავალს და წავიდნენ. ის მემან-
ქანე კი, მალითა, წასვლამდე სულ მე
მიყურებდა და იცინოდა. მერე წავლი-
სს ხელი ამილო და წავიდა. უჰ! გენა-
დი, რა იყო! სულ ლურჯი ეცვა. საყე-
ლო ლურჯი ჰქონდა, ქუდიც. ფეხსაც-
მელიც. წყალი დალიეს. კინაღამ ნახე-
ვარი დოჭი დაცალეს. დალიეს და წა-
ვიდნენ უჰ! გენადი...

გენადი გაოცებული უცქერდა ბიჭა-
შვილს და ვეღარა სცნობდა: პატარა,
მორცხვი, მორიდებული, ჩუმი და უთ-
ქმელი, ახლა სიტყვების მთელ ნიაღ-
ვარს ისე აფრქვევდა, თითქოს ტყვი-
აფრქვევის დაუსრულებელ ლენტს
სცლიანო.

და გენადიმ თავის სიცოცხლეში პირ-
ველად იგრძნო ამ ბიჭისადმი რაღაც

პატივისცემის მსგავსი. მაშასადამე, მენაქანეებს ჯაბამ წყალი მიაწოდა და მათაც დიდი სიამოვნებით მოსვეს მისი დოქიდან. ოჰო! — ეს უკვე პატარა ამბავი არ იყო. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. რომ ეს ნამდვილად მოხდა, ეკვიც არ შეჰპარვია, რადგან ჯაბა არასოდეს არა ტყუოდა.

ბიჭებმა ახლალა შეამჩნიეს, რომ მეელმავლეს არ ეძინა. სახიდან ხელი ჩამოიღო და მათ უყურებდა. მეელმავლეს არ გაუღიმიო. არც ხელი დაუქნევია. ხელი ფანჯრის კიდეზე ედო და ისე იცქირებოდა.

უეცრად გენადი დაფაცურდა. მიიხედ-მოიხედა და მერე საჩქაროდ ბიძაშვილს მიუბრუნდა.

— დოქი რა უყავ ჯაბა?

— დოქი? დოქი რად გინდა? ეგერა დგას, ე.

გენადი გაიქცა და სურა მოარბენინა.

— ბიძია, წყალი ხომ არ გინდათ, ბიძია? აგერაა დოქი, მიირთვიო!

მეელმავლემ დინჯად მოაბრუნა სახე და ერთხანს ასე მისჩერებოდა ბიჭსა და სურას. მერე ნელა გაიქნია თავი უარის ნიშნად.

გენადი მოეშვა. დაძაბული სახე მოერღვა და სურა მიწაზე მძიმე-მძიმედ დაუშვა.

იღგნენ ასე და მეელმავლეს უცქეროდნენ.

მზე უკვე გადაიხარა. მაინც ძლიერ აკერდა. შუბლსა და თავს უმოწყალოდ ახურებდა, ახლა უკვე თვალებშიაც კი მიძვრებოდა, შიშველი ფეხის თითებს კაენდა.

იღგნენ ბიჭები და ელმავალსა და მეელმავლეს უცქეროდნენ.

მეელმავლეს მას შემდეგ მათთვის ყურადღება არ მიუტყევია. იდაყვით კვლავ ფანჯარას დაბჯენოდა, ხელის გული კვლავ ყბაზე შემოედო და კვლავ ჩაფიქრებულიყო.

და ბიჭები მიხედნენ: მეელმავლეები მეორთქლმავლეებზე დიდებულნი იყ-

ნენ. სწორუბოვარნი, ლამაზები, დონერები და საოცარნი.

უეცრად ჯაბას კისერზე ტვალაშანი გადაინეს. ბიჭს თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცივდა, თავი წინ წაუქანდა და წაბარბაცდა. შემცბარე. მობრუნდა და გაოცდა: მის წინ მამა იდგა.

სანამ კარგად გამოერკვეოდა, მამიმ ერთიეც ყბაში უთაქა და კიდეც მიიწია.

ჯაბას მამის ცემა არ ახსოვდა. მამა მას არასოდეს არ სცემდა. ოღონდ, როცა ვაბრაზდებოდა, აღარაფერი აღარ ესმოდა. შეეძლო მუშლივით გაესრისა.

ნასილაქარ ყბაზე ხელი აიფარა და მამას შეშინებული მიაჩერდა.

— ვინა ხარ კაცო? რატომ სცემ ზავშვს? — ვილაცამ პრისხანედ დაიბუხუნა ზევიდან.

ჯაბას თავი არ აუწევია. აღლოთი მიხვდა, რომ ამას მეელმავლე ამბობდა.

მამამ ზევით მრუდედ აიხედა. მოქურუხებულნი თვალით ერთხანს იცქირა ასე და მერე სურას დასწვდა.

— შენ მანდ შენს მურიან „კლუჩებს“ მოუარე. შენ არაეინ გკითხავს ჩემს ლლას ვცემ თუ არა. — სურა აართოლებულ ტუჩებზე მოიყუდა.

და უცებ მოწყვეტით მოიგლიჯა ქურქელი! დაიქანა, და პირში ჩაგუბებული წყალი გარეთ ერთბაშად გამოაფურთხა.

— მთლად აღუღებულა, შე ეშმაკის ნასხლეტო!...

და ჯაბა მიხვდა, რომ აქ აღარ ედგომებოდა. პირი იბრუნა და ისე გაფრინდა, მიმინოს ტოლს არ დაუღებდა.

შორს, სადგურს იქით ნიშადურ-ამოკრული გენადი გარბოდა.

ჯაბამ წამით მოიხედა და თვალა ჰკიდა, როგორი ბრაზით იწმენდდა მამა სურის პირიდან გადმოჩქაფუნებული წყლის ნაკვალევს.

ხომ დაიფუნდრუჯა, ღელის პირას გავარდა და მალლა აწეული კული ბა-

ირალის ტარივით გაშეშებული წაი-
ლო.

— ე, ბიჭო, გადაირევა ახლა ევ სამ-
გლე. ნამდვილად ბუნჯალი შეუჭდა.
ნახე, ნახე, რას შერება. არიქა, ჯაბა,
ვაპყე უკან, თორემ დაიკარგება სად-
ლაც და მერე არ გინდა საღამოს შინ
მიხვიდე?

— წადი ახლა შენ, მთელი დღე
სულ მე დავრბივარ.

— ხბო შენია. თუ გული არ შეგტ-
კივა, ძალას არ გატან. მაგრამ რომ დაი-
კარგოს, რა პასუხს გასცემ ალექსან-
დრე ბიძიას.

— შეინდა მოზვერიც ხომ ჩემი
არაა. რატომ მადევენე შუადღის გულ-
ზე? აგერ, ა, ფეხი რაფერ გავიკაწრე
ჩირგვზე, ახლაც მეწვის. მიდი ახლა,
შენ, ხომ თქვი შუადღის შემდეგ მე
ვლევ საქონელსო.

— შენ თვლი მაგას შუადღედ, თო-
რემ ყველამ კი იცის საღამდეა შუა-
დღე.

— გატყუებ თუ? აბა, ნახავ თუ მე-
რე მე არ მოვდენი შენს ძროხებსაც
და ჩემებსაც.

— არა, გენადი, ახლა შენი ჯერია.
მთელი დღეა დავრბივარ. შენ კი რო-
გორც კი მატარებელს დაინახავ, იმ
წუთს რკინიგზაზე ერქობი. ახლა მეც
შინდა ვეყურო მატარებელს. დავი-
ლაღე ამდენი სირბილით. ა, როგორა
მაქვს ფეხი.

— როცა არ გაუფრთხილდები, ასე
მოგივა. არ უნდა დაგედვა იმ ჩირგვის
გაღანაპერზე. მატარებელს კი შენ ჩემ-
ზე ნაკლებ არ უყურებ. ამ ძროხებს
დათვი რომ გლეჯდეს, ყურსაც არ გა-
აპარტყუნებ მატარებელს თუ მოვარი
თვალი რაც შენი დოქიდან წყალი მო-
სვეს შემანქანებმა, მას შემდეგ გგო-
ნია, რომ მხოლოდ შენია რკინიგზაც
და მატარებელიც. ე, ბიჭო, გავარდი,
თორემ აღარაა ის დესალუბი აღარსად.

ჯაბა წამოდგა და მურყნის ჩრდი-
ლიდან კოჭლობით გავიდა.

მზე უმოწყალოდ აცხუნებდა. ჰეშუ-
რას რიყე ნაცრისფრად ვარვარებდა.

რიყის გადაღმა ყვითელგვირგვინიან
წხესუმბირებს ყურები ჩამოეყარათ.
ყანის განაპირას მდგარ სიმინდებს შუ-
ბები გაეშვათ.

დახუთულ ჰაერში მატარებლის კი-
ვილი გაისმა. შორს, ყანებს იქიდან
ელშავალი გამოვიდა და სვირა-აქამეთის
გადასარბენზე გაიძაბა. მთელი სისწრა-
ფით მოდიოდა და წამსა და წამს შუა
ნთქავდა ალაღალაებულ რელსებს.
მწვანე ვაგონები ლელისკენ წასული
იხვებივით მწკრივში მიჰყვებოდნენ
ერთმანეთს. ღია ფანჯრებში მგზავრებს
თავი გამოეყობ და გამკრავ ქარზე სა-
ხეს იგრილებდნენ.

ჯაბა შედგა და გაინაბა.

მატარებელი ახლოვდებოდა და უკ-
ვე აშკარად ისმოდა მისი მძიმე თელე-
ბის რიტმული დაგადუგო:

„სად მიდიხარ? — აქეთ მოდი,
სად მიდიხარ? — აქეთ მოდი!“

ჯაბამ მურყნის ჩრდილიდან გავარ-
დნილ გენადის ჰკიდა თვალი. გულდაწ-
ყვეტით გააყოლა მზერა ლიანდაგის
მიწაყრილზე ავარდნილს.

მატარებელი კიდევ უფრო მოახ-
ლოვდა.

ჯაბამ ერთი კი გაჰხედა იქით, საითაც
ის დაწყევლილი ხბო მიეფარა და მე-
რე მოსწყდა ადგილს:

აკოჭლებულმა ბიჭმა მიწაყრილამდე
ვერც კი მიიღწია, ისე ჩაუჭროლა უკა-
ნასქნელმა ვაგონმა.

ვაგონის ბოლო ფანჯარაში ვილაც
წრიბა გოგო იდგა და ღიმილით უც-
ქერდა.

გოგოს წითელი ყელსახვევი მოეხ-
სნა და მას უქნევდა.

ჯაბამ თვალი გააყოლა, თვითონაც
გაუღიმა და ხელში შერჩენილი მურყ-
ნის მწვანე შტო დაუჭია.

გოგო მთლად ღიმილად იქცა. ახლა
ხელი და თავი ერთად გადმოყო ფან-
ჯარაში და სანამდე მზერა კიდევ მის-
წვდებოდა, მანამდე ჯაბასთვის თვალი
არ მოუშორებია.

ჯაბას ხბოც დაეიწყდა, ფეხის ტყი-
ვილიც. საიდანღაც მოვარდა რალაც

გრილი, მაცოცხლებელი და სხეულში მთელი სიმსუბუქით გაიშალა. იდგა და მზეში გაწოლილ, დასაყარგავში მიმავალ ლიანდაგს გაჰყურებდა გაბადრული.

მალა აწეული შტო ძირს მაშინ დაუშვა, როცა გენადის დამკინავი ხმა ჩაესმა.

— რაეა ძეგლივით გამეშებულხარ, შე კაცო.

— ეს შეათე იყო, ხომ?

— რაეა იყო შეათე, ბიჭო, თვლა დაგვიწყდა?

— კი, შეათე იყო. გუნებაში ვითვლიდი.

— სატვირთოებს არ თვლი მატარებლად?

— რაეა არა, მარა, ეს შეათე იყო.

— კაი დაგეშართოს, კაი თვლა შენ გცოდნია. ეგ მეთორმეტე იყო, შე უბედურო.

— რაფერ იყო მეთორმეტე.

— რაფერ და იმფერ რომ შენ როცა ხბოსა და მოზვერს კუდის რიკში სდევდი ქეშურას გაღმა, აქ ორმა უკვე ჩაიარა.

ჯაბას აღარაფერი უთქვამს. სახრე ხელში უნდილად შეატრიალა და პირი იბრუნა.

გენადის დაენანა.

— აბა, ახლა, ჩამოუშვი ცხვირი ერთი. ის ორივე მატარებელი სატვირთო იყო. მართალი გითხრა არც გავდნენ მატარებლებს. რალაც დაბალი, კიდებ-მოპტვრეული ვაგონები ება. ჩვენებურ ურიკას უფრო გავდნენ, — მოშლილსა და უშნოდ შეკეთებულს. სულ ცარიელები იყო, ნეტა შიგ მაინც რამე ყრილიყო... ორთქლმავალიც დაგვაჭული რამ იყო. ნეტა ორთქლმავალს მაინც გვანებოდა... ჰე, ბიჭო, ახლა მაგის გულისთვის ნუკი მოიკლავ თავს. დაეამთავრებ სკოლას თუ არა, წავალ თბილისში, ვისწავლი მემანქანეობას და მერე სულ ჩემს ეზოში დავაყენებ კვირაობით მატარებელს. მოდექი და უქიორე მერე, რამდენიც გინდა. სულ ძირისძი-

რობამდის დაგათვალიერებინებ ცველაფერს, კუნჭულ-კუნჭულ...
ჯაბა შედგა და დაეპყებინა შექნულა ბიძაშვილს.

— მემანქანე? შენ მემანქანე?

— ჰო, რატომ გაიკვირე?

— შენ უნდა გამოხვიდე მემანქანე?

— რაეა, ვერ გამოვალ თუ?

— შენ ვინ მიგიღებს მემანქანედ?

— მემანქანედ კი არ მიიღებენ, ბიჭო. შევალ იმ სასწავლებელში, სადაც მემანქანეობას ასწავლიან, ვისწავლი, კარგად დავოსტატლები და მერე ქე დამსვამენ ორთქლმავალზე, აბა, რას იზამენ.

— შენ ვინ დავსვამს ორთქლმავალზე, ბიჭო. შენ ვინ გგონია მემანქანეები?

— კი, ჩემო ჯაბა, კი დამსვამენ. როცა ყველაფერი კარგად მეცოდინება, დამსვამენ, აბა, არა? რა გგონია შენ, ის მემანქანეები, შენ რომ წყალი გთხოვეს, ერთ დროს ჩვენხელუბი იყვნენ. მერე წავიდნენ თბილისში, ისწავლეს მემანქანეობა და აგერ ახლა სად არ დააჩინდრიკებენ მატარებლებს.

კარგა დაღამებული იყო სოფელში რომ შევიდნენ.

ჯაბა თავჩაქინდრული, ცრემლების ჩუმი ყლაპვით მისდევდა უკან სამ ძროხასა და ერთ მოზვერს.

ეზოს მიუახლოვდნენ თუ არა, გენადი შედგა.

— მოიცა, ჯაბა, ძროხები აქ დაეტოვოთ და ჩვენ სახლთან მივიპაროთ. შეიძლება ჯერ არც არის მოსული შინ ალექსანდრე ბიძია.

ჯაბას ხმა არ ამოუღია.

— თუ ჯერ არ არის მოსული, ისე შევრეკავთ ამათ ეზოში, რომ ამაღამ ვერაფერს ვერ გაიგებს. ხვალ კი ისე იქ გავრეკოთ და ხელახლა მოვძებნოთ. რა იყო, შე კაცო, ასე რაეა შეიძლება, შენ პირველი ხარ, თუ? აგერ გიცია და ოთარია კორკოტაძეებს შარშან მთელი კვირა ყავდათ დაკარგული დეკეული. მერე ჰიშურას გაღმა ქალაში იპოვეს ჩამრგვალბულ-ჩაკობტავებული. ქე გასუქებულიყო ღმერთივით იმ კვირას.

ჯაბა კვლავ ყლაპავდა ჩუმ ცრემლებს და თან ცალი ხელით სახრეს აწვალებდა ორლობის მტვერში.

გენადიმ ხელი ხელში ჩასჭიდა და ეზოსკენ წაიყვანა. ფრთხილად მიდიოდნენ. ბროწეულის ღობესთან ჩაუტყდნენ.

აივანს ფანჯრიდან გამოსული ლამპის სუსტი შუქი ანათებდა. აივანს ქვევით ვიღაც აყლაყუდა დამდგარიყო და წიფლის ძველ მორზე ჩამომჭდარს დინჯად ეუბნებოდა:

— იმას კი არ ვამბობ, ჩემო ალექსანდრე, მთელი ყანა მაგის აობრებულიათქვა. მარა ყანის პირები ქე მოუძოვია ეგერ-აგერ. ხბო ბოეშვიითა: იფიქრებს რაცხას, გაეხარდება რაცხა. თავათ კი არ იცის რაა სისხბარულო, მარა ხბო რაკია იფიქრებს რაცხას და დაკუნტრულდება. აგერ მივარდება, ეგერ, ირბენს, ირბენს და მერე გაჩერდება ასე. მაშინაც არ იცის, რატომ გაჩერდა... შიგნით არაფერია, ცოტა უკუნტრულშია, გარეთ კი ყანის პირას, გაუკრავს რამდენიმე ღერზე პირი. მარა ეგაა უბედურება, რომ ბრიგადირი და თავმჯდომარე შიგნით კი არ შედიან ყანაში. ჩაუვლიან ნაპირას, გენაცვალოს ოლიფანტე, და უმალ შეხედავენ მოკმულ ღერებს. მერე მე მომადგებიან, ჩემო ალექსანდრე, და მეტყვიან: ასე ინახავ კოლმეურნეობის ყანასო?

ბიჭებმა მაშინვე იცნეს ოლიფანტემეველე. მაღალი იყო ოლიფანტე, გრძელ ნიკაზე წვერს ატარებდა. დღე და ღამე ეშმაკივით სულ მინდორში იყო. ყანის თავიდან რომ გაიხედავდა, ყანის ბოლოში შეამჩნევდა ხელიკი ტანით რომელ გორახზე იწვა და კუდი რომელ გორახზე ედო.

— რა იცი, ოლიფანტე, რომ ის ღერები მაინცდამაინც ჩემმა ხბომ მოძოვა. საქონელი უამრავს დაყავს მინდორში. საესეა იჭაურობა მეძროხე ბიჭებით.

— მაგას კი არ ვამტკიცებ, შე კაცო, აუცილებლად ეგ იყო-თქვა, მარა ეგ გამოვდენე ყანიდან. შუბლზე ვიცანი. ნიშას ას ხბოში ვიცნობ. აგერ მოგიყვანე.

ნე. ქეა გამაძღარი და იცოხნის თავისთვის. კი არ გეუბნები, ვალახე-თქვა, ისე, პატარა გაუწყერი, თუარა მე მომადგებიან გამგეობაზე და, ხბომ იცი ჩვენი თავმჯდომარის ამბავი...

როგორც კი ოლიფანტე წავიდა, გახარებული ბიჭები მაშინვე უკან გამობრუნდნენ. მაშასადამე, ხბო არ დაჯარგულა. შინაც მოუყვანიათ და აგერ, წევს ღობესთან.

ცოტა ხანიც და თავ-თავის ეზოში შერეკეს თავიანთი რიცხვმცირე ნახირი.

— მოდი აქ, ჯაბა.

ჯაბა მივიდა და მორჩილად დადგამამის წინ.

— დაჯექი აგერ.

ჯაბა დაჯდა.

მამამ დიდი ხელი ასწია და თავზე გადაუსვა. ერთ ხანს თითებში სინჯავდა მოკლე თმის ბლუჯებს, მერე კისერზე ჩამოაცურა და ბოლოს მხარზე დაადო მძიმედ.

— ახლა შენ პატარა აღარა ხარ, ჯაბა, უნდა არჩევდე სხვისას და შესას. შენი რომ გააფუქო, არც ისე დიდო უბედურებაა, — მარტო შენ დაგაკლდება, მარა კოლმეურნეობისა. მამა, საერთოა, მთელი სოფლისა. გაფრთხილება უნდა. ვიცი რა ეშმაკის ფეხია ეს ხბო, მარა მწყემსად რომ მიყვები, კი უნდა მწყემსო პატიოსნად. ახლა მეველეს რომ არ ეპოვა და არ მოეყვანა, ვინ იცის მგელიც გადაყროდა სადმე. მერე აღარ გეყოლებოდა ნიშა. რომ ამბობ მაღე გაიზარდოს, გენადის მოხვერს ვაჭიდებო, რაღას აჭიდებდი მერე?

— ბუხანკალი შეუჯდა და გამეკცა.

— ვიცი რაც იქნებოდა, ბუხანკალიც რომ არ შეჯდომოდა, საქონელი არაა? მარა მიყოლა უნდა, მოძებნა უნდა.

— კი ვეძებ, ბევრი ვეძებ. აგერ, მაგის დევნაში დამემართა ეს ფეხზე. მამა დიხარა და სიბნელეში ხელით მოუსინჯა ნატკენი ადგილი.

— აჰ, ეგ რაა. ეგ არაფერი არაა. ძალი კოჭლობით როდის მომკვდარა. გა-

იქეცი, ახლა, არაყი და ბანდი ჩამომიტანე. დილაშე მოვიჩვენებ... .

მეორე დღეს კიდევ უფრო დიდი სიფრთხილით შერეკეს შუკაში თავიანთი ნახირი... არ გაემტყუნებოდით. მდინარეში ბანაობის დროს ერთიანად შესვოდნენ სიმინდს და მთელი ნაპირი მოედოვათ.

ოლიფანტე ახლა უკვე კი არ შესჩიოდა ალექსანდრეს, ბობოქრობდა.

— ჩემი ღინი გაქვთ თუ რაშია საქმე. მარტო მაგათ რომ ვუყარაულო, დანარჩენ ყანებს რაღას ვუზამ? ა, ბატონო, ა, როგორაა ძირში გადაბელილი. საქმეა ახლა ეს? ჩამიარა დღეს ბრიგადირმა და მითხრა: „შენი კისრიდან ამოვიღებთ ამას, ოლიფანტეო.“ რა მაქვს მე კისრიდან ამოსაღები, ალექსანდრე. ყავარი ვერ გამომიცვლია ოდისათვის. რა მაქვს მე კისრიდან ამოსაღები? ა, აგერ ხარ შენ და ეგერაა ნიკოლოზი. ამას გეუბნებით ორსავე ძმას. ჩამომამორეთ ნებ გადარეული ბაღები, თუარა ისეთს ვიზამ, მეზობელს რომ არ ეკადრება. მაგის ნერვები მაქვს ახლა მე?..

მესამე დღეს ღამით შემოვიდნენ სოფელში.

უზოში მისვლა არც კი დასკირვებიან, შუკაშივე მოჰკრეს ყური მეველის ხმას.

ოლიფანტეს ენა დაშაქროდა:

— რა ვქნა, ჩემო ალექსანდრე, რა ვქნა. მეც მყავს ცოლ-შვილი და რაფერ დავაგდებ ულუქმაპუროდ. ახლა ველარ იტყვიან, ჩვენი საქონელი არ იყოო, აგერ მყავს დამწყვდეული კოლმეურნეობის ბოსელში. დილაზე წავეყვან აგრონომს, სარევიზიო კომისიას და ისინი გადაწყვეტენ წანახდენს. გაიძენე მერე შენი პირუტყვი, არავინ დაგიჰერს.

— მართალი თქვი, ოლიფანტე, შიგ ყანაში დაიჭირე, თუ სხვების მონაძოვი ჩემი საქონლისად იგულისხმე და მინდერიდან გაიჩეკე?

— ამ სუფრის მადლი და ამ ჭადის მადლი გამიწყრეს, თუ შიგ შუა ყანიდან არ გამომედნოს.

და ბიჭები მიხედნენ, რომ ოლიფანტემ მჰადს აკოცა. ხოლო, როცა მეველემ მჰადს კოცინდა, არტყუროდა მამინ.

— კიდევ ხომ არ მიირთმევთ, ოლიფანტე ბატონო, ნუ მოგვერიდებით, მეზობლობაში რა არ ხდება. — დედის ხმა იყო.

— აჰ, რავე გეკადრება, აგრაფინა ბატონო, სად შემიძლია ამდენი ჭამა. კუჭი კვლავ მაწუხებს ეს ოხერი. ექიმმაც ამიკრძალა. ლობიოს ნამეტანს ნუ ეძალებიო.

— სად იყვენენ ბიჭები, ისევე წყალში ეყარნენ?

— არა, ბატონო, წყალში რავე გეკადრება. წუთით თუ ჩაცვივდებიან გასაგრილებლად, თუ არა მთელი ეს გაგანია დღე რკინიგზაზე გაუღით თრაქტენი. მერე რაეარი სიცხე იცის იმ დასაწყევში: დუღს რკინა და ხე ერთმანეთში. მიწა და ბალახი შემწვარია ერთიან. ეგენი კი მატარებელს მოკრავენ თუ არა თვალს, მაშინვე ერთი ყოყინითა და სირბილით მისდევენ გვერდოზე. უმაგათოდ იმ მინდორზე პარავოზი ვერ გაივლის. მერე მოდგებიან და აქვთ ერთი ქოთქოთი: არა ამდენი ვაგონი ება, არა ამდენიო. მერე ატეხენ სირბილს იმ მახუთიან განძელებზე. გარბიან, — დაუცდებათ ფეხი, წაიქცევიან. ადგებიან, გარბიან, მოსწყინდებათ ეს, გაქანდებათ ლიანდაგის გასწვრივ—ერთი ერთ მხარეზე, მეორე მეორე მხარეს, დაუსხლტებათ ფეხი, დაცურდებათ იმ ქვა-ლორღზე, ვადიყვლეფენ გვერდებს, წამოხტებიან და კვლავ გარბიან. მობეზრდებათ ესეც და იმ შიშველი ფეხებით შედგებიან იმ გავარგარებულ რელსებზე, ერთი—ერთზე, მეორე—მეორეზე. ახლა იმაზე გარბიან და ექიშებიან ვინ გაასწრებს. დაუსხლტებათ ფეხი, — კვლავ შედგებიან, დაუსხლტებათ ფეხი, — კვლავ შედგებიან. დაუსხლტებათ ფეხი, კვლავ შედგებიან. მერე საცხა დასაქარგავში იკივლებს ის ქანგის საკმელი. შემოვარდება ყანაში,

ბოვშები ცას ეწვევიან სიხარულით. ჩამოხტებიან რელსებიდან და ოთხამოდებით მისდევენ გვერდზე... ასეა მთელი დღე მაგათი მუხლი წყალში თუ ჩაიკრიფება... ვიღას ახსოვს საქონელი და კოლმეურნეობის ყანა. არიან უპატრონოდ მიტოვებულნი და რა მოეთხოვება პირუტყვს? გადადის, ჩემო ბატონო, იმ კოლმეურნეობის კაი ყანაში და დაბულრაობს შიგ! ჩემსას არ დაიჭვრებ, მარა, რომ ნახო, ალექსანდრე, აგტირდება კაცს კაკალი გული. ასე უღმერთოდ რაფერ გაიმეტებს კაციშვილი იმ ნაშრომ-ნაწვალევს. რაფერ შეაქმევს ძაღლსა და ღორს. ხომ იცი, რა შრომაა ჩაღვრილი. გლეხი ხარ შენც და იცი მოსავლის ყადრი, რა ვქნა, გენაცვალოს ოლიფანტე, გამოვრეკე, ბატონო, და ქე შევრეკე კოლმეურნეობის ბოსელში. დილაზე წაიყვან აგრონომს და ჩაიბარე მერე თქვენი პირუტყვი... დიდი მადლობა ვაბშაშზე, აგრაფინა ბატონო, დიდი მადლობა. ასეა, ჩემო ალექსანდრე, და რა ვქნა...

ბიჭები მიხედნენ, რომ შინ აღარ მიესვლებოდათ.

— ჩვენი სასიმილდე ცარიელია. იქ შევიტანეთ ცოტაოდენი შარშანდელი მორჩენილი თივა. საბანი არ დაგვკირდება და ლეიბი. დაწეჭი და იძინე რამდენიც გინდა.

— მერე, ძებნა რომ დაგვიწყონ?

— დილაზე მაინც ვერ მოვკვანებენ. უთენია კი შენ მიყურე, რას ვიზამ მე.

— პირუტყვი აგვართვეს და ახლა რაც გინდა ის ქენი.

— არა, შენ მიყურე, უთენია რას ვიზამ მე. წამოდი ახლა და დავიძინოთ. ნალია დიდა და ორივე კარგად დავეტევით.

— რაა, მაინც რას აპირებ?

— რაა, ჯაბა და, ის, რომ ბოსლის ყარაულის ძაღლი შეჩვეული მყავს. დავით-ბაბუა იტყვის ხოლმე: ერთი პირი ძილი დილით წყალსაც მოუვაო. მივებარები ბოსელს, გარედან აქვს ურდული გაყრილი იმ ოხერს, გავალებ და გამოვრეკავ ძროხებს.

— ყარაულმა რომ გაიგოს?

— ვერ გაიგებს. მხოლოდ ასანთი კი დაგვკირდება. მარა არაფერია. შინ შევალ და ავიღებ წამოდი ახლა. ნუ იცი-პაწიაზე ყურების ჩამოყრა.

— არა, გენადი, თუ საქონელმა მართლა მოძოვა ყანა, კი უნდა შეაფასონ და გადავიხადოთ. კოლმეურნეობისაა ეგ, ჩვენი ხომ არაა.

— რავე სულელივით ლაპარაკობ, შენ. ახლა ეგ გამიხდეს სადარდებელი. ყანა თავად ოლიფანტესი ხომ არაა, კოლმეურნეობისაა. კოლმეურნეები კი ჩვენც ვართ. რაა მერე, თუ ჩვენმა საქონელმა ორიოდ ღერი სიმინდი მოწიწკა.

— არა, გენადი, განაწილებამდე ჩვენი არაფერი არაა, საერთოა ეგ. საერთო კი, მამამ თქვა, უფრო მოსაფრთხილებელია. უნდა შეაფასონ და გადავიხადოთ. ბაბუამაც თქვა საერთო რაცაა, მეტი გაფრთხილება უნდაო.

— კარგი, არა ღირს ახლა მაგზე ლაპარაკი. ძილის დროა უკვე.

— შშია.

— მოიცა ცოტაც. დაიძინებენ და საშაბიდან გამოვიტან ყველაფერს.

ჯაბამ ჯერ დაუთვლელვაგონებიანი მწვანე მატარებელი ნახა, მერე მწვანეზე-მწვანე ბოლო ვაგონი. ვაგონის ფანჯარაში წრიბა გოგო იღვა და იქედან წითელ ყელსახვევს უქნევდა. მერე მემანქანე დიხარა და დოქის გამორთმევა უნდოდა. ჯაბა ისე ჭიმავედა ხელს, რომ მკლავი ეტკინა. მემანქანე როგორც იყო ჩამოსწვდა, მაგრამ დოქის ყურის მაგიერ ჯაბას ყურს მისწვდა. მოსწია და, რაც ძალი და ღონე პოდა. აქაჩა. ჯაბა მიხვდა, მემანქანეს ელმაველზე სურდა მისი დასმა. თავადაც ეცადა შებობლებოდა ფანჯარამდე. ყური ეტკინა, მაგრამ ვერაფრით შესწვდა.

— რაა, ახლა, მართლა და მართლა, რავე დაგლახავდი ასე. გაინძერი და წამოიწიე შენც.

ჯაბამ თვალი გააბილა. ნალიაში ბინდბუნდი იყო. საგანთი-

აღოს ყიოდნენ მამლები. ხმაზე იცნო გენადი. ყურებში ჩაჰფრენოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავისკენ ეწეოდა.

ჯაბამ თვალები მოიფშენიდა და თივაზე წამოჯდა.

— აღექი ახლა. ძროხები სოფლის ბოლოს გავრეკე. ჰიშურის ღელესთან გვიციდიან. აბა, ჰე, წამოდექი როგორმე. მე ვარ, ნუ გეშინია. წუხელ ისეთი რამე მოვიფიქრე, ახლა ყანას ახლოსაც არ გაეჟარებიან ძროხები.

— რაა მიინც, რა მოიფიქრე ასეთი. წამოდგა მთლად გამოფხიზლებული ჯაბა.

— ა, შეხედე ამას. ქვამარილით მაქვს სასესე.

— მარილით? მერე?

— მერე არაფერი. ნახავ მინდორში.

— რად გინდა მერე ეგ.

— დღეს ნახავ შენ, რისთვისაც მინდა.

— რაეა, მაგ თოფრაკს ყარაულად დაუყენებ ნახირს თუ?

— უფრო უკეთესი ყარაული არ დაქირდება ახლა შვათ.

— აბა?

— ნახავთ თვითონ. წავედით.

სალამოს მამამ კოშმის ქვეშ გაიხმო ჯაბა. თავად ძველი წიფლის მორზე ჩამოჯდა.

— სად იყავი წუხელის, მამა.

ჯაბა ერთხანს დუმდა.

— ნიკოლოზ ბიძის სასიმიინდეში მძინა წუხელის.

— აივანზე გცხელა?

— არა. საქონელი გადამივიდა ყანაში, ოლიფანტე ბაბუამ დაიქირა და სახლში ვეღარ მოვბედე.

— დილას მომადგა ოლიფანტე ბაბუა და კარგად გამომლანძლა.

— შენ რაღას გერჩოდა.

— გინდა თუ არა, ის დაჭერილი საქონელი შენ მოიპარე ბოსლიდანო.

— საქონელი გენადიმ მოიპარა და უთენია გავრეკეთ მინდორში.

— დღეს აღარ გამოჩენილა... აღარაფერს გეტყვი, მამა, ქურდობა რომ

დამწამეს ამ ხნის კაცს, მარა ქე უნდა უფროხილდებოდე ხალხის ქონებას. ყოველდღე ჩემს კარზე იდგა მკვლელებს, ეტყობა, ჰკუა ისწავლეთ. ასე, მამიკო, ალექსანდრე მამაცაშვილზე გლახას ნურავის ათქმევიანებ. ბაბუაშენის სახელს ლოცულობს ქორეთი.. მოვა დრო და შენც გახდები ბაბუა. არ ათქმევიანო, მამა, სოფელს შენზე გლახა. წადი ახლა, კამე ვახშამი და დაიძინე. მანქანაზე დამჯდარ კაცს ხან ქამარი ვერ წვდება და ხანაც წელზე აქვს მიკრული. თოხისა და ბარის მოყვარულს კი არასოდეს მოშივევია ჯერაც. ეს დაიხსოვო შეილო და კარგად ჩაიჭედე თავში მამაშენის სიტყვა.

და ერთ საღამოსაც ჯაბამ ლობიოს ჯამში ამოვლებული მჭადი შეაჩერა, როცა დედა თამბაქოს კვამლში გახვეულ მამას მიუახლოვდა.

— რაა ალექსანდრე, რა დაემართა ამ ძროხას. აქამდე თუ საწველელს ვავსებდი, ახლა, ა, შეხედე შენი თვალით. მეხუთე დღეა: იკლო, იკლო და ხედავ, ნახევარიც არ მოიწველა დღეს. ამასვე მეუბნებოდა გუშინ ჩემი რძალი. რაეა, მინდორში ბალახი დელია თუ? გარედან შეხედავ და ფერდები ამოვსებული აქვს. კისრამდეა მძძარი. მოწველი და სადაა რძე. ავად ხომ არ არის ეს ჩვენი მარჩენალი. თუ ავადაა, რაფერ ქამს ამდენს, რომ ერთიანად ჩამოგვალელებულია. თითქოს ხბოც უფრო გასუქდაო მეტად.

ჯაბამ ლუქმას ხელი უშვა და სმენად იქცა.

მამა წამოდგა, ჯერ საწველელს ჩააჩერდა კარგა ხანს, მერე ძროხასთან მივიდა და ირგვლივ შემოუარა.

ეფერებოდა, ფერდებზე ხელს უსვამდა. მერე ლაჭებში შეუყო ხელი და ცური მოუსინჯა.

— მოდი აქ, ბიჭო. შენ! — დაუძახა. ჯაბამ ქამას თავი ანება და ეზოში ჩავიდა.

— რა არის ეს, რატომა აქვს ცური ასე დამკვნიარი?

ჯაბამ თავი ჩაღუნა და ხელში შერ-

ჩენილ მკადის ნატებს დაუწყო წვა-
ლება.

— სიმადრისაგან ლამის გასკდეს და
ა, ნახე რას უგავს ცური რა არის, ბი-
ჭო, ეს?

ჯაბას თავი ჩაელუნა და სდუმდა.

— შენგან ჯერ ტყუილი არ სმენია
ვისმეს და, აბა, ჰე, ახლა თუ იტყვი
რამეს.

ჯაბას თავი ჩაელუნა და სდუმდა.

— ენა გადაყლაპე? რა არის ეს ბი-
ჭო...

— გენადიმ მოიგონა: ქვამარილს ვუ-
დებთ წყლისპირს. ლოკავს საქონელი
და მერე მოწყურებული ეწაფება წყალს.
მერე ისევ მიდის, ლოკავს მარილს და
ისევ იბერება წყლით...

— არ გამოვიკირდა, რატომ აღარ მი-
ტალახებს ეზოს ოლიფანტე-მეველე-
თქვა? — მამამ კომპს წკებლა შეატება
და ბიჭისკენ დაიძრა.

ჯაბა წკებლის სეტყვის ქვეშ დაიკლაც-
ნა.

გაოცებულ ალექსანდრეს ჰაერში გაუ-
შეშდა ხელი.

— აქამდე თვალს ვერ მოგკრავდი,
წკებლის დანახვაზე ისე გარბოდი, ახლა
რა დაგემართა, ბიჭო, შენ?

ჯაბამ მხოლოდ ნაწყებლარი მოიქე-
ჭა.

— რაა, ბიჭო, ავად ხომ არა ხარ?

— გამოიშვი, მამა, თბილისში.

ალექსანდრემ ყურს არ დაუჯერა.

— რაო? რა თქვი, ბიჭო, შენ?

— გამოიშვი, მამა თბილისში.

— რა ვინდა, ბიჭო, თბილისში.

— გენადი მემანქანეობას აპირებს.

მემანქანე მინდა ვიყო მეც.

ალექსანდრეს კინალამ წკებლა გაუ-
ვარდა ხელიდა.

— მაგისტრის გზრდიდი მე შენ?...
მაგისტრის ვიკლაედი თავს შენთვის?...
რად ვინდა, ბიჭო, მემანქანეობა, ვადი-
რია ჩემი მტერი? მოგწყინდა, მამა, ლო-
გინში თბილად წოლა? რამ მოგანატრა
მასუთი და დღელამ იმ ქანგის საქმელში
გამომწყვედევა, ვადღერიე?... არ გამაგო-
ნო, ხელმეორედ, თუარა შევიშლები

მთლად ჰკუდიდან... ვინ ნახე ჩვენიდან
წასული, ვინ ნახე ზამთარ-ზაფხულ
ჩვენიდან იქ გამოკეტილი? ციციკა-ებ,
მამა, დილეგია ეგ. სად გავინილა, მამა-
ცაშვილები მუდამ კარგი მიწის მუშები
იყვნენ, წლიდან-წლამდე არ შემოკლე-
ბიათ ჰადი და შეჭამანდი. რისთვის იხ-
დი თავს ქვეყნის მოსაჯაყად. ვინ თქვა
მამაცაშვილის მემანქანეობა? მეორედ
არ გამაგონო, მამა. არ გამაგონო, თუ-
არა ველარც მომირჩები ცოცხალი. სახ-
ლი მავათთვის არაა, კარი მავათთვის
არაა, სიცხის დროს სიგრილე არა აქვთ
და სიცხის დროს სითბო. აქამდე გამი-
ზრდინხარ, მამა, და ახლა რაეა გავიმე-
ტებ სასიკვდილოდ. არ გამაგონო ხელ-
მეორედ, თუარა შევიშლები და ეგაა!
გენადის კი ვაჩვენებ, რავარც უნდა მინ-
დორში მარილის ზიდვა. ვიცი: მაგ ეშ-
მაკის ჩლიქმა შეგაგულიანა შენ. მიტომ
დაჰქონდა მარილიც, რომ ყანაში აღარ
შესულიყო. საბრალო საქონელს ელო-
კა და მერე მწყურვალი წყალს დაწაფე-
ბოდა, მერე ისევ ელოკა და კვლავ წყა-
ლი ესევა. არ მივიკირდა: რაფერ ჩამრგ-
ვალდა ამ ოთხ-ხუთ დღეში საქონელი
ისე უცებ, წველამ კი იკლო-თქვა?
თქვენ კი არხეინად დატატყუნობდით
დაწყველილ რკინიგზაზე... სადლა წაეი-
დოდა საქონელი, რადას მოშორდებო-
და მდინარეს?... ახლა ვაჩვენებ გენა-
დის, მივიდე ერთი მამამისთან!
და ალექსანდრე ძმის ეზოში წკებლი-
ანად გადავიდა...

III.

ჯაბა უცნაურმა ჩურჩულმა გამოაღ-
ვიძა. როცა კარვად გამოფხიზლდა, მი-
ხვდა: გენადი გაწოლილიყო მის გვერ-
დით სიბნელეში და ტუჩებით ყურზე
მიჰკრობოდა.

— გაიღვიძე. ყველაფერი გამზადებუ-
ლია, ჯაბა. ბიჭები სოფლის ბოლოში
კოპიტის ძირას გვიციდიან. ყველაფერი
გამზადებულია. აწი მე შინ დამდგომი
არა ვარ. სად შემიძლია საქონლის კულ-
ში ჩინდრიკი. ყველაფერი წვრილად გა-
ვიგე. საერთო საცხოვრებელში ვიქნე-

ბით. იქვე ვისწავლით. მასწავლებელი ასლან ბაბუს შვილი ყოფილა იქ, — ვახტანგი. მეზობელია, მოგვეხმარება. მერე გამოვალთ მემანქანეები. ჩვენი საკუთარი გვექნება ფული, თბილისში ბინას მოგვეცემენ. საითაც გვინდა გავრეკავთ მატარებლებს. ერთს რომ დაავიკრებ საყვირს და შეგრიადლები სადგურში, მარტო ის რად ღირს! ადექი ახლა. ბიჭები იცდიან მთელ ღამეს ხომ არ ვალოდინებთ. ოთარია და გვიია კორკოტაძეები არიან და ერთიც შოთაა პატარიძე. შემპირდნენ წამოვალთ და ნულარ ვაცდევინებთ. თანაც უკვე დროა, ღამე არც ისე დიდია და დილით თბილისში უნდა ვიყოთ.

— გადირიე? ვინ გამომიშვებს ამაღამ თბილისში?

— არ ვინდა გამოშვება. არც მე გამოიშვა მამამ, არც ოთარია და გვიია. არც შოთა პატარიძე გაუშვია მის მშობლებს,

— აბა?

— უნდა გავიპაროთ. ჩუმად ჩავალთ რკინიგზამდე. ჩავსხდებით მატარებელში და დილით თბილისში ამოვყოფთ თავს.

— მერე? ფულს ვინ მომცემს თუ არ ვუთხარი მამას სად მივდივარ.

— არც ჩვენ გვაქვს გზის ფული. რად გვინდა გზის ფული. ჩუმად მივიპარებით ვაგონთან, ჩუმად ჩავსხდებით და წავალთ.

— როგორ, ვაგონის გამყოლი მაგას ვერ გაიგებს? როგორც კი სადგურში შემოვა, იმ წუთსვე ჩაღებუა კარებში და სინჯავს ბილეთებს. ვინ შეგვიშვებს შიგ უბილეთოებს.

— ჩუმად, ნუ ყვირი. არ გვინდა ჩვენ ბილეთი. უამრავი საბარგო დადის თბილისისაკენ. ზოგი მათგანი ცარიელია. მოვებნით ცარიელ ვაგონს, შევალთ შიგ, დავეტავთ კარს და ვიქნებით ჩუმად. დილით ჩუმადვე გავალბთ კარს და გადმოვალთ თბილისში. აბა, ჰე, ადექი ახლა. ბიჭები გველოდებიან კოპიტთან. სულ რჩეული ბიჭებია: გვიია და

ოთარია კორკოტაძეები და შოთა პატარიძეა — შავ-შავი.

— ნწუ მე ვერ წამოვალ, გეჩადი.

— რატომ? — შეშფოთდა გენადი. — დღე და ღამე მემანქანეობას ფიქრობ და რატომ ვერ წამოხვალ? არ გინდა არაფერი, გითხარი მე შენ. მარტო ცოტაოდენ საჭმელს წავიდებთ. სკოლა მოგვეცემს ყველაფერს.

— რაფერ წამოვალ, გენადი, რას იტყვის დედა ან მამა დილით აივანზე რომ ვეღარ მნახავენ? გადირევიან მთლად. რაფერ მოვატყუო მშობლები?

— არ, უნდა ბიჭო მშობლებს მოტყუება. ჩავალთ თბილისში და იქიდან მოვეწერთ წერილს. იმას გავაგებინებთ, რომ თბილისში ვართ და ცოცხლები ვართ. რა მოტყუებაა ეს? ადექი, თორემ გაბრუნდებიან ბიჭები შინ, თუ დროით არ მივალთ.

— რაფერ გავეჭვე მშობლებს, გენადი?

— რაფერაა გაქცევა, ბიჭო, მთლად დასაჯარგში კი არ მიდიხარ, აგერ ისწავლი თბილისში. მერე გარეკე საითაც გინდა მატარებელი. ერთს რომ დაავიკრებ საყვირს და შეგრიადლები სადგურში, მარტო ეს რად ღირს? აბა ჰე, წავიდა ღამე. გაიპარა თვალს და ხელს შუა. ადექი ახლა, ჩაალაგე ჩემოდანში რაც გინდა და ჰერი!

როცა ჯაბა და გენადი კოპიტთან მივიდნენ, ბიჭებს უკვე გადაწურული ჰქონდათ წასვლის იმედი. როგორც კი თვალი მოჰკრეს, გამოვიდნენ ხის ქვეშიდან და ყანის პირას ბილიკზე დაწალიყდნენ. წინ გენადი მიდიოდა. უკან კორკოტაძეები მიჰყვებოდნენ. მერე შოთა პატარიძე და ბოლოს, როგორც ყველაზე უმცროსი, ჯაბა.

ღამე უმთვარო იყო და ბიჭები სადგურამდე შეუძინველად მივიდნენ.

სადგურზე სინათლეები ენთო და ბაქანზე აქა-იქ მოჩანდნენ წინდაუკან მოსიარულე მგზავრები. რკინიგზელთაგანი არავინ ჩანდა. მღუმარებდა მეისრის ჭიხურიც. ალევების უკან მწვანე გაზონებს



გაუყენენ. ჰასთან გავლისას შოთამ ვერ მოითმინა: იქვე ჩაცუცქულ ფინიას წიხლი უჭირა და ააწკაწკავა.

— გავიდი, კაცო? — კბილებში გამოსცრა გენადიმ, — ჩაცუცქლით ამ წუთში! ფინიასათვის ყურადღება არაეის მიუქცევია. მხოლოდ სადგურის ზარის ქვეშ ჩემოდანზე ჩამომჯდარმა ბიჭმა წუთით წაართვა თვლემას თავი და ჰისკენ უწაღინოდ გაიხედა.

— ჰე, ბიჭო, ვიჩქაროთ. აგერ დგას საბარგო მატარებელი. ჩქარა თორემ დაიძვრის და დაერჩებით აქანა. — თქვა ოთარმა.

მეორე ხაზზე თვალგაუწვდენელი შემადგენლობა იდგა. ბოლო სადღაც სიბნელეში იკარგებოდა.

— ამას არ ეყოლება გამყოლები?

— რაეა არ ეყოლება, მარა იქა-აქ. უნდა მივიპაროთ.

მატარებელი ნარევი შემადგენლობისა იყო: მასუთის ცისტერნებს ღია პლატფორმები სცვლიდა. პლატფორმები შეშითა და ქვანახშირით იყო დატვირთული. შიგა და შიგ უფანჯრო, დახურული ვაგონებიც ერია.

— ე, ბიჭო, ეგერ ვაგონი. სადა აქვს კარი ამ დასაწვავს, ნახე, აბა, იქნებ ცარიელია.

— ასეთ ვაგონს კარი შუაზე აქვს. ბიჭო და შიგნით კი არ იღება. გაწევ განზე და გატურდება კედლის გასწვრივ. მოიცა, დაკეტილია. იქნება რამეა შიგ.

— ა, აგერ მეორე. აბა, ჰე, გენადი, მიდი.

მხოლოდ მეოთხე ვაგონი იპოვეს ბიჭებმა ცარიელი. დიდი სიფრთხილით გაადეს კარი და შიგ შელაგდნენ.

— კუთხეში მიდით, ბიჭებო, კუთხეში. იქ მიიკუნჭვინით და სული გასნაპეთ. ასე, ასე, აბა, ჰე, ჯაბა, აგერ, დადექი და მე კარს დაგკეტავ.

ბიჭებმა კარი საიმედოდ დაკეტეს, კუთხეში მიდგნენ.

ყრუდ აღწევდა სადგურის ხმაური. სადღაც შორიდან რომელიღაც ღამის ფრინველი ოდნავ გასაგონი ნალვლიანი ხმით იძახდა.

— ბუ არის, ალბათ.

— ბუ კი არა, მიკოტირე. *მიკოტირე*

— კოტი იქნება, ეგ ბუმბულა! *გასასტა*

ლელი.

— სსსს...

— შუშუ... გადაირიეთ?

სადღაც აყიყინდა მარტოხელა ვასაკა. ალვის ხეების მხრიდან გაიჩხაკუნეს კენკებმა. სულ ახლოს დააცემინა რალაც ცხოველმა ცხვირი და მერე ვაგონქვეშ ფრთხილად გაქერა.

— ის ძაღლია ნამდვილად, წიხლი რომ უჭირე.

— ტურა იქნება, დაიწვას მისი ბანალი.

— ტურა არა, ვეფხვი არ გინდა.

— სსსსს!..

— შუშუშუ!... გადაირიეთ?

ბიჭები იდგნენ სიბნელეში და ღუმდნენ.

ვაგონის ბოლოში აჩუჩუნდა რალაც. მერე მოისმა ძვლების კნეტიის ხმა და ყბების მოურიდებელი წკლაპუნია.

— გეუბნებით ტურაა-თქვა.

— რა უნდა, ბიჭო ტურას მანდ, აგერა გვერდით სადგური.

— შენ არ იცი როგორია ტურა. მინდორში მიპარულიყო ერთხელ ბაბუასთან, შეისკმელი რომ ვერაფერი ენახა, ქალამანს მოსჭიდებოდა მის ფეხზე.

— აბა! დაახეთქა ახლა ტყუილი!

— ა, აგერა ბაბუა და კითხე თუ არ გჯერა!

— ვის ატყუებ, ბიჭო, შენ?

— სსსს!...

— შუშუ!... ხომ არ შეიშალებ მართლა? მოვლენ ბიძია და დაგაჭერინებენ კარგ ტურას!...

უეცრად გაისმა ზარის ხმა.

ერთი.

ორი.

სამი.

ჩადედებული სიბნელე გააპო ორთქლმავლის კივილმა. მერე დაიბღღვინა, აბუყბუყდა და ვაგონების გადასაბმელებმა ატეხეს ჰახაქუხი. ჰახუნე ორთქლმავლის მხრიდან წამოვიდა, მოახლოვდა, ბიჭების ვაგონის თავსა და ბო-

ლოშიც შექაზუნდა, მერე გაჰყვა, გაჰყვა ასე და საღლაც მინდორში ჩაიკარგა. მოულოდნელად ვაგონი ისე შეხტა ამ ჰახუნზე, ბიჭები ერთმანეთს მიაწყდნენ. მერე კვლავ დაიგუგუნა ორთქლმავალმა და... მატარებელი დაიძრა.

სადგურიდან ნელა აითრია წელი და წყვილ-წყვილი თვლები დააარაკრაკა:

„— აბა, ჰე და წა-ვე-დით!...“

აბა, ჰე და წავედით!..“

მერე რაჟი გაიმინდერა. დაიმედებულნი გათამამდა.

„—ველარაჟინ დაგვეწვეა!“

„—ველარაჟინ დაგვეწვეა!“

ბოლოს მთლად გადაიჩრია, ლიანდაგიც გადარია და ამპარტაუნულად წააყარა:

„— მე ვარ რაცა ვარ!

მე ვარ რაცა ვარ!

მე ვარ რაცა ვარ!

მე ვარ რაცა ვარ!...“

ბიჭებს ახლა კი მოეშვათ გულზე და მხიარულად აჰაჰყანდნენ.

— ლამე ვიქნებით, გენადი, თბილისში თუ დილით?

— არც ისე ახლოსაა თბილისი, დილით ვიქნებით იქ, ასე თქვა ასლან ბაბუამ.

— ვინაა ასლან ბაბუა?

— ვინაა და ბიჭიაა ნადია ბიციოლასი.

— მერე, რა იცის მან თბილისი.

— რავე არ იცის, შე კაცო, ახალგაზრდობაში მატარებლის გამყოლი ყოფილა ასლან ბაბუა.

— ეუჰ.

— უყურე შენ!

— აბააა!

— მერე იცი სადაცაა ეგ სასწავლებელი?

— რად მინდა მე სასწავლებელი. აგერ მიწერია მისი შვილის სახლის ნომერი. ის ასწავლის თურმე იმ სკოლაში.

— აბა ავშენებულვართ და ეგაა.

— ყველა შემანქანე გამოვა?

— ვისაც რა უნდა, ის გამოვა იქ. აგერ მე და ჯაბას შემანქანეობა გვინდა. თქვენ ამოირჩიეთ მემისრეობა, გამოყო-

ლობა, სადგურის მორიგეობა, ან სადგურის უფროსობა. ზოგი ქვე დადგება რკინიგზაზე და აწევს ემ მატარებელზეებს.

— მე თუ არ მინდა იმ დროშის აწევა?

— დროშის აწევა რავე არ გენდომება. შე გლახა. იმ დროშებს ყველას კი არ აწევენებენ. შენ იდგები არხეინად შენთვის ლიანდაგთან, ჩამოგვლით მატარებლით მე და ჯაბა, სალამს რავე არ გავიმეტებთ მეზობლისთვის, — ჯერ სალამს გეტყვიოთ და მერე ჩაგიჭროლებოთ. შენ იდგები გზასთან, გვერდზე გეკიდება ის დროშები და იშვლუკ მალუზერივით უცებ. ჩვენ ჩაგიჭროლებოთ და შენ მანამდე გეჭირება ხელში ის დროშა.

— მერე?

— მერე რა? როცა გავივლით ქვე ჩაგებ ბუღეში იმ შენს მალუზერს

— რავე, გენადი, შენ ზომ თქვი თქვენც შემანქანებები იქნებითო.

— ყველა რომ შემანქანე იყოს, ბიჭო, ვილამ გააცილოს მატარებელი იმ დროშებით?

— არა, ძმაო, მე მაგისტვის თბილისში ვერ წამოვალ. არ ხარ კაი კაცი შენ, გენადი. რაფერ ამადლოლიაღე ამ შუა ლამით და მიგყავარ მაგისტვის თბილისში? — ნწუ! გამიღეთ კარი, ჩავალ ძირს და თქვენ წადით იქ.

— ე ბიჭო, გაულე კარი, ეგებ მოიტეხოს როგორმე კისერი.

— მოიცა, გენადი, მართალს ამბობთ თუ?

— ვიხუმრე, შე კაცო, აბა თბილისამდე რაფერ გაძლებ ისე.

— ჰოდა თქვი მასე, რავე, შემანქანეობა ჩვენ გვაწყენს თუ?

— შოთა არ ვიცი და მე კი მართლა მინდოდა ჩასვლა ძირს.

— შენ რალა შეგიჭდა, ბიჭო?

— მომწყურდა ძლიერ.

— ე ბიჭო, რა დროს წყურვილია. აგერ ჩავალთ თბილისში და სვი დათაფლული წყალი გასკდომამდე.

— ისე წყალი მინდა მე.

— აიტეხავს ეს უბედური ახლა რა-
ლაცას.

— მიდი, თუ რამე გინდა, ბიჭო, ეგ-
ერ ვაგონის ბოლოს.

— ვაგონის ბოლოს შენ მიდი, ძირს
ჩასვლა მინდა მე.

— აქ არაა წყალი, ჯაბა. მოიტეხ მინ-
დორში კისერს. მოიცა, აგერაა ზესტა-
ფონი და გაგიღებ მაშინ კარებს.

ზესტაფონში კარგად დააყურეს ბი-
ჭებმა, მერე კარი ფრთხილად გაიღეს.
და ჯაბა ძირს ჩაუშვეს.

— აბა, ჰე, აგერ მოეთარე იმ მატა-
რებელს.

— რად უნდა მოეთარება, ლამეა
ირგვლივ.

— ჩქარა, ჯაბა, არავინ მოვიდეს.

ჯაბა გავარდა და სიბნელეში ჩაიკარ-
გა.

მატარებელი ისე მოქლოდნელად
დაიძრა. ბიჭებს გული გადაუტრიალ-
დათ.

— ჯაბა!

— ჯაბა!

— ე, ბიჭო, ჯაბა!

— არიქა, ჯაბა!

— ჩქარა, ჯაბა!

— ბიჭებო, ჩუმაღ. ე, ბიჭო, დაკეტე
კარი, სინათლეზე გავდივართ. ჩქარა,
სადგურის წინ ვართ. ჯაბა!

შორს სადღაც გამოეყო ლამეს ბი-
ჭის ლანდი და მატარებელს სირბილით
აედევნა.

— შორჩა! გათავდა ჯაბას საქმე. და-
რჩა უბედურად.

— სწორედ ახლა მოუნდა წყალი და
ათასი ჯანდაბა.

— მაგას მე ვიცი, რა წყალიც უნ-
დოდა.

— რაც უნდოდა ჰე დაიჭირა. არაა
სატყუები ახლა ეგ? მიიღო კარგი შემან-
ქანეობა.

— იტყვის ახლა სახლში და მოგ-
ვებნინან ჩვენები.

— არ იტყვის.

— რაეა არ იტყვის, შე კაცო, თვალს
და ხელსშუა დაკარგა შემანქანეობა.

— ჯაბა არაა მასეთი. არ იტყვის არა-
ფერს.

არქონულა

— ჯაბას ჯერ ტყუილი არ უთქვამს.
იტყვის და მოგვებნინან ჩვენები.

შორაპანამდე დამდურებულებივით ის-
ხდნენ. შორაპანს შემდეგ ოთარმა და-
იწყო რაღაცა, მაგრამ არავინ უპასუხა
და მიჩუმდა ისიც.

ხარაგაულში წუთით შეჩერდა მატა-
რებელი. შეჩერდა და მათი ვაგონის
კარზეც დააკაუნეს.

ბიჭებს შიშისაგან გულები გაუჩერ-
დათ, ადგილზე გაქვავდნენ და სუნ-
თქვაც შეწყვიტეს.

კიდევ დააკაუნეს.

გენადიმ სიბნელეში მოძებნა მეგობ-
რების ხელები და თითების ძლიერი
მოჭერით აგრძობინა ჩქამი არ გაე-
ლოთ.

ნუთუ ჯაბამ ასე მალე მოასწრო სად-
გურში რამის თქმა: .. ვინ იცის, შე-
შურდა მათი, მივიდა და ყველაფერი
ჩაუქაკლა სადგურის უფროსს?... რა
დიდი რამ უნდოდა, ტელეფონით და-
რეკავდნენ და ახლა უკვე მოადგნენ
კარზე?

ჩუმათ!

ჩუმათ!

ჩუმათ!

კიდევ დააკაუნეს და გაისმა ძლივს
გასაგონი ჩურჩული.

— გენადი!.. გენადი, ბიჭო!.. გა-
აღე გენადი, მე ვარ. ჯაბა ვარ, ბიჭო!..

ბიჭებმა ყურს არ დაუჭერეს.

ჯაბა? — რა უნდა აქ ჯაბას?

— ჰე ბიჭო, გააღე კარი, თორემ
მოვევდი ამ რკინებზე ფეხზე დგომით.

გენადის სიფრთხილე დააეიწყადა.
უმალ იცნო ბიძაშვილის ხმა და გავარ-
და კარისაკენ.

ის იყო დაიძრა მატარებელი და ჯა-
ბაც ამობობლდა ვაგონში.

— საიდან გაჩნდი, ბიჭო შენ? — მი-
ეხვიენენ ხელახლად მოველენილს, რო-
ცა კარი მიკეტეს.

— სირბილით მოვევებოდი შორაპ-
ნამდე რკინიგზას. ეტყობა შორაპანში
დიღხანს იყო გაჩერებული. ის იყო

იღებდა სიჩქარეს, რომ ბოლო ვაგონს წამოგეწიე და აეედი ზედ.

— მერე?

— მერე არაფერი. ვიდექი მობუზული იქ ხარაგოულამდე. აგერ ჩამოვხტი და მოგაკითხეთ.

— კია ალალი შენზე მემანქანეობა, ჯაბა. აბა, ჰე, ბიჭებო, რაკი ჯაბაც მოვიდა მოვეწყოთ ახლა და დავიძინოთ. ამის შემდეგ როგორც ასლან ბაბუამ თქვა, გავალთ დიდ გვირაბში და მერე აღარაფერი გვიკირს. აგერ მივწვეთ კუთხეში და გამოვიძინოთ დილამდე. დილას კი გავალთ თბილისში და შივალთ პირდაპირ ასლან ბაბუას შეილთან. . . ეინ ყოფილა თბილისში?

არაეის ხმა არ ამოუღია.

— თქვენ ქუთაისი არ გეგონოთ თბილისი, — ათჯერ შეტია და ოცჯერ შეტია ქუთაისზე.

— ეუჰ!

ბიჭებმა როგორც იყო მოიძღეს გული ლაბარაკით. ჯაბას ერთხელ კიდეც მოუტყაპუნეს ბეჭებზე ხელი და მერე მიწინენ თავთავიანთთვის ვაგონის კუთხეში.

დილით პირველად შოთა პატარძემ გამოიღვიძა. წამოიწია და წამოჯდა. დააყურადა. არსაიდან ჩამიჩუმეი არ ისმოდა. მატარებელი იდგა. ვაგონის კარის ღრიჭოდან დღის შუქი სცემდა. სწორ ზოლად სჭრიდა შუაზე ვაგონს. ქალაქის ხმაური ვერ აღწევდა შიგნით. ან იქნებ ჯერ კიდე ეძინა თბილისს?

გახარებული შოთა გადასწვდა და ბიჭები წამოყარა.

— გივია, ჯაბა, გენადი! აღექით, მოვედით! ოთარია, ბიჭო, აღექი, შე ძილის გულა, მოვედით თბილისში.

ბიჭები უწადინოდ გადაბრუნდ-გად-მობრუნდნენ. მერე ზანტად წამოიწიეს და ბოლოს გამოფხიზლებულები ფეხზე წამოცვივდნენ.

— ჯაბა, მოვედით, შე ღდინძალლო. რა ფეხი გქონია, ბიჭო, შენ, აბა, ჰე, გავალოთ კარი, სანამ არაეინ მოგვდგომია ზედ.

— აბა, მიდი, თუარა, მერე მთელი ქალაქი დაგვინახავს.

— ახლა ვინც უნდა დაგვინახოს მე არ მოგიკვდეთ, არ მქონდეს მაგის ჯავრი. ოთარია, მიდი, გაიხედ-გამოიხედ ფრთხილად და გააღე კარი.

ოთარი მივიდა კართან, ფრთხილად გაიხედა და მერე ზედ მიაკვდა ღრიჭოს.

— სადაა აქ ქალაქი, ბიჭო? . . .

— რა არის, ოთარია?

— სადაა, გენადი, თბილისი?

— რა არის, ოთარია?

— რა არის კი არა, მინდორში ვართ საცხა.

— ხომ არ შეირეკე, ოთარია, მიმიშვი ერთი!

— ა, აგერ, შეხედე შენი თვალით. საცხა გავჩერებულვართ დასაღუპავში.

— რაა, ბიჭო მართლა ეს?

— რა არის, გენადი, არ გამაგიჟო კაცი.

— აგერ ნახე, გივია. მიუშვი, შოთა, ეგეც ა, შეხედე კარგათ.

— სადა ვართ, გენადი?

— სადა ვართ, ბიჭო?

გენადი ხმას არ იღებდა, გაშეშებულიყო კართან მიხვეულ ბიჭებში და გამტკნარებული სდუმდა.

— მართლა მინდორში ვართ. გააღეთ ახლა კარი, რიდასი გეშინიათ?

— აბა, მიჩქმიტე, ბიჭო, სიზმარში ხომ არა ვარ. უჰ! უჰ! რას შვრები, კაცო, შენ მართლა მჩქმეტ?

ბიჭებმა კარი გააღეს და ძირს ჩამოვიდნენ.

მატარებელი აღარსად ჩანდა. ერთად ერთი მათი ვაგონი იდგა ამ მიყრუებულ ადგილას. შორს შენობის მხგავსი რაღაც მოჩანდა, მას იქით კვლავ თვალუწვდენელი მინდორი და მინდორს იქით ლურჯ ლივლივა ბურუსში აწვილილი მთები:

— ბიჭოს! სადა ვართ ეს?

— წისქვილში ვართ, ნამდვილად. ზე, ზე, ზე, შეხედე ერთი, ჯაბა რაეა მეწისქვილეებივით ამოსვრილან ფქვილში.

— შენს თავზე დაიხედე, შე უბედურო, ვის დასცინი შენ

ბიჭებმა შეხედეს ერთმანეთს, დაიხედეს ზედ და მერე ატყდა სიცილი და ტანსაცმლის ბლარტა-ბლურტი...

— ფქვილია ნამდვილად ეს ოხერი.

— ფქვილი კი არა, ცემენტია ეგ. აბა ჰე, ჯაბა, გაიბერტყე უკან და მერე მე გაგბერტყავ შენ.

შენობების მხრიდან ვიღაც მოდიოდა მათკენ.

— აქ მოდის.

— იქნებ აქ არ მოდის.

— პირდაპირ აქ მოდის.

კაცი თანდათან ახლოვდებოდა. უბრალოდ ეცვა. ტანსაცმელი მასაც დასვრილი ჰქონდა. მხარზე გრძელტარიანი ცოცხი ვადო.

— გამარჯობათ, ბიჭებო, საით ამგზავრებულხართ, კაცო?

ბიჭებს ხმა არ გაუღიათ. იღვნენ და უცქეროდნენ.

— საყრუმუნჯეთიდან ხომ არა ხართ, რატომ ხმას არ იღებთ?

— სადა ვართ, ბიძია?

— როგორ, კაცო, საიდან ხართ, რო აქაურობისა არაფერი იცით?

— თბილისში მივედიოდით. ავერ ვიყავით ვაგონში. მერე გათენდა და მინდორში აღმოვჩნდით.

— ამ ვაგონში იყავით? — კაცმა გადაიხარხარა. — ეს კაცო, ცარიელი იყო. ვითხოვეთ და ჩვენ მოვხსენით სპირტის ქარხნისთვის. აქ მოვიყვანეთ და ჩიხში დავაყენეთ. უნდა დავგაო! ამით მოხვედით?

— ამით მოვედით... ახლა რა ექნათ ბიძია, საით წავიდეთ?

კაცმა ერთხელ კიდევ გაიცინა გულიანად, მერე კეფა მოიქეჭა და იკითხა:

— საიდან, ხართ, შეილო?

— ზესტაფონის მხრიდან ვართ, ქორეთიდან.

— უჰ, ამ სიშორეთ რამ წამოგიყვანათ, კაცო?

— თბილისში მივედიოდით სასწავლებლად.

— აქ რაღამ შავაძვრინათ ჰა?

— ბილეთის ფული არ გექონდა.

— შინიდან ხომ არ გაიპარეთ, კაცო? დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, და ბიჭებმაც დაუდასტურეს.

კაცმა თავი სინანულით გაიქნია და თითი შენობისკენ გაიშვირა.

— აი, ამ ლიანდაგს ვაპყევით და პირდაპირ ვაგიყვანთ სადგურში. ეს სადგური გომია. ეს ვაგონი ცარიელი იყო და სპირტის ქარხნისთვის მოვხსენით. აქ გადავყენეთ ჩიხშია. უნდა დავგაო. ვაპყევით ამ ხაზს და პირდაპირ სადგურში მიგიყვანთ... ჰე, ჰეე, რა არი ბაღლობაი!..

დღისით ვერაფერზე შეხედეს ბიჭებმა უბილეთოდ. მთელი დღე უსაქმოდ დაყილობდნენ სადგურზე. დამით კი „თბილისი-ბათუმის“ შემადგენლობის ტამბურებსა და კიბეებზე აძვრნენ.

და მოხდა წარმოდგენელი: სრულიად მოულოდნელად გადაეყარნენ ვაგონიდან ტამბურში გამოსულ ასლან ბაბუას...

IV

ჯაბამ მოიხედა და გაოცდა: ვიღაც შავი, გამხდარი, პატარა ბიჭი განზე გამხტარიყო და იქიდან უღერნდა. ბიჭს დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა, აბურძგნული თმა ჯაგარივით აეშალნა და დაუბანელ სახეზე დროდადრო თეთრ კბილებს აეღვებდა.

უეცრად ბიჭს გალუული სახიდან ფახი და რიხი ჩამოერცხა, შეტრიალდა და უკან მოუხედავად მოუსვა.

ჯაბას, არც ის დაუნახავს ხელი ვინ ჰკრა და რად ჰკრა, არც ის, მისი ტანსაცმლითა, ხარახურით და სანოვავით გატენილი ჩემოდანი თვალის დახამხამებაში ცხვირ წინ უგრძნეულოდ ვინ ააცალა.

— შენ რა გინდა, პაპაჯან, გამიშვი! გამიშვი, რა, გამიშვი! შენ დედას ვენაცვალე! შენ მამას ვენაცვალე! შენ წვერებს ვენაცვალე! გამიშვი, რა, შენი ხომ არაფერია, პაპაჯან!

ჯაბამ მარჯვნივ მოიხედა და კიდევ უფრო გაოცდა: ასლან ბაბუას ცალო

ხელით გაქცეულ ბიჭზე ცოცხა მოზრდილი ბიჭი ჩაებლუჯა, ცალიც მისი ჩემოდნისათვის ჩაევლო და ქუჩას გულმოდგინედ ათვალერებდა.

— მილიცია! — დიძახა ასლან ბაბუამ და ტრამვაის გაჩერებას მიაცივდა — როცა საჭიროა, მაშინ დაიყარვებიან და სადაც საჭირო არაა, იქ გამოტყვრიბიან. მილიცია!

— არ გინდა მილიცია, პაპაჯანი რად გინდა მილიცია. აჰა ვარ, ხო არ გაერბივარ, არ გინდა მილიცია! გამიშვი რა, პაპაჯანი! შენი წვერებში გენაცვალე! შენი დედას და მამას ვენაცვალე! ნუ გინდა მილიცია. აი, აილე, ახალი ქამარია, ნახე რა თანაა, ნახე, რაა, კარგად ნახე, აფიცრისეულია, ჭერ ბალთა უყურე რა არი, — პაჩტი ვერცხლია. ნახე, რა, კარგად ნახე! არ გინდა მილიცია, გამიშვი. შენ ქამარი, მე გამიშვი — ბარი ბარში პაპაჯანი! — ბიჭი იგრინებოდა, იწევდა. ცდილობდა დასხლტომოდა, მაგრამ ბერიკაცის მტკიცე ხელს მაგრად ეჭირა მისი წვრილი მავა.

ბიჭმა ქამარი შეიხსნა და მეორე ხელში ძალით ჩაჩრა სცადა. უქამროდ ნახსენისარი შარვალი ჩასძვრა და ფეხებში გაებლანდა.

ჯაბამ უნებლიედ თვალი ჰკიდა უტრუსო, გაენაჭულ კანჭებსა და ბარძაყებს. მის მაგიერ თავათ შერცხვა, თვალი აარიდა და თანასოფლელებს გადახედა.

გამტყნარებულ გვიგის და ოთარს მკადის ნატეხები ხელში შერჩენოდათ. გენადი და შოთა ტროტუარის კიდეზე ისხდნენ და გაოგნებულებს კყინტი ყველისათვის ენაც თან მიეყოლებინათ.

ბიჭმა შარვალი ალახმალახ წამოკრიფა, აიწია და თედოსთან შეაჩერა.

— აილე, რა, პაპაჯანი, აილე! აფიცრისეულია, ნახე, რა არი!

— მაგიც მოპარული გექნება შენ. ეძინა ალბათ, იმ საწყალ აფიცრს და შეხსენი. მაგი შენ გქონდეს. ნაარპალი ასლან ნოდისა ჭერ სახლში არ შეუტანია. თუმცა, მოიცა, მომეცი აქ. გამოვიყენებ მაგას.

— აი, სალოლ, პაპაჯანი! ეგრე! შენი დედას ვენაცვალე, შენი მამას ვენაცვალე, შენი წვერებში ვენაცვალე! ნუ გერიდება, აილე, მალალი იყოს, მშვიდობაში მოგახზაროს. ვაიმე! რას მიშვრები, პაპაჯანი! ვაიმე, ვაიმე! კარგი რა. კარგი რა! ვაიმე! კარგი რა, პაპაჯანი! კარგი, კარგი! ვაი ფეხი! ვაი წელი! ვაი მუხლი, ვაი ფეხი! ფეხი, ფეხი, ფეხი!

მერე როგორც იყო ბერიკაცისა და ქამრის სეტყვას დაუსხლტა და ვიწრო ქუჩაზე თავქვე გაქენდა.

— უჰ შენი დედა, უჰ, შენი მამა, შენი წვერები!.. — შარვალი სირბილში კვლავ ჩასძვრა, ფეხებში გაებლანდა და ასფალტზე პირქვე გაცურდა. და გინებაც დაამთავრა: — ვენაცვალე!

სანამ ასლან ბაბუა წამოეწეოდა და ქამარს კვლავ გაახურებდა, წაქცეულმა წამოხტომა მოასწრო და ისევ წამოვიდა გინების ნიაღვარი.

ტრამვაის გაჩერებიდანა და რკინიგზის I სახელოსნო სასწავლებლის ეზოდან ხალხი გამოზობდა. ახალი ამბისა და სენსაციის მოყვარულთ სანახაობის იმედი მიეცათ.

— რა იყო, ბაბუა, რატომ სცემდი იმ ბიჭს?

ასლანმა ჩემოდანი ისევ ჯაბას წინ დადგა და ბიჭებს მკვახედ დაუთაცხანა:

— ეს, ბაბუა, ბანოჯა კი არაა — თბილისია! ასი ყური და ასი თვალი გინდათ აქანა. რავე შტერებივით ჩამომსხდარხართ, იღმურძლებით და პირები დაგილიათ. რავე აგართვეს ცხვირწინ ჩემოდანი!

— ხელი სხვამ მკრა და შენ სხვას რატომ სცემდი, ბაბუა?

— ჰოი, შე გლახა, რავე ვერ შენიშნე, რომ ის მეორეც მასთან იყო? ერთმა ხელი გკრა და თქვენი ყურადღება თავის თავზე გადაიტანა. მერე, რაკი ჩემოდანს აღარავინ უყურებდა, იმ მეორემ დაავლო ხელი და გააქანა! კიდეც კი, რომ მალე გამოვედი სკოლიდან და თქვენთან არ ვეგონე. აქანა ასე იციან, ბაბუა, თბილისია, — ასი თვალი და ასი ყური დაგჭირდებათ აქანა. ძველი ნა-

კონდუქტორალი ვარ მე, ბაბუა, მაგენი ვერაფერს გამომაპარებენ. აბა, ჰე, რა ამბავია, რა მოხდა, რას შემოეხეიეთ ახლა. ბოვშები არ გინახავთ თუ?

ასლანი ცნობის მოყვარეთა წრეში მოტრიალდა და შვილის თვალებს პირისპირ შეეფეთა.

— რა დაგემართა, მამა, რა იყო?

— არაფერი, მამა, რა უნდა დამმართონოდა, აგერ, მოწაფეები ჩამოგიყვანე სასწავლებლად. მართალია, ცოტა ქეა დაგვიანებული, მარა, არ დამამადლი და მიიღებ სასწავლებელში.

— მერე, ასე უნდა ჩამოყვანა? სახლი არა მაქვს თუ კარი, რატომ მარცხვენ ამდენ ხალხში.

— არაფერს არ გარცხვენ მე. აგერ შემოვიარე სკოლაში შენს სანახავად და სანამ გამოვიდოდი, ორიოდ ლუკმა გაულოღნიათ ბოვშებს.

— ჩვენებურებია?

— ქორეთელებია. მატარებელში შემხვდნენ. რაცხა შემთხვევით გავედი დედრეფანში და აგერ არ დგანან ატუშულები?

— შემოიყვანე, შემოიყვანე, ნულარ აჩერებ ქუჩაში.

ბიკებმა წამოიკიდეს თავიანთი გულანახადი და რკინიგზის I სახელოსნო სკოლის ეზოში ერთიმეორის მიყოლებით შელაგდნენ.

ოთახი, რომელიც ქორეთელებს ბინად მიუჩინეს, ოც კვადრატულ მეტრს არ აღემატებოდა და რვა საწოლს იტევდა. ორი ფანჯარა პირდაპირ საბჭოს ქუჩას გადაპყურებდა. ერთ ფანჯარაზე ვილაც ბიკი გადაამჯდარიყო, ფანდურს უკრავდა და თან ტბილი ხმით დამღეროდა.

ბიკმა დავერა შეწყვიტა, მოტრიალდა და რაფიდან ჩამოხტა. ტანდაბალი იყო, შავგერემანი. ფანდური ზურგს უკან დაიჭირა და მოკლე ფეხები გაჩაჩხა.

— ახლები ხართ, ბიკებო?

ბიკებს ხმა არ გაუციათ. ცნობისმოყვარედ ათვალერებდნენ.

— რა ჩვენებიანთ ვირებივით გასდექით, ვერ გავიგეთ ქართული?

— ვინაა ვირი, შე თხის ცურცლო, რომ მოვიდე და ჩამოგიღებ/მაცხებებ... აიქოჩრა გენადი.

— აბა, აბა, ცოტა ფრთხილად, ყიბლაგ, თორემ წუთნახევარში გაგშლი იატაკზე.

გენადიმ ახედ-დახედა ტანდაბალ ბიკსა და პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა. მივიდა და რომელი საწოლიც მოეწონა, იმაზე დააგდო თავისი ზურგჩანთა.

— ამ ოთახში ხართ?— იკითხა დამხედურმა.

— ჰო, აქ უნდა ვიცხოვროთ. — ჯაბამ ჩემოდანი საწოლის ქვეშ შეაკურა.

— რომელზე ჩაგრიცხეს?

— ელმავლების თანამემწეების ჯგუფში.

— მე ვაგონების გამსინჯველი ზეინკლების ჯგუფში ვარ. სადაურები ხართ?

— ქორეთელები.

— სად არი?

— ზესტაფონშია.

— გეურქას ეკითხებიან:

„სად ცხოვრობ?“

„საქუას პირდაპირ“.

„საქუა სადღა ცხოვრობს“.

— ეგაპ, როგორ თუ სად?— ჩემ პირდაპირ — ზესტაფონი სადღაა?

ბიკებმა ერთმანეთს გადაპხედეს.

— შენ რა, მარსიდან ხომ არ ჩამოხვედი?

— არა, კონდოლიდან.

— კონდოლი სადღაა?

— მარსის მეზობლად. იმერლები ხართ?

— იმერლები ვართ,

— მე კახელი ვარ. კონდოლი თელავის რაიონშია, მირიანი მქვია. თქვენა?

ელიაც აყლაყულდა შემოვიდა და კარებშივე შეჩერდა.

— ეგაპ, ახალი „სასტავი“ მიგვიღია. ეტყობა სოფელები ვართ. ადესა-სულგუნი, ქყინტი ყველი, ხაჭაპურები თავისი... რამე-რუმეებით. საწოლის ქვეშ ჩემოდანს ვხედავთ. ტუმბოჩასთან ბოხჩა დაგვიღვია. ცოლიკაური

სურით დაგვიდგამს, პა, დავიმკლავთ. ჩორნავ?

— ჯერ არ მოწყობილან.

— ვაპ, მაგას რა დიდი სალამანდრები უნდა: ერთი აქ დაწვება, მეორე იქ, მესამე მანდ, მეოთხე მაგის გვერდით და ეს სალამანდრაც მანდ, — გათავდა! თამაშობ? — გენადის მოუბრუნდა.

— ბურთს?

— ვაპ, გამომივიდა ესეც პაიჭაძე. ზარზე გვეითხები რაა.

— რომელ ზარზე?

— ვაპ, ეს მთლად გორსალა ყოფილა, თბილისში პირველად ხარ?

— პირველად.

— მაშ კენჭი უნდა გადავყლაპოთ, ჩორნავ. პურმარილზე ჯერ არ დაუფიცნიათ?

— ეხლახან მოვიდნენ.

— მაშ უნდა დავაფიცოთ.

— ჯერ მოსალამოვდეს.

— სანამ მოსალამოვდება, თითო გავგორებას მოვასწრებთ.

— დაიცა, სალმანდრ, სადაცაა დეიდა ნადია გამოჩნდება. დასაბინავებლები არიან.

— ჯერ არ მოვა. აბა, შენ მაღალო, მოდი ერთი თითო თხლამოი ჩავიდეთ. ჩორნავ, არიფია და შენ თვალი იყავი. დიასახლისი შემოვიდა და თეთრეული შემოიტანა.

— ვაპ, ნადია დმიტრეენა, დღეს ნამდვილი სალამანდრა ხართ. რაღაც განსაკუთრებული ლამაზი გვეჩვენებით. — აყლაყუდა კოხტად გაიჭიმა და ფეხები ჰუსარივით მარჯვედ მიადგა.

გაფუებული დიასახლისი კეკლუცად გაიპრანჯა და მალღარის სარივით დარქმული გზიდან ფრთხილად მოიცილა.

— შენ ხომ გიტხრეს ობშჩეიტიაში აღარ გნახოტო. სიჩას აქ ვახტანგ ასლანოვიჩი მოვა და ტუ გნახა, მე გაჯაგრდება.

აყლაყუდა მიხვდა, რომ ოთახში ახლა არ ედგომებოდა. აქა-იქ მიყრილ ბარგს მსუნავად გადახვებდა და თვალი ჯაბას ჩემოდანს დაადგა.

— მაგრამ, ნადია დმიტრეენა, განაწესით ხომ ოთახში ჩემოდანს შენოტანა არ შეგვიძლია?

— ნუ, სად ნახე ჩამადანი.

— აი, სად შეგვალულვართ და საიდან ვაპაქუნებთ თვალს.

დაბალმა ბიჭმა წარბი შეიკრა.

დიასახლისმა საწოლქვეშ შეიხედა და აწურულ ჯაბას დაუცაცხანა.

— შენ, ბიჭო, არ გიტხრეს, რომ ვკომნატე ჩამადანი არ იქნება?

ჯაბა უხერხულობისაგან კიდეც უფრო გაფითლდა.

— ამ ცუტში ცაიგე ივ კამერე ხრანენიე ჩაბარე.

— არევაძე, შენ აქ რა გინდა? ხომ გაგაფრთხილეს, საერთო საცხოვრებელში აღარ მოსულოყავ?

მკვახე შეძახილზე ბიჭები მობრუნდნენ და კარებში ასლან ბაბუას შვილი დაინახეს. მას წარბი შეეკრა და გამსკვალავი თვალით აყლაყუდას უცქერდა, აყლაყუდა მოიშალა და ნირი წაუხდა.

— ჩორნას სანახავად შემოვიარე, მას... ავტომუხრუქებში ერთად ვმეცადინებოტ ხოლმე.

— გაკვეთილებს თუ ყოველთვის დაესწრები, ასე პარტიზანულად აღარ დაგვირდება მეცადინეობა. ახლა კი მოუსვი აქედან და თუ კიდეც გნახე... ეს რა არის ნადია დმიტრეენა? რამდენჯერ გაგაფრთხილეთ დახეული ზეწრები სხვა რამეში გამოიყენეთ-მეთქი? აბა, რას ჰვავს? ამ წუთში ჩადით და გამოუცვალეთ.

— აგარ არის, ვახტანგ ასლანოვიჩ, სულ გაცემულია, კველას გაცემულია.

— აბა, ახლავე ჩადით და გამოცვალეთ! ბიჭებო, მეც თქვენებურნი ვარ. ოსტატი-მასწავლებელი, ინჟინერი ვახტანგ ნოდია. თქვენ ჩემს ჯგუფში ჩაგრიცხეს.

ხვალდანვე ახალ ფორმას ჩაგაცმევთ. ბინად ეს ოთახი გექნებათ. დილის 7 საათზე მორიგე კომენდანტი გაგაღვიძებთ. ათ წუთში უნდა ძირს ჩამოხვიდეთ და მოედანზე ჩამწკრივდეთ. დილის გამამხნევებელი ვარჯიში გექნე-

მათ, რვის ნახევარზე პირს დაიბანთ და ჩაიკვამთ. რვა საათზე სასადილოში იქნებით. სასადილოში თვითმომსახურებაა. ჩუმაღ, წყნარად, უხმაუროდ შეკმათ საკმელს და ცხრა საათისათვის უკვე მზად იქნებით სწავლისათვის, მეცადინეობის დროს ძალიან მკაცრი ვართუ ვინმე ვერ გაიგებს მკითხეთ და შეათედ ავუხსნი. სამაგიეროდ გამოკითხვისას არავის დავზოგავ. ეს — მოკლე ექსკურსი წინასწარი გაცნობისათვის. ახლა კი გამომყევით და ყველაფერს გიჩვენებთ. ეს ჩემოდანი ვისია?.. ჩემოდანზე ვამბობ: ვისია-მეთქი.

— ჩემია. — წაიკნავლა ჯაბამ.

— რა გქვია შენ?

— ჯაბა.

— გვარი?

— მამაცაშვილი.

— რომლის ხარ, ბიჭო, შენ?

— ალექსანდრესი.

— ვიცნობ მამაშენს. აი, რა, ჯაბა: აქ მართლაც არ შეიძლება ჩემოდნის დატოვება. წამოიღე და მე გიჩვენებ სადაც უნდა მიიბარო, როცა დაგჭირდება, მიხვალ და გამოიტან. აბა წავიდეთ. ნადია დმიტრეენა, მაგ ზეწრის გამოცვლა არ დავაფიწყდეს, მირიან, ჩვენთან ხომ არ წამოხვალ?

ჩორნამ თავი გაიქნია.

ბიჭებმა საპირფარეშოდან მოკიდებული და სახელოსნოებით გათავებული, გულმოდგინედ დაათვალიერეს ყველაფერი. ბოლოს ოთახში დაბრუნებულთ ნოდია უკანვე შემოჰყვა. თეთრეული ერთხელ კიდევ შეამოწმა და რაკი დიასახლისის კეთილსინდისიერებაში დარწმუნდა. ახალბედებს მიუბრუნდა:

— აბა, ბიჭებო, ახლა თქვენ იცით, ეცადეთ დრო ტყუილად არ გაფლანგოთ. არ იცუღლუტოთ. ავარ-მავარა ბიჭებს არ აჰყვით. კარტი და კამათელი არ ითამაშოთ. ღამე თავის დროზე მოდით შინ. განსაკუთრებით კი არუვაქეს უფრთხილდით, აი, იმ ბიჭს, წელან რომ აქედან გაიბურწა, ვერ წავასწარი, თორემ ხმები დადის: საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სოფლელ ბიჭებს

ზარს ეთამაშება და ფულისაგან ფტკენისო. გარდა ამისა, თქვენც დაგვიანეთ და ახლა დიდი მეცადინეობაა გინდათ, რომ თქვენს ჩგუფელებს დაეწიოთ. აბა, არ შემარცხებინოთ, ხომ იცით, დავგვიანებულია და ჩემი დიდი პროტექციით ხართ მიღებული. ნდობას გამართლება უნდა და სიკეთეს სამაგიერო სიკეთით მიზღვა. ახლა კი დაისვენეთ, დანაყრდით და ხვალისათვის დილის გამამხნევებელმა ვარჯიშმა ლოგინში არ მოგისწროთ.

როცა მასწავლებელი წავიდა, ქორთელები ერთბაშად განიტვირთნენ დაძაბულობისაგან და მოეშენენ. შოთა პატარიძე როგორც იღგა, ეგრევე გადაიქცა საწოლზე და სიამოვნებით გაიზმორა.

— რა ზამბარები აქეს, ბიჭო! — და შიგ ნებეირად აქანავდა.

— არც ჩემია ნაკლები, ა, ნახე სადამდე შევხტი. — გადაგორდა ოთარიც.

— მოდი, ჯაბა, შენც წამოწევი შენია დღეიდან ეგ საწოლი.

— მშია, გენადი.

— რა არის, ბიჭო რა მგელი ჩავიძვრა მაგ მუცელში. — სულ მშია და მშია! აგერ წამოწევი პატარას, დაისვენე, დაასვენე მაგ ყბები და მერე სად გაგაქცევა შენი არჩივი..

— მშია, გენადი.

ოთარი საწოლზე წამოჯდა და ფეხები თათრულად მოირთხა.

— მეც მომშივდა, ბიჭებო. მოდით, ჯერ გვამოთ და მერე უფრო კარგად დავისვენებთ. ჰა, რას იტყვი, გივია.

— რავე, ჰამაზე როდისმე მითქვამს უარი თუ? მომწოდე ეგ პარკი! აგერ აქ გაეშალოთ ჩემს საწოლზე.

— საწოლზე ჰამა არ შეიძლება. ოთახის მამასახლისი მე ვარ და სისუფთავეზეც მე ვაგებ პასუხს. ანდე ეგ ტუმბოები მიადგიტ ერთმანეთს, ან ეს სკამები, თუ არა და აი რამოდენა მაგიდაა. ადექით და ადამიანურად ჰამეთ, ეგრე ძროხებმა იციან: წამოწევიან და ყბადაუღლეულად იცოხნებიან.

შავტუხა ისე უფლებამოსილად ლა-

პარაკობდა, გენადისაც არაფერი უთქვამს, ისე მიითრია მაგიდასთან თავისი ჭარისკაცური ზურგჩანთა.

— აბა, ჰე, ჯაბა, აგერ ჩამოჯექი.

— ამოვიტან ჩემოდანს.

— რად გინდა ჩემოდანი, დღეს ეს გვეყვარა და ხვალ ვაგხსნათ ჩემოდანი.

— არა, ჯობია, ამოვიტანოთ. მოდი, მირიან, შენც დაგვეწვიე.

ჯაბამ ჩემოდანი ამოიტანა, პირდაპირ მაგიდაზე შემოდო და ვახსნა. სახურარჩე ხელში ეჭირა და გაქვევებული მზერით იცქირებოდა.

— რა გაქვს შიგ ისეთი, ჯაბა, რომ თვალი ვეღარ მოაცილო.

— რა არის, ეს, გენადი?

— რაა, ჯაბა?

— რა არის ეს, გენადი?

— რაა, ბიჭო, რა მოხდა, თქვი ბარემ, ადამიანის ფერი აღარ გაქვს.

— ვინ ამოიღო ჩემი საჭმელი?

— რაეა, აღარ არის თუ?

— აღარც ჭადია და აღარც ყველი.

— ხომ არ შექანდი, ჯაბა, ვის უნდა ამოეღო შენი ჭადი და ყველი, შენახული გქონდა ცხრა კლიტულში!

— აღარც ვაშლია შიგ და არც მსხალი, დაბნეული გენადი წამოდგა და თავათ მოჩხრეკა ჩემოდანი, მერე კიდევ უფრო დაბნეულმა გადახედა ბიჭებს.

— მოუპარნიათ, ბიჭებო.

— ვინ მოიპარავდა შენახულს, კაცო?

— ალბათ, შემნახავმა, სხვა ვინ მივიღოდა იქ? — და ოთარმა ოთახის მამასახლისს კითხვის თვალი მიაბჯინა.

კონდოლეულმა ბიჭმა თვალი აარიდა და ფანჯარაში გაიხედა.

— ჩადით და ჰკითხეთ. — მოუბრუნებლად თქვა.

გენადიმ თავათ შეკრა ჩემოდანი, დაავლო ხელი, კარისკენ მუქარით წავიდა და ბიძაშვილიც თან გაიყოლია.

მთელი მეოთხედი საათი ისხდნენ ბიჭები და ელოდნენ. არც ერთს პური არ გაუტეხია.

კარი გაიღო და გაფითრებული გენადი შემოვიდა.

ჯაბა მოწყვეტით მოათრევდა თავის

ჩემოდანს. ქვედა ტუჩი უკანკალვდა და ცრემლებს ყლაპავდა.

— რა არის, გენადი? — მშინ მხარბობ ბოლოს შოთამ.

გენადი საწოლზე მოწყვეტით დაეცა.

— რა არის, ბიჭო?

— რა არის და ჯაბას პირზე დაადგა ბერიკაცი, გინდა თუ არა, წედან შენ წაიღე ჩემოდანი და ისევ დააბრუნეო.

— რაიო? ხომ არ შეიშალა ის გადაღობებული?

— რაის ჩემოდანი წაიღო, ჯაბა მთელი დღე არ მოგვეცილებია გვერდიდან.

— გინდა თუ არა შენ წაიღეო, ასე ამბობს.

— მერე? არაფერი უთხარი შენ?

— რაეა არ ვუთხარი, შე კაცო, მარა, მათხოვა ყური? აქეთ შემომიბიტა: ცილისწამებისთვის დირექტორთან გიჩივლებ და დღესვე მიგაბრძანებ სასწავლებლიდან.

— რატომ, ბიძიკო, ჩემი საჭმელი შექვამო და მევე მიჩივლო-თქვა? რატომ არ უთხარი?

— კი ვუთხარი, შოთა, მაგისტანები ვუთხარი? მარა დაავლო მის ჯოხს ხელი და მიფრინა. არა ძმავო, აქანე თუ ასე გაგვფცქვენეს, რაფერ ვისწავლით მეელმავლეობას?

— ჩამოსვლისთანავე გადაეკიდნენ მაგ ჩემოდანს: ჯერ ქუჩის ბიჭები, ახლა ეგ ბერიკაცი. დათარსული ყოფილა ეგ ჩემოდანი, ჯაბა, ამოალაგე თუ რამ დარჩა კიდევ შიგ და ისროლე ფანჯრიდან. რა ყოფილან ეს თბილისელები.

— ძია ვახტანგს, ვუთხრათ.

— არ გინდათ ძია ვახტანგი, ის ბერიკაცი მართალია.

ახალმოსულნი ერთხანს გაილურსნენ, ყური ხომ არ გვატყუებდნო.

შავტუხა მობრუნებულიყო და ახლა უკვე სიბრალულით უცქერდა ბინის მოზიარეებს.

— ის ბერიკაცი მართალია. მე ქალაქს კარგად ვიცნობ. აქ რომ ნახეთ, ისეთ ბიჭებსაც. რასაც ეხლა გეტყვი, კაცი-შვილს არ უთხრათ, თორემ ბინიდან გარეთ აღარ გამეხვლება, შეიძლება აქაც

მოვიდნენ და პასუხი აქ მომთხოვნონ... ის დაკარგული — სალამანდრას წაღებულა. მოსვლისთანავე ტყუილად არ დაადგა მაგ ჩემოდანს თვალი. ბერკაცო ახლებს ეგრე ადვილად ვერ დაიხსომებს. ვინმე ჯაბას ტოლა მიგზავნა და ჩემოდანი გამოატანა. კიდევ ნამუსიანად მოქცეულა. მარტო საქმელი წაუღია. დაიხსომეთ და ნეხეში გასვრილი ჯოხივით ერიდეთ.

V

მთელ წელიწადნახევარს ჯაბას წიგნი ხელიდან არ გაუვდია. კითხულობდა, წერდა, ხაზავდა, ანგარიშობდა, ყოველგვარ დაეალებას ასრულებდა. მალე ოსტატ-მასწავლებელთა თვალში ნიჭიერი ბიჭის სახელი დაიმკვიდრა.

ჯგუფის ხელმძღვანელმა ადრე აუღო ალღო. ყოველმხრივ ეხმარებოდა და აქეზებდა. ელექტროტექნიკასა და ელმავლებზე დაწერილი ბროშურებით ამარაგებდა.

ბიჭები თავიანთი ასაკის ჩვეულების მიხედვით, კვლავ ჯარისკაცებს ხატავდნენ რვეულის კიდეებზე და თავისუფალ ფურცლებზე. ჯაბას რვეული კი ამ მხრივ ვერ დაიკვივნიდა: ყველგან, სადაც კი მოეხერხებინა, რკინიგზის ლიანდაგები გაეყეთებინა და ზედ ელმავლები დარბოდნენ წალმა-უკუღმა. იქვე ეხატა აჯამეთის სადგური, ისეთი, როგორც მუდამ თვალწინ ედგა. ამ „მშვენიერ“ ანსამბლს აგვირგვინებდა მატარებლის მომლოდინე თვლებდაქვეტილი მისრე და ბაქანზე არაბუნებრივად გაკიშული მორიგე. სასწავლებელს იქვე ჰქონდა საზეინკლო, სადურგლო თუ საარჩილაი საამქროები. ერთ დღეს რომ თეორიულად შეისწავლიდნენ. რომელიმე საგნის გაკვეთილს, მეორე დღეს პრაქტიკულად ამტკიცებდნენ ამ ცოდნას დაზგებზე. ელმავლის წვრილ-წვრილ ნაწილებს ჩარხავდნენ. აკეთებდნენ: ჩაქურებს, ღოჯებს, მკენეტარებს, გირავებს. სწავლობდნენ რჩილვას და მალე ჯაბამ ხელი ისე გაიწაფა, მის გაკეთე-

ბულ გაზ-ჩაქურს, კლიტე გასაღებებსა თუ ხრახნ-ჰანჭვიკებს ოსტატის ნახტავად იგულებდით.

ვახტანგს შწირად მიჰყავდა თავისი შევირდები დეპოშიც. ცდილობდა აქედანვე მისჩვეოდნენ მოტორებისა და ურიკების შეკეთებას. აქვე იღვნენ სარემონტოდ შემოსული ელმავლები. ბიჭებს ერთი სული ჰქონდათ, როდის დამთავრდებოდა კლასებში მეცადინეობა და როდის გაგზავნიდნენ პრაქტიკაზე. „შორით ბნედა, შორით დაგვის“ თვალებით ეალერსებოდნენ და, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდათ, ზედ ებლორტებოდნენ იმ ელმავლებს.

„ცხოვრება ნანახი“, „ქვეყანა მოვლილი“ მეელმავლეები დიდსულოვნად რთავდნენ ამის ნებას და თან გულს უკეთებდნენ: კიდევ ერთი წელი და თქვენც მოგივით დრო მანდ ჯდომისათ. წელიწადნახევარმა ისე ჩაიარა, ოთახში წიგნი და დაზგასთან ქლობი ხელიდან არ გაუვდია ჯაბას. თავადაკლული სწავლობდა ელმავლების სქემებს, მის ნაწილებს, ელექტროტექნიკას, ავტომუხრუჭებს, სიგნალიზაციას, საზეინკლო საქმეს თუ ავტობლოკირებას...

ბიჭების შინაური ცხოვრება მშვიდობიანად მიდიოდა. ყოველ შაბათ სალამოს ხუთიდან ერთ-ერთი ქორეთში მიდიოდა და შვილების ახირებასთან უკვე შერიგებული მშობლებიდან სანკვავით დატვირთული ბრუნდებოდა კვირა სალამოს.

კონდოლეუ ბიჭს კარგად შეეგუენ. ჯაბა კი ისე მიეჩნია მირიანს, თავისუფალ დროს ჩონგურის დაკერას სწავლობდა მისგან...

VI

— ატანდა! — გაისმა და მოხედვაც ვერ მოასწრეს, მოთამაშენი მიწამ ჩაყლაპა.

ჯაბა ვერ მიხვდა მარცხენა ხელში რა ჩაუდგეს. უნებურად მოუჭირა და იგრძნო, ორი პატარა კენჭი იყო. უცებ

თვალეები გადმოსცვივდა და თმები ყალ-
ყზე დაუდგა. უნდოდა გადაეყარნა, მაგ-
რამ უკვე გვიან იყო. ბუჩქებიდან შვი-
დი თუ რვა კაცი გამოვიარდა და ალყა
შემოარტყა.

— არ გაინძრეთ, თორემ გავათა-
ვებთ!

ჯაბამ უნებურად ჯიბეში იკრა ხელი.

— აბა, აბა, თოქმავ, არ გამოგვივა. —
და ერთმა მაჯაზე მარწუხი მოუჭირა.
ტყუილია, ვერ დამალავ!

ჯაბამ გაშლილ ხელისგულს თავა-
თაც დაჰხედა. თეთრ კამათლებზე დაყ-
რილმა შავმა წინწყლებმა გველის თვა-
ლებივით შემოანათა.

მერე დამნაშავენი მაგრად ჩაბლუჯეს
და წინ გაირეკეს.

გზადაგზა ბიჭები ფიცით იჭაკებოდ-
ნენ, ჩვენ არ ვიყავითო. მაგრამ ვის მო-
ატყუებდნენ? უფროსებმა ზედ მოა-
ტანეს. ო, რა ძნელია კაცის ნდობა! აი,
შეხედავ და იტყვი, ჭიანჭველასაც
ფეხს არ დაადგამსო, ხელში კი კამათ-
ლები დაუჭირეს. მოდი და სოფლელი
დაუძახე. მაინც სად გაიწაფა ეგრე,
რომ კარგა ხანია ესმით: რკინიგზის 1
სასწავლებლის რომელიღაც მოსწავლე
ზარს თამაშობსო. მასწავლებლებმა კ
ერთხელ ვერ წაასწრეს: სულ ტყუილია
ძველი მუშებისთანა! მუშათა კლასს
ვერაფერში გააცურებ! როგორც კი
დებოში გადმოვიდნენ პრაქტიკაზე, შა-
შინვე ჩააველეს. არა, კაცმა რომ თქვას,
ბარე ორჯერ-სამჯერ ამათაც დაუსწლ-
ტნენ ხელიდან, მაგრამ ახლა ხომ გა-
თოყეს! როგორც კი მაცნე მოვიდა და
შეატყობინა, დებოს უფროსის მოად-
გილემ მაშინვე ექვსი მემანქანე წაი-
ყვანა, ალყაში მოაქცია და წუთში გა-
ქაჩა.

მეორე სართულის დერეფანი ვაი-
არეს, უფროსის კაბინეტი შეაღეს და პი-
რდაპირ შევიდნენ.

— აბა, სერგო, ესეც შენი პრაქტი-
კანტები! — მოადგილემ ნადავლი კა-
მათლები უფროსს მაგიდაზე დაუწყო.
მემანქანეებმა მოყვანილთ ხელი უშ-
ვეს და განზე გადაგნენ.

მაგიდის იქით შავი, უზარმაზარი კა-
ცი იჯდა. აჯაგრული წარბები. ტევრი-
ვით გაუფალი უღვამი, მათზე ნანჯა-
ლივით გამოსული ცხვირი და ხიმტი-
ვით ბრიალა საზარელი თვალეები. ვე-
ება მხრებზე ასაფრენად გამზადებული
დემონის ფრთებივით მოჩანდა სიგრ-
ძივ გაწოლილი პოლკოვნიკის ბრტყე-
ლი სამხრეები.

— ეს კამათლები ვისია? — დაიგუ-
გუნა საზარელმა კაცმა.

ჯაბას ციებამ შეუტია.

— ამისი გახლავთ. — თავის აქნე-
ვით აჩვენა მოადგილემ.

— შენია?

ჯაბამ კბილებს კაპუნი დააწყებინა.

— შენია?

ჯაბა დაილია, დაილია, დაილია და იმ
კამათლების ოდენა გახდა.

— პრაქტიკანტია? — დაუქვდა დე-
პოს უფროსი.

— კი ბატონო, პრაქტიკანტია, მაშ!

— როგორ, რკინიგზის სასწავლე-
ბელში ყრუ-მუნჯებსაც იღებენ?

ბიჭები ველარაფერს ხედავდნენ, პი-
რი გაშრობოდათ, თავი უზრიალებ-
დათ. უნებლიეთ აგონდებოდათ პრაქ-
ტიკაზე მოსვლის პირველი დღე. როცა
ამ კაბინეტშივე შემოიყვანა ოსტატმა-
მასწავლებელმა. მაშინ ეს შავი კაცი არ
იყო შავი კაცი. სახეზე რაღაც ნათელი
ეფინა, თვალეებიც უცნაურ სითბოს
გამოსცემდა. ხოლო ხმა ჭალაში შეფა-
რებული ქედნის დვრინზე უტკბესი
ჰქონდა. მამაშვილურად დაარიგა, რამ-
დენიმე მაგალითი დაუსახელა, კაცს პა-
ტიოსანი შრომით საწაფელისთვის რა
ხშირად და, ზოგჯერ მისთვისაც მოუ-
ლოდნელად როგორ მიუღწევია. ახლა
კი...

— ვისი ჭგუფისანი არიან?

— ვახტანგ ნოდისი.

— დარეკეთ მილიციაში, ციხეში ჩა-
ყარონ!

ახლა კი მთლად დაუსკდათ გულეები
და ხუთმა ბიჭმა ხუთი ხმით დაიბღავლა.

— ჩვენ არა ვყოფილვართ, ბატონო.

სხვები თამაშობდნენ. ჩვენ მხოლოდ ვუყურებდით.

— რაო? — ოთახში მეხი გასკდა. — უარსაც რომ ბედავენ? დაურეკეთ და მოაშორონ აქედან!

გენადი უკვე ხმაშალდა მოსთქვამდა, ძმები კორკოტაძეები იმდულდებოდნენ და გულში მუშტს იბაგუნებდნენ. ჯაბას ლოყებზე ღელეები გადასდიოდა. შოთა პატარძქეს ცრემლიც გაშრობოდა, მომაკვდავივით გაფითრებულიყო და ერთსადაიმევე სიტყვას ძლივსგასაგონად ხიხინებდა:

— ძალიან უფროსოო... ძალიან უფროსოო... ძალიან პატივცემულო, ბატონო უფროსოო...

უფროსი ერთხანს გამგმირავ თვალს არ აშორებდა.

— შენ რა გვარი ხარ, ბიჭო?

— მე?

— მე?

— მე?

— არა, ეს ნაგალა. რაგვარი ხარ ბიჭო?

— მამაცაშვილი, ბატონო. ძლივს ამოიხავლა ჯაბამ.

— რაღაც ვერ გეტყობა, რომ შენ გვარს ამართლებდე. რა გქვია?

— ჯაბა.

— ეგ სახელი კი ნამდვილად შენზე ყოფილა გამოჰკრილი. მაშ ეს შენა ხარ, ვახტანგ ნოდამ ყურები რომ გამომიჭედა: წინა კურსი ფრიალზე დაამთავრა და ყოფაქცევით კი ფრთები აკლია, თორემ ნამდვილი ანგელოზიაო?

უცებ კარი გაიღო და ვახტანგ ნოდია შემოვიდა.

— აჰა, მადლობა ღმერთს, მოხვედი. აი, სანაჭებო ნიშა-ხარმა, ნიახურზე გადა... აფურთხაო. — სწორედ ეს არი.

ბიჭები შემობრუნდნენ და სიხარული-სა და იმედის ნაპერწყმებმა იელვა მათ სახეზე.

— მასწავლებლო! მასწავლებლო! ჩვენ არა ვყოფილვართ. დედას გეფიცებით, ყველაფერს გეფიცებით, ჩვენ არა ვყოფილვართ! — მერე მასწავლებლის უკან კონდოლელი ბიჭის ნახშირივით

შავ თმას მოჰკრეს თვალი და კიდევ უფრო მეტი იმედი მიეცათ.

„ეტყობა მირიანი ამჟღად დაუსტლებს და მაშინვე მასწავლებელი მოძებნა. მართლა ჰკვიანია ეს ჩორნა. ქალაქელი ბიჭები ტყუილად კი არ უწევენ ანგარიშს“.

— ბატონო სერგო, — ვახტანგმა მემანქანეთა წრე გაარღვია. — ესენი უღანაშაულონი არიან.

— რაო? უღანაშაულონიო? — გაღიყებული პაპიროსი რამდენჯერმე მძლავრად მოქაჩა და კვამლი ბოლქვა-ბოლქვად გამოუშვა. — უღანაშაულონიო? — წამოიწია, წამოიწია, ადგა, ადგა, გარს შემოხვეული ბოლიც თან აიყოლია და თავი ჰერს მიაბჯინა.

ახლა დაფეთებული ბიჭების თვალში ისე გამოჩნდა, როგორც თავზე ნისლდაჯანღებული ყაზბეგის მწვერვალი.

— უღანაშაულონიო? აი, აბა, დახედე! ეს კამათლები მაგ შენს პროტეჟეს წაართვეს მუტკაში ჩაბლუჯული. ზემოთ, დებოს ბაღში გასულიყვენ, ბუჩქებში ჩამალულიყვენ და კამათელს აგორებდნენ ეს შენი მიამიტი ბიჭები.

ნოდამ თავი გაიჭინა.

— ვერ დავიჯერებ, ბატონო სერგო. როგორ, ჯაბა ზარს თამაშობდა? ამის დაცერება, უბრალოდ, შეუძლებელია.

— გამოდის, რომ გიორგიმ მე მომატყუა და ახლა მე შენ გატყუებ... ერთი უთხარით, ბიჭებო, რა პოზაში გათოკეთ ეს ჩველი.

— ჯაბას ტყუილი ჯერ არავის ახსოვს. აი ვკითხავ და, თუ უარს იტყვის, მე მას დაუჯერებ და თქვენ მე.

მთელი ერთი საათი დასჭირდა იმის მტკიცებას, რომ ზარს არც თვითონ თამაშობდნენ და არც კამათლები იყო მათი.

— მაშ ვინ იყვნენ, ჩვენები? მესადეკითხებოდნენ და ყოველ შეკითხვას, ახლა უკვე წინ გამოვარდნილი მირიანი პასუხობდა.

— არ ვიცი ვინ იყვნენ, ბატონო უფროსო, ვერ ვიცანით.

— შენა, ჩორნავ, შენ რისთვის ეტენები შიგ?

— ავი გითხარით, მეც იქ ვიყავი და თამაშს ვუყურებდი-მეთქი...

ქარიშხალი თანდათან ცხრებოდა და მერე მთლად ჩაღდა.

— კარგი, წაიყვია, ვახტანგ ეს შენი მუშეკეტერები და წადი. ოღონდ აღარ გავიგო, რომ თუნდაც საყურებლად წახვიდეთ სადმე.— და უცებ ქედანი ადვრინდა, — სადაც არი მეღმამეულები უნდა გამოხვიდეთ, თქვენ კი მომდგარხართ, და ზარის თამაშს უყურებთ. დღეს უყურებთ, ხვალ უყურებთ, ზევ უყურებთ და მასზევ კი თქვენ, თავად შეგილიტინებთ მისი თამაშის სურვილი. ისინი თქვენს ჩათრევას შეეცდებიან და ყველანი ირად წაგაქეზებენ. უნდა ერიდოთ, შვილო, უნდა ერიდოთ ვიღაც მამაძაღლებს, ვიღაც გათახსირებულებსა და გადაგვარებულებს. საშინელ დამნაშავეებს. ორმაგად, სამაგად, ასმაგად დამნაშავეებს. ასეთ დროს განა საქმის ლაღატი შეიძლება? ისინი არაერთად პროდუქციას არ ქმნიან და რაკი ცოცხლობენ, მაშასადამე, სხვის შექმნილს ნთქამენ. მაშასადამე პარაზიტები არიან, რომლებიც უნდა გაისრისონ. რა გაქვთ იმათთან საერთო? თქვენმა მასწავლებელმა თქვენი ქებით ყველას ყურები გამოუჭედა. განსაკუთრებით ამ დაგვალულს მიხსენებენ ხშირად. მოიცა, მოიცა, შენ ის არა ხარ, ამას წინათ ელექტროლუმებში გასათბობად რომ შეძვერი და კარი ჩაგვეკეტა?

— რაო? — მემანქანებმა ყურები ცქვიტეს, — რომელ ღუმელში?

— წევის ძრავების ღუმების საშრობში.

— წევის ძრავების ღუმებისო?! — და მემანქანებმა ისე გადაიხარხარეს ბიჭებს ეგონათ ეგ არი, ჰერი თავზე დაგვეცემო.

— კიდევ კარგი, შემთხვევით იქით გავიარე. კაცო, საიდანდაც ყრუ ღმუილი, ბლავილი და ტირილი ისმის. ვიხედები აქეთ-იქით, — არავინ არი. რა გქნა, მეჩვენება თუ რა ამბავია ჩემს თავს. მაგრამ ეს ბლავილი მაინც მესმის და მერე როგორი როგორც მგლისგან გასაფატრა-

ვით წამოქცეული ძროხა გამოსცემს. მერე უცებ მივხვდი, ღუმელში რომ არავინ მოჰყვა-მეთქი. ვეცი იმხელაა! რკინის კარს, მარტომ ავწიე და ცოცხალმკვდარი ბიჭი გარეთ გამოვიყვანე. შენ არა ხარ, კაცო? რატომ ხმას არ იღებ?

— ეს არის, ეს პატივცემული ბატონო უფროსო, — დიახ, დიახ ეს არის! — აყლოპინდნენ ბიჭები.

ჯერ კიდევ გულდაუშოშმინებელს, უფროსის ნაცნობობით გახარებულ ჯაბას თავი მორცხვად ჩაელუნა და სდუმდა.

— ჰაი, თუ არ შემოგსწრებოდი, რა გოცივით შეიწვებოდი! რა ჰქენით, ისწავლეთ ელმავლის დაშლა-აწყობა?

ბიჭებს უყვე საბოლოოდ გაეფანტათ შიში და მორიდებით დაუდასტურეს: ვისწავლეთო.

— კარგია, შვილო, ძალიან კარგი. თუ ზედმიწევნით არა ხარ დაუფლებული ზენიკლის ხელობას, მემანქანეობის დროს გაგიჭირდებათ. ვთქვათ, სადაც უადგილო ადგილას გაგიტყდა რამე ნაწილი, წასულია შენი საქმე! ამიტომ, სანამ პრაქტიკაზე ხართ, ერთი წუთი არ უნდა დაჰკარგოთ უქმად, არ უნდა დაიზაროთ, არც სამუშაო უნდა შეგაშინოთ. საქმე რომ კაცს შეაშინებს, იმისგან არაფერი გამოვა. ეხლა სადა ხართ, სასვლელ-მექანიკურში?

— არა, ბატონო უფროსო, რა ხანია საპარატურო საამქროში ვართ.

— აი, ბიჭებო, რა უნდა გითხრათ: გუშინ ისევ აწვევითი შეკეთების საამქროში შეცვიენილხართ და ამწებზე გითამაშნიათ. თურმე ერთი ჩართავდა და დანარჩენები ამწის კავზე ჩამოკიდებულები მალა აჰყავდა, მერე ისევ დაბლა ჩამოჰყავდა. ზოგი ახტებოდა და ისევ ძირს ვარდებოდა. აბა, ეს რა თამაშია, კაცო? იქ, მალა აყვანილებს რომ გაგეშვით ხელი და ძირს ჩამოვარდეთ, რაღა პასუხს აძლევთ თქვენ დედ-მამას? ან ჩვენ აღარ გებრალბით, კაცო? — ჩვენ რაღა პასუხი გავცეთ: ან თქვენს შრომებს, ან სასწავლებელსა და, ან მთავ-

რობას? არ შეიძლება, მოეშვიტ, თორემ თავათვე ინანებთ. რაღა დარჩა?—სულ ერთი თველა. გაივლით ჰაერგაყვანილობას, ავტომუხრუჭების შეკეთებასა და აწყობას და, მერე დაჯდებით ელმავლეზზე: სამი თვე იქ გექნებათ პრაქტიკა და — გათავდა შენი მტერი და ავად მახსენებელი! დაამთავრებთ სასწავლებელს და იქნებით შემანქანების თანაშემწეები! მერე ვნახავთ იქ თავს როგორ გამოიჩენთ. თუ სანდო ხალხად მივიჩნევთ, მერე იქნებ ელმავალიც ჩაგაბაროთ—ამდვილ შემანქანედ გაქციოთ. ვინ იცის, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული... ჰოდა, თუ ძმა ხართ, იმ ამწეებს თავი დაანებეთ, არა დაიშავოთ რა და სხვასაც არ დაუშავოთ. აი, გუშინწინ ყვიყვინიას გაუვლია იქა და კინალამ თავზე დასცემიხართ. კაცი ორი შემოვლალაა დარჩენილი, უკვე ფეხზე ცხვარი ჰყავს გამობმული, წინ ორი პარასკევი აღარ უდევს, გაუშვიტ, თავისი დღით მოკვდეს, თქვენ რაზე უნდა გავხვიოთ ხათაბალაში? ის უთავბოლო სმა მაინც მალე მოუღებს ბოლოს. ხომ ხედავთ, როგორ არი ჩამომხმარი, თუ წყალი არ დაასხი, წისქვილზე არც კი დაიფქვება.

— რაა ეს, უფროსო, რომ არ იცით კაცის დაფასება.. აგერ წავედი ფეხმტყვიანი კაცი, ქურდები და ბოროტი ხალხი დაგიჭირეთ და ახლა მე მათ წინ მამახსარებთ?

— შენც ვითომ როზენბერგი დაგიქვრნია. ქურდები და ზარისტები გაუშვი და ეს საცოდავი ლლაპები მომისხი?

— ძალღა იმას იტყვრს, რასაც პატრონი მიუსვებს. ეციო, მითხრეს და მეც ვეცი. — რაა აქ სამარცხვინო. ერთგული კაცის დაფასება არ იცით, ბატონო.

— შენ ერთგულად იმ შენს ელმავალს მოუარე. ნუ გაავიქე ეს საწყალი ჭოლოკავა. როგორც კი დამთავრდება შენი ცვლა, გაუწმენდავ ელმავალს აბარებ უმცველს.

— ვინ დამაბეზლა, ამან?

— ამან თუ სხვამ, სულ ერთია. მთავარია, რომ სიმართლეა.

— დიახ, მე ვახლდით. ასე არაა, ბიძიკო! რაკი ერთი ელმავალი გვაბარია, თანაბრად უნდა მოუვაროთ და გავუფრთხილდეთ მაგას. რაზეც შენ გაბარებენ, ისე შენ უნდა ჩააბარო სხვას. მე და ქარქაშაძე დღე და ღამე ბოეშვიტ ვეფერებით და უველით. შენი კი რავარც კი ჩამოდგამ ფეხს ელმავლიდან, ვარლამას პიენოისთან ხარ დარქობილი.

— შენ, ჭოლოკავა, ვიცი გული რატომაც გწყდება. მაგრამ მე შენისთანა კაცთან ჭიქის ამწევი არ ვარ: ნუ გენალვლება ჩემი ჯიბე. შენ არ არჩენ ჩემს ცოლშვილს.

— მიტომაც დადის გაფუფუნებული ის შენი ცოლ-შვილი. შინ ჭადის ნატეხი ენატრებათ, შენ კი ლუღში ფლანგავ ხელფასს.

— ვინ გკითხავს შენ, შე გლახა, ჩემს ცოლშვილს და ჩემს ჯიბეს? ვინაა ეს მათხოვარი, რას ჩამაცივდა და ამომართვა სული!

— მათხოვარიც ხარ და გლახაც, შე მართლა მათხოვარო! ვინაა შენი გლახა, უყურე ერთი ამას! თუ წაგავლე ხელი, ხომ იცი, რას გიზამ?

— რას მიზამ, რას, შე გლახა, შე მახეზლარა, შენი!

— აბა, აბა, აბა! ეს რა არი? ეს რა ბაზარი გამიმართეთ? აბა ცოტა ხანს დამაცალეთ, ჯერ ეს ჯეელები გავისტუმრო. მერე გავარჩევ მტყუანსაც და მართლსაც. აბა, ბიჭებო, ახლა უკვე დროა თქვენი წასვლისა. ჩვენც საქმე გვაქვს. აბა, ნახვამდის და ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი. ორიოდე კვირაც და უკვე ელმავლებზე დასხდებით პრაქტიკის გასაღელელად. მეელმავლე კი ზულიგნებში არ უნდა გაერიოს. ფუი! რა არი ზარის თამაში თუნდაც საყურებელი? აღარ გავიგო, აღარ გავიგო, თორემ... აბა, ეხლა ვაქაუტურად: ზურგისააა-კენ! კარისაკენ ნაბიჯიით იარ! ერთი, ორი! ერთი, ორი!.. სამი!.. ერთი!.. ორი!.. სამი!.. სამემა და ყველა-წმინდა შეგეწიოთ! არა, ყვიყვინიაგ?... ეგრე!

VII

იქდა ჯაბა ფანჯარასთან და გაპყურებდა, როგორი სისწრაფით მოჰქროდნენ მისკენ გარდიგარდმო დაკლავიშებულნი განძელები. სიოდნენ რელსები და თვალის მომპრელი ბრწყინვალეებით მიძვგრებოდნენ ელმავლის ქვეშ. გუგუნებდა ლიანდაგი და გახარებული თვლები განუწყვეტლივ ჩასძახოდნენ ყურში:

„რა კარ-გია ასე ქრო-ლა,
რა კარ-გია ასე ქრო-ლა!“

საკონტაქტო ხაზის ანძები საპატიო ყარაულივით ჩამწყრივებულყვენენ რკინიგზის გასწვრივ. ფაიფურის სამაგრებით ტელეფონის ბოძებს ჩაფრენილი მავთულები თანაბარი სისწრაფით აღიოდნენ და ჩაღიოდნენ, აღიოდნენ და ჩაღიოდნენ. მავთულებზე შავი კრილონისის მძივებით ასხმული მერცხლები ჩუმნი გაკვირვებით მიაცილებდნენ ფანჯარაში თავგამოყოფილ ბიჭს: როგორ, ჯაბა უკვე ელმავალზე ზისო? შემრეშილი აღუბლები ღობეებს მოსდგომოდნენ, დანაბლული ბლები მორცხვად აწვიდნენ წითელ კუნწულებს, ფეხის წვერებზე შემდგარი გეორგინები და ზამბახები მესერის ღრიჭობებში დიდი ცნობისმოყვარეობით იყვითებოდნენ.

ეზოებში მედიდურად მოსიარულე, გაფუყული ინდურები ერთბაშად ცხრებოდნენ და სირცხვილისაგან გაწითლებული ჩიჩვირები აღარ იცოდნენ სად დაემალათ: ქათმებმა ჩვეწზე წინ რანაირად მოჰკრეს თვალი ელმავალზე დამჯდარ ჯაბასო. მინდორზე მობალახე შეკუნტრულშებული ხბო უცებ შეჩერდა და სახტად დარჩა.

გუბურაში მოჩალიჩე იხვებმა ფრთა ფრთას შემოჰკრეს და გაიკვირვეს:

— ვახ, ვახ, ვახ! ამას რასა ვხედავთო. წუმპეში ჩაწოლილი, გაზულუქებული ღორი ოხვრა-კენესით ღინჯად წამოდგა და ფილოსოფიური სიმშვილით გააყოლა თვალი: რა არი აქ გასაკვირველი? — ვიცოდი ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

და მზესუმზირებმა თავიანთ სიცოც-

ხლემში პირველად შეაქციეს ზურგი მზესა და მათაც ჯაბას დაუწყეს ყურება.

ელმავალი კი მიჰქროდა, მიჰქროლებდა ვაგონების მწვანე ჯაქვს და მეშვიდე ცაში ასული ბიჭის შიშნარევი გაოცებას მაინც საზღვარი არ ჰქონდა: მართალია, თვლებს ქიმები აქვს, მაგრამ როგორ შეიძლება ასეთი სიჩქარით სირბილისას ლიანდაგიდან არ ამოვარდესო!

ქახჭახა მზის სინათლეში მოცურავდნენ ტყეები, მინდვრები, მთები, მდინარეები, კლდეთა კიმპუტებზე გადმომდგარი ციხეები, ქალაქები, სოფლები, სახლები, სადგურები, ბაქნები და მოთმინებას მიჩვეული, უდრტვიველად გალაცული ხიდ-ბოგირები.

სადგურის მოედნებსა და ბაქნებზე გამოშლილ ხალხს რალაც საზეიმო განწყობილება ედო სახეზე. ანთებული თვლებით მიაცილებდნენ უსასრულო გზაზე საშლივინოდ გაშვებულ ელმავალს და ძლივს ახერხებდნენ გულზე მოვარდნილი აღტაცების დამალვას: რა ყოფილა ეს ჯაბა, დახე, მაინც დამჯდარა მემანქანის თანაშემწის სკამზეო. თანაშემწეს კი შურისგან ზურგი შეეჭკიცინა ჯაბასთვის, მარცხენა მხრით უწადინოდ მიჰყუდებოდა ელმავლის ჩიხურის კარს და არხინად მჯდარ უზრუნველ მემანქანეს მოქაშული სახით მისციებოდა.

მეელმავლე ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი: გამოკვალთულ ტანზე ისე უხდებოდა რკინიგზელის ფორმა, ისე ლამაზად ეხურა ემბლეშიანი შავი ბერეტი, ისე ლამაზად ჩამოშლოდა მხრებამდე თმის ბურბუშელა კულულები ... იდგა თანაშემწე ელმავლის ჩიხურის შუა კარს მხრით მიყრდნობილი და თვალი ვეღარ მოეცილებინა.

მეელმავლემ მოიხედა, ჯაბა შეათვალიერა და გუღიმა. პასუხად ჯაბამაც გაუღიმა და დაიფიცა: ასეთ ლამაზ ქალს ჩემს სიცოცხლეში არ გადავყრივარო.

მეელმავლის თანაშემწე წუთით შეტოკდა, ჯაბას ცერად გადაჰხედა და მერე ისევ მეელმავლეს მიაცივდა.

ჯაბას გაახსენდა აჯამეთის სადგურზე ნანახი მეელმავლე და ისიც, სვირა-აჯამე-

თის ვადასარბენზე უკანასკნელი ვაგონის ფანჯრიდან როგორ უქნევდა გაჩხიკული გოგო წითელ ყელსახვევს. რაც სასწავლებელში მიიღეს, აღარ ენახა სიზმრად ის მატარებელი და ის გოგო. წუხელ დაესიზმრა და გაღვიძებამდე მიხვდა: დღეს დიდი სიხარულის დღე უნდა გაბთენებოდა.

მეელმავლემ კიდევ მოუხედა, კიდევ გაუღიმა ჯაბას და თვალებით ჰკითხა: როგორ მოგწონსო.

ჯაბას არაფერი უთქვამს. მისი სახე მის პასუხს გამოხატავდა. თავადაც გაიღრიჭა და თანაშემწეს აპხედა.

თანაშემწე აწრიალდა, მეელმავლესთან მივიდა, მის გვერდზე პატარა სკამი ჩამოშალა და ჩამოჯდა.

ელმავალი ხარბადა ნთქავდა კილომეტრებს. ბუბუნით მიიწევედა წინ.

უეცრად ბიჭმა თვალი ჰკიდა: ელმავლის თვლებიდან კვამლი ამოდოიდა.

ჯაბას ერთ ხანს ყურადღება არ მიუქცევია. მერე უცებ დაეპყვდა და გასძახა.

—სურენ! სურენ! არ გესმის, სურენ! სურენ ბიძია!

მეელმავლემ სურენას რალაც უთხრა და თანაშემწემაც მოპხედა ჯაბას.

—ქვევიდან კვამლი გამოდის, სურენ ბიძია.

თანაშემწე წამოდგა და ჯაბას მიუახლოვდა.

—აი, გადაიხედე, სურენ ბიძია.

—შე რომელი ბიძია ვარ, კაცი ვამბობ რკინას დაეღუპამ-მეთქი? შენ მე ბატონო სურენ-თქო უნდა უთხრა.

—კვამლი ამოდის მეექვსე გოგორწყვილიდან, სურენ ბიძია.

—რეებს მიჰქარამ, თოქმავ, გოგორწყვილში ბოლს რა უნდა?

ჯაბამ გვერდზე გაიწია:

—აი, შეხედე!

თანაშემწემ თავი გადაყო და უმაღლე სახე ეცა. ერთ ხანს უცქირა გაშტერებში, მერე მობრუნდა, სწრაფად მიბაჩბაქდა მემანქანესთან და ყურში რალაც უთხრა.

მემანქანის თვალეში დაუჯერებლობა

აისახა. მერე წამოდგა, თავის სკამზე თანაშემწეს მიუთითა და თვითონ ჯაბასკენ გაემართა. გადაიხარა, ფანჯარაში თავი გადაყო და თვალს კარგად ხანს ადევნებდა გოგორწყვილის საკისურიდან გამომდინარე კვამლს.

მატარებელი სკრას უახლოვდებოდა. უკვე მოჩანდა საღვურის ვაზონის მწვანე ლობე.

მემანქანე მოსცილდა ფანჯარას, წარბშეკრული გაბრუნდა და თავისი სკამიდან თანაშემწე უხეშად წამოაგდო. დაჯდა თვითონ, ჯიუტად მიაჩერდა ლიანდაგს და ის გადაკალმული წარბები არც მაშინ გაუხსნია, როცა საღვურში შევიდა, არც სათადარიგო ლიანდაგზე გადაყვანისას და არც ძირს ჩამოსვლისას.

სურენამ გოგორწყვილის საკისურს ხუფი აპხადა.

დაგუბებული კვამლი ბოლქვებად გამოვარდა გარეთ და ელმავალიცა და მეელმავლებიც ბოლში გააჩვია.

— შენ ეს დეპოდან გამოსვლამდე შეამოწმე?

—როგორ არ შევამოწმე, ლილიჯან, შევამოწმე, მამ!

—ნამდვილად შეამოწმე?

—ნამდვილად, მამ!

—კარგად შეამოწმე, გულდასმით?

—კარგად შევამოწმე, მამ, მამ! გულდასმითაც და სულდასმითაც.

—როდის შეამოწმე?

—დეპოდან გამოსვლამდე, რა!

— ისემც თავი გაგვიხედა, რაც შენ ამისთვის თითი არ დაგიკარებია.

—როგორ არ დამიკარებია, ლილიჯან...

—გაჩუმდი მაინც შე გამოთავყვანებულო, მამბრმავებ?

—დემრთმა დაიფაროს ეგ ლამაზი თვალეები დაბრმავდეს.

—ხმა ჩაიწყვიტე, ჩერჩეტო! ხედავ, ზეთი სულ აღარ აქვს, ზეთი აკლია, ზეთი არ ჩავისხამს.

—იმ არეც, ქუ არეც, ლილიჯან...

—აი, რატომ თავი არ გაგვიხედა, იი, რატომ თავი არ დაგეწევა, ხედავ თითქმის სულ დამწვარა სატენი.

— ეგ არაფერი ლილიჯან, მაგას მოვე-
ლება, შენ ოღონდ მაგ ლამაზი პირიდან
ეგეთ ხმებს ნუ უშვებ. საწყალ სურენას
გული სულ ამოდენა-და აქ, აი!

— აი, რატომ გული არ მოგიკვდება, შე
ჩანჩურავ, შენა. რატომ არ მოგიკვდება
ეგ გული. ხედავ ღერძი როგორ გახურე-
ბულია? სულ წითლად ვარვარებს. რას
ფიქრობდი, შე გამოჩერჩეტებულო ბე-
ბერო, რომ გატეხილიყო და დაეღუპუ-
ლიყავით? ამოდენა სიმძიმე ზედ აწევება,
ეს გაუძლებდა ოცდაორ ტონას? საბარ-
გო მაინც ყოფილიყო, სად უნდა ვაპქცე-
ოდი ამდენი კაცის ცოდვას, შე ცოდვია-
ნო?! გამოიღე, შენი ხელით გამოიღე ეგ
დამწვარი სატენი. აი, რატომ თავი და
ტანი ერთად არ დაგეწვება, შენ გადალ-
რძებულო ბებერო, შენა!

— ჯაბაჯან, გაიქე, შენ გახდასა. მალ-
ლა, კალიდორში ზეთის ბიდონი დგა და
აქ მარბინენ, ნუ ჩხუბობ ლილიჯან, ემ
წუთში მზათ იქნება, ცავატანე ემ მინუ-
ტას გვაეკეთეფ, ლამაზოჯან... უჰ! უჰ! რა
მართლა ხურამს, ტო! დაასხი, ჯაბაჯან,
დაასხი, თორემ დამეწო ხელები.

— ხელები კი არა თავი უნდა დაგეწ-
ვას, თავი! თავი და ეგ დასაბრმავებელი
თვალბი! ხედავ, სულ დანახშირებულა
სატენი, ხედავ? შენ, შე გამოჩერჩეტე-
ბულო ბებერო, მაგისტვის არ ჩამოგაქ-
ვეითეს მემანქანეობიდან თანაშემწედ?
ასეთი დაუდევრობის გულისათვის არ
დაგსაჯეს? აბა, ეს რა არი, არა ეს რა სა-
ქნელია, შენი წლოვანებისა მაინც არ
გრცხვენია?

— შენ ჩემ წლოვანებას მალმალე ნუ-
მიხატები ხოლმე, ცავატანემ. ორმოცი
წლის კაცი, გამართული კაცია, ლილი-
ჯან.. ამაზე იქით აღარც დიდი ვარგა და
აღარც პატარა. აბა, ერთი კიდევ დაასხი,
ჯაბაჯან. ეგრე, ეგრე. შენ ძალიანაც ნუ
ჯავრობ ლილიჯან, ორმოცი წლის კაცი...

— ბევრს ნუ ყბედობ და სხვა საკისუ-
რებიდან ამოაკლე სატენი და სწრაფად
შეაესე ეს, თორემ დავიგვიანეთ, შე გა-
დალრძებულო. გადაყარე ეგ დამწვარი,

რადას ელოლიავები, ისევე უკან ზომ/არ
აპირებ ჩაბრუნებას?

— როგორ თუ ჩაბრუნებას, ლილიჯან,
როგორ თუ ჩაბრუნებას? მართლა გიყი
ნუკი გგონივარ. ემ წუთას იქნება, ემ მი-
ნუტას. მოდი, შენცა ნახე, ჯაბაჯან, რო-
გორ ვაკეთავით. პრაქტიკა იმისი პრაქტი-
კაა, უნდა პრაქტიკა გაიარო, სუ უნდა
შაისწავლო, რაღა. აი ნახე: ამას ეგრე
ვაძრობთ, ამას უმატებთ. ამას ეგრე
ვაძრობთ, ამას უმატებთ. მემრე
ამას იმ დამწვრის ალაგას გაუყეთავით.
მემრე ამას...

— სწრაფად, სწრაფად! დააყენე ეგ სა-
ძალე ყბა. ჯაბამ უშენოდაც შენზე მე-
ტი იცის. აბა, ჰე, დახურეთ. დასხედით.
ჩქარა, თორემ, აგერ, ფანჯრებში უკვე
იციქრებიან და ბუზღუნებენ.

ელმავალზე ასვლისას მემანქანემ სუ-
რენას თანაშემწის სკამი აჩვენა, თავათ
კი ჯაბა მოისვა გვერდით.

დაბოლმილმა თანაშემწემ გადაბმული
წარბები ჩამოალამა და დანახშირებული
თვალბი ბედნიერი პრაქტიკანტის
ზურგს დაანაკვერჩხლა..

VIII

ვარლამას „პიენოი“ დეპოს გვერდზე
იყო.

ჯაბამ არ იცოდა როდის იპოვა აქ ვარ-
ლამმა ობლად დარჩენილი ერთი ქვიტ-
კირის კედელი, მერე სამი მხრივ როგორ
მოახუხულავა უფარვის ვაგონებზე ანაგ-
ლეჯი ფიცრებისაგან ეს ჭიხური, მერე
როგორ შეაგორა შიგ პირველი ლუდის
კასრი და ბოლოს „პიენოი“ როგორღა
დაარქვა.

როგორც კი სამუშაო დღე დამთავრ-
დებოდა, დეპოელები აქ იყრიდნენ თავს
როცა ჯაბა და სურენა მოვიდნენ, დე-
პოელებიდან აღარაინ დარჩენილიყო.

როგორც კი თანაშემწის ლუდიანმა
კათხამ პრაქტიკანტის კათხაზე მოადინა
ჭახუნს, ჯაბა მაშინვე მიხვდა, დღევან-
დელ ღღეს როგორ შეემოკლებინა უსას-
რულო მანძილი, რომელიც რკინიგზის
I სასწავლებლის მოსწავლეებსა და დე-
პოელთა შორის იდო. ხოლო, როდესაც

დაცლილი კათხა კვლავ ქარვისფერი ლუღით შეუესეს, კოჭებში აიწია, მარცხენა იდაყვი ილიიანად დახლზე ჩამოდა და ფეხი ფეხზე შემოიღო. მესხეთე კათხაზე მუცელი იმ კათხასავით დაუმრგვალდა, დაეჭიმა და თვალებიც დაუელამდა.

— აი, ჯაბაჯან, პირდაპირ გეტყვი. მე იგეთი კაცი ვარ, არ მიყვარს იკლი-ბაკლო რამეები. ეგ ქალი ჩემია და ცოცხალი თავით ჩემია. შენ ეგრე ნუ უყუობ. სამი წელი „სროკი“ გამითავებია. ერთი ვინმე გვერდზე შაპხედოს, იმ მინუტში ზებუთი გაუყრი.

ჯაბამ სული შეუღებრა, ლუღს ქაფი მოაცილა და მერე კათხა დახლზე დადგა.

— ვინ ქალია?

— ახლა, შენ, ჯაბაჯან, ძალიანაც რამე ტუტუცური ნუ იხამ. თითქოს არ იცოდე, რომელი ქალი.

— დედას გეფიცები, არ ვიცი.

ახლა სურენამ დადგა კათხა. ქამარში ცერები ჩაიყარა და თვალები მოწყურა.

— ე, ე, ე, ეგეები არ იყოს. შენ ვის ეუბნები, იცი? ბნელაა, ტო? იქნება არ იცი, მე პარამ-სურენას მეძახიან. ტსუილი არ იყოს! ჰაეკალიდან ხაშურამდის თვალი არ მოგიშორებია. შენ ვის უნდა აქამო? არა, ჯაბაჯან, რაც გინდა მითოვე, მაგრამ ეგ ქალი ვერ დაგიტოვო. თუ გინდა მამკალი, მაგრამ ვერ დაგიტოვო. მე მაგის გულისთვის იცი რეები გამიკეთებია? შენ მართალი არ იფიქრო, ჯაბაჯან, მითომ იგეთი რამე იყო, მემანქანეობა წამართვეს და თანაშემწედ მქაეს. არა, ჯაბაჯან, იმ არევე, ქუ არევე, — თითონ ვქენი. აი, ამ სიყმის მაღლმა, თითონ ვქენი. — სურენამ მარჯვენა ყბაში ისე გაილაწუნა, თვალებიდან ნაპერწკლები გასცვივდა. — აი ამ სიყმის მაღლმა, მე თითონ ჩამოვქვეითდი. ვთქვი თუ: სურენ-ახპერ, მოდი ერთი საზინებს რამე შტუკა უქენი. ლილის ელექტროვოზი თანაშემწე უნდათ. ადგებიან და შენ დაგნიშნავენ. თორემ ისიც მაშინისტი, შენც მაშინისტი, —

არ გამოდის... მთელი ზაქავჯიზია მამივლია, ყველა ხაზი ვყოფილვით უეგეთი გოგო, სიყმეს გეფიცებო. ზნაშვილებსადა შემსვედრია... შენ ცოტა-შორს დადექი, ცვატანემ, თორემ ეგეთი ხალხი ცოტა კვავში არ მამდის, მეშინიან არ გავაფრინო და რამე იგეთი არა ვქნა. შენ ხაზინ-მაზინები ფეხებზე მკიდია. ჩემი ჰალალი მარჯვენით ყველგან პური მიქამია. მანტიორობა გინდა, ზაპოენიობა გინდა, სლესარობა გინდა, ყველაფერი გამამდის რაღა! შენ კი იცი რა უთხრამ?...

ჯაბამ კათხა აიღო, ლუღი ნახევრამდე მოსვა და ქუჩის გადაღმა სახლის სახურავიდან აფრენილ მტრედებს თვალი გააყოლა. თვალწინ ცოცხლად დაუდგა ფორმის კოსტუმში გამოკვალთული, თეთრ-ყირმიზა სახეზე ქერა კულულებ-ჩამოშლილი ლამაზი მემანქანე. მისი ღიმილიანი გამოხედვა და დიდი, თაფლისფერი შუქიანი თვალები.

კათხა პირზე შეეყინა.

ბეჭზე ახალა იგრძნო, მკვრივი, სვანი, ცხელი მკერდის შეხება, — ეს მემანქანე ნელ-ნელა იხრებოდა ჯაბას იჯანჯარაში და სურდა გაერჩია ბოლი რომელი ვოგორწყვილიდან ამოდიოდა. ცხელი, ყველაფრის დამანგრეველი ძალით მფეთქავი სიმკვრე დაუზოგავად აწებოდა ბიჭის მხარსა და ბეჭის თავს დააღვდა დალი ცხელი იყო, თანაც ისეთი ნაზი, კაუჩუკოვანი, რომ ბიჭი ახლა განიცდიდა იმ სილბო-სითბოს, რაც შეუცნობლად გამოტოვა იმ სისხამ დილას. მხარი უნებურად შეუტოკდა და პირზე შეეყინული ლუღი მკერდზე გადმოედგა.

სურენა ისევ ლაპარაკობდა. კათხა დახლზე დაედგა და ახლა გრძობაპორეული ორივე ხელს წაღმა-უკულმა შლიდა. მაგრამ ჯაბას მისი ინჩი-ბინჩი აღარ ესმოდა. იჯდა სანატრელი მეგლმავლის გვერდით და დროდადრო ჟანჯრიდან შემოვარდნილი ქარი მის ანთებულ დაწვებს უგლასუნებდა ქერა ომების აბრეშუმის კულულებს.

მეელმავლე პრაქტიკანტს ხანდახან

შეხედავდა, გადასასვლელებზე მიუთითებდა, ლიანდაგზე ოჩნად გამდგარ პირუტყვს დაანახებდა, მერე ასწავლიდა ასეთ დროს როგორ უნდა მოქცეულიყო და თან ჩაწიწიკებულ, ქათქათა კბილებს ბროწეულივით ვაპობილ ტუჩებში ისე გამოანათებდა..

და მაშინდელი ნატყორცი შუქი ახლა ჩადიოდა ბიჭის სულში და გულის ყველა კუნჭულ-კუნთებს აგებდა.

— ჰა, ჰა, ეს რა ამბავია! ვოზდუხში დაფორინამ? ევეე, სურენას ვერ მოატყუებ. ჰარამ სურენა არაფერს შაშქამს. ახლა, ივრე აჩვენეფ, მითომ არიფი იყო! აი ჯაბაჯან, მითქომს და დაიხსოვ: შენ შე ეგრე ნუ მიყურამ, აი, ხომ ხელამ ყურამდისაც ძლივსა გწვდები, მაგრამ შენ შე ეგრე ნუ მიყურამ, — ლუნ პუსტიკეე, ჰამა მეწეე კწუუუმ. აი, დაიხსოვ!

ჯაბამ ვერ დაიხსოვა. ყურებში ელმავლის დაგადუგი გასდგომოდა და ქარისაგან აფრიალებული აბრეშუმის კულული გამეტებით სცემდა დაწვისთავზე. მერე უცებ მობრუნდა, ხელახლა გაავსო კათხები და სურენას სასმისს ისე მიუჭახუნა, ნახევარი ლუდი ჭურჭლიდან ასხლტა და თანაშემწის სახეზე მოადინა ჩქაფანია..

და ყოველდღე, მეორდებოდა: დეპოდან გამოსვლამდე გულდასმით მოწმდებოდა ელმავალი. მერე განძლეების დასათვლელად ლიანდაგზე გარბოდნენ. მარშრუტის ბოლომდე მიჰქონდათ დაკისრებული ტვირთი. აქრამდენიმე საათით ისვენებდნენ, მერე შეეცლიდნენ თბილისისაკენ მომავალი ელმავლის ბრიგადას და-ისევ ქალაქები, სოფლები, ციხეები თუ ნაციხრები, მჩქეფარე მდინარეები, უდრტვინველი ხიდ-ბოგირები. ისევ ქარისჭროღვა-სისინი და ქერა აბრეშუმის კულული გაგივებით ეხლება პრაქტიკანტის დაწვის თავს, ელამუნება ყელსა და ნიკაპს, ეგლისება წამწამებს. უღიტინებს ცხვირსა და ტუჩებს, და ტუჩები თრთიან, კანკალებენ, ცეცხლმოდებულნი აღისფერად ვარვარებენ

და ქერა ამბორით სახსრებში მოშლილნი შეუშინველად ჩურჩულდებენ, რაღაც გაუგებარს ბუტბუტებენ. მერე დასიცხული თვალების ეუტვით დგება პრაქტიკანტის მძიმე სხეული. სულს მემანქანის გვერდით პატარა სკამზე სტოვებს, თავით კი მოშლილ მუხლებს ჯიხურის შუა კართან მიჰყავს და ცივ მინაზე აგრილებინებს ოფლის მდუღარე წინწკლებით დაცვარულ შუბლს..

მერე, სულ მერე ვარლამას „პიენო-ისტან“ კვლავ ქაფქაფებენ ლუდის კათხები, კვლავ იგრინება დაბალ ფეხებზე შემდგარი სურენა, შავ ბალნიან ხელებს კვლავ განზე პარკყავს და ისევ ისმის:

— ჩემა მზემ, ჯაბაჯან, კაცი არ მიკლამს დაეხლა მოგკლამ. ეგ გოგო ჩენია... შე დამითმე და რაც გინდა მთხოვე. მთხოვე ჯაბაჯან, რაც გინდა და მითომ მიქელ-გაბრიელი ყოფილხარ, სართად ჩემი სული წაიღე. ვაპი კანცე კანცომ ნამუს ჩუნეს? ის ოცდახუთი წლისაა, — რა შენი ტოლია? კაცი არა ხარ? სახლი ვარო? — აილე! ფული? — აილე! სული? — აილე! — სხვა მეტი რა ექნა, ჯაბაჯან... — თორეეემ... თორემ ლუნ პუსტიკეე, ჰამა მეწეე კწუუუმი-არც მე, არც შენ!

და სურენას ხელფასი ჯაბას ლუდის სმას უნდება. რაო, მეც გადავიხდიო? — მაშ მოკვდეს, რაღა ჰარამ-სურენა, ცოცხალი იყოს და მძაყაც ფული დაახარჯინოს.

ეეეჰ, მახლას!..

IX

პრაქტიკის სამმა თვემ ისე გაიარა, ჯაბამ უკან მოხედვაც ვერ მოასწრო. სახელმწიფო გამოცდებიც კეთილად დამთავრდა და ჯიბეში ხუთოსნის დიპლომი ჩაიდო. დანარჩენმა ქორეთელებმაც ფხა გამოიჩინეს. ახლა უკვე თავისუფლად შეეძლოთ ელმავლებზე დასხდომა მემანქანის თანაშემწედ. ელმავლები ცოტა იყო. ყოველ მათგანს სამ-სამი მემანქანე ჰყავდა თავისი თანაშემწეებით. მეტი

გზა არ იყო, ზაფხული უნდა სოფელში გაეტარებინა. შემოდგომაზე დეპოს უფროსი რაღაცის მოხერხებას ჰპირდებოდა.

ზაფხულმა თოხის ბაგუნსა და წალღის ჩაქუნში ჩაიარა. შინაურები დიდად გახარებულნი იყვნენ ბიჭების შინ მობრუნებით. წამოყვანილებული ბიჭები ტოლს არ უდებდნენ უფროსებს საქმეში. სიმინდში გასვლისას მაინც წასძლევიდათ სული, ნათოხნში წაფლულ თოხებს ყუაზე ფქვრიელს მოაყრიდნენ, თავათ კი რკინიგზისაკენ გაუტყვდნენ. აქ შუბლზე ხელს მოიჩრდილებდნენ და ჩუმი ნატვრით აყოლებდნენ თვალს ყანაში შემოვარდნილ და გავარდნილ ვაგონებს. განსაკუთრებით ბოლო ვაგონი იყო ჯაბასათვის საინტერესო: კისერგაწვილილი ჩააცივდებოდა და სანამ მთლიანად სიმინდების სიმწვანეში არ გაიქნებოდა, თვალს არ აცილებდა მზეზე აკრიალეზულ მის ბოლო ფანჯარას.

მაგრამ არც ცხადში და აღარც სიზმარში, არსადა ჩანდა წითელ ყელსახვევიანი, ის გაჩხიკული, პატარა გოგო.

ბოლოს ველარ გაუძლო ცდუნებას, აგვისტოს ბოლოსვე დაჰკრა ფეხი და თბილისში ჩავიდა.

დეპოს უფროსი დიდად გააოცა ჯაბას მოუთმენლობაში და ერთგულბაში. ადგა და სანამ რამე გამოჩნდებოდა, დეპოშივე მისცა კვალიფიციური ზეინკლის აღგილი.

ჯაბამ დანარჩენი ქორეთელებისათვისაც იშუამდგომლა და, როგორც იყო, დეპოს უფროსი დაითანხმა.

იმ საღამოსვე გაქანდა სოფელში და მეორე დღით ზურგზე ლოგინებმოგდებული ხუთეული აჯამეთის სადგურში ელოდა თბილისისკენ მიმავალ მატარებელს.

დეპოში მუშაობამ ბიჭები კიდევ უფრო მეტად გამოაწროთ. შესაკეთებლად შემოხულ ელმავლებზე ყოფნამ და კორკიტმა ისეთი ცოდნა დაუტროვათ, ახლა უკვე დიდიხნის გამოცდილ მუშებს არაფრით ჩამორჩებოდნენ.

განსაკუთრებით თავგადაღებული იყო

ჯაბა, მისმა გულმოდგინეობაში და მუყაითობამ საამქროს უფროსი გააოცა. ელმავალი ისე შეისწავლა, თუ ნებამ მისცემდნენ, შეეძლო მარტოს დაეშალა და აეწყო კიდევ. შეეძლო ყოველი ნაწილი, უკანასკნელ ჰანუკიებამდე, ისე შეეკეთებინა, ანდა ახალი გამოეჩარხა, თითქოს ქარხნიდან ცინცხლად გამოსული ყოფილიყოს.

ბიჭის ქებამ ლილიმდე მიაღწია. და ერთხელ ლილიმ, მისი ელმავლის გოგორწყვილის საკისარის მორგება გოგორწყვილის ყელზე, მხოლოდ ჯაბას დააგალა. ჯაბამ ეს ისეთი დიდი სიზუსტითა და ოსტატობით შეასრულა, რომ ქალი მისწვდა, თმები ალერსით მოუთელა და ღონივრად შეაქანჭყარა.

— ჯაბა, ჯაბუნო, რა ყოჩალი ბიჭი ხარ, გენაცვალე!

ამ დროს რომ ეთქვა: გაქანდი და პნეემატური ჩაქუნის ქვეშ თავი დადეო, ზეინკალი ამ ნათქვამს თვალდაუხუტავად ისე აასრულებდა, ქულსაც კი მოიხდიდა.

რაც სასწავლებელი დაამთავრეს, ბიჭები საერთო საცხოვრებლით ველარა სარგებლობდნენ. ხელფასიდან იმდენი არ რჩებოდათ, რომ ბინა დაეკირავებინათ. ამიტომ სადაც მოჰხვდებოდათ, ღამეს იქ ათევდნენ. ჯერ იყოდა მთელი თვენახევარი ჩიხში მდგარი სათადარიგო ელმავლის დერეფნებში იძინებდნენ. მერე, როცა საგრძობლად აცივდა და ამ გალიგულ რკინებშუა ლოგინმაც ვერ გაათბო მათი გვერდები, საამქროში წევის ძრავების ლუზების საშრობ ელექტროლუმელში გადინაცვლეს.

ეს როგორღაც გაიგო დეპოს უფროსმა, თავისთან დიზარა და ღამით იქ დარჩენა სასტიკად აუკრძალა, რადგან, შესაძლებელია ღუმელი ჩაიკეტოს და უხედურება მოხდესო. მერე, როდესაც გენადიმ შეწუხებული ხმით ამოღერდა: მაშ რა ქნას საწყალმა პეპელამო, დეპოს უფროსი ჩაფიქრდა და თავისი მოადგილე იხმო.

მოადგილემ მაინც გამოძებნა ელექტ-

როწინსქვილის გვერდით ერთი ვაგონი, სადაც საწოლებიც იდგა და ლოგინ-თერთუელიც დეპოს საკუთრება იყო.

ახლა კი ამოისუნთქეს ბიჭებმა თავისუფლად, თავიანთი ლიბნ-საბანი შინ, სოფელში ჩაიტანეს, თავათ კი, არხეინად ვაეხევივნენ ახალ, ზამბარიან საწოლზე გაშლილ სუფთა ლოგინებში.

ჯაბას სული და გული კვლავ საამქრო იყო, რადგან საამქროს უფროსმა მამაშვილურად დაარბია:

— ვინც ზეინკლობაში კარგად ოსტატდება, მას თანაშემწის მოკლე მანძილი ექნება ვასავლელი. ხოლო თანაშემწიდან მემანქანემდე — ერთი ნახტომია. ეს ნახტომი წელმოწყვეტილ კაცს ათითხუთმეტი წელი უგრძელდება. მშრომელი კაცისათვის კი, ქვიანია, მარჯვე კაცისათვის კი — ორ-სამ წლიანია, მეორე, ზომ გავიგია, საქონელი პატრონსა ჰვავსო. შენი ელმავალიც ისეთი იქნება, როგორიც შენ იქნები მისთვის. კარგი რომ იქ იყო, ჯერ აქ უნდა იყო კარგი. ისე რომა, შვილო, შრომის გარეშე არაფერი სასიკეთო არ მომხდარა ჯერაც ქვეყანაზე.

და ჯაბაც შრომობდა. თავაუღებლად შრომობდა. მხოლოდ ეგ იყო, დეპოში ყოველი ელმავლის შემოსვლაზე თვალდაღქცეული, გულის ფანქალით მოჩხრეკდა ელმავლის ჯიხურში მემანქანის ფანჯარას. და სადაც იმ სანატრელ სახეს აღმოაჩენდა, იქვე სურენას დამჯავებულ სიფათსაც წაწყდებოდა.

სურენა მასთან აღარ მშაკაცობდა უკანასკნელ ხანს და სალაშიც აიკვირებოდა.

ბიჭს ერთი ნატურა ჰქონდა, ჰარამ სურენა სადმე სხვაგან გადაეყვანათ და თვითონ ლილის ელმავალზე დამჯდარიყო თანაშემწედ.

და ეს სურვილი მალე „შეუსრულდა“.

თებერვლის ბოლოს, ერთ სუსხიან დღიას, ფრიად კმაყოფილი წამოდგა საწოლიდან. გათენების წინ სიზმრად ნახა სვირა-აჯამეთის გადასარბენზე სიმინდებში როგორ შემოგრივდა მწვანევაგონებიანი სახალხო მატარებელი. ვაგონი

ხუთმეტი იყო, ბოლო ვაგონის ბოლო ფანჯარაში ის გაჩხიკული გოგონა იდგა და ხელში წითელი ყელსახვევი ეჭირა. ოღონდ სიმხიარულისა არა ეტყობოდა რა, არც იმ ყელსახვევს იქნევდა. ფანჯარას იდაყვებით დაყრდნობოდა. ყელსახვევებ ძირს ჩამოქნძნოლიყო. ეტყობოდა, ახლად შეეღება—წვეროდან წვეთები სცივოდა და ლიანდაგს დიდ, წითელ წერტილებად მიუყვებოდა მიწაზე.

დეპოში შესვლისთანავე საშინელი ამბავი გაიგო: თბილის-აღსტაფის რკინიგზის უბანზე, სადაც სალოდლის იქით, მტკვარგაღმა, ავარია მოსვლოდა ლილის ელმავალს.

ელმავალი უვნებელია, მხოლოდ მემანქანეა მკვდარიო. ყველას ეს ეკერა პირზე.

თორმეტი საათისთვის უკვე დაწვრილებით იცოდნენ: არავითარი ავარია — მემანქანე დანით მოუკლავთ, ხოლო თანაშემწე უგზო-უყვლოდ გაუქრიათო.

ერთი საათის შემდეგ კი ყველაფერი დაზუსტებული იყო: ჰარამ-სურენას ბეზუთით მოეკლა თავისი მემანქანე, თავად კი გადამხტარიყო ელმავლიდან და მიწას ჩაეყვალა.

და დარეტიანებულ, თავზარდაცემულ ჯაბას ყურებში უმალ კრახანასავით ბორიტად აზუხუნდა:

„ლუნ პუსტიკე, პამა მეწე კწუუმი!“

„ლუნ პუსტიკე, პამა მეწე კწუუმი!..“

X

ჯაბა ახლა მეელმავლის თანაშემწის სკამზე იჯდა და ნადველგარეული სიყვარულით დასტრიალებდა თავს ელმავალს, რომელთანაც იყო დაკავშირებული მისი კაცობაში შესვლის პირველი ნაბიჯები.

ჯიხურის წმენდისას, როგორც კი, მეელმავლის ადგილს მიატანდა, გული უცნაურად აუბაგუნდებოდა. სათუთად უსვამდა ჩვარს სკამის საზურგეს თუ ფეხებს, საყვირის სახელურებს თუ სვლის მოსამატებელს, ელექტროხელსაწყობებსა თუ სამუხრუჭებს, სულ აბრუშუმის-თმიანი ლილი ედგა თვალწინ. მისი ხე-

ლშენაველები უბრალო ჰანჭიკი კი ძვირფასი იყო.

ახლა კი ამ სკამზე ნესტორ ყვიყვინია იჯდა: აყლაყუდა, ჩამომხმარი და ბახუსთან განუწყვეტელი ძმაკაცობით თვალეგამობლელი. პირველად, როდესაც თანაშემწედ ჯაბა შესთავაზეს, მაინცდამაინც ჰქუაში არ მოსვლია მისი „სიფათი“, მაგრამ იმ დღესვე, როცა გრაკალ-უფლისციხის გადასარბენზე ჯაბას მახვილმა თვალმა ვილაცის დაკარგული ხურჯინი შეამჩნია, ყვიყვინიამ უფალ-გამჩენს მადლობა შესწირა ასეთი თანაშემწის გამოგზავნისათვის.

მატარებელი გააჩერა და აის ხურჯინი მალა ამოიტანა: ღმერთო! — რა არ იყო შიგ: ახალ გამომცხვარი თონის პურები, ერთოთი გატენილი ცხერის ყველი, მრგვლად მოხარშული ორი დედალი, ძროხის ბეჭი და ერთიც ატენურით სავსე სურა!

გავიხარიათ, მოუღბინა მაშინ ყვიყვინიამ და მეორე დღეს დიდი ბოდში მოუხადა დეპოს უფროსს წინა დღის ახირებისათვის: უნდა როგორმე მაპატიო-ჯაბაზე ძვირი ეშმაკებმა მათქმევენსო. აწი მე ვიცი, მაგისაგან კაცს გამოვიყვან თუ კაცი ვარო.

მახ შემდეგ, როგორც კი თავის სკამთან ჩერივ ხელში მოფუსფუსე თანაშემწეს დანახავდა, ცალი ხელით დოინჯს შემოიდგამდა და ცალითაც ღვინოში დამბალ უღვაშებს ჩამოიფოცავდა. ეგონა, ჯაბა მამაცაშვილი მისი გულისთვის ირჯებოდა. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: მის თანაშემწეს ოსმალოს ზარბაზნითაც ვერ აიძულებდით ელმავალზე ყოფნისას ღვინის დაღუვას. როგორც კი რეისი დამთავრდებოდა, მაშინვე ჩვრით იდგა დამკლავებული. ურიკები, გოგორწყვილები, დერეფნები თუ მანქანის ჯიხური ისე ბრწყინავდა, თითქოს ახალი გამოსული ყოფილიყო ქარხნიდან. მერე, როცა დაატყობდა, რომ ამაზე მეტი წმენდა მხოლოდ ჰუჭუს თუ მოუმატებდა, მაშინ მოეშებოდა და თავს ნებას მისცემდა თავის მეელმავლესთან ერთად აეწია ჰიქა.

მაშინ ჰიქა აგრე ადვილად არ იშოვებოდა. ყვიყვინიას კი ამაზე არცსოდეს არ უღარდნია, რადგან ჰიქებში თანხმსსაყარი ჰქონდა. როგორც კი ერთი შემოეფშენებოდა (ღვთის წინაშე, ძალიან ხშირ-ხშირად კი უტყდებოდა), მაშინვე მეორეს გააჩენდა: ელმავლის დერეფანში მოხსნიდა ნათურას და ჰიქაც მზად იყო. გაუტყდებოდა? — კიდევ მოხსნიდა.

უფროსი მემანქანე ტაგუ ხოკოლავა ირეოდა; სად მიდიოდა ამდენი ნათურა. თუ გადაიწვა, სად არის ეს გადამწვარი? და ყვიყვინიას პასუხიც მზად იყო:

— რაეა გაეაჩერებ გადამწვარს დერეფანში, მოვხსნი და ეუძახებ გარეთ.

მიტომ იყო, რომ ელმავლის დერეფნებში ხშირად სიბნელე იყო და ჯაბას ღამე ხელის ცეცებით უბნებოდა შიგ გავლა-გამოვლა. ვერც ვინმესთვის ეთქვა რამე, რადგან დაბეზლება ჰირივით სძულდა, არა და მის შენიშვნებს არაფრად ავდებდა მისი მეელმავლე: როგორც კი შეჰიქიკიდებოდა, მაშინვე თავის თანაშემწეს მიუბრუნდებოდა:

— აბა, ჰე, ჯაბა, მე ცოტას მოუღბენ ექა და შენ წაიყვანე ელმავალი.

ჯაბას მეტიც არ უნდოდა. სუფრას სათარეშოდ ყვიყვინიას შეატოვებდა, თვითონ კი საგულისგულოდ მოირგებდა მეელმავლის სკამს.

და მიჰქროდა ელმავალი. კეცავდა კილომეტრებს და აგუგუნებულ თვლებქვეშ ხარბად იხვევდა სივრცეს.

ყვიყვინია, თუ კი საღმე ბაქანზე თვალს მოჰკრავდა ღვინიან ვინმეს, ელმავალზე ამოიყვანდა და უფასო მგზავრობას ახარბებდა. მერე დანიშნულ ადგილამდე მასთან ერთად სკამდა და ღნაოდა (ამ ღნავილს თავად სიმღერას ეძახოდა!).

ერთხელ ქარელში დოლ-გარმონი ამოიყვანა.

— აბა, ერთი შეუბერეთო! — და ხაშურში ისეთი გნასით შევიდა, ჯაბა იძულებული გახდა სადგურიდან მოშორებით გაეჩერებინა მატარებელი.

ერთად-ერთი სადღეგრძელო იცოდა ყვიყვინიამ:

— ყველა კაი ბიჭს გაუმარჯოსო! — და იქვე ტაგუ ხოქოლავას ამოუბრუნებდა დედ-მამის საფლავს.

სწორედ ეს ხოქოლავა იყო, რომ სულს ართმევდა და გასაქანს არ აძლევდა.

დიდი წესრიგისა და სისუფთავის მოყვარული იყო ტაგუ. თავისი მორიგეობის დროს მაღალი ძაბვის აპარატურა ხევსურის დაშნასავით ჰქონდა გაპრიანებული. ასევე სათუთად მოვილილს გადააბარებდა თავის შემცვლელს. სამაგიეროდ, როდესაც მისი ჯერი მოვიდოდა, სხვისგანაც სუფთა, გაწმენდილი აპარატურის ჩაბარებას მოითხოვდა.

ყვიყვინიას ეზარებოდა ჩერის ხელის წავლება და წმენდა. უფროს მეელმავლეს კი უმტკიცებდა:

— შეილებს გეფიცებით, ხელის გულები ვადამაცვდა მისი წმენდით.

ნახავდა ტაგუ და ცოფს ჰყრიდა:

— ეს არის გაწმენდილი, კაცო? ეს არის გაწმენდილი? ერთი ამ ლოთბაზარას უყურეთ. უსინდისოდ ტყუის და არც კი რცხვენიას!

— ვინაა უსინდისო შე ასეთ-ისეთო, ვინაა აგერ მანდ ვიტკინე ეს ფეხი მაგის წმენდაში, ა!

— რაც თავი მახსოვს ეგ ფეხი სულ გტკივა, ახლა იტკინე?

— ცოლშვილს გეფიცები, ახლა ვიტკინე. ჰკითხე თუ გინდა ჯაბას.

ჯაბა იღგა და ხმას არ იღებდა.

— ნამუსში ნუ ავღებ ამ ბიჭს. ჯერ მისი ტყუილი არ გამოივია. მართალი რომ იყო, დაგიდასტურებდა.

— არ იყო გაწმენდისას მაგი იქ. გავგზავნე პაპიროსზე. მარა შენ მე გლახად ნუ გადამეკიდე, ხოქოლავა! გირჩევ ნუ გადამეკიდე გლახად! რავა, შენ მასწავლი ელმავლის მოვლას? აგერ გადავიცვით ხელები მაგის წმენდით!

მტყუანს სახლის კარამდე მიჰყეო, გადაწყვიტა ხოქოლავამ და ერთხელ ჩუმათ მაღალი ძაბვის კამერის კარს უკან ძაფი გააბა. თუ კი ვინმე შიგ შესვლას დააბირებდა, კარის გაღებისას ის ძაფი უნდა გაწყვიტილიყო.

გააბა და ელმავალი ყვიყვინიას გადააბარა!

როგორც კი ყვიყვინიამ თავისი მორიგეობა მოათავა ელმავალზე ყოფნისა, ისევ ხოქოლავას დაუბრუნა ელმავალი.

ტაგუმ შემოიარა გაკრიანებული დერეფნები და ჯიხური, საითათოდ შეამოწმა ყველა სასვლელი და მექანიკური ნაწილები და შემდეგ ტრადიციულად ჰკითხა ყვიყვინიას:

— რა მდგომარეობაშია აპარატურა?

— იმავე მდგომარეობაშია, როგორც ჩამაბარე.

— ესე იგი ხელი არ დაგიკარებია.

— ა, იტყვის ახლა კიდევ. რავა არ დამიკარებია, კაცო. ა, ნახე რა დღეშია ხელები. ვადამიყოლა მაგისმა წმენდამ. ენას აუსკამ ზედ, ისე გავაპრიანე თლათ.

— მართლა გაწმინდე?

— ცოლშვილს გეფიცები, ნამდვილად.

— არ გაგიწმენდია, ყვიყვინია.

— შეილებს გეფიცები, გაწმინდე.

— არ გაგიწმენდია და რატომ იწყვეტ იმ პატიოსან ცოლშვილს?

— შენ ჩემი ცოლშვილი ნუ განალელებს. ტყუილზე არ დამიფიცია.

— ტყუილზე იფიცავ. ხელი არ გიხლია მისთვის.

— ა, უყურეთ ახლა ამას, ჩემი ხუთივე ბოჭებს გეფიცები გაწმინდე.

— აბა, მამ მოდი აქ. ახლა მე გაჩვენებ, შენ თუ ეს კარი გაგიღია.

ხოქოლავამ ყვიყვინია მიიყვანა და ის გაუწყვეტელი ძაფი აჩვენა, რომელიც საიდუმლოდ გაუბა კარს შიგნით.

მას შემდეგ დასწყევლა ყვიყვინიამ ტაგუ ხოქოლავა და აღარც მკვდარს არჩენდა და აღარც ცოცხალს.

— „ყველა კაი ბიჭს გაუმარჯოსო!“ — მიუჯახუნებდა კიქას ჯაბას კიქაზე და იქვე ხოქოლავას ამოუბრუნებდა დენამის სულს.

— რატომ ავინებ? — კაი კაცია ტაგუ.

— აჰ, არ გამაგონო მაგი.

— კაი კაცია, ნუ აგინებ.

— გთათლავს?

— კი არ მთათლავს, კაი კაცია.

— ჩემი გამოკვლევითი ბალანაა მაგი, რაღა მიბედავს ცილისწამებას.

— ცილს არ გწამებს, მე ხომ ვიცი, რომ არ წმენდლი.

— რაღა არ ვწმენდლი, რა იცი შენ?

— როგორ არ ვიცი, აქვე არა ვარ?

— შენ რომ მიდიოდი სადმე, მაშინ ვწმენდლი.

— თუ წმენდლი რატომ ნახულობდა ტაგუ გაუწმენდავ აპარატურას?

— ტყუოდა. შარის მოდება უნდოდა და მიტომ. არაა ტაგუ კაი კაცი. სულ თავისკენ უნდა რომ მიითალოს. მე მოვლილი ბედაურივით დამყავს ელმავალი, მაგი მადლობებს ღებულობს. შენ ჭერ ბალანა ხარ, ბოვში კაცი ხარ, გაიზრდები და გაიგებ ვინაა მაგი. ცხოვრებას არ იცნობ ჭერ შენ. აგერ ხარ და გასწავლი რა ღირს პრასანიახური.

— მოდი მიმიშვი და მე გავწმენდ.

— რაო? — ყვიყვინიამ ყური ცქვიტა.

— მიმიშვი და მე გავწმენდ აპარატურასაც.

ყვიყვინია დაფიქრდა.

— ბოვში ხარ ჭერ.

— მიმიშვი და მე გავწმენდ.

— აჰ, ვერ ვანდობ ჭერ.

— მოდი, მიმიშვი და გავწმენდ.

— არ გამაგონო, მაგი. მეიწვევ რაცხას.

— არ მოვიწვევ, მიმიშვი.

— არ იცი ჭერ შენ მაგი, ჯაბა.

— ვიცი. მიმიშვი.

— არა, შენ ჭერ არ იცი, რაია მაგი.

— ვიცი, ზოგიერთ მეელმავლებზე არანაყლებ ვიცი. მიმიშვი.

— რო მეიწვიო რამე, რაღა ვქნა ჭერე?

— არ მოვიწვევ, ნუ გეწმენდ.

— მოიწვევ-მეთქი, ბიჭო.

— არა-მეთქი, გავწმენდ.

— მოიწვევ და რაღა პასუხი გავცე ღებოს.

— ნუ გეშინია. მიმიშვი და გავწმენდ.

— კაი, აბა გაჩვენებ, როგორ უნდა მაგი.

— არ მინდა ჩვენება. შენთვისაც მიყურებია და ტაგუსთვისაც.

— არ გამოდგება მარტო ყურება.

— მაშინ მე გავწმენდ და შენ მიყურე თუ შემცდა მითხარი.

— კაი, აბა, ჰე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

და მას შემდეგ ყვიყვინიასაგან გადაბარებულ ელმავალს უკვე ვეღარ სცნობდა ტაგუ ხოჭოლავა. ისე იყო შიგნით გარეთ გაწმენდილ-გასუფთავებულ, გაჩერებაზე და სადგურებში სარკედ ხმარობდნენ გამველუ-გამომველნი.

XI

ჯაბა დაიხარა და გზა-გზა ბუჩქების ძირში მოწყვეტილი რამდენიმე ია დაღო ძირს. მერე თითები ერთმანეთში გაუყარა და დიდ ხანს უშზერდა საფლავის თავში აყუდებულ ლოდში ჩასმულ სურათს. სურათში ლილი ისე სევდიანად გამოიყურებოდა, თითქოს თავათვე გლოვობდა ასე ადრე წასვლას ამ ქვეყნიდან. მხოლოდ ტუჩები იღიმებოდნენ რაღაც უცნაურად, რაღაც მომნუსხავად. და ეს ღიმილი საკმარისი იყო მემანქანის თანაშემწისათვის, რათა თვეში ერთ-ორჯერ მაინც ამოსუ-

ლიყო მზეგადასულთა მდუმარე ქალაქში და მოენახლებინა ეს განმარტობული უპატრონო საფანე.

არაეინ ჰყავდა ახლობელი ობლად გაზრდილ ლილის და რასაც აქ ხედავდა თვალი, ესეც დემოელთა კიკაცობის კვალი იყო.

გაეპარებოდა ბიჭებს ჯაბა, მოვიდოდა აქ და შესცქეროდა უტყბილესი მოგონებებით დატვირთულ სურათს. საათობით აკვირდებოდა ოდნავ გახსნილ ტუჩებს. და ეს ტუჩები ისე მეტყველი იყო, თითქოს ეს-ესაა შეირხვევიან და ბადაგში გავლუბული ხმით ეტყვიან: ჯაბა, ჯაბუნი, რა კარგი ბიჭი ხარ, გენაცვალო!

ჰარამ-სურენა ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ. კაცმა ვერ გაიგო. მხოლოდ მისი ბოროტი ხელით განადგურებული ულაშაზესი სიცოცხლე უფროოდ იხრწნებოდა და ინავლებოდა ამ დარბიული ქვის ქვეშ.

მაინც რა არი ადამიანი: ზოგი ბრძოლის ველზე ეცემა და გმირად შერაცხული თაობების მაგალითად რჩება. ასეთ სიკვდილს უმეველად აქვს თავისი მიზანი. მაგრამ ამ სიკვდილს, არავისთვის საჭიროს, ყოველად უმიზნოს და ეგრე ამაზრუნენს, რა უნდა ეთქვა თაობებისათვის? რა სასარგებლოს მოტანა შეეძლო დარჩენილთათვის? ასეთი მკვლელი საწმობლოს მოღალატის თანაფარდია, და უფრო მეტიც, რადგან არ დააცალა ბოლომდე მოეხადა ვალი თავისი ქვეყნის წინაშე.

— დედაა?

ჯაბას არ მოუხედაია. უცებ ვერ მიხვდა, ვინ კითხულობდა და ვის ეკითხებოდნენ.

— დედაა?

ხმა ქალისა იყო. ჩუმი, თბილი და თანამგრძნობი.

— თუ დედაა...

ჯაბამ მოიხედა. გვერდზე თქმსმეტჩვიდმეტი წლის გოგო ედგა და ისიც საფლავს დასჩერებოდა.

ბიჭი ერთხანს დუმდა. უცებ გამოერ-

კვა და გაოცდა: საიდან გაჩნდა? ვინ არი? რა უნდა? აქ რამე მოეცემა?

გოგო იდგა და საფლავს: *ჩაბმყურებდა*. ქერა იყო, ცისფერთვალმა. საშუალო სიმაღლისა. ძველი პალტოს ჯიბეებში ორივე ხელი ჩაეყო და შავი, გახუნებული ბურტი შუბლზე წამოეკოსებინა.

— წელიწადნახევარია მეც დედა დაეკარგე. დები იშვიათად ამოდიან. ზოგი სად არის გათხოვილი, ზოგი სად. მხოლოდ მე ვპოულობ დროს აქ მოსასვლელად. ხანდახან ჩემი ძმაც გამომყვება ხოლმე. ბიჭია, მას ცოცხლები უფრო აინტერესებს, ვიდრე მიცვალებულები. არც გაემტყუნება, პატარაა, ჩემზე უმცროსი. თემცა, ხშირად უფროსებს უფრო ავიწყდებათ დანაკარგი და ახლის შექმნაზე ფიქრობენ. ყოველშემთხვევაში, დროზე ადრე ფიქრობენ... თქვენ დები თუ გყავთ?... ძმები?... მეც ერთი ძმა მყავს. ხშირად მომდევს ხოლმე. დღეს არ წამოვიდა. რას იზამ, პატარაა. ჯერ კიდევ არ იცის დედის დაკარგვით რა დაკარგა. თქვენი ძმა უფროსია?... კარგია უმცროსი ძმა, სასიამოვნოა, როცა ვინმეზე ზრუნავ. თუ სიხარმაცეს დასძლევ, სასიამოვნოც კია, როცა ვინმეზე ზრუნავ. თქვენს ძმაც ვინ ზრუნავს?... დედა? როგორ თუ დედა? მაშ ეს ვინ არი?

ჯაბა შეკრთა, წარბი შეიკრა და ატრეცილი შემობრუნდა.

გოგო ისეთი კოხტა იყო, ისე მიმნდობი, ისეთი ხავერდოვანი ხმა ამოსდიოდა ათლილ ყელიდან... ბიჭს აღარაფერი უთქვამს, გატრიალდა და ბილიც გაუყვა. ხუთმეტრიოდ ნაბიჯის შემდეგ შედგა და მოიხედა.

გოგო დაბრილიყო საფლავზე. შარშანდელ სარეველებს გლეჯდა ახლად ამოწვერილ ბალახებში და კუთხეში ჰყრიდა.

კარგა ხანს უყურებდა ბიჭი გოგოს ჩალიჩს. მერე გაბრუნდა და ფეხბორებით წავიდა.

სასაფლაოს კარებში არც კი იყო გა-

სული, ფეხის ზმა წამოეწია. ეს ზმა პირველად ესმოდა, მაგრამ გუშანით მიხვდა, იმ გოგოსი იყო.

— ასე სჯობია. თუ საქმე მარტო ბალახზეა, დაე სუფთა ბალახი მოვიდეს. დედის საფლავზე ტყემალი დავრგე. უფროსებმა დამიშალეს, მაგრამ მაინც დავრგე. თეთრად აყვავდება. მიყვარს თეთრი ფერი, — სიწმინდისა და სიკეთის ფერია. დედასაც უყვარდა ეს ფერი. განსაკუთრებით აყვავებული ტყემლების ცქერა უყვარდა. ერთხელ ინატრა: „ჩემს საფლავზე ნეტავი ტყემალი ამოვიდესო“... დამახსოვდა. ვიშოვნე და დავრგე. წელს აყვავდება. უკვე გამოკოჭრილია...

გოგო მთელი გზა ტიტიკებდა და სანამ შუა ქალაქში შემოვიდოდნენ, ჯაბამ უკვე იცოდა, რომ ლია ერქვა. ჰყავდა ორი უფროსი და და უმცროსი ძმა. გათხოვილ დებს თითო-თითო ბავშვიც შესძენოდათ. სიძეები კარგები იყვნენ. ზშირად მოდიოდნენ მათთან. დედა შარშანწინ გარდაცვლილა. — მამას ვილაც სხვა ქალი გაეჩინა და მის დარდს გადაჰყოლოდა... მამას წელიწადი და შვილი დღე ეგლოვა ცოლი და მერე იმ ქალთან გადაბარებულ იყო.

— ჩვენ არ გვიყვარდა ის ქალი და ახლა შურს იძიებს, — მამას არ უშვებს ხოლმე ჩვენთან.

ჯაბა გაოცდა.

— როგორ, თქვენ და თქვენი ძმა მარტო ცხოვრობთ?

— ჰო, მარტონი ვართ.

— სწავლობთ?

— როგორ არ ვსწავლობთ.

— მაგრამ... თავს რით ირჩინთ?

— მამა დურგალია, კარგ ხელფასს იღებს. ჩუხად გვეხმარება. დებიც გვეხმარებიან. ზშირად გვენახულობენ ხოლმე.

— ალბათ მაინც გიპირთ.

გოგო მცირე ხანს რაღაცას ყოყმანობდა, მერე ერთბაშად გადაწყვიტა.

— ახლა ისე აღარ გვიპირს... საღამოს სკოლაში გადავედი. დღისით კი თამბაქოს ფაბრიკაში ვმუშაობ. რა ვქნა,

ძმა თავიდანვე განებვიერებული გვეყვება. დედამ დაგვიბარა, არაფერზე უმოგვეკლო მისთვის. მეც არ მინდა მისთვის მოაკლდეს.

სასაფლაოს კარებთან წამოწეული ბინდი ქალაქში აბღღერიალებულმა ნათურებმა ნარიყალას იქეთ მიჩვენეს. ქალაქი ახლა თვალის მომჭრელად ჩახჩახებდა. მთაწმინდის პლატო ნეონში ლივლივებდა. მტკვარს ადევნებული ლამპიონები სადღაც ორთაქალის იქით იჩუმჭრებოდა.

ლამაზი სანახაფი იყო აქედან.

— სად ცხოვრობთ? — იკითხა ბიჭმა, როცა ტრამვაის ხაზზე ჩამოვიდნენ.

— ეირაფის ქუჩაზე.

— რაო? დეპოსთან რომ ქუჩაა, იქ ცხოვრობთ?

— ჰო, იქვეა, დეპოსთან. როგორ, თქვენც იქ ცხოვრობთ?

— იქვე ვცხოვრობ და იქვე ვმუშაობ ელმავალზე.

— მართლა? — მამ მებზობლები ვყოფილვართ. გოგამ სიხარული ველარ დამალა, — რა კარგია, სასაფლაოზე ერთად ვივლით ხოლმე.

— რომ მცნობოდით, აქამდისაც ერთად ვივლიდით.

— ელმავალზე რას აკეთებთ?

— მეელმავლის თანაშემწე ვარ.

— ჰოოო! გაიკვირვა გოგამ. — თქვენ თვითონ დაგყავთ ხოლმე?

— თითქმის სულ მე დამყავს.

— ახლოდან არ მინახავს ელმავალი, შორიდან კი ლამაზია.

— როცა გინდა მოდი და გიჩვენებთ.

— ზედაც დამსვამთ?

— რატომაც არა. გინდა მარშრუტზე წაგიყვანთ.

— აჰ, არა. ძმას დიდი ხნით ვერ მივატოვებ. ახლაც ალბათ ქუჩაში დგას და მიცდის.

ეირაფის ქუჩაზე რომ გავიდნენ, გოგო შედგა აკაკის ჩრდილში და თვალთ ანიშნა.

— ხედავთ? ჭიშკართან იცდის.

— დიდი ერთგული ძმა გყოლიათ.

— ძალიან ამპარტაუნია. ხის ტანს.

მოეფარეთ, თორემ გადაიარევა ბიჭთან რომ დამინახოს.

— გამლახავს?

— ვერ გავლახავთ, მაგრამ შეეცდება კი.

— მაგარი დამცველი გყოლიათ.

— ვიქდება ჩემთვის. არ ვიცი რა ეშველება მე რომ გავთხოვდე.

— როგორ, ძმის გულისათვის არ გათხოვდებით.

— ვინ იცის. მისმინე, ჯაბა... შეყვარებული გყავდათ?

ჯაბა შეხტა.

— არა!

— არც ცოლი?

— არა!... რატომ მეკითხებით?

— ისე... მაინტერესებდა.

— არც მყავს და არც მყოლია.

— მაშ... მაშ ის ვინ არი?

ჯაბა დაიბნა.

— ვისზე მეკითხებით?

— აი, ის ლამაზი ქალი, სასაფლაოზე. ჯაბას ლოყებზე აღმური ავარდა. დემრტოს მადლობა უთხრა, რომ ხის ჩრდილში იდგა.

— ის... ის ჩემი მასწავლებელი იყო... ჩემი მასწავლებელი... მან მასწავლა მემანქანეობა. იმან გამხადა კაცად...

— ის ლამაზი ქალი მემანქანეა?

— მემანქანე იყო.

— და ეღმავალი დაჰყავდა?

— ყველაზე კარგი მეელმავლე იყო.

— ნათესავია?

— არა.

— ძალიან ლამაზი კია.

„ჯაბა ჯაბუნე, რა კარგი ბიჭი ხარ, ვენაცვალუ!“

— რატომ ჩაფიქრდით?

— ისე... ადრე დაიღუპა.

— ახალგაზრდა ყოფილა.

— ოცდაათი წლისაც არ იყო.

— რას მუუზნებით? — სურათში ოც წელსაც არ მისცემთ.

— ძალიან კარგი ადამიანი იყო.

— რა დაემართა?

— ავარია შეემთხვა. — დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ სთქვა ბიჭმა.

— საწყალი. გიყვარდათ?

— ძალიან. დედასაკით მეტყეოდა მუდამ, — ჯაბას გულზე ამოვარდნაზე ჰქონდა.

ბიჭუნოთუნა

— რამდენჯერმე გნახეთ იქ. ბროწეულის ბუჩქებს მოეფარებოდით და ისე დასცქეროდით საათობით... მაშ გამომიარეთ და ერთად მივხედოთ ხოლმე საფლავს. აგერ იქ ვცხოვრობ. ხედავთ? ჩემი ძმა რომ იცდის, იმ ეზოში შემოხვალთ. ხელმარჯვნივ ხის კიბეა. კიბის იქით ალვა დგას. ალვის იქით, თითქმის მიწისპირზე კარია, კარს მალა შუშები აქვს ჩასმული. შუშებს გარედან რკინის გისოსები. შიგნიდან გაზეთი აქვს აკრული. მოხვალთ და პირდაპირ დააკაკუნებთ.

— შინ რომ არ იყოთ?

— ყოველთვის შინა ვარ სკოლაში წასვლამდე.

— ფაბრიკა?

— პირველ ცვლაში ვმუშაობ. ადრე მივდივარ. ორზე კი თითქმის ყოველთვის შინა ვარ.

— კინოში არ დადიხარ?

— ძალიან იშვიათად. ძმას თუ წავიყვან, თორემ სად მცალია საკინოედ.

— ბილეთები რომ ვიშოვო და გამოვიარო?

— თუ დრო მექნა, რატომაც არა.

— კარგი, გამოვივლი. ძმისთვისაც ავიღო?

— შეიძლება. ოდონდ დრო უნდა შეარჩიოთ, ჩემი ძმა სკოლაში არ იყოს.

— თუ ისეთ დროს იქნა, რომ თქვენი ძმა სკოლაშია?

— მაშინ ჩვენ წავალთ. იცის სადაც ვინახავთ გასაღებს.

— კარგი, ავიღებ. როდის გამოვიარო?

— აქვე ყოფილხართ, როცა ვინდათ, მაშინ. ახლა წავალ, თორემ სოსო გადიარევა, ხედავთ როგორ მდარაჯობს? ნახვამდის, ჯაბა.

— ნახვამდის, ლია, ნახვამდის.

VII

მას შემდეგ რამდენჯერმე ნახეს ერთმანეთი ბიჭმა და გოგომ. ლიას ძმა ორი-

ოდე კუჭტი შეხვედრის შემდეგ მოლბა. მერე კი, რაც ჯაბა I სარკინიგზო სასწავლებელში მოწყობას შეჰპირდა, ძმაცაცად გაუხდა.

ლიას დედის საფლავზე დიდი ხანია ტყემალმა დაიყვავილა და ახლა უკვე ალუბლის კურკის ოდენები ესხა. მხოლოდ ლილის საფლავს აკლდა მზრუნველი ხელი.

ბალახმა გადაიარა პატარა ბორცვზე და ლოდს მიაღდა.

ლოდში ჩასმული სურათი ვილაც გარეწარს ქვით გაეტეხნა და ახლა მხოლოდ ლოდქვეშ მდებარის ბაგეები და დარჩენილიყო.

მივიდოდნენ დედის საფლავზე. დაფუსფუსებდნენ კარგა ხანს, ყვავილებს ძირებს აუჩივლებდნენ, მორწყავდნენ იქაურობას და მერე წასვლას დაადგებოდნენ. წასვლისას მცირე ხანს შეჩერდებოდნენ უპატრონო საფლავის პირას, ერთხანს უცქეროდნენ სავსე ბაგეთა გაუხუნარ ღიმილს და მერე შინისკენ გაბრუნდებოდნენ.

დრო მიდიოდა და თან მიჰქონდა ურვა-ნალექელი, რომლითაც ერთხანს თავით-ფეხებამდე გაელენთილიყო მეელმავლის თანაშემწე. ხოლო, როდესაც ის ბაგეები, დამსხვრევას გადაარჩენილი ის ლამაზი ბაგეებიც დაიბზარა და თითქმის წაიშალა, სინანულითდა გაუვლიდნენ გვერდით უბრალოდ.

მთავარი მიზეზი კი ის იყო: ლიას თვლებში ორი ისეთი ია ყვაოდა, ჯაბასთანებს თავს რომ ავიწყებენ.

და ერთხელ, გოგომ ბიჭს ერთადერთი სადღესასწაულო პერანგი დიდი მონდომებით რომ გაუუთოვა, თანაშემწეს კინალამ ელმავალიც გადააიწყდა.

და ერთადერთი სანატრი ჰქონდა ახვეთებულ მტკვარში ჩაეარდნილიყო ლია და თავათ ხიდიდან ტანსაცმლიანად გადამხტარს გადაურჩინა!

ათიოდე ხელიგანი დაჰხვედროდათ სადმე ყრუ შესახვევში და გოგოს თვალწინ ათივენი მუშტით დაელეწნა! უდაბურ ტყეში მგელი შესჩხებო-

დათ და ხელის ერთი ჩავლებით ნადირისთვის ყბები დაეხლიჩნა!

სადმე ორწოხებში ყაჩაღს გადაჰყროდნენ, თორმეტი ტყვია დაეკრა ყაჩაღს, ბიჭი თავის სანატრელს წინ აჰფარებოდა, თორმეტივე ტყვია თავად მიელო და სანამ დაეცემოდა, ის ყაჩაღი ხელით მიეხრჩო!

და ბოლოს მაინც ნატვრა აუსრულდა. ოლონდ ეს გმირობა სულ სხვა იყო და სხვა მასშტაბისა. თბილისიდან თბილის-ბორჯომის მატარებელი მიჰყავდა ყვიყვინიას. ძეგვეში ვილაც ტიკჭორიანი ამოიყვანა ელმავალზე და მერე გორამდე კარგა ბლომად მოასწრო „ჩაღლევა“ — როგორც თვითონ ეძახდა გორს იქით ჯაბას მიანდო თავის თავიცა და მატარებელიც და მთლად გამოჩერჩეტდა.

მერე თავის შეინახეს მცხეთაში ნაცილი ასიოდე კვერცხიანი პარკი პატივისცემის ნიშნად სკამად შესთავაზა და ზედ ჩამოსვა.

მერე უადგილო ადგილას გააჩერა ჯაბამ მატარებელი და ტიკჭორის პატრონი მინდორში ჩააგდო.

— გამიშვი მაგისი! — ისევ საჩხუბრად იწევდა ყვიყვინია, — წვითა და დაგვით ნაშოვნე კვერცხები დამიმტვრია!

— განგებ მომიწყო! — იგინებოდა ტიკჭორიანი, — ახალი შარვლით კვერცხები მათქვეფინა!... თუ დედალი არა ხარ, დაბლა ჩამოდი?

ბიჭმა ძლივს დაიჭირა მთვრალი მეელმავლე და ისევ დაძრა მატარებელი.

ის იყო აგარაში შედიოდა, რომ თვალი მოჰკრა: სადგურიდან შაჭრის ქარხანაში მიმავალ რკინიგზის მონაკვეთზე სატვირთო ვაგონთან აქოთქოთებული ხალხი რალაც საეჭვოდ ფუსფუსებდა. ჯაბა დააკვირდა და თმა შიშისაგან ყალყზე დაუღდა: ვაგონი სადგურისაკენ, — პირდაპირ მათ საწინააღმდეგოდ იძროდა. ოთხდერძიანი ჩანდა და თუ დატვირთულიც იყო, ორმოცდაათი ტონა სიმძიმის ძალით დაეჯახებოდა.

სადგურამდე შვიდას-რეასი მეტრი-
და იყო დარჩენილი. საჭირო იყო რა-
მის მოსაზრება.

და ელვისებურად ამუშავდა ჯაბას
გონება: თუ მთელი სისწრაფით მიუშ-
ვებდა, სადგურში მაინც ვერ შეაწარმე-
და, — თავქვეზე დაქანებული ვაგონი
მატარებლის ბოლო ვაგონს მაინც გა-
ტარნავდა. უნდა დაემუხრუქებინა და
მერე იმ ხალხს მიშველებოდა, ვინც ვა-
გონის შეკავებას ცდილობდა.

თვალისდახამხამებაში ეცა მუხრუქს,
სამუხრუქის ონკანი ბოლომდე გადაატ-
რიალა და ფანჯარასთან მთვლემარე მე-
ელმავლეს უყვია.

— ძია ნესტორ, ძია ნესტორ! გამოფ-
ხიზლდი! ავარია, ძია ნესტორ, — გამოფ-
ხიზლდი — მერე ეცა და სკამიდან გაღ-
მოაგდო. მერე ისევ მივარდა მუხრუქს
და ერთხელ კიდევ გადაატრიალა ბო-
ლომდე. მერე თავისი პირველი მასწავ-
ლებლის ლილის რჩევა გაიხსენა და
ჭეშის მისაცემი ონკანი გააღო. ჭეშამ
რელსებზე იწყო დაფენა. ატყდა ხრამ-
ხრუში, აძიგძიგდა ელმავალი, თვლები-
დან ავარდა მტკერი და მანქანა ბულში
გაეხვია.

ამასობაში გამოქცეულმა ვაგონმა გა-
დმოსჭრა გადაწყვანი ისარი და პირდა-
პირ მათკენ დაეშვა.

ახლა უკვე ნათლად ხედავდა, ვაგონს
როგორ მოსდევდა ხალხი და გამწაჩე-
ბით ცდილობდა მის შეჩერებას. ზოგი
ქვებს უდებდა თვლებქვეშ, ზოგი ფიცი-
რის ნაპრებს და ზოგიც ხელში მოხვედ-
რილ განმელებს. თვლები ყველაფერს
ამსხვერველდნენ, აქეთ-იქით ისროდნენ,
ზედ გადადიოდნენ და მატარებლისაკენ
ასე უკაფავდნენ გზას ორმოცდაათ ტო-
ნიან დარტყმას.

მატარებელმა თანდათან უკლო,
უკლო სვლას, გაიარა ასიოდე მეტრი
და გაჩერდა.

ჯაბა უმაღვე თვლებქვეშ დასადებ
ძელებს ეცა და ორიდან ერთი ცალი
გაოგნებულ მეელმავლეს ჩასჩარა ხელ-
ში — მერე დაითრია და ძირს ჩაიყვანა.

— შენ იმ მხარეზე, მე აქეთ! ძელება

უნდა დავეწყოთ რელსებზე იმ ვაგონს
თვლებქვეშ აბა, მარჯვედ! ჩქარა...
რემ მოვიდა!

ვაგონი უკვე ორმოციოდე მეტრზე
იყო. საჭირო იყო სისწრაფე.

ყვიყვინია გუმანით მიხვდა რაც უნდა
ექნა ახლა. გაქანდა და თავისი ძელო
თავის რელსზე დადო.

და, გაფითრებულ ჯაბასათვის მოუ-
ლოდნელად, საშინელი ვაგონი შეჩერე-
ბული იქნა ელმავლიდან ოციოდე მე-
ტრზე.

ვაგონს მოყოლილი და მატარებლი-
დან გადმოცვივნილი ხალხი ულოცავდა
და მადლობად იღვრებოდა მემანქანის
წინაშე.

ყელმოღერებელი, ბახუსშემჭდარი
ყვიყვინია ოდნავ იღრედა თავსა და
ღიღი ღირსებით იღებდა მილოცვებს.

XIII

ჩვენი უშიშროების მუშაკები საათნა-
ხეარს დასდევდნენ ვილაე ქაშუშს ეკ-
რანზე და იმდენი ქნეს, ფილმის დასას-
რულს მაინც დაიჭირეს.

ლია დროდარო მოსწყვეტდა თვალს
და დამბული კინოდარბაზის სიჩუმეში
ისინჯავდა წელზე შემორტყმულ ქა-
მარს. ქამარი ვერცხლისფერი წერილი
მავთულით იყო დაწნული და ქერეჭი-
ანი გველის სახეს დამსგავსებული. გველს
კუდი პირში ეჭირა და ნეტარებდა ქა-
ლის თბილ წელზე გატრუნული. გოგო
ქამრის ბოლოს ხანდახან თვალმთან
მიიტანდა, რათა უკეთ გაერჩია და დამ-
ტყბარიყო მისი ბზინვარებით.

ეს ქამარი ჯაბამ კინოს ბილეთებთან
ერთად მოიტანა. საგანგებოდ წაუღლი-
ყო საბურთალოს ბაზარზე და საკმაოდ
ღიდ თანხად ეშოვნა გოგოების ნატერის
საგანი.

— ჩემია, ჯაბა, მე მომიტანე?

— ჰო, შენია, შენ მოგიტანე.

— მერე, სად იშოვნე ამდენი ფული.
ჯაბა?

— როგორ? არ წაგვიტოხავს გუმინ-
წინდელი გაზეთი?

— არა, ჩვენ ვაზეთი არ მოგვდის, მაგრამ რა შუაშია ვაზეთი?

— იქ წერია ყველაფერი, საიდან და როგორ ვიშოვე.

— ნუ მატყუებ. ჯაბა, ამას შენი ნახევარი თვის ხელფასი უნდოდა.

— დედას გეფიცები, არ ვატყუებ.

— კარგი, ჯაბა, ნუ იცი ხოლმე გაწვავლება.

— დედას გეფიცები, ვაზეთში წერია.

— უკ, ხუმრობას კიდევ არ ეშვება.

მითხარი, სად იშოვე ამდენი ფული? ახლა, შე საბრალო, მთელი ნახევარი თვე მოგიხდება მარხულობა. მაგრამ იცი რა?... სადილად ჩვენთან მოდი ხოლმე... ვახშმადაც. რაც გვექნება იმით გავალთ იოლას სამივე.

— ნუ გეშინია, ლია, მარხულობა არ მომიწევს. აი ვაზეთი, აბა წაიკითხე.

ბიჭმა პიჯაკის ჯიბიდან უცებ დააძრო ვაზეთი და გადაუშალა.

შემთხვევის ადგილზე დაწვრილებით ეწერა №14 ელმავალი გორ-ქარელის

გადასარბენზე როგორი დიდი სიჩქარით უახლოვდებოდა აგარას. რამდენი მეტრი რჩებოდა სადგურში შესვლამდე.

მერე ელმავლის მემანქანის — ნესტორ კუჭუს ძე ყვიყვინიას ფხიზელმა თვალმა როგორ შეამჩნია შაქრის ქარხნის

რკინიგზის შტოზე საათში ორი კილომეტრის სისწრაფით დაძრული ქარხნით პირამდე სავსე სატვირთო ვაგონი.

დაუდევარ მუშებს როგორ გამოჰქცეოდათ ეს ვაგონი და რა საშიშროებას უქადადა სახალხო მატარებლის მთელ

შემადგენლობას, რომელიც ფრიალ გამოცდილ და დიდი სიფხიზლის მქონე მემანქანეს — ნესტორ ყვიყვინიას მიჰყავდა.

როგორ ცდილობდა ათეულობით მუშა ვაგონის შეჩერებას, მაგრამ ყოველი მათი ცდა მარცხით როგორც

მთავრდებოდა. ვაგონმა როგორ უმატა სიჩქარეს, გადასჭრა ისარი და პირდაპირი საფრთხე შეუქმნა სახალხო მატარებელს.

ფხიზელი მემანქანე ნესტორ ყვიყვინია როგორ არ დაიბნა: დაამუხრუპა მატარებელი, მერე დასტაცა ხელი

თავის თანამემწეს, თან გაიყოლა და

ზუსტად ელმავლიდან მეტრნახევარის დაცილებით როგორ იქნა შეჩერებული საშინელი ვაგონი. იქვე იყო ფიტონი, სადაც მაღლიერი მგზავრები ხელს ართმევდნენ დაკვირვებული თვალისათვის არც თუ ისე ფხიზელი სახის მემანქანეს.

დაბნეული გოგო ბიჭს მიაჩერდა.

— მერე? ეს რა შუაშია, ჯაბა?

— ის ელმავალი ჩვენი იყო.

— მერე რა, რომ თქვენი იყო?

— რა და ის, რომ ის თანამემწე მე ვიყავი.

— შენ იყავი?

— მე ვიყავი.

— მართალი მითხარი, ჯაბა.

— განა სხვა დროს მომიტყუებინა?

— არა მაგრამ... მაშ ამ სურათში რატომ შენც არა ხარ?

— როგორ არა ვარ, აი, აქ ვდგავარ.

— აბა, სადა?

— აი, აქ.

— აქ რომ არა ხარ?

— აი, ეს აყლაყულა მაფარია.

გოგომ გადაიკისკისა.

— რა ხუმარა ხარ, ჯაბა.

— არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ.

— აქ არა ხარ, ჯაბა.

— ვარ. აი ეს მაფარია. როცა იღებდნენ, ალბათ, ამის უკან ვიდექი.

— ასე უცებ ვიღამ გადაგილოთ?

— ალბათ ვინმე მგზავრს ჰქონდა. შეიძლება თვითონ მგზავრებში ერია ვინმე კორესპონდენტი.

— შეიძლება, — თანდათან რწმუნდებოდა გოგო. — მაგრამ, რანაირი კავშირი აქვს ამ ამბავს ქაშართან?

— რანაირი და პირდაპირი." მე და ყვიყვინია ამისათვის თითო-თითო თვის ხელფასით დაგვაჯილდოვეს.

— მართლა, ჯაბა? — დედა, რა ლამაზია! ხედავ, ჯაბა. სულ ახალია. აუ, რამსიგრძეა, ორჯერ შემომერტყმება

წელზე და კიდევ დარჩება.

— შენ ისეთი წვრილი წელი გაქვს...

— გამხდარი არა ვარ, წელი კი სულ ასე წვრილი მაქვს.

— არა უშავს, ნუ დალონდები. მერე თანდათან გასუქდები და წელიც გაგიმსხვილდება.

— წინათ უფრო გამხდარი ვიყავი.

— ალბათ ბევრს დარდობდი.

— ბევრს ვდარდობდი.

— ახლა აღარ მოგიხდება დარდის აყოლა. ერთი ორი წელი გაივლის და მემანქანე ვიქნები. მაშინ უკვე ბევრი ფული გვექნება. მერე უკეთეს ბინასაც მოგვეყვანს. შენ ღებოში მოგაწყობს სამუშაოდ, სოსოს ჩემთან ავიყვან თანაშემწედ და ჰერი ბიჭო! — სულ ჩვენი იქნება მატარებელი...

მერე ის იყო კინოში შევიდნენ და სიბნელეში მიმავალ ჯაშუს ფეხდაფეხ აედევნენ...

გოგომ ჩემი სიხარულით კიდევ ერთხელ გადაუსვა ხელი ქამრის ბალთას და ბიჭის მკლავს შეუშინველად მიეხუტა...

კინოდან დაბრუნებულ ჯაბას შოთა პატარძე შემოხვდა ღებოს ეზოში.

— სადა ხარ, ჯაბა, ყვიყვინია დაგეტბს.

— რა არის, ბიჭო, ვეღარ სძლებს უჩემოდ?

— მართლა რომ ვეღარ. მარშრუტში მიდის. ჩვენ ვიცოდით, სადაც იყავი და ვუთხარით: აგერ ოთარია თავისუფალი და წამოგყვება-თქვა, მარა ყურს არ გაიკარა: „ჩე ჩემი თანაშემწე მინდა, ვილაც ოთარია კი არაო.“ თურმე მაგ საცოდავს, ამ ხნის მემანქანეს, თავის სიცოცხლეში ჭილდო არ მიუღია და არც გაზეთში დაუწერიათ როდისმე. მადლობა კი არა, გინების მეტი არა შემხვედრია რა უფროსებისაგანო. გადარეულია ზენზე: ფეხბედნიერია ჯაბა, შვილივითა მყავს, უნდა გამოვზარდო და კაცად ვაქციოო.

— მერე, დღეს ხომ ჩვენ ვისვენებთ?

— ქარქაშაძე ავად გამხდარა, მე და ხოქოლავე კი ახლაზანს დავბრუნდით.

— მერე, ხომ ყავს ქარქაშაძეს თანაშემწე?

— არ შერება ოთარია: ჩემი თანაშემწე მინდა მეო.

ჯაბას აღარაფერი უთქვამს, გაბრუნ-

და და ტანსაცმლის გამოსაცვლელად გაემართა.

ერეკენული

...სანაინში ჯაბა და ყვიყვინია ღამის თერთმეტ საათზე ჩავიდნენ.

ღამე საერთო საცხოვრებელში გაათიეს და დილის ექვს საათზე გამობრუნდნენ თბილისში. მთელი გზა ყვიყვინია ისე იყო აღფრთოვანებული, ღვინოც კი არ გახსენებია.

— ფეხბედნიერი ხარ ჩემო ჯაბა, ფეხბედნიერი. — მეასედ ეუბნებოდა ყვიყვინია. — უშველად კიდევ გადავეყრებით ამ გზაზეც რაღაცას. ისეთი მისახვევ-მოსახვევებია, კაცს თავგზა აერევა. მიდის ეს დალოცვილი დებედა და მიჰყვება რკინიგზაც. საითაც მდინარე გაუხვევს, იქითკენ იზამს პირს ეს გზაც. აუცილებლად გადავეყრებით აქეთაც რაღაცას. ოღონდ შენ მე ყველაფერი უნდა დამიჯერო. რომ ვთქვა: ეს წყალი დაღმა კი არა, აღმა მიდისო, კი-თქვა, შენ უნდა დააყოლო. აბაა!... რა გინდა, ხომ ჩაგაკუტინე 150 მანეთი ჯიბაში! ასე, ბიძიკო, ასეთი ბიჭი ვარ მე. ოღონდ, რავეც გეტყვი, შენ ისე უნდა მოიქცე, ბიძია. ჩემთან არ დაიკარგება კაცი, გაშრა ტაგულ ხოქოლავას სისხლი...

თბილისში დაბრუნებისას ღებოს მორიგეს ჩააბარა ყვიყვინიამ საგზური და იქვე განუცხადა: სანაინში მორიელმა მიკბინა ფეხზეო.

მორიგემ მაშინვე ღებოს უფროსთან შეიყვანა ჭედმობილი, აკოკლებული ყვიყვინია.

— რა იყო, რა დაგემართა, შე საცოდაო.

— დავიღუპე, უფროსო, — შესტირა შესვლისთანავე მემანქანემ, — მორიელმა მიკბინა ფეხზე.

მაგიდასთან მჯდარი სერგო კურტანიძე გაოცდა.

— სად იყო, ბიჭო, მორიელი, გაგიფლი?

— სანაინში მეძინა საერთო საცხოვრებელში და აგერ მიკბინა ფეხზე, სანდროვიჩი.

— კიდევ სანდროვიჩი! შენ რა, ყურები ტაოტით ხომ არ ამოგიღესეს? ყვე-

ლას გადავაეციყე ეს იჩი-ბიჩები და ამას მაინც არ დაადგა საშველი.

— დავივიწყებ, სერგო, დავივიწყებ, მაგრამ ამ ჩემ ფეხს ახლა რა ეშველება?

— რა არი, რა ყველა უსაშველო შენ უნდა დაგემართოს, რა გჭირს ასეთი, შე უბედურო.

— აკი მოგახსენეთ, მორიელმა მიკბინა-თქვა.

— როგორ გიკბენდა მორიელი, რა უნდოდა საერთო საცხოვრებელში მორიელს?

— მიკბინა კი და, იგი არ მიკვლევია, რა საქმეზე შემოვიდა და ან პირადად ჩემთან რა ანგარიში ჰქონდა.

— ჰმ, აბა, ერთი გაიხადე ფეხზე. ყვიყვინიამ გაიხადა და ბანდით დაბორბლილი ფეხი გამოაჩინა.

— ა, აგერ მიშავდება ცერი.

— მოვიდა და ზედ ცერზე გიკბინა?

— აგერ შეხედე, თქვენი კეთილი თვალთ. ცერზეა ნაკბენი.

— მე, ხომ იცი, ნესტორ, როგორი მეხსიერება მაქვს, რა ხანია შენ მაგ ფეხს იტკივებ და მაგის გულისთვის წყალტუბოშიც კი გაგზავნენ.

— ის მეორე ფეხი იყო, სერგო ბატონო. ეს მარცხენაა. აა, როგორ შავდება თანდათან ცერი.

— შენ რა, ჩემი გაცურება გინდა, ყვიყვინიაე?

— რა გაცურება, რის გაცურება, ხო-ქოლაეა კი არ ვარ მე?

— შენ ხოქოლაეას თავი დაანებე. თუ მორიელმა მართლა გიკბინა, რატომ მაშინვე იქაურ ექიმს არ მიმართე?

— მეგონა არაფერი იყო. გზაში დამიწყო გაშაეება თითმა. აგერ კითხეთ ჩემს თანაშემწეს.

ჯაბა იპოვეს და მოიყვანეს.

— მართლა უკბინა მორიელმა ფეხზე შენს მემანქანეს, ბიჭო?

ჯაბა გაოცებისაგან გაშრა.

— როდის ბატონო?

— წუხელ, სანაინში, საერთო საცხოვრებელში.

— არ ვიცი, ბატონო, მე მაგის გვერ-

დში მეძინა და არა გამიგია-რა სრულიად.

— აა, შეხედე, ყვიყვინიაე, ^{არცაქვს} ხომ იცი, ტყუილს არ იტყვის.

— მაგან რა იცის, ეძინა მისთვის. — გამწარდა მემანქანე. — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირით. რა ენაღვლება ჩემი ფეხი მაგას.

კურტანიძე კარგახანს გამომცდელად უცქერდა მორიელის ნაკბენს.

— მერე, ახლა ჩემგან რა გინდა აგერ გყავს ექიმი და, თუ ეგ შეხვეული არ მოგწონს, ხელახლა შეგიხვევს.

— შეხვევა მიშველის ახლა მე?

— მაშ რა გინდა, ყვიყვინიაე.

— ახლა ის მინდა, რომ გაგზავნოთ ადგილკომის თავმჯდომარე, მემანქანე ინსტრუქტორი და კიდევ ვინც გინდათ და შეადგინონ აქტი, რომ მორიელმა მიკბინა.

— აქტი რას უშველის მორიელის ნაკბენს, ყვიყვინიაე?

— უშველის. ხედავთ, ფეხი შავდება და შეიძლება მოსაჭრელიც გამოხდეს. მეც ოჯახი მაქვს, მეც მყავს ცოლშვილი.

— ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო! შენც რომ ცოლ-შვილზე მზრუნველი კაცი ხარ! მაგრამ რას იზამ. ადგილზე მაინც უნდა ინახოს ყველაფერი.

მეორე დღეს ინსტრუქტორ-მემანქანე პავლე კობრიძე ჩამოვიდა სანაინიდან.

— რა ჰქენი, ნახე ყველა და ყველაფერი?

— ვნახე პატივცემულო სერგო, მაგრამ საეჭვო არაფერია. შენობა ახალი აშენებულა, აქვს თავისი აბაზანა და საპირფარეო. ყველგან ისეთი სისუფთავეა, დაღვრილი ერბო აიკრიფება. დერეფანში, ოთახებში და კიბეებზეც კი ხალიჩებია დაგებული, — იქ მორიელს რა უნდოდა? დიასახლისმა თქვა: „იქნება მაგას სადმე ტყეში უკბინა, ჩვენ რა შუაში ვართო? თუ მართლა აქ უკბინა, რატომ მაშინვე არ განაცხადაო?“ შენობაცა და მთელი ეზოც გულდასმით დავათვალიერე, მაგრამ მორიელის იქ ყოფნა არ დადასტურდა.

დებოს უფროსმა ჩაიციხა.

— მაგას არავითარმა მორიელმა არ უკბინა. ეგ რა ხანია, მაგ ფეხს იტკიებს. მაგას პენსიაზე გასკლა უნდა და მაგ ხლაფორით სურს თვეში საშუალო გამომუშაება — 250 მანეთი დაირტყას. აბა, ერთი აქ დამიძახეთ.

ყვიყვინია შემოვიდა და კედელს უცოდველი ანგელოზით აეყუდა.

— აი, ნესტორ, ვინც შენ დამისახელე, — შენი ძმაცაი გავგზავნე და შევამოწმებინე. მორიელის კვალს ეკვადაც ვერ მივაგენითო.

— რა კვალი უნდა დაეტოვებინა მორიელს, ბატონო, ნალოანი ჩექმა ხომ არ ეცემებოდა. ვინ იცის სად შეძვრა შეშინებული მორიელი, თვითონ რაფერ გამოეცხადებოდათ: აგერ, მე ვიყავით? მე ბატოსანი კაცი ვარ და ტყუილს როგორ ვიტყვი? ცოლშვილი გამიწყდეს, თუ ტყუილისთვის პირი გავხსნა. რაკი პატრონი არავინ მყავს. მიტომ უნდა მჩაგრონ?

— შენ არავინ გჩაგრავს, ყვიყვინიავ. შენი თავის უბედური შენ თვითონა ხარ. შენთვის რომ მორიელს მართლა ეკბინა, არც ისეთი ბიჭი ხარ, არ იცოდე, რომ ადგილზევე აქტი შეადგენინო.

— მე მუშა კაცი ვარ, ბატონო, სად შემიძლია მაგდენის ფიქრი? ეგეც რომ არ ყოფილიყო, თქვენ თავს რავე გავალანძლინებდი ვინმეს.

— შენი ფეხის გულისთვის მე ვინ გამლანძლავდა, ყვიყვინი?

— მართალი თუ გინდათ, ბატონო, აქტი მიტომ არ შევადგენინე, რომ თქვენს გალანძლავს მოვერიდე.

კურტანიძემ გაცუბით გადახედა იქ მყოფთ.

— რაო, ყვიყვინი, არ შეგიძლია ცოტა გასაგებად ილაპარაკო? ვინ გამლანძლავდა მე?

— ვინა ბატონო და, მე რომ იქ კომისია და ექიმები მომეთხოვნა, ვინლა წამოიყვანდა მატარებელს? უნდა მდგარიყო იქვე სადგურზე.

— ბიჭო, ის სადგური ერევანს ეკუთვნოდა და მე გავილანძღებოდი?

— მაგდენი კი ველარ მოვიფიქრე და

რა ექნა, ბატონო. მე თქვენი დარდი მქონდა, მეგონა თქვენ ეგვილანძღებოდათ.

მეზღვირეთქა

— იცი რა გითხრა, ყვიყვინიავ? შენი მოსატყუარი კბილი კარგა ხანია რაც მოვიცვალე. მე იქ არავინაც არ გამლანძლავდა. შენ შენს თავს მიხვდავდი და ისინი მატარებელს თავიანთ მემანქანეს წამოაყვანინებდნენ. შენ, მე ვიცი, ეგ მორიელი რისთვისაც გინდა შემოგგზიხრო. მოდი, წადი ყვიყვინიავ და საპენსიოდ სხვა უფრო საიმედო რამე მოიგონე. ყოველ თვე 250 მანეთი კაი კაკაა, მაგრამ მოდი სხვა რამე მოიგონე მიზეზად.

— ცოლშვილს გეფიცებით, თუ პენსიისთვის მიწოდდეს. მე მუშა კაცი ვარ და მუშაობაც მიყვარს, მაგრამ, რომ მომქრან ეს ფეხი, ჩემი ცოლშვილის ცოდვა ვის კისერზე იქნება? რა არის, უფროსო, რატომ არ მეხმარებით?

— არ მეხმარებითო? ვის არ ვეხმარებით, ყვიყვინი? აღარ გახსოვს ამ სამი ოთხი წლის წინ კუჭი რომ აიტკივე და ბორჯომის ოცდაოთხდღიანი საგზური გაირტყი? უფრო ადრე არ იყო, გულისფრიალი რომ შემომჩვივლე და ქობულეთში გავგზავნე? შარშანწინ წადვერში ისვენებდი წარჩინებული პიონერივით. წელს ოროთახიან ბინაში შეგასახლეთ, შე სახეძალლო, მეტი რა დახმარებალა გინდა?

— არა, ბატონო, არ მცემთ საკადრის პატივს, არა.

— ერთი ამას უყურეთ, თქვენ! პატივს არა მცემთო? შენ შარშანდელი კასპის ამბავი რად დაივიწყე? ის ვინ იყო, ღვინისაგან გარეტანებულმა სწრაფმოქმედი ავტომატი რომ ვერ ჩართე თავის დროზე და მთელი საათი და შვიდი წუთი იდექი გადასარბენზე?

— დაზიანებული იყო, ბატონო, და მიტომ ვერ ჩაერთე.

— რამ დაზიანა? როდის დაზიანდა? ანდა, რა იყო დაზიანების მიზეზი, რატომ ვერ იპოვე? მთელი საათი და ათი წუთი გააჩერე სადგურზე სახალხო მატარებლები და ყველას გრაფიკი დაარ-

ლევინე. განა მაშინ პატივი არ გეცით მემანქანე კაცი უბრალო ზეინკლად არ ჩამოგაქვეითე? განა მაშინ ოჯახის მდგომარეობაში არ შევედი? მეტი რაღა დახმარება გინდა? შენ მაგიერ მე ხომ არ ვიმუშაებ? შენს გარდა მემანქანეები კიდევ ხელთასი მყავს.

— რა გენაღვლებათ, ბატონო, მომეცით ეს ოხერი პენსია, თქვენი ჭიბიდან ხომ არ მიღის?

— ჩემიდან თუ არა, სახელმწიფოს ჭიბიდან ხომ მიღის?

— არა, ბატონო, თქვენ ნუ გეშინიათ, ჩვენი სახელმწიფოდან არ წავა: ეს აქ ხომ არ დამეპარათა. სანაინი ერეენის განყოფილებაა, რა გენაღვლებათ, თუ სომხეთი მომცემს?

— როგორ, სომხეთი ჩვენს სახელმწიფოში არ შედის? — რამდენი ხანია, რაც ცალკე გამოჰყავი?

— თუ ასე სალაპარაკოს გამიხდით საქმეს, თქვენი არაფერი არ მინდა, მაგრამ ჩემი ცოლშვილის ცოდვაც თქვენ კისერზე იყოს და ჩემი ფეხისაც! — უვიყვინიამ დაჰკრა ის თავისი მორიელის ნაპბენი ფეხი და გარეთ გაეარდა.

XIV

ჯაბა ჩემოდანი დადგა და ვედროს მისწვდა. ჯაჭვის ჩხარაჩხურით დაეშვა ვედრო ჭის ფსკერზე. მერე იდგა დაჩოქილი და პირდაპირ ჭისთავზე შემომდგარ ვედროდან სვამდა ცივ წყალს. დიდიხნიდან ნაცნობი სასიამო გემო სასიდან მოკიდებული მთელ ყელს ედებოდა და იქიდან სხეულში ერთნატიელის მომგვრელად იშლებოდა.

ისევ ისე იდგა აქამეთის სადგური თავისი მორიგითა და განუყრელი მეისრით, როგორსაც ხატავდა ხოლმე სარკინიგზო სასწავლებელში საკონსპექტორეულის ყდებზე თუ ცალკეულ ფურცლებზე. ისევ ისე იდგნენ მოკლედ შეკრებილი გზონები და კვლავ დაწალიკებულნი მიჰყვებოდნენ ერთმანეთს სადგურის გასწვრივ ალები.

ოდესღაც აი აქ, ამ ადგილას, ორთქლმავლის მემანქანემ სწორედ მისი მოტა-

ნილი წყლით გაიგრილა წყურვილით გამშრალი ყელი. მერე იმკურნა ედიდხანს ინახავდა და არავის უნებლად წყალზე წასასვლელად. სწორეთ აი, ამ მიიპარნენ სატვირთო ვაგონთან თანასოფლელები და ღამით თბილისის საელმავლო სკოლაში შესასვლელად გამგზავრნენ.

ჯაბამ სადგური მოათვალიერა. არაფერი იყო ნაცნობი. ჩემოდანი აიღო და სასოფლო გზის მაგიერ რკინიგზას გაუყვა.

დიდხანს მიდიოდა. განძებლებზე რომ მოსწყინდებოდა, ლიანდაგის გასწვრივ ბილეს მისდევდა.

რკინიგზის აქეთ-იქით მწვანედ ხასხასებდნენ სიმიდის ყანები. მზესუმზირებს სულ შეხმობოდათ ყვავილები და ბრტყელი კალათებით დამჩიმებულებს ფიქრთანად ჩაეჭინდრათ თავები.

აი, ის ადგილებიც, სადაც მამამისი და ნიკოლოზ ბიძია სიმიდს ათონინებდნენ მას და გენადის.

აგერ ის კოპიტიც, რომლის ქვეშაც წოლა უყვარდათ შუადღის ხეატისას.

აჰა კიშურაც და გარეშემონი, სადაც ჯაბა და გენადი თავიანთ რიცხმცირე ნახირს ამოვებდნენ. მდინარე ისევ ისე პრიალებს მზის გულზე და კვლავ საბანაოდ იწვევს მის ნაპირზე გაზრდილს.

ესეც ის განძებები, რომლებზედაც მთელი სისწრაფით დაჰვნობდნენ ბიძაშვილები.

აი ის რელსებიც, რომელზედაც თავისებურ რეკორდებს ამყარებდნენ ძირს ჩამოქვარდნულ სირბილისას...

ყველაფერი კვლავ ძველებურად არი, ყველაფერი ისევ ისეა, ოღონდ ის ბიჭები — უკვე ის ბიჭები აღარ არიან. ისინი უკვე მემანქანის თანამგმწენი არიან და ერთ წელიწადში თუ წელიწადნახევარის განმავლობაში... და ვინ იცის, იქნება გაცილებით ძლიერ გვიანაც, მაგრამ, მაინც აუცილებლად თავად იქნებიან მემანქანენი... მერე კი ერთი სურვილია რჩება, ერთადერთი სურვილი: დაჯდეს ელმავალზე და ამ სიმიდის ყანებში, ამ ცალფეხზე შემდგარ მზესუმზირ-

რებში, ამ მზის შუქით აპრიალბულ ველმინდრებზე შემოაჯირითოს მატარებელი.

შორიდან საყვირის ხმა მოისმა. სიმინდების მწვანე ფარდა გაიხრდა და იქიდან ელმავალმა გამოყო თავი.

ჯაბა ანცობის ქინძა აიტანა: შედგა რელსზე და მატარებლისაკენ სირბილით წავიდა.

ელმავლის საყვირმა გნიასი ატეხა.

ჯაბა არც რელსიდან ჩამოსულა და არც სირბილი შეუჩერებია.

კიდევ უფრო აგანგაშდა საყვირი და მეელმავლემ ფანჯარაში თავი მკერდამდე გადმოყო.

ჯაბა მხოლოდ ორმოციოდე მეტრის მანძილზეა ჩახტა ძირს და განზე გადასიცილით.

მეელმავლემ მუშტადშეკრული ხელი ილიამდე გადმოყო და პაერში შეაჯანჯღარა.

ჯაბა დაღრეჯილი ტუჩების ცმაცუნზე მიხვდა, რომ შემანქანემ იმ მუშტს კარგა ნარჩევი ვინებაც დააყოლა.

მერე მოდგა და ვაგონების თვლა დაიწყო.

თერთმეტი ვაგონი იყო.

ბოლო ვაგონის ბოლო ფანჯარას ჩააცივდა.

ვაგონმა ისე ჩაიარა, წითელ ყელსახვევს ვინ ჩივის, — თავათ გაჩხიჯული პატარა გოგოც არ გამოჩენილა...

სოფელში გვიან შევიდა.

ძუნწად მბუეტავ სინათლეებზე მოჩანდა ოდასახლები და მწვანე მოლიანი ეზოები.

აგერ ბრიგადირ სიმონას სამზადი და ოდა. საწყალ სიმონას მათი ნათოხნის დაზომვისას გენადი შევლოდა ხოლმე „რულეტის“ გაწევას და ყოველთვის ატყუებდა ზომვაში.

აგერ აპოლონ ბიძიას ეზო-ვენახიც. სკოლიდან მომავალნი დიდ კაკალს როგორ ესროდნენ ქვასა თუ ჯოხს და გზაზე როგორ ცვიოდა დაბროწილი თავბროლი კაკალი.

ესეც კოლმეურნეობის საწყობი და ნალია. ოპ, ეს ნალია! დიდი საცდური

იყო ეს ნალია სოფლის ბიჭებისთვის, რადგან შიგ არახის ინახვდნენ მაშინ დარაჯად კალენიკე ბაბუას უყუყუებდნენ ხოლმე. ერთხელ გივიამ და ოთარამ მოიფიქრეს: გენადის გაზეთი მოატანინეს, ბერიკაცს ჯაბა მიუხვეს და იმდენხანს აეთხვიანეს ის გაზეთი, სანამ თვითონ ნალიაში აიბარებოდნენ და ჯიბეუბეს არახისით გაიხვებდნენ.

ეშმაკი მოხუცი იყო კალენიკე.

მაინც გაიგო მათი მამაძაღლობა და რადგან ქურდებს ვერ მისწვდებოდა. არამკითხე გაზეთის მკითხველს ჩაავლო ხელი...

მერე დავით-ბაბუამ უკანვე მიატანინა საკოლმეურნეო ქონება და ბიჭები თავმჯდომარის რისხვას გადაარჩინა.

აჰა ოლიფანტის საბრძანებელიც. ნეტავ როგორ ეტევა იმ სიმაღლე მეველე ამ დაგვაჯულ სახლში?

შოთა პატარბიძის და ძმამ კორკოტაძეების სახლებს ისე აფარა, არ დახმურებია. — არაფერია, ხვალ დილით გადმოვა და სულ წვრილად ჩაუყენქავს მათი შეილებების ამბებს.

თავის ეზოში შესვლისთანავე ძაღოვანი ფშვინვა შემოესმა. თუთის ქვეშ მიწოლილიყვნენ ხარები და ზანტ ცოხნაში ღეჭავდნენ მოძალეულ ძილს.

ზამთრის აქეთ ქორეთში არ ყოფილა.

როცა აივანზე ააბიჯა, კარებამდე არც კი იყო მისული, რომ მამინევე ძლიერ ახლობელი, ძლიერ ნაცნობი, რაღაც მტკივნეულად სასიამო და თბილი მიეჭრა და სისხლისძარღვები პირთამდე გაავსო.

...სოფელში სამ დღეს დარჩა და თბილისში დაბრუნებისას თან სამი ბიჭი ჩამოიყვანა, — შემანქანეობის შესწავლის მსურველნი. ვახტანგ ნოდია დიდ უარზე იყო: ჯგუფები გადატვირთულია დივერ მივიღებთო, მაგრამ მამამისის დიდ თხოვნას ჯაბამ თავისი ხეწენა დაადო სართად და ქორეთელები სარკინიგზო სასწავლებელში ჩარიცხეს...

* * *

მდინარემ მკვეთრად მოუხვია და რკინიგზამაც მოუხვია.

რკინიგზამ მოუხვია და მატარებელმაც მოუხვია.

მატარებელმა მოუხვია და ატყდა მოსახვევში ქახა-ქუხი. — ეს, რელსებზე დაწყობილი ქექუნები სკდებოდა ერთ-ერთის მიყოლებით.

ჯაბამ იმ წუთას საშიშროების სუნი იკრა და მუხრუქს ეცა.

ყვიყვინია შეკრთა და საგანგაშო სიგნალი ჩართო.

ელმაველმა სვლას უკლო.

გაცდნენ მოსახვევს და რკინიგზაზე დაპირქვავებული სატვირთო მანქანაც გამოჩნდა.

კიდევ უფრო დააწვა ჯაბა მუხრუქს.

ელმაველმა კიდევ უფრო შეანელა სვლა, მაგრამ დამუხრუქების მანძილი შორი არ იყო. უკანასკნელ წამს დაეჯახა მანქანას, მიღეწ-მოღეწა და რელსებშუა გაჩხირა.

ჯაბას მკვდრისფერი ედო.

გაფითრებული ვადმოვიდა თვითონ ყვიყვინიაც.

გაშეშებულნი, ენაჩავარდნილნი იდგნენ ერთხანს. მერე ისევ ჯაბამ მოიფიქრა და კაბინას ეცა.

კაბინა ცარიელი იყო. არც ძარახე ჩანდა ვინმე.

მთელი რკინიგზა და მდინარის პირი მოფენილიყო გაბნეული ვაშლით. დამტრუული ყუთები და მათი ნამუსრევი არეულიყო ვაშლში.

შოფერიცა და მგზავრებიც მიწას ჩაეყლანა.

მოსახვევში კაცი გამოჩნდა. ქოშინით მორბოდა. ხელში შერჩენილ წითელ ალამს მოაფრიალებდა.

კაცმა როგორც იყო მიადწია შემთხვევის ადგილას. სულს ძლივს ითქვამდა ოფლად დაღვრილი. რკინიგზის დარაჯი იყო, მოდგა და ყვიყვინია საყვედურებით აავსო.

— შე კი კაცი, ხედავ გამოვრბივარ, წითელი ალამი მიჭირავს, ვყვირი, ხე-

ლებს ვიქნევ, განიშნებ — საშიშროებაა! შენ სად ეშმაკებში, ციყურები?! აბა, ეხლა, ეს არი კაცობა? — ჩამსმგამთგამტერა ეგრე, რამ დაგაბნია, გეძინა?

— შენ ვისი ტიკიტომარა ხარ კაცი, რაებს ჩმახავ? — მობრუნდა დაკუმტული ყვიყვინია.

— როგორ, პირველად მხედავ? კიდევ რა გინდოდა, რომ გამეკეთებინა?

— რასაც აკეთებ, თავის დროზე უნდა გააკეთო.

— რაც ქექუნები მქონდა, სულ რელსებზე დაეწყე, — მოუბრუნდა ალმინი ჯაბას, — მერე გავიქეცი ეს ბერიკაცი, მოსახვევიდან კიდევ ნახევარი კილომეტრი ვიკბინე. ვყვირი, ხელებს ვიქნევ, ალამს ვაფრიალებ, მაგრამ საქმეში ხარ? ზის კერპივით, იყურება სადღაც ეშმაკებში.

— ეშმაკიც ხარ და მეტიც! — ყვიყვინიამ თვალეზი დააკვესა, — შენ რას რატრატებ აქ? თუ დარაჯი ხარ, უდარაჯე ამ გზას, თუ არა და მოცილდი აქედან. ხედავ? გააფრთხილეთო. ჯაბა, გესმის, ჯაბა? — გააფრთხილეთო, მოკარი სადმე თვალი მის ფიზიონომიას? ჯაბამ თავის შემანქანეს აპხედა და არა თქვა-რა.

— რას ჩაიგდე ენა, უთხარი ახლა ამას, თუ მოკარი სადმე თვალი დღეს. ჯაბამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— როგორ, კაცი, ეგრე როგორ დაბრმავდით ორთავე, რომ ამოდენა კაცი რელსებზე ვერ დამინახეთ?

— შენ ლანძღვას თავი ანებე, ბერიკაცი. უმჯობესია გავარდე და თუ გაქვს ჯიხურში ტელეფონი, სადახლოს ან აირუმს გამოუძახო. გზა გამიწმინდონ, ხომ ხედავ ვაგვიანებთ.

— ეგ უშენოდაც ვიცი, რა შენი დარიგება მინდა? შენ კი გერჩინა, დროით შეგეჩერებინა და მანქანა მთლად არ დაგელეწა.

დარაჯი ჯიხურისაკენ გაიქცა.

ყვიყვინია რელსზე ჩამოჯდა.

ჯაბამ ერთხელ კიდევ შემოუარა მანქანას, ერთხელ კიდევ ეძება შოფერი-

მაგრამ მისი არსებობისა იქაურობას არა ეტყობოდა—რა.

გაოგნებული მივიდა და ყვიყვიანად თავზე დაადგა.

— ახლა არ მითხრა: ცოტა ჩაიჩოჩე — რელსზე მეც უნდა ჩამოვჯდეო.

— ჩამოჯდომის დრო არაა, ნესტორ-ბიძია, რალაც უნდა მოვიფიქროთ, მატარებელი იგვიანებს.

— შენ მოეშვი ჩემი ჭკუის სწაყლებას ხოჭოლავასავით, მისმინე მე. მინდა კაცად გაქციო. მამასავით ვზრუნავ შენზე. ახლა იცოდე შენ. კარგა ხნის მერე ეს კარგი შემთხვევა აგერ გაიმეტა ღმერთმა.

— რა შემთხვევაზე ამბობ ნესტორ-ბიძია?

— ბოვში აღარა ხარ, ბიძია, შენ. ხომ ჩაგეკუტე ამას წინათ აგარასთან ას ორმოცდაათი მანეთი. ახლაც, ა, უკეთესი შემთხვევაა და ამიბი მხარი,—რავა ბევრი ფული შენ გაწყენს თუ?...
მერე სადახლოდან მოვარდა ხალხით გაჭედილი დრეზინა. მანქანა გვერდზე გადაათრიეს და მატარებელს გზა გაუწმინდეს.

მატარებელი კი საათნახევრის დაგვიანებით შევიდა თბილისის სადგურში...

— რატომ დაიგვიანე? ახლაც მორიელმა ხომ არ გიკბინა? — ჰკითხა სერგო კურტანიძემ, კაბინეტში რიხით შესულ ყვიყვიანს.

— რატომ იცით ხოლმე, ბატონო უფროსო, კაცის დამცირება? ჩემზე ერთგული და მუშა კაცი არ დადის ამ დალოცვილ რკინიგზაზე. როდის იყო, ვიგვიანებდი და ისიც უმიზეზოდ? რა უნდა იფიქროს ამ პატროსანმა ხალხმა? — ეს პატროსანი ხალხი სწორეთ შენი უპატროსნების მიზეზით არის შეკრებილი. რატომ დაიგვიანე?

— რატომ და ავარია მოხდა აირუმის აქეთ დებედის დიდ მოსახვევში.

— რატომ მოახდინე?

— ვინ მოახდინა, ბატონო, ვაშლით დატვირთული თვითმცლელი მანქანა მისით გადმოვარდა კლდიდან.

— შენ არ დასჯახებიხარ?

— რას დავჯახებივარ, ბატონო, უცებ შევასწარი თვალის ექვემას-ხუთასი მეტრიდან შეენიხნე, რომ მანქანა კლდებზე მოვარდა. იმავე წამს მივიღე სასწრაფო ზომები. მაშინვე დავამუხრუტე და სულ რალაც ნახევარ მეტრზე გავაჩერე მანქანიდან. ჰა და ჰა, — ერთი მტკაველით იქნებოდა დაცილებული. მანქანაც გადავარჩინე და შოფერიც... საწყალი შოფერი... ამ მკლავებზე დალია სული, ბატონო, იმ ცოდვიშვილმა, — ყვიყვიანის ტუჩები დაებრიცა და თვალები მოუწყლიანდა, — ამ ჩემ მკლავებზე დალია მისი ცოდვიანი სული საწყალმა შოფერმა.

— კი, მაგრამ, კაცო, ეგ რანაირი გადაარჩენილია, თუ იქვე სული დალია კაცმა?

— დალია, ბატონო და, მე რა ვქნა? ქრისტე ღმერთი ხომ არ კიყავი, მკედრეთით აღმედგინა?

— ბიჭო, თუ დალია, როგორღა გადაარჩინე!

— ისე გადავარჩინე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ექიმი რომ ახლოს ყოფილიყო, გაიპართებოდა კაკალი კაცი.

— კაი, ვთქვათ, მართლა დალია შოფერმა სული, მერე?

— მერე არაფერი, ბატონო, გამოვეუძახე სადახლოდან ხალხს, მოვიდა დრეზინა, გადავართიეთ ის დამსხვრეული მანქანა, გავწმინდე გზა და აგერ ვარ ახლა. მეტი რა უნდა მოიკითხოთ ერთი კაცისაგან, ბატონო? ახლა თქვენც ამაში მე პრემია უნდა მომცეთ და დამაჯილდოოთ.

— ბიჭო, შენვე ამბობ, შოფერმა სული დალიაო და თან ჯილდოს ითხოვ?

— ის შოფერი მე კი არ მოვკალი, მისით გადმოვარდა კლდიდან. ა, აგერ იცდის კარში თანაშემწე და ჰკითხეთ. თქვენც კარგად იცით, ჯაბა ტყუილს არ იტყვის მის დღეში.

— კარგი ყვიყვიანია, წადი ახლა, ჩვენ მაგ შემთხვევას გავარჩევთ რკინიგზის უფროსთან და მერე ვნახავთ, როგორი ჯილდოც გექუთვნის შენ მაგ ტყუილების დახლისათვის.

— რომელი ტყუილი, ბატონო?

— შენ თუ ფიქრობ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით, ძალიან ცდები, ყვიყვინიავ. კაცი დაბერდი და ტყუილი კიდევ არ მოიშალე.

— რა ტყუილი, რის ტყუილი, ესეც პენსია ხომ არ არის, რომ ამაცალეთ თვალს და ხელს შუა? ჭილდო მეკუთვნის და უნდა მომკეთ.

— კობრეიძე! — მოუბრუნდა დეპოს უფროსი ინსტრუქტორ-მემანქანეს, — სანამ ეს ამბავი არ იქნება გარჩეული, მანამდე ნესტორ ყვიყვინია არ ვნახო იმ მარშრუტზე. აბა, წადი ახლა და გარჩევისას გამოვიძახებთ.

— აგერ ვარ ბატონო და მითხარით, რაღა გამოძახება გინდათ. თუ არ გჯერათ ჩემი, აგერ დგას კარს უკან ჩემი თანაშემწე, კითხეთ მასაც. ჯაბას ტყუილი ვინ გაიგონა, კითხეთ მასაც.

— კარგი, წადი ახლა და მერე ვილაპარაკოთ, რა მიზეზით მოხდა დაგვიანება.

— ა. საქმეა ახლა ეს? — ეუბნებოდა ჯაბას დერეფანში გამოსული ყვიყვინია. — მტერი ჩივარდა ამათ ხელში. მუშა კაცის მტრები არიან ესენი, ბაბაია, გაშრა ტაგუ ხოჭოლავას სისხლი. მატარებლიდან მოსული კაცი ჩამომწყვიტეს ფეხზე და ერთხელ არ უთქვამთ აგერ სკამი და დაჭექო. მორიელზე უარესები არიან ეგენი, ბაბაია, იმ მორიელზე უარესები. იმის მაგიერ რომ ჭილდო მოეცათ, აქეთ უნდოდათ ჩემი დასჯა. ნწუ! — არაა მუშა კაცის საშველი. არ არის და ეგაა. რას ვიხამთ, წავიდეთ ახლა, ჩემო ჯაბა და ეგებ ამაღამ სიხმარში მოგვეცენ ჭილდო და პრემია. თვარა ცხადად არაა საშველი გარჩევამდე:

და ეს გარჩევაც მალე მოვიდა.

— რატომ რკინიგზის დარაჯის ნიშანს ყურადღება არ მიაქციე? — ეკითხებოდნენ მესამე დღეს ყვიყვინიას თბილისის რკინიგზის განყოფილების უფროსის კაბინეტში.

— სად იყო, ბატონო, მაშინ რკინიგ-

ზის დარაჯი? როცა ყველაფერი მოთავდა მერე მოვიდა მაგი. *არქონული*

— აბა დაუძახეთ აქ *დაბრუნება* დარაჯი შემოვიდა.

— რატომ დროით არ შეატყობინეთ მემანქანეს, თუ თქვენი სადარაჯო გზის მონაკვეთზე მანქანა იყო გადმოვარდნილი?

— როგორ არ შევატყობინე კაცო, შევატყობინე, მაშა.

— აი, ამბობს, რომ არ შეუტყობინებიაო.

— აბა, ეგეთი ტყუილი იქნება? ჯერ ქვეტუნი დაუწყე რელსებზედა, ბატონო უფროსო, მოსახვეწშია, მემრე კი გაეიქეცი, წინ დაეუხვდი და ნიშანი მივეცი აღმითა; გზაზე ავარიია-მეთქი.

ყვიყვინია გაცეცხლდა.

— სად იყავი, შე გლახა, სად, მერე მოხვედი შენ, როცა იმ საწყალმა შოფერმა ამ ხელებზე დალია სული, აი ამ მუშა-კაცის ხელებზე.

— შოფერმა დალია სულიო? — გაოცდა განყოფილების უფროსი და სალიანდაგო დისტანციის უფროსს გაჰხედა. — რომელმა შოფერმა დალია სული?

— იმ მანქანის შოფერმა, ბატონო. ა, აგერაა ჩემი თანაშემწე და კითხეთ.

— აბა ერთი ის შოფერი შემოიყვანეთ... ოჰო, ეს არის შოფერი? ამ სიგრძე კაცს ნამდვილად სულიც კარგა გრძელი უნდა ჰქონოდა. აღბათ იჭექი და ელოდებოდი, სანამ ბოლომდე დალევდა იმ სულს. მერე რაკი დაატყვე, რომ ყლუპიც აღარ დარჩა პირში, დააჭექი მატარებელს და წამოხვედი არხინად შინ.

— რატომ კადრულობთ, ბატონო, მუშა კაცის დაცივნას? დიდი კაცი ბრძანდებით, — თქვენც დეპოს უფროსი ხომ არა ხართ?

— აგერ, ბატონო, შოფერი, თუ დაგციინით! აბა, შეხედეთ თუ არ ვამბობ მართალს. მაგრამ ამ დალოცვილს, ეტყობა, ზომავზე მეტად გრძელი სული ჰქონია, რომ მთლად არ დაუღვევია და

აგერაა სალსალამათი. რა გვარი ხარ, ბიჭო შენ?

— არევაძე, ბატონო.

— გეტყობა, შენ გვარს მართლა გვარიანად ამართლებ. აი, ეს კაცი, იმ მატარებლის მემანქანე, რომელიც რკინიგზაზე შენს მანქანას დაეჯახა, შენზე ამბობს; ცოცხალი კი არა, მიცვალბულია, ჩემს მკლავზე დალია სულიო.

— რაო? — ყური ცქვიტა შოფერმა. — ერთი ამ სალამანდრას უყურეთ, რა სტილნი რამე მოუგონია! ვაჰ, ეგეთი ცილისწამებაც იქნება? — აი, პატივემეულო უფროსო, დასაქერი მე კი არა, ეს ტარტაროზია. ვაჰ! ესეც ახალი სალამანდრა! — როგორ, ტო, მე დავლიე სული, პირადად მე? ჩემმა მზემ გაგვიყდები კაცი! არა, პატივემეულო უფროსო, რომელი სული, რის სული! სული კი არა, მანავის მწვანე არ დამილევიანა იმ დღისით. ჩემი დანაშაული ეგ არი: ხალტურაზე არ უნდა წავსულიყავი. როგორც კი იმ სალამანდრა მოსახვევს მიუხახლოვდი, გარდიგარდმო წივი გაშიწყდა. გადმოხტომა მოვასწარი. ჩემი დანაშაული ის არი, რომ ცოცხალი გადავრჩი. ვაჰ! — მაშ გასტელო ხომ არ ვიყავი, მაშინასთან ერთად ავფეთქებელიყავი? ახლა ეს სალამანდრა მომდგომია და ცილსა მწამებს: აი, გამოხვალ გარეთ და მე შენ კაი — კაის დაგაღვივინებ.

— არევაძე, რა ამბავში ხარ შენ აჰ?

— აბა, რასა მკლავს ეგრე ადრე ეს სალამანდრა.

— კარგი, კარგი, აბა ერთი დარაჯსაც ვეითხოთ თქვენ, ძია კაცო, შოფერი თუ შეგინიშნაეთ მანქანაში?

— მანქანაში არა, მაგრამ რომ გადამოვარდა, გავიქეცი და ვნახე. შიგ არავინ იყო, მაგრამ თვალს მოვკარი: სადახლოსკენ გარბოდა ვიღაც რკინიგზაზე.

— ვაჰ! ეს სალამანდრაც მე მადებს ხელსა? რკინიგზაზე, ბატონო უფროსო, ათასი ვინმე გარბის. წელან თითონ არა თქო: მანქანისკენ გავრბოდით? ალბათ თითონ გარბოდა და იმას მოგახსენებთ.

— კარგი, მორჩი, არევაძე. აბა. ყვიყვინია, კიდევ ჩილოზზე გიდგასეფები? აგერ კაცი დაგადგა პირზე ~~...~~ დამილევიანა სულიო.

ყვიყვინიამ უნდოდ გადაჰხედა შოფერს.

— რა ვიცი, ბატონო, მე კაცი ავიყვანე ხელში და იმან სული დალია, რა ვიცი, შოფერი იყო თუ მგზავრი?

— არევაძე.

— აჰა ვარ უფროსო!

— კაბინაში ან ძარაზე გეჭდა ვინმე?

— ცოტაოდენი ვაშლი მედო, უფროსო: სამოცდათორმეტი ყუთი და ჩვენ ვიყავით მხოლოდ.

— მაშასადამე, სხვაც ყოფილა ზედ.

— არა, უფროსო, ჩვენს მეტი არავინ.

— როგორ თუ „ჩვენ“? — ვინ „თქვენ“, რატომ არ ამბობ?

— მარტო ჩვენ ვიყავით, უფროსო, სხვა არავინ.

— ვინ „თქვენ“, — მარტო შენ იყავი?

— დიას, პატივემეულო უფროსო, მარტო ჩვენ.

— კარგი. გასაგებია. ხედავ, ყვიყვინია? — მანქანაში არც შოფერი ყოფილა და არც მგზავრი.

— რა ვიცი, ბატონო, ის საწყალი კაცი კი შემომაკვდა ხელში ასე, რაჯარც თქვენ გიყურებთ.

— მერე, რალა მე მიყურებ, შე კაცო, მე რა დამიშავებია შენთვის? თუ შემოგაკვდა, რა იქნა ის მკვდარი?

— რა ვიცი, კაცო, მეც ეგ არ მიკვირს სწორედ? — სად უნდა გაქცეულიყო მკვდარი? ალბათ მგზავრი იყო ვინმე და დამალეს.

— უცნაურია, ყვიყვინია, კაცი ჯაყვა ხომ არ იყო, რომ დაემალათ? აგერ შოფერიცა და დარაჯიც ამბობს, რომ მანქანაში არავინ ყოფილა. მაშ ვის უნდა დაეღია სული? თუ დამალვანხა და თუ მართლა შემოგაკვდა ვინმე, მაშინ, ალბათ შენ თვითონ დამალე. მაშინ, ეგ კიდევ ახალი დანაშაული!... გაიგე, რომ იქ სხვა არავინ ყოფილა და, მაშასადამე, არც მკვდარი იქნებოდა.

— მე ჩემი მუშურ-გლეხური წმინდა საბჭოთა მოქალაქეობრივი მოვალეობა მოვიხადე და ახლა თქვენ იცით. გაშრა ტაგუ ხოლოვას სისხლი! — არ ყოფილა მუშა-კაცის საშველი და ეგაა. არაფერი მინდა, ბატონო, თქვენი, ვიცი, რა ხალხიცა ხართ. დამანებეთ თავი და მომეშვიტო მინც. აგერ, ბატონო, სხედ-ხართ და როგორც გინდათ, ისე გაარჩი-ეთ.

— ოო, ყვიყვინია, ყვიყვინია, ჩვენ ასე ადვილად როდი ვეშვებით დამანაშავეს.

— ეინაა დამანაშავე, ბატონო?

— მოიცა, ყვიყვინია. აბა, ერთი მის თანაშემწეს დაუძახეთ.

— ჯაბა შემკრთალი შემოვიდა კარებ-ში და ამდენი უფროსის ერთად დანახ-ვაზე კიდევ უფრო შეკრთა. უცებ მისი თვალები ნაცნობ თვალებს შეეფეთნენ და გაშრნენ.

— ვაჰ, სალამანდრა! შენ აქ რა გინდა, ტო?! — გაოცდა შოფერი.

და შოფერში ჯაბამ ის სალამანდრა იცნო, ის არევაძე, მისი სკოლის მოწა-ფე, რომელიც ზარის თამაშისთვის გა-რიცხეს სასწავლებლიდან. პირველი დღიდანვე ავი ანგელოზივით რომ აე-კვიატა და აბა, დღეს ისევ აქ შეხვდა. ეს მან ჩასჩარა ერთხელ ხელში კამათ-ლები დეპოს ბაღში. თავად თავს უშვე-ლა და კინაღამ პატიოსანი კაცი გახვია შარში.

ჯაბამ თვალი აარიდა და უშიშროების რევიზორს მიაჩერდა.

— აბა, ჯაბა, დეპოს უფროსი თავდე-ბად გიდგება, რომ ჯაბას თავის სიცოც-ხლეში ტყუილი არ უთქვამსო. მოყვეი რა მოხდა აირუმ-სადახლოს გადასარ-ბენზე.

და, როცა ბოლომდე მოისმინეს მო-ნათბრობი, განყოფილების უფროსმა იკითხა:

შენმა მემანქანემ შენიშნა თუ არა, რკინიგზის დარაჯი და წითელი ალაში?

— ვერაფერს გეტყვით, ბატონო.

ყვიყვინია წელში გაიმართა.

— ა, ბატონო, თუ ვტყუივარ, აგერაა

კაცი! სად იყო დარაჯი, თვალი მომიკ-რავს?

— როგორ, შვილო, მაშვერ დამინა-ხეთ ეს გასაგებებული ბერიკაცი, რომ ვიქნევიდი ხელებს და ალამს ვაფრია-ლებდი მაღლა?

— არ დამინახვიხართ, ბაბუა, და რა-ფერ ვთქვა ტყუილი. მე თანაშემწე ვარ, ჩემს ადგილას ვიჭექი და იქიდან კი ჩე-მი ხედვის არეში მხოლოდ კლდის პირი მოჩანდა. თქვენ ალბათ, მდინარის მხა-რეს იდექით, მემანქანის მხარეს და მი-ტომ ვერ დაგინახეთ მე.

ყვიყვინიას სახე დაეგრძობა.

განყოფილების უფროსმა დეპოს უფროსს გადახედა და მოწონების ნიშ-ნად თავი დაუქნია.

— საზრინი ჩანს ეს ბიჭი.

— პირველი მოწაფე იყო სასწავლე-ბელშიც — ჩუმადვე დაუდისტურა დე-პოს უფროსმა.

— ჰოდა, რაღა გაქვს საფიქრალი, კადრი გყოლია. აბა, ყვიყვინია, შენ რას იტყვი?

— არ დამინახავს, ბატონო, არაფერ მე იქ.

— ჯაბა, ჭეჭუნების გასკდომის ად-გილიდან ავარიამდე მანძილი ჩვენ უკ-ვე ვიცით. იქიდან მართლაც ძნელია იმაზე მარჯვე დამუხრუჭება. მაგრამ მა-ტარებელი რომ გაჩერდა და თქვენკენ გამოქცეული რკინიგზის დარაჯი შე-ნიშნე, რა მანძილი იქნებოდა იქიდან თქვენამდე?

— მე იმ ადგილს იქით მოვკარი თვა-ლი გამოქცეულ კაცს, სადაც ჭეჭუნებმა იწყო გასკდომა.

ყველა იქ მყოფმა ყვიყვინიას ნიშნის-მოგებითა და კითხვის თვალით გადა-ხედა.

— არა, ბატონო, ტყუის მაგი, ჩემი ჭინი აქვს მაგას. კაცი არ მინახავს არ-სად.

— იქნებ, ყვიყვინია, ამ ბერიკაცს არ-ცა სთვლი კაცად?

და მერე მთელ საათს უმტკიცებდნენ მემანქანეს, რომ მან დაუდევრობით დროზე არ მიიღო ზომები მატარებლის

შესაჩერებლად, რომ ფლატზე დაგორებული, დამტვრევას გადაჩენილი თვიომცლელი მანქანა დაღეწა და ათასი მანეთის ზარალი მიაყენა მარნეულის სატვირთო ატკ-ს. მერე როგორი სასჯელი ეკუთვნოდა და მისი ხანდაზმულობის გამო როგორ უმსუბუქებდნენ სასჯელს.

და ყვიყვიანათვის მეტად მოულოდნელად, ჭილდო დარაჯს მისცეს, ხოლო ნესტორ კუჭუს-ძე ყვიყვიანია სამი თვით ჩამოაქვეითეს მემანქანის თანაშემწედ.

XVI

ელმავალმა კიდევ უფრო გაიზინდვრა და ტრამალზე გავიდა. სადღეცხენივით ფერდაწმენილი, გუგუნდგანდგარით მიაპობდა სივრცეს და თვლებქვეშ იხვევდა განძლებად დაყოფილ სიშორეს. ყვილით ჩაუვლიდა ბაქნებსა და ჭიხურებს, გზაჯვარედინებსა და გადასასვლელებს. ხოლო მოახლოებულ სადგურებს ისე მიაბლაგლებდა ჯონქა ხარივით, შეელმავლეს ეგონა: ელმავალი კი არა, ეს თავად მე ვარ, ეს თავად ჩემი გული გამკივის ეგრე ხაფი ხვითო. თავი ისევ სიზმრად ეგონა. ეგონა, ეს დაუსრულებელი ქენებაც იმ სიზმრის გაგრძელება იყო. წუხელ რომ ნახა. წუხელ კი სწორეთ ის წრიბა. გაეჩაქული გოგო ეზმანა, სვირა-აჯამეთის გადასარბენზე მატარებლის ბოლო ვაგონის ბოლო ფანჯრიდან რომ უქნევდა წითელ ყელსახვევს. ოღონდ ახლა მემანქანის კაბინაში იჯდა და იქიდან ესალმებოდა მალლა აწეული ზელით.

სიზმრიდან ჯერ კარგად არც-კი იყო გამორკვეული, რომ თავზე ბიჭები დაეცნენ.

— ჯაბა! ჯაბა! რა დროს ძილია, გაიღვიძე, შე სახეძალო! — მემანქანე ხარ უკვე. მემანქანე!

მერე დასტაცეს ზელი, დაღეს საბანზე და საცვლებიანი მალლა იმდენ ხანს ისროლეს, სანამ ძირს არ გადმოუვარ-

დათ და იატაკზე არ მოადენინეს ბრახვანი.

ახლა კი მთლად გამოფხიზლდა გაცოცხლებული ბიჭი და ვერაფრით ირწმუნა ზღაპარი.

მერე ალახ-მალაზ ჩააცვეს და პირდაუბანელი, პირდაპირ დეპოში გააქციეს წუხანდელი დაწერილი ბრძანების სანახავად.

ბიჭები მართალნი გამოდგნენ: ყვიყვიანის დიდზე დიდ შეურაცხყოფად მიეღო თანაშემწედ ჩამოქვეითება და პენსიაზე გასულიყო. ამრიგად მთელი ცვლა დაეკომპლექტებინათ: ჯაბა მემანქანედ, ხოლო გენადი მის თანაშემწედ. ხაზზე დღესვე გადიოდნენ. დილის ათი საათისათვის. მარშრუტი: თბილისი-აღსტაფა. მარტომსვლელი ელმავლით უნდა ჩასულიყვნენ და იქიდან ნედლი ნავთობის სამოცდაექვს ცისტერნიანი შემადგენლობა უნდა წამოეყვანათ.

ჯაბას გული გასკდომაზე ჰქონდა. უქულოდ გავარდა ჟირაფის ქუჩაზე და მერე ენაგადმოვარდნილი აბრახუნებდა ძველებურ კარზე.

ლიამ ეს ბედნიერება ერთბაშად ვერ დაიჭერა.

— წამოდი, გაჩვენო, შენი თვალით ნახე. თუმცა დღეს თავისუფალი ხარ და ჩემთან ერთად შეგიძლია წამოხვიდე. კვირაა, წამოდი, დღესვე დავბრუნდებით იქიდან და საღამოს ისევ შინ იქნებით.

— აჰ, მეშინია, ჯაბა.

— ჩემთან? ჩემთან რისა უნდა შეგეშინდეს? სოსოც წავიყვანოთ. აბა, ჰე, ჩაიცი, ჩქარა!

სოსო ისე დაფაცურდა და გამოიბრანჭა, თითქოს აღლუმზე მიდიოდა.

— ოჰ, ჯაბა, ნუთუ მართალია? — ორასორმოცდაათი მანეთი თვეში!

— ორასორმოცდაათი? — რატომ მარტო ორასორმოცდაათი? აბა მთავს ელექტროენერჯის, საცხებისა და საწმენდი მასალის ეკონომია მიუმატე, უავარიოდ მუშაობის კვარტალური ჯილდო, ზედმეტი წონის გადატანა, — ყო-

ველ ას ტონაზე ათი მანეთი! — იცი ეს თვეში რამდენს შეადგენს?

— ოჰ, ჯაბა, გული შეთანადრება, როგორ უნდა განდონ მარტოს ელმავალი და მატარებელი? ხომ ჩემი ხელით მექნება თავი მოსაკლავი, შენ რომ ავარია მოგიხდეს და რამე დაგემართოს!

— ავარია ლოთებსა და ბედოვლათებს მოსდით, ჩემისთანა ხალხი კი ზედ გამოჭრილია მატარებლისათვის. აბა, ახლა ნახონ, რა ბიჭია ჯაბა მამაცაშვილი!...

და მიჰქროდა გაკრიალებული, ლამაზი, დარახტული ელმავალი! მიჰქროლებდა სიხარულით ყელამდე მძღაროთხ გულს და ამ გულების დაგადუგთან შერწყმული გოგორწყვილების დაგადუგი პირქარს უკან, ყარაიის ველი-საკენ მოჰქონდა.

— გენადი, ჰეი, გენადი!

— რა არის, ჯაბა?!

— ხომ ყველაფერი შენებურად შემოწმე და გაწმინდე?!

— რესორებიც კი ისე პრიალებს, როგორც ყვიყვინიას თავი!

— გენადი, მოდი, ამ გახსენებაზე, სადმე კვერთხი ჩაეავდოთ!

— ძროხა რომ არა გეყავს, ჯაბა?!

— აღსტაფაში ვიყიდოთ!

— კარგი მოფიქრებაა, თუ იაჟად შეგეხვდა!

ორივემ ისე გადაიხარხარა, კინაღამ სკამებიდან გადმოცვივდნენ.

და მერე, რაკი ცნობისმოყვარე ლიამ საშველი არ მისცა, ჯაბამ აღხსნა, რა იყო „კვერთხის ჩაგდება“.

— კვერთხი ხომ იცი რაც არის? კვერთხი ჩვენთვის იგივე ნებართვაა. — გადასარბენას დაკავების ნებართვა. სადგურზე დგას მორიგე კვერთხით ზელში, მას შემანქანე ართმევს ამ კვერთხს, ესე იგი გადასარბენის დაკავების ნებართვაა. შემდეგ სადგურამდე, თუ მორიგეს კვერთხი არ გამოართვი, გზას ვერ განაგრძობ. ამიტომ, რას აკეთებდა ყვიყვინია: თბილისიდან გამოსული, გზადაგზა შეათვალე რებდა რომელიმე სადგურთან ახლო თივას ან ჩა-

ლას. და მერე უკან დაბრუნებულნი, იმ სადგურის მორიგეს კვერთხის გამოსართმევად გადასწვდებოდი და ისეთი მოქრობას აკეთებდა, ვითომ კვერთხს ვერ მისწვდა, ანდა ხელი აუცდა. მერე, რაკი უკვერთხოდ წასვლა არ იქნებოდა, და ამუხრუჭებდა მატარებელს და სწორეთ იმ ადგილას გააჩერებდა, სადაც ჩალა ან თივა ეგულებოდა. მე კვერთხის მოსატანად მგზავნიდა და სანამ დავბრუნდებოდი, ძროხის საკეები უკვე ვაგონში იყო შეზიდული.

— და შენ, ჯაბა, ამაში ვხმარებოდი? — ქალი წარბს იკრავდა.

— პირველად ვერაფერს მივხვდი, მერე საკუთარი თვლით ვნახე და შევლაპარაკდი. მერე კვერთხის წამოსაღებად აღარ მივდიოდი. ერთ-ორჯერ იძულებული გახდა თვითონ წაეღო და მერე აღარც „ჩაუგდია“ კვერთხი. მას შემდეგ დამიწყო აღმაცერად ყურება და, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, ხოქოლავას ლეკვს მეძახდა ბოლმით გაგულული.

— ახლა, ჯაბა, სამივე კარგი შემადგენლობა ეიქნებით, მოდი, გვირობისთვის ვიოვოთ.

— გვირობა! — რა ადვილად ამბობ გვირობას! ქარქაშაძე კარგი კაცია, მაგრამ ფხა და მარიფათი აკლია ხოქოლავასი.

— სამაგიეროდ შოთა პატარძია მარჯვე ბიჭი.

— შოთა მხოლოდ თანაშემწეა.

— ეგეც კარგია. რაკი ყვიყვინია აღარ არის, ახლა ქარქაშაძეც გამოიღებს თავს! ელჟავალს ისე უნდა გამოქონდეს კრიალი, ბეწვი სულ ცირკის ცხენივით უბზინავდეს!

— ჰო, მართლა, შენ იყავი წუხელ ცირკში ჭიდაობაზე. რა ქნა ჩვენმა მირიანმა?

— რა ქნა და აადლიზა როსტოველ ბოგომოლოვს „შრომიითი რეზერვების“ ჩემპიონობა!

— ვაჰ, რა არიან! ეს კახელები! — თვალი სულ ჭიდაობაზე უქირავთ.

— შენ უნდა გეყურებინა იმ როს-

ტოველისათვის: როგორც ვააკრეს ხალიჩაზე, ეგრევე დარჩა! რა ხანია ადგომის დრო მოვიდა, ის კი არა დგება. მსაჯი შეშინდა, ხომ არაფერი დაემართათ. ის კი წევს და ფიჭობს: ცალქალამანიძემ ეს მიყო და ორქალამანიძე რომ გამოეყვანათ ის რაღას მიზამდა!

ჯაბამ გადაიხარხარა.

— ჩვენი ბიჭების მოგონილია. ო, რას გაიხარებდით ვინც იქ იყავით!

— ხალიჩაზე გადაეცვივდით მირიანის საყოცნელად, მაგრამ დაგვიჭირეს და პანდურის კერით გამოგვრეყეს უკან-ვე!

— ჯაბა, წინ იყურე, ჯაბა!

— ნუ გეშინია, ლია, წინაც ვიყურები. შენ ხამად ხარ ელმავალზე. მე კი თვალი ისე მაქვს შეჩვეული, საშიშროებას დროზე ადრე ვგრძნობ. ყნოსვაც კი გამომიძღვავდა ხიფათის შეგრძნებისა. ატყობ ხედვის არე რამსიშორება? აქ გზა პირდაპირ ტრამალზე მიდის! და საექვო მოძრაობაც კი ადვილი შესამჩნევია. მანდ რას დგახარ, მოდი აქ დაჯექ, აქედან უკეთ ჩანს ყველაფერი. — და თავის გვერდით პატარა სკამი ჩამოშალა.

ქალი ჩამოჯდა.

— კარგად დაჯექი, არ გადავარდე. — ჯაბამ ცალი ხელი წელზე მოჰხვია.

— ხელი აიღე, სოსო აქეთ იყურება.

— სოსო ისეა მიმკვდარი კარის მინაზე, ჩვენი ჯავრი აქვს?

— გენადისთან ხომ სირცხვილია?

— რა სირცხვილია, — გენადი შენი სამაზლოა. ხომ ზედავ აქეთ არც კი იყურება. უპ, რა წვრილი წელი გაქვს, მუჭაში ჩაეტევა.

— შენ ჩემს წელს ნუ დასცინი ხოლმე, ჯაბა. ყველა ხომ შენსავით ჩასუქებული არ იქნება?

— მე არ გეუბნები გამხდარი ხარმეთი.

— ეს ორი წელია, რაც ვავსუქდი. მანამდე ისეთი გაჩხვილი ვიყავი, ნემსის ყუნწში გავეტეოდი.

— რაღაც არა მჯერა, რომ შენ როდისმე გამხდარი ყოფილიყავი.

— პატარაობისას ძალიან გამხდარი ვიყავი.

— ჯაბა, გესმის, ჯაბა?!

— ხელი აიღე, იყურება.

— ნუ ადგები, ავიღებ. რა გინდა, გენადი?!

— ელმავლის კაბინა უნდა ლამაზად მოვროთ!

— მაგას მეც ვფიჭობ. სარკე, კარგი სურათები, ბელადის პორტრეტი.

— იატაკზე პატარა ხალიჩა.

— აპ, იატაკზე არ ივარგებს. ამას წინათ მოძრაობის უშიშროების რევიზორი ამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, ჩვენთვის ორიოდ სიტყვა გაიმეტა და მერე პირდაპირ იატაკზე დააფურთხა.

— ტაგუ ხოჭოლავა ბოლმით ვასკდებოდა!

— ტაგუმ არც აცია, არც აცხელა, გაულო კარი და მაშინვე უბოდიშოდ ძირს ჩააბრძანა.

— როგორ, კაცო, მემანქანემ პოლკოვნიკს ეგ ვაუბედა?

— რატომაც არ უნდა ვაეუბნა? მთელი დღე მის წმენდა-ხეხვაში ვართ. სადგურებზედაც კი, მკირეოდენი შესვენების დროს, მჩვარით ვადგავარ თავზე!

— მერე, არაფერი უთხრა რევიზორმა?

— რა უნდა ეთქვა? — ხომ იცოდა, რომ ტყუოდა? ისე უჩუმრად ჩავიდა, თვლებში არც-კი შემოუხედავს. როცა მართალი ხარ, რკინაზე მაგარი უნდა იყო!

— ეპ, ჯაბა, ბევრი მართალი მინახავს!... თვითონ ის პოლკოვნიკი ყოფილა კაი კაცი, თორემ მე ვიცი, როგორც მოიქცეოდა.

— მაინც რას იზამდა?

— ჩაუსაფრდებოდა სადმე და ისე გამოიჭურდა!... ან რა იცი, რომ ახლა უკვე ჩასაფრებული არ არის?

— ნურაფერს ვაფუქებ და ჩასაფრებისაც ნუ გეშინია...

სალოღლის ვასცდნენ და ჯაბა მოილუშა: აი, ის ადგილი, სადაც საბრალო ლილი ბოროტი კაცის დანის მსხვერპლი

გახდა... ეს მეორე კვირაა რაც მარამ-სურენას ნახიჩევანში მიაგნეს და დაიჭირეს. მალე სასამართლოც იქნება. ჯაბა მოწმედ გავა და მკვლელი თავის საზღაურს მიიღებს... მაგრამ ლილის რა? — ლილის რაღა ეშველება ამით?.. ლილი! საბრალო ლილი! პრაქტიკაზე ყოფნის პირველ დღეებში როგორ აწვალედა ხოლმე! რკინიგზის მოსახვევში მუხრატზე მიუშვედა ჯაბას და მის სახელურს ხან მარჯვნივ ატრიალებინებდა, ხან მარცხნივ: ვითომც, მუხრატის ტრიალზე იყო დამოკიდებული მატარებლის მიხვევ-მოხვევა... ერთხელაც, როცა ელმავალი შესაკეთებლად იდგა დემოში, ბიჭს ავტოგადსამბელო გაატანა შემდუღებულთან. ჯაბას ერთი რგოლი ჰქონდა გახსნილი და ის უნდა შეედუღებინა. ჯაბას ლილიც თან გაჰყვა და შემდუღებულს უთხრა კარგად გაეკეთებინა. მერე დაიხარა და ჩუმად ყურში რაღაც უჩურჩულა.

შემდუღებელი მისდგა და გახსნილი რგოლის გარშემო ერთხანს იცოცვია. მერე წელში გაიმართა და განაცხადა:

— რა ვქნა, ლილიჯან, არ დუღდება. აი, ნახე, — შემდუღებლის წრედს დამიწება აკლია, მიწა არა აქვს.

— მიწა? — ყური ცქვიტა ჯაბამ. — მიწას რა უნდა? — თუ გინდა წავალ და მთელ გოდორ მიწას მოვიტან!

და ოღონდ თავისი, მშვენიერი მემანქანისათვის ესამოვნებინა, იქვე გამოჩხრიკა ევება ყუთი და, ჰერი ბიჭო! — დემოდან გავარდა...

როცა ზურგზე მოგდებული მიწით საცე ყუთით წელში მოკაყული და ოფლში გახვითქული დაბრუნდა, რგოლი უკვე შედუღებული იყო...

ოპ, რამდენი იცინა მაშინ ლილიმ!...

— რა კარგია ასე ქროლა! რა კარგი ბიჭი ხარ, რომ წამომიყვანე, ჯაბა.

— სხვა დროს არ მჭდარხარ ელმავალზე?

— აბა ელმავალზე ვინ დამსვამდა?

— მატარებელში?

— მატარებელში მხოლოდ ერთხელ

ვიგეჭი. ისიც მაშინ, როცა თბილისში პირველად ჩამოვედი.

— თბილისში როდისღა ჩამოსვედი?

— უპ, რა ხანია. მაშინ სულ მატარებელი ვიყავი. — ცხრა თუ ათი წლისა. ჩხირით გამხდარი. გუშინდელივით მახსოვს: სულ ბოლო ვაგონი იყო. ბოლო ფანჯარა. ზაფხული იყო და ძალიან ცხელოდა. მიჰქროდა მატარებელი და ვაგონს სულ აქეთ-იქით არწევდა აკვანივით. მდინარეები, მინდვრები, ბაღები, ვენახები და ყანები, ხორბლის ყანები... ყელსახვევი მოვიხსენი, გახარებული ვიდექ ფანჯარასთან და დიდსა და პატარას ყველას ვუქნევდი. ერთ ადგილას ორი ბიჭი ძროხებს აძოვებდა. ფეხშიშველები იყვნენ. ხის ტოტების ქნევით გამოუდგნენ მატარებელს. მაგრამ რას დაეწეოდნენ? უფრო პატარას სირბილისას ფეხში ეკალი შეესო. აკოკლდა, მაგრამ მაინც მოგვედევდა ტოტის ქნევით. მე ფანჯრიდან ისე გადმოვიხარე, კინაღამ გადმოვევარდი და დიდხანს ვუქნევდი ყელსახვევს იმ ბიჭს. რატომ მიყურებ ასეთი გაკვირვებით, არ გჯერა?

— ეგ სად იყო: გვირაბს აქეთ თუ გვირაბს იქით?

— გვირაბს იქით.

— როგორ, ის პატარა, გაჩხიკული გოგო შენ იყავი?! გენადი! გახსოვს მე რომ ფეხი მტკიოდა* და მატარებელს ისე მივდევდი მინდორში?!

— რა მახსოვს, ჯაბა, რაც ძროხებს ვაძოვებდით, სულ მატარებელს არ დაედევდით მინდორში?

— არა, ის სხვა იყო, სხვა მატარებელი! მაშ ეს შენა ხარ ის პატარა, გაჩხიკული ჯადოქარი, რომელიც სიზმარში დროდადრო სასიკეთოდ მომეველინება ხოლმე? სანაძლეოს ვეღებ, — დღეს რაღაც კარგი უნდა შემემთხვას, რადგანაც წუხელ სიზმარში ვნახე!

— ესეც შენი აღსტანა, ჯაბა. აგერ უკვე კარგად მოჩანს ალგები და შენობების სახურავები.

— ჯაბა, ჯაბა! ნუთუ ის აკოკლებული ბიჭი ხარ, მინდორში რომ მიქნევდა ტოტს? რა კარგი ბიჭი ხარ, ჯაბა, რა

კარგი! აი, რომ არ გვეროდა, ბავშვობისას გამხდარი ვიყავი-მეთქი. ხომ მართალი გამოვდექი, ხომ მართალი ვარ? ოი, ჯაბა, ნუთუ მართლა შენ ის ბიჭი ხარ? ნუთუ მართლა შენა ხარ, ჯაბუნე? აი, ახლა კი მოგვხვევი და ვაკოცებ...

— მოიცა, ლია! მოიცა-მეთქი!

— რა დაგემართა, ჯაბა?

— მოიცა! ადექი!

— რა მოხდა, ჯაბა?

— წამოხტი! სწრაფად! ეგრე! გვერდზე გადაქე! ეგრე!... გენადი! გენადი-მეთქი! არ ვესმის?

— რა იყო, ჯაბა?!

— გაიხედე იქით!

— საით, ჯაბა?!

— პირდაპირი ვერაფერს ამჩნევ?

— როგორ არა, მატარებელი უნდა იყოს. მართლაც მატარებელია! მაგრამ გადასარბენი რომ ჩვენ გვიკავია?

— აბა, კარგად დააკვირდი, გენადი! — ეს მატარებელი არ არის! — ეს ვაგონებია! არსად ელმავალი ან ორთქლმავალი! სამია! ნამდვილად სამია! აბა, მარჯვედ, გენადი! აქეთ მოდიან! — ეტყობა, საღვურთან გამოექცათ!

— ჯაბა! რა ექნათ, ჯაბა!

— სოსო, უკან დაიწი! ლია, შენც უკან! მძლავრად სახელოვანს ხელი სტაცეთ! ფრთხილად! არ შეშინდეთ! გენადი, მუხრუჭი! მუხრუჭს! დააწექ, გენადი! ეგრე! კიდევ დააწექ! ეგრე!

— რა უნდა ექნათ ჯაბა! — პირდაპირი დაჯახება!

— ვაი! ვაიმე, სოსო! ჯაბა რა უნდა ექნათ ჯაბა რა გვეშველება?

— გენადი, მოკეტე! ხმა, კრინტი! ნუ გეშინიათ! — სოსო ნუ გადარიეთ! არაფერია! გენადი მუხრუჭი არაფერია! ამ წუთში! ვაგონები მხოლოდ საათში თხუთმეტი-ოცი კილომეტრის სიჩქარით მოდიან! თავქვეა! შეიძლება ოცდახუთამდე კილომეტრი სისწრაფე განავითარონ!... არაფერია! ეგრე! ეგრე!... აბა, ესეც ეგრე! გაეჩერდი! ახლა უკუ სვლა!... აუშვი მუხრუჭს! მუხრუჭი მეთქი! ეგრე! რას დაგიღია პირი! ეგრე, აბა, ახლა მიყურე რას ვიზამ!..

და დამფრთხალი, გაოგნებული გენადის გასაოცრად, დაფეხრებული შიშისაგან გათავებული დამჩინებული გასახარად, დაჯახება არ მომხდარა!

ჯაბამ ელმავალი ჯერ შეაჩერა, უკუ-სვლით წაიყვანა და ისეთივე სავარაუდო სიჩქარე აიღო, რა სიჩქარეც გამოქცეულ ვაგონებს უნდა ჰქონოდათ. ამასობაში ვაგონები ნელ-ნელა წამოეწივნენ და ბოლოს ელმავლისა და წინა ვაგონის ავტომატურად გადასაბმელი კბილები ისე ნელა გადაეხვენ და ჩასხდნენ ერთმანეთში, მემანქანის ჭიხურში მყოფებმა ოდნავი ბიძგილი იგრძნეს.

როგორც კი ვაგონები ელმავალს გადაეხვეა ჯაბამ თანდათან უკლო სიჩქარეს და ბოლოს სულ გაჩერდა.

გაჩერდა თუ არა, მეელმავალს კვლავ შეუცვალა ელმავალს მიმართულება და აღსტაფისაკენ დაიძრა.

და რაოდენ დიდი იყო აღსტაფელთა გაოცება, როცა ელმავლის მემანქანე ჯაბა მამაცაშვილი ასე იმპროვიზებული მატარებლით აღსტაფაში შევიდა!

აფორიაქებული საღვური და რკინიგზის მთელი სამმართველო ბაქანზე გამოფენილიყო, რადგან იცოდნენ: მათკენ ელმავალი მოდიოდა და უეჭველად მოხტებოდა დაჯახება!

და გაოცებამ თავის მწვერვალს მაშინ მიაღწია, როდესაც ელმავლიდან. ხანდაზმული, გამოცდილი მეელმავლების მაგიერ ოციოდენ წლის ბიჭები და ერთი გოგო გადმოვიდნენ! (სოსო სათვალავში არ მიუღიათ). იკითხეს მემანქანე და ახლა უკვე ხელი ხელს შემოკრეს, რადგან აზოვანი გენადის მაგიერ ტანმორჩილი ჯაბა წარუდგათ.

ახლა კი მსოფლიოს მერვე საკვირველებას მიაწერეს დღევანდელი საოცრება და მღელვარებით დაღლილი ბიჭი ხელში აიტაცეს.

ხალხში ჩამალული, ბედნიერი ლია თვალზე ხელაფარებული ტიროდა.

და სოსოს მეტს მისთვის არავის უკითხავს: ეს სიხარულის ცრემლები იყო, თუ გადატანილი, განვლილი შიშის გამოძახილი...

ს ი ყ ვ ა რ უ ღ ი

მე ვარ ორი ცისფერი მტრედი:

ჩემი ოთხი ფრთა,

ოთხი ფეხი,

ორი ნისკარტი,

და ერთი, ერთი, ერთი გული

გამსჭვალულია ერთი სისხლით

და ურთი აზრით!...

მე ვარ ორი ცისფერი მტრედი:

და რასაც ხედავს ჩემი ოთხი ცისფერი

თვალი —

მზით და წვიმით დაფანგული სახურავები,

მაფთულები, კარნიშები, ლურჯი მესერი —

ყველაფერი მომწონს და მიყვარს!

მე ვარ ორი ცისფერი მტრედი:

მაქვს ორი კული — შავი და თეთრი,

და კიდევ — ოთხი წითელი ფეხი,

და ერთი, ერთი, ერთი გული!..

ბების უპოუსადა ჩაიჩიურ ქადაქში

(ატლანტიდა, დიოსკურია და სხვ.)

„ჩაუშვით ღუზა!“

და ღრჭიალით დაეცა ღუზა

მაღალი სახლის სახურავზე,

სად ოდესმე პერანგა ბიჭი

მჯდარა ხავსიან კრამიტებზე,

და შორს წასული მტრედის გუნდის

შემობრუნება

სტვენით უცდია...

ღობის პოეზიაში

ზაურ ბოლქვაძეს.

ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე გოგონას ჩემსას,

მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს გოგონა ჩემი!

ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე ძმაკაცებს ჩემსას,

მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს ბიჭები ჩემი!

ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე სამშობლოს ჩემსას,

მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს სამშობლო ჩემი!

და კიდევ ერთი ღირსება აქვს სიცოცხლეს ჩემსას.

თქვენს სიცოცხლეზე ნაკლებ მიყვარს სიცოცხლე ჩემი!..

შუშის დახეხვა ღაქაშვილის დღით



მოვიდა დიდი თოვლი — მშვერ შოშისა გაუთოვდა.
 მოვიდა დიდი თოვლი — დიდი ზეწარი გაუთოვდა.
 ავალ, გადავკრავ არაყს — აღარ იქნება უარყობა!
 გადი-გამოდის ხერხი, ვით უარყოფის უარყოფა.
 ისევ გამოჩნდა თოვლში შენი თვალების ია ლურჯი!
 მსურს სიარული თოვლში, და შენზე ფიქრი სიარულში!
 ერთსაც გადავკრავ, ჭოლა! — აღარ იქნება უარყობა!
 ... გადი-გამოდის ხერხი, ვით უარყოფის უარყოფა!..

შეწამულ თრიმლის და რძიარძიის
 წვეთდა ბადაგი. შორით ვარძიის
 ათას ჭრილობას ბევრჯერ ათასი —
 დასტრიალებდა თეთრი არწივი.

ვიდექით. ხელი გვეკიდა ცაზე.
 ვიდექით დიდხანს. ვიდექით ასე,
 და აგრძელებდნენ ჩვენი გულები
 ვარძიის კლდეში დაწყებულ ხაზებს...

სარკენაბელი თითოს აგაუზახია ანუ ნაწყვეთი სიკვდილიდან

ყოფილა წამი — ბლის ტოტს მარტო დაჰკიდებიხარ
 და გიზიდავს ჩემი სხეული;
 შენს მოძრაობას აწყობია ლამაზი ბგერა
 კლავიშებიდან;
 შენს დანახვაზე მასწავლებელს
 უკითხავს ჩემთვის გაკვეთილი —
 ამ ლექსზე უფრო კარგი ლექსები;
 შენ შეხებიხარ პაწია ლილაკს,
 და მაშინვე დაძრულა ლიფტი;
 „აი, იქ!“ — მითქვამს, და შენ ყოფილხარ
 იმ დროს ჩემი სანიშნებელი;



გაბმულ სმავიაც არაერთხელ მომიკაკეიხარ;
 ცოდვაც მიგიძღვის: რად შეეხე „ზიმსონის“ ჩახმახს!
 ერთნაირად კარგად იცნობდი
 სარეცხის თოკს და გიტარის სიმებს;
 და აი, უკვე აღარა ხარ: საავადმყოფოს
 თეთრ ურნაში იხსმარტალე ამ დილით ერთხანს,
 და... აღარა ხარ! შენი სიკვდილი
 ნაწილია ჩემი სიკვდილის —
 ასე უბრალო, მაგრამ ასე გულდასაწყვეტი!..

ნ ვ ი მ ა

სასურველი მასალა პროვინციული გაზეთების
 ბოლო გვერდისათვის

- ორმოცი წლის წინ, საპარაში, ზღვის თევზების წვიმა მოსულა,
 ცვივოდა თურმე ციდან ლიფსიტა: ჭანარის, კობრის, ჭაშაყის, კეფლის...
- ოცდაცხრა წლის წინ, ცვილონზე, მონეტების წვიმა მოსულა.
 ცვივოდა თურმე ციდან ფულები: შილინგი, პესო, ავღანი, ლევი,
 ტურგიკი, ზლოტი, მანეთი, მარკა...
 და ფეხშიშველა გლეხის ბიჭები, მაღალ პალმებს შეფარებულნი,
 იცინოდნენ და ბოჭაფდნენ ფულებს...
- უკეთესს გეტყვი: შარშან, მარტში, ნამდვილი ცრემლის წვიმა მოსულა.
 ცვივოდა თურმე ციდან ცრემლები: მოხუცის, ბავშვის, კაცის, ქალების...
 და წვიმდა თურმე კოკისპირულად,
 წვიმდა,
 წვიმდა...

ბ ვ რ ი

შენი სიცილი — საყვლოში ჩასული
 წვიმა —
 ცივი, ცივი, და უამური!...
 ოქროსთმიანი პატარა გოგო,

გაბეზრებული შენი სიცილით —
 იგონებს. ტირის. ტირის. იგონებს.
 და ვიოლინოს ფუტლიარში იძინებს
 ღამით...

• • •

ატყვია დამეს დაჭრილ სხეულზე
 ძაღლების ყეფა, როგორც ნაკერი.
 ჭიშკართან ყრია პაპისეული
 ლაგამ-ავშარა და უნაგირი.

თითქო ნატკენზე სულს მიბერავდე —
 ისე მაშვიდებს ამაღამ ქარი;
 გადაუჭიმავს თეფშზე ბერეტი
 ჭორფლიან გოგოს: ამოდის მთვარე.

მთვარე... მე ახლა ვცოცხლობ ამითი —
ქარით და ქარით...
ღრუბლით და ღრუბლით...
ხან — უსაშველოდ ცუდი ამინდით
(მეასედ ჩამრჩა ტალახში ტუფლი).

მტკივია, მე მტკივია პაპისეული
ლაგამ-ავშარა და უნაგირი...
ეს ბნელი შუკაც — ძნელად სწავლი
გზა მისი სისხლის და მონაგარის...

ქ ე რ ა

შენ ახლა ზიხარ კერიის პირას,
გაბრუებული რძითა და კვეთით;
ქვესკნელში ჩასდევ ფიქრების სპირალს,
ეცემა ნაცარს ცისფერი წვეთი.

ბოლოს ფიქრივით გაქრება ცეცხლი —
ვერ გაგახარებ ნავთით და შეშით...
და უსარგებლო ჩემი სიცოცხლე
მწარე კვამლივით იბოლებს შენში...

ს ა. ს ა...


ცაცას

მთვარე — ლამაზად შეკრული დილი.
პატრონი მისი — მძლეთამძლე მდილი.
ყოველი დილა იწყება ღამით,
ყოველი ღამე თავდება დილით...

ზომ მაინც მიწვდა უმწეო სული
ზულის და მთვარის უხილავ მხარეს!...
შეიჭრა ღმერთში ვით მორში — სოლი
მიწვდა ოცნების უხილავ მხარეს...

ცაზე „ტუსა“ და „ბოინგის“ ბოინს,
მზეზე — პატარა ვარდისფერ ლაქებს,
და ვარდისფერი ლაქების ოინს
მე ისევ ვაქებ. ვაძაგებ. ვაქებ,

რომ დავიჯერო: არყოფნაც ჩემი —
ყოფილა ყოფნის ტოლი და ფარდი,
და ცისარტყელის ფერადი ხეშით
სულ ივალობებს უკვდავი დარდი...



მოლოდინი

მოდხრობა

ზვრებში არავინ მოჩანდა.
ცოტაც წავდექით და:

„პაი, ზაქარ! — გაბმით გაჰყვირა
ალექსანდრემ, სოფლის თავკაცმა, მეგ-
ზურობას რომ მიწევდა.

— ჰაოოო! — ძლივს მოგვაწვდინა
ზმა.

— აქეთ მოიარე, აქეთა! — ხელიც
დაუქნია.

ორიოდე წუთის მერე ნაპირს გამოვიდა
ხანმოვლილი, ჯმუხი კაცი, რომელსაც
ხაყის შარვალ-ხალათი ეცვა, თავზე წა-
ეკრა შაბიამინანი ხილაბანდი, გაუპარ-
სავ და გარუჯულ სახეზე ოფლი ჩამოს-
დიოდა და სახელოვების სარჩულით იმშ-
რალებდა.

— სტუმარი მოგიყვანე!

— კეთილი და პატროსანი! — შუბ-
ლზე ნათელი დაიყენა, ალალი შემო-
ცინებისას გოგრისთესლება კბილები
გამოყარა. მწვანედ გათხუზნული ხელე-
ბი წინსაფარზე გაიგლისა და მარჯვენა
გამოიშვირა სასალმოდ. თივთიკა თი-
თებზე ჰოპოსანივით გამიხახუნა დახე-
თქილი ხელისგული.

— ჟურნალისტია თბილისიდან. — წა-
რმადგინა ალექსანდრემ.

— მეც ეგრე ვიარე. რა ერთბაშად
მოაწყდებიან ხოლმე. ამ ერთი კვირის
წინათ არ იყვნენ ტელევიზიიდან?!

— ესეც კარგ საქმეზეა ჩამოსული.

— ღმერთმა სულ კაი გზაზე ატაროს!
ჯერ გასაცნობად გამოველაპარაკე.

— შენმა კაიკაცობამ თბილისამდეც
ჩამოაღწია.

— მოუტყუებიათ... — ღრმად ჩაილი-
მა ზაქარიამ.

— თავს ნუ იმდაბლებ. რესპუბლი-
კურ თათბირზე ჩემი ყურით მოვისმინე
მარჯვენანაკურთხი შევენახეაო.

— შევენახეზე თვითონ ვენახმა უნდა
ილაპარაკოს. შიგნით შემოდით, შეგვი-
თვალეირეთ და სათქმელი მერე მკით-
ხეთ! — და შეგვიძღვა.

რიგებად მიჭრილ ვაზს შევერიეთ.

გულგასახარებელი სანახავი იყო.

— აი, დამიხედეთ, სულ ჯვრიათი მტე-
ვენები აჯონჯლია. — თან თითებს უთა-
თუნებდა. თითქოს შვილს ეალერსებაო,
ეგრე გახარებულყო. — შარშანდელი
ნაპატიარია, ცხერის ღრემლა ჩავახენე-
ვინე და ღონივრადაც წამოიკიდა ამ
დალოცილიმა! — მტევენებზე გადაფა-
რებულ ფოთლებს აქეთ-იქით სწევდა.

ალექსანდრემ გზაში მამცნო, ნა-
მარჯვენალის მოწონება ზაქარიას ბავ-
შევივით უხარიანო. საქები იყო და მეც
ვუქე.

კმაყოფილებით იღიმებოდა.

— ყოჩაღ, ძია ზაქარ, ყოჩაღ! ამბობ-

დნენ. და ყოფილხარ კიდევ. სამაგალი-
ლოდ არის მოვლილი შენი ვენახი.

— ჩემი კი არა, აი ამათია, კოლექ-
ტივისა — თავმჯდომარისკენ მიმახედა.

— შენია, მა ვისია! ნახევარზე მეტი
ყურძენი შენს მარანში იწურება. რა-
საც მარტო ჯილდოდ ღებულობ, ერთ
მამაპაპურ ოჯახს შეინახავს. — მიუგო
ალექსანდრემ.

— ბევრი გყავს შესანახი? — ჩავე-
რივ.

— ეხლა იმდენი აღარა! — მოკლედ
მომიჭრა. ოჯახზე საუბარი რატომდაც
ენოთირა და ისევ ვაზზე გადაგვირთო
ყურადღება.

— ოფლი ძაან უყვარს, ოფლი ამ
დალოცვილსა. ძუძუთა ბავშვივით დღე-
დაღამ ლოლიაობას თხოულობს. სულ
ზედ მარმარი უნდა — გვეუბნებოდა
ზაქარია.

ვენახის თვალღერებით რომ გული
გვაჯერებინა, საქცევზე გამოენაპირდით.
ჩრდილში ჩაიფლებლეთ. კარგახანს ვა-
საუბრე და ვწერე. სურათებიც გადაუშ-
ლე, ვახთანაც, მარტოკასაც. ჩემი საქმე
მოვითათვე-მეთქი და გამოსამშვიდო-
ბებლად გაუწოდე ხელი, მეჩქარება-
მეთქი.

— აჩქარებელი საქმე უღლეური
გამოდის. ჯერ არ გავიცვნივარ და, თუ
ღმერთი ვწამს, რა მარილი უნდა გამოა-
ტანო დაწერილსა!

— ნუ შიშობ, საკადრისი დაიწერება.

— თუ მართალს მათქმევიწებ, დაწერა
სულაც არ შეპრიანება. შენი ზიზილ-
პიბილებით სისხლმპურიათი ბიჭები გაა-
ხარე. ჩემზე ნუ გაიადფები. ისედაც
მომყივის შეჩვეული მიწა. გულმი-
საველი ბიჭი ჩანხარ, შენი გაცნობით
გაეიხარებდი, თორემ ვაზეთსაც ბევრ-
ჯერ გამოვეუჩენივარ და ტელევიზორ-
საც. წამოდი, რას მერიდები, წყალში
კი არ მიდგია სახლი. მეც კაცს შეძა-
ხიან...

საქმეს მოგაცდენ-მეთქი.

— საქმე უკვე მოგუღული მაქვს, — მე-
რე თავმჯდომარეს მიუბრუნდა:

— ალექსანდრე, შენი მოყვანილი კა-
ცია, შეასმინე რამე. სარტყნკოლზე, ქა-
რთველები ვართ. დაულრტყვად წახველა
როგორ შეიძლება. ეგ ხომ გაბუტვა გა-
მოვა. სოფელი რას იტყვის. ოჯახს ნუ
დამიწიხლავთ!

— გავყვეთ, თორემ მაგის ოხტიდან
ველარ ამოვალთ! — შემომხედა ალექ-
სანდრემ.

დაუარება აღარ გამოდგებოდა.

მანქანაში ჩავსხედით და ახალშენის-
კენ დავგვხდით.

— ხელისგულზე სატარებელია ჩვენი
ზაქარია. — თქვა ალექსანდრემ. — გა-
ლაბობანამრავლი მეოჯახეცაა.

ოჯახში თვალის ჩაყოლიება ვცადე.
ზაქარიამ პირი აიკრა, ვაითუ, სათქმელი
გამომტყუო და დამისხლტეო.

რკინის ქიშკართან დაამუხრუჭებინა
მანქანა.

ქიშკარი ვერცხლისფრად ბზინავდა.
ცალი ბოძის კენწეროზე მტრედი წამო-
ესკუპებინათ. მეორეზე — ვარსკვლავი.
პატარა კარი გაგვიღო. მობრძანდი-
თო, შეგვიპატიყა ზაქარიამ.

ქიშკრიდან სახლამდე ორმოციოდე
ნახიჯი იქნებოდა. ერთი ნახდისგაშლა
შესავალი ვაზით იყო გადაჩარდაბებუ-
ლი. დაფარხული რქა მოკამარავებულ
ლატნებს ჩახვეოდა. შეთვალული მტეე-
ნები სავესე ჭიქნებივით ეკიდა და სიოს
მობრაობაზე მძიმედ ირხეოდა. ტატიოთ
მივეყებოდი კორდიან მისასვლელს და
თვალები მაღლა მქონდა აპყრობილი. მე
თვალშესულ რქაწითელსა და გორუ-
ლას შევიღიმოდი, ზაქარია მე შემომცი-
ცინებდა.

ძაღლის შემოყევამ შემახტუნა.

— ჰაა, ბაბლია! — უსაყვედურა პატ-
რონმა.

ბალანატებილმა ბაბლიამ ყურად არ
იღო.

— ხმა კმინდე, შე სამგლევ! — დაუ-
ტია.

ძაღლმა იტვრინა.

ზაქარია არ ენდო და ბუნაგში შეამ-
წყვლია.

— მალა-სახლში ავიდეთ. თუ მარანში? — გვარჩინა ზაქარიამ.

სტუმარს ვინ რასა ჰკითხავს-მეთქი.

— შინ არა ხარ, დედაკაცო?! — რიხიანად დაიძახა.

— გახლავარ! — გამოისმა წმინდა ხმა.

— სტუმრებს არ მიიღებთ?!

— მობრძანდნენ! — შუშაბანდიდან გამოგვეგება დიასახლისი, რომელსაც მკლავები იდაყვებამდე დაეკრწახებინა, მკერდზე აეკრა მუშაშხის ფეშტამალი და სველ ხელებს იმშრალებდა. ეტყობოდა, სარეცხს იყო შემდგარი. თბილი სალამი და გაშლილი შუბლი შემოგვაგება. თან რალაცაზე უხერხულობდა.

უღროო შეწუხებაზე მოვიბოდიშე.

დიასახლისი, პირიქით, პატიებას გვთხოვდა, რომ ასე თვალის საწყენად შეგვხდითო. ქმარს უსაყვედურა: რა იქნებოდა, წინასწარ რომ შემოგეთვალათო.

— აბა, ბაბუცი, სტუმრები კი არა, ღვთის ნათლულები მოგიყვანე. ერთი, შენებურად დატრიალდი და გაუჩინარი გააჩინე! — ხალისით მიმართავდა ზაქარია.

— ეხლავე... ი გოგო მაინც მოსულიყო დროზე... მცოდნოდა მაინცა, ვარიებს აღარ გამოეუშვებდი საქათმიდან. — თავისთვის ჩაილაპარაკა და შებრუნდა.

— ქვევრის მოხდა ჩემზე იყოს, დანარჩენი შენ იცი! — მიაძახა ზაქარიამ და დაბლა გამოსწია. არ მოგვეშვა. ჩაგვიყოლა, ჩემი ქვევრი თქვენი ხელით უნდა ავახდევინოთო.

მარანში ღლინით შეგვიძღვა.

გრილი ჰაერი და მსუყე სუნი მეცა, ისეთი რომელიც მხოლოდ მარანში ტრიალებს.

— აქა მშვიდობა!

— დოვლათი და ბარაქა ტრიალებდეს! — გავხალისდით.

— იცოცხლეთ, თქვენი კირიმე! — ისეთი კილოთი მოგვმართა, თითქოს სიმღერის დაწყებას აპირებსო.

მარანი მემალა, ცხენიანი კაცოც ვერ შესწვდებოდა. პატარა საკმეღლეზე დეტანებინათ და, ვიღრე ოცნდას მისი გავჩნდა, კარგად ვერ გავარჩიე ვერაფერი, შუაქვრზე მუხის თავზე გაედოთ, ჩამუქებული და მოჩუქურთმებული. ზაქარიამ გვამცნო: ეს თავზე მამაპაპურიო, ძველ დარბაზში ნახმარი. იმ პაპისპაპისეული დარბაზის დანგრევისას დამენა და სახლის მშენებლობაზე გამოვიყენეო. თავის ორივე მხარეს ორ-ორი მტკაველის დაშორებით სტრაფილის ლურსმანი გაემწკრივებინათ საკიდებად. ჯერჯერობით ხახვის, ნივრისა და პიტნის გარეშე ჩამოეკონწიალებინათ, მორთვლიანების მერე ყურძნის ჩხებითა და აკიდობით, ჩამიჩისა და კომშის ჯაგნებით შეიჯონჯლებო. აქა-იქა ჯაქვიანი ჩანგლები იყო ჩამოკიდებული ღორის შაშხისა თუ სხვა ძმომე რამის ჩამოსაკიდად. თავისთვის შუაწელზე დედაბოძი შეედგათ, აგრეთვე ნაღარბაზევი. დედაბოძეც საკიდები ჩამოეყოლებინათ, გაწურული ხაჭოს პარკი და სათესლე წიწყის ასხმულა ეკიდა.

ცალ კედელზე ყაფაზები გაემართათ. ყაფაზებზე ეყარა: ნაქარი ვაშლი, ძირნაყარი კანკური, საკომპოტე ყვითელი ატამი, საბაქმაზე პაიდიორი და საწინილე წიწყა.

კუთხეში მომცრო საწნახელი მოეწყო ზაქარიას. გარემო ქვევრები ჩემს წკრივებინა.

— აქ ხუთყოკიანი მიგდია, აქ — სამნახევრიანი, აქ — ორიანი, ეგრე მოსდევენ ოთხთუნგიან ქოცომდე! — გვიხსნიდა ზაქარია, — ერთიდან მეორეში ვიღებ ხოლმე.

ნიჩაბი მოქებნა. ქვევრის თავს სველი ლამი აუხვეტა, ფრთხილად შემოასუფთავა, სარქველი მოწმინდა და მე ამახდევინა. ქვევრმა ძლიერი და სასიამოვნო სურნელება ამოაფრქვია. გოჯისსიგარძეზე მაინც აკლდა და ბრკე მოჰკიდებოდა. მატყლი მოიტანა და ფრთხილად მოწურა, ნათალ ჰქიას წყალი გამოავლო, ქვევრისთავზე დაყირავდა, ამოავსო, მალა ასწია და:

— გახედე, შხისფრად კამკამებს ეს დალოცვილი!

მართლა მოსაწონი ფერი ჰქონდა.

კანნიკი ჰქონდა არ ისურვა, ცილის-ტოლა ჩაფრუკა მოძებნა, ისიც წყალში ვაღვრიკა, ქვევრისთავს დაეხინა მუხლის თავებით, ჩაფრუკა ჩააყურყუმელავა, ამოაჩქაფუნა და:

— ღმერთო, შენ მიეც ბარაქა. მრავალი აგვეხადოს. სამშვიდობოში გვეხარჯოს. იცლებოდეს და ივსებოდეს. ნურც სტუმარი გამოგვლეოდეს და ნურც გასასტუმრებელი! — დაილოცა, დინჯად მიიტანა ტუჩებთან, აქნია და ორიოდ გადაყლურჰვით გამოცალა. ხელმეორედ ამოავსო და ალექსანდრეს მიაწოდა, გამომართვი, უფროსი კაცი ხარო.

— ჰო, ჰო, ჰო, ნაბერწყალი არ სცვივა ამ კურთხეულსა! — თავი გაარხია ალექსანდრემ.

ზაქარიამ მხრები განზე გასწია და კმაყოფილებით ჩაახველა, მერე კიდობანს მისწვდა, რბილი პური გამოაჩინა, შემრეწილი პამიდორი გადმოიღო, იმასაც წყალი გადაავლო, ქარვა წიწყის მწნილს მიაგნო, ისიც თევშზე მოათავსა და გადმობრუნებულ ყუთზე დააღაგა.

ალექსანდრემაც გულიანად დაილოცა.

მერე მე მომაწოდა, ოჯახ-მარანი ვუღღებგრძელე, დოვლათი და ბარაქა ვუსურვე და დავლიე.

— იფ, რა ღვინოა! — მეც მოუწონე.

— მე რომ ურიგო სასმელი დამიდგეს, მარჯვენას მოვიჭრი! — და კიდევ დაიხარა ამოსაესებად.

მამა-პაპანი აღეგრძელა. დალია. დავვალევი.

მესამე რომ ამოავსო, ყურძნის კურკა ამოუყვა. ალექსანდრესაც შეუშინევი არ დარჩა. და ირბად გადაუკრა:

— რა ბედი გაქვს, ზაქარ, კიდევ ბიჭი გეყოლება!

— დამცინი კიდევცა, ჰა? ჰაი, დედასა! — არა სწყენია ზაქარიას. — რაა,

ცოტა ბიჭები მყავს?! — უცებ მიაყოლა. შევილიშვილებს ^{მეტყუდესმეზადა,} ^{შენჯიროთენა} ალბათ.

— ერთი, ერთი, ბოლოლას ამბავი როგორ იყო?! — ჩააცვიდა ალექსანდრე.

— ე უცხო კაცთან მაინც ნუ მჭრი თავსა! — ელიმებოდა ზაქარიას.

— სათაკილოა რამე? — მორიდებით შეევეკითხე.

— არა, მაგრამ...

— თქვი, ძია ზაქარ, მეც შინაურად ჩამთვალე!

ზაქარიამ არ დაიხარა.

• • •

ჯერ ოცი წელიც არ მოლეოდა, მაშა რომ შერქმეოდა, რატომღაც ვაჟიანობის გუმანი ჰქონია, მაგრამ ქალიანობა მიულოციათ სიყრმის შეილზე. სინანული არ დაუმჩნევია. მახარობლისთვის იმაზე მეტი უჩქებია, რაც გუნებაში სდებოდა. მაღარიჩადაც განზრახულზე მეტი დაუხარჯავს, ემანდ გულნაკლულობა არ დამწამონო. შეილის სიყვარული მოსძალებია.

პირველ ნაშიერს ჯერ ენა არ ამოსწმენდოდა, მეორეს დაბადება რომ უხარებიათ. ისიც საბაბთე ყოფილა. თხუთმეტოდე თვეში მესამეც მიუყოლებიათ. ისიც გოგო. მეოთხეც კაბის ჩამცმელი გამომდგარა.

ყველა შეილის გაჩენაზე სიხარულით ცას მოსწევიდა, მაგრამ გული მაინც დასთანაღრებია. მიმლოცველები გამრავლებიან, მაგრამ ზოგი ქილიკა კაცის გასაკენწლი მაინც გამხდარა.

„პაა, ზაქარ, მამა არა გყოლია უძეო და პაპა, შენ რა ღმერთი გიწყრება, სულ გოგუები რომ გამოგიდის?!“ — ნიშნის მოგებით უთქვიათ.

„დამაცადეთ, ბიჭიც მალე იქნება!“

„რალას უცდი?!“

„ჯერ გოგუები გავინაღლო!“

„ი გამოკნაპული დედაკაცი როგორა გძალავს ამხელა ვაჟკაცსა!“ — კვლავ უჩხვლეტიათ ეკლები.

„რას ჩამცივებხართ, გოგოები მინდა და მიჩნდებიან!“ — გაბრაზებით გაპასუხებია. —

„მეხუთეც გოგო გაგიჩინა, კაცი?!“

„თქვენ არ იცით, გუნებაში რა მიტრიალებს... აქამდე რომ ბიჭები ყოფილიყვნენ, დედაკაცი დამეუარებოდა, მეტს აღარ გააჩენდა, ეხლა კი ვაჟის ეშხით არა მზარდება...“

მეექვსეზე თავი უმართლებია.

„აბა, რა კაცი ხარ, ზაქარია, გვარის ვამგრძელებელი გენატრება და გულის წადილი ვერ შევისრულებია!“ — კიდევ გაუყენწლიათ.

„შვილი, შვილია, მით უმეტეს ჩვენს ღრთში, მე შენ გეტყვი, ღამის მესხრობისთვის დამწყდება გული!“

„ღამის მესხრეც რომ გეყოლება და დღისაც, მაგას რა სჯობიან!“

„ბრძენი კაცის ნათქვამი თუ არ წაგიკითხავთ, სხვისგან მაინც, არ გაგიგონიათ?...“ — და სიტყვა-სიტყვით გაუბსენებია ძუსა და ხვადის სწორობის ამბავი.

„მეტი რაღა გეთქმის!“

„შენ თუ ბიჭები გყავს, გოგოებივით ვერ გაგაქცენ აქეთ იქითა, აი! ნახვის ნატრული გაგხადეს, სტუმრებივით თვეში ერთხელ აღარ მოდიან.“

„გამოტყდი, გულით ვინდა ბიჭის მამა იყვე, მაგრამ ბედი არა გწყალობს.“

„ბიჭები არ იყვნენ, თქვენებთან კოლა რომ თავისი ოფლით აშენებული სახლიდან გამოაპანჩურეს?!“

„არა, ათასი მალა, მაინც გემჩნევა, რომ ქორიანისთვის გკვივა სული!“

„ეგრეა და რა ვქნა!“ — გამოტეხილა.

არც მეშვიდეზე გამართლებია.

„რით ვერ მიაგენი საბიჭეთსა... ეგ იყო შენი კვენა?!“ — კიდევ ჩაუჭირპილებია ილიკოს.

„არ იცით, ვაყკაცებს რომ გოგოები ებადებიან?!... ბიჭს ორი მამა ჰყავს, გოგოს ერთი“. ამითღა უცდია გულნაკლულობის დაფარვა.

„რაო, ზაქარ, ხომ არა დარდობ, სულ

გოგოები რომ დაიხვიე ჭილყვამბეპეითა?!“

ერეკელს

„შვიდი ქალიშვილი ჭრამ-შემთუმწყრივდება ჩემს კუბოსა, შვიდი შვილი რომ თმას გაიწეწავს და ცხარე ცრემლს დამაყრიან, ერთ უკვდავებად ეგაღირს“ — არხენად უპასუხია.

იმედის ნაპერწკალი მაინც არ ჩაქრობია.

ბაბუცას კი გადაჭრით გაუფრთხილებია: მორჩა, გათავდა, შვილის გაჩენა აღარ მისცენო.

„იქნებ, მერვე მოგვიყვეს ბიჭი!“ — მაინც შეუბეღია.

„რომ ეიცოდე, ქრისტე ღმერთი გამიჩნდება, შენი დამჯერე მაინც აღარა ვარო.“

ზაქარიას ღრმად ამოუფხრია და ენა დაუდუმებია.

სამიოდე თვის მერე მეუღლისთვის გულნაქცეობა შეუშინევია და ულვაშებში ჩასცივებია, მოღრეკით მისულა და ღმერთივით შეუთხოვია:

„ბაბუცი, ჩემო გვირგვინო, ოღონდაც ექიმთან ნუ გადახვალ და ხელის გულზე გატარებო... ასე მგონია მუცლის მოშლა კაცის კვლად ჩაგვეთვლება-მეთქი.“

„შენი ჭკუით მამ ყველა ცოლ-ქმარი ცოდობრალიანი ყოფილა.“

„მამ, რა არის ქვეყანას სჭირდება და...“

ყველაფერზე რომ დაგვზრახონ, მაგაზე მაინც არა ვართ საყვედურის/ღირსები. შვიდი შვილი გვეზრდება, ზოგის სახლში ერთი დაღანდაღებს.“

„სხვას რას უცქერი?!“

„ქვეყანა მიხედულობით არის!“

„სამაგისო მისახედიც ბევრია. ერეკლე მეფეს თერამეტი შვილი ჰყავდა.“

„ჰა-ჰა-ჰა-აა! ერეკლეს კი არა, დავით აღმაშენებელს დაედარე!“

„ჩვენი სიმაღლის ოჯახები ავიღოთ: ღამისყანელ ბალხამაანთ თედუას ცოლსა ჩვიდმეტჯერ მოუყრია მშვიდობის მუხლი. ერთაწმინდელ თათხაანთ ესტატეს მოგვირგვინეს ცხრაშვილი აუყრეფია მშვიდობის ლოგინი. რაღა შორს

მივდივართ, სამთავისელი თამაზაანთ მილი-მიხა თექვსმეტი შვილის მამა ყოფილა. ათიანებისა და თორმეტიანების ჩამოსათელულად ხომ ოირვეს ხელების თითები არ გვეყოფა.“

„დილაშდევ რომ თვალო მაგალითები, მაინც უნდა გადავიდე ანიკო ექიმთანა. ბიჭის მოლოდინითა და შენი ხათრითა, თორემ ოთხზე მაღლა არ წავიდოდი.“

„მიდი, მიდი, ბაბუცი, რაც იქნება, იქნება, ბარემ ერთიც მივაფურთხოთ ეშმაკსა! გული მეუბნება, რომ ესხა ბიჭი გაგვიჩნდება!“

„შენ სულ ეგრე გეუბნებოდა გული, მაგრამ გატყუებდა.“

„ხომ გაგიგონია: ვუთანი სახნისის წვერს შვიდ წელიწადში ერთხელ მაინც წამოჰკრავს ოქროსაო.“

„რომ არ წამოჰკრავს?!“

„არ წამოჰკრავს და ნუ წამოჰკრავს, ხომ არავინ გვიჩივლებს. გოგო ხომ იქნება!“

„მარტო გაჩენა ხომ არ არის ვაჟაკობა, ამდენ ქულფათებს დაზრდა არ უნდათ?!“

„რაკი დაჩნდებიან, დაიზრდებიან კიდევცა. ქვეყანა დიდია. ღვთისა და ხალხის წყალობით არავის შესაცოდები არა ვართ. ჩვენს მარჯვენასაც დოვლათი მოაქვს, ე მთავრობაც კარგი გვეყავს. ჯილდოს არ გვაკლებენ და დახმარებანს. ასეა თუ ისე, ოჯახში ბარაქა გვიტრიალებს.“

„ჯერ ბალები არიან და ჩითის კაბითაც ხმას გააწყვეტინებ. ტანს რომ შეჰყრიან და შვიდივე ერთად წამოგიშვერს დახეულ ფეხსაცმელსა, მაშინ ეგრე აღარ ამღერდები. მერე, გოგოები ხომ იცი რა მიწადასაყრელებიც არიან, სულ ჩაცმაზე უქვეტით თვალები. ახლა მზითები! ეე, შე საცოდავო, შენ არ იცი რა მოგელის!“

„ნუ შიშობ, ბაბუცი, ქვეყანა წინ მიდის და ჩვენც გაგვიყოლიებს!“

„შენ გარე-გარე დადიხარ და ვერც კი გებულობ, როგორ გეზრდებიან, მარტო

სააღერსოდ რომ მოიცილი ხოლმე, ეგრე ხომ არ არის საქმე. ამ შვიდ გედოვლათს მერვეც რომ მიემატეს, რომ თავის ქალა ამხადეს!“

„სადაც შვიდი, იქაც მერვე იყვებს. იქნებ ღმერთმა გადმოიხედოს და სახლი გაგვივაჟიანდეს... ქვეყანა მიხედულობით არისო, ხომ შენვე თქვი... ნიჭოლოზ მეფე სახსენებლადაც მეჯავრება, მაგრამ ხომ იცი, რომ შვიდრ გოგოს მამა იყო და მერვე ბიჭი შეეძინა?!“

„თუ იშნარი საწყველ-საგინებელი გამომივა, ესლავე რომ გამიწყალდეს მუცელში, ის მირჩვენინა!“

„ჩვენნაირები ავიღოთ: საჩალელიანთ მიტა შვიდი გოგოს მერე არ გახდა ვაჟის მამა? კოდისწყაროელ გიგუცასაც მეცხრეზე არ მოუყვა ბიჭი? ხელთუბნელ ტილას ათი შვილი შესძენია. მხოლოდ ნაბოლარა გამორევია ბიჭი და ისეთი ვაჟაკი დამდგარა, მთელი გაღმა მხარი დანატრისო, საწყალი მამა ჩემი იტყოდა ხოლმე: ახალსოფელელ მეფუტკრე იაგორას თერთმეტამდე უვლია, მეთორმეტე ბიჭი გასჩენიათ... იქნებ ჩვენც გაგვიმართლდეს!“ — შეხვეწინა ზაქარია.

ბაბუცა დაჰყაბულებია.

ზაქარიას სიხარულით ფრთები შესხმია.

ღღებები ჩამოცვივუნულა ყვითელი ფოთლებივით. მიღუღან თვეებიც.

დაქორფილი ბაბუცა მერვედ მიუყენებიათ სამშობიაროს კარს.

„გული რაღაც კარგს მეუბნება, — ბალებივით გაზარებია ოჯახის თავს. — ისეთი სიზმარი მაქვს ნანახი, არ იქნება გუმანი არ გამიმართლდეს. ვითომ, მტკვარგაღმა ერთი ღვინია მოზვერი დაკუნტრუშობდა, ვილაც თეთრხალათიანმა კაცმა მდინარეში შემოავადო, მოზვერი ჩემთან მოვიდა და ხაოიანი ენა შუბლზე ამისვა... ბაბუცასაც საიმედო სიზმარი უნახავს. ვითომ, წყვილი გველი ეხვეოდა ძუძუებზე და ტიროდა. საწყალი დედაჩემისაგან გამიგონია: ორსულ ქალს თუ გველი დაესიზმრა, უთუოდ ვაჟი გაუჩნდებაო. თანაც წყვილი

რომ დასიზმრებია?! ემანდ ტყუბი კი არ გაგვიჩინოს! შესაცხადებელი არა არის-რა. ჩემი სიდედრიც ტყუბის-ცალი ყოფილა. თურმე, ჭიში ასე გადმოდის: დედის ტყუბიანობა რომელიმე შვილმა უნდა გაიმეოროსო. მაგის დამობაში ჭერჭერობით ტყუბი არავის გაუჩენია და იქნებ, ბუნებამ ბაბუცას აზღვევინოსო... ისედაც ძაან დიდი მუცელი უჩანს. თანაც წოწოლა, საბიჭვე მუცელს რომ ეძახიან.“ — ასეთ ოცნებაში ყოფილა შვიდი ქალიშვილის მამა.

ზაქარიას ნათქვამი ჰქონია: ვინც ვაჟიანობას მახარებს, შუბლზე ათთუმნიანი უნდა გავაქარო.

ამ დანაპირებს ექთანების ყურამდევ მიულწევია.

ვაჟის მომოლოდინე მამას ისიც დაუკვებია: ისეთი ძეობა უნდა გადავიხადო, სხვის ქორწილსა სჯობდესო. საამისო თადარიგიც დაუჭერია.

ბაბუცას რომ მუცლის ტკივილი დასწყებია, ზაქარია სამშობიაროს კარზე ატუხულა. მთელი ღამე დერეფანში გაუთენებია. თვალი არ მოუხუჭია. გათენებისას ჩამოსმია ცოლის კივილი. მუცლისმტკივანა ქალი შესცოდებია. შიშსაც გაუქენწლია, ნეტავი მშვიდობის მუხლი მოეყაროს და რაც უნდა, ის ეყოლოსო. — ეგეც გაუვლია გულში. პაპიროსის ამობოლქვებისთვის მოუხშიბებია. ისეც გამოსდარებია გუნება. მერე საიმედოდ მიუჩნევია ის კივილი. ნამდვილად ტყუბი იქნებო, ეგეც უფიქტია.

მახარობელიც ჩამობაკუნებულა. შორიდანვე გამოქანებულა, შვილივით ჩამოკონწილებია კისერზე და საზეიმო კილოთი უხარებია:

— მომილოცნია, ძია ზაქარ, მომილოცნია!“ — და შუბლზე უკოცნია.

„როგორ არის, ვოგო საქმე?!“ — სული ძლივს მოუთქვამს.

„როგორც შენ გაგებარდება!“

„შენს ენა-პირს კი ვენაცვალე!“ — შეუძახებია ვახარებულ მამას. საამდროოდ გამზადებული ასმანეთიანი ამოუსლიკინებია და მართლა შუბლზე გა-

უქრავს მახარობლისთვის. — ამ გულნიერ დღესაც ხომ მოვესწარი!“ — ნაბდის ქული კერში უსრულია.

იქ შესწრებულებს ყველას ვახარებიათ და ხელისჩამორთმევით მიულოციათ.

„თვითონ მელოდინე ხომ კარგად არის?!“ — სიხარულით დაბნეულს გვიან უკითხია.

„თვითონაც კარგად არის და მერვე გოგოცა! — ჩაუქისკისებია მახარობელს.

„ეგეც გოგო გამოდგა, კაცო?!“ — ხარბად შიშტერებია.

„გოგოა, ძია ზაქარ, მაგრამ ვაჟაც-სა ჰგავს!“ — ეშმაკურად მოუწკურია თვალები.

„მაშ გოგოა?!“ — ხმა ჩაჭკრობია და თავი ჩაულუნია. — „ეპ, ღმერთს ბიჭი არ ემეტება ჩემთვისა!“ — თავისთვისლა დაუჩივლია.

„შუბლი გაშალე, ძია ზაქარ, შვილი შვილიაო, შენვე გითქვამს... ის დეკეული მაინც უნდა დაკლა, ვაჟის საძეობოდ რომ დაიბი!“ — გაუხსენებია მახარობელს.

„რა ვქნა, შვილო, ოღონდაც მშვიდობის ლოგინი აკრიფოს და იმ დეკეულსაც დაკვლავ და იმ შეთქმულ ქვევრსაც ახდნი. ჩემი სახლი მაინც დაჩვეულია გოგოების ძეობას.“

„ძეობაში არ გამომწირო, ძია ზაქარ!“ — და კიბეზე აბაკუნებულა.

არავისთან წამოსცდენია, მაგრამ ზაქარიას სწყენია, მერვეც რომ ქალიშვილი შესქენია. გულთანაღრობა არ დამწამონო, ძეობა მაინც გადაუხდია. სტუმარიც უმრავლებია და გასასტუმრებელიცა. გამხიარულებულა. თვითონაც უმღერია და სხვაც უმღერებია. ღვინისგან ძლეულს წამოსცდენია: მართალი გითხრათ, მეწყინა, ვაჟი რომ არ შემეძინაო.

ამოუჩემებია: მეწყინა უნდა დავარქვაო და თავისი გაუტანია.

მმაჩის ბიუროში მაგ სახელის ჩაწერის უფლებას ვინ მისცემდა. ურჩევით მედგა დაარქვიო. იქ კი „მედგა“

ჩაუწვინებია, მაგრამ შინ „მეწყინას“ ეძახდა.

„მეწყინა!“ — დაუძახებდა მამა.

„მეწყინა“ — მიუალურსებდა დედა.

„მეწყინა!“ — მიჰფერებიან დები.

მეზობელ-მახლობლებიც „მეწყინას“ მისჩვევიან.

„მეწყინა“ შერქმევია მერვე ქალიშვილს.

გაზრდილა, დაქალიშვილებულა და

ეს სახელი მაინც ვერ გადარქმევია.

მეწყინასაც არა სწყინდა, თურმე.

• • •

რაკი სიტყვამ მოიტანა, ზაქარიამ თავისი შვილების სადღეგრძელო შემოგვთავაზა. თვითულის სახელი გვიხსენა. ორიოდ სიტყვიერ გვამცნო მათი მდგომარეობა. სიყვარულით ლაპარაკობდა. შვილიშვილებიც ჩამოთვალა. მათზე ნათქვამს უფრო მეტი სიყვარული გამოატანა. არ დამალა. შვილებზე მეტად შვილიშვილები მახარებენო. ზოგის სახელი ვერც კი გაიხსენა. ისიც თავის ნაშიერებს დააბრალა. ზოგს ისეთი უცნაური სახელი დამირქვეს, ენა ვერ გავიტეხეო. ღმერთმა მიმრავლოს, ბევრი მყვანანო.

ის მესამე ჩაფრუკაც გამოგვაცლევინა.

მეოთხის ამოჩქაფუნებას კიდევ აბირებდა, მაგრამ ჩვენ ეკაშარებინეთ.

გარეთ გამოვედით.

მზიარულ გუნებაზე ვიყავით.

დიასახლისი ეზოში ფაციფუცობდა. გვებოდიშებოდა, სუფრა დროზე ვერ გაგიწყეთო. მარტოხელა ვართო და ნუ დამზრახავთო.

მეზობელი მაინც მოიხმარეო, გაახსენა ზაქარიამ.

დიასახლისს კეუაში დაუჭდა. მესერს გადაეყუდა. „თებრა“ დაიძახა, გეცლება და გადმოდიო. სახლი გამისტუმრიანდა, ხელი წამახმარეო. კარის მეზობელმა საიმედო პასუხი მისცა. ბაბუცამ წაფურაში ჩაყარა თავდაჭრი-

ლი ვარიები და სამზარეულოში შეარბენა.

სარკინული

მანამდე სუფრას გზგნეშლანში მადლი დამითვლიერეთო, შემოგვთავაზა ზაქარიამ. შეგვიძღვა, დაბურულ სიმწვანეში გვატარა. მოსაწონი იყო და ვუწონებდით. ზაქარია ხალისით გვიყვებოდა თვითველი ძირის თავგადასავალს. მიეფერებოდა ხეხილს, ადამიანით დაელაპარაკებოდა. მწიფე ხილს მოგვთავაზებდა.

თვალსა გვტაცებდა ხილისთური ატამი თუ ხეჭექური მსხალი, კანკრიალა არახილა თუ ფირუზისფერი ქლიავი. მივილოდით, ხელს მოვუთათუნებდით. ზოგს მხოლოდ გემოს გავუსინჯავდით. ზოგი თვითონ შეგვეჭმეოდა.

ორსართულიან ხეივანთან მიგვიყვანა. ორივეს უღმერთოდ ესხა. ყველა მხრიდან შეგვახედა, დაწვრილებით გვიყვებოდა: როდის სხლავდა, რამდენ კვირტს აძლევდა, მეორე სართულს როგორ სწამლიდა. ნახელავს ვუქმებდით. მარჯვენას ვულოცავდით.

ხეივნის ძირში ჩამოგვსხა. ნარდი ჩამოგვიტანა. სანამ დედაკაცი რამეს მოგვართმევდეს, ამით შეიქციეთო თავი. ბაბუცაზე ხუმრობდა: აღრე დამიბერდა, ის ცეცხლი აღარ აქვს, წინათ რომ სცივოდაო. რა ვქნა, ბარემ თვალში აღარ მომდის, მაგრამ უკეთესზე ვინ გადამიცვლისო.

— ამდენი შვილები დააზრვევინე და ეხლა მოიმწვანაილე?! — ხუმრობითვე შენიშნა ალექსანდრემ.

ხომ რვა შვილის მშობლები ვართო და მაინც დაგვიცარიელდა ოჯახი. შენი ბედნიერი თვალით დაინახე, მაინც მეზობელს მივადექით ხელის წამოსახმარებლად. სულ გოგოები მაინც არ დაგვრჩენოდნენ რა ყოფილა ცხოვრება. აღრე ფეხადაც ძლივს მეტეოდნენ სახლში, გაბეზრებული ვიყავი იმათი ქყვიტინითა, ეხლა კი ხმის გაგონებასაც მომანატრეს.

* * *

ერთმანეთის მიყოლებით დაჩენილები ზედიზედ წამოსჩიტებიან. ბავშვების გადამკიდე ბაბუცა სახლს ვერ გამოსცილებია. ოჯახის ბარაქას მარტო ზაქარიას მარჯვენაზე უტრიალია, მაინც არ გამოლევიან, ჯილდოები არ მოჰკლებია, კოლექტივსაც ბევრჯერ გაუხარებია დახმარებითა, ძმებსაც მხარი მიუციათ, სიმამრს ხელი გაუმართია, მაგრამ მაინც გასჭირვებიათ. ცოლს საყვედური არ დაუღვია: რომ მაჩენინე და მაჩენინე, მიდი და შემინახეო. ზაქარიას დაუყვავებია: ნუ ფიცხობ, ჩემო გვირგვინო, სხვის ხელში შემყურეს მაინც არ გავხდი ჩემს შვილებსაო. მშვირებს არ ვატარებ და ტიტლიკანებსაო, ერთის ნაცვამით მეორეს გავიყვან იოლადა და მაინც დავზრდიო. ღონიერი სოფელიც მხარში ამოსდგომია გონიერ ზაქარიას და ლელოს გატანა გაადვილებია.

სხვა წინ არ წაუყენებია. ყველა შვილისთვის წიგნი აუღებინებია, უსწავლელი ჩემი თავიც მეზარებიაო და ნიჟადაც იმაზე უჩიჩინია, რომ უშედგოდ არ ევლოთ სკოლაში. შვილებიც მონდომებულნი გამომდგარიან. ერთერთის მიბაძვით მშობლების გულიც გაუხარებიათ და მასწავლებლებისაც. სულ იმათ ქებაში ყოფილან. ქების სიგელებსა და ჯილდოებზედ მიცემული წიგნების მიტანით ერთერთს გასჯიბრებია. ზოგს სიმღერის ნიჭი გამოუჩენია, ზოგს ცეკვაში უპირველებია, ზოგი სპორტს აუყოლებია, სიკარგზე სიკეთე დაუმატებიათ. უშენშვილებოდ ჩვენი სოფელი ულაზათო იქნებოდაო, უთქვამთ ზაქარიასთვის და იმასაც მხრები განზე გაუწევიან სიამაყითა. უატესტატოდ არცერთი შვილი გაუშვია. ზოგისთვის საშუალო სკოლა დაუმთავრებინებია, ზოგისთვის ტექნიკუმი. ზოგი სტუდენტობასა ღირსებია.

ხომ არცერთ შვილს დამდურებია,

მაგრამ უფრო მეტად ნაბოლარს დამადღიერებია. ენაცვალე ჩემს მშვენიერს, სულ ფრიალებზე მიფრინავსაო. ეგ რომ გაკვეთილს ჩაარაკრავებს, მოსმენით ვერ გაძლებიო. ცქვიტი და მოხერხებული გოგო გამომდგარა. სპორტსაც გაუტაცინა. ტანვარჯიშშიც უპირველებია, სიმღერისა და ცეკვის გუნდშიც უპირამასოლისტებია.

თვალადი და ტანადი ქალიშვილები დაზრდიან. ერთერთზე უკეთესები. ყურძნის მტევნებზეთ შეთვლილან თუ არა, სახლის კარზე სასიძოები არ დალევიან. ზოგს თვითონვე მოუძებნია გულისსწორი, ზოგი შუამავლის ანკესზე წამოგებულა, ჯერ ერთის გათხოვების საქმე არ მომთავრებულა, მეორის მთხოვნელი რომ რიგში მდგარა.

„ამამასუნთქეთ მაინცა, — უგულოდ გამწყრალა ზაქარია, — ჩიტის ბარტყი ხომ არ არის, ერთი ბუდიდან მეორეში გადაესვა. ცხვირზე მურსხომ ვერ ჩამოვისმევ. მეც კაცი ვარ. ან მშითები არ უნდა, ან ქორწილი?“

„ოლონდაც წინ ნუ გადაგვებინებ და შენი არაფერი გვინდა. თუ გნებაეს, ჩიტის კაბის ამარა გამოგვაყოლე!“ — შეხვეწნიან.

„მოიცა, კაცო, გამოწყვეტილი კი არა ვარ. წარმოსადეგი ნათესაეებიც ბევრნი მყვანან და გულის მეზობლებიცა. ჩუმად როგორ გავატანოთ, მობარული ხომ არ არის.“

„ოლონდაც დაგვყაბულდი და ქორწილი ორივეგან ჩემზე იყოს!“ — თავი გამოუღვია სასიძოს.

„განა მართლა ეგრეა, ყველაფერი საწყოფი მაქვს, მაგრამ გოგოს ხომ პირი უნდა ვუქითხოთ!“

გასათხოვარს შეჰკითხვიან, თავი ჩაულღნია, როგორც თქვენი ნებააო, გაუბედია. მშობლებსაც გამოუცვნიათ შვილის გულისთქმა და ისლა დარჩენიან, ქალიშვილისთვისაც ეკოცნათ და სასიძოსთვისაც.

„სულ ამ გასაქრობი გოგოების ბრა-

ლია! — უგულოდ დაუწყევლია ბაბუცას, — ჯერ ჩუმჩუმად შეიყვარებენ და მერე ჩვენზე მოაგდებენ საქმესა. თუ მე შეკითხვებით, ჯერ გათხოვების დრო არა მაქვს. თუ არა და თქვენ იცით!”

სასიძოს მინც თავისი გაუტანია.

კარგი სიძე გამოსდგომიათ და გულთ გაუხარიათ.

„გასათხოვარი ქალი ვისაც უნდა, ხუციანთ ზაქარას მოაკითხოსო!“ — თვითონ ზაქარას დაუტრახანია, როცა გადაკრულში ყოფილა.

სიძეებიც შევილებივით შეჰყვარებიათ.

მათი დანახვით ცას მოსწევია.

სიძეებსაც თავი არ დაუნატრულეზბიათ. თბილი გული და ცივი ღვიძო ჰგულებიათ ცოლეულში და მისვლა არ დაზარებიათ. სიდედრ-სიმამრს ყველა ქალსიძის ერთად თავმოყრა შეუთხოვიათ. ბეჭით სიძებს ეგ ნატვრაც აუსრულებიათ. წელიწადში ორჯერ მინც მოუკითხებიათ ჯალაბეურად. სიდედრისა და სიმამრის დაბადების დღეები შეურჩევიათ. ხელცარიელი მისვლით თავი არავის არ შეურცხვენია. გაშლილ მაგიდას რომ შემომწყვრივებია, დამნახავს ჭორწილი ჰგონებია. მოუღუნებიათ, გაუხარიათ. ბავშვები ფეხადაც ძლივს დატეულან. გახალისებული ჰაბა სიყვარულით გადახვევია შეილიშვილებს და სიამაყით წამოუძახია:

„ვინა თქვა ზაქარიას ბიჭები არა ყავსო. აბა, გადახედეთ და დათვალეთ, ჩემს სახლში რამდენი ჭორჩიანი დარბისო!“ — და სათითაოდ გადაუკოცნია.

სიძეების მაღლიერი ყოფილა.

— ენაცვალოთ ჩემი თავი! ჩემი გუწების სიძეები გამომადგნენ — კმაყოფილებით ამბობდა ზაქარია. — მაგრამ ამ გამჩენძალეებმა არცერთმა იკადრა ჩემს ოჯახში ზესიძედ მოსვლა.

ებერდებით მე და ჩემი მოგვირგვინე, ჩვენ რაღა ვართ ცას ხომ არ გავეკრებთ, მიწა პირს გვიღებს და კერის გამლევებელი ჯერ არ გვიჩანსო.

— რა ვალონებს, მეწყინა ხომ ჯერ ისევ ვასათხოვარი გყავს. ადექი და მაგას მოაყვანიე ქმარი. მე შენ გეტყვი, ან გოგოს მოერიდება ვინმე, ან ოჯახს! — გულს უნამავდა ალექსანდრე.

— რა ვიცი, ეგ კი დამადგება?! ჩემზე უკეთ მოგხსენებათ ეხლანდელი ახალგაზრდობის გულ-ფიქრი. დედ-მამას აღარც კი ჰკითხავენ. ჩემი მეწყინა ეგეთი ატაცებული არ არის, მაგრამ ვინ რა იცის, იქნებ ისეთზე შესჯერდეს გული, რომ ჩვენსკენ აღარც კი მოიხედოს.

— ნუ გეფიქრება, მეწყინა თავს არ წააგებს.

— მაგის იმედი კი მაქვს, მაგრამ ეშმაკი წყლისფერია.

— ჯერ ხომ არავინ ასძლოლია?

— არ ვიცი, არცარას თვითონ ამბობს და არც ჩვენ ჩავძიებიათ.

— ე სტუმრები ნუ გააჯერე ლაპარაკითა! — შუბლგახსნილი და ხელსავსე მოვიდა ბაბუცა. სუფრის სამკაული მართოს რომ ვერ წამოეღო, მეზობელი თებრა წამოეშველებინა.

თებრაც მოგვესალმა.

ბაბუცამ დაგვიანებაზე მოიბოდიშა.

მაგიდაზე დაალაგეს ნაირ-ნაირი საქმელები: თასმა პური, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, ჰყინტი ყველი, მყავე პიკული, ხასხასა კიტრი, შაფრანა პამიდორი, ძმრიანი დანდური, ნამიანი მწვანაილეული, ხბოს მუყუყი, ტაბაკა ვარიები...

გეშოოდა და ბევრი პატივი არ დაგვქირებია.

— აბა, ვახსენოთ ღმერთი! — ხალისით თქვა ზაქარიამ. სველ საღვინეს წასწვდა, თხისავე ჯამ-ფიალებში ჩაარაკრაკა ცინცხალა ღვინო და ჩამოგვირიგა. ოჯახისა და სტუმრიაზობის სადღეგრძელო თქვა, ცალი ხელით მოი-

ყუდა, თვალის დაუხამხამებლად გამოცალა და დაგველოდა. ვიდრე ჩვენი ჯამ-ფიალების ძირი არ დაინახა, არც თავისი დადგა.

კვლავ გააბზინა ჯამები.

სასმისად რომ თიხის ქურქელი აირჩია, გამეხარდა. სასიამოვნო სახმარი იყო, იმით დალეულ ღვინოს თითქოს ეშხი და გემო ემატებოდა. იმაც მომეწონა, რომ ბნელი სასმისია და ღვინის მოპარვა მომიხერხდება-მეთქი, სტუმარი ვიყავი და ხელში შეთვრობას ვერიდებოდი. არიდება ვცადე. ნახევრად მოსმული ჯამ-ფიალა მწვანის ბლუჯას მოვაფარე, მაგრამ თამადამ მაშინვე გადმოაწვლო თვალი და:

— აჰ, აჰ, ეგ არ დამანახვო. კიქის გამოუტყლელობა ხომ მტრის ამოუწყვეტლობაა. მართალია, უმტერო კაცი არ ვარგა, მაგრამ არც ეგრე მტერობრეულია კარგი, შენ რომ დაგიტოვებია.

უარი არ გამოვიდა.

ბედი ჩემი, რომ კარგ გუნებაზე შევხვდი. რაც იქნება, იქნეს-მეთქი, ხელი ჩავიქინე და ჩემს გულქართლ მასპინძელს ხასიათი გავუსწორე. არ გავჯანჯლდებოდი, ჯამ-ფიალას გამოვწრუპავდი და ნაბდის ქუდივით ამოვაპირქვავებდი. ალექსანდრეს ხომ თქმაც არ დასჭირებია. ისიც ხელში შეათამაშებდა გამოცლილ სასმისს და დასასხმელად მიუმარჯვებდა.

მასპინძელს უხაროდა.

— აი, ბიჭები თქვენა ყოფილხართ! ეს ჩვენი თავმჯდომარე ზოგჯერ ისეთ სტუმარს მომიყვანს, პურ-მარილის გემოს დამიკარგავს ხოლმე. პატარძალივით გაიპრანჭება, ერთი ლუკმის გალეკვაზე და კიქა ღვინის დაცლაზე საათს გახვეწიებს. ვერც ის ატანს გემოს და ვერც იმის მაცქერალი. თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენა! — უსიყვარულოდ ვერ გასძლებდა. წამოიწეოდა, ხან ერთს გადაგვეხვეოდა, ხან მეორეს. სახეზე შემ ღიმილს გაიმრავლებდა, კვლავ დაეშვებოდა დაბალ სკამზე და

მომდევნო სადღეგრძელოს უფრო მეტ ეშხს გამოაყოლებდა.

მამა-პაპურ სადღეგრძელოებს მოჰყვა. მოკლედ იტყოდან: „ზრგვინით ენაღულღული კაცივით არ გაილექსებოდა, მაგრამ სიტყვას ისეთ სურნელს გამოაყოლებდა, ახლად ამოყრილ ბელტს რომ ამოყვება ხოლმე მზის ამოსვლისას. მოდი და ნუ აუბამდი მხარსა.“

წასასვლელად შევიშმუშნე. შევებედე კიდეც თქმა. ეგ არ გამაგონოო. სახამ სათქმელს ბოლომდე არ ვიტყვი, აქედან ვერც ერთი მოიცვლის ფეხსაო. ალექსანდრემაც კვერი დაუკრა: რა გეჩქარება, თბილისამდე ერთი საათის სავალი გააქვსო, იყავი, ტყბილად ვიქუქუქოთო.

მართალი გითხრათ, არც მე მომიწევდა გული. საამო სადამო იყო. მასპინძელი ისე გვაღხენდა და გვესიყვარულებოდა, თითქოს გულის სტუმრები ვუსხედით.

„ჩამწკრივდებიან ბიჭები, სიმღერას არ იტყვიანო!“ — გადმოგვარტყა წყებლა თამადამ.

სიმღერა არ შეხერხება-მეთქი.

ალექსანდრემაც გააქნია თავი.

— უსიმღერო სუფრა უსურნელო ყვავილსა ჰგავსო. — ამბობდა ზაქარია, — მე კი მოვახერხებ, მაგრამ ძველებურები ვიცი და ჩვენს ქალაქელ სტუმარს იქნებ კიდეც ეჩოთიროსო.

— რას ამბობ, ძია ზაქარ, ხალხური სიმღერა მეც მიყვარს. გემო და მარილი იმას უფრო გამოსდევს.

— მე არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა, რაც მემღერება, იმას ვიმღერებ. მინდა ხმა გავიდეს აქედან, ჩემი სახლის გასტუმრიანება ან მტერმა გაიგოს, ან მოკეთებო.

წუთით დადუმდა. ყელი აკიმა სასიმღეროდ. თვლები ზეცას მიაპყრო და სუფრული წამოიწყო. ჩვენც როგორც შეგვეძლო, მხარს ვუბამდით. რა სიმღერა სცოდნია, იმისი საფერავი სიტყვები სად მოიძებნება! თვითონ ზაქარიას უნდა მოუსმინო და ისე შეიტკბო.

— შენ ავაშენა ღმერთმა. ამ პურმარილს ეგ მიჩვენეიანი! — უთხრა ალექსანდრემ და ჩემი გულისთქმაც გამოხატა.

— ასეთი ხმა გქონია და მიკვირს არავის მოუკითხებია! — დავინტერესდო.

— როგორ არა. ჩვენი კულტასლის დირექტორი ყელგადაგდებით მეხვეწებოდა, ვინ აღარ მომიგზავნა, გუნდში იარეო, ოლიმპიადა თუ რაღაცა, იქ გამოგვანინეო, მაგრამ ჩემს სიაჯვაცეს ვამბობ, არა ვქენი. მაგდენი მოცლა სადა მაქვს, რომ ყოველ საღამოს იქ მეხეტიალა დაღლილ-დაქანცულ კაცსა. ვისაც ჩემი სიმღერა მოგნატრებიათ, სუფრაზე მიმიყვანეთ, ვინდა ჩემი იყოს და ვინდა სხვისი და იქ მამღერეთ-მეთქი. ამ სანახევრო ხუმრობით მოვიშორე.

— თქვენს ქალიშვილებსაც ხომ გამოპყლიათ სიმღერის მაღლი?

— აბა, იმათი სიმღერა უნდა მრისმინო, თორემ ჩემი რა სუფრაზე მოსატანია, — ღრმა ღიმილი დაიმჩნია ზაქარიამ. — სკოლა თუ სახლი აკლებული ჰქონდათ სიმღერითა. ეხლაც რომ წიწილებივით მომიგროვდებოდა, სუფრასთან ჩამომწკრივდებოდა და დასუქვავენ, ლამის ჰკერი ახადონ. ჩემს მეწყინას უფრო მეტი გემო გამოპყვა სიმღერისა. ის რომ ყელს მოიდერებს, ბულბულს შეარცხებდა. ჯერ ხომ მოწაფეობისას ამეტიჩრეს. სოფელში სასიმღერო თავშეყრა არ გამართებოდა, რომ ჩემი მეწყინა არ გამოეცუნცულეზინათ. ეხლა ხომ მასწავლებელია და მაინც არ ეშვებიან. გუნდი ჩაუბარებიათ და დირექტორი თავს ევლებდა, სკოლა გამომიჩინეო.

უცნობი მედიკოს ნახვა მომინდა უნებურად.

თამადა სასმელს გვებეჯითობდა. ლხინობდა და გვალხენდა.

ამ მხიარულობაში დღე გაგვპარვოდა.

წასვლა შევახსენე.

ერთი სადღეგრძელო კიდევ მათქმევინეთო.

ეს „ერთი“ აღარ გამოეღია.

მეც აღარ გავციქებულვარ, იქნებ მედიკოსაც მალე იჩინოს თავი-მეთქი.

მზეც უკვე დასახუტვდა ახანამებდა გრძელ წამწამებს.

— იმ ძალასა და მადლს გაუმარჯოს, ვაზის ფესვს რომ დედამიწიდან სინოტივეს აწოვს, დახლართულ რქაში აბრუნებს და ამუშავებს, ყურძნის მარცვალში ბულბულის ცრემლად იქცევა, ქვევრში — დევის სისხლად, მერე ჩვენს სისხლს შეერევა, ძალასაც მოგვმატებს და სიხარულსაც, ერთურთის სიყვარულს მოგვწაყურებს.

გამოცლილი ჯამ-ფიალები პირქვე დავამხეთ.

ცალი თვალი და ყური ეზოსკენ მექორა. მედიკოს ისე ველოდებოდი, თითქოს გულის ნაცნობი იყო და დიდი ხანია არ მენახა.

ქიშკარმა გაიჭრიალა.

უმალ მივიხედე.

— აი, ვენაცვალე, ჩემი მეწყინაც გამოჩნდა! — აღტაცებით წამოიძახა ზაქარიამ.

გადახეივებულ შემოსავალში აჩქარებით მოაბიჯებდა ქალიშვილი. შორიდანვე გამოიხედა ცნობისმოყვარეობით. ალბათ, მიხვდა, რომ უცხო სტუმრები ვწვეოდით. სახეზე ღიმილი გადაეკლო და კენარ ტანს მოარხევდა.

— აქეთ გამაიარე! — ხელიც დაუქნია ზაქარიამ.

ქალიშვილმა სიტყვა არ წაუტყია მამას, თავს წამოგვადგა, თამამად მოგვესალმა.

— გაიცანი, შვილო, ქალაქელი სტუმარია, კალმოსანი! — წარმადგინა.

— კეთილი! — თავის დარხევით შემომხედა, ღიმილით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. ხელი გამომიწოდა. მეც უხვი ღიმილი და გაშლილი ხელი შევაგებე. ის სატაცურა თითებში მალე გამისრიალა მუჭიდან.

— შვილო მეწყინა, დაგვლოცე! — გაბილთუმებული ჯამ-ფიალა მიაწოდა.

— უჰ, რანაირი ხარ, მამაჩემო, ამ „მეწყინას“ ვერ გადაგაჩვიე! — აღერსით უსაყვედურა.

— ჩემთვის ისევ ის „მეწყინა“ ხარ, შეილო, გამომართვი!

მედიკომ სასმისი გამოართვა. ჩვენი შეხვედრა და გაცნობა აღდგერძელა ბაგეებზე არც მიიკარა, ციმციმ დაუდგა მამას. მოიბოდიშა და ცოტახანს გაგვეშორდა. მიდიოდა და კობტა ტანს მიარწევდა. თვალი გამიყვა და რომ არ შევემჩნეო, საღვინეს წაეწვდი დასასხმელად.

— რას ასწავლის თქვენი ქალიშვილი, ძია ზაქარ?

— რა ვიცი, ისტორიასაც და ნემენცურსაც.

— ისტატიც არის და შეგირდიც. — დაუმატა ალექსანდრემ.

— ?!

— ჰო, უმაღლესის უმაღლესშიც სწავლობს! — განმარტა ზაქარიამ.

— დაუსწრებელი ასპირანტია.

— მამა, კაცო. — კმაყოფილებით თქვა ზაქარიამ.

ათიოდე წუთის მერე მოგვაკითხა მედიკომ. სათითაო მწვადი შეეწვა. ჩამოგვირიგა. ისევ შიშინებდა. შამფურები დაფაფირავით გასასხეპად. ლამბაქზე ცხელი ცვარი ეღვენებოდა. მადის ამშლელ სუნს აფრქვევდა. მაგრამ ვინ იყო მქამელი.

— დაჭექი, შეილო! — თავისა და ჩემს შუა მიუმარჯვა სკამი.

მედიკო არ განაზებულა. ჩამოგვიცდა. გვესაუბრა. ვინაობა მკითხა. შინაურივით მელაპარაკებოდა. მიხაროდა.

— სტუმრები გვიდღეგრძელე, შეილო!

მედიკომ დაგვლოცა. ჩემსკენ უფრო მოეპყრო თვალი. უცნობი რომ ვიყავი, ალბათ, იმიტომ, ორიოდე სიტყვა იმყოფინა. მრავალჯერ მობრძანებულებიყავიო, ესეც დაუმატა.

„ამინ!“ — ვთქვი გულში. — დიდი მადლობა! — ფეხზეც წამოვუდგე.

ბაგეები შეახო ჯამ-ფილას ტუჩს. ქურდული მზერა გავაპარე. მაგრამ „დამიჭირა“. ჯამის ზემოდან გადმოხვდა, უცებ მკიდა თვალი, ჯერ დაკვირვებით

დამაცქერდა, მერე უცნაურად ააფახულა გრძელი წამწამები, მრავლისმეტყველად გაიღიმა. არ ვიცი, რა აზრი მისცა იმ ღიმილს, დამცინავი იყო თუ გამომწვევი. მე გულის გამთბობად მივიჩინე და საამოდ შემეპიყინა ტანში. მის თვალებს ეგეც არ გამოეპარა, ჯამის დადგმას აპირებდა და სიცილი რომ შეეოკებინა, ისევ მოიყუდა, ყასიდად ააცმაცუნა ბაგეები. ორი ყლუპიც არ მოუკლია. სავსე სასმისი დაღვა და ისევ წამოსცდა უხმო სიცილი. ჩემს თავს შევატყე, რომ ავიღეწე, კიდეც კარგი, ზაქარია და ალექსანდრე თავიანთთვის რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და ჩვენთვის არ შემოუხედიათ, თორემ იმათთანაც გვამდი სირცხვილს.

ზაქარიამ მოიხედა. შემოსწრებულ სტუმარს გაუმარჯოსო, დაიწყო და მოჰყვა მედიკოს სადღეგრძელოს.

— მამა! — თითი დაუქნია, — ნუ დაგავიწყდება ხოლმე, მე ხომ გაფრთხილებული მყევხარ, ჩემზე საქებრად ნუ ირჩები-მეთქი.

ამას შემოველოს ჩემი თავი, სულ ესე მებრძოლება, მაგრამ უამისოდ მაინც ვერ ვძლებ! — და გამოცალა.

— იმდენს იზამ, სუფრას დამატოვებინებ! — მართლა უხერხულობდა.

ალექსანდრემაც ცოტა თქვა.

მეც არ გამიგრძელებია. ერთს ვიტყოდი, გულში ასი მრჩებოდა. ეს სიტყვებიც ყელს არ ამომცდენია: „შენ რომ არ გაჩენილიყავი, ალბათ. რაღაცა დააკლდებოდა ამ ქვეყანას!“ — და სულმოუთქმელად დავცალე.

ბინდი მუქდებოდა.

ალარ მეთობობდნენ, მაგრამ წამოუსვლელობაც არ იქნებოდა. წამსვლელდამრჩენისა ვთქვი. დასამშვიდობებლად წამოვდექი. ისინიც წამოიშალნენ. ზაქარია არ მომეშვა. საღვთისმშობლოს მანამ არ დამილეე, ფეხს არ გადაგადგმეინებო. ერთი გარდატნელი კაცი ხოვლეში სტუმრად ყოფილიყო, საღვთისმშობლო დავიწყებოდა. იმის გუ-

ლისთვის ზედაველადან მობრუნებული-
ყო და მაინც დაელია. აბა, ჩვენ რო-
გორ ვულაატოთ ქართულ სუფრასაო.

ეგვიც დავუჭერე.

სტუმრების სიყვარული ვერ დამალა
ზაქარიამ.

უკონელი არ გამომიშვა.

ბაბუცაც გამოქცეულიყო გასაცილებ-
ლად.

— მეტს ნულარ წუხდებით, ნახვამ-
დის! — ჯერ მედიკოს გავუწოდე ხელი.

— ბედნიერი მგზავრობა, ჩვენო გუ-
ლთბილო სტუმარო! — ირონიულად
გადმომკრა.

ერთხელ კიდევ გადამკოცნა ზაქარიამ.

ალექსანდრეც გადამეხვია.

ბაბუცამაც გაითბო გული.

მანქანაში ჩავჯექი.

ხელების საესავით მაცილებდნენ.

— ის ეურნალი შემინახე, ზაქარიაზე
რომ დაწერ! — მომძახა ალექსანდრემ.

— საკვლოდაც გვესტუმრეთ! — და-
მაწია ბაბუცამ.

— თავი არ მოგვანატრულო! — გა-
ვარჩიე მედიკოს გამკენწლავი კილოთი
ნათქვამი.

— არ დაგვივიწყო, ბიჭოო! — რი-
ხიანად მომძახოდა ზაქარია.

წამოვედი და სიყვარული გამომაყო-
ლეს.

ნატვრა გამიჩნდა. ნეტავი, მალე მო-
მეტეს ამ სოფელში მოსვლის საბაბი-
მეთქი.

ეურნალისტს სხევან წასვლა-წამოსვ-
ლის საბაბს რა გამოუღევს.



ბ რ ო ლ ი ა

მოთხრობა

— ბალო, გამანებე-ლა თავი, საქმეს მიხედე...

— შალიკოსათვის მაინც გვეთქვა, თვალი გეჭიროს-თქვა.

— რაი თქმა და თვალის დაქერა უნდა? გზა არ იცის თუ კვალი? სოფელში მარტოც ჩამოვა...

— რო სადმე დაიძინოს და ნადირი გადაეყაროს?

— გაჩუმდი-ლა, შენს გაზრდას! ყელი და დანა ერთად მაქვ, რაი მეძალდება.

— ცოდვაა, თორემ...

— მე არა ვარ ცოდვა?! მესამე დღეა სველი კოხუჯები! არ გამიხდია...

— ზედაც აღარ შემოგვხედავს ზეზეა პაპაი, რო გაიგებს, ფარის იმედი ფარას არ ჩამოყვავ. გული მეუბნება, რომ იმინ მარტო დატოვება სასიკვდილოდ გამეტება.

— სიკვდილთან ყველა მარტო რჩება, კაციცა და ძაღლიცა, თუ უწერია...

ცხვრის ფარამ ფერდობი ჩაათავა, ქალაზე ზღვის ქაფივით გაიშალა და მოკამათე მწყემსებიც ერთიმეორეს დასცილდნენ: ერთი მარჯვნიდან გაუყვა ფარას, მეორე მარცხნიდან.

ეს რამდენიმე დღეა გადაუღებლად წვიმს.

მთებს ტყვიისფერი ნისლებით მოუბურავს პირი, გაცრეცილი და გადაყვითლებული სამოვრები თანდათან ცარიელდება: ოქტომბრის დამდევია და ცხვარს ნოღაეთისაკენ აქვს გეზი აღებული.

ვეშაწყაროს საზაფხულო იალაღს სულ ერთადერთი ფარა შემორჩენია.

მთების სიღრმეში მიმალულ პატარა ვაკეზე მიტოვებული რამდენიმე ფარეხი მოწყენით გამოიყურება.

ფარეხების ზემოთ კლდიან ფერდობს შეფენია ის ერთადერთი ფარა.

მწყემსი არსად ჩანს, სადმე წამოფარებებული კლდის ქვეშ იქნება მიწოლილი და ნაბაღში გამთბარი.

ფარისაგან მოშორებით, დეკიან გორაკზე უზარმაზარი მეცხვარული ძაღლი დაყუნტებულა.

ძაღლს ბებრული სახე შავი ნაპრევებითა აქვს დაფარული და დასახინრებული.

იგი კარგა ხანია ამ გორაკიდან ფეხს არ იცვლის. წვიმას მისი ბროლივით თეთრი ბალანი ოდნავ გაუღეგებია და ჩაულაპორწაკებია. მოწყურული, წირპლიანი თვალებით გაუეჭურებულ ბუნებას მისჩერებია და თავის ძაღლურ ფიქრებში ჩაძირულა.

ამ ბოლო ხანებში მაინც რა ემართება, ვერ გაუგია, ბროლიას: სმენაც და-

ლატობს, თვალის ძველებურად ველარ უქრის, მწყემსებმაც თითქოს შეიძულეს, ორი დღე რომ მშვიერი იყოს, არავის გაახსენდება. სხვა ძალებივით მსუნავობას მაინც ვერ იკადრებს. ზოგჯერ რომელიმე ხნიერი მწყემსი თუ გამეტებს გამობრულ ძვალს, ან პურის ქერქს, თან ნაღვლიანად რაღაცას ჩაულაპარაკებენ და გაშორდებიან.

ამ დალოცვილებს ერთი-ორი საალერსო სიტყვაც აღარ ემეტებათ, მაღამოსავით რომ მოეცება ბროლიას დამძიმებულ გულს...

ლამე, ჭვეყანა რომ დაინგრეს, ყველა ძაღლზე ბოლოს ბროლიას ეღვიძება. როცა მტერიც გაბრუნებულია და მგელიც მაინც ატეხავს ბუხუნს თავის ბებრული ხმით. იქით გარბის, აქეთ გამორბის. ბოლოს რომ მიხვდება, ყველაფერი დამთავრებულია და დაგვიანებულია მისი ფახიფუხი, დარცხვენილი, ბინისგან გაშორებული საღმე ჩაყუნცდება და თავის ბომბორა კუღში თავშეფარებულ აბეზარ რწყილებს ერთადერთ საღ კბილს უკაწუნებს...

დაიჭეროს, რომ აღარავის ახსოვს მისი ახალგაზრდობა და ამაგი?..

მისი სახელი მთელს ნოღაეთში ქუხდა.

ცხვარში დაბადებულს, მთელი სიცოცხლე აქვს გატარებული.

დაბერდა და ისევ ცხვართან არის.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაურჩენია ფარა ნადირისაგან, საკუთარი სისხლის ფასად...

აბა, მაშინ გენახათ ბროლია, როცა უკუნი ლამე ნადირთან ბროლით ჰქონდა გატეხილი. მეორე დღით მგელნაკლავს სახელს რომ ულოცავდნენ, მგლის ნაკბილარებზე მაღამოს აღებდნენ და საუკეთესო სასვარს სთავაზობდნენ.

ჯერ კარგად გამოზრდილი და დაძალებული არც კი იყო, პირველი მგელი რომ გაგულდა იშორის ბურნებში.

ერთი წლის მერე კი მეცხვარეებმა ზედმეტი სახელი „ფარის იმედიც“ შე-

არქვეს და უფრო შორს გავარდა ბროლიას ხმა.

საარაკო ფასს სთავაზობდნენ მისი პატრონს, ბებერ ზეზვას, მეცხვარეები: ჯერ ათ ყონს, მერე თორმეტს, ბოლოს თხუთმეტს ყონამდე ავიდა ბროლიას ფასი.

მოხუცს სიტყვის გავონებაც არ უნდოდა ბროლიას გაყიდვის თაობაზე.

ფარაში ორი მწყემსის ბადალიაო, იტყოდა მოხუცი ბროლიაზე და ალერსიანად გადაუსვამდა ხელს, თვალბში ჩახედავდა, თავისებურად რაღაცას ჩაუჩიფჩიფებდა და ძაღლიც ალერსადა და კუღკიციანდ ღნებოდა, ხელებს და სახეს ულოცავდა საყვარელ პატრონს, მერე გაბარებული გაინავარდებდა თოვზე და ომახიანი „შეძახილით“ შესძრავდა იალალს...

ეს იყო წლების წინ...

ახლა?

ძველი პატრონი ახალბედა მეცხვარეებმა შესცვალეს, ტორმავარი და ჩხუბისთავი ძაღლებიც მომრავლდნენ, დღეღამა უმიზეზოდ რომ ღავლავებდნენ...

ვერ იტანს ბროლია ამ მკვებარების გადაქარბებულ ალიაქოთს... საქვეყნოდ იყო ცნობილი, რომ ბროლია უმიზეზოდ ერთხელაც არ დაიყვებდა. ადამიანსაც ერთი შეხედვით ატყობდა, სამტროდ იყო ცხვრის ბინაში მოსული თუ სამოყვროდ.

...ამ დღით, გარიყრაქზე მწყემსები სამზადისს რომ შეუდგნენ გასამგზავრებლად, ბროლია ალოთი მიხვდა ყველაფერს.

თვითონაც ვახლისდა, ახალგაზრდა ძაღლებთან გამასხრება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, ძაღლები კუღამოძუებულები გაუფრთხნენ. ახლა მწყემსებს გაულაქუცა, არავინ მოიცილა მისთვის. პირიქით, ერთმა უემურმა მწყემსმა უყვირა კიდევ და თვალები დაუბრიალა.

ერთი ადაგალა და ფუსფუსი იყო ბინაში: ნაბღებს, კარვებს, ტყავის ქურქებს, სარძევე ტაგანებს, ყველითა და

ერბოთი სავსე გუდა-ხურჭინებს, — ყველაფერს სახედრებზე ჰკიდებდნენ და სოფლისკენ აგზავნიდნენ.

როცა გასამგზავრებლად გამზადებულ ძაღლებს საბოლოო სასვარი დაუდგეს, ბროლია ახლაც არავის გახსენებია.

ახალგაზრდა ძაღლები და ლეკვები ღვეღვით მიესიენენ სასვარს, ერთიმეორეს არ აკლიდნენ, იღრინებოდნენ და წარამარა იკბინებოდნენ.

ამაყი და დარბაისელი ბროლია მდუმარედ გაშორდა საკმლის თქვლეფაში გაძაგრულ მსუნავ თანამომეებს, ღინჯად დაწვა ბორცვზე და იქიდან აღევენებდა თვალს სამზადისს.

ამასობაში ბინა დაცარიელდა, ცხვარ-მეცხვარე გაიკრიფა. ბროლია კი ფერდობზე შებრუნებულ ფარას აედევნა ძუნძულით, დაიმედებული, რომ ხვალ, ალბათ, მისი წასვლის ჭერიც დადგებოდა.

ღილის მერე იმ გორაკზე დაყუნცებული წვიმით ჩაშმორებული ძაღლი. ზემოდან ცხვრის ბლაგილს რომ გაიგონებს, ფარისკენ გაიხედავს, მერე ისევ თავის ფიჭრებში ჩალრმავდება.

ეშმაკის კვალზე დამდგარი ამინდი კი გამოდარებას არ აპირებს.

ასეთი ამინდის დროს მთაში ამბობენ: ცას პირი სტყდებაო.

წვიმაში ხან თოვლსაც წამოურევს. ქარი ხომ ჩაუდგრომლად უბერავს და უბერავს.

ძაღლს ზეზეულად ჩასთვლიმა.

შორეული ნოღაეთი დაესიზმრა ბროლიას.

...თვალუწვდენელ ტრამალზე გაშლილა თეთრი ფარები.

გვერდზე ამაყად მიყვებიან ფარებს ბროლიას ძველი ნაცნობები და მეტოქეები: ხანდოსხეველთა კუდალა, აგერ ჩარგლელთა ბასარა და ლომაც აქ ყოფილან, თავიანთი დისწულ-ძმისწულთ და ლეკვობით...

ბევრ მათგანს ახსოვს ბროლიას კბილის გემო და ბრძოლის მხარეთაში ახლაც მოსწყურდა ფარის იმედს ტორის გამოცდა, ახალგაზრდობის გახსენება და კბილის მოსინჯვა.

თავის ფარას ტოვებს დროებით და მალღობისაკენ მიქრის. ძველებური ძაღლონითა და ხალისით სავსე. გამოღით, თუ ბიჭები ხართ, დამეკიდეთ.

გამოვალთ და დედასაც გიტყვებთო, — გამოსძახა ხანდოსხეველთა კუდალამ.

კუდალას აღმასა, ბასარა, ლომა და სხვა მოჩიტული ლეკვებიც ამოუდგნენ გვერდში.

ერთზე ცხრანი მოდიხართო! — უკვირს ბროლიას.

კარზე რომ მოგვიხტი, აბა რა გეგონაო, — შეუძახეს მოწინააღმდეგეებმა და შემოუტყის...

თქვენგან არც მოველოდი მეტ ვაეკაცობასო! — დაიღრინა ბროლიამ და „მტრებს“ ეკვეთა.

ძაღლი ცხვრის ბლაგილმა შეაკრთო და სიზმრიდან გამოარკვია.

თვალთ ფარა მოიძია, გაღმა ქედზე გასული ცხვარი ნისლიანში ძლივს დალანდა.

ბილიკებზე ცხვრებივით ასხმული შიშაქები დაწალიკებულნი გადარბოდნენ.

თბის კიკინმა მარჯვნივ მოახედა. იჭვე, მახლობლად, კლდის ფეხში ცხრა-ათამდე თხა-ცხვარი შემდგარიყო და არხეინად იცოხნებოდა.

ბროლია ზღაზვნით წამოდგა, დაბუტეებული სხეული გაძაგრა, წინა და უკანა ფეხებზე რიგრიგობით გაიწვართა, მერე შმორი ჩამოიბერტყა, ერთი ყინჩად დაამთქნარა და ქარაფში მიმდგარი ნასხლეტისაკენ გაემართა.

ნასხლეტთან რომ მიადწია, შორს წასულ ფარას კიდევ ეკრკიტა, ბურუსში ველარაფერი გაარჩია და ცხვრების მახლობლად დაყუნცდა.

გამოდარებას კი პირი არა და არ უჩანდა, ცრიდა და ცრიდა.

თანდათან ძალს მოუსვენრობა დაეტყო, დღე იწურებოდა.

შორიდან მონადენ ჩქროზე ხედებოდა ბროლია, რომ ცხვარი სხვა გზით გაირეკა მწყემსმა ბინებისაკენ, ეს ნასხლეტი კი ღვთისა და ბროლიას ანაბარა დარჩა.

კარგად აღარც ახსოვს ბროლიას, უკანასკნელად სად და როდის დარაჯობდა იალაღზე დარჩენილ ნასხლეტს, ალბათ, ორი-სამი წლის წინ და აი, ახლა, ამ სიბერის ეამს რა ხათაბალაში ჩაავდო იმ უგნურმა მეცხვარემ..

რამდენადაც ბინდი წვებოდა, ძალის ცხვრისკენ ინაცვლებდა ადგილს.

მთები ნელ-ნელა გაფერმკრთალდნენ, ფორმა დაკარგეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

დაღამდა.

ქარი ჩადგა, მაგრამ წვიმამ უფრო მოუმატა.

თავგზააბნეული ნისლის კოტრები დაბორილობდნენ ქედებზე, ხევებიდან ქურდულად ამოყოფდნენ თავს და ლანდებივით მიბობლავდნენ მწყერვალეებისაკენ.

ნასხლეტის ბოლოში დაყუნცული ძალლი დაკორძებულ თათებს წამდაუწუმ ისვამდა ლიბრიან თვალეებზე, გაფაციცებით ეკირკიტებოდა ცხვირწინ მოფარფატე ნისლის ფთილებს და სმენადამაბული მოუთმენლად ელოდა ნასხლეტის საძებრად წამოსული მწყემსის ხმის გაგონებას.

ღამე განახევრდა, მწყემსი კი არსად ჩანდა.

ტინებიდან ჩამონადენი წვიმის წვეთები ფუყე ჩქაფუნით ეცემოდნენ ქვიშაზე.

ბროლიას ოდნავი ფაჩუნიც მოსვენებას უკარგავდა.

ქარაფთან შეყუყუელი თხა-ცხვრები კი არხეინად ახრამუნებდნენ საცობარს.

ნაშუალამევეს ძალლი უცხად აწრიალდა.

ჯერ კარგა ხანს ცხვირწინდელი პაერს ყნოსავდა, მერე უჭრდაცქვეტილი კლდიანი ფერდობის ბოლოზე გაფანტული ყოლოს ბუჩქნარს მიაშტერდა.

ქვიშის ჩხარუნი მოისმა.

ბროლია მიწას გაეკრა და გაქვევდა.

წუთიც და ბუჩქნარიდან გამოსული ლევა-ჩიხა მტაცებელი ნასხლეტისაკენ გამოქანდა.

ორ ნაბიჯზე მოახლოებულ მოსისხლეს თავგანწირული ნახტომით ეძგერა ფარის იმედი.

მოულოდნელი თავდასხმისაგან შემკრთალი მგელი ჯერ გვერდზე გასხლტა, მერე ელვის უსწრაფესად შემოუბრუნდა ძალს და ბროლივით თეთრი ქურჭი რამოდენიმე ადგილას გაუფატრა.

ბროლია თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ მოწინააღმდეგე გაცილებით ძლიერი და სწრაფი იყო, მან ბეჭში ჩასო კბილები ძალს, მიწას დაანარცხა და ზედ გადაეტატა დასახრჩობად.

გასაჰირმა ბროლიას თავისი ასჯის ნაცადი ხერხი გაახსენა. მოწინააღმდეგის ყელი ახლოს რომ დაიგულა, თავისი დაკენტებული საომარი კბილი გაუყარა შიგ და დასისხლიანებული ყბები მთელი ძალით მოუჭირა.

მგელს ასეთი რამე არ ეპრიანა.

მან აქეთ-იქით დაიწყო წყვეტება, რომ ყელზე ჩაფრენილი ძალლი მოეცილებინა.

ბროლია თუმცა პირს აღარ უნაცვლებდა „ჩაპირულ“ მტერს, მაგრამ ძალა თანდათან ელეოდა.

მალე მოწინააღმდეგე იმარჯვებდა და მერე კი, ალბათ, ბოლოსაც მოულებდა.

სწორედ ძალლის ბედზე ამ დროს ხევიდან მწყემსის ძახილი მოისმა:

— ბროლიააუუ!..

ადამიანის ხმის გაგონებამ მგელი მთლად გააცოფა: მძლავრი გაბრძოლე-

ბით ძალი ბუჩქებში მოსტყორცნა და უკუნეთს შეეფარა.

ბრძოლის აზარტში შესული ძალი გაქცეულს გაეკიდა, მაგრამ ისევ მისწვდა მწყემსის ხმა და შემობრუნდა.

ნასხლეტი აღარსად იყო: მგლისა და ძაღლის შებმით შეშინებული ცხვრები სიბნელეში გაფანტულიყვნენ.

ბროლია მწყემსისკენ წავიდა.

დანაკარგითა და დაღლილობით გამწარებულმა მწყემსმა ძალი მარტოკა რომ დაინახა, იფიქრა: როგორც სხვა დროს, ახლაც თავისთვის სადღაც სძინებია ამ გადაჟამყრებულ ბერძალსაო, ერთი წიხლი ჩააზილა და გზა განაგრძო.

ძაღლს მეტი აღარც შეეძლო, ძალა-გამოლუული ხევი ჩაგორდა და ბარდებში გაიხლართა.

დილაშდ იმ ბარდებში იწვა ბროლია და დასიცხული ენით წყლულებს ილოკავდა. ღამე კიდევ მოკრა მწყემსის ხმას ყური, მაგრამ ადგომის თავი არ ჰქონდა. დილით, როგორც იყო წამოდგა, ბარდებიდან ამოვიდა და ბინისკენ წახანხალდა.

ბინაში აღარავინ დახვედრია ბროლიას: ის უკანასკნელი ფარაც გზას გასდგომოდა ბარისკენ.

შიმშილით შეწუხებულმა ნაბინავარი მოისუნსულა. ერთი ქოხის წინ გუდიდან გადმობერტყილი ჰურის ნამკეცები იპოვა და ენის წვერით პირწმინდად აკრიფა. მერე ის იყო, სოფლისკენ მიმავალ ბილიკს უნდა დასდგომოდა, რომ განაპირა ქოხის შესასვლელთან დაგდებული ნაბდის თეჭა და გუდა შენიშნა, შესაძლოა, მწყემსებისაგან განგებ დატოვებული მათი სიძველის გამო.

ძაღლმა მათ დანახვაზე კუდი გააქიცინა და ქოხთან მივიდა. ნაბდის თეჭა მოკრძალებულად დაყნოსა, ენაც მოუცაცუნა და გვერდზე მოუწვა.

მაღე სიცხისა და დაღლილობის ღრმა ძილქუშში წავიდა და მეორე დილაშდ აღარც განპრეულა.

დილით ჯერ დარუმბებული წყლუ-

ლები მოილოკა, მერე ნაბინავარში დაძებნილი ნამუსრევით კუჭი მოიტყუა და ქოხების გვერდზე ჩამდინარი წყალიც აცქლიტა.

შემდეგ კარგა ხანს გაჰყურებდა ნისლით ყბაგამოტენილ ხეობებს, იქ, იმ ქედების გადაღმა სადღაც იყო მისი სოფელი... ცხრა მთას იქითაც რომ ყოფილიყო, მაინც სიზარულით მიაგნებდა თავის მშობლიურ ალაგს...

ბარემ უნდოდა წასვლა ახლაც, მაგრამ გადაადგამდა თუ არა ფეხს, დამნაშავესავით მიხედავდა მარტოდ დარჩენილ გუდა-ნაბადს და ისევ მისკენ შემობრუნდებოდა.

ასე გავიდა ოთხი დღე. მეხუთე დღეს წვიმა თოვამ შესცვალა და რამდენიმე ხანში არემარე თეთრ ქურქში გაეხვია...

ბროლიას ქედზე გასვლის ხალისი უკვე აღარ ჰქონდა. ერთხანს ადგილზე იბორიალა და მერე ისევ თავის ნაწოლში ჩაწვა.

იმ ღამეს და მეექვსე დღესაც გადაუღებლად თოვდა, თოვდა მშრალად და ხვავრიელად.

სალამოხანს ბროლიამ მხოლოდ თავი წამოსწია და ამღვრეული თვალელები უაზროდ მოავლო მიდამოს. დათოვლილი მთები შემოგარულიყვნენ ირგვლივ. არცერთი ცოცხალი სულიერი არ ჰქაჯანებდა ამ მთათა საუფლოში. ახლა, თითქოს ყველა არსება სადღაც გადახვეწილიყო, ჩამძვრალიყო მიწის სიღრმეში.

მხოლოდ ბროლია იყო დარჩენილი მღუმარე მთების, თოვლის, ყინვის და უკვე მიმქრალი იმედის ანაბარა.

ბროლია ძაღლურად გაკვირვებული უყურებდა ამ უსასრულო, ზღაპრულ სითეთრეს...

დაღამდა ის დღეც.

ნაშუაღამევს თოვამ უცბად გადაიღო, ქარმა ნისლები მთების იქით გადაალა და მთვარემ გამოანათა.

თოვლის საფარველში გაუნძრევლად

ჩაწოლილ ძაღლს სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა.

თეთრ სამოსში გახვეულ ფარეხებში მშვიდად თვლემდა ცხვარ-მეცხვარის დანატოვარი მოლოდინი.

განთიადი ჭერ კიდევ შორს იყო, რომ მთვარიანი ღამის ზღაპრული მყუდროება შემაზარხენმა ხმამ შესძრა და არემარეს ტრუანტელივით დაუარა.

ამ ხმას მალე მეორე აყვა, მეორეს—მესამე და, ასე; ზოგმა როყოოდ, გაბზარულად, ზოგმა მწყებრად, ერთი ვაიუშველებელით გადაიყმუვლეს ქედები, ხეები, ქალები და მთების ყველა კუნძულში თანაბრად დანაწილდნენ.

ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ მთებს შვენი მგლის ყმუილი...

ამ მოლოდინით გაქვევებულ ბუმბერაზებს, ამ თეთრ მღუმარებას და შავეთივით გაბატონებულ სიგრილეს ალბათ ვერავითარი ხმა ისეთი სიძლიერით ვერ დაუვლის გულღვიძლში, ვერ შესძრავს, ვერ შეაერყოლებს, როგორც მგლის ყმუილი...

ეს ხმა ნამდვილად ღვიძლი შეილია ამ მთებისა, რომელშიც გასაოცრადაა შერწყმული ენით გამოუთქმელი მწუხარება მრისხანე მუჭარასთან...

პატარაობისას მთაში გამიგონია: ყმუილით მგელი თავის მგლად გაჩე-

ნას დასტირის და წყველა-ჭრულვას უთელის დამბადებელს რა შემზარალებია მგელი...

ბავშვმა რა იცის, რომ მგელს შებრალება არ ეკადრება.

ყმუილის ხმები ვეშაწყაროს ნაბინავარს დაუახლოვდა, მერე თანდათანობით მკვეთრად და გარკვევით გაისმა.

ამ „ზარმა“ ფარეხის წინ თოვლში გაქვევებული ძაღლის ბურანიც გაარღვია და მის სმენამდე ჩააღწია.

ბროლიამ დათოვლილი თავი ძლივს ააცილა მიწას და დაბინდული თვალები გორის ფხაზე შემომჭდარ, ყვითლად აბრიალებულ მთვარეს მიაშტერა.

ყმუილი უცბად შეწყდა და ნაბინავარში სიჩუმე ჩამოდგა. ნადირმა სამსხვერპლო იყნოსა.

წუთიც და ქოხების ირგვლივ რუხმა ლანდებმა გაიშლიგინეს. ლანდები თვალებიდან ცეცხლს აკვესებდნენ, ადგილს სწრაფად ინაცვლებდნენ და ძაღლისკენ მოიწევდნენ.

ბროლია კი ვერაფერს გრძნობდა, ვერც ზედავდა, იგი გაოცებული მისჩერებოდა ცაზე დაკიდულ იმ უცნაურ ცეცხლოვან-ბურთს და ყელიდან ხინისა და ღრენის მსგავსი ხმა ამოსდიოდა.

ბოლოს კიდევ თითქოს შეუყეფა იმ ბურთს...



აბაჰი წარსულია

„რა კარგი ხარ ჩიხორიშო,
არ ვერიოს ზვილიშაო“
ხ ა ლ ხ უ რ ი

მზე რა არის, მზე ვინ არის, მზე
შენა ხარ! — ასე მიმართავდა ხოლმე
დედა ერთადერთ შვილს, რომელსაც
მზევეინარი ერქვა. მას ხშირად ესმოდა
გაფრთხილება: შორს ნუ ივლი, არ გა-
ნმარტოვდე, ოსმალეებმა არ მოგიტაც-
ონო. შიშს იწვევდა ეს გაფრთხილება
ქალიშვილში, ერთხანს თავს იკავებდა,
შინ იჯდა, შორს ვერ მიდიოდა, ითმენ-
დ, იტანჯებოდა.

მზევეინარის სოფელი ორ ხეობას
შორის იყო მოქცეული. სოფლის ერთ
ნაპირას ერთი წყარო გამოდიოდა, მე-
ორე ნაპირას მეორე. ერთ წყაროს ჩი-
ხორიში ეწოდებოდა, მეორეს ზვილიშა.
მოსახლეთა უმეტესობა უფრო გემრი-
ელს — ჩიხორიშს ეტანებოდა.

ერთ საღამოს მზევეინარი აბუყდა
დედას: გოგოები ჩიხორიშზე მიდიან,
გამიშვიო. მზევეინარს წყლის მოტანის
დარდი როდი ჰქონდა! ფიქრობდა იქ,
ჩიხორიშთან, იქნებ, შვლებზე ნადირ-
ობიდან დაბრუნებულ საქმროს — მან-
არეს შევხვდეთ. დედის უარმა ვერ
გასჭრა, ქალიშვილმა თავისი არ დაი-
შალა. ნეტავი გაეგონა დედის სიტყვა!
იგი იმ დღით ოსმალეებმა მოიტაცეს.

მზევეინარი ფაშამ იყიდა. ფაშას ჯე-
მალი ერქვა. მრავალი ასულის პატ-

რონს ჯემალს ერთადერთი ძე ჰყავდა.
ძეს სულეიმანს ეძახდნენ. მამას არ
მოსწონდა სულეიმანი, ჩიოდა: მე არა
მგავს, სისხლი აშინებს, კეთილია, სიკე-
თე რის მაქნისია, ცხოვრება და სიკეთე
ერთმანეთს ვერ ეგუებიათ.

ჯემალი სულეიმანსა და მზევეინარს
შორიშორს ამყოფებდა, ფიქრობდა: სუ-
ლეიმანი მოიხიბლება მშვენიერი, კდე-
მამოსილი, მაგრამ მოუტეხავი ქალით
და ქართველი მონად გაიხდის თათარ-
საო. ერთ დღიას მოხდა ის, რასაც არა-
ვინ მოელოდა: ჯემალმა სულეიმანს
მზევეინართან დაახლოების უფლება
მისცა. ერთი კვირის მერე შინაურული
შეთქმულების შედეგად ჯემალი მოკ-
ლეს, გვამი მიუკვლეველ ადგილას გა-
დაკარგეს. უფროსად, ახალ მბრძანებ-
ლად სულეიმანი დარჩა. მას ყველამ
ექვის ბვლით შეხედა; ვაითუ მამამი-
სივით მკაცრი და შეუბრალებელი გა-
მოდგესო, არ გამართლდა, უსაფუძვლო
გამოდგა ეჭვი. ბნელს გაეყარა, სინა-
თლეს ეზიარა ახალგაზრდა სულეიმანი.
მზევეინარის გარეგნულმა და სულიერმა
მშვენიერებამ მოიხიბლა, სიყვარულით
აუძგერა გული.

მოხატულ ოთახში, რბილ, ძვირფას,
ნელსურნელება ნასუბრებ საგებლებზე

მოსვენა ჭემალისაგან განაწამები ტყვე ქაბუკმა. სულეიმანი მზევინარს ქართულად ელაპარაკებოდა, ქალი გამოაცოცხლა ქართულის გაგონებამ, გავეირდა, სულეიმანს ჰკითხა:

— შენ ოსმალო ხარ?

— ვარ.

— მაშ, რატომ ლაპარაკობ ქართულად?

— იმიტომ რომ გავახარო, გასიამოვნო.

— განა თქვენ ქართველების სიამოვნება გინდათ?

— გვინდა.

— ვინ გასწავლა ქართული?

— ყარამანიძემ.

რამდენიმე წლის წინათ ჭემალმა ერთი ქართველი ტყვე იყიდა, გვარად ყარამანიძე. ყარამანიძე კარგი, ბევრ რამეში გამოსადეგი ბიჭი იყო, ყარამანიძე და სულეიმანი ერთმანეთს დაუტყბნენ, დაუახლოვდნენ, ურთიერთს შორის სიყვარულის სიმები გააბნეს. ყარამანიძე ჭემალმა ყარამანოლად მონათლა, თან გააფრთხილა: ყარამანიძე აღარ დაგცდეს, თორემ თავს წაგაცლიო. ყარამანიძის კისერს მანც შეეხო მახვილი. მკვლელობამ უხმაურო შფოთი გამოიწვია. ყარამანიძის ბედში მყოფებმა პირი შეკრეს, დრო შეარჩიეს და ჭემალს დაუმიწეს მახვილის მხმარებელი მარჯვენა ...

ეს ყველაფერი დაწერილებით უამბო სულეიმანმა მზევინარს.

საზარელმა ამბავმა შეაშფოთა, შეაშინა მზევინარი.

სულეიმანმა იგი დააწყნარა, დაამშვიდა, მოეფერა.

მზევინარს მიეძინა, სულეიმანმა შორიხლო წათვლიმა. მზევინარმა ძილში წუხილი დაიწყო, ამოდებდა, მახარეს ახსენებდა, შველას სთხოვდა.

სულეიმანმა მზევინარი გამოაფხიზლა, გონში ჩააგდო:

— მზევინარ, რა დაგემართა, რა ნახე?

— სიზმარი.

სულეიმანმა შეშინებული ქალის გულში ჩაკერა მონიდომა, ქალმა სახეზე

რისხვა აღიბეჭდა, სულეიმანი შედგა, შეურაცხყოფილის გრძნობით განიმსკვალა.

— მზევინარ, გეზიზღები? — მორჩილად იკითხა მან.

— არა.

— გიყვარვარ?

— არა.

— არც შემიყვარებ?

— არა.

— წავიდე, გაგშორდე?

— არა.

— არა ვარ სიყვარულის ღირსი?

— ხარ.

— მაშ, რატომ მკლავ, რად არ მაცოცხლებ?

დილით სულეიმანმა მზევინარი ჩვეულებრივად მოინახულა.

— მზევინარ, როგორ გეძინა წუხელ?

— კარგად.

— ფანჯარა გავაღო, სუფთა ჰაერი შემოუშვა?

— შემოუშვი...

— გალიები გავატანინო შორს, თუ იგალობონ ფრთოსნებმა?

— იგალობონ.

— აქ ვიყო, თუ გაგეცალო?

— აქ იყავი.

— მინდა მთხოვო რაიმე.

— რა გთხოვო?

— რაც გულითა და სულით გინდა, რაც გენატრება.

— მე არაფერი სათხოვარი არა მაქვს.

— გექნება, თქვი...

— მე სათხოვარი ერთად ერთი მაქვს.

— სთქვი, აგისრულებ.

— ეს არ გავახარებს, სამძიმოა მისი ასრულება შენთვის.

— შენ გავახარებს?

— უსაზღვროდ.

— მაშ, მზად ვარ ავასრულო, სთქვი,

✦ მომანიჭე თავისუფლება, გამიშვი საქართველოში.

— ეგ რა სქვი, მზევინარ!

ორ, თუ სამ დღეს ფიქრს შეაკლა თავი სულეიმანმა. ებრძოდა, უმკლავდებოდა საკუთარ თავს, ბოლოს მტყი-

ცე გადაწყვეტილება მიიღო და მზევი-
ნართან მივიდა.

— მზევინარ!

— რა არის, სულეიმან?

— ვინ არის მახარე?

— ჩემი თანასოფელი.

— გადაწყვიტე გაგიშვა, გაგათავ-
ისუფლო, იხარე და ახარე მახარე, ყო-
ველივე ეს უნდა მოხდეს ჩემი სიცო-
ცხლის ფასად.

— მშალო ატირდა.

— ატირდა ქართველიც...

— მე შენთვის უკვდავებს გავიმე-
ტებ, მზევინარ!

— მთელი საოსმალეთოს ულამაზე-
სიც ცოტაა შენთვის—პასუხად წარ-
მოსთქვა მზევინარმა.

— ორივე ფიქრმა წაიღო. დუმილი ქა-
ლმა დაარღვია.

— მაშ, მიშვებ ჩემს მესხეთში?

— გიშვებ.

— შენი ქირიმე!

მზევინარი გადაეხვია სულეიმანს,
დაკოცა. სულეიმანი გაინაბა, დაიბნა,
მთელი არსებით მიეცა ნეტარებას.
მერე სარეცელზე ჩამოჯდა.

— მე შენს სარეცელთან ასე თავი-
სუფლად... ეს წარმოგიდგენია?—ი-
ოთხა დიდად კმაყოფილმა სულეიმანმა.

— წარმომიდგენია!

— მახარემ რომ შეგვხედოს, რას
იტყვის?

— არაფერს, ვეტყვი რომ შენ ძმა
ხარ ჩემი.

სულეიმანმა თავი ჩააკიდა, სასოწა-
რკვეთას გამოხატავდა მისი დაფიქრება.

— ძმაო, მომეხმარე, წამომაყენე,
მინდა ვსინჯო ჩემი ძალა, შეძლება.

სულეიმანმა მზევინარი ააყენა. მზე-
ვინარმა სცადა მოუხმარებლად ფეხზე
დგომა, სცადა, მაგრამ გულმა უმტყუ-
ნა, ლამის ხელში შეაკვდა ქაბუქს.

იმ დამეს გამოძახებულივით მოძ-
ლაგუნდა სიკვდილი. მაგრამ იგი ხელ-
ცარიელი, გაწბილებული დარჩა.

— დილით კარგად მყოფმა მზევინარმა
წყალი მოითხოვა. სულეიმანმა სწრა-

ფად მიუტანა სავსე სასმისი. მზევინა-
რმა პირი გაისველა, წყალი გადმოღვა-
რა, მერე წაილაპარაკა:

— როგორ მინდა ჩიხორიში!

— რა გინდა?

— ჩიხორიში.

— რა არის ჩიხორიში?

— წყალი.

— წყალი?!

— წყალი, მაგრამ განა უბრალო!
ნამძვილი წამალი.

— სად არის ეგ წამალი? — გამო-
ცოცხლდა სულეიმანი.

— ჩემს სოფელში.

— მოვიტან!

სულეიმანმა ხეტიალში გამოცდილი
ორი ერთგული შეარჩია. მგზავრები
დანიშნულ ადგილას მშვიდობით მი-
ვიდნენ, ქურქელი ჩიხორიშის წყლით
აავსეს. გზაში მოსწყურდათ. ერთმა
ვერ მოითმინა და წყალი მოსვა. ქურ-
ქელი კი ხელიშას წყლით შეავსო.

— ოსმალეთში დაბრუნებულმა მგზავ-
რებმა წყალი პირდაპირ მზევინარის
საბრძანებელში მიიტანეს. სულეიმა-
ნმა სავსე სასმისი თავისი ხელით მიარ-
თვა ავადმყოფს. მზევინარმა დალია
წყალი. დაფიქრდა, სიამის ნათელი მო-
ფენა სახეზე, მაცოცხლებელი მადლის
ძალა იგრძნო, თავისთვის თქვა:

— „რა კარგი ხარ ჩიხორიშო,

არ გერიოს ზვილიშაო“

ნამგზავრი თათრები გაოცდნენ. არ
გერიოს ზვილიშაო — რა კარგად სცო-
დნა საქართველო ამ ციციანა გოგოსო.

სულეიმანი ზრუნავს არ აკლებდა
მზევინარს. იგი ყოველ დღე დაზოგ-
ვით, სიფრთხილით ასმევდა სამშობ-
ლოდან მოტანილ წყალს. შეწუხებულ-
მა მზევინარმა ერთ დღეს წყლის და-
ლევისას სულეიმანს უკითხა:

— კიდევ არის ჩიხორიში?


— არა, გათავდა!

— მეც გათავდები...

გათავდა ჩიხორიში, გათავდა მესხე-
თის სიახლოვის განცდაც. მზევინარმა
იმ დღის საღამო ველარ ნახა, საღამო-
სებური ბინდი დილითვე დაბინავდა
მის თვალებში.

— მზევინარ!—დიდი ხმით ამოიტი-
რა სულეიმანმა და ცივ სხეულს ქვი-
თინით დაეკონა.

სულეიმანის სასახლეში ზარი დიდი
ჩამოღდა, ძალიან დიდი...



2. ქართობი

პარტიის XXIV ყრილობა და საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის საკითხები

პარტიის XXIV ისტორიული ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. მან შეაფაძა კომუნისტების მშენებლობის დიდ გზაზე მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის შედეგები და დასახა ახალი გრანდიოზული ამოცანები.

ყრილობამ საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნია, რომ მან აქტიური როლი შეასრულოს კომუნისტურ საწყისებზე საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნისა და კომუნისტების მშენებელი ადამიანის სულერი ჩამოყალიბების საქმეში.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყრილობა საზოგადოებრივ მენეჯერებისაგან მოითხოვს დიდი ღწინის იდეური მემკვიდრეობისა და მისი მეთოდოლოგიის საფუძველზე დასახოს კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტის გზები და მთელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმართოს პარტიული და სახელმწიფო მუშაობის პრაქტიკასთან, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაქრასთან უშუალო კავშირში.

სახალხო მეურნეობისა და კულტურულ მშენებლობის უველა დარგის მეცნიერული მართვის სისტემის სრულყოფა, რომელიც ყრილობამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია, საბჭოთა ფილოსოფოსებს, ეკონომისტებს, ისტორიკოსებს, სოციოლოგებს, სამართლისმცოდნეებს და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგების წარმომადგენლებს ავალებს საფუძვლიანად დაამუშაონ საბჭოთა

საზოგადოების სოციალ-ეკონომიური განვითარების საკითხები, სოციალისტურ ურთიერთობათა კომუნისტურ ურთიერთობად კანონზომიერი გარდაქმნის პრობლემები. „თვითუღელ სამეცნიერო კოლექტივში — ხალხისათვის აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი — უნდა იყოს ნამდვილი შემოქმედებითი ვითარება, გაბედული ძიების, ნაყოფიერი დისკუსიების, აზიანაგური მომთხოვნელობის ატმოსფერო“. „დიდად აფასებს რა ზვეს მეცნიერთა მიღწევებს — მიუთითებს ლ. ი. ბრეჟნევი — საბჭოთა ხალხი მოეღის, რომ ისინი გამარჯვებულ ღონისძიებებს კომუნისტური მშენებლობის უველაზე აქტუალური ამოცანების გადაჭრისათვის“.¹

ზვეს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების საქმეში ერთ-ერთი გადაწყვეტი რილი შეასრულა საბჭოთა ხალხების ერთიანი ძმური ოჯახის — სსრ კავშირის შექმნამ, რომლის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას 1972 წლის დეკემბერში ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანები და მთელი პროგრესული ეკოპობრიობა. საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ საბჭოთა ერებს შესაძლებლობა შეექმნა მიეღწიათ არა მარტო პოლიტიკური თანასწორუღებუიანობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის, არამედ ლიკვიდაცია უუვეს ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ეკონომიურ და კულტურულ უთანასწორობას. ურთიერთ ძმურ დახმარებუ-

¹ სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, გვ. 120, თბ. 1971.

ზე დაყრდნობით ყველა საბჭოთა ეროვნულმა რესპუბლიკამ შექმნა თანამედროვე მრეწველობა, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ეროვნული კადრები, განვითარდა ფორმით ეროვნული და მონიარსი სოციალისტური კულტურა.

დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხმა შესწლო ისტორიულად მოკლე დროში აეშენებინა სოციალიზმი და წარმატებით შესდგომოდა კომუნისმის მშენებლობის ამოცანების განხორციელებას.

სოციალისტური ურთიერთობის კომუნისტური ურთიერთობად გარდაქმნის პრობლემის დაშვებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ პროცესების სათანადოდ შესწავლასა და კანონზომიერებათა დაადგენას, რომლებიც მიმდინარეობს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ განვითარებაში, მის სოციალურ სტრუქტურაში.

თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლას, მისი განვითარების ობიექტური კანონზომიერი პროცესის შეცნობას უღირსად დიდი პოლიტიკური, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა, ეკონომისტებმა, ისტორიკოსებმა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა დარგთა წარმომადგენლებმა ერთობლივად დაარსებულმა საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის საკითხს და ამ პრობლემის ირგვლივ საკმაო რაოდენობის ნაშრომები გამოქვეყნეს.

ამ შრომებში ფართოდ არის ნაჩვენები ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მოხდა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ განვითარებაში. ამასთან, გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებები თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ.

აქტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ამბროსოვი, გლუზერმანი, კეგელი, რუტკევიჩი, სემიონივი, შკარატინი) მიუთითებენ, რომ თანამედროვე საბჭოთა საზოგადოება წერ კიდევ კლასობრივია. მასში შენარჩუნებულია მუშათა კლასი, გლეხთა კლასი და მათ შორის მყოფი ფენა — ინტელიგენცია. ზემოთ მითითებული ავტორები საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ დაყოფის კრიტერიუმად კვლავ სოციალისტური საკუთრების ოპი ფორმის არსებობას მიიჩნევენ. ეს ფორმები, მართალია ერთბიძიური, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება განვითარების დონით.

აქტორთა ნაწილის (გ. კაცისა და სხვათა) წინა თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში კლასებს უკვე მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავთ. გ. კაცის აღნიშვნას, რომ სოციალიზმის მშენებლობისა და

განვითარების პირობებში კლასობრივ დამოკიდებულება, როგორც სოციალური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა შექნა. ანგის აღიარებულ, სტრუქტურულ მნიშვნელობას მატარამ ის ფიქრობს, რომ კლასები კიდევ რამდენიმე ხანს იარსებებს, როგორც წარმოების ძველი წესის ნარჩენები. აქედან გამომდინარე, იგი კომუნისტურებსა და მუშების შორის განსხვავების ფაქტორად მიიჩნევს მხოლოდ მათი კლასობრივი განსხვავებულობის ნარჩენებს.

ზოგი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს შიდაკლასობრივ განსხვავებულობას და გამოთქმული აქვს თავისი მოსაზრებები. ცხადია, საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ მკვლევართა მოსაზრებებს, მიუხედავად ახრთა სხვადასხვაობისა, უღირსად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ პრობლემაზე კვლევა-ძიებითი მუშაობის შემდგომი გაფართოება ხელს შეუწყობს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და მისი განვითარების ტენდენციის დადგენას.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში კომუნისტურებათა ბაზაზე შეიქმნა საკმაო რაოდენობის საბჭოთა მეურნეობები. მარტო საქართველოში 1971 წლის პირველ იანვრისათვის იყო 255 საბჭოთა მეურნეობა. კომუნისტურებათა საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მომავალში კანონზომიერად განხორციელდება. საბჭოთა საზოგადოების სოციალური მდგომარეობის მიხედვით დაყოფის არსებული კრიტერიუმის საფუძველზე, კომუნისტურებათა ბაზაზე შეიქმნილ საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულ ადამიანები მუშათა კლასის რიგებში ირიცხებიან, რადგან ისინი დასაქმებული არიან საერთო-საბაზო საკუთრების ფორმაში — საბჭოთა მეურნეობაში. ისმება კითხვა: საბჭოთა მეურნეობაში მათი დასაქმება არის თუ არა ვალდებულებული ფაქტორი ამ კატეგორიის ადამიანების მუშათა კლასის სტრუქტურულ ერთობაში მოქცევისათვის?

როცა ამ საკითხს ეციკლება, საქაროდ მიგვიჩნია ნათლად გავიხაროთ ვ. ა. ლენინის მითითება მის შესახებ, რომ „ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად შევიძინოთ ჩვევა ამ საკითხისადმი სწორად მიდგომისა და არ დავიბნეთ უამრავ წერილმანებში, ან ერთმანეთთან მეტროლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მიუხედავთ, — არის ის, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ ამ თვალსაზრისით, თუ როგორც წარმოებად ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში,

და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შეეხედვით, თუ რად იქცა ეს მოვლენა აშკარად.¹

ე. ი. ლენინის ეს მითითება კარგად გვიჩვენებს იმას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების თვითველი მოვლენის მეცნიერული ინტერპრეტაციის საფუძველი უნდა იყოს ამ მოვლენის განვითარების ისტორიული ანონზომიერი პროცესის შეცნობა.

ცხადია, როცა კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულ ადამიანთა სოციალური სტრუქტურის საკითხებს ვიდევნებთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავარკვევს ამ კატეგორიის ადამიანებმა ან თვისებრივი ცვლილებები განიცადეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სტრუქტურის მქონე კოლმეურნე გლეხებთან შედარებით, როგორც შრომის ხასიათში, ისე ყოფაცხოვრების წესში. აგრეთვე საკოლმეურნეო-კომუნარაქციული საყუბრების განვითარების დღევანდელი დონე არის თუ არა კრიტერიუმი, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორ ფორმაში—საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობაში დასაქმებული ადამიანები სოციალურად სხვადასხვა კლასის მიეკუთვნოთ.

ისიც არის აღსანიშნავი, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორივე ფორმაში დასაქმებულ ადამიანთა შრომა ერთობიერია და არსებითად განსხვავდება სამარწველო შრომისაგან.

როგორც საბჭოთა მეურნეობაში, ისე კოლმეურნეობაში დასაქმებულ ადამიანს შრომითი საქმიანობა ორგანულ ბუნებასთან უშუალო კავშირში უხდება, ე. ი. ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ადამიანები აწარმოებენ ცოცხალ მცენარეულ და ცხოველურ სამყაროსთან ურთიერთობაში, რომელზედაც არსებითი ხასიათის გავლენის ახდენს როგორც გეოგრაფიული გარემო, ისე დროის ფაქტორი (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის ბუნებრივად დადგენილი დროის ხანგრძლიეობა).

მართალია, ადამიანი (ყურძლად, არანატურის სტრუქტურის საზოგადოებაში), რომელსაც ერთიანი ინტერესები და მიზნები აქვს, უფრო ადრე შეიცნობს გეოგრაფიულ გარემოს, ბუნების კანონების მოქმედების ხასიათს და ახდენს მასზე აქტიურ ზეგავლენას, რათა ისინი დამორჩილოს და საზოგადოების ინტერესებს დაუქვემდებაროს, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე დღემდე მნიშვნელოვან გავლენას კვლავ ბუნების მოვლენები ახდენს, ე. ი. საზოგადოების მერე ბუნების კანონები, მათი მოქმედების ხასიათი ჯერ კიდევ არ არის შეცნობილი იმ დონით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორივე ფორმაში დასაქმებულმა ადამიანებმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გარანტი-

რებულად აწარმოონ იმ მოცულობით და იმ გარემოში, რამდენიც და სადაც სურთ.

მართალია, ადამიანი, განაყუფებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, მნიშვნელოვნად აუჭიბავს სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და ცხოველთა ჯიშობრივ შემადგენლობას, ზრდის მათს პროდუქციულობას, მაგრამ დღემდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ძირითადად ბუნებრივად დადგენილ დროში ხდება, ე. ი. როგორც მცენარეთა სამყაროსთან, ისე ცხოველთა სამყაროსთან ადამიანის ზემოქმედებაზე ძირითადად მოქმედებს ბუნებრივად დადგენილი დროის ფაქტორი.

მრავალგვარი ბუნებრივი პირობები, მრავალფეროვანი მცენარეული და ცხოველური სამყარო სრულიად განახევებულ პირობებს ჰქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, ძირითადად უმეკება რა ორგანულ ბუნებასთან ადამიანის ზემოქმედების შედეგად, მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები, ბუნების კანონების მოქმედების შედარებითი სიმყარე—ი საფუძველი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ ადამიანთა შრომისა და ყოფაცხოვრების განსხვავებული ხასიათისა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეს თავისებურებები ჯერ კიდევ დიდ სიძნელეებს ჰქმნის საერთოდ ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა შრომის მტკიცე, ერთგვაროვანი ორგანიზაციისათვის, ე. ი. მთელი წლის მანძილზე სამუშაო დროის სტაბილურობისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთ დარგში დასაქმებული ადამიანი ძირითადად მშინი მუშაობს, როცა კარგი ამინდი, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ბუნებრივად შექმნილი შრომის ხელსაყრელი პირობა და მეტი სამუშაო შეასრულოს. იგი, ასეთ შემთხვევაში, ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავისი სამუშაო დროის ხანგრძლიეობას.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის რომელიმე ცალკეულ დარგში დასაქმებული ადამიანი, ეს საბჭოთა მეურნეობა იქნება თუ კოლმეურნეობა, მთელი წლის საქმით დროის მანძილზე შრომითს საქმიანობას ვერ ეწევა, რადგან ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო შრომა სეზონურია მოსავლის მისაღებად ბუნებრივად დადგენილი დროის ფაქტორის მოქმედების გამო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის სხვადასხვა ბუნებრივი პირობები, მოსავლის მისაღებად ბუნებრივად დადგენილი დროის ფაქტორის მოქმედების ხასიათი არის მიზეზი იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში არა

¹ ე. ი. ლენინი, ტომი 30, გვ. 625-626.

აქვთ შრომისა და ანაზღაურების ერთნაირი პირობები.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა სამრეწველო პროდუქციის წარმოების საქმეში.

სამრეწველო პროდუქცია ძირითადად ადამიანის მიერ აზოორგანულ ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად იქმნება. მასზე ხომ არსებითს გავლენას ვერ ახდენს ბუნებრივი პირობები და დროის ფაქტორი, სამრეწველო პროდუქციის წარმოება შესაძლებელია წლის ყველა დროს და მშენ-ნაყლება ყოველ გეოგრაფიულ ვარემოში, რის გამოც ადამიანს შეუძლია აქტიური ზემოქმედება მოახდინოს აზოორგანულ ბუნებაზე და მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა.

აზოორგანული ბუნების შეცნობისა და გამოყენების შესაძლებლობებს ამ თუ იმ გეოგრაფიულ ვარემოში არ აქვს სპეციფიური თავისებურებები. ამიტომ, შესაძლებელია, ადამიანმა იგი ერთნაირად გამოიყენოს ყოველ გეოგრაფიულ ვარემოში.

ენიდან ბუნებრივი ვარემოს დამპირკოლებელი პირობები და დროის ფაქტორი სამრეწველო პროდუქციის წარმოების დროს არსებითს გავლენას ვერ ახდენს ადამიანთა შრომითს საქმიანობაზე, საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა პირობა შრომის ორგანიზაციის მაღალი დონისათვის. ეს კი იმის შესაძლებლობას შექმნის, რომ ადამიანმა აქტიური ზემოქმედება მოახდინოს აზოორგანულ ბუნებაზე, სულ უფრო მეტად შეიცნოს სამრეწველო პროდუქციის რაოდენობის ზრდის, ხარისხის გაუმჯობესების და ნომენკლატურის გაფართოების შესაძლებლობები.

სამრეწველო პროდუქციის შექმნისათვის საჭირო შრომის ხასიათი, რომელიც მრეწველობის ცალკეულ დარგებში ძირითადად ერთტიპურია, საზოგადოებას დიდ შესაძლებლობას აძლევს ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისათვის დაადენოს შრომისა და ანაზღაურების ერთნაირი ფორმის, შექმნას გარანტირებული საფუძველი სამრეწველო პროდუქციის იმ მოცულობით წარმოებისათვის, რამდენიც საზოგადოებას სჭირდება. ყოველივე ეს კი იმის საფუძველია, რომ ერთგვაროვან სამრეწველო შრომაში დასაქმებულ ადამიანებს შრომისა და ყოფაცხოვრების თანაბარი შესაძლებლობა უქონდეთ.

როგორც დავინახეთ, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს სრულიად განსხვავებულ პირობებში უხდებათ შრომითი საქმიანობა. მრეწველობაში დასაქმებული ადამიანი მბრძანებელ როლს ასრულებს აზოორგანულ ბუნებაზე ზემოქმედების პროცესში, აქტიურად შეიცნობს და თავისი ინტერესების შესაბამისად გარდაქმნის ბუნებას, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ

ადამიანის შრომითს საქმიანობაზე ვერ კიდევ დიდ გავლენას ახდენს ბუნების განწყობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად შევნიშნავთ იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებული ადამიანი, ეწევა რა სასოფლო-სამეურნეო შრომას, თავისი შრომითი ხასიათით, თავისებრივად განსხვავდება სამრეწველო შრომაში ჩაბმულ ადამიანისაგან.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობაში დასაქმებული ადამიანთა შრომა ერთგვაროვანია.

როცა ელემენტარულ კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულ ადამიანთა სოციალური მდგომარეობის საკითხზე, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ კატეგორიის ადამიანთა ყოფაცხოვრების წესის გარკვევას. როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში დასაქმებული ადამიანები სოფლად ცხოვრობენ და ყოფაცხოვრების ერთგვაროვანი წესი აქვთ, რაც იმით გამოიხატება რომ, ისე როგორც კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშასაც აქვს საქარმიადმო ნაყვეთი — დამატებითი შემოსავლის წყარო, ჰყავს ბირთუთვი, ფრინველი და სხვ., აქვს ცალკე საკუთარი სახლი (საოჯახო საკიროებისათვის აუცილებელი ნაგებობებით), ყოველი ოჯახი ძირითადად თვითონ უწყებს თავისთავს ინდივიდუალურ საყოფაცხოვრებო ნომსახურებას.

ამიტომ საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებული ადამიანი, თავისი ყოფაცხოვრების წესით, არსებითად განსხვავდება ქალაქად მცხოვრები, სამრეწველო შრომაში დასაქმებული ადამიანისაგან — მუშისაგან, რომელსაც არა აქვს საკარმიადმო ნაყვეთი — დამატებითი შემოსავლის წყარო, არა ჰყავს პროდუქტიული პირუტყვი, ძირითადად ცხოვრობს სახელმწიფო ბინაში და მაქსიმალურად იყენებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საზოგადოებრივ ფორმებს.

ბუნებრივია, აქედან გამომდინარეობს განიზომიერი დასკვნა, რომ სოფლად მცხოვრები საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებული ადამიანის ყოფაცხოვრების წესი განსხვავდება ქალაქად, სამრეწველო შრომაში დასაქმებული მუშის ყოფაცხოვრების წესისაგან და იგი სავსებით იდენტურია ყოფაცხოვრების იმ წესისა, რომელიც აქვს კოლმეურნე გლეხს.

ერთადერთი ფაქტორი, რომელიც საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანს წარმოვადგენს სამრეწველო შრომის ადამიანის — მუშის იდენტურად, ვახლავთ საკუთრების ერთნაირი ფორმა — საერთო სახალხო საკუთრება. მართალია, საკუთრების ფორმას ვაღაშწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების სოციალური ნიშნის მიხედვით დაყოფის საქმეში, მაგრამ სათანადო ანალიზს მოითხოვს ის,

თუ განვითარების რა ეტაპი გავლელ საკოლმეურნეო-კოოპერაციულმა საკუთრებამ საერთო-სახალხო საკუთრებასთან დაახლოების გზაზე. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხომ არ იქნა დამღწეული არსებითი ხასიათის განსხვავებები.

ცხადია, საკოლმეურნეო-კოოპერაციულმა საკუთრებამ თავის განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპები განვლო და არსებითი ხასიათის თვისებრივი ცვლილებანი განიცადა. თუ რა-ინ წლებამდე საკოლმეურნეო ფორმაში დასაქმებული ადამიანის შრომის შედეგების ექვევალენტი შრომადღე იყო და კოლმეურნის შრომის ანაზღაურება ძირითადად ნატურალური ანაზღაურების მიხედვით ხდებოდა, ახლა საკოლმეურნეო ფორმაში, ისე როგორც საბჭოთა მეურნეობაში, დასაქმებული ადამიანის შრომითი მონაწილეობის ექვევალენტი კაცდღე და შრომის ანაზღაურებაში გაბატონებული ადგილი გარანტირებულმა ფულადმა ანაზღაურებამ დაიკავა, ე. ი. როგორც საბჭოთა მეურნეობაში, ისე კოლმეურნეობაში დასაქმებული ადამიანი შრომის საფასურს იღებს ხელფასის სახით — ფულად, მის მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით.

აღნიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ერთიანმა სისტემამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს და კოლმეურნეობათა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. ჭკრთვნად გაფართოვდა მათ შორის სასაქონლო ურთიერთობის სფერო. ამ პროცესის, რომელსაც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგი, არსებითი ხასიათის თვისებრივი ცვლილებები მოჰყვა საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებასთან დამოკიდებულების საქმეში.

თუ ადრე კოლმეურნე გლეხი, საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებული ადამიანისაგან განსხვავებით, მოხეტეულობის ან ავადმყოფობის შემთხვევაში გარანტირებული არ იყო სოციალური უზრუნველყოფით — (პენსიით და სხვ.), ახლა ის სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფის ყველა იმ ფორმით, რომელიც მოქმედებს საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებსათვის.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას. მან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მტკიცე გარანტია შეუქმნა კოლმეურნეობებს. ახლა, საბჭოთა მეურნეობის მსგავსად, კოლმეურნეობათა განვითარებაშია საკუთარ სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. კოლმეურნეობები სულ უფრო მეტად იღებენ მინერალურ

სასუქებს და ქიმიკატებს, უოველწლიურად იზრდება სახელმწიფო კაპიტალდამანდებათა თანხები საერთოდ სოფელში. მეურნეობაში. ვრძელვადიანი და მოკლევადიანი ინვესტიციების გარანტია, რომელიც სახელმწიფომ კოლმეურნეობებს შეუქმნა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლმეურნეობების სამეურნეო განმტკიცების საქმეში. საკოლმეურნეობათა შრომის სარწარმოთა და კოლმეურნეობათა ბაზაზე საბჭოთა მეურნეობების შექმნა საფუძველი გახდა იმისა, რომ თანამედროვე სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელში ცხოვრობს და დასაქმებულია სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში.

ერთი მხრივ, საკოლმეურნეო საკუთრების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა სახელმწიფოს აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის საფუძველია საერთო-სახალხო საკუთრება, ძირეული თვისებრივი ცვლილებები მოჰყვა საკოლმეურნეო-კოოპერაციულ და საერთო-სახალხო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების საქმეში. საერთო-სახალხო საკუთრება, საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, უფრო მკაფიოდ წარმოგვიღებდა მთელი საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მარგველობებელ ფორმად, რომელიც როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში, გახდა შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფისა და ყოფაცხოვრების ერთგვაროვანი ფორმების დამკვიდრების საფუძველი.

ზემოთ აღნიშნული არგუმენტები ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ ის ფაქტორები, რომლებიც ადრე საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულ ადამიანებს სოციალურად განასხვავებდა კოლმეურნეობებში დასაქმებული ადამიანისაგან, საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ისეთი აღარ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებული ადამიანები სოციალურად სხვადასხვა კლასს მიეკუთვნოთ, ამიტომ სოფლად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ადამიანები (ეს საბჭოთა მეურნეობა იქნება თუ კოლმეურნეობა), რომლებიც ერთგვაროვან შრომას ეწევიან და ერთტიპური ყოფაცხოვრების წესი აქვთ, ჰქვნიან ერთგვაროვან სოციალურ სტატუსტრას, რომელიც განსხვავდება ქალაქად სამრეწველო შრომაში დასაქმებულ ადამიანთა შრომის ხასიათისა და ყოფაცხოვრების წესისაგან. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანთა ორ სოციალურ ერთობად — მუშად და გლეხად გაყოფის კრიტერიუმი — საკუთრების ფორმა ან დანათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას. ამ განსხვავების კრიტერიუმად წარმოგვიდგება ის განსხვავება, რომელიც არსებობს სასოფლო-სამეურნეო შრომასა და სამრეწველო შრომას

შორის, აგრეთვე ყოფაცხოვრების წესში ქალაქსა და სოფელს შორის.

ზემოთ განხილული საკითხებიდან, ვფიქრობთ, საცხებიტო კანონზომიერად გამომდინარეობს ობიექტური დასკვნა, რომ აშკამად ზოფლად კოლმურტრენობების ზახზე შექმნულ საბჭოთა მურტრენობებში (მატრიალური წარმოების სფეროში) დასაქმებული ადამიანები სოციალურად მუფუნინან სოფლის მშრომლებს — ვლებოთ კლასს და არა ქალაქად სამრეწველო შრომაში დასაქმებულ ადამიანებს — მუშათა კლასს.

უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი აზრი ვაოიოქვა ინტელიგენციის სოციალური სტრუქტურის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც დასაქმებულია სახელმწიფო საწარმოებში, უნდა მივაკუფუნოთ მუშათა კლასს. მათი დასკვნა იქიდან გამომდინარეობს, რომ ამ კატეგორიის ინტელიგენტები ქმნიან მატრიალურ ღირებულებას. მაგრამ ვაბატონებულ შეხედულება კვლავ რჩება ის აზრი, რომ ინტელიგენციის ფენა საერთოდ მოიცავს საზოგადოების წევრთა იმ ნაწილს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება და ეწევა ვონებრივ მუშაობას.

საბჭოთა საზოგადოების ვანუფითარების ისტორია ნათლად ვვიჩვენებს, რომ ინტელიგენციის ფენაში მოქცეულ ადამიანთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ვაიდიდა და მომაგალიწო აქვს კოლსაალური ზრდის ტენდენციები; შორსო სპეარტუფლოში 1966 წლისათვის ინტელიგენციის ფენაში შემაგალი ადამიანების რაოდენობა, 1941 წელთან შედარებით, 4-ჯერ ვაიზარდა. 1966 წლისათვის საქარტუფლოს სახალხო მურტრენობაში დასაქმებული იყო 264400 საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. (აღნიშნული პირები ღიზიურ შრომას არ ეწევიან და შეადგენენ ინტელიგენციის ფენას).

ინტელიგენციის ფენა 1966 წლისათვის საქარტუფლოს სახალხო მურტრენობაში დასაქმებულ ყველა კატეგორიის ადამიანთა 20.1 პროცენტს იყო. ცხადია, თანამედროვე საზოგადოების საერთო მისწრაფება მიიღოს საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება, ეს ტენდენცია სავესებით ბუნებრივად და კანონზომიერად პროცესია. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებამ ნათლად ვვიჩვენა ისიც, რომ ვონებრივი მუშაობის სფეროში ადამიანთა დასაქმების მოთხოვნის მნიშვნელოვნად უსწრებს ამ სფეროში საშუალოდ საზოგადოების წევრთა მოზადების ტენდენცია.

საზოგადოების მიერ ამ პროცესის შეცნობა და თანამედროვე ცხოვრების შესაბამისად მისი კანონზომიერად წარმართვა იმის ვულისხმობს,

რომ საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უშუალოდ ჩაებან მატრიალური დოვლათის წარმოებაში სფეროში რეგორე მრეწველობაში, რეწველობის მურტრენობაში. ამით შესაძლებლობა შეიქმნება: დაეძლიოთ ის დისპროპორცია, რომელიც ვონებრივი და ფიზიური შრომის ადამიანთა თანავარდობაში შეიშიწევა.

თანამედროვე ცხოვრებაში ამ პრაქტიკის დაშვიღრება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების ეკონომიერი ცხოვრების მოთხოვნისგანათა შესაბამისად ადამიანთა დასაქმების ორგანიზაციის სრულყოფას, ხოლო, მეორე მხრივ, ნაყოფიერ ვავლენას მოახდენს მატრიალური დოვლათის მწარმოებელ ადამიანთა თვისებრივი მღვამართობის ვაუწყობესებაზე.

ბუნებრივია, საბჭოთა საზოგადოების ვანუფითარების კანონზომიერი პროცესი იმის საწინადარია, რომ სულ უფრო მეტად ვაიზარდება საზოგადოების იმ წევრთა რაოდენობა, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება ექნებათ. ამიტომ ამ კატეგორიის ადამიანთა მატრიალური წარმოების სფეროში დასაქმება საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნისგანათა შედეგია. ცხადია, ეს ადამიანები, თუმცა ვანათლება აქვთ, შრომითი საქმიანობის ხასიათის მიხედვით სამრეწველო თუ სასოფლო-სამურტრენო წარმოების მუშებად წარმოგვიღვებინ.

აქიდან გამომდინარე, საბჭოთა საზოგადოების ვანუფითარების თანამედროვე ეტაპზე საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება ადარ გვევლინება კრიტერიუმად ვანათლების მქონე ყველა ადამიანის ინტელიგენციის ფენაში მოქცევისათვის. აშკამად ამ სფეროში მოქცეულ ადამიანთა სოციალური ნიშნის მიხედვით დაუფიფის კრიტერიუმად წარმოგვიღვება თვისებრივად ერთგვაროვანი შრომის ხასიათი და ყოფაცხოვრების წესი.

რაც შეეხება დღევანდელ ინტელიგენციას, ეს სოციალური ფენა მოიცავს მთელი საბჭოთა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება და დასაქმებულია ვონებრივი მუშაობის სფეროში.

ჩვენი აზრით, ინტელიგენციის ფენაში მოქცეული საზოგადოების წევრთა შრომა ხასიათით ერთგვაროვანი არ არის; ვონებრივი მუშაობის სფეროში ადამიანთა შრომა ორგვარია. ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს ერთი ნაწილი შემოქმედებით შრომას ეწევა, ხოლო მეორე ნაწილი, თუმცა ვონებრივად მუშაობს, არ ეწევა ასეთ შრომას.

ცხადია, შემოქმედებით შრომა არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ვონებრივი შრომისგან. ამიტომ სავესებით კანონზომიერად უნდა იქნას მიწნეული ის, რომ თანამედროვე ინტე-

ლიგაციის შემადგენლობაში გავრთიანებული ადამიანები თავიანთი შრომითი საქმიანობის მიხედვით გაიყოს ორ ჯგუფად — შემოქმედებითი შრომისა და არაშემოქმედებითი შრომის ადამიანებად.

პირველ ჯგუფს, ე. ი. შემოქმედებითი შრომის ადამიანებს, ჩვენი აზრით, ეკუთვნიან საზოგადოების ის წევრები, რომლებიც ინტელექტუალურ შრომის ეწევიან, აქტიურ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების ბაზისის განვითარებაზე. ამ ჯგუფის ადამიანთა შრომა, ერთგვაროვანი საზოგადოების პირობებშიც, განსხვავებული იქნება საზოგადოების სხვა წევრთა შრომისაგან, რადგან ერთგვაროვანი საზოგადოების ყველა წევრი ვერ შესძლებს ვასწიოს ინტელექტუალური შრომა — იყოს მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, ლიტერატორი და ხელოვანი.

რაც შეეხება დღევანდელი ინტელიგენციის ფენაში შემავალი მეორე ჯგუფის ადამიანებს, მართალია, ისინი გონებრივ შრომას ეწევიან, მაგრამ მათი შრომითი საქმიანობა საბაზო მე-

ურნეობისა თუ კულტურული მშენებლობის ცალკეულ ებნებზე განისაზღვრება. ამ ლონისძიებათა სისტემის შესრულებით, რომელიც სანქციონირებულია საზოგადოების — სახელმწიფოს მიერ, ცხადია, თანამედროვე ეტაპზე შემოქმედებითი და არაშემოქმედებითი შრომის ადამიანების ერთ სოციალურ ფენაში მოქცევა აღარ შეესატყვისება ობიექტურად არსებულ ვითარებას. ამიტომ ინტელექტუალური შრომის ადამიანები, რომლებიც თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, უნდა გამოიყონ ცალკე სოციალურ სტრუქტურად — ინტელიგენციის ფენად.

თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარების საკითხების კვლევა, რაც ჩვენს ქვეყანაში ინტენსიურად წარმოებს, მიზნად იმას ისახავს, რომ ამ საკითხით დაინტერესებულმა მკვლევარებმა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და წვლილი შეიტანონ ამ პრობლემის მეცნიერული დამუშავების საქმეში.



იოსებ გრიშაშვილის ბიოგრაფიიდან

პორტეობა არ მიუყვარს,
უველგან პირში მოქმელი ვარ,
გვარად მამულიაშვილი,
სწორედ „ხარფუხელი“ ვარ!

ი. გრიშაშვილი.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში პორტეტის არქივზე მუშაობისას წაეაწყდით ერთ საყურადღებო წერილს, რომელიც ქართულ მწერალ ქალს ლილია მეგრელიძეს ეკუთვნის. წერილი ეხება პორტეტის პაპის ვინაობას; დათარიღებულია 1956 წლის 6 მაისით და მისი ადრესატი ი. გრიშაშვილია. ლილია მეგრელიძის ნამდვილი გვარი მამულიაშვილი ყოფილა და ამიტომაც იგი დაინტერესებულა ი. გრიშაშვილის ვინაობით. ეთავიანობთ მეთხველს ამ წერილს ოდნე შემცირებელი სახით: „მე, როგორც ერთ-ერთი პატივისმცემელი თქვენი პორტეტის ნიჭის, არაერთხელ მიღიქრია თქვენი ვინაობის შესახებ. გამომიკითხავს კიდევ ამხანაგებისათვის, მაგრამ ყოველთვის ფანტასტიკურ ბურუსით იყო ჩემთვის მოცული თქვენი ვინაობა. ახლახან წავიკითხე თქვენი ავტობიოგრაფია. ვაივო, მამულიაშვილი ყოფილხართ. ვამიხარდა. მე მიყვარს ჩემი გვარი ისე, როგორც ჩემი ერი...“

თქვენ ამბობთ, რომ გურიიდან გამოქცეული დათია მამულიაშვილი იყო თქვენი მკვიდრი ბაბუა.

მამაჩემიდან არაერთხელ ვამიგონია, რომ დათია იყო ჩვენი ვანაყოფი. მამაჩემი ასე ახანიაოებდა დათია მამულიაშვილის დეკარგვის ამბავს, ჩემს უფროს ძმებს ეტყოდა: „შვილებო, ნუ გამაჩაერებთ, თორემ დათია მამულიაშვილივით გავალ სახლიდან და დავიკარგებიო“. მამაჩემის ეს სიტყვა ჩემს ზრდასთან ერთად გრძელდებოდა.

ერთხელ ვკითხე:

— მამა, ვინ იყო დათია მამულიაშვილი?
— დათია მამულიაშვილი იყო ჩემი მოგვარე. ისეთი ვაჯაკი, რომ მაღლი იყო მისი შეხედვა, მის ვაჯაკურ სილამაზეს ჩვენს სოფელში ვერაფერს დაუდგებოდა წინ (მამაჩემი თვითონ პატარა იყო მაშინ მისივე თქმით). ერთ დღიას გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერც კოცხალი უპოვნიათ და ვერც მკვდარი.

— ნეტა რატომ დაიკარგა?

— ამბობდნენ: დათია აზნაური იყო და აღწერის დროს გლეხად დატოვეს.

მე ისევე ვაკვირვებით ვკითხე:

— თუ ჩვენი განაყოფი იყო, რატომ დატოვეს გლეხად?

— იმიტომ, რომ დათიას არ აღმოაჩნდა იმდენი მამული, რამდენიც საჭირო იყო აზნაურის წოდებისათვის. დათია მამულიაშვილმა გლეხობა იუკადრისა და დაიკარგა.

ასე მაქვს მამაჩემიდან ვინაგონი. ჩემს მახსოვრობაში ჩემი გვარი, რომელიც აზნაურის სახელს ატარებდა, სამი ოჯახი ვიყავით ოზურგეთის ქვეყნის პატარა გურიანთაში და კახურაში. ეს სოფლები ზედიზედ აბისს, როგორც ქალაქის უბნები. ამ სოფლებში იყვნენ მამულიაშვილები. იმათი სიგელი იყო „გოგონა“.

ჩვენი მოგვარეებიდან სრულიად აღარაფერს დარჩა. ოზურგეთის ზევით დედაბუნში ცხოვრობდნენ კიდევ ორიოდე ოჯახი მამულიაშვილები აზნაურები. არ ვიცი იმათგან დარჩა ვინმე თუ

არა. შემოქმედის მამულაიშვილების შესახებ არაფერი არ ვიცი.

მე მაინც მაკვირებს ეს ამბავი: რატომ მამულაიშვილებმა და ბიძებმა დაწვრილებით არ იცოდნენ მაილან თავიანთი ვინაობის შესახებ?

ასე რომ დათია მამულაიშვილის პიროვნების აღდგენა გურიაში აღარ შეიძლება, ვინაიდან იმ ამბის მახსოვარი აღარაინდ დარჩა ჩვენი გვარადან...

**ლიდია მხვამელიძე,
(ლიუდმილა მამულაიშვილი)**

6/VI-1956 წ.

წერილი მოთავსებულია ღია მწვანე კონვერტში და ლიდია მეგრელიძის ხელით აწერია: „პატ. ი. გრიშაშვილს“, კონვერტის შარკებენაკუთხეში ი. გრიშაშვილის ხელით არის წერილად მიწაწერილი, „ჩემი ავტობიოგრაფიისათვის“. ქვედა კიდეზე პოეტისაკვე ხელით წითელ: ფანქრით, მსხვილ ასოებით წერია „მიმჭრალისაგან“ („მიმჭრალი“ ლ. მეგრელიძის ფსევდონიმი. ბ. ა.).

როგორც ვხედავთ, ი. გრიშაშვილი ვასცნობია ამ წერილის შინაარსს და თავისი ავტობიოგრაფიის მასალად შეუნახავს. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ პოეტი წერილში მოტანილ ამბავს მისი პაპის დათია მამულაიშვილის გურიიდან წარმოშობის დამადასტურებელ საბუთად თვლიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მიაწერდა კონვერტს — „ჩემი ავტობიოგრაფიისათვის“. ყოველივე ამის გამო, ჩვენც თავს უფლებას ვაძლევთ საბუთად მივიღოთ იგი და გვაანალიზოთ ი. გრიშაშვილის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ მასალებთან მიმართებაში.

ი. გრიშაშვილი ჭარ კიდეც მეოცე საუკუნის 10-იან წლებში, როცა მისი ვანაობა და წარმოშობა სადავოდ ვახადეს, გამოვიდა ვრცელი წერილით — „მე“. ამ წერილში პოეტმა საკმარისად განაცხადა: „...სიიდან ვაგრეტულა, რომ მე გრიშაშვილი სომეხი ვარ? დიდება შენდა დამართო!...“

მე დავიბადე ქ. ტფილისში, მონათლელი ვარ „დამოცნის“ (ან ხარფუხის) წმინდა გიორგის ეკლესიაში (ბერძენების ეკლესიად წოდებულში), მამამეტი ქართული იყო და დედაჩემი კი სომეხი, სოლოლაკელი.

ჩემი გვარი მამულაიშვილი, ზოგიერთი საბუთების ქაღალდებში კი არუსელის დაბოლოებით მამულაიშვილად იწერებოდა.

იქნებ მოთხრობ: საბუთი, საბუთი გვიჩვენო!... ინებეთ, ბატონო, თი ჩემუ ჩაბუნდუყუ ჯუ ქემო ციხე-სიმაგრე: **შენჯიღიუთუნა** ყველა ეს ცნობა ინახება სინოდალური კანტონის სალაროში 28315 ნომრით...

ქართული, სომეხი თუ თურქი, ისეთი მეგობრული განწყობილებით იყვნენ აღსავსენი, რომ ეს შეუღლება-შეკავშირება სწორედ ამ მეგობრობით აიხსნება (პოეტს აქ მხედველობაში აქვს ღელ-შამის შეუღლება — ბ. ა.) მაგალითად, ჩემი პირველი მასწავლებელი — ქართული ენისა დედაჩემი იყო, რომელსაც კათოლიკე-ფრანგებიდან შეეძინა ქართული წერა-კითხვა.) დასასრულ ვიტყვი, რომ მე სათაილოდ არ მიმანია სომეხობა, და არც ის მივიჩნის, რომ საქართველოს შვილები, გრიგორიანის სარწმუნოებისა — ქართულად სწერენ და ქართულ ნინადავზე მოღვაწეობენ.

მაგრამ... მაგრამიც ის არის, რომ მე დღესაც ვერ შევრგებებივარ ამ აზრს: ვინ მომაკერა ეს სომეხობა, ვინ ვადამნათლა ქართველი გრიგორიანად და ვინ შეიყვანა ქართულ-სომეხური გაზეთები შეცდომაში!!!

სიიდან სადაო? აი, დიდება, შენდა ღმერთო! სხვა რაღა დამრჩენია, ერთხელ და სამუდამოდ გამოვაცხადო „აუ-ენათა“ საყურადღებოდ, მე მართლმადიდებელი ქართველი ვარ და ჩემს ბურთაობას ქართულ გაზეთებიდან სომეხურში და სომეხურიდან კიდეც ქართულში — იქნებ ეხლა მაინც დაანებონ თავი?..2

ი. გრიშაშვილის ვინაობისადმი ამგვარი დამოკიდებულებამ აღაშფოთა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია და თავის ერთ-ერთ წერილში საგულდაგულოდ შეეხო ამ საკითხს: „...რაც შეეხება ი. გრიშაშვილის „სომეხობას“ ეს... აზრი მხოლოდ ისეთ ადამიანს მოუვა თავში, რომელსაც გვარის მეტი ქართული არაფერი აქვს. ქართველი ერი ისურვებს რომ გრიშაშვილისთანა სომეხი ბევრი გაჩნდეს საქართველოს ტერიტორიაზე, თუ გრიშაშვილს რომელიმე ხაზით სომეხის სისხლი ურევია და მაინც ასეთი ცარკი ქართველია. რესპექტი მას...“3 ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, იმდენად სწორ პოზიციაზე დგას ამ საკითხში ჩვენი სახელოვანი მწერალი.

ამ მიზრე ფრიად საინტერესოა ი. გრიშაშვილის მიერ გამოქვეყნებული ავტობიოგრაფიები, რომელთა ხელნაწერი ორიგინალები ინახება პოეტის არქივში (ავტობიოგრაფების განყოფილება). ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „მამა ქართველი მყავდა. პაპაჩემი (მამის მამა) გურული გლეხი იყო. ბატონი გამოპპარვოდა და

1 იკლუისსებება ქართველი კათოლიკეები. (ბ. ა.)
2 ვაზ. „სახალხო ფრტყლი“, 1916 წ. № 741.
3 ვაზ. „ლომისი“, 1922, № 1.

თბილისში ორთაქალაში მებაღედ დამდგარიყო. ოქახში შემონახულ ქაღალდებში ვიპოვე ერთი დოკუმენტი, სადაც პაპინების სახელიც არის აღნიშნული „დათია“. ფოტოალტურ დოკუმენტებში მამაჩემი ასე იწოდებოდა (Григол Давидович), წერს ი. გრიშაშვილი.

მოგვიანებით, 1959 წელს კი მოსკოვის გამომცემლობის დაკვეთით რუსულად დაწერილ ვრცელ ავტობიოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა წიგნში «Советские писатели», Автобиографии в двух томах, т. I, Москва, 1959 г., стр. 355—363, კეთილბედით: «Родился 23 апреля 1889 года в Тбилиси в семье ремесленника. Дед мой, Давид (Давид) Мамулашвили, по происхождению крестьянин из Гурии (область в Западной Грузии), провинившись перед князем-помещиком, испутовавшись наказания, будучи еще молодым человеком, бежал из родной деревни. В поисках убежища и работы, претерпев всевозможные невзгоды, он поселился в Тбилиси и стал садовником в Ортачальских садах. Отец мой, Григорий, был каменщиком, занимался этим ремеслом долгие годы, но, повредив себе руку, вынужден был оставить привычное дело, открыть винный подвальчик и между прочим заняться кулинарией. В его харчевне готовились изысканные восточные блюда со всевозможными специями и пряностями. Особенным успехом пользовалось у посетителей блюдо, приготовленное из хряца бычьего и коровьего хвостов. Если к этому добавить и то, что отец, по природе своей человек веселого нрава, был общительным и гостеприимным хозяином, будет понятно, почему его подвальчик привлекал посетителей не только из ближайших мест, но и из более отдаленных районов города. У Григория Мамулашвили можно было встретить людей всякой профессии, всякого нрава и характера...»

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია პოეტის ლექსების სომხურ თარგმანთა კრებულთა, რომელიც გამოვიდა კრებვში 1941 წელს. პოეტის გულდასმით გასცნობია ამ კრებულს, რაზეც მეტყველებს ფანქრით ჩასწორებული ზოგიერთი კორექტურული შეცდომა და კრებულში შესული სომხურად თარგმნილი ლექსთა სათაურების ქართული თარგმანები. ეს შენიშვნები პოეტის ხელით არ არის გაკეთებული, რადგან ი. გრიშაშვილმა სომხური წერა-კითხვა არ იცოდა. პოეტს თავისი ლექსების სომხური თარგმანის გაკვეთვაში დახმარებია პირიქონმა, რომელსაც სეოდნია ქართული და სომხურად ენები და ეს ქართული მინაწერებიც მას ეუ-

თენის, კრებულს წინ ერთვის სომეხი ლიტერატორის ს. არუთინიანის წერილი, სადაც ივტორი სომეხ მკითხველს აცნობს: „ჩემი გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ თველი პოეტის ბიოგრაფია აქაც ძირითადად სწორადაა წარმოდგენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უზუსტობას, რომელიც ჩასწორებულია წითელი ფანქრით. მაგალითად, პოეტის გვარი ამჟღავნებულია დამახინჯებულია — მამლშვილად. მოგვაქვს წერილის დასაწყისის ქართული თარგმანი (თარგმანი ჩვენია — ბ. ა.): „ცნობილი ქართველი პოეტი ი. გრიშაშვილი დაიბადა 1889 წელს, თბილისში, ხარღუხის უბანში მცხოვრებ ღარიბ ბე-ლანის ოჯახში. პაპა ყმა იყო. მამა ჩამოვიდა გურიიდან, დასავლეთ საქართველოდან, მისი გვარია მამულაშვილი, სახელი გრიშა, საიდანაც შემდეგ პოეტმა აიღო ლიტერატურული სახელი გრიშაშვილი. დედა თბილისელი სომეხი იყო, სოლოლაკიდან, ჰოვანესიანი“. აქ გვხვდება მიერე უზუსტობაც: გურიიდან ი. გრიშაშვილის მამა კი არა, პაპა დათია მამულაშვილი გამოიქცა, ხოლო პოეტის მამა გრიშა თბილისში დაიბადა.

ი. გრიშაშვილის შესახებ ვრცელ ცნობებს გვაწვდის პოეტის ბიოგრაფი, მწერალი ვლ. ჯიბუტი. ეს ცნობები აბსოლუტურად თანხვედბა ი. გრიშაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ მასალებს, რის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მოტანილი მასალები ერთხმად ცხადვოფენ პოეტის წინაპრის გურიიდან წარმომავლობას. თავისი პაპის ცხოვრების ეს მომენტი ი. გრიშაშვილის არასდროს დავიწყებია და გულში სათუთად ინახავდა მშობლიური გურიის სიყვარულს. ჭერ კიდევ ახალგაზრდობაში მოუნახულებია გურია, მაგრამ ხანდაზმულობაში, ახლაც უკვე საქართველოს სახალხო პოეტსა და აკადემიკოსს მოსძალბებია თავის წინაპართა ნატერფალის სიყვარული და 1955 წელს კვლავ სწევია გურიას. პოეტის სიხარულს აორკეცებდა ისიც, რომ მას მიუღია მხარაძის რაიონის ხელმძღვანელობის, კერძოდ იმ დროს პარტიის რაიკომის პირველი მდივნის შოთა ჭანუყვასის მიწვევა (ამჟამად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდიანი). პოეტის სტუმრობას საყოველთაო სიხარული გამოუწვევია მხარაძის რაიონის მშრომლებში და მასობრივი საზეიმო შეხვედრებიც მოუწევიათ. აი როგორ აუწყებდა მშრომლებს რაიონის ვაზეთის სპეციალური ნომერი პოეტის ჩასვლას: „ღღეს ჩვენს რაიონში სტუმრად ჩამოდის პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვი-

1 იხ. „ქართველი საბავშვო მწერლები“, თბილისი, 1954, გვ. 3-4.

ლი.¹ ამ ნომერში მოთავსებულია ე. სალუქვაძის წერილი, რომელშიც ავტორი მკითხველებს ვერცლად მოუთხრობს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. აქვეა პოეტისადმი მიძღვნილი მოსწავლეებისა და მშრომელების ლექსები. სტუმარს დაუთვალე რეგია მახარაძის რაიონის სოფლები, წარმოება-დაწესებულებანი, ყოფილ თავისი პაპის დათია მამულიაშვილის სოფელში, შემოქმედში, სადაც შეხვედრია თავის შორეულ ნათესავს ვანო მამულიაშვილს. შემოქმედის საშუალ სკოლაში მოუწყვიათ შეხვედრა. ამ მოგზაურობაში მას თანხლებია ვაზ. „სახალხო განათლების“ მაშინდელი რედაქტორი ვრიგოლ საჭაია, რომლის თქმით, პოეტი უადრესად კმაყოფილი დარჩენილა თავისი ახლობლების ნახვით.

სხვათა შორის, რაიონის ვაზეთს ე. გრიშაშვილის გურიაში სტუმრობის შესახებ ცნობა კვლავ გამოქვეყნდება და მოუთავსებია მისი მოზრდილი სურათი. პოეტი ბავშვებში დგას და ლექსს კითხულობს, იქვეა ინფორმაცია: „ამას წინათ ჩვენს რაიონში სტუმრად ჩამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი. საყვარელ პოეტს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს რაიონის სკოლის მოსწავლეებმა და მშრომელებმა“².

ნ. გრიშაშვილის გურიაში მოგზაურობასა და იქ მიღებული შთაბეჭდილებებზე ვერცლად მოგიუთხრობს მისი ბიოგრაფი ვლ. ჯიბუტი: „პოეტი გურიაიდან სულ რამდენიმე დღის წამოსული იყო, როცა ბინაზე ვესტუმრე — იგონებს ვლ. ჯიბუტი, — გაოგავით გურიაში მისი მოგზაურობის ამბავი. მან დაწვრილებით მიაშრო, როგორი პატივისცემითა და სიყვარულით შეხვდნენ მახარაძისა და შემოქმედში, ძნელია იმ სიხარულის და კმაყოფილების ვადმოცემა, რაც თანახოფლებთან შეხვედრამ განაღდენია. ამ შეხვედრით უადრესად კმაყოფილმა მგოსანმა საუბრისას მოთხრა: „თუ ხელმოკრედ გამოსცემ ჩემზე დაწერილ ნარკვევს... რომელშიც აღწერილი გაქვს პაპაჩემის გურიაიდან გამოქვეყნების ამბავი და ჩემი ცხოვრების ზოგი ეპიზოდი, ძალიან ვთხოვ, ჩაბიდე ჩემს სოფელში და ინახულო ჩემი შორეული ნათესავი ვანო მამულიაშვილი, რომელმაც საოცრად მომხიბლა თავისი სიღარბაისლით, კეთილი გულით და შესანიშნავი მასპინძლობით. ჩემი შთაბეჭდილებები ნარკვევს უთუოდ გაამდიდრებს და იმ ხალხის წინაშეც პირნათელი იქნებით.“

საყვარელ პოეტს, სამწუხაროდ, მის სიცოცხლეში ვერ შევხსრულე სურვილი. ამას წინათ ჩავედი მახარაძეში, ვინახულე ვანო მა-

¹ ვაზ. „ლენინის დროშა“, 1955, № 34 (20 მარტი).

² ვაზ. „ლენინის დროშა“, 1955, № 38 (30 მარტი).

მულიაშვილი, ეს მართლაც სახენითელი და სტუმართმოყვარე აღამაინა... პოეტისაგან ვიცოდი, რომ სკოლის დირექტორი ქეთევან კუბუჩავაძე მისი დიდი პატივისცემული იყო და მეც პირველად ის ვინახულე. ქეთევანმა განცდილი და მღელვარებით მომიხირო შემოქმედში ვრიშაშვილის სტუმრობის ამბავი...

მოსწავლეებმა იოსები საპატიო სტუმრად აირჩიეს. ბევრ ვინმეს შეხვედრისაგან ჩვენს სკოლაში, მაგრამ არა მგონია, იმდენი სიხარული ამოვიციტოს ბავშვების სახეზე, რამდენიც ამ დღეს. საოცრად ღელავდა დიდი პოეტიც. მის თვალებზე ცრემლებს ვხედავდით, იგი კონინდა ბავშვებს, გულში იყრავდა და მამობრივად ეალერსებოდა...

ვანო მამულიაშვილის სახლი შემოქმედის სკოლიდან სულ რამდენიმე მეტრით არის დაშორებული. როცა მის პირსაგან მივაღწქით მე და ჩემი მეგობრები — შემოქმედის საშუალ სკოლის მოსწავლეებმა აკაკი ბერძენიშვილი და ვივი გოლიაძე, ვანო ბივანზე იყო ვადმომდგარი და მოულოდნელი სტუმრები რომ დაგვინახა, მაშინვე ძირს ჩამოვიდა, ქიშკარი ვავილო და შინ მიგვიპატივა. ჩვენს სტუმრობის მიზეზი რომ ვაიგო, ვაუკვირდა კიდევ, რომ ამდენი წლის შემდეგ მას ეწვია კაცი, რომელიც დაინტერესებული იყო მასთან სოსოს სტუმრობის ამბით. საუბარში ვივავით ვართული, რომ დასახლისმა უცხად სუფრა ვაშალა და მივიღასთან მიგვიწვია. მასპინძელმა პირველი ქიქა სოსოს სხუენის აღსანიშნავად ასწია და თანაც თქვა: „მე კარვად ვიცოდი, რომ ჩემი მოგვარე ღეინოს არ სეამდა, მაგრამ იმ დღეს არ მოვერიდე, ჭურის თავზე კოპით სასახელი მამულიაშვილს ოჯახი დავლოცინე. სოსომ ვაიხსენა თავისი წინაპრები და თქვა: „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვანიციდი დღევანდელ დღეს, ამ ხნის კაცმა კინამ ვიტარიო“ — იოსები დიდად კმაყოფილი იყო, როცა სახლსკაცებთან იმყოფებოდა, მოიღვინა, ლექსებიც თქვა და ერთი წაიღვინა კიდევ.

ნ. გრიშაშვილი საოცრად მოუხიბლავს მშობლიურ სოფლის სილამაზეს და თანამემამულეებთან შეხვედრით უსახლეროდ კმაყოფილს გ. ტამაძის ლექსი „გურის მთებზე“ ვაუტყვენება და უთქვამს: „ახლა არ მიკვირს, თუ რატომ იყო ჩემი სიყრმის შეგობარი და დიდი პოეტი გურით ვესოდენ აღფრთოვანებულია“.

კიდევ ვინდა დაეიშოწმით ვლ. ჯიბუტი, რომელსაც თავის დროზე ჩაუწერია ი. გრიშაშვილის ნათქვამი საყუთარ თაზე: „როგორც ვამიგია, პაპაჩემი თურმე ღიციხი კაცი ყოფილა. ეს თვისება, ალბათ მისგან.

¹ ვლ. ჯიბუტი, „თანამედროვენი“, თბილისი, 1969, გვ. 76-78

მომდგამს. გულთან ყველაფერი ახლო მი-
მაქვს, გულგრილ კაცს ვერ ვიტან, ხანდახან
ისე უცხად აფეთქდები, რომ შერე შე თვით
ვრჩები გულნატკენი. ეს ნამდვილი გურული
ხასიათია"¹.

როგორც უხედავთ, ი. გრიშაშვილის ბიოგრაფიის სხვადასხვა ეპიზოდები თითქმის მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

დავუბრუნდეთ კვლავ ლიდა მეგრელიძის წერებს. ლიდა მეგრელიძე აღნიშნავს: დათია მამულაიშვილის პიროვნების აღდგენა გური-
აში აღარ შეიძლება, რადგან მისი თაობის ახ-
ლა აღარავინ არაა ცოცხალი. მართალია, დათია მამულაიშვილის თაობისა გურიაში აღარავინაა საგულგებელი, მაგრამ თვით ფაქტი დათიას გაქცევისა ხალხის შეხსენებას შემოუნახავს და გადმოცემა დღესაც არის დარჩენილი. პროფ. დ. ვაშაძის დამოუკიდებელი ცნობით, რომელიც 1955 წელს სოფელ შემოქმედში ყოფილა სტუმრად, მას შეხვედრია 90 წელს შიტანებული ადგილობრივი მკვიდრი ვლადიმერ საღარაძე. მოხუცს გადმოცემით სკოდნია და მოუყვლია სტუმრისათვის ი. გრიშაშვილის პაპის დათია მამულაიშვილის გაქცევის შესახებ. ამავე დროს უჩვენებია ის უბანი, სადაც ამჟამად პოეტის თანამოგვარები ცხოვრობენ.

ცხადია, ლიდა მეგრელიძის მამის ნაამბობი დათია მამულაიშვილის უგზო-უკვლად დაკარგვის შესახებ სწორად ასახავს პოეტის პაპის ცხოვრების აღნიშნულ მომენტს. მაგრამ ერთი კა — ლიდა მეგრელიძის წერილში მოტანილ ამბავს, თითქოს დათია მამულაიშვილს აღწერის დროს აზნაურობა არ დაუმტკიცეს, გლეხობა იუკადრისა და გაიქცაო, დაზუსტება სჭირდება.

მწერალი ქალის წერილში ანაქრონიზმს აქვს ადგილი. დათია მამულაიშვილი სულ ცოტა 17-20 წლის მაინც იქნებოდა, გურიიდან რომ გამოიქცა, რადგან პოეტის მამა გრიშა მამულაიშვილი 1834 წელს დაბადებულია თბილისში. თუ ამ ფაქტს მხედველობაში მივიღებთ და იმასაც, რომ გრიშა დათიას ვაჟობაში უფროსის მომდევნო იყო, აქედან გამომდინარე, უნდა ვევატავდეთ: ვერ კიდევ ოჯახ-მოუკიდებელი დათია მამულაიშვილი მე-19 საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს მაინც ჩამოვიდოდა თბილისში.

ამასთან ერთად, თუ გაეთვალისწინებთ ლიდას მამის ისმაილ მამულაიშვილის დაბადების თარიღსაც, 1849 წელს, რომელსაც ლიდა მეგრელიძის შემკვიდრებები ვარაუდობენ, მაშინ უნდა გამოიჩინოს ისიც, თითქოს ლიდას მამა მომსწრე ყოფილა დათიას გურიიდან გამოქცევისა. ლიდას მამა დაბადებუ-

ლიც არ ყოფილა იმ დროს. ცხადია, მას გადმოცემით სკოდნია ეს ამბავი უცხადესებთ მოსალოდნელია არასწორად გვეგულანდეს მტკიცებოდა იგი. მსგავსი ამბები ძველად სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში და ხშირად ვარიანტული ცვლილებებით გადადიოდა სოფლიდან სოფელში. ყოველივე წესით თქმულია და ნათელია, რომ დათიას აზნაურობის დაუმტკიცებლობის გამო გურიიდან გამოქცევის ამბავი პოეტის პაპის ცხოვრების აღნიშნული მომენტის მხოლოდ ერთ-ერთი სახეცვლილი ვარიანტია.

ლიდა მეგრელიძე წერილის დასასრულს გაკვირვებას გამოთქვამს: პოეტმა მამისაგან და ბიძებისაგან რატომ არ იცოდა თავისი ეთნობა-წარმომავლობაო, ამ ვაოცების საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილმა თავისი პაპის გურიიდან წარმომავლობა ძალიან კარგად იცოდა, რაზეც ნათლად მეტყველებს მისი ბიოგრაფიის განხილული მასალები.

ასეა თუ ისე, ფაქტი კი ერთია — ი. გრიშაშვილის პაპა დათია მამულაიშვილი დაახლოებით მე-19 საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს წამოსულა გურიიდან და დასახლებულა თბილისში, კერძოდ ორთაქალაში, სადაც შებადღედ დაუწყია მუშაობა. შეუქმნია ოჯახი და მალე ბავშვებიც გაჩენილან. პოეტის მამა გრიგოლი (გრიშა) მეორე შვილი ყოფილა. უახსრობის გამო ღარიბ მებაღეს შვილისთვის განათლება ვერ მიუცია და გრიშას კალატობა შეუსწავლია. აი, როგორ აღწერს ი. გრიშაშვილის მამის გარეგნობას და დოჯახებას პოეტის მონახულის მიხედვით მწერალი ელ. ჯიბუტი: „გრიშას ახოვანმა ტანმა და გარეგნულმა სილამაზემ ბევრ ქალს აუჭერა გული. მაგრამ დღიომში გათხოვილმა მისმა დამ ყველას იმედი გაუტრუა: სტუმრად მისულ მამს თავისი მუზონიელი ქალი, მამოხილულაშვილი გააცნო და მასზე დააქორწინა კიდევ. მამო მალე გარდაიცვალა და ქმარს ორი ბავშვი დაეტრუა: ერთი მათგანი (ბარბალე) ახლაც ცოცხალია. გრიგოლი (გრიშა) ქვრივად დიდხანს არ დარჩენილა. იგი ერთსაონო და კეთილ ქალს მოიღისელი მოქალაქის ასულს ელისაბედს მოუხიბლავს, რომელიც იოხოვა კიდევ“¹.

პოეტის მამას გრიგოს 70 წელი უცოცხლია და გარდაცვლილა 1904 წელს. ამ ცნობას მივაკვლიეთ ი. გრიშაშვილის არქივში, სადაც დაცულია მცირე ზომის ხელნაწერი ფურცელი. მასზე პოეტის ხელით აწერია: „ქრწანისის სასიფლაოზე ასეთი მარტივი წარწერა მამიჩემის საფლავის ქვაზე: „აჲ მღვბარე ვარ გრიშა დავითის ძე მამულაი, ხარ-

¹ ელ. ჯიბუტი „იოსებ გრიშაშვილი“, თბილისი, 1969, გვ. 3-4

¹ ელ. ჯიბუტი: „ქართველი საბავშვო მწერლები“, თბილისი, 1954, გვ. 3-4.

ფუხელი სირაჟი, 70 წლისა გარდაიცვალა 1904 წ. აპრილის 6-ს. ვთხოვთ შენდობას". ამ ეპიტაფიურ წარწერას ვაღმარწერის მარილი არ უხის. მხოლოდ ხელნაწერის თარგვნა კუთხრში პოეტის ხელითაა მიწერილი: „დაღამ ჩემმა დაწერინა“. ამგვამდ პოეტის მამის საფლავის ქვაზე წარწერის წაეთხების საშუალება აღარ არის, რადგან კრწანისის სასაფლაო უკვე გაქვამებულია და ბაღადაა ტყეული.

ეპიტაფიური წარწერის ნახვის შემდეგ გადაიწყვიტეთ მოგვეხებნა! ი. გრიშაშვილის მამის დაბადების მეტრიკული ჩანაწერი. ამ მიზნით შევისწავლეთ ორთაჰალის (კრწანისის) და მის ახლომხლო მდებარე XIX საუკუნის 30-იან წლებში მოქმედი ეკლესიების საბუთები. ამ უზნის ეკლესიების 30-იან წლებში მეტრიკული ჩანაწერები გვიანტერესებდა იმიტომ, რომ პოეტის მამა 1834 წელს დაბადებულია (1905—70—1834 წ.). შესაძლო გულისხმობით გავსინჯეთ ბერძნების წმინდა ნიკოლოზის და წმინდა ბარბარეს ეკლესიის დოკუმენტები, მაგრამ საგულგებელი ჩანაწერი არ აღმოჩნდა. ჩვენი ვარაუდით, უკვლავ მეტად ეს ჩანაწერები გვეკვლებოდა ბერძნების წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის არქივში, რადგან აუარ ვეცდებით. ამ ხანებში ორთაჰალაში ეს ერთადერთი მართლმადიდებლური ეკლესია იყო. ბუნებრივია, ღარიბი მებაღე შორს არ წაიყვანდა შვილს მისანათლავად და იქვე ახლო მდებარე ეკლესიაში მონათლავდა. მაგრამ სამწუხაროდ, ამ ეკლესიის მეტრიკული საბუთები 1835 წლიდანაა შემონახული. პოეტის მამა კი, ჩვენი გამოიანგარიშებით, 1834 წელს დაიბადა. ასე რომ გრიშა მამულაშვილის დაბადების ჩანაწერს ვერ შევკვლიეთ. არ არის შემონახული პოეტის მამის სურათიც კი. ი. გრიშაშვილის დისწულის ანა ციციშვილის ცნობით, პოეტს დიდხანს უძებნია მამის სურათი ნათესავებსა და ძველ თბილისელებში, მაგრამ ვერ უნახავს.

როგორც ვიცით, პირველი მუეღლის მამოზოლღამშვილის გარდაცვალების შემდეგ, გრიშა მამულაშვილი მეორედ დაქორწინდა. 1689 წლის 11 აპრილს (ძველი სტილით) შევიქინათ ვაფი, რომელსაც იოსები დაარქვეს. მომავალი პოეტი მოღნათლავს „დამოცნის“ ბერძნების წმინდა ნიკოლოზის (ზაზი ჩვენი-ბ. ა.) ეკლესიაში. თუმცა თვით ი. გრიშაშვილი წერილში — „მე“ წერდა, რომ მონათლული ვარ, წმინდა გიორგის ეკლესიაში ბერ-

ძნულად წოდებულში ი. ჩვენ ამარად ვეძებთ პოეტის მიერ დასახელებული ეკლესია და მისი საბუთები სასაქართველოს სასაბუნძულო ცენტრალურ საისტორიო არქივში. მამის დაბადების ვადაიწყვიტეთ აღიღალზევე გვენახა იგი. მართლაც, ხარფუხში კრწანისის მხრიდან არის საკმაოდ მოზრდილი ეკლესია (ამგვამდ გაქვამებული), რომელიც ამნებუღლია მე-19 საუკუნის 40-50 წლებში. ეკლესიის წინა ფასაღზე, შესასვლელი კარების მღღლა ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებული წარწერებიდან ვგებუღობთ, რომ ეს ეკლესია არის ბერძნების წმინდა ნიკოლოზის სახელობისა. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა — მუზეუმიდან ეკლესია მარჯვენა მხარეს მდებარეობდა და მოჩანს კიდევ. პოეტის ბიბლიოთეკა-მუზეუმიც დირექტორის ანა ციციშვილის ცნობით, რაც უშუალოდ ბიბისაგან აქვს გაგებუღლი — ი. გრიშაშვილი სწორედ ამ ეკლესიაში უოფიღლა მონათლული. აღმოჩნდა, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას არასწორად წმინდა გიორგის ეკლესიასაც ეძახდნენ, რაც პოეტის უნებლიე შეცდომის მიზეზი გახდა აღნიშნულ წერილში („მე“). გავარჯვეთ რა უოველივე ეს, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში გავეცანიოთ საქართველო-იგერეთის სინოდალური კანტორის მისაღობს. დაბადების მეტრიკული ჩანაწერები და საბუთები დაღაგებუღლია ეკლესიების მიხედვით. გადავათავალიერეთ თბილისის ბერძნების წმინდა ნიკოლოზის საეკლესიო ჩანაწერები და 1889 წლის წიგნში ენახეთ ი. გრიშაშვილის მეტრიკული ჩანაწერი — ფონდი-489, ამონაწერი-7, საქმე № 587, ფურცელი-9, შევარდ ვეფერი. საეკლესიო ჩანაწერები — რუსულადაა შესრულებული, რუსულადაა შევსებუღლი ასევე პოეტის მეტრიკული მონაცემებიც. მოგვაქვს პოეტის მეტრიკის ანექტურბა მონაცემების ქართული თარგმანი: დაბადებუღლი — 11 აპრილი, ნათლისღება — 4 ეფნისი, წოდებუღლი, სახელი, მამის სახელი და ვაგარი შშობებუღლია და რომლისა სარწმუნოებისა არიან: თბილისის მცხოვრები გლეხი გიორგი დავითის ძე მამულოვი მართლმადიდებლური აღმსარებლობისა და მისი კანონიერი მუეღლე ეკატერინე ისაყის ასული სოზუხერი-გრიგორიანული აღმსარებლობისა, საეკლესიო საიდუმლო ნათლისღება შეუსრულებია: დეკანოზს ზუმბუღლიძეს, დიაცვანი უოფიღლა ტამბატაძე. ფოტოპირი № 1). ამ საბუთის წაეთხებისთანავე თვალში მოგვეჭვდა ერთი უშუსუტობა. პოეტის შშობებუღლი აქ იწოდებუღლია „გიორგალ“ და „ეკატერინელ“. ი. გრიშაშვილის ავტობიოგრაფიიდან კი ვიცით, რომ მის შშობლებს: დედას ერტეა ლიზა (ელისაბედი), მამას

1 მასაღების შეგროვებამი ხელი შევიწუვეს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორმა ანა ციციშვილმა და საქ. სახელმწიფო ცენტრ. საისტორიო არქივის დირექტორმა ს. ლეკიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

სახელი		მამა		სახელი	წარმოშობა
სახელი	გვარი	სახელი	გვარი		
11	11	11	11	Иосиф	თბილისი

1. № 1623
1913.

თბილისის პროტოიერო

გრიშა (გრიგოლი). აქედან პოეტის ლიტერატურული გვარი გრიშაშვილი. ამ ფაქტმა დაგვიანტერესა და შევავსევა კიდევ მიკვლეული საბუთის სისწორეში. აღმართი ეპისკოპოსის მოწმებლად კვლევა-ძიება განვაგრძეთ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში. და ვნახეთ ერთი დოკუმენტი, რომელშიც ყოველგვარი ეპიკრიტიკა და ამ საკითხს ნათელი მოპოვდა. პოეტის არქივში (პირადი საბუთების საქაღალდეში) დაცულია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სახელზე რუსულად დაწერილი ი. გრიშაშვილის თხოვნა. მართალია, განცხადება ი. გრიშაშვილის ხელით არ არის დაწერილი, მაგრამ შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ პოეტს გეტუნის, ი. გრიშაშვილი სინოდალური კანტორას თხოვს — გაასწოროს მეტრიკულ ჩანაწერში დაშვებული შეცდომა, მისი მშობლების სახელები აქ არასწორადაა ჩაწერილი: ნაცვლად „გრიგოლი“-სა წერია „გიორგი“, „ელისაბედ“-ს მაგიერ კი „ეკატერინა“. შევავსევა ამ თხოვნის სრული ტექსტი:

В «Грузино-Имеретинскую Синодальную контору Тифлисского жителя Иосифа Григорьевича Мамулова
Прошение

Прошу Синодальную контору выдать мне свидетельство о рождении и крещении... метрику Тифлисской Греческой Николаевской церкви за 1889 год, стр. 8. При этом присовокупляю, что в записи о моем рождении и крещении отец

мой ошибочно назван по имени «Георгий», а мать моя по имени «Екатерина», тогда как настоящее имя отца моего — «Григорий», а матери моей — «Елисавета», это можно усмотреть из брачной записи моих родителей, значущуюся по метрической книге Тифлисской Греческой Николаевской церкви за 1886 год, и что действительно имя отца моего есть «Григорий». Это можно видеть из исповедальных росписей той же церкви на 1894 и 1895 годы, а равно из при сем представляемых: а) свидетельство о явке к исполнению воинской повинности и б) удостоверение выданного Протоиерем — Александром Зумбулидзе 8 марта 1911 года № 30, и потому прошу Синодальную контору исправить указанные мной ошибки на основании выше приведенных данных и выдать мне просимое свидетельство в исправленном виде, возвратив мне и свидетельство о явке к исполнению воинской повинности.

А если Синодальная контора не найдет возможным исправить имя отца моего на «Григорий», тогда прошу назвать его двумя именами Григорий — он же Георгий.

При сем представляю две гербовые марки на один рубль 50 коп.

პოეტს განცხადების პირი მისთვის დამახასიათებელი აკურატულობით შეუნახავს საყუთარ არქივში. ამ განცხადების საფუძველზე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დოკუმენტებში ვერ ვნახეთ თხოვნაში აღნიშნული ბერძნების წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის 1894-1895 წლების ჩანაწერები.

სამაგიეროდ ვნახეთ განცხადებაში აღნიშნული პოეტის შრომების ქორწინების ჩანაწერი, რომელიც შემდგარა 1886 წელს ბერძნების წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. ამ ჩანაწერის მიხედვით ვაირკვია, რომ სინოდს შეუწყუნარებია ი. გრიშაშვილის თხოვნა და 1914 წლის 13 მარტს (საქმე № 135, № 6161) სინოდალური კანტორის ოფიციალური რეზოლუციის თანახმად გადაშლილია „ვიორჯი“ და იქვე მის თავზე შავი მელნით მიწერილია პოეტის მამის ნამდელი სახელი „ვრიგოლი“.

დიაკვანი ყოფილა გეარამაძე, (იხ. ფოტოპირი № 2).

როგორც ვხედავთ, ეს ანკეტური მონაცემები მთლიანად ემთხვევა 1889 წლის ი. გრიშაშვილის დაბადების მეტრიკულ ჩანაწერს. გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: პოეტის მამის შესახებ ორივე საეკლესიო ჩანაწერში ხაზგასმით არის აღნიშნული მისი სოციალური მდგომარეობა — გლეხი, რაც მითითებებს იმაზე, რომ მას ქალაქში ცხოვრების დადინის ტრადიცია არ ჰქონდა და სოფელს ახალი მოწყვეტილი იყო. განსაკუთრებით XIX საუკუნეში თბილისის მცხოვრები არაქართველი გლეხად იშვიათად იწერებოდა.

ი. გრიშაშვილის არქივიდან დაკვლია მამამისის ანდერძი რუსულ ენაზე, სადაც პოეტის შრომებთან სახელები სწორად არის მოხსენებული. აქვე ვნახეთ პოეტის შრომების ქორწინების მოწმობა, ვაცემული სინოდალური

<p>6</p> <p>27.</p> <p>2. 1885</p> <p>1914.</p> <p>Ученый с. ...</p> <p>С. 13-14-15-16.</p> <p>№ 6161.</p>	<p>27.</p> <p>შეწესი ცოი იაქა</p> <p>მეორე გეგუნბანა</p> <p>გეგუნბანა, საბუღალ</p> <p>კორა მანგლთ</p> <p>ივანე მანგლთ</p> <p>დოკუმენტი</p> <p>რიზ ბეგოშვილი</p> <p>ფოტოკოპი.</p> <p>40.</p>	<p>გეგუნბანა იაქა</p> <p>მეორე გეგუნბანა</p> <p>გეგუნბანა, საბუღალ</p> <p>კორა მანგლთ</p> <p>ივანე მანგლთ</p> <p>დოკუმენტი</p> <p>რიზ ბეგოშვილი</p> <p>ფოტოკოპი.</p> <p>40.</p> <p>29.</p>
--	---	--

სინოდალური კანტორის ცხარე მარტოვანი გეგუნბანა

ნიკოლოზ ბეგოშვილი

ნიკოლოზ ბეგოშვილი

სხვათა შორის პოეტის დედის სახელი აქ სწორად წერია (ელისაბედი). ჩანაწერი, ჩვეულებრივ, რუსულადაა ვაცემებული. მოგვაქვს ტექსტის ქართული თარგმანი: თბილისის მცხოვრები გლეხი ვრიგოლ დავითის ძე მამულაძე, მართმადიდებლური აღმსარებლობისა, მეორედ ქორწინდება. დედაზე კი ასეთი ანკეტური მონაცემებია: თბილისის მცხოვრების არმაკ მანუციანცის ქერივი ელისაბედი საკის ასული სომხურ-გრიგორიანულ აღმსარებლობისა, მეორედ ქორწინდება, ქვარი დიპუწერია დეკანოზ ალექსანდრე ზემბელიძის.

კანტორის მიერ, აქაც პოეტის უოველგეარო ანკეტური მონაცემები ემთხვევა ი. გრიშაშვილის მიერ გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ მასალას.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ოტკომბარის რევილუციამდე ქართველმა გეარებმა რუსულის გავლენა განიცადა და იწერებოდა რუსულად.

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა.“ ფონდი 489, საქმე № 487, ანაწერი 7, გვ. 22

ლი დაბოლოებებით: **ალ. Хаханов, И. Джавахов, И. Беритов** და სხვა. ი. გრიშაშვილის გვარიც ამ მხრივ გამოჩნდის არ წარმოადგენდა. ამიტომ რუსულ საბუთებში **Мамулов**-ად იხსენიებოდა, ჩასაც თვით პოეტიც აღნიშნავს (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 741). რუსული ენის გაელენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქართულ დოკუმენტში პირად მიმოწერასა და საფლავის ქვის წარწერებში ქართული გვარები რუსული დაბოლოებით გვხვდება. მაგალითად, გრ. ორბელიანი დიპიტრი ქორჯაშვილისადმი გავზავნილ წერილში წერს: „...ქალაქიდან ამას პწერენ, რომ მივთამ ჩილავევის მაგიერ პნიშნაედენენ ლუბერნატორად შამახისის კონსტანტინე თარხანოვს...“ (1855 წ.) ანდა „...დიდოდამ გამოსვლის დღეს მოსვლიათ ომი, რომელშიაც დაჭრილა ადვილად ლევან ჩოლოყაველი... და მასთან ასამლის კაცი“. (1858 წ.) (ხაზი ჩვეუნი ბ. ა.) — და სხვა.

ეს მოვლენა ინტერსით დღესაცაა შემორჩენილი ზოგიერთ ქართულ გვარში. მაგალითად,

¹ გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, აკაცი გაწერელის რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1937, გვ. 148.

ბარნაველია გვარის უმეტესწილად წარმოად იწერება. (ი. გრ. შავჭავჭავაძის ახალგაზრდობაში თავის ერთ-ერთ ლექსს „ფირუზას სიმღერას“ მიაწერა ფ. შამულოვი, იხ. კრებული „არ შეგვივდეს ბარაშკაჯან“, 1910, გვ. 8). ბავშვობაში ცისფერთვალზე პოეტს შეესაბედალ ფირუზას ეძახდნენ, რომელიც შემდეგ ერთ-ერთ ფსევდონიმადაც გამოიყენა.

ასევე, ჩვეულებრივი იყო საფლავის ქვის ქართულ წარწერებში ქართული გვარების რუსული ფორმით დაწერა. მაგალითად, ვერის, კუციის და თბილისის ძველ სასაფლაოებზე ხშირად გვხვდება: გარსევანოვი, საგინოვი, ნასყიდოვი და სხვა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ი. გრიშაშვილის მამის საფლავის ქვის ქართულ წარწერაში პოეტის მამა „გრიშა შამულოვად“ მოიხსენიება.

ვფიქრობთ, განხილული მასალები, რომელთა უმეტესობა პირველადაა მოპოვებული აღნიშნულ არქივებში, გარკვეულ დახმარებას გაუწევს ი. გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართ და არც ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის იქნება ინტერესმოკლებული.

ლიმიტრი ბაქრაძე და საქართველოს ეთნოგრაფია

საფლავი შენისთანა კაცისა სალოცივია
მაშელისა!

ილია ჭავჭავაძე

„ხალხი, რომელიც მალალი ნიჭიერებით არის შემკული, რომელსაც ისტორიული ცხოვრებით უცხოვრია და მრავალი განსაცდელი გამოუტყდა, ის ხალხი უბედურების გამს აღმოიჩინეს წებისა და ხასიათის ძალასა. ასე დაუწყებია ბუნებასა და ამის მაგალითებს გვიჩვენებს თვით ისტორიაცა. ამგვარ ხალხთა შორის უნდა შეირიცხოს ჩვენი ქვეყანა! — ასე ახასიათებს თავის ხალხს, სამშობლოს თვალსაჩინო ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ლიმიტრი ბაქრაძე. ერის წებისყოფა და ხასიათის ძალა, ჩვეულებრივ, ბაქრაძისთანა აღმოჩინის ბუნებაში მელანდებდა.

ლიმიტრი ბაქრაძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ჭერჭერობით შესწავლილი არ არის. ჩვენი წერილი, როგორც მიწათმოქმედი იტყვის, მხოლოდ „გაწერვა“ იქნება, ეს საკითხი კი თავის გუთნისდედას მოეღოს.

მე-19 ს. 50-იან წლებში მოსკოვის სასულიერო აკადემიაში განსწავლული ლიმიტრი ბაქრაძე სამშობლოში ბრუნდება. მას ბრწყინვალე სამღვდელმთავრო კარიერა ელის, მაგრამ უარს ამბობს. ერთხანს უმუშევარი რჩება, ლექსაუბრი უკირის, მაგრამ საიმპერიო და ადგილობრივ პრესაში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს აქვეყნებს, რითაც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. ქართველ ხალხს კალმით ემსახურებს — აი ლიმიტრი ბაქრაძის უბირველესი მოწოდება.

მე-19 ს. 50-იანი წლები. ქართველი ერის ფიზიკურად მოსპობის საფრთხემ გაიარა. საქართველოს სწორედ ახლა სჭირდება საყუთარ ნიადაგზე აღმოცენებული და დაფეკაცებული მისისტორიე, რომელიც მძიმე უღელს „ნაიალარა ხარით“ გასწევს და ქვეყანას გადაუშლის ჩაგრული ხალხის დიდებულ წარსულს. აი ასეთი დიდი ვალის აღსრულება არგუნა ბედმა წილად ლიმიტრი ბაქრაძეს.

და თუ იგი თავის მოღვაწეობას ისე კი არ იწყებს, როგორც ისტორიკოსი, არამედ — როგორც ეთნოგრაფი, ამას თავისი მიზნები აქვს. რუსი მოხელეები და ველაიორუსული შოვინიზმით მოწამლული ზოგიერთი მეცნიერი ქართველებს „ველურებად“ ნათლავდა, უზღუდველყოფდა მათს მრავალსაუკუნოვან კულტურას და ისტორიის ქარცეცხლში გამოტარებულ დაბეწვილ ტრადიციებს. სწორედ ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით შეიძლებოდა ამ ტრადიციათა გამოვლენა და მათი ნამდვილი სახით ჩვენება. ეთნოგრაფია, ხალხის უოფისა და კულტურის შესწავლის ეს მეცნიერება, მშრომელ ფენასთან დაახლოების საუკეთესო საშუალება იყო. ლიმიტრი ბაქრაძე ამ ფენიდან გამოვიდა, და მან კარგად იცოდა ხალხის ზნე-ჩვეულებათა და სულიერი სამყაროს განუზომელი სიმდიდრის ფასი.

ნიშანდობლივია, რომ ლიმიტრი ბაქრაძე თავის სამწერლო მოღვაწეობას ხაშმიდან იწყებს. ეს ის სოფელია, სადაც 1826 წელს თვითონ დაიბადა, ხოლო 1850 წელს თანასოფელთა უოფის აღწერით იშვა როგორც მეცნიერი. მისი პირველი ნაშრომი „სურათები საქართველოს

1 დ. ბაქრაძე, იოანე ბატონიშვილი და მისი კალმასობა, „ცისკარი“, 1861, № 4, გვ. 523.

ცხოვრებიდან* გახუთ „აკეაზში“ დაიბეჭდა. დ. ბაქრადის წერილების გამოქვეყნებას ატყობობთ მიხსალმა სახელმწიფოელი ქართველოლოგი შირა ბროფი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერის სწერდა: „სიხარულით შევიტყვე ესე, რომ უკანასკნელ გამოხდა საქართველოში თვით ქართველი კაცი, განათლების მოყვარე, რომელსაც სურს გამოძევა და გამოცხადება ძველის უოფა-ქცივისა საქართველოს ხალხთა და თქვენგან ვსასოფე შეწყვენასა“.

დ. ბაქრადემ იმედები გაუმართლა მხცოვან ადამიკოვს.

ლუონტი მროველიდან მოკიდებული ბაქრადის უახლოეს წინამორბედებამდე ეთნოგრაფიას უველა ქართველი ისტორიკოსი იყენებდა, მაგრამ ის არავის უგარქენდა ვრონელი ისტორიკოსის ამ დისციპლინის აუცილებლობა, როგორც დიმიტრი ბაქრადემ იტყობა. იგი ერთ-ერთი პირველი შეეცადა ხალხური ყოფის შესწავლას. მის პირველ ნაწერებშივე ჩანს ეთნოგრაფიის მახვილი თვალი. იგი რეალისტური ფერებით ხატავს ქართულ სოფელს, აგვიწერს სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობებს, მეურნეობის დარგებს, სამეურნეო იარაღებს, შრომითს ჩვეებს, ტანსაცმელს, სპორტებს, ქორწილის, გლოვის, პურობის წესებს, რელიგიურ რიტუალებსა და სხვ. მას არ ავიწყდება ცხოვრებისეული დეტალები. ზემოთ მითითებულ წერილში ჩამოსთვლის სამხოთეო ნივთებს, მათ შორის ასახელებს ვერცხლის ორ აზარფშას, რაც აუცილებელი ყოფილა ქალის გასამზითებლად, თეთრულსა და სპილენძის ჭურჭელთან ერთად. ეს ცნობა შეეხება მელღინეობის ისტორიისათვის საყვარელია.

შოისა და ბარის მქიდრო კეშირის მაუწყებელია დ. ბაქრადის სტატია „ჩემი ნაცნობობა ფშავთან“, სადაც მკვლევარს ფშაველთა და კახელთა შორის ერთობლივი შრომითი საჭმინობის, ხელსნობის ნაწარმის და პროდუქტთა გაყვლა-გამოყვლის მრავალი მაგალითი მოჰყავს.

მართალია, დ. ბაქრადის ადრინდელი ნაწარმოებები არსებითად ოფიციალური პრესისთვის დაწერილი კორესპონდენციებია, მაგრამ თვითველ მათგანში ელინდება დაკვირვებული მეცნიერის ალღო და იქ ეთნოგრაფი უოველთვის იპოვნის საპატიო სიძველათ შემოსულ სანდო მასალას.

ვრცელ ნარკვევში — „საქართველო და ქარ-

თველები“¹ — კარგად არის ასახული ჩვენი გლგობის ყოფა-ცხოვრება. მკვლევარი გვეცნობს შრომის ორგანიზაციის ფორმებს, უროწონელ ხასიათს, ანთროპოლოგიურ ტიპს, კვების რაციონს, როგორც უველგან, აქაც დაწერილებით ვადმოგვეცემს სახლების, შრამელბურულების აღწერილობას, არ ავიწყდება ავეჯი, ჭურჭელი, სასმისები და სხვა. ავეჯატარი საგანგებოდ ვანიხილავს კახეთის მევეანხეობა-მელღინეობას. იგი აღნიშნავს, რომ კახეთის ვენახები „სამოთხეა“ — დასასვენებელი ადგილი — ხეხილითა და ხეივნებით დამშენებული, თხრილებითა და ღობეებით დაცული; საურმე გზებითა და ბილიყებით დალიანდაგებული, მარნებით, სათვალთვლო ქობებით, ფანაჩტურებითა და წნული ჭამჭრებით შემეული.

დ. ბაქრადე ვაძლევს კახური მარნების მეცნიერულ დახასიათებას, თვალნათლვე ვეჩვენებს ადგილობრივ მკვიდრთა ღვინის დაყენების დიდ ოსტატობას. ამ ცნობებს კახეთის მევენახეობა-მელღინეობაზე მომუშავე მკვლევარი ავეჯდს ვერ აველის. საშუაზროდ, ეს შესანიშნავი მასალა, რომელიც საუყუნვე მებრუნის წინათ არის ჩაწერილი, დღემდე გამოყენებულია.

საქართველოს ეთნოგრაფიდან უველავე მებრთქმულა და დაწერილა სვენების შესახებ. ზოგიერთი უცხოელი თუ შინაური მოგზაურის თვალში სვენეთი იყო მხოლოდ ეგზოტიური ქვეყანა.

დ. ბაქრადემ მოიარა და საფუძვლიანად შესწავლა ეს ეთნოგ, მოგვეცა მისი ვრცელი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური მონობილეა და მეცნიერულად დამტკიცა ადგილობრივი ვენისა და კულტურის ქართულთა ერთიანობა. დ. ბაქრადემ გამანადგურებელი პასუხი ვასცა სტოიანოვს.

დ. ბაქრადემ დიდი ამაგი დასდო გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის შესწავლას. არა თუ ხალხის ყოფა, მკვლევარს უუურადღებოდ არ რჩება ადგილობრივი ტყეები, რომლებიც ვახსა და სხვა მხეიარა მყენარებს ვაუველად უტყევი. აფხაზეთში, ფიქვინითიდან მოკიდებული ოჩამჩირემდე, დ. ბაქრადეს ვეგანტური ვახები უნახავს, მათი დიამეტრი 1 1/2 არმონს აღწევდა და თითო ძირი 30 ფუთამდე უურქმენს იძლეოდათ. ვინც ამ სტრიქონებს ვა-

¹ Кавказ, 1851, №№ 13-15, 30, 31, 33, 34.

² Кавказ, 1851, № 34.

³ Кавказ, 1861, №№ 1-4, зап. Кавк. отд. ИМП, РГО, кн. VI, 1864.

⁴ О. Бакрадзе, Очерки Мингрелии, Самурсзანიის и Абхазии, Кавказ, 1862, № 48, стр. 294.

¹ Кавказ, 1850, №№ 91—93, «Современник», СПб. 1851, т. XXV, № 1, отд. VI, стр. 1-26 и № 2, стр. 165-191.

² მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრადე, ბათუმი, 1950, გვ. 21.

³ Кавказ, 1850, №№ 97-99.

ეცნობა, მას აღარ გავყვირდება მე-19 ს. პრესაში არავითარ ადინშიველი ცნობა ქართულ ეკლესიებში ეპისკოპოს ვათლილი კარების არსებობის შესახებ.

დ. ბაქრაძის მიდღიანი კალამი საინგილოსაც მისწევდა. „ინგილოები კახეთის ნაწილს შეადგენენ, — წერს მეცნიერი. ეს ძველი „გელმა-მზარია“, რომელიც მე-17 ს. პირველ ნახევარამდე ბედნიერად ცხოვრობდა, მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ ლეკებმა თავი იმეფეს და პირველ რიგში უახლოესი ქართული მიწა-წყლის აოხრება იწყეს. მალე მათ ფეხი მოიკიდეს ქარ-ბელაქანში და კახეთი ლაშის ბეთლამანად აქციეს.“ სავალალო იყო საკუთრებზე ინგილოების ბედი: „საქართველოს მხარეებში არც ერთს იმდენი წვალება და ეპიფანია არ მოსდგომია, როგორც საინგილოს, — აღნიშნავს ბაქრაძე, — ლეკს ის ყოველთვის უტანჯავს. საკვირველია, ან როგორღა შეირჩინა იმან აქომამდე სული. მაგრამ არ უნდა დაევიწყეთ, რომ ინგილოები თუმცა ძალასა და სიმართლეს დამონავენ, მაგრამ კერპული ხასიათით და დავაკობით თავი დარტყენი“, შეუნარჩუნებიათ ქართული ზნე-ჩვეულებანი, ჭრისტეს რაჟელი: „რაც უნდა შევიწროებული ყოფილიყვნენ ისინი, — განაგრძობს მკვლევარი, — იმათ თურმე გამოჰყავდათ სიღნაღის მხრიდან ქურდულათ, ინგილოურათ ჩაცმული მღვდელი, რომელიც ღამე უნათლავდა და უწირავდა“¹.

პროფ. მ. დუშაძე თავის მონოგრაფიაში — „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“ — წერს: „უპირველეს ყოვლისა ყურადღების ღირსია, ის, რომ ბაქრაძემ თავისი კვლევა-ძიების ერთ ყველაზედ უფრო სერიაოზულ უბნად გაიხადა თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული ქართული რაიონების შესწავლა: შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული შემკვიდრებებიდან ყველაზედ უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რაც გურია-აჭარისა და შილანად სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წარსულს ეხება“ (გვ. 116).

დიმიტრი ბაქრაძე, როგორც ქვემოთაღნიშნული მუღიშვილი, მწვევედ განიცილდა საქართველოს დაქუცმაცებას, ამიტომ, კალმით იბრძოდა მის გასაერთიანებლად. ამყურად, ქართული პატრიოტიზმი ერწყმოდა მეფის რუსეთის ინტერესებს, თურქეთისაგან მოთვისებული ქართული მიწების დაბრუნება ორივე მხარეს სწურვოდა. მიზანთა ეს დამთხვევა თავის დროზე კარგად გამოიყენა დიმიტრი ბაქრაძემ. მან, მეფის მოხელის სურთყვადაცმულმა, შესძლო საქართველოს თითქმის ყველა დაპყრობილი კუთხის შემოვლა და ფასდაუღებელ

გამოკვლევათა შექმნა. ერთ-ერთი პირველი ასეთი ნაშრომი „მესხეთი ანუ ახლანდელი ახალქალაქის მხარა თურქეთის საქართველოში“. ამ გამოკვლევის ისტორიულ ღირებულებასზე საკმარისი არის დაწერილი, ამიტომ სიტყვას აღარ გავავრცელებთ, ოღონდ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოგრაფის თანდაყოლილი ალღო ბაქრაძეს აქაც არ დაღატობს. ისტორიულ ფაქტებს იგი ყოველთვის ეთნოგრაფიული მასალა აცოცხლებს. მას, უპირველესად, ხალხი — აღმაიანები აინტერესებს. ეს ის აღმაიანები არიან, რომელთა წარსულს იკვლევს მეცნიერი და მრავალსაუფუნოვანი სიძველით დათალბული წყაროების ბინდში მათს რეალურ სახეებს ხატავს. ამით მუდამ უქმნის მკითხველს ისტორიული პროცესის უწყვეტობის შთაბეჭდილებას და ქვეყნობიერად აგრძობინებს, რომ ქართულ მიწაზე უძველესი დროიდანვე ქართველები მოსახლეობდნენ და მათი საცხოვრების მიტაცება-დანაწევრება საერთაშორისო უსამართლობაა.

აღნიშნულ ნაშრომში სამხრეთ საქართველოს რთული პოლიტიკური ცხოვრების სურათებს კულტურად გერწყმის გეონომიკის, უოფისა და ოსტატების გეგმარეზიონი ასახავს. აი როგორ ახასიათებს მკვლევარი მესხების შეურწმობას და შრომისმოყვარეობას: „მთელი მესხეთი დამუშავებული იყო, განსაკუთრებით კი ცენტრალური ნაწილი და შტკერის ორივე სანაპირო; შრომისმოყვარე მოსახლეობას ეუფლებოდა წარმოშობის ნიდავებზე აუთიესებოდა. მემატია-ნე ვამოგვეცემს, რომ შიმშილობის ეამს ქვემო ქართლი არა ერთგზის ასაზრდოებდა პურით დანარჩენ საქართველოს. ბალ-ვენახები უმეტესად ვიწრო ველებსა და შიბების დატვირთვულ ფერდობებზე იყო შეფენილი... სადაც პევა საშუალებას იძლეოდა, აშენებდნენ ტრაპიკულ მცენარეებსაც — ზეთისხილს, ლიმონს, ნარინჯს, რომელთაც, აშენი საუკუნის შემდეგ, ახლაც პოულობს მოგზაური ველური სახით“².

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს ცნობა განსაკუთრებით ყურადსაღებია საქართველოში ცენტრების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

სტატიაში — „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა“ — მკვლევარმა ჩვეული სიზუსტით ასახა ამ რაიონში საქართველოს და სომხეთის ისტორიული საზღვრები, შეისწავლა არქიტექტურული ძეგლები, მოსახლეობა და მამულისმფლობელი გელისტაციული უჩვენა საქართველოს ამ ნაწილის სავალალო ისტორიული ბედი. თუმცა განუწყვეტლივ

¹ დ. ბაქრაძე, საინგილო, „დროება“ 1866, № 44, გვ. 2.

² იქვე.

¹ Кавказ, 1855, №№ 23-27.

² Д. Вакрадзе, Древняя Месхия, Кавказ, 1855, № 23, стр. 95.

ართული სისტემა, წყლის საქმიან განქანებითა და არხების სრულყოფილი ქსელით. რწყვის ხელოვნების მაღალ დონეს უნდა უმაღლოდესო, — აღნიშნავს დ. ბაქრაძე, — ტაოსყარის, ფანასყარის და სხვათა ხეობებში შეფენილი ხეხილისა და ვაზის მთელი ტყეები, რომელთა ნაყოფითაც უზრუნველყოფილია ადგილობრივი ქალაქები. 1879 წელს ღმიტრი ბაქრაძეს მსგავსი არხები და ბაღ-ვენახები უნახავს ართვინის ოლქში, სახელდობრ იმერ-ხეში, საიდანაც მარადგებოდა თურქი ბათუმი საუკეთესო ხილითა და ყურძნით¹.

ისტორიულმა უკულმართობამ ისევ მოსწყვიტა საქართველოს ეს ოლქები. დღეს ქართველ მკვლევართათვის ისინი მიუწვდომელია, ამიტომაც დ. ბაქრაძის ეს პატარა წერილი ჩვენი მეცნიერებისათვის ნამდვილი განძია.

თუმცა სამხრეთ საქართველოს პროვინციები თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე იტანდნენ თურქთა მძლავრობას, ქართული ენა აქამდის ისმის მთელ „თურქულ საქართველოში“, ვიდრე ბაიბურთამდე და ტრაპეზუნტის საზღვრამდე² — აღნიშნავს დ. ბაქრაძე. საგულისხმო ფაქტია, რომ არტანუჯიან ს. ბაგრატმა „ღრთაში“ გამოქვეყნა წერილი, სადაც ბაქრაძის მიმართ საყვედურს გამოთქვამდა, „რუსულად კი არა, ქართულად წერონ, ეს ჩვენივეს უფრო სასარგებლო იქნებოდაო“³ მართალი იყო არტანუჯელი ქართველი. ისტორიას არ შემოუწინახავს, ბაქრაძემ რა უპასუხა მას, მაგამა უკვე ცნობილი მეცნიერი ღმიტრი ბაქრაძე აი „რას წერს ქართული ენის შეზღუდვა-შევიწროების გამო: „მართლა და დრო არის, ვიფიქროთ ჩვენს ენაზედა. უნდა ჩვენ არარაინი ვართ. ენა არის აღმართის უპირატესი და უკეთეს-შობილესი ნაწილი. იმაში გამოხატების ჩვენი ხასიათი, ჩვენი წარსული სული, ჩვენი დი-სრებანი და ნაკოვანებანი; იმით ვართ დავაუ-შირებულნი ერთი ერთმანეთზედა. უიშისოდ არც მამულის სიყვარული შეიძლება და არც სხვანი მოქმედებანი საზოგადო სასარგებლოდ. აწინდელს დროში უველგან გრძობენ სამშობ-ლო ენათ სწავლის საქირიებას; უველგან შე-უდგებიან ღონისძიებების მოპოებას; რომ ენა გავრცელდეს და დამყარდეს. მივხედოთ ჩვენი უძველესთა ძმათა და მეზობელთა — სომეხთა. ვიცით, რა გვაჩი უჭრადლება და მზრუნველობა აქვსთ თავიანთ ენისათვის. მხო-ლოდ ჩვენ ქართველნი ვართ გულგრილად ამ საგანზედა, ჩვენი ენა უფრო და უფრო სუსტ-დება. მუ ამ მდგომარეობისაგან არ გამოვიდეთ,

საკმაო ნახევარი საუკუნე, რომ ის სრულებით დაეშოს. ვისღა შეუძლიან ჩვენში, სთქვას, ენა ვიცით. განა ის ცოდნა ცოდნა, რომ თურქულ-ლი ვეღარ ფიქრობს თავისი ენის განხეზ-თაშებრ და თუ ჭერ რუსულად არ მოიხარა, არ შეუძლიან დასწეროს რამე პირ და პირ ქარ-თულათ. ჩვენ მწერალთ სიტყვათ ქცევანი და ფრაზებით წყობილებანი არიან რუსულნი. ამჟამად რომ ერთი მცოდნეთაგანი ჩვენი წი-ნაპარი საფლავით აღდგეს და გარდავლოს თვა-ლი „ცისკარსა“ რას იფიქრებდა? გვიცნობდალა ჩვენ ქართველებს?!”

ასე დატუნობლად ამთარახებდა ღმიტრი ბაქრაძე ქართველი ინტელიგენციას იმ ნაწილს, რომელმაც ცარიზმის საამებლად მოასწრო გადაგვირება და საკუთარი მეშინაური კეთილ-დღეობისათვის დედაენასა და ხალხს ზურგი აქცია.

მოუღალავი მეცნიერი ქართული ქალაქების ეთნოგრაფიასაც სწავლობდა. ნარკვევში „სა-ქართველო და ქართველები“ მოგვცა ქალაქურ-რი ყოფიანობების სურათები: დარღვიან-დული ღზინი, ვეკაცური კრივი, თავაწყვეტი-ლი დოღი, ხმაურაინი ბაზრები, სმოთისისებუ-რი ბაღები და სხვ. მრავალ უცხოელ მო-გზაურს შეუქია თბილისური აბანოები. ქართ-ველთაგან დ. ბაქრაძე პირველი იყო, რომელ-მაც ისინი მეცნიერული სიზუსტით აღწუსსა და ბევრი საინტერესო ფაქტი შემოუნახა ხალ-ხური პივიენი დიფერენსებულ მკვლევართ.

ახლა, როდესაც თვალსა და ხელს შუა გაგ-ვიქრა ძველებური დუქანი, რომლითაც ჭერ კიდევ ამ ორმოციოდე წლის წინათ საქართ-ველოს უველა დაბა-ქალაქი და გზაგრიდინი იყო მოფენილი, განსაკუთრებით ეჭარფასია დ. ბაქრაძის წერილი „დუქანი და ფურნეშ“, სა-დაც მარტო ტრადიციული დუქანისა და მედუქ-ნის კოლორიტული სახე კი არ არის მოცემუ-ლი, არამედ ვეცნობით საგაჭრო პროდუქტების გრძელ სისს და მამინდელი ეგვირობის თუ დამურების განუმეორებელ სცენებსაც. ამავე წერილში კარგად არის ნახვენი პურის ცხობის კულტურის მაღალი დონე, ზოლო ფურნისა და თორნის დეწერაობებს დღესაც არ დაუარავებს მეცნიერული მნიშვნელობა.

1870 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მო-ნოგრაფია „თბილისი ისტორიულ-ეთნოგრაფიუ-ლი თვალისაზრისით“. მონოგრაფიის ისტორიუ-ლი ნაწილის ავტორი ღმიტრი ბაქრაძეა, ზო-ლო ეთნოგრაფიულია — მისი მეგობარი, ერ-თგულთ თანამოკალმე და თანამებრძოლი ნიკო-ლოზ ბერძენიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საუკუნის მანძილზე ასე კომპლექსურად

¹ Д. Вакрадзе, Историко-этнографиче-ский очерк Карской области, ИКОИРГО, т. VII, № 1, 1882-1887, стр. 196.

² დღმბაძე, დას. ნაშრ., გვ. 38.

³ მ. ღუმბაძე, დას. ნაშრ., გვ. 49.

10. „მწილობი“ № 2.

¹ დ. ბაქრაძე, ითანე ბატონიშვილი და მისი კალმისობა „ცისკარი“, 1861, № 4, გვ. 551-2.

² Кавказ, 1851, № 19-20.

ქართული ქალაქი ჯერ არავის შეუნსწავლია. მართალია, თბილისზე დაიწერა მონოგრაფიები, მაგრამ ეთნოგრაფია საერთოდ დაიწყებულია. როგორც დ. ბაქრაძის და ნ. ბერძენიშვილის ნაშრომიდან ერწმუნდებით, ქალაქის ეთნოგრაფიული თავისებურებათა, კოლორიტისა და ცხოვრების რიტმის ჩვენება მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალის წარმოჩენითა შესაძლებელი.

ცალკე უნდა აღინიშნოს დ. ბაქრაძის სტატიის „ოსი გიორგვიანელები“¹ შესახებ. ვინც კი დაინტერესდება საქართველოში წმინდა გიორგის კულტით, ქადაგთა, ხატისგან დაკრიალთა ინსტიტუტით, იქ ბევრ საგულისხმოს იპოვის. ახლა, როდესაც თანამედროვე მეცნიერება მრავალ მიმზიდველ პრობლემათა წინაშე დგას, ღრთა გადარსინჯოს ჩვენი შეხედულებები ქადაგთა, გულთმისანთა, წინასწარმეტყველთა და სხვათა შესახებ. საჭიროა ეთნოლოგიის — ქვეყანათმცოდნეობის მიღწევების გათვალისწინებით შევისწავლოთ ხალხის ცხოვრების ეს მეტად ბუნდოვანი მხარე. ამა თუ იმ მოვლენის დაყოფა მის არარსებობას როდი ნიშნავს. ბაქრაძის ზემოთთითხებულ წერილში მძაფრი დრამატიზმით აქვს დახატული 20 წლის ქადაგი ქალის — მარინეს შემოპარწუნებული ბედი. მისი სტრატეგიულიდან კარგად ჩანს, რომ მარინეს სახით ჩვენ სულით ავადმყოფთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ უღრესად მგრძობიარე არსებასთან, რომელსაც აწამებს, ტანჯავს ირველიც მყოფ ადამიანთა უტიფარი მკრეხელობა და შეცოდებანი.

ინტერესსმოყვებული არ იქნება განვიხილოთ დ. ბაქრაძის ეთნოგრაფიულ დისციპლინასთან დამოკიდებულების საკითხი. მისი მოღვაწეობის პერიოდი დასავლეთში ამ მეცნიერების უშავალითა აუჯავებს ემთხვევა. აღმავალი კამბიტალიზმით, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში იკადებს ფეხს, დღის წესრიგში აყენებს ხალხების ყოფისა და კულტურის შესწავლას. ვეროპანი იქმნება ეთნოგრაფიული სკოლები, მიმდინარეობენ. ქვეყნდება მარქსის, ენგელსის, ბასტიანის, შორჟანის, ტეილორის, რატცელის, ფრეზერის და სხვათა ფუნდამენტური გამოკვლევები. დ. ბაქრაძეს, რომელიც ყოველთვის ევროპულ მეცნიერებათა მიღწევების საქმის კურსში იყო, ბუნებრივია, ყოველივე ეს მხედველობიდან არ გამოჩნებოდა. მან იცის, რომ „ცოდნის მოყვარეობას ადამიანისას საზღვარი არა აქვს. მეცნიერნი მოგზაურნი შთელს

მსოფლიოს კუთხეში არიან დაფანტულნი, ყველა მივარდნილის ტომების ცხოვრება და ჩვეულება აღწერილია“¹. რომ ისტორიკოსმა და ადვინოს შესასწავლი ერთი თვითყოფი კულტურა და ცივილიზაცია, ამისათვის საჭიროა „ხალხის სწავლა, ყოფა-ცხოვრება... შეადაროს ხოლმე სხვა ხალხების სწავლასა და ყოფა-ცხოვრებას; უნდა გამოიკვლიოს, იმაზედ ვინ უფრო მალა დგას ვინ უფრო დაბლა; უნდა განმარტოს, უცხო ტომებში ვინ უფრო მოქმედებს იმ მხარეზე, რომლის ისტორიასაც ისა წერს. — მხოლოდ ამგვარათ შეგვიძლიან ხალხი ვიცნოთ“². — ასეთი პრინციპებით ხელმძღვანელობდა დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიაზე მუშაობის დროს. და თუ მან ძირითადად სწორი შეხედულებები გამოთქვა პირველყოფილი თემური წყობილებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, ეს უნდა აიხსნას იმდროინდელი ეთნოგრაფიული რიტორატურის ღრმა ცოდნით.

მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში დ. ბაქრაძე განსაყურებულ როლს ანიჭებდა კავკასიას: „მეცნიერულის მხრით კავკასია უნდა იყოს მიღებული ყოველსავე ეპოქაზე დიდად შესანიშნავ კუთხედ მოელს დედამიწაზედ, — წერს იგი, — გეოგრაფიული მდებარეობა მისი ევროპისა და აზიის გზაოჯახედინხედ, სიმდიდრე მის მცენარე და მინერალთა, განსხვავებული თვისებანი მისი ეთნოგრაფიისა და ისტორიისა, — ყოველივე ამას არ შეუძლიან არ განუღვიძოს დიდა სურვილი და ინტერესი მის შესწავლისა იმას, ვინც მისდევს გულდადებათი მეცნიერებას“³. ამიტომაც ქართული პრესის ელია ბეჭდოს ყოველივე „რაც რამ შეეხება ქართულს ისტორიას, არხოლოგიას, თუ ეთნოგრაფიას, ანუ ზნეთაწერას... უმეტესისი ნაწილი, რაც საქართველოში იპოვება ძველებური, არ არს ჯერ სინათლეზედ გამოტანილი. ეს შრომა უნდა გაეწიოთ ჩვენ, საქართველოს შეილთა“⁴. და რაც შეიძლება მალე, რადგან „თეთი ევროპულ განათლებას თავის სიუფესთან, ეს ენებაც მოაქვს, სადაც ხელება მისი ფეხს, შლის ადგილობრივ ჩვეულებას. ძველი ჩვეულება ძრველ სუსტადღა სხანს საქართველოში, უფრო უმეტესად დასავლეთისაკენ. მთის ხალხნი არიან მხოლოდ დარბომილნი თავიანთ ჩვეულებაზედ, რადგანაც ვერო-

¹ დ. ბაქრაძე, ისტორიული მოძრაობა განათლებისა, „დროება“, 1866, № 5.

² დ. ბაქრაძე, ისტორიული მოძრაობა განათლებისა, დროება, 1866, № 16, გვ. 4.

³ დ. ბაქრაძე, ახალ გამოკვლევებზედ დაფუძნებული საქართველოს ისტორია, „ივერია“, 1883, № 12, გვ. 11.

⁴ დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორიის წყაროები, „ციცქარი“, 1858, № 6.

¹ Д. Вакрадзе, Осетины георгианцы, Кавказ, 1851, № 69.

² ზ. ჭიჭინაძე ამ წერილის სათაურს ასე თარგმნის: „ოსები და მათში გაერცელებული გეორგიანთ სექტა“ (ზ. ჭიჭინაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ტფ., 1891, გვ. 26).

პიუღს განათლების გზა არ აძლევს ნუბას შევიდეს. არ არის ეჭვი ცოტა ხნის შემდგომს ყოველი ძველი ფეოდალურის დარბაზისა ჩვეულება განჭრება ისე, რომ სწავლა ვერ გამოიყვალეს¹. ამიტომაც ცდილობდა ბაქრაძე უხვი ეთნოგრაფიული ცნობები შეეკრიბა, რადგან საქართველოს ისტორიის შენობის ასაგებად მეტი მასალა ჰქონოდა, მაგრამ მარტოხელს გაუჭირდა და თანამედროვეთ ასე მიმართა: „ვინდათ სახლი ააშენოთ? ვერ აირჩიეთ ადგილი, მასუკან იმ ადგილს მიზიდეთ ყველა საჭირო მასალა; თორემ თუამისოდ სახლს ვერ ააშენებთ. მართალია ეს თუ არა? ისტორიაც სახლია, რომელშიც უნდა იცხოვროს მთელმა ხალხმა. მივიღოთ ყველამ მონაწილეობა, ერთ ადგილას მოვზიდოთ ყველა მასალა, ვისაც რა გვაქვს, და შემდეგ მოვითხოვოთ ისტორიის აშენებად²“.

ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ქართული სასოფლადობრიობა მხარში ამოუდგა ახალი, თანამედროვე ტიპის ეროვნული ისტორიის შექმნისათვის დამაშვრალ ღიმიტრი ბაქრაძეს. 1889 წელს აღსრულდა მისი საწვდარი ოცნება — გამოქვეყნდა „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-X საუკ. დასასრულამდე“, მაგრამ ავტორს მაინცდ. მაინც დიდი კმაყოფილება არ უგრძნვია, რადგან „წარსულ წელს ნოემბრის „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო პროგრამა XVI-XVII კარისა, რომლითაც ეს ჩვენი წიგნი ბოლოვდებოდა, ამ კარში უნდა შეტანილიყო სურათი საქართველოს შინაგანის წყობილებისა (ივერია, 1888, № 25). ამ პროგრამის შესრულება ჩვენ ვერ შევძელით, —

1 დ. ბაქრაძე, კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებისა, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ თბილისში, „ცისკარი“, 1873, № 3.

2 დ. ბაქრაძე, ზოგი რამ ჩვენ ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, „ივერია“, 1877, № 8, გვ. 14.

წუხს ბაქრაძე, — რადგანაც „წიგნები“ ამის საგნებმა ცნობების შეკრებაში მონაწილეობის წიგნებიდან არა, როგორცაც ადგილობრივ ჩვენის მხრის სხვა და სხვა კუთხეებიდან. ამის გამო ის მეორე ნაწილისათვის გადავადეთ. რა ცნობები უნდა შემოიკრიბოს თვით ადგილობრივ, ამას შეითხველი შევიგნებს პროგრამიდან, რომელიც აქ განვებ მოლად შემოგვაქვს და ამ შემთხვევაში შემწეობას ვთხოვთ ჩვენს ნასწავლ ყმაწვილ-კაცთა, მეტადრე იმათა, რომელნიც გაფანტულნი არიან საქართველოში. აქ უნდა ჩვენი ნიშნუბისა. წარსულ წლებში „ივერიაში“ იბეჭდებოდა უმეცხესურათისეანთ ცხოვრებიდან მასალა, ისეთი, როგორიც ჩვენთვის საჭიროა; მაგრამ მარტო სამის კუთხიდან იგი საქმამ არ არის და ვინც იმ გვარე, ჩვენის პროგრამის მიხედვით; სხვადასხვა მხარის მასალას შემოპყრებს, სასარგებლო იქნება თავ-დაპირველად ის თვით „ივერიაში“ დაიბეჭდოს¹“.

დ. ბაქრაძის პროგრამა საქართველოს ყოფისა და კულტურის კომპლექსურ შესწავლას ითვალისწინებდა, მაგრამ მკვლევარს არ დასცალდა. იგი 1890 წელს, მეცნიერული სიმწიფის ასაკში გარდაიცვალა.

ბაქრაძის ჭიჭინაძის გადმოცემით, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული ღიმიტრი ბაქრაძე მწვევდ განიცდიდა, თავისი სიცოცხლის მიზანი — საქართველოს ისტორია რომ ვერ დაასრულა. სიკვდილის ავონიამაც ვერ დაავიწყა მას დიდი ეროვნული საქმე.

მართალია, „ისტორიის სახლის“ დამაფუძნებელი, სახლისა, სადაც ქართველ ხალხს უნდა ეცხოვრა, ბაქრაძემ ვერ შეძლო, მაგრამ მისი აშენებისათვის ისეთი მყარი საძირკველი „შამაზადა, რომელზეც ქართული ეროვნული ისტორიის მთელი ცათმბეჭენების დაფუძნება გახდა შესაძლებელი.

1 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ. 1889, გვ. V.

გადასული წელიწადი

სახელოვანი მწიგნობარი და მწიგნობარი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლენინური ბრძოლის ერთ-ერთი პოლიტიკის განხორციელების შედეგად, გაიზარდა, განვითარდა და დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ.

მე-19 საუკუნის მდიდარი ქართული მწერლობის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში ლიტერატურათმცოდნეობის დარგში მომუშავე მრავალრიცხოვანმა ქართველმა მეცნიერებმა და მკვლევარებმა მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს.

ახალი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის კეთილშობილურ საქმეში თავისი შევნიშვნილი-საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და მოღვაწეობით აღსანიშნავია ის დიდი ლაწილი, რომელიც მიუძღვის ჩვენს დამფუძნებელს, საყვარელ მასწავლებელს, გამოჩენილ მეცნიერსა და მკვლევარს, სახალხო განათლების უანგარო საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ პატრიოტსა და მოქალაქეს მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელს.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში, მისი განვითარების პირველი წლებიდანვე, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს პროფ. მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელის ხანგრძლივი ნაყოფიერი მეცნიერული-ლიტერატურულ-მეცნიერული-მოღვაწეობა. მისი შრომა განუყოფად არის დაკავშირებული საბჭოთა პერიოდის ქართული ეროვნული კულტურის, კერძოდ მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერულ შესწავლასა და განვითარებასთან, მდიდარი ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციის გაგრძელებასთან, მის ზალად მეცნიერულ დონეზე აყვანასთან.

მიხ. ზანდუკელის მიერ ოთხ ათეულზე მეტი წლების განმავლობაში გაწეული შრომის შე-

დეგად შექმნილი ფუნდამენტალური სამტომიანი ნაშრომი — „ახალი ქართული ლიტერატურა“ რამდენიმეჯერ იქნა განახლებული და გამოცემული და წარმოადგენს ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვან შენაძენს. აღნიშნულ ნაშრომში, ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ანალიზის საფუძველზე, მოცემულია მე-19 საუკუნის მეტად რთული ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენებისა და ფაქტების სრული სისტემატიზირებული კერძი. იგი მოიცავს მთელი საუკუნის მდიდარი ქართული მხატვრული ლიტერატურული მასალის მიმოხილვას და იძლევა ისტორიული განვითარების პროცესის ნათელ სურათს.

მიხ. ზანდუკელმა „ახალი ქართული ლიტერატურის“ საფუძველზე, რუსი მკითხველისათვის გამოცემა აგრეთვე მეორედ გადაამუშავებული გამოცემა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევისა („Очерки по истории грузинской литературы“) მანვე, საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების ისტორიის თეორიულ პრობლემებზე ხანგრძლივი შემოთბობის პარალელურად, შექმნა უმაღლესი სკოლებისათვის სახელმძღვანელო „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია“, რომელიც სამწერ გამოიცა.

ამის გარდა, ქართული მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილია მიხ. ზანდუკელის სხვადასხვა დროს გამოცემული მეტად საყურადღებო მონოგრაფიული შრომები: „თერგდალეულნი და ხალხისნები ქართულ ლიტერატურაში“, „ხალხისანი მწერლები ქართულ ლიტერატურაში“, „ეფთხ-შაველა“, „ილია ჭავჭავაძის მხატვრული ესტატიზა“, „ლიტერატურული ნარკვევების“ ორი წიგნი, „შოთ არაგვისპირელი“ და სხვ.

მიხ. ზანდუკელის შემოღობილებულ ნაშრომებში გამოყენებულია მარქსისტულ-ლენინური

მეთოდოლოგია, მაგრამ ევრ ვიტყვი, რომ ამ ვრცელ გამოკვლევებში არ იყოს სადავო დებულებები, — როგორც აკად. გ. ჯიბლაძე აღნიშნავს, — რომლებიც დაზუსტებას, დახვეწას, შესაძლოა უკუვადგასაც საქიროებდნენ. მაგრამ აქედან ეს ვი არ არის შთავარი, არსებითია დაუნალაგი შრომის შედეგად შექმნილი ფუნდამენტალური გამოკვლევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასე ნათლად რომ მოწმობენ მათი ავტორის ტალანტს, უანგარო სიყვარულს შრომელი ერისა და მისი დიდი მხატვრული შემოქმედებისადმი. ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით თითოეული ნაწარმოების ანალიზის უნარი, მეცხრამეტე საუკუნის როგორც ქართული, ისე რუსული და ევროპული ლიტერატურის ღრმა ცოდნა, მათ შორის გაბედული, ამავე დროს ორიგინალური პარალელების გაკლება... პირველად გვიწოდო ლიტერატურათმცოდნეობის ყამირი მრავალი ცოცხალი უვავილისათვის, შენს წიგნებზე აღზარდო არაერთი თაობა, რომლებიც ემსახურებინან მშობელ ქვეყანას, გამოიტანო და გამოაფინო მე-19 და მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის მრავალი მხატვრული ნაწარმოები, რომელთა მეცნიერული შესწავლაც მანამდე არაიქნებოდა, თუ არა რუსულად განსწავლავო ახალი სკოლის — საბჭოთა სკოლის არსება, მიზნები და ამოცანები».¹

შართლაც, როცა გონების თვალთ ვაფასებთ მეცნიერობას და მეცნიერის მიერ დადუცხრომული შემოქმედებითი შრომით განვლილ ნაყოფიერ გზას, შეუწყლებელია, რომ მის მიერ დიდ, კეთილშობილურ დამსახურებას მოწიწებით, პატივისცემითა და მადლობის გრძნობით არ მოვეცილოთ.

როგორც საბჭოეან წინამორბედებს — ალ. ხახანაშვილს, კიტა აბაშიძეს და სხვ., ისევე მის. ზანდუკელს თავიდანვე კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა რთულ და ძნელ საქმესთან იყო დაკავშირებული მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის შექმნა.

„მარქსისტული მეთოდის მიხედვით ლიტერატურისა და განსაკუთრებით ქართული ლიტერატურის დამუშავების ცდა ახალი საქმეა და მასთან ერთად საქმარისად ძნელი და რთული“, — წერდა მის. ზანდუკელი ჟერ ისევ ადრე, თავისი „ახალი ქართული ლიტერატურის“ პირველი ტომის პირველ გამოცემაში.²

მეკლევარ-მეცნიერის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მეცნიერების ეიწრო ბილიკებით მიმავალ გზიდან, შეუწყლებელი შრომისა და ყველადაძიების შედეგად, მის. ზანდუკელი გავი-

და ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ფართო გზაზე და ვიტანს ღრმა-წინული მე-19 საუკუნის მწერლობის მეცნიერული ისტორიის შექმნისა და ჩამოყალიბების დიდ ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეში.

საზოგადოებრივი აზრის საერთო აღიარებით, მის წინამორბედ ცნობილ „ისტორიებთან“ შედარებით, მის. ზანდუკელს „ახალი ქართული ლიტერატურა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომლითაც შეივსო მანამდე არსებული ხარვეზები და, ამრიგად, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის მთლიან ექრის უფრო თანმიმდევრული, სისტემატური ხასიათი შეიქცა, გამოუყვენებელი, უცნობი მასალით შეივსო და გაამდიდრა. „ახალი ქართული ლიტერატურის“ პირველ ტომში შესავლის სახით მოცემულია „ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საშუალებანი“. ავტორი მკითხველს ნათლად წარმოუდგენს, თუ რამდენად ძნელია და „რთულია გზა ლიტერატურის ისტორიის მასალის შესწავლა-შეკვებისა“.

„ლიტერატურული ცხოვრების მთლიანი სურათი მხოლოდ მაშინ მიიღებს მეცნიერულ სისრულეს, — წერს მის. ზანდუკელი, — როდესაც მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი ლიტერატურის სინთეტურ შესწავლას მოვახერხებთ. და ასე ყველასი და ყოველის მუშაობა საერთო ასპარეზზე მოგვეცემს იმ საჭირო მასალას, რომელზედაც ქართული ლიტერატურის ისტორია ამენდება“¹.

ამრიგად, ჩვენს ამ შრომას, წერს დასასრულ მის. ზანდუკელი, — ისე ვუფერებთ, როგორც მასალას მომავალი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, რომლისაკენაც სალიტერატურო ასპარეზზე მომუშავეთა დამომული ყურადღება მთლიანად უნდა იქნეს მიქცეული“².

თავის შრომის მომდევნო თავისი ავტორი მამობრივად „აღორძინების ზანის ქართული ლიტერატურის შემკვიდრობას“, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია, როგორც მე-19 საუკუნის მწერლობის წინამორბედი ეპოქის შემკვიდრობა.

მის შემდეგ ავტორი იძლევა ახალი, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფის მეტად მნიშვნელოვან დასახუტებას.

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მის. ზანდუკელი პერიოდიად სამ პერიოდად ყოფს: პირველი პერიოდი — 19 საუკუნის დამდეგდან — 1845 წლამდე, როდესაც ლიტერატურაში ვითარდება და ყალიბდება ქართული რომანტიზმი და მის პარალელურად რეალიზმი იყავის გზას. მეორე პერიოდი — დაახლოებით 1845 წლიდან — 1890 წლამდე, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების

¹ გ. ჯიბლაძე, ლიტერატურის ისტორიის გზებზე, თსუ შრომები, 93, 1960, გვ. 10-11.

² მის. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1956, ტ. 1, გვ. 11.

¹ იქვე.

² იქვე.

ფორმულად წარმოგვიდგება ილია ქაჯავაძის „ქართლის დედის“ ცნობილი სტროფი:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ესლიოთ ვხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მოძავალი ხალხს...

მეორე პერიოდში ზდება განმტკიცება კრიტიკული რეალიზმისა, რომელსაც ავითარებს „ურგალადელი“ მწერლები — ილია ქაჯავაძე, აყაი წერეთელი და სხვები. 60-იანი წლებიდანვე ვითარდება ლიტერატურის ახალი ნაკადი — ხალხსნერი მწერლობა (ნ. ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი, მამია გურიელი, გრ. აბაშიძე და სხვ.); ამავე დროს ჩნდება მეოთხე ჯგუფი — მეტად თავისებური ახალი პოეტური სამყაროთი — აღ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას სახლი, ავტორის განსაზღვრებით, მეორე პერიოდი საქმარისად ზანგრაღივითა და რთული; ეს შინაპერიოდებიც ახასიათებს: 1845-1870 წწ. პატონოხს ლიბერალურ-დემოკრატიულ-ურგალადელთა ჯგუფი, ხოლო 1870-1890 წწ. — დემოკრატიულ-ხალხსნერი მიმართულების მწერლობა.

მესამე პერიოდი შეიძლება 1890 წლიდან 1900-იან წლებამდე მოიქცანოთ, როდესაც საშობლავწო ასპარეზზე გამოდის ე. წ. „მესამე დასი“ — პირველი მარქსისტული ჯგუფი. „აქედან საწყისებს იღებს ახალი დროის, ახალი ცხოვრების ქიშკარის მოზღვავებული ახალი კლასის — პროლეტარიატის შესაბამისი ლიტერატურული ძვრის გამომატველი რეალიზმი, ე. წ. სოციალისტური რეალიზმი (ე. წ. ნინოშვილი, ირ. ედუიშვილი).“

ასეთია მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია, რომელიც მოგვცა მიხ. ზანდუკელია ჯერ კიდევ 1932 წელს. მართალია, მის ასეთ პერიოდიზაციას, რომელიც არ არის საფუძველს მოკლებული, ქართულ ლიტერატურაში მოცულობაში თავიდანვე უარყოფითად შეხვდნენ, არ იქნა ვაზიარებული და სადავოდ არის გამხლარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან უფროდ ხელი შეუწყო პრობლემის საფუძვლიან შესწავლას, საკითხის გარკვევა-გადაჭრისათვის მოსამზადებელ მუშაობას. ეს პრობლემა ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაუწყვეტელია მისი გადაჭრა კი საქონი და ავტობეგალია ლიტერატურათმცოდნეობაში.

მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის შესწავლა-დადგენისას, პირველ ყოვლისა, საქონია გაიკვეს მისი დასასრული, ზღვარი დაიღვას მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის მწერლობას შორის.

ამ საკითხის ირგვლივ აწ განსვენებული მიხ.

ზანდუკელი, როგორც ოპონენტი, 1964 წლის 23 სექტემბერს, სადოქტორო დისერტაციის დაცვისას, ჩვენს შრომასთან დაკავშირებით „საქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის. 1901-1920 წწ.“ შეგენიშნავდა, რომ რევოლუციური მხატვრული ლიტერატურული მასალის შესწავლისას ჩვენ მოვერბოდეთ გამოკვეთას სათანადო დასკვნა, თუ საიდან შეიძლება დაგვეწყო უახლესი, ე. ი. მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის პერიოდი, საიდან უნდა დაგვედო დაახლოებითი მიჯნა მე-19 და მე-20 საუკუნეების ლიტერატურათა შორის.

მიხ. ზანდუკელი წერდა: „წარმოდგენილ შრომაში კარგადაა მოცემული და გაანალიზებული ქართული რევოლუციური ლიტერატურული მასალა 1901-1920 წწ., რომელიც ამკარა წამყვანი უახლესი ქართული ლიტერატურული ცხოვრებისა. ეს მშვენივრადა ჩანს მთელი შრომის მანძილზე: ამას უფრო დამაჭერებლად ადასტურებს დისერტაციის დართული კრებულა 1901-1920 წლებს რევოლუციური ლიტერატურული ნაწარმოებებისა. აქ თავისთავად ბუნებრივად ისმება საკითხი — გარკვევით ეთქვათ: საიდან შეიძლება დავიწყეთ უახლესი ქართული ლიტერატურის პერიოდი — საიდან უნდა აღენიშნოთ ქართული ლიტერატურის უახლესი პერიოდის დაახლოებითი მიჯნა. შრომაში ამისათვის თითქოს ყველაფერია მჯავიოდ, დამაჭერებლად მოცემული, ვარდა დისერტანტის განზოგადებული კონკრეტული აზრისა. ეს კი საჭირო იყო.“

ეს საკითხი ასეა: ქართული ბოლშევიკური არაღვალერი აზრისა და მუშაობის მწყობრი გამოვლინება იწყება 1901 წელს. ამ წელს არსდება ბოლშევიკური ორგანო „ბრძოლა“, ამავე წელს, 22 აპრილს, მოხდა მუშათა ისტორიული დემონსტრაცია, რომელსაც ლენინის „ისკრამ“ მისცა ასეთი ტეშმირიტი შეფესება: „ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი ამიერკავკასიისათვის. ამ დღიდან კავკასიაში იწყება ამკარა რევოლუციური მოძრაობა“ (გაზ. „ისკრა“, 1901 წ. № 2). დღიად სამართლიან იქნება ოფიციალურად უახლესი ქართული ლიტერატურის დასაწყისად 1901 წელი მივიჩნიოთ. ეს უნდა მეტი გარკვეულობით ეთქვა დისერტანტს, ამაში იქნებოდა წარმოდგენილი დისერტაციის ღირებულება*.

ამას სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა პატივცემული მიხ. ზანდუკელი. მართლაც, რამ შემთხვევა ხელი ასეთი კანონზომიერი, ლოგიკური დასკვნის გამოტანისათვის? ამ საკითხზეც მჭონდა წინასწარი ვარაუდი, მოსაზრებაც, მაგრამ ჯერ კიდევ ნაადრევად მიმანდა გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანა, საჭიროდ ვთვლიდი დამატებითი მასალების შესწავლა-

1. მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი. 1, 1956, გვ. 47.

გათვალისწინებას. კერძოდ, ჩემი შრომის შემდეგი ნაწილს — იმავე პერიოდს — 1901-20 წლების ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მხატვრული ლიტერატურის შესწავლა-დამუშავების შედეგი შემეჩამებინა და შემდეგ მიმელო ვადამწვევები დასკვნა უახლესი—მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდის განსაზღვრისა და დაახლოებითი მიზნის დადგენისათვის.

მის შემდეგ, რაც მიხ. ზანდუკელმა გადაჭრით დააყენა ჩვენს წინაშე ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, წარმოდგენილ ნაშრომში, დამატებით, რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, უკვე შეიძლება ამ საკითხის გადასაჭრელად, ვარკვეული დასკვნის გამოტანა.

მიხ. ზანდუკელის მიერ წამოყენებული მოსაზრება, რომ უახლესი ქართული ლიტერატურის დასაწყისად 1901 წელი მივიჩნიოთ, ჩემ მიერ წარმოდგენილ შრომაში მოცემული რევოლუციური-მხატვრული ლიტერატურის მასალის ანალიზის საფუძველზე, სრულად სამართლიანად მოგვაჩინა.

ნათლად ჩანს, რომ 1901 წელს იწყება რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) აზრისა და მემკობის მწყობრი გამოვლინება ვახუთ „აბრძოლის“ დაარსებით, იმავე წლის 22 აპრილს მოხდა მუშათა ისტორიული დემონსტრაცია, რომელსაც ლენინურმა „ისკრამ“ იღუერი შეფასება მისცა „ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი ამიერკავკასიისათვის. ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“ (გაზ. „ისკრა“, 1901, № 12).

ლიტერატურული კვლევა-ძიების ყველა მონაცემით, სრულად სამართლიანი იქნება დადასტურება, რომ უახლესი — მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის დასაწყისად 900-იანი წლები მივიჩნიოთ, ამ დროიდან, ი. ევდოშვილის შემდეგ, სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობას იწყებენ: კ. ლომთათიძე, ნ. ჩხიკაძე, ვ. რუხაძე, შემდეგ მთელი პლეადა ახალგაზრდა მკონწეების: სოლომონ გოშაძე, ანდრო შანშიაშვილი, ნიკე ზომლეთელი, ალ. აბაშელი, გიორგი ტერეშვილი, სოლომონ თაყაიძე, ა. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე და სხვ.

მიხ. ზანდუკელის შრომებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული პერიოდების მიხედვით (1801-1845 წწ., 1845-1890 წწ.; 1890-1900 წწ.) ახალი ლიტერატურის ეპოქათა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობის სისტემატიზირებული გრძელი მიმოხილვები, მათი დახასიათება, მიღწევები, ამასთან ერთად წარმოდგენილია რუსეთის საზრგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ძირითადი მიმართულებანი.

ამ საერთო, ზოგადი საკითხების ვარკვევა-განხილვის შემდეგ, მეტად საყურადღებოა რომანტიზმისა და მისი ძირითადი მოტივების, საერთოდ, და კერძოდ, ქართული რომანტიზმის განვითარების ხელშემწყობი პირობების ვარკვევა, დახასიათება. ევროპული, და რუსული მასალების ვრცელი, ურთიერთმედარებითი მეცნიერული ანალიზის გზით შეკვლევარმა მოგვცა ახალი დაკვირვებები და დასკვნები. ფეტრმა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოგვიდგინა ალექსანდრე პავლევიჩის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლაზ ბარათაშვილის, იოანე ბაგრატიონის, სოლომონ დოდაშვილის, სოლომონ რაზშვილის, გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ივანე კერესელიძის, ალექსანდრე ორბელიანის, გრიგოლ რჩეულიშვილის, მხეილ თუმანიშვილის მოღვაწეობა და შემოქმედება.

მიხ. ზანდუკელმა მეცნიერული სიღრმითა და გატაცებით, ასევე სრულად გააშუქა ქართველი ხალხოსნების — მიხეილ ასათიანის, ნიკო ლომოურის, ზაქარია გულისაშვილის, სოფრო მგალობლიშვილის იოსებ დავითაშვილის, დიმიტრი ნაღიჩაძის (მაჩხანელის), ანტონ ფურცელაძის, ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობა-შემოქმედება.

ქართველი ხალხოსნების მხატვრული შემოქმედება, ისტორიული ასპექტით, კრიტიკულად არაის ისე ფართოდ არ განუხილავს, როგორც პროფესორ მიხეილ ზანდუკელს. მან ვრცლად მიმოიხილა აგრეთვე ხალხოსნების გენეზისი როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, დაწვებული 60-იანი წლებიდან! — წერს ავად. გ. ჭიბლაძე.

შეკვლევარმა ასეთვე გატაცებითა და ინტერესით შეისწავლა და მონოგრაფიული სისრულით გააშუქა ლაერენტი არღაზიანის, დანიელ ჭონქაძის, ილია ჭავჭავაძის, ავაკი წერეთლის, რადიუქ ერისთავის, გიორგი ქალაღიდელების (ქობაკოების), გიორგი წერეთლის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და შემოქმედებისათვის გზა.

ამასთან ერთად, მან გულდასმით განიხილა თერგდალეულები, „მამათა“ და „შეილოთ“ მსოფლმშედეგობა და მათი ბრძოლის ხასიათი, თერგდალეულთა პოზიტიური შეხედულებანი, მათი დამოკიდებულება ეროვნული საკითხებისადმი, ბატონყმობისადმი, თერგდალეულთა მსოფლმშედეგობის რღვევა, მისი მიზეზები და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, მიხ. ზანდუკელის მონოგრაფიული შრომა — „ილია ჭავჭავაძის მხატვრული ისტორია“, სადაც მოცემულია მწერლის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მამათაყარისა და მოქალაქის ნათელი სახე, მისი შემოქმედების

1. გ. ჭიბლაძე, ლიტერატურის ისტორიის გზებზე, თსუ. შრომები, 93, 1960, გვ. 20.

იგაერო ენა, მხატვრული კომპოზიციის საკითხები ცალკეულ თხზულებათა („ანარდლი“, „ქართლის დედა“, „რამდენიმე სურათი ანუ ენზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაბიბობი“, „საკაცა აღამაინი?“, „სარჩობელაზედ“, „განდევლი“, „ოთარანთ ქვრივი“) განხილვის საფუძველზე, მწერლის შემოქმედებაში პერსონაჟთა ხასიათის გახსნის საშუალებანი, პოეტური ლექსიკონათვის (პოემა „განდევლის“ მიხედვით), ილია, როგორც სატირაქოსო.

ავტორის თვალთახედვისა და კვლევის არე სწვდება მე-19 საუკუნის მთელი მწერლობის განვითარების ისტორიას, ლიტერატურის თეორიის რთულ და მეტად საინტერესო პრობლემებს. ამასთან ერთად, იგი არ ივიწყებს და არაკვევს ქართული ლიტერატურის მეთოდოლოგია და დიდაქტიკის მნიშვნელოვან საკითხებს.

„ახალი ქართული ლიტერატურისა“ სამტომეულის გარდა, პროფ. მიხ. ზანდუკელი ცალკე „ლიტერატურული ნარკვევების“ ორტომეულში შეისწავლის მივიწყებული ან ნახევრადმივიწყებული მწერლების ლიტერატურულ მემკვიდრეობას და არაკვევს მათ ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ესენია: ვახტანგ ორბელიანი, მამია გურიელი (ფახელი), გრიგოლ აბაშიძე; კოტე მაყაშვილი, ბაჩანა, მისი მშა თედო რაზიკაშვილი.

მიხ. ზანდუკელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გენიალური ქართული პოეტისა და მწერლის ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის მონოგრაფიულად შესწავლის საქმეში. მან თავის შრომაში „ვაჟა-ფშაველა“ გააშუქა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები: ვაჟა-ფშაველა და ქართული კლასიციური ლიტერატურა, ვაჟა და 1905 წლის რევოლუცია, გმირის (კაი ყვის) სახე, სიცოცხლე და მისი „ტრაილის“ კანონი, თემი და პირთვნება, ვაჟას თანამედროვე სოფელი და მისი მოსახლეობა საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე აწმყოსა და მომავალში, ვაჟა და ქართული ხალხური შემოქმედება, ვაჟას პოეტიკის ზოგირთი საკითხი და სხვ.

აღნიშნული საკითხების ღრმა შეცნირული ანალიზის შემდეგ მკვლევარი ბოლოსიტყვაობაში წერს: „...ვაჟა-ფშაველას შემოქმედება და მოღვაწეობა, მისი შემოქმედების პოეტური ხერხები და პროცესი, მისი პიროვნების ბუნება რთულ და მეტად საკულისხმიერო ძიებისა და კვლევის უშრეტო წყაროა. ჩვენ კარგად ვგრძობთ, რომ კიდევ ბევრი რამ შეიძლება გვეთქვა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ღირსება-თავისებურების შესახებ, მაგრამ რა დალევს მასში ჩაქსოვილ ზღვა აზრებსა, განედებსა და პოეტურა ქმედების თავისებურ წარმტაცს, მდიდარ ხერხებს“¹.

მკვლევარს შეესწაველი არ დატოვებია ქართული ლიტერატურისათვის საინტერესო მწერლების — ბაჩანასა და თედო რაზიკაშვილის შემოქმედებაც. ბაჩანასა და თედო რაზიკაშვილის ცხოვრება და შემოქმედება განხილულია მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოებრივ და ესთეტიკურ იდეალებთან და ვაჟა-ფშაველას გენიალური შემოქმედების მასაზროლებელ წყაროსთან, მთის ხალხური სიტყვიერების ცხოველყოფელ ძალასთან ახლო, განუყრელ ურთიერთკავშირში.

მიხ. ზანდუკელმა ნათლად გვაჩვენა, რომ ბაჩანამ, როგორც ნიქიერმა პოეტმა, ავვისაბა თავისი ეპოქის ტიპიულება, ჩვენი შრომელი მასების უმწურო ეკონომიერი და უფლებო მდგომარეობა. „შრომელი მასების გაუტანელ პირობაში მწერალი ხედავს იმედს, რომ ხალხი გაერთიანებული ბრძოლით ძველ ქვეყანას დაანგრევს, და ახალს, ბედნიერ მომავლს შექმნის“. სწორედ „ამაშია ბაჩანას შემოქმედების დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობა“².

„თედო რაზიკაშვილის სამწერლო მოღვაწეობა, — ავტორის აღნიშვნით, — უფრო მეტი სიღრმითა და სიფართოვით მხატვრულ პროზაში გამოვლინდა. ქართული ხალხური ზეპირ-შემოქმედების ყარგი და გულისხმიერი შემკრები, ზედმიწევნით მკოდნე ბავშვის ბუნებისა და მისწრაფებისა... აღლოიანი აღმზრდელი თედო რაზიკაშვილი შეიქმნა ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი“³.

„ნარკვევებშია განხილული და მონოგრაფიულად ჩამომდგენილია, ავრეთვე, ეგნატე ნინოშვილისა და დავით კლდიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. ამ ორი მწერლის დიდი დამსახურებისა და შემოქმედების განხილვისას, 90-იანი წლების საზოგადოებრივ-ისტორიულ განვითარებისა და ლიტერატურული მოკლენების ასხნას ავტორი მეცნირული დავირვებითა და მთელი სიღრმით იძლევა.

ამის გარდა, ავტორმა შიო არაგვისპირელს უძღვნა ცალკე მონოგრაფიული შრომა, რომელშიც, ცნობილ მასალებთან ერთად, გამოყენებულია დღემდე უცნობი საარქივო დოკუმენტები.

ამრიგად, მომხილული მასალებიდან ნათლად ჩანს ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმკოდნეობაში მიხ. ზანდუკელის დამსახურების ერთობ დიდი მნიშვნელობა, იგი „ქართული მეცნირთა იმ ზღაწეის მოკეთებება, — წერს

¹ მიხ. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1953, გვ. 375-376,

² მიხ. ზანდუკელი, ლიტ. ნარკვევები, ტ. 11, 1961, გვ. 77.

³ იქვე, გვ. 10.

აქედ. გიორგი ჯიბლაძე, — უნაგაროდ რომ ემსახურება ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატური კერძის შედგენას, საერთოდ ქართველოლოგიის შეუჩერებელ წინსვლას. ორმოცე წელი ამდიდრებს როგორც მე-17 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას, ისე პედაგოგიურ მეცნიერებას ახალი გამოკვლევებითა და მონოგრაფიებით. მზის სინათლეზე გამოაქვს ჩვენი მწერლობის მრავალი მიუწყებელი თუ არქივის მტკვრით დაფარული ძეგლი, და ყველაფერში აქსოვს სიყვარულს, როგორც აღამიანი, მოქალაქე, პედაგოგი და მეცნიერი-მკვლევარი.¹

დიდა მის. ზანდუკელის დეაწლი და დამსახურება ქართული პედაგოგიის, მეთოდისა და განსაკუთრებით საბჭოთა სკოლის წინაშეც. იგი ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქართველი ინტელიგენტთა შორის, რომლებიც გულწრფელად ჩაუდგნენ სათავეში ახალი, საბჭოთა სკოლის მშენებლობის საქმეს და არსებითად გარდაქმნეს იგი.

1921 წლიდან მის. ზანდუკელი განაგებდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის საშუალო და უმაღლესი სკოლის მთავარ სამმართველოს და უშუალოდ ხელმძღვანელობდა განათლების რეფორმებს საქართველოში.

1921 წლიდან 1929 წლამდე მის. ზანდუკელი თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის გამგედ და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა. იგი

მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა მომავალი თაობის აღზრდას, ეყრდნობოდა ნიშნავი, განათლებული პედაგოგების მხარეში თავის გარშემო შემოიკრიბა ცნობილი გამოცდილი მასწავლებლები და წარმატებით უძღვებოდა ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისა და აღზრდის საქმეს.

1929 წელს მის. ზანდუკელი დოცენტის წოდებაზე დაამტკიცეს, ხოლო 1936 წელს მან წარმატებით დაიცვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება მიენიჭა.

1933-1942 წლებში მის. ზანდუკელი თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრას განაგებდა, ხოლო 1939 წლიდან 1942 წლამდე მუშაობდა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად.

მის. ზანდუკელს დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული საქართველოს სხვადასხვა პედაგოგიურ და სამეცნიერო ინსტიტუტების საქმიანობაში. იგი ლექციებს კითხულობდა სამწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტში, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ახალი ქართული ლიტერატურის სექტორს, კითხულობდა ლექციებს და ხელმძღვანელობდა ასპირანტებს ქუთაისისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

მისი სახელი სამარადისოდ დარჩება ქართული მწერლობის ისტორიაში, მაღლიერი ქართველი ხალხის, მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა გულში, როგორც სიმბოლო კაცთმოყვარეობისა და მშობლიური ხალხის წინაშე უანგარო მოღვაწეობისა.

¹ გ. ჯიბლაძე, ლიტერატურის ისტორიის გზებზე, თსუ შრომები, 93, 1960 წ.; გვ. 6.

პირი „რეზინის“ გეო

„ნათობის“ 1971 წ. მე-10 ნომერში გამოქვეყნდა ნოდარ ლომოურის რეცენზია „წიგნი პრინციპული ხასიათის შეცდომებით“. იგი შეეხება „ნაქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რედაქციის I ტომს, კერძოდ მის იმ ნაწილს, რომლის ავტორიც მე ვარ.

რეცენზიის ფურცლებიდან წამომართა ბორტომქმედებათა მთელი წყება, რომელთა ჩამდინიე თურმე მე ვყოფილვარ. საკუთარი ბორტომქმედების ამ სურათმა თავდაპირველად ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ, მარჯ ტვენი ცნობილ მოთხრობაში „როგორ მიჩვენდნენ გუბერნატორად“ აღწერილი სიტუაციის მსგავსად (როდესაც გუბერნატორად წამოყენებული მარჯ ტვენი ვაზეთებმა ყველა შესაძლო ბორტომქმედებაში „ამხილეს“), მეც ვაპირებდი ბრძოლის ველის მიტოვებას. მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე, იმისათვის, რომ შეველოთ იაფფასიანი დემოგოგია მეცნიერული კრიტიკისაგან გაჯარბით, ობიექტური მკითხველისათვის ჩემი აზრიც მომხსენებინა იმ „პრინციპული ხასიათის შეცდომების“ შესახებ, რომლებიც თურმე ასე უხედავ ყოფილა დასახელებულ წიგნში.

1. შენიშვნების პირველი ნაწილი შეეხება ქართულთა წარმომავლობის პრობლემას (რეცენზია, გვ. 175-177). ნ. ლომოური პირდაპირ ვერ ამბობს, მაგრამ ცდილობს მკითხველს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ მე ქართველთა ავტოხონობის (ადგილობრივობის) წინააღმდეგ ვილაშქრებ (რეცენზია, გვ. 175). წიგნში ბ. კუფტინის შესახებ ნათქვამი მაქვს, რომ იგი ცდილობდა არქეოლოგიური საბუთიანობა მოეტანა საქართველოს ტერიტორიაზე კულტურის განვითარების

ბის უწყვეტობის დასამტკიცებლად; მართალია, ეს საბუთიანობა ყოველთვის არ იყო დამაჯერებელი, მაგრამ იგი ამ იდეას მაინც დიდი თავგამოდებით იცავდა. ამაზე შევნიშნავ, რომ მიაბასეთი თავგამოდება მნიშვნელოვანწილად ნ. ბარის მოძღვრებით გატაცების შედეგი იყო, რომელშიც წყულო-ყრუღვას მისცა „ვიგარციების ბურჟუაზიული თეორია“ და მას ადგილობრივ განვითარების იდეა დაუპირისპირა („ნარკვევები“, ტ. I, გვ. 335). ვინც ოდნავ მაინც იცნობს 30-იან-40-იან წლებში ჩვენს არქეოლოგიურ მეცნიერებაში არსებულ ვითარებას, და თვით ბ. კუფტინის — ნ. ბარის იდეების ამ კეთილთაყვანისმცემლის შემოქმედებას, მას არც ერთა წუთით არ შეიძლება ეჭვი შეეპაროს ჩვენი ნათქვამის სისწორეში. მაგრამ ნ. ლომოური „გულბრყვილოდ“ კითხულობს: „მამ როგორ ვაფიგოთ, ქართველთა ავტოხონობისა და საქართველოს ტერიტორიაზე კულტურის უწყვეტი განვითარების თეზა მოხსნილა?“ (რეცენზია, გვ. 175). ვისაც ამისი სურვილი აქვს, გავუბასულ ადვილად შეიძლება. აქ ლაპარაკია ბ. კუფტინის არქეოლოგიური საბუთების არადამაჯერებლობაზე ზოგიერთ შემთხვევაში, აქ ლაპარაკია იმ წყაროზე, რომელიც გარკვეულად შთავიგონებდა ბ. კუფტინის ამ პოზიციას. რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამას საერთოდ ჩემს დამოკიდებულებასთან ქართველთა ავტოხონობის იდეისადმი? ვინა ნ. ლომოური წიგნში ვერ ამოიკითხა ამის შესახებ უფრო ნათლად, რომ მკითხველს არ შეელოდა? მე დეკლარაციებით კი არ ეტყვირთვ წიგნს, არამედ კონკრეტულ იმასალა მომაქვს იმის საჩვენებლად, რომ უკვე იმ ეპოქაში, სადამდეც შეიძლება მიგვიყვანოს ქართველური ენების უძველესი ლექსის ანალიზმა, ქართველ ტომთა ადგილსამყოფელი კავკასიისავე მიწა-წყალზეა საფარულდებული

1 წერილი იმეჭება ავტორის მიერ წარმოადგენილი უძველესი სახით, რე დ.

(გვ. 339); საუბარი მაქვს, ასევე კონკრეტული მასალის სადებელოზე, ამ უძველეს ხანაში ცალკეული ქართული ტომების განსახლებაზე (გვ. 340-341); ვასკენი, რომ ამირივიდ, ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ „ქართველთა ტერიტორიაზე“, თუმცა მათ ნაწილობრივ მცირე აზიის ზოგი რაიონიც უნდა ჰქონოდათ დაკავებული (გვ. 341-342) და ა. შ. და განა ჩემი აზრი, ამ საკითხზე ასევე ნათლად არ არის გამოთქმული წიგნის 356-ე გვერდზე: „არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემებიც... გწერ მე, — ლაპარაკობენ უძველესი დროიდანვე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის ერთიანად შეცვლის წინააღმდეგ და კულტურისა და ანთროპოლოგიური ტიპის მზრის ფაქტურს შემკვიდრებულ კავშირს ამ მზარის უფრო გვიანდელ და უფრო ადრინდელ მოსახლეობას შორის“.

ამაოდ ცდილობს ნ. ლომოური ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალის უგებლებელყოფა დამატარლოს და მხოლოდ ენობრივ მასალაზე დაყრდნობა მისაყვედურის (რეცენზია, გვ. 175). ზემოთქმულიც მოწმობს, რომ მე პრობლემას ვამყებებსას სათანადო ანგარიშს ვუწევ ჩვენი არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური შეცნობების მონაცემებს, მაგრამ მპაატოს რეცენზენტმა თუ ამ ორიოდ ფაქტს, რასაც იგი აღტყვებს იმ მოწყაეს, ისე დიდ როლს ეგრ მინაინებ და ასე ადვილად ეგრ გამოვიყენებ ეთნოგენეტიკური საკითხების გადაწყვეტისას. არქეოლოგიური მასალის გამოყენება დიდ სიღრმისაღის და ფაქტს ანალიზის მოითხოვს — კულტურისა და ენობის გაივივება ზეღაღებთა შეუქლებელია, ჩვენი არქეოლოგიური მასალის შესწავლის დღეანდელი დონეც სწორად საბასუხისმგებლო დასკვნების გაკეთებას შეუქლებელს ხლას. მე პირდად დღეისათვის უფრო მრავლისმომქმელად ვთვლი სწორედ იმ ენობრივ მონაცემებს, რომლებითაც წიგნის „გადატვირთვა-დამამბებას“ ასე აუღლებია ჩვენი რეცენზენტი. იგი ჩივის, რომ ენობრივი მასალის ეს ანალიზი (იგი მას, მისთვის ჩვეული სითამამით, „ლინგვისტიკური ვარჯიშობას“ ექახის, გვ. 175) „ძნელი ვასაგებია“. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ „თანამედროვე ლინგვისტიკაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხია სადავო“. ეს შეეხება ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეოთხდს, მის გამოყენებას ქართველური ენების დიფერენციაციის პროცესის დასაბარებლად და სხვ. (რეცენზია, გვ. 176). წიგნში მე ამ საკითხზე გარკვეულ თვალსაზრისს ვიყავ, ამავე დროს მას ვამყარებ არა მარტო გლოტოქრონოლოგიაზე, არამედ აუღტურულ-ისტორიულ რეაღებზე, და ამიტომაც, რომ უპირატესობას ვაძლევ ამ პროცესის გარკვეულ დათარიღებას — კერძოდ ძვ. წ. II-I

ათასწლეულებში გვარაუდობ ჯერ სენსორის გამოყოფას საერთოქართველურებიდან, ხოლო შემდეგ თით ქართულ-ზანურ-განხილვას სწავლას (გვ. 340-341). ტუუილდ... გვამბობს ნ. ლომოური თავის საყუთარ იდეას, რომ „ძვ. წ. II-I ათასწლეულში მიმდინარე პროცესები... უფრო მეტად სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაციის (დაახლოება-შერწყმის) პროცესს გვაგარაუდებინებენ, ვიდრე დიფერენციაციისა“ (რეცენზია, გვ. 176). ნათქვამი ვარგად ვეიჩვენებს ჩაოდენ არაბეალური წარმოდგენა გაანია ჩვეს რეცენზენტს ამ ეპოქაზე — ინტეგრაციის პროცესები ამ დროს მიმდინარეობს გარკვეულ ფარგლებში. იგი სრულიად არ გამოირიხებას უკვე ჩასახული ენობრივი და სხვ. განსხვავების გაღრმავებას მონათესავე ტომთა ცალკეულ ჯგუფებს შორის. ჯერ ტომთა კავშირებისა და შემდეგ სახელმწიფოების ჩამოყალიბება მიღის გარკვეული ჯგუფების ფარგლებში, ხოლო ინტეგრაციის პროცესები ისეთ დიდ ჯგუფებს შორის, როგორიც არიან ქართველი, მეგრულ-ჯანები, სვანები, პრეველირების იწყებენ უფრო გვიან ეტაპზე. ნ. ლომოური მეტად აუბრალოებს საერთოდ სწორ დებულებას, რომ პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის გვიან ეტაპზე ინტეგრაციის პროცესები ზღვრიან წამყვანი, სრულიად უაღვილოდ ცდილობს ისეთ საკითხზე თავისი ავტორიტეტული სიტყვის თქმას, რაზეც მას, ჩანს, საქამოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გაანია.

ახლა ცალკეული ინდოევროპული, წინააზიური ან ჩანურ-დაღესტური ტომების კონტაქტების შესახებ ქართველ ტომებთან ამ უძველეს ხანაში, რასაც ასე აღუშფოთებია ჩვენი რეცენზენტი (რეცენზია, გვ. 175-176). ეს სულაც არაა გამოგონილი პრობლემა, რომლის ერთი ხელის მოქნევით მოშორება ისე ადვილად შეიძლებოდა, როგორც ამას ცდილობს ჩვენი რეცენზენტი. ჯერ კიდევ საერთოქართველური ფუძე-ენის არსებობის დროს (ძვ. წ. III ათასწლეული), ხოლო შემდეგ მომდევნო II-I ათასწლეულებში; ქართველური ენების ლექსიკაში შესული ჩანს არაერთი ინდოევროპული წარმომავლობის სიტყვა, რაც ამ ეპოქაში ქართველ ტომთა ინდოევროპულ ტომებთან კონტაქტს, კიდევ უფრო მეტი — ზოგიერთი ინდოევროპული ტომის ქართულ მეტყველებაზე გადასვლას შეიძლება მოწმობდეს. ასევე, როგორც ცნობილია, არა ერთი მეტად მკაფიო ურარტული ლექსიკური ელემენტი დადასტურებულა ქართველურ ენებში. და ბოლოს, ჩვენი ენათმეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი ქართულ ენაში (აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მეტყველებაში) ვეინახურ-დაღესტური სუბსტრატის არსებობა, რაც ავ-

რთვე ქართულ და ჩანურ-დაღესტნურ ტომებს შორის უძველეს კონტაქტებზე შეტყუვლებს. როგორ, სად ხორციელდებოდა ეს კონტაქტები? ჩვენი რეცენზენტის ავტორიტეტულ მოთხოვნებს თუ დაუფერებთ, ჩვენ საერთოდ ტყუილად ვიწუხებთ თავს. მას ქართულ ენაში არც ასეთი უცხო ელემენტების არსებობა სურს—ყოველ შემთხვევაში მათ ყურადღების ღირსად არ თვლის. იგი, ჩანს, ზმდენად დარწმუნებულია, რომ კარგად იცის, რა უნდა ყოფილიყო იმ უძველეს ხანებში (ე. ი. საერთოდ არაფერი არ უნდა ყოფილიყო, არაგანაც ჩვენი ისტორიის მისებურ ვაკეებში არაფერი ამის მსგავსი არ სჭირდება!), რომ დღეად არ იწუხებს თავს საწინააღმდეგო არგუმენტაციის მოტანით. მაგრამ თუ საკითხს სერიოზულად შევხვდავთ, უნდა ვლიანობს, რომ დასახელებული ენობრივი ფაქტები ახსნას, ისტორიულ ინტერპრეტაციას საჭიროებენ. ასეთი ინტერპრეტაცია კი სხვაგვარი არ შეიძლება იყოს, ვიდრე წიგნშია წარმოდგენილი. რამდენადაც ქართული ეთნოკური გვუფის ცხოვრება უძველესი ხანებიდან ჩვენი მიერ კავკასიის მიწა-წყალზეა ნაეპაუდღეო, აღნიშნული კონტაქტების არც ეს ტერიტორია უნდა იყოს.

ახლა მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემისა და ზოგიერთი წინააღიერი (ხურიტული) ტომის შემოღწევის შესახებ, რასაც აგრეთვე შეიძლება ჩვენი რეცენზენტი (რეცენზია, გვ. 176). ეს მოსაზრება ემყარება არქეოლოგიური და ძველდღისმცოდნეობის წერილობითი წყაროებით დამოწმებულ რვა კულტურულ-ისტორიულ რეალებს, რასაც უერთდებოდა შიქვა რიგობრივ ჩვენ არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე, განსაკუთრებით, არა ერთი გამოჩენილი საზღვარგარეთელი არქეოლოგის მიერ, რომელთა კვლევა-ძიების შედეგები ფართოდაა გათვალისწინებული წიგნში (არქეოლოგის თაყვანისმცემელ ჩვენ რეცენზენტს, რა თქმა უნდა, არც ჩაუხვდება აღნიშნული არქეოლოგების დასახელებულ ნაშრომებში მაშინ, როცა არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებლობას ჩვენ ვეციტივებთ!).

იმის შემდეგ, რაც იქვეა ქართულთა ეთნოგენეზის საკითხზე რეცენზენტის მიერ წიგნში „გამოვლენილი“ „პრინციპული ხასიათის შეცდომების“ შესახებ, არ შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ რეცენზენტის პრეტენზიული დასკვნა, თითქმის ის, რაც ამ საკითხზეა აქ ნათქვამი, „ვირ ასახავს ქართული ისტორიული მეცნიერების თანამედროვე დონეს და ვერ ხსნის ამ პრობლემას უახლესი მეცნიერული მოთხოვნების შესაბამისად“ (რეცენზია, გვ. 177).

2. მომდევნო „პრინციპული ხასიათის შენიშვნა“ — კოლხეთის სახელმწიფოს ხასიათის შესახებ (რეცენზ., გვ. 177) — ჩემთვის მართლაც ახალი არ არის. ნ. ლომოური-რიგობრივი თვით აღნიშნავს, კარგა ხანია უქმყოფილებს გა-

მოთქვამს ჩემი მოსაზრების გამო ამ საკითხზე და ასევე კარგა ხანია მაკვირვებს, რატომ არ იხენს არავითარ სერვილს ნაგარში კავკასიის მეტად მკაფიო ისტორიულ ფაქტებსა და წყაროთა ჩვენებებს. ჩემი მოსაზრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ანტიკური ხანის კოლხური სახელმწიფო პოლიტიკურად შედარებით სუსტი იყო. ვარადა მეზობელი დიდი სახელმწიფოებისა, რომელნიც ადვილად ახერხებდნენ მასზე კონტროლის დაწესებას, დიდ როლს ასრულებდა ის, რომ ამ სახელმწიფომ ვერ შესძლო ეფექტური კონტროლის დაწესება მეზობელი (სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის) მთიანეთის შედარებით ჩამორჩენილ, პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში მცხოვრებ თეომატ მოსახლეობაზე და ხშირად ამ მთიელთა მოქალაქის ასპარეზი ხდებოდა. ვინც იცნობს ძველი კოლხეთის შესახებ ანტიკური ხანის ავტორების, განსაკუთრებით სტრაბონისა და არიანეს ცნობებს კოლხეთის შესახებ, ძნელია ამ დასკვნამდე არ მივიღოს, როგორც კონტრასტს ხელდავს, მაგალითად, სტრაბონი ლეგენდარულ ძლიერ კოლხეთსა („აეტის დროინდელ კოლხეთსა“) და ამის შემდგომი ხანის დასუსტებულ (სკეპტუბიზმად დაყოფილი) კოლხეთს შორის! თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი), — წიგნის სტრაბონი, — ცხადყოფენ ამას მოთები, რომლებიც მოგვიტყობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მილიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიესეს (ლაშქრობაზე). ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუბიზმად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ხელისუფლება: ხლო არაფრავა მითრიადატე ეგპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა...“ (წ. XI, თ. 2, 18). მითრიადატეს დაცემისა და რომის ძალაუფლების დაყარების შემდეგ ფართოდ გავსნათ გზა ბარსიანე მამალებასათვის როგორც კოლხეთის ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ მთიანეთში მცხოვრებ ტომებს. კოლხეთის ბარის რაიონებში ჩნდება ახალი სატომო სახელწოდებები, ყალიბდება ახალი გავრთიანებები, შეიქმნევა მათ მიერ დავალებულ ტერიტორიათა საზღვრების ხშირი ცვლილება და ა. შ. ყველაფერი ეს მკაფიოდ ვლინდება იმავე სტრაბონისა და, აგრეთვე, არიანეს ცნობების მიხედვით. მთიელთა ამ მოძალუნაზე დაწერილებით არის საუბარი კისლინის დრეკელ წერილში პენიოხთა შესახებ და არა ერთ სხვა ავტორთან. ყველაფერი ამის შესახებ ლაპარაკია „ნარკვევების“ I ტომშიც (გვ. 478 შმდ.), რის გამოც დეტალურად ამაზე სიტყვის გაგორება აქ, ვფიქრობ, საჭირო არ არის, ჩვენი თქმა, რომ განვითარებული კოლხური სახელმწიფოებრიობის კერა „უნძულს“ წარმოადგენდა ჩამორჩენილი, პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში მცხოვრებ ტომების „ოკიანეში“, რა თქმა უნდა, ფიგურა-

ლერი გამოთქმა და ზედმეტია ამ „უნებელ-ისა“ და „ოკეანის“ ზუსტი გაზომვა, როგორც ეს რუკაზე დახედვით მოუხდენია ნ. ლომოურს (რეცენზია, გვ. 177). ამგვარი გამოთქმები არა მარტო არაა ლერი, არამედ ძალის მხრის დამორსისპირებისაც შეიძლება გამოხატავდეს. დაბოლოს, არის კიდევ ერთი ვარაუზი, რისი გათვალისწინებაც უცილობელს ხდის ანტიკურ ხანაში კოლხური სახელმწიფოებრიობის ჩვენებურ შეფასებას. თუ არა კოლხეთის სახელმწიფოს შედარებითი სისუსტე და იბერიის უფრო მეტი სიმტკიცე, უფრო მეტი მონოლითურობა ანტიკურ ხანაში, კოლხეთში საკუთარი მთელუბისა და დიდი უცხო სახელმწიფოების მოხალეობა, ხოლო იბერიის სამეფოს მიერ მტკიცე კონტროლის დამყვება მოახდინა წარმატებით? კიდელი დიდ სახელმწიფოებთან, გაუგებარი იქნება ერთიანი ქართული ხალხის ჩამოყალიბების პროცესში აღმოსავლურ-ქართული სამყაროს წამყვანი როლი, რომელიც სწორედ ანტიკური ხანიდან იგრძნობა. ამას სხვა საფუძველი ძველია დამტკიცდეს. რეცენზენტის სტრიკული მუდამ ერთიანი, ძლიერ და ავღვებულ კოლხეთს ზედადებს — დიდად შესაქვია, მაგრაჰ, სამწუხაროდ, ისტორიულ უნარმწიფაღესთან, როგორც ჩანს, შინადადამაინც დიდი კავშირი არ უნანს.

3. მომდევნო შენიშვნაში რეცენზიის ავტორი უკმაყოფილება გამოთქვამს კოლხეთის საზღვრით არაატიკურ ხანაში ბერძნული ახალშენების არსებობის თვალსაზრისის გამო (რეცენზია, გვ. 177-178), ვიწყუნებს საქციელს, რომ ამ ქალაქების ხასიათის შესაბამისად არსებული ორი მისაზრებიდან მე იმას არ ვემბრობი, რომელსაც რეცენზენტი აძლევს უპირატესობას (გვ. 178). საკითხი ეტება იმას, ივენენ თუ არა ეს ქალაქები ბერძნული ახალშენები, თუ ისინი წარმოადგენდნენ ადგილობრივ საქალაქო ცენტრებს, რომელთა გვერდით აღმოცენებულ იყო მხოლოდ ბერძნული სამოსახლოები ნათესადგურებით, ე. წ. ემპორიონებით. ამ საკითხზე ჩვენის სპეციალისტები დავობენ, მაგრამ მე მიმანია, რომ ჭეჭრებით საკითხის გადასაწყვეტად მასალა კიდევ მეტრება, ამიტომაც უოველგვათი მიკვრიბების ვარაუზი ვაღმოდებთ ვითარებას: დასავ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ ბერძნულ ქალაქებს, — ნათქვამია წიგნში, — არსებობდა უხდებოდათ მნიშვნელოვან განსტავებულ ვარაუზში: სოცი-ალურ-ეკონომიური და კულტურული ვანეთარების დონით აქტური მოსახლეობა ბერძნულ უფრო წინ იდგა, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შეიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობა. ეს უნარსწინელი უცილობელად ვერ ისევ ვვარაუდნული წყობილებების პირობებში ცხოვრობდნენ მაშინ, როდესაც დღევანდელი დას. საქართველოს მიწა-წყალზე უკვე აღბეჭდვასობრივი საზოგადოება და სახელმწი-

ფი არსებობდა, აქ იყო ადგილობრივი საქალაქო ცენტრები, მაღალ დონეზე იდგა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტყვანეობა: და ხელოსანობის ბევრი სხვა დაზრდა...განყოფილებული იყო ვაჭრობა. ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური და ეთნიკური კონსოლიდაცია უკვე საკმაოდ შორის იყო წასული. არსებული ადგილობრივი კოლხური ვაჭრობიანება, ჩანს, საკმაოდ ძლიერი იყო, რადგანაც სპარსეთის აქემენიდმა მეფეებმა მისი უმუქლო დამორბილება და თავისი იმპერიის შემადგენლობაში შეყვანა ვერ შეძლეს... (შედადრეთ როგორ ჰგავს ჩემს მიერ დახატული კოლხეთი იმას, როგორც წარმოედგინა თურმე აქამდე ნ. ლომოურის ძველი კოლხეთი და რასაც თურმე ჩემი „ქვემოქმედებისა“ და „ოკეანის“ თეორიით მესრს ვავლებ! (იხ. რეცენზია, გვ. 177). რას შობიბისპირებს საკუთარ აზრებში ვახლართული რეცენზენტი? ნუთუ ჩემ საკუთარ მოსაზრებებს კოლხეთის შესაბამისად? ვანავარაზო ციტირებას „ნარკვევების“ იმივე ადგილიდან: „ამიტომ ვახლავებო, რომ აქ შექმნილია ბერძნულმა სამოსახლოებმა რამდენადმე დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი როლის შესრულება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ შეძლეს. პირიქით, ისინი აღბნა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის ძლიერი ვავენის ქვეშ მოქმედენ და ვადაქციენ მის საეჭაო ცენტრებად... ის, რაც მოპოვებულია ამ ქალაქების შიდაობებიდან, მკვლევართა აზრით, თვალნათლივ მიუთითებს ბერძნულთან ერთად ადგილობრივი კულტურული და ეთნიკური ტრადიციების შატარებელი ვლამენტის სიმდიერეს. ეს ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ თვით ამ ქალაქების გეონომიური და პოლიტიკური ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი მოსახლეობა ასრულებდა. ისინი არ წარმოადგენდნენ წინდა ბერძნულ ქალაქებს და ერთგვარად აშერეულ ხასიათს“ ატარებდნენ. ზოგი მკვლევარი კიდევ უფრო შორს მიდის და შემოაღნიშნულ საფუძველზე ამტკიცებს, რომ აქტური ბერძნული სამოსახლოები სავრთოდ არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს (პოლისებს)... არამედ წარმოადგენდნენ ემპორიონებს — უცხო ქვეყანაში დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებს“ და ა. შ. („ნარკვევები“, ტ. I, გვ. 406-407).

ამგვარად საკითხთან დაკავშირებით ვაკეთებელი შენიშვნის შესაბამისად, რომელიც პიტიუნტს (თან. ბიჭვინტას) შეეგება (რეცენზია, გვ. 178), უნდა ითქვას, რომ ამ ქალაქის ისტორიის ადრეული პერიოდი ბნელითაა მოცული. როგორც წერილობითი, ისე დღემდე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები არაგად აშუქებენ ქალაქის ისტორიის უფრო გვიანდელ პერიოდს. მოხედავად ამისა, როგორც უკვე სტრამონის ცნობებით ირკვევა, პიტიუნტი ელინისტურ ხანაში ერთ-ერთი დიდი საქალაქო ცენტრი იყო შავი

ზღვის კოლხურ სანაპიროზე, სტრაბონი მას „დიდი პიტინტის“ სახელით იხსენიებს. იგი არაფერს ამბობს სხვა ზღვისპირა ქალაქებისაგან მისი რთიმე განსხვავების შესახებ. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, აქაც ჩვენ იმ რიგის ცენტრთან უნდა გვექონდეს საქმე, როგორც იყვნენ ღაზისი, დიოსკურია და ბევრი სხვა შავი-ზღვისპირა სანაპირო ქალაქი. ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც მას ამკვიდა ვანიხილავს, ყურფრობით მართებული მოჩანს. იმისათვის, რომ საწინააღმდეგო ეამტიკით, მისაღები ჩვენ არ მოგვეპოვება. საკითხი ამ ქალაქების ხასიათის შესახებ ერთიანად ვანიხილავს საბერძნეთს. ის, რაც ზემოთ ითქვა საერთოდ ამ სანაპირო ქალაქების „შერეულ ხასიათზე“, მასში ადგილობრივი ელემენტის სიმდიერეზე და ა. შ. ვფიქრობ, სხვა ქალაქებთან ერთად პიტინტსაც შეეხება. ამჟამად ჩვენ, მხოლოდ იმდენად, რომ ქალაქის ისტორიის იდრეული პერიოდ სტუტადია დოკუმენტირებული ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში, ამ ქალაქის რაღაც განსაკუთრებულობის მტკიცებამათვის საბუთები არ გვაქვანია. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ პენიონების მიერ პიტინტის გამარცხვის შემდეგ პიტინტში „ცხოვრება მხოლოდ III ს. დასაწყისში აღსდგა“, როცა იქ, ზოსიმეს ცნობით, რომაელებმა ძლიერი გამაგრებული პუნქტი მოაწყვეს, იგი მე კიდევ უფრო გამაგრებულიდან მაქვს მოტანილი („ნარკვევები“, ტ. I, გვ. 549). რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ გარკვეული მოსახლობა აქ I-IX სს-შიც არსებობდა, მაგრამ პიტინტის, როგორც მნიშვნელოვანი ცენტრის აღდგენა, უძილობად მთითებული დროს მოხდა. მართალია, არანაე 11 ს. 30-იან წლებში იხსენიებს პიტინტს, მაგრამ გაცხრით და სხვისაგან მიღებული ინფორმაციით (თვითონ ამ ადგილებამდე არ მოღწევიდა), რის გამოც ძნელია ამ ცნობის მიხედვით მსჯელობა იმაზე თუ რა იყო ამ მის დროს.

4. ნ. ლომოურის მომდევნო შენიშვნა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, რადგანაც იგი მას საშუალებას აძლევს მთელი ტრიადა წამოიწყოს იმისთან დაკავშირებით, თუ რა ბოროტ-მტკბედებას ჩადიან, როგორ ავინიშნებ ჩვენს ისტორიას და ა. შ. (რეცენზია, გვ. 178-179) — ერთი სიტყვით აქ, რბილად რომ ვთქვათ, რეცენზიტი თავის თავს ბევრის უღელბას აძლევს.

5. ლომოურის მთელი ეს ურცხვი ტრიადა მოსდევს იმის მტკიცებას, თითქოს მე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ვიკავებ „ახალი აღმოჩენა“ — ძე. წ. 11-1 სს-ში ქართლზე სომხეთის ასწლიანი „ბატონობა“ დავსაყენი. მკითხველის შეცდომაში შესაყვანად რეცენზენტს წიგნში ამ საკითხზე ჩემს მიერ ნათქვამი ნაყდულად მოაქვს და იმას, რასაც მე წყაროს აზრად ვთვლი, ჩემ

აზრად ასაღებს. რას ვებმა საქმე ქართლის ცხოვრებაში? ამ პერიოდს ამ ბეზის ვაღმოცემისას უმევედრე ქვეყნებზე. მეფე ფარნაქოს შემდეგ (ქვეყნე-ვაზიანთა დინასტიის მეოთხე მეფე), რომელიც ძე. წ. 11 საუკუნის შუახანებს აქვთ ძნელია მოვითავსოთ, ვიდრე მეფე არტავაძე, რომელიც, მუხებდავად ნ. ლომოურის დანიშნულების (ამ საგანგებო საპირობას თუ შევქლო ასეთი დაეკვება გამოეწეა), ასევე ძნელია ამ არტოკად არ მივიჩნიოთ, რომლის დროსაც (ძე. წ. 65 წ.) მოხდა რომაელთა შე-მოსევა საქართველოში, წყარო მხოლოდ ერთ მეფეს ასახელებს — სომხეთის მფლობელი არშაკის ძე არშაკს. მთელი ამ ხნის, ე. ი. თითქმის საუკუნის მანძილზე თითქოს ქართლის ტახტზე ეს არშაკი მჯდარა. რამდენადაც იქვე სელეკიდების სამეფო დინასტიაში გავრცელებული სახელი „ანტიოქოს“ არა რო-მელიმე კონკრეტული მეფის, არამედ სადინასტიო სახელად იხმარება, მე დავსაყენი, რომ არშაკის შემთხვევაშიც რომელიც ამ სახელის მქონე სომხეთის მეფე და მისი ძე კი არ უნდა იგულისხმებოდნენ (ასეთს ამ დროის სომხეთის სამეფო დინასტია არც იცნობს), არამედ საერთოდ სომხეთში ამ დროს ვაბატონებული არშაკიდების დინასტია. ამრიგად, აღნიშნულია წიგნში, „თვით ქართლის ცხოვრების“ ცნობა არშაკის მეფობაზე ქართლში ისე უნდა ვავივოთ, როგორც ქართლზე სომხეთის ბატონობის ფაქტი“. აქ წყვეტს ნ. ლომოური ციტირებას, მაშინ როდენაც ჩემს მიერ ამ წყაროსეული გაგების შევასება, რეალურ-ისტორიულ სინამდვილესთან მისი დამოკიდებულება მხოლოდ ამის შემდეგ ჩანს. „ანტიოქური წყაროებიდან ცნობილია — განავარძობ მე, რომ ამ პერიოდში სომხეთში ქართლს (იბერას) სამხრეთით დიდი ტერიტორია ჩამოატრა. შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ სომხეთის მეფეები თავისი პევემონობის დამყარებას ქართლის დანარჩენ ნაწილზეც ცდილობდნენ და ამას დროდადრო აღწევდნენ კიდევ“ („ნარკვევები“, ტ. I, გვ. 466-467). ვანა მეცნებამა რეცენზენტმა ვერ უნდა გააჩიოს ამ განსხვავება წყაროსეულ თვალსაზრისსა და ჩემ თვალსაზრისს შორის? ვანა კარგად არ ჩანს, თუ რა ვითარებას ვუარაუდობ მე იბერიის ამ დასუსტებისა და სომხეთის ძლიერების „ასწლიან პერიოდში“ იმას, რომ სომხეთის მეფეები ამ დროს ცდილობდნენ თავისი პევემონობის დამყარებას ქართლზე და შეიძლება დროდადრო აღწევდნენ კიდევ ამას. ვანა „ასწლიან ბატონობას“ და „ასწლიან პერიოდში“ დროდადრო პევემონობის მიღწევას შორის განსხვავება არ არის? ვანა წყაროსეულ გაგებასა და ჩემ ინტერპრეტაციას შორის განსხვავება არ ჩანს?

ნათუ ესაა ჩვენი მხრით წყაროებისადმი ის არაკრიტიკული დამოკიდებულება, რომელსაც ვითომ ისე შეუწუხებია ჩვენი რეცენზენტი, რომ ჩვენი შეცნობების გადასარჩენად ასეთი ენერგიით ამხედრებულა!

ნ. ლომოურმაყ და ყველა სხვამ კარგად იცის, თუ რა მძიმე პერიოდია ეს ხანა ქართლის (იბერიის) ისტორიაში. სწორედ ამ დროს კარგავს ის საზღვრებით უზარმაზარ ტერიტორიებს. სტრამბონის ცნობით, ძვ.წ. 11 ს-ში წარმოქმნილმა სომხურმა სამეფოებმა დიდად გაიფართოვეს ტერიტორია, „შეზღუდულ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები“, ამით შორის „იბერებს—პარიალარებს კალთები, ზორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის ვადლმა არის“ (წ. XI, თ. 14, 55). გოგარენე, — ქვემო ქართლს (სომხური წყაროების „გუგარქს“) გულისხმობს, პარიალარე—გვიანდელი პარიალარია, ტრაპეზუნტსა და ფარნაქიას სამხრეთით გადაჭიმული მთის ქედი, რომელიც ზღვის ნაპირის პარიალარულად მიიხსიანება. პროფ. ნ. აღონციის მიხედვით იგი მოიცავს ისეთ ოლქებს, როგორცაა ტაო და სპერი. აყად. ს. ჯანაშია ხორძენეში თანამედროვე ვიქტუაზიასა და ბაიბერდის რაიონებს გულისხმობდა (იბერია მხოლოდ თავისი ხელახალი გაძლიერების ეამს, ახ. წ. 1-11 სს-ში, ახერხებს დაკარგულ პოზიციების აღდგენას და ერთხანს, როგორც ცნობილია, მთელი სომხეთის დაუფლებასაც ცდილობს). რა გასაკვირია, რომ ამ პერიოდში სომხეთის სამეფოს ეცადა იმ ტერიტორიაზეც თავისი პეგემონობის დამყარება, რაც ქართლის სამეფოს შერჩა და დროდადრო მიეღწია კიდევ ამისათვის. „ქართლის ცხოვრებაში“ ამისი ნაკვალევი უნდა გვქონდეს. ამაოდ უკვირს ყველაფერი ეს ნ. ლომოურს, მისი ყოლბი პათოსის სრულიად უადგილოა. ჩვენს შეცნობებში, დიდად ვუჭობ, რომ მის მხრით ვადარჩენა ესაპირობოვდეს. ჩვენ თუ რაიმესაგან ვადარჩენა გვესაპირებია, პირველ ყოვლისა იმგვარი იაფფასიანი გამოხდომებისაგან, რომლის ნიშნუსაც ნ. ლომოურის მთელი ეს შემოქმედება წარმოადგენს.

5. ჩვეული ენერგიით ამხედრებულა ნ. ლომოური ჩემი იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ თქმულებაში შესაძლებელია აისახა ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის ვარიეტეტზე ამ სახელმწიფოსა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებული პონტოს სამეფოს ურთიერთობა (რეცენზია, გვ. 179-180). მას საკანგებოდ აღნიშნული აქვს, რომ ეს მოსაზრება ვაკრიტიკა ავრთვე პროფ. კ. გრიგოლიამ წერიაში „ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის ზოგიერთი საკითხისათვის“ („საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფი-

ლებში მოამბე, 1961, № 3). ზუსტი მეთოდების საგანგებოდ მოყვარულ რეცენზენტს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ) რატომღაც „საქმეუდობა“, რომ ამ კრიტიკას მე პასუხმ ვაძეგვქმნა სავანეგებო წერილით: „ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი“ (დაიბეჭდა იმავე ეთრნალში, 1962 წ. № 2). კარგი იქნება, თუ დიანტრეგისებელი მეთოდული ორივე ამ წერილს გაეცნობა— ეს, ვფიქრობ, საკითხში გარკვევას დიდად გაგვიადვილებს. თუმცა დაეუბრუნდეთ ჩვენს ახლანდელ ოპონენტს. მაინც რაზე დავიბს რეცენზენტი? რას შეუწუხებია ამყარად იგი? როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის შესახებ ჩვენამდე რამდენიმე თქმულებამ მოაღწია. ერთი ამათგანი ქართულ საისტორიო წყაროებშია დაცული: ლაპარაკია იმაზე, რომ მცხეთაში მოსულა ალექსანდრე მაკედონელი და აქ მმართველად არიან—ქართლის მეფის ძე ახო დაუყენებია. შემდეგში სწორედ ამ აზოსთან ბრძოლაში ეუფლება ქართლის სამეფო ტახტს ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი ფარნავაზი. იგი ამარცხებს აზოს და „ბერძენებს“, რომლებიც მას ეხმარებოდნ. მეორე ამგვარი თქმულება ჩვენამდე მოღწეულია სომხის ისტორიკოსის. მოსე ხორენელის გზით. ამ უკანასკნელში ლაპარაკია იმაზე, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ქართველთა მმართველად დააყენა აქემენიდური ირანის მეფის დარიოს III-ის (ეს ის დარიოსია, ალექსანდრე მაკედონელმა რომ დაამარცხა) სატრაპი მითრიდატე. მოსე ხორენელის თხზულების სხვა ადგილებიდან კარგად ჩანს, რომ აქ საქმე ეხება პონტოს სამეფოს ფუძემდებელ მითრიდატეს. ამრიგად, თუ პარალელს გაეყვებთ ამ ორ თქმულებას შორის, როგორც ამას ჩვენამდე ხაზი გაუსვეს სხვა მკვლევარებმა, უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ვარიანტის „ახო“ და მისი მხარდმჭერი „ბერძენები“, რომელთაც ებრძვის ქართლის სამეფოს ფუძემდებელი ფარნავაზი, თქმულების სომხურ ვარიანტში პონტოს მეფე მითრიდატეთა შეცვლილი (აქაც შეიძლება საერთოდ პონტოს სამეფო დინასტიის პერსონიფიკაციასთან ვაგვეს საქმე!). ამიტომაც, ამ თქმულებათა შედარება ბადებს აზრს, რომ ქართლის სამეფოს წარმოქმნა პონტოსთან, ანდა მის მფარველობაში მეოფ რომელიმე გაერთიანებასთან ბრძოლის პროცესში მიმდინარეობდა. მაგრამ შეიძლება თუ არა ყველაფერი ამაში რაიმე რეალურ-ისტორიული ვითარების ასახვა დავინახოთ? ჩვენი აზრით, შეიძლება. იმ ქარიშხლიან ეპოქაში, რაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს მოჰყვა, უკველია, დიდ ძვრებს ქჷონდა ადგილი. მიმდინარეობს ახალ-ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქ-

მნის პროცესი. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ რა შორს იყო ამ დროს (ძვ. წ. IV-III სს. და უფრო ადრე) განვრცობილი იბერის (ქართლის) ტერიტორია სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით (ამაზე ზემოთ სტრამონის ცნობის მოშველებით უკვე გვქონდა ლაპარაკი) ახლადწარმოქმნილ პონტოს სამეფოსთან მისი კონტაქტი საკვებით შესაძლებელი ჩანს. რეცენზენტს ეს მოსახერხებელი მიუღწევია იმიტომ, რომ ამ დროს პონტოს სამეფო ვერ კიდევ სუსტია და აღმოსავლეთით მისი ექსპანსიის შესახებ არაფერი ვიცით, მართალია, ძვ. წ. III ს-ის მანძილზე პონტოს შესახებ მტკიცე მწირო ცნობები გვგვანია, მნელია თქმა, სამხრეთ-დასავლეთით დიდ მანძილზე გავრცელების მიუხედავად, იბერიის სამეფოებელოები ეყრდნობა თუ არა უშუალოდ პონტოს სამეფოებელოებს, მაგრამ ძვ. წ. IV-III სს-ის იბერიას თუნდაც პონტოსთან საერთო საზღვარი არ ჰქონოდა, რატომ თვლის ჩვენი რეცენზენტი, რომ ამ ორი, ასე თუ ისე შეზღუდული მყოფი დიდი პოლიტიკური ერთეულის შეტაკება ესოდენ უშუალოდ იბერიაში არის და, მაშასადამე, დასახელებულ თქმულებებში არაფერი რეალურ-ისტორიულის ასახვა არ შეიძლება გვქონდეს. ტყუილბრალდ ბომ არ იწუხებს თავს ნ. ლომოური ამ საკითხზე ჩვენს მიერ მტკიცედ ფრთხილ ფორმებში გამოთქმულ, სავსებით შესაძლებელი, ვარაუდის (იხ. „ნარკვევები“, ტ. I, გვ. 443-444) წინააღმდეგ ამოდენა ხმაურის ატეხით?

6. წმინდა წყლის გაუგებრობებზეა იგებული მომდევნო შენიშვნა. ნ. ლომოური კვლავ უბრუნდება კოლხეთის მეზობლად მთელ ტომთა სტიქიონის არსებობის შესახებ მოსახერხებულ რეცენზენტს (რეცენზია, გვ. 180). როდესაც მე, სტრამონის მიხედვით, კოლხების ჩრდილოეთით მოსახლე ჯიქების, ჰენიოხების და აქელებების შეკობრებაზე და რომის ზღვისუფლებებისადმი დემოკრატიული მოხატვა ვლადიმერს, თურმე ეს არაფერი მოსატანი უყოფია, რადგანაც სტრამონის თქმით „კოლხეთის მიწა-წყალი სწორედ აქ დასახელებულ ტომთა ადგილსაცხოვრისის შემდეგ იწყება“. კოლხეთი საღ იწყებოდა სტრამონის აზრით, ამას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ამ რიგის მისახლეობის უშუალო მეზობლობა კოლხურ გაერთიანებასთან. ამას გარდა, „კოლხეთს“ ჩვენ წინაშე წვეულებრივ მთელი დასავლეთი საქართველოს მნიშვნელობით ვხვდებით (ჩრდილოეთით ვიდრე კავკასიონის მთის კალთებამდე). ხოლო დასახელებული ტომების ერთი ნაწილი სწორედ ასე გაგებულ კოლხეთის ჩრდილოეთ რაიონებში ცხოვრობდა (ეგრძოდ, პენიოხები). ამას გარდა, ნ. ლომოურის აზრით, თურმე მე, რომ ვაჟამართლო ჩრდილოეთ კოლხეთში მთელ ტომთა ბატონობის შესა-

ხებ ჩემი მოსაზრება, განზრახ ვაზიარებულები ნიოხთა და სხვათა სიძლიერეს და ამ მიზნით ვაშობ, რომ იმ დროს, როდენაჲ მთრანდარტე VI პონტოელმა ამ ადგილებზე ჯაჲარაჲს მენუოხებს ოთხი დიდი ტომთა კავშირი ჰქონდათ, რომლებშიაც მრავალი ტომი იყო გაერთიანებული. თურმე ნუ იტყვიოთ „სინამდვილეში სტრამონი არსად ლაპარაკობს „დიდ ტომთა კავშირებზე“ და „მრავალი ტომის“ გაერთიანებაზე. აი რას წერს იგი: „განაგებდნენ მათ (ჰენიოხებს, ნ. ლ.) ე. წ. სკეპტუხები, ხოლო თვით ესენი ტიანთა, ან მეფეთა გამგებლობაში იმყოფებიან. პენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ, როდესაც მითრიდატე ევბატროს... ამით ქვეყნად ვაიარა“ (XI, II, 13)“ (რეცენზია, გვ. 180). „საქიორ ხდება ზოგი მარტივი რამ განუფმარტოთ რეცენზენტს: რა თქმა უნდა, სტრამონი „ტომთა კავშირებზე“ ვერ ილაპარაკებდა. „ტომთა კავშირი“ ყველაზე გავრცელებული ფორმა ხდება მონათესავე ტომთა გაერთიანება საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპზე, რომელსაც „სამხედრო დემოკრატია“ ეძახიან. პენიოხები, სტრამონთან დაკუთრებული ბევრი ნიშანდობლივი ცნობის მიხედვით, განვითარების სწორედ ამ ეტაპზე იყვნენ (შეკობრების ის მკაფიო სურათი, რომელსაც სტრამონი ვეიხატავს, სწორედ ამ ეტაპზე მდგომი მოსახლეობისათვისა ნიშანდობლივი). ასეთ ვითარებაში სტრამონის ცნობა, რომ პენიოხებს ორგვარი გაერთიანება ჰქონდათ — უფრო მცირე, რომელსაც სათავეში სკეპტუხები ედგნენ, და უფრო დიდი, სადაც ამგვარი სკეპტუხები იყვნენ გაერთიანებული (ასეთი სულ ოთხი იყო) ტიანებით და ბასილევსებით სათავეში, შეუძლებელია სხვაგვარად იქნეს ინტერპრეტირებული: ამ შემთხვევაში სკეპტუხები — ცალკეული ტომები და სკეპტუხები ტომთა ბუნებები, ხოლო მათი გაერთიანებები — ტომთა კავშირები, რომელთა სათავეში მდგომნი (სტრამონით: „ტიანები“, „ბასილევსები“) სხვა არაფერი არ შეიძლება უფიქროვნენ თუ არა ასეთი ტომთა კავშირების სათავეში მდგომი პირნი.

7. რეცენზენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიური და სპეკულაციური ფეოდალიზმის საყიბები თითქოს არ არის სათანადოდ გაშუქებული. „მართალია, — წერს ნ. ლომოური, წინაშე არის გაკეთებული შენიშვნა, რომ ამ რიგის საყიბებს კოლხეთის მიმართ საგანგებოდ აუარეს გვრდო წერილობითი წყაროების უდერესი სიმკირის გამო (გვ. 483, სქოლიო I), მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის ვერ გამოდგება გასაშართლებელ საბუთად...“ (რეცენზია, გვ. 180). როგორც ზედათ ჩვენ თვითონ გვითქვამს, რომ „ამ რიგის საყიბებს კოლხეთის მიმართ საგანგებოდ აუარეთ

გვერდი“. ჩავიხედოთ მითითებულ სკოლოში და მთლიანად მოვიყვანოთ იგი, რათა შეთხვევლისათვის აშკარა გახდეს რა მეთოდებით იღწევის ჩვენი რეცენზენტი. როდესაც ცალკე თავად გამოყოფოვ სოციალურ-დემოკრატიული ურთიერთობის საკითხს ელენისტიკის ხანის ქართლის სამეფოში, შენიშვნაში დავსძენ: „ამ რიგის საკითხებს კოლხეთის მიმართ სპეციალურად არ ვუბნებით სათანადო წერილობითი წყაროების უღარესი სიმცირის გამო. ამ რიგის საკითხები განხილული გვექნება შემთხვევით თავ-თავის ადგილს, ელენისტიკის ხანის კოლხეთის შესახებ საუბრისას“. აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ დასახელებული მიხეზის გამო ამ რიგის საკითხები არ გამოყოფილი ცალკე, სპეციალური თავის სახით ისე, როგორც მოვიქცეით ქართლის მიმართ და არა იმაზე, რომ ეს საკითხები საერთოდ არა გვაქვს განხილული, როგორც ეს სურს ნ. ლომოურს ჩვენთვის პირთი ვკაპიტვეინოს. ეტყობა ასეთი ნიშნების მიხედვით უნდა ვისწავლოთ ჩვენ სხვა შეკლევართა მოსახრებებზე სწორად მითითება, რომელიც, როგორც ამავე რეცენზიაში ცოტა ქვემოთ გვიკვირებენ, თურმე ასე საგანგებოდ არ გვეცოდნია!

აქ მე ვერ შევედგები იმის ჩამოთვლას, ამ რიგის ესა თუ ის საკითხი რა ადგილას და როგორ მამებს გამუქებული. დანტერესებულ შეითხვევას წიგნი ხელთა აქვს და შეუძლია თვით იმსჯელოს ამის თაობაზე.

8. ასევე არ აქმაყოფილებს რეცენზენტს წიგნში ქართული სახელწოდებების რომთან ურთიერთობის საკითხის გამუქება (რეცენზია, გვ. 181). რეცენზიის ავტორი ამ საკითხის უფრო მეტი სიღრმით განხილვას მოითხოვს, მაგრამ რაც მას „ღრმად განხილვად“ მიანიხა, ჩემზე საკმაოდ გულტბრყვილობის შთაბეჭდილებას ახდენს. თურმე ნუ იტყვი, საქართველოში რომა მტკიცე ბატონობის მოპოვება იმტომ ვერ შესძლო, რომ აქ არ იყო „კონსოლიდირებული და სათანადოდ ძლიერი მოინათმყოფლობელთა ელასი“, რომ არ იყო პოლისები — დამოუკიდებელი ქალაქები და ა. შ., რათა მათ დაურღობოდა. ნამდვილად ძალთა განწყობილებამ საერთაშორისო ასპარეზზე და იბერიის სიძლიერემ არ მისცა რომს სამუხლებამ ქვეყნის შინაურ საქმეებში ასე თამამად ჩარეულიყო, თორემ დასაყრდენს იგი უამისოდაც კარგად მონახავდა. ვერ დავეთანხმებით საყვედურს, რომ „ისტორიულ ლიტერატურაში (უცხოურში, რუსულში და ზოგჯერ ქართულში) სწორად გზადებით მტკიცებას, რომ კოლხეთი და იბერია თითქმის მთელი ანტიკური ხანის მანძილზე რომის პოლიტიკურ და ეკონომიკურად გავლენას ექვემდებარებოდნენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება და „ნარკვევებს“ ამ საკითხზე სათანადო, შეცნიერულად დასახელებული პასუხი უნდა გავცათ“ (რეცენზია,

გვ. 181). „ნარკვევებს“ ერთ უმთავრეს ღირსებად მე სწორედ ის მიმაჩნია, რომელი მთელი სისრულით, რამდენჯერაც კი გვხვდება მთელი იყო, ასეთი პასუხი გაცემულია. ნარკვევებია, იბერია ძველგამოსილ რომთან ურთიერთობაში როგორი თანმიმდევრობითა ენერგიით ატარებს თავის საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას, როგორ ახერხებს ხშირად წარმატებით დაუპირისპირდეს რომს, მოხერხებულად გამოიყენოს შექმნილი ვითარება საკუთარი პოლიტიკის განსამტკიცებლად. წიგნში, სწორედ რომთან ურთიერთობის ასპექტში რელიეფურად არის ნარკვევები იბერიის ძველგამოსილების პერიოდები (ფარსმან I-ის და, განსაკუთრებით, ფარსმან II-ის ეპოქა). ყველაფერი ეს მართლაც შეცნიერულად დასახელებული პასუხია“ „ისტორიულ ლიტერატურაში“ გავრცელებული მტკიცებებისათვის, რომ ქართული სახელმწიფოები ანტიკურ ხანაში „რომის პოლიტიკურ და ეკონომიკურად გავლენას ექვემდებარებოდნენ“. ნ. ლომოურს ერთხელ მე უკვე შევხსენე, რომ ამ „ისტორიულ ლიტერატურაში“ აუცილებლად საჭიროა მან თავისი საკუთარი შემოქმედებაც იგულისხმოს. როდესაც პროფ. ვარლამ დონდუამ საბარტოლიანად აიმაღლა ხმა სწორედ ამგვარი მცდარი მოსახრებების წინააღმდეგ—თითქმის იბერიის ესა თუ ის მმართველი რომის მართონეტს წარმოაადგინდა (იხ. „მიომომხილელი“, ტ. III, 1953 გვ. 307-321), ჩვენი რეცენზენტი, იმაყმად ჯერ კიდევ არა საზოგადო მოღვაწეობის, არამედ შეცნიერების სიწმინდის დაცვის სურვილით აღტკინებული, შეეცადა ემხილებოდა იგი სხვადასხვა „გადააქრებებაში“, დაესაბუთებელ მტკიცებებში, შეეცადა ეჩვენებინა, რომ იბერიის მმართველები (ფარსმანი და სხვ.) დამოუკიდებელნი არ იყვნენ თავის მოქმედებაში (იხ. ნ. ლომოური, რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში, თბ. საბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, 1959, გვ. 131 და სხვ.). წიგნში ასეთი ტენდენციებისთვის პასუხი გაცემულია. მართალია, ნ. ლომოური ამ კონტექსტში არ არის მითითებული, მაგრამ „შეცნიერული ეთიკის დარღვევის“ სწინააღმდეგო ამქვედად მას, უნდა ვიფიქროთ, არაფერი ექნება.

9. რეცენზიის ბოლოსათვის ნ. ლომოურმა შემოინახა სხვადასხვა ბრალდებები, რომლებიც შეეხება „წინამორბედ შეცნიერთა და აწინდელ სპეციალისტთა მოსახრებებისა და დებულებების მიმართ დამოუკიდებულებას“ (რეცენზია, გვ. 181 შმდ.). აქ მრავალრიცხოვანი მოთხოვნებია წამოყენებული თუ ვინ სად, რა ადგენას უნდა მოგვესსენებინა და მოგვეთითობინა. აქაც მივეყვით რეცენზენტის მსჯელობას. მას არ ეჩვენება საკმარისად ის, რაც ტომის წინასიტყვობაშია ნათქვამი აყად. ს. ჯანაშიასა და აყად. ნ. ბერძენიშვილის შესახებ (რეცენ-

ზია, გვ. 181 შმდ.) ამ წინასიტყვაობაში საერთოდ არ არის განხილული არა მარტო ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის, არამედ ისტორიკოსთა არც მთელი მოძღვრობის თაობის ნამუშავეები. ამ მხოლოდ ჩვენი საისტორიო მეცნიერების საწყისებზე, პირველ ნაბიჯებზე ლაპარაკი, ამ დრომდე, როდესაც ჩვენი მეცნიერება, უკვე საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კვლევა-ძიების ფართო შარავნაზე გამოვიდა ის, რაც რეცენზენტს ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის დეაქლის შეფასება ჰგონია, მხოლოდ რამდენიმე შტრიხითა ჩვენი მეცნიერების ახალი ეტაპისა, რომელიც ამ მხოლოდ ზოგად ხაზებშია განხილული, რამდენადღაც წინასიტყვაობის ფარგლებში მისი დეტალური განხილვა ვერ მოთავსდებოდა. ამისათვის „ნარკვევები“ ყოველ ტომს გააჩნია სათანადო ისტორიოგრაფიული ნარკვევები. საქართველოს ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ ტომსაც გააჩნია ასეთი ისტორიოგრაფიული ნარკვევი (იხ. ტ. I, გვ. 69—76), სადაც შეფასებულია განხილული ს. ჯანაშიას დიდი ლეაქი, რომელიც მას საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესწავლის საქმეში მიუძღვის. აქაც შეუძლებელი იყო დაწვრილებით საუბარი ყოველი პრობლემის შესწავლაში მისი დამსახურებისა და როლის შესახებ, რის გამოც მკითხველს მივუთითებ, რომ ჰართველთა ეთნოგენეზის საკითხში ს. ჯანაშიას ნაშრომების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ამავე წიგნში სხვა ადგილას, ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური თავშია საუბარი, ხოლო თუ როგორ არის განხილული ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი ს. ჯანაშიას ნაშრომებში, ამაზე დაწვრილებით საუბარია ჩვენ წერილში „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი“ (ტურნ. „მაკენ“, 1966 წ., № 1) („ნარკვევები“, ტ. I, გვ. 72). ეს უცანასკნელი წარმოდგენის ჩემს მიერ აქად. ს. ჯანაშიას დაბადებიდან 65 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე წაკითხული მოხსენების ტექსტს და, ფაქტურად, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხზე ს. ჯანაშიას კონკეფციის დეტალურად შესწავლას ისახავს მიზნად. ამ ეტაპების მიხედვით არის შესწავლილი ამ კონკეფციის წარმოშობა და განვითარება, მისი ზოგიერთი ტრანსფორმაცია და ა. შ. „ნარკვევებში“ (ამის ადგილი იქ არ იყო) მე ყველაფერი ეს ვერ გაემიჯნე. ამიტომ მივუთითებ მოკითხველს ამ ჩემ წერილს. როგორ შეიძლება ამ ვისმეს დეაქლის დაინერება დავინახოთ, როდესაც მთელი ეს წერილი სწორედ ამ დეაქლის ნათელყოფას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება აქად. ნ. ბერძენიშვილის დეაქლს, მისი შემოქმედება უშთაბრუსად საქართველოს ისტორიის მიმდევნო, ევოლუციურ

ზნის განეკუთვნება და ამის შესახებ დეტალურად საუბარია „ნარკვევებში“ მომდევნო, ამ პერიოდისადმი მიძღვნილ ტომებში. ექვ, სადაც განხილული მეცნიერის შრომის საქართველოს ძველი ისტორიის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული ესა თუ ის თვალსაზრისი, გასაზიარებელი და გასათვალისწინებელი მეჩვენებოდა, მე იგი მოხსენებული და მითითებული მაქვს, მათ შორის ზოგიერთი ისეთიც რომელიც მას ზემოაღ, პირად საუბარში შეონდა გამოთქმული (იხ. „ნარკვევები“, ტ. I, გვ. 383, 461, 484, 496).

რეცენზენტი უწყაყოფილოა, რომ მე არ მითითებია ზოგი ნაშრომი, მათ შორის მისი ერთ-ერთი მოხსენების თეზისები ძვ. VI-IV სს—ში იბერიის (ჰარათის) ტერიტორიაზე არსებულ გაერთიანებათა ბუნების საკითხზე (რეცენზია, გვ. 184). დიდად ცდება რეცენზენტი, როცა ჩემი თვალსაზრისის ზოგიერთ ტრანსფორმაციას თავისი და ზოგი სხვა მკვლევრის დამსახურებად მიიჩნევს. მართალია, აღუდ მე ამ გაერთიანებებს ტომთა კავშირებად ვუვლილი. „ნარკვევებში“ კი მათ ადრეკლასობრივ სახელმწიფოებად მივიჩნევ, მაგრამ ეს ცვლილება უშუალო შედეგია უცანასკნელი ათეული წლის მანძილზე მარქსისტულ ლტერატურაში წარმოებული დისკუსიისა, რომლის პროცესში შესაძლებლად იქნა მიჩნეული ადრეკლასობრივი განვითარებული სახელმწიფოებრიობის უფრო შორს, ისტორიის სიღრმეზე, გადატანა ბევრი ის გაერთიანება, რომელთაც ადრე ტომთა კავშირად და „სახელოვან ღემოკრატის“ ეტაპზე მდგომად მიიჩნევდნენ, ამჟამად მკვლევართა მიერ „წინაფეოდალურ“, „პარაბატლურ“ სახელმწიფოებად განიხილება, ან სხვა ადრეკლასობრივ წყობილებას უფარდდება. არაფერ სხვას ჩემი თვალსაზრისის ტრანსფორმაცია არ ემყარება, მით უმეტეს ნ. ლომოტის თეზისებს ან სხვა რამეს, კონკრეტული მტყიცების წამოწყება, რომ ამ დროის აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებები იყვნენ და არა ტომთა კავშირები, უფრო მოთხოვნა იქნება, ვიდრე მეცნიერება. უსაფუძვლოა რეცენზენტს პრეტენზია, რომ მიუვითიო აგრეთვე ყველაფერი იმაზე, რასაც ანგარიშის გასაწევად არ მივიჩნევ, როცა რეცენზენტს სურს ვინმეს რამეს მოითვისება დაბრალის, უცუეთისა წინასწარ კარგად მოიფიქროს — არის კი რაიმე მისათვისებელი?

მე აღარაფერს ვიტყვი იმაზე თუ რა ვთქვი ახალი ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობილებისათვის დაკავშირებით. ნ. ლომოტური მეტად მოწაინებელია, რომ არაფერი არ მეთქვა. დავ, ასე იყოს, მაგრამ საინტერესოა, რატომ ტყეს იგი ასეთ ხმაურს ამასთან დაკავშირებით. განა მე სადმე გამოვლექი და ჩემი დამსახურებების შესახებ აეტყვე ყვიროლი? მას თურმე „შობაქცილებები“ აწუჭებს,

რომ ეგებ ვინმემ მიიხიოს, რომ ამ საკითხში ნეტ რამე მოთქვას. ერთი სიტყვით, წინაწარ იღებს ზომებს, საზოგადოებრივი აზრის დამუშავებას ახდენს. გამიჭირდა და თავის ქება უნდა დაეწყო: როდესაც მე ძველი საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული წყობილების მონაწილეობის შესახებ განსვენებული ს. ჯანაშიას კონცეფციის გადასინჯვას ვახდენდი, საგულდაგულოდ ხაზი გავესვი, რომ ს. ჯანაშიას კონცეფციამ ეს სახე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული არასწორი თვალსაზრისის გავლენით მიიღო, რომ აღრე განსვენებული მეცნიერი უფრო მართებულ თვალსაზრისს ავითარებდა, რომელიც უფრო უკეთ მიუღებდა ძველი იბერიისა და კოლხეთის სახელმწიფოთა ბუნების განსაზღვრას და ა. შ. უნდა ვეღიარო, რომ სულის სიღრმეში ამას განსვენებული მეცნიერის შექვიდრებობისაღმა სათუთი მოპყრობის ნიშნად ვთვლიდი და ქებას მოველოდი. სამწუხაროდ, ამ ჩემს საქციელს ზოგიერთი ახლა ჩემს გასაბიძრებულად იყენებს, იმ მცირედის აღიარებაც არ უნდა, რაც მე პრობლემის გამოქვეყნებაში შევიტანე. რა ვუყოთ, მე მაინც არ ვაარგავ იმედს, რომ ყველაფერ ამას ობიექტური შემფასებელი გამოუჩნდება...

ჩემების შემოსევასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მისაყვედრებენ, რომ ჩემ აღრინდელ ნაშრომს ვუთითებ (რეცენზია, გვ. 184—185). ნ. ლომოურმა კარგად იცის, რომ სწორედ ამ ნაშრომში, მითითებულ ადგილას, მე შეტად ვრცლად მაქვს განხილული იმ მეცნიერთა თვალსაზრისი (კოსტინისა და სხვ.), რომელთა შორესხენებლობასაც იგი ახლა მე ბრალად მდებს.

რაც შეეხება ჩვილს, რომ ვიტყვები—ბიძგებზე, ივანეზე—პენიოხებზე, ქათარზა—კლარქეთზე და სხვ. ლაპარაკისას მე პ. უშაკოვის ნაშრომი არ მაქვს მითითებული (რეცენზია, გვ. 183) — უნდა შევნიშნო, რომ მე სწორედ ყველა ამ იდენტოფიკაციაზე საუბრისას „ნარკვევების“ 282-283-ე გვერდებზე მივუთითებ „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის“ X-B ტომში გამოქვეყნებულ ამ ნაშრომს. ნ. ლომოურს, მართალია, სურს, რომ ეს მხოლოდ ლუშა-ლაზების სახელთა იდენტოფიკაციაზე მითითებულ ჩათვალს, მაგრამ რატომ? ის, რომ ნაშრომი აქ მთლიანად არის მითითებული და არა მარტო მისი ის ნაწილი, სადაც ლუშაზეა ლაპარაკი, ამას გამოირიცხავს.

ნ. ლომოური არა მარტო იმას მიეციენებს, რაც არ მაქვს მითითებული (ყვეელ შემოხვევაში, იმ ადგილას, სადაც მისი აზრით უნდა ვოფილიყო მითითებული), არამედ იმასაც, რომ ზოგიერთი მეცნიერის თურმე ზედმეტად მუყეს მითითებული. ასე ზედმეტად ვუთითებ თურმე მე პ. უშაკოვის ზემოხსენებულ წერილზე, როდესაც საქმე ეხება ურარტული წყაროების „ლუშასა“ და გვიანდელი ლაზების სახელწოდებათა დაკავშირებას. ნ. ლომოურს ეს „კერძო-ზულ შემოხვევა“ ეჩვენებოდა (რეცენზია, გვ. 183 შმდ.). ნამდვილად კერძოთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ ვის შეეხება ეს კერძოთი, ამას ქვემოთ დაეინახეთ.

მას შემდეგ რაც „დაადგინა“, თუ რა ზნისა ვყოფილვარ, თუ როგორ „არ მყვარებია“ სხვის ნაშრომებზე მითითება, ნ. ლომოურს თვითონ უნდა გაკვირებოდა — რა ღმერთი გამიწყრა, რომ ასეთი ზნის აღამიანი ზოგიერთს თურმე ზედმეტად კი ვიხსენიებ! მაგრამ ვასაკრიტიკებელი „ფაქტების“ ძიებისას იგი ასეთ არა-თანმიმდევრულობას არ ვრიღებ. მას ბოლომდე და ცოტა უფრო დაკვირვებით რომ წაეკითხა პ. უშაკოვის აღნიშნული წერილი, ასეთი მსხვერპლის ვაღება არ მოუხდებოდა. რეცენზენტი გეიციენებს, რომ „პ. უშაკოვის არც ერთი სიტყვა არა აქვს ლაზისა და ლუშა—ლუშას იგივეობაზე“, რომ მისი აზრით, „ლუშა“ კოლხეთის მეფეების ტიტულია და ა. შ. მართალია, დასახელებულ წერილში პ. უშაკოვი დასაწყისში მართლაც ამტკიცებს, რომ „ლუშა“ კოლხთა მეფეების ტიტული უნდა იყოს, რომ სარდური II—ის ხანამდე (ძვ. წ. VIII ს. შეახანები) კოლხეთი ურარტულ წარწერებში „ლუშას“ (და ქათარზას) სახელწოდებით უნდა იყოს მოხსენიებული (დასახ. წერილი, გვ. 251), მაგრამ შემდეგ (იხ. გვ. 261), როდესაც მოაქვს ანონიმის „პერაბლუსში“ დაცული ცნობა, რომ „დიოსკურიდიდან, ან სებასტოპოლისიდან მდინარე აფსარამდე ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც კოლხები ერქვა, შემდეგ ლაზებად გადაკეთდა მათი სახელი“, პ. უშაკოვი დასძენს: „ეს მითითება კოლხების (სახელის) ლაზებად გადაკეთების შესახებ ხომ არ უნდა გაეიგოთ ამგვარად, რომ ლაზებს ლუშას ტომთან რაღაც კავშირი აქვთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო საერთო სახელწოდება შეიცვალა ერთ-ერთ კოლხურ ტომთა ცნობად ძველი სახელწოდებით“. კარგად რომ დაკვირვებოდა ნ. ლომოური ამას, მიხედებოდა, რომ აქ სწორედ ისაა ნათქვამი,

რაზეც მე პ. უშაკოვის წერილს მივუთითებ. „უფრო საერთო სახელწოდება, ე. ი. კოლხი, კოლხეთი შეიცვალა ერთ-ერთი კოლხური ტომის ძველი სახელით, ე. ი. „ლაზი“ სახელით. აი ამიტომაც აქ ნათქვამი, რომ „ლაზებს ლუშას ტომთან რაღაც კავშირი აქვთ“!

ასეთია რეცენზენტის მიერ „ნარკვევების“ I ტომში „აღმოჩენილი“ „პრინციპული ხასიათის შეცდომების“ ნამდვილი ფასი. რეცენზენტის ეს შენიშვნები თავისთავად, რა თქმა უნდა არ იმ-სახურებენ დიდ ყურადღებას. ჩემი პასუხის გარეშეც, რეცენზენტის უბრალო გადაკითხვაც

საკმარისია, რომ დაეინახოთ რაოდენ ნაკლებ ინტერესებს ნ. ლომოურს ნაშრომის შემფარბი-ტი მეცნიერული, ობიექტური შეფასება. რაც შეეხება ნ. ლომოურის პრეტენზიებს ბერთი ჩასწაროს ბირში ყველას, ვისაც წიგნზე შეი-ძლება დადებითი წარმოდგენა ჰქონდეს და, ერთი სიტყვით, ჩვენი საზოგადოებრივი აზრის სჭულმდებლად მოგვევლინოს — უველაფერი ეს სასაცილო შეიძლება იყოს, ბევრ სამწუხარო დასკვნამდე რომ არ მივყავდეთ ჩვენ შორის არსებული ზოგიერთი, შართლაც რომ პრინცი-პული ხასიათის, ნაკლოვანების შესახებ.



კამაზ პავარიძე

ქართული ასომთავრული

3. ქართული ანბანის სტრუქტურა

ჩვენს დრომდე მოღწეულ დამწერ- ვი ასეთია: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, ჳ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, კ, ხ, ჯ, ჳ, ჰ.

36 ასო-ნიშანია. ამ ასო-ნიშნების ტრა- ქართული ანბანის ასო-ნიშნების უძ- დიციული ქართული ანბანური მწკრი- ველესი მოხაზულობა ასეთია:

Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ
 Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ
 Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ

თანამიმდევრობის მიხედვით ასო-ნიშნების რიგითი სათვალავი ასეთია:

1. ა	8. თ	15. ა	22. ჳ	29. ც
2. ბ	9. ი	16. ო	23. ფ	30. ძ
3. გ	10. ი	17. კ	24. ქ	31. წ
4. დ	11. კ	18. ე	25. ღ	32. ჳ
5. ე	12. ლ	19. რ	26. ყ	33. ხ
6. ვ	13. მ	20. ს	27. შ	34. ჯ
7. ზ	14. ნ	21. ტ	28. ჩ	35. ჳ
				36. ჰ

გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 1

წყაიბთულია მოხსენებად პროფ. ვ. ბარდაველიძის ხსენისადმი მიძღვნილ საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1972 წ. 27 იანვარს.

ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნებს, თანამიმდევრობის შესაბამისად, რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდათ: პირველ ცხრა გრაფემას (ა-თ) — ცხრა ერთეულისა, მომდევნო ცხრა გრაფემას (ი-ყ) — ცხრა ათეულისა, შემდეგ ცხრა გრაფემას (რ-შ) — ცხრა ასეულისა, ხოლო უკანასკნელ ცხრა გრაფემას (ჩ-ჰ) — ცხრა ათასეულისა.

ივ. ჯავახიშვილი ქართული ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობის გამო, წერს:

„საქართველოშიაც უძველეს... ხანაში რიცხვის აღსანიშნავად, ბერძნულის მსგავსად, ანბანის ასოები იხმარებოდა ხოლმე. უკვე ხანშტ ტექსტებში (V-VII სს. ახ. წ.) ანბანი რიცხვნიშნებადაც არის გამოყენებული იმავე რიცხვითი მნიშვნელობით, როგორც შემდეგში გვხვდება. როდის შემოდის ჩვენში ეს სისტემა, ამის გამოსარკვევად ჭერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ შემოღების შემდგომ მე-18 საუკუნის დამლევამდე, თვით XIX საუკუნის დამდეგსაც კი რიცხვითი ანბანი იყო მიღებული ყოველგვარი ანგარიშების აღსაწესხავად“.¹

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ანბანური სათვალავი შემოღებულია ქართული ანბანური მწკრივის შემოღებისთანავე, ერთ დროს და ერთდროულად, უფრო მეტიც: ასო-ნიშნებსა, ასო-ნიშნების თანამიმდევრობასა ერთის მხრივ და ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობას შორის მეორეს მხრივ უდიდესი მნიშვნელობის ურთიერთ კავშირია, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ცალკე, განყენებულად ასო-ნიშანი ან ბგერის აღმნიშვნელია და რიცხვითი მნიშვნელობა დაკარგული აქვს ან, პირიქით, რიცხვის აღმნიშვნელია და ბგერულ მნიშვნელობას ჰკარგავს.

ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის შესახებ კარგად ამბობს პროფ. ე. ლეფლერი:

«В цифровой системе, в которой

в качестве цифр применяются буквы алфавита, буквы совершенно утрачивают свой звуковой характер и становятся символами числовых понятий»¹.

ქართული ასო-ნიშნების ანბანური სათვალავი ასეთია:

ა — 1	რ — 100
ბ — 2	ს — 200
გ — 3	ტ — 300
დ — 4	უ — 400
ე — 5	ფ — 500
ვ — 6	ქ — 600
ზ — 7	ღ — 700
ყ — 8	ყ — 800
თ — 9	შ — 900
ი — 10	ჩ — 1000
კ — 20	ც — 2000
ლ — 30	ძ — 3000
მ — 40	წ — 4000
ნ — 50	ჭ — 5000
ა — 60	ხ — 6000
ო — 70	კ — 7000
პ — 80	ჯ — 8000
ჟ — 90	ჰ — 9000

ქართულ ანბანში დაცულია ასო-ნიშნების თანამიმდევრობის უძველესი ანბანური რიგი და ასო-ნიშნების უძველესი ანბანური სათვალავი. ანბანური დამწერლობის ეს ორივე ასპექტი ქართულ ანბანში ზუსტად და სრულყოფილად განხორციელებული.

ამ თვალსაზრისით ქართული ანბანი უძველეს სემურ და კლასიკურ ბერძნულ ანბანებს უნდა შევადაროთ.

როგორც ცნობილია, უძველეს სემურ-ფინიკიურ დედა-ანბანში 22 ასო-ნიშანი იყო. მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობას, თანამიმდევრული

¹ Проф. Е. Леффлер. Цифры и цифровые системы культурных народов в древности и в новое время. Таргманна გერმანულიდან. ოდესა. 1913 წ. გვ. 15.

* ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 149.

რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ფინიკიური ანბანური სათვალავი სრულყოფილი ანბანური სათვალავი იყო.¹

კლასიკური ხანის (V ს. ძვ. წ.) ზოგადბერძნულ ანბანში 24 ასო-ნიშანი იყო, ხოლო ანბანური სათვალავით კი 27. გარდა ამისა, რიგითი სათვალავით მე-18 გრაფემას ბერძნულ ანბანურ სათვალავში ჰქონდა არა 90-ისა, არამედ 900-ის რიცხვითი მნიშვნელობა.²

ამ თვალსაზრისით ქართული ანბანი უფრო სრულყოფილია, ვიდრე თვით ბერძნულიც კი.

ქართული ასომთავრული დამწერლობის ესოდენ სრულყოფილი ანბანური სათვალავი იმის მომასწავებელია, რომ ამ დამწერლობის შემოღების შემდგომ ქართულ ანბანურ მწკრივს არც რაიმე ასო-ნიშანი გამოჰკლებია და არც რაიმე ასო-ნიშანი ჩამატებია.

მაგრამ ქართულ ანბანურ სათვალავში ერთი შეუსაბამობა მაინც გვაქვს: უკანასკნელი 36-ე „ჰაე“ გრაფემა ზოგჯერ 8-ის აღმნიშვნელია და 8 (ე-მერვეს) ენაცვლება ხოლმე.

ივანე ჯავახიშვილი ამის თაობაზე წერს:

„აღსანიშნავია, რომ ასორიცხვნიშნებში ხშირად 8-ეს მაგიერ „ჰაე“-ა ნახმარი და ამგვარად „ჰ“ 8-ს უდრის... მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევებში არავითარი შეცდომა არ არის არამედ ხმარების სრულებით შეგნებული წესია. ქ. ანისის ქართლისა კათალიკოზის ეტყვანეს ბრძანების შემცველ წარწერაშიც თარიღი 438 ქრონიკონი „ვლჰ“-ით არის აღნიშნული და აქაც „8“-ს მაგიერ „ჰ“ არის.“³

ასო „ჰაე“-ს რვეულ რიცხვით მნიშვნელობას სხვა ვერაფრით ავხსნით, თუ არ

იმით, რომ თავდაპირველად ქართულ ანბანურ მწკრივში „8“ (ე-მერვეს) მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას შემდეგ რაც „8“ (ე-მერვეს) ხმოვანი ბგერის მნიშვნელობა შეიძინა, „ჰ“ ბგერის აღმნიშვნელად ახალი ასო-ნიშანი შემოიღეს და ანბანს ბოლოში დაურთეს.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი თვალსაზრისი ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. მოვეუსმინოთ თვით მას:

„საფიქრებელია, რომ თავდაპირველად „ჰ“ ბგერის აღსანიშნავად ქართულ ანბანში სხვა ასო იხმარებოდა, სახელდობრ მე-8 ასო „8“... მითუმეტეს რომ ფინიკიელთა და სემურ-ბერძნულ თავდაპირველ ანბანში მე-8 ასო „ჰეთ“ არის და „ჰ“ ბგერის გამოხატველი იყო... რომაელებსაც ბერძნებისაგან ეს ასო სწორედ „ჰ“ ბგერის აღმნიშვნელად ჰქონდათ შეთვისებული... საყურადღებოა, რომ ქართულ სათვალავშიაც, სადაც „8“ უნდა იჯდეს, „ჰ“ ზის. ეს გარემოებაც იმის მომასწავებელია, რომ ეს ორი ასო ერთმანეთის შესატყვისობად ჰქონდათ მიჩნეული... ყველა ამ მოსაზრებათა გამო საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მერვე ასოს „8“ ქართულად „ჰ“-ს მნიშვნელობა ჰქონდა და მხოლოდ შემდეგში, როდესაც მას გამოთქმა შეეცვალა, საჭირო შეიქმნა „ჰ“-ავსათვის ახალი ნიშნის შექმნა... ეს მაშინ უნდა მომხდარიყო როდესაც ანბანი მთლად დამთავრებულად ითვლებოდა.“¹

ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, რომ ფინიკიურ და ყველა უძველეს სემურ ანბანებში მე-8 ასო „ჰ“ ბგერის აღმნიშვნელი იყო. არქაულ ბერძნულში ეს ასო-ნიშანი აგრეთვე „ჰ“ ბგერად იკითხებოდა. უფრო გვიან, აღმოსავლურ ბერძნულ ანბანში მე-8 ასო გახმოვანდა, ხმოვან „ეტა“ ბგერად იქცა. კლასიკურ ბერძნულ ანბანში ეს ვოკალიზაცია დაკანონდა.

ქართულ ანბანშიც იგივე ვითარება

¹ Hans Jensen. Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart. Berlin. 1958. გვ. 424-425. რამზე პატარიძე, ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები. მაინე № 3, 1970 წ. გვ. 200-201.

² იქვე.

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 150 (ქრონიკონით 438 წ. — 1218 წელს ნიშნავს. რ. 3).

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. გვ. 200, 201, 202.

გვაქვს: მე-8 ასო-ნიშანი ვოკალიზებულ-ლია, ე. ი. ქართულ ანბანში განზოცვი-ელებულია მე-8 სემური ასო-ნიშნის ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი.

მაგრამ ქართულში ამას გამართლება არა აქვს. ეს ვითარება ბერძნულის გვიანდელ წამბაძველობით უნდა აიხსნას.

შ (ე-მერვე) ერთადერთი ასონიშანია ქართულ ანბანში, რომელსაც საკუთარი ფონეტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. ძველ ქართულ ხელნაწერებში ეს ასო-ნიშანი სხვადასხვა ფონეტიკური მნიშვნელობით იხმარება: 1. იწერება და არ გამოითქმის ე. ი. უფუნქციოა (მაგ.: დღეშ, მრწეშ და სხვ. — ადიშის ოთხთავი 897 წლისა); 2. „ე“ ხმოვანი ბგერის ფუნქციას ასრულებს; 3. „ა“ ნახევარხმოვნის ფუნქციას ასრულებს, 4. „ეა“ დიდფონგის მნიშვნელობისაა, ე. ი. მრჩობლი ბგერის ფუნქციას ასრულებს.

შ (ე-მერვე) ასო-ნიშნის ასეთი ხასიათი ეწინააღმდეგება ქართული ანბანური დამწერლობის არსსა და პრინციპს: ქართულ ანბანში ყოველ ცალკეულ ბგერას შეესაბამება ცალკეული ასო-ნიშანი.

სულხან-საბა ორბელიანი შ (ე-მერვის) ანბანური სახელის „შე“ კომპლექსის გამო წერს, რომ „სიტყვის თავად ამის მეტად არ მოვალს“-ო. იქვე „შე“ კომპლექსს სულხან-საბა „ჰე“ შორისდებულის მნიშვნელობით კითხულობს და ბიბლიურ ტექსტს მიუთითებს¹. სამწუხაროდ „ჰე“ შორისდებულის ასეთ დაწერილობას ბიბლიურ ტექსტებში ვერ მივაგენი.

საგულისხმოა შ (ე-მერვის) ანბანური სახელი „შე“. ყველა ასო-ნიშანს ქართულ ანბანში თავისი სახელი აქვს. „შ“ (ე-მერვე) ასო-ნიშნის სახელი კი არ იკითხება. ამიტომაც შეერქვა ამ ასოს ე-მერვე, ზოლო „ენ“-ს ამის საპირისპიროდ ე-მეხუთე. „შ“ ასო-ნიშნის ანბანური სახელი თითქოს ცხადყოფს, რომ თავდაპირველად ამ ასოს ხმოვანი ბგერის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონო-

და. საგულისხმოა ისიც, რომ გვიან, მე-18 საუკუნეში „შ“ — „თანხმოვანი“ ბგერის აღსანიშნავად იხმარება.

საერთაუღო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველ ქართულ ანბანურ მწკრივში მე-8 ასო-ნიშანი ვოკალიზებული არ უნდა ყოფილიყო და ამ ასო-ნიშანს „ჰ“ ბგერისა და შესაბამისად რვის რიცხვითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ქართულ ანბანში „ჰა-ეს“ უკანასკნელ გრაფემად ჯდომას სხვა ანბანებში ანალოგია ვერ ეძებნება და ეს გარემოება ქართული ანბანური სტრუქტურის გვიანდელი ხელყოფის შედეგი უნდა იყოს.

როდის უნდა ექციათ მე-8 ასო-ნიშანი ხმოვან ბგერად და როდის უნდა შემოეღოთ „ჰაე“ ბგერისათვის ახალი ასო-ნიშანი?

ამ საკითხის გამო მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას. მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში — სომხეთში მამთოცის მოღვაწეობის ხანაში, ქართული „ჰაე“ უკანასკნელ გრაფემად ქართულ ანბანში უკვე დიდი ხნის შემოღებული ჩანს. კერძოდ ეს ვითარება ასახულია სომხურ ანბანში.

სომხური ანბანის „ქართულ“ ანბანურ ჯგუფში სომხური „ჰო“ უკანასკნელ გრაფემად და „ჟე“ ასო-ნიშნის შემდეგ ზის¹. ე. ი. მამთოცს ქართული ანბანის უკანასკნელი ასო-ნიშანი „ჰაე“, ქართული ანბანური ჯგუფის უკანასკნელ ბგერად მიუჩნევია.

სჩანს იმ დროს, როცა სომხური ანბანი იქმნებოდა, არც საქართველოში, არც სომხეთში არ სცოდნიათ, რომ „ჰ“ ბგერა ქართულ ანბანურ ჯგუფს არ განეკუთვნება, არამედ სპეციფიკური სემური ბგერაა და სემური ანბანური ჯგუფის მე-8 ასო-ნიშანია.

თუ „ჰაე“ ასო-ნიშანი მართლაც გვიან დაერთო ქართულ ანბანს ბოლოში, თავდაპირველად, ქართული ანბანური მწკრივის შემოღებისას, ქართულ ანბან-

¹ სულხან-საბა ორბელიანი, თხ. ტ. IV. 1. გვ. 298.

¹ ი. ბ. რ. ბატარიძე. „ერკათაგირის“ გრაფიკული საფუძვლები“. ეთნოლოგიური „მაცნე“ № 3, 1977 წ. გვ. 181. ტაბ. № 4.

ში სულ 35 გრაფემა უნდა ყოფილიყო და არა 36.

შესაძლებელია თუ არა ამ საკითხის გამორკვევა?

ანბანს თავისთავად აქვს თავისი დასაწყისი, თავისი პირველი გრაფემა; მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობა თავისთავად ცნობილია, რადგან ანბანური მწკრივი გულისხმობს ასო-ნიშნების თანამიმდევრობას ანბანში. გარდა ამისა, ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების რიგითი სათვალავის შესაბამისად, ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობაც აქვთ. მაგრამ აქვს თუ არა ანბანს დასასრული, დასასრულის მაუწყებელი ნიშანი?

ყველა უძველესი ანბანი დასასრულის მაუწყებელი ნიშანით — ჯვარით მთავრდება.

აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში ყველა უძველესი 22 ნიშნიანი ჩრდილო-სემური დამწერლობა ჯვარით მთავრდებოდა, მათ შორის ფინიკიური, პუნური, ახალ-პუნური, არამეული, ძველბერაული, მოაბური და სხვ.; ყველა უძველესი 29-ნიშნიანი სამხრეთ-სემური დამწერლობა ჯვარით მთავრდებოდა, მათ შორის მიწური, საბეური, ჰიმიარული, კატაბანური, სამუდური, დედანიტური, საფაური და სხვ.

აღმოსავლურ ანბანებში დასასრულის ნიშნად იხმარებოდა ჯვარის ორი ფორმა: + (crux immissa) და X (crux decussata), რის გამოც უკანასკნელ, ერთი ბგერის გამომხატველ ასო-ნიშანს სემურ ანბანებში ორი გრაფიკული ფორმა ჰქონდა, ხოლო მის ბგერით მნიშვნელობას აპირობებდა სემური ანბანური დამწერლობის ზოგადი აკროფონიული პრინციპი.

დასავლურ ანბანურ სამყაროში, არქაული ბერძნული დამწერლობა სავარაუდოდებელია ჯვარით მთავრდებოდა (ბერძნული ანბანური ჯგუფის შემოღებამდე). ოღონდ ანბანს ამთავრებდა ჯვარის არა სემური, არამედ ბერძნული ფორმა: T (crux commissa).

ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს ბერძნული

პალეოგრაფიის ცნობილ მკვლევარს კლარფელდს და ამბობს:

„თავდაპირველად ბერძნების ანბანი სემიანთა ანბანივით 22 ასოსაგან შედგებოდა, რომელსაც ბოლოში ჯვარის ნიშანი უზის, რომელიც დასასრულის ნიშნად გამოდის“ (Dr. W. Larfeld, Griechische Epigraphik, 3, 1914, გვ. 205-206)¹.

უთუოდ საგულისხმოა, რომ ბერძნებმა ბოლო ფინიკიური გრაფემა უცვლელად კი არ გადმოიღეს ბერძნულ ანბანში, არამედ შეცვალეს ჯვარის საკუთარი ნიშნით. ცხადია ბერძნებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ფინიკიური ბოლო ასო-ნიშნის გრაფიკული შინაარსი. შემდგომ, ბერძნული ანბანური ჯგუფის შემოღებისას, X — „ქ“ ან „ქს“ ფონემის აღსანიშნავად გამოყენებულ იქნა ჯვარის სემური ფორმა, როგორც ანბანის დასასრულის ნიშანი. ამგვარად სავარაუდოდებელია, რომ თავდაპირველად, არქაულ ბერძნულში „ფსი“ მრჩობლი ბგერა და „ომეგა“ (გრძელი „ო“) არ იყო და ანბანი ჯვარით მთავრდებოდა.

იტალიურ დამწერლობებში გვაქვს ჯვარის ორივე: ბერძნული და ანბანის დასასრულად ჯვარის სემური ფორმა x (crux decussata).

ლათინურ ანბანში 21 ასო-ნიშანი იყო და ანბანს ჯვარი ამთავრებდა. „ასოთა ამ რიცხვით მოაღწია ლათინურმა დამწერლობამ ციცერონამდე (106-43), როგორც ეს ჩვენ მისგან ვიცით. ასევე მ. ფაბიუს კვინტილიანე (35-95) ამბობს, რომ X — „ქს“ არის ლათინური ანბანის უკანასკნელი ასო — „ultima nostrorum“².

„In Quintilian's time letter «x» was the «ultima nostrorum» and closed the alphabet.“³

ცხადია „X“ (ქს) მრჩობლი ბგერა ლა-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. თბ. 1949 წ. გვ. 7.

² Frantisek Muzika. Die Schöne Schrift in der entwicklung des Lateinischen Alphabets. პრაღა. 1965 წ. გვ. 74.

³ E. M. Thompson. Handbook of Greek and Latin palaeography. London. 1906, გვ. 10.

თინებს ანბანის დასასრულის ნიშნად მიაჩნდათ. საგულისხმოა, რომ „X“-„ქს“-ერთად-ერთი მრჩობლი ბგერაა ლათინურ ანბანში.

რომ ჯვარი ანბანის დასასრულის ნიშანი იყო ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება კოპტური დამწერლობა. კოპტურ ანბანში სულ 32 ასო-ნიშანი იყო. აქედან 24 ბერძნულისაგან არის ნასესხები, ხოლო სპეციფიკური კოპტური ფონემებისათვის გამოყენებულია დემოტური დამწერლობის ნიშნები. უკანასკნელ 32-ე ნიშნად კი დასმულაა ჯვარი + (crux immissa), რომელსაც არა რაიმე ბგერის, არამედ „ტი“ მარცხლის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ცხადია უკანასკნელი გრაფემა კოპტური დამწერლობისა არა იმდენად ფონეტიკურ, არამედ ანბანის სტრუქტურულ ფუნქციას ასრულებდა, ანბანის დასასრულის მანიშნებელი იყო.

დაბოლოს, ქრისტიანული ეპოქის ძეგლი — სომხური ანბანი ჯვარის ზოგად-ქრისტიანული ემბლემით — ქრისტეს მონოგრამით მთავრდებოდა.¹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უძველეს დასავლურ ანბანებში მსგავსად აღმოსავლური ანბანებისა, ანბანის დასასრულის ნიშნად ჯვარი იჭდა, სხვადასხვა ფონემური მნიშვნელობა ჰქონდა, ოღონდ ფონემური მნიშვნელობა აკროფონიული პრინციპით გაპირობებული არ იყო.

ემორჩილება თუ არა ქართული ანბანი ზოგად ანბანურ წესს? აქვს თუ არა ქართულ ანბანს დასასრულის ნიშანი?

ქართული ანბანის 35-ე გრაფემად ჯვარის იდეოგრამა ზის და აკროფონიული პრინციპის შესაბამისად ასო-ნიშანს ჯვარის პირველი ბგერის „ჯ“-ს მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ამდენად 35-ე გრაფემა ქართული ანბანის დასასრულის მათყუებელია.

ცხადია, თავდაპირველად, ქართული ანბანური მწკრივის შემოღებისას, ქართულ ანბანში 35 ასო-ნიშანი ყოფილა

და, ამდენად, მტკიცდება, რომ 36-ე „პაე“ გრაფემა ქართულ ანბანს უცვლიან დაურთეს ბოლოში, როცა უკვე შესასწავლა დაეიწყებოდა იყო „ჯ“ გრაფემის გრაფიკულ-ანბანური შინაარსი და მნიშვნელობა.

ჩემი ვარაუდით „პაე“-ს დართვა უნდა მომხდარიყო უწინარეს მე-4 საუკუნისა ახ. წელთაღრიცხვით (ზემოთ უკვე ითქვა, რომ მე-4 საუკუნეში სომხეთში მამთოციის მოღვაწეობის ხანაში ქართულ ანბანს „პაე“ უკვე დართული ჰქონდა).

ივანე ჯავახიშვილი „ჯ“ გრაფემის მოხაზულობის გამო ამბობს: „შესაძლებელია „ჯ“-ის წარმოშობისათვის მექანიკური თეორიაც კი იყოს გამოყენებული და ამ ასოსთვის ირიბად გადაჭრილი ჯვარის მოხაზულობა ყოფილიყო აღებული, მაგრამ საიდან გაჩნდა „ჯ“-ს ზეგითი გასწვრივი ხაზი, ამ თეორიის თვალსაზრისით გაუგებარი იქნებოდა“.¹

ქართული ასომთავრული დამწერლობის მონუმენტური არსის გათვალისწინების შემდგომ, ასო-ნიშნის ზემო ჰორიზონტალი — ასო-ნიშნის ზემო ზღვარი, ივანე ჯავახიშვილის თეორიას ხელს აღარ უშლის და ჯვარის გრაფიკული არსი ძალაში რჩება (ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი).

ამგვარად, ქართული ასომთავრული დამწერლობის დასასრულის ნიშნად ქართულ ანბანში ჯვარია დასმული, ხოლო ჯვარის იდეოგრამას აკროფონიული პრინციპის თანახმად „ჯ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

ქართული ანბანი ერთადერთი ანბანია დასავლურ ვოკალიზებულ ანბანთა შორის, რომელშიც დასასრულის მათყუებელი ნიშნის აკროფონიული პრინციპია განხორციელებული, ანუ უპირველესი პრინციპი ანბანური დამწერლობისა.

ამგვარად, ჩემი ვარაუდით, კლასიკური ხანის ქართულ ასომთავრულ ან-

¹ რ. პატარაძე, ერკათავიანის გრაფიკული საფუძვლები. „მაცნე“ № 3, 1970 წ. გვ. 184.

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 231.

ბანში 35 ასო-ნიშანი იყო. ანბანს ჰქონდა თავისი დასაწყისი — პირველი გრაფემა და თავისი დასასრული 35-ე გრაფემა. ასო-ნიშნებს ანბანში იმთავითვე ჰქონდათ თავიანთი თანამიმდევრობა და თანამიმდევრობის შესაბამისად რიცხვითი მნიშვნელობაც.

ამიტომ კლასიკური ხანის ქართულ ანბანში ასო-ნიშნების ასეთი თანამიმდევრობა უნდა გვექონოდა: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ე, რ, ს, ტ, ჯ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, ჳ. ამ ანბანში მ (ე-მერვეს) „პ“ ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო „ჳ“ ბგერა გვიან „უ“, ხმოვანმა ბგერამ შესცვალა.

უძველესი სემური ანბანის მსგავსად ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებული იყო ანბანის მთლიანობა ანუ ერთება ანბანისა. ანბანს ჰქონდა თავისი დასაწყისი და თავისი დასასრული — ასო-ნიშნების დასრულებული ანბანური მწკრივი.

ქვემოთ, ქართული ასომთავრული ანბანის 35 გრაფემის ერთების საფუძველზე აგებული გვაქვს ქართული ასომთავრული ანბანის შინაარსეული სტრუქტურა.

ანბანური ერთება შემთხვევითი ნიშან-თვისება არ არის ქართულ ასომთავრული დამწერლობისა. ქართულ ანბანში განხორციელებულია ყოვლადი, კოსმოსური ერთების პრინციპი. ამ ყოვლადი ერთების საწყისი და საფუძველია რ ი ც ხ ი.

ვრცლად ამის შესახებ ცალკე მექნება საუბარი.

ჯერ ანბანის ერთების შესახებ: უძველეს სემურ ანბანურ მწკრივს, მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობასთან ერთად, ჰქონდა თავისი დასაწყისიცა და დასასრულიც. თუ ჯვარის იდეოგრამა სემური ანბანის დასასრულის აღმნიშვნელია, პირველი გრაფემა „აღლფ“ — ხარის იდეოგრამა, როგორც მთვარის ღვთაების ემბლემა, თითქოს სემური ანბანური მწკრივის დასაწყისის მათწყებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო.

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„სემიანთა ანბანის 22 ნიშნის შემცველ მწკრივს ხარის სახელზე იყენებდნენ „აღლფ“ მიუძღვის, ხოლო ბოლოში დასასრულის მათწყებელი ჯვარის ნიშანი + „ტაე“ უხის. ანბანის მთლიან მწკრივის თავში ხარის აღმნიშვნელი „აღლფ“-ის მოქცევაც შესაძლებელია სარწმუნოებრივი მოსაზრებით იყოს ნაქარნახევი, რადგან ხარი ზოგიერთ ერებს, მათ შორის სემიანებსაც, წმინდა ცხოველად მიაჩნდათ. „აღლფ“-ით დაწყება ამნაირად საქმის დასაწყისის წინ ვედრების გამომხატველი იქნებოდა.¹

ამ საკითხის გამო ივ. ჯავახიშვილი კიდევ ერთხელ შემდეგსა წერს:

„რადგან „აღლფ“ ხარსა ნიშნავს და ხარი ვითარცა რქოსანი პირუტყვი ეგვიპტელებსა და მთვარის (ხაზი ჩემიარ. პ.) თაყვანისმცემელ ერებსაც წმინდა, საზვარაკო ცხოველად მიაჩნდათ, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ასოთა რიგში პირველად ხარის — „აღლფ“-ის გამომხატველ ნიშანს ერთგვარი სარწმუნოებრივი დედაზრი, ვედრების გამომხატველი დანიშნულება ჰქონიყო.²

თუ ეს მართლაც ასე იყო, სემურ ანბანურ მწკრივს მთვარის ღვთაების საზვარაკო ცხოველი, მთვარის ღვთაების უპირველესი სიმბოლო, — ხარი იწყებს და დასასრულის მათწყებელი ნიშანი — ჯვარი ამთავრებს. ამდენად ასო-ნიშნების მწკრივს სემურ ანბანში ჰქონდა თავისი დასაწყისიცა (ხარის იდეოგრამა — აკროფონი) და დასასრულიც (ჯვარის იდეოგრამა — აკროფონი).

სემური ანბანური მწკრივის ერთების პრინციპიც ეს არის.

ბერძნულმა დამწერლობამ ფინიკიური ანბანური მწკრივის ერთების პრინციპი არ იცის. ზოგადად რომ ვთქვათ, ანბანის ერთების სემური პრინციპი ბერ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 262, 263.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 7.

ძნელ დამწერლობაში განხორციელებული არ არის. კლასიკურ ბერძნულ ანბანში ასო-ნიშნების რიგით სათვალავსა და ასო-ნიშნების ანბანურ სათვალავს შორის შეუსაბამობაა. კლასიკურ ბერძნულ ანბანში 24 ნიშანია, ხოლო ანბანური სათვალავით 27; ბერძნულ ანბანში არცერთი იდეოგრამა — აკროფონი არ არის; კლასიკურ ბერძნულ ანბანს არც დასაწყისის აღმნიშვნელი გრაფემა აქვს და არც დასასრულის მაუწყებელი ნიშანი. კერძოდ, ბერძნული ანბანის პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამა აჲ არის, ხოლო ასო-ნიშნის სახელი — „ალფა“, რა თქმა უნდა, ხარის არ ნიშნავს, არამედ სემური „ალფა“-ის ბერძნული ფორმაა, დაკარგული აქვს სემური დედნის მნიშვნელობა და შინაარსი. — „ალფა“ ბერძნულ ანბანში პირობით ასო-ნიშნად და ასო-ნიშნის პირობით სახელად არის ქცეული.

რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით ქართულ ანბანში?

როგორც უკვე გამოიჩვენა, ქართულ ასომთავრულ ანბანს სემური ანბანის მსგავსად ჯვარის იდეოგრამა-აკროფონი ამთავრებდა:

რადგან ჯვარის იდეოგრამას ქართულ ანბანში „ჯ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ამდენად ამ ასო-ნიშანში განხორციელებულია სემური ანბანური დამწერლობის ზოგადი აკროფონიული პრინციპი. ასო „ჯ“ ქართული ანბანის დასასრულის მაუწყებელია.

მაგრამ იწყებს თუ არა ქართულ ასომთავრულ ანბანს, სემურის მსგავსად ხარის იდეოგრამა და ხარის აკროფონი? ე. ი. განხორციელებულია თუ არა ასომთავრულ ანბანში სემური ანბანური ერთების პრინციპი?

ივანე ჯავახიშვილი ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის გამო წერდა:

„ქართული „ან“-ის მრგვალი მოხაზულობა და კიდურებ-აწეული ზევიითი განივი ხაზი სწორედ ხარის რქიანი თავის მოხაზულობას წარმოადგენს და ამ ასოს თავდაპირველი ნაკვითი მას მოა-

ბურ-ფინიკიური „ალფა“-ის მოხაზულობაზე გაცლებით უკეთ აქვს დაცული“-ო.¹

ივანე ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს ფრიად მნიშვნელოვანი ვარაუდი და თვალსაზრისი, მაგრამ თუ ქართული „ან“ — მართლაც ხარის იდეოგრამაა, დამწერლობის ანბანური პრინციპის შესაბამისად, ქართული „ან“ ხარის აკროფონიც უნდა იყოს, ე. ი. „ან“ სიტყვა „ალფა“-ის მსგავსად ხარის უნდა ნიშნავდეს.

როგორც გამოიჩვენა, ქართული ასომთავრული „ან“ არც ხარის იდეოგრამა და არც ხარის აკროფონი (იხ. ასო-ნიშანი „ან“).

ხარის იდეოგრამა-აკროფონს ქართულ ასომთავრულ ანბანში მიაკვლია ცნობილმა მეცნიერმა ვერა ბარდაველიძემ.²

ქართული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ვერა ბარდაველიძემ ამოიკნო ქართული ასომთავრული ასო-ნიშნის „ქარ“-ის იდეოგრაფიული და ანბანურ-აკროფონიული რაობა.

ქართული ასომთავრული ანბანის 34-ე გრაფემა ხარის (ქარის) იდეოგრამაა, ასო-ნიშნის სახელიც ამიტომ ქარია (ხარი), ხოლო ასო-ნიშანს, აკროფონიული პრინციპის შესაბამისად, „კ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული (იხ. ასო-ნიშანი „ქარი“).

ცხადი ხდება, რომ ქართულ ანბანს მთვარის ღმერთის საკულტო ცხოველი ხარი ამთავრებს, ხოლო ანბანის დასასრულის ნიშნად ჯვარია დასმული. ისიც ცხადია, რომ სემურ ანბანს ხარის („ალფა“-ის) იდეოგრამა-აკროფონი იწყებს, ხოლო ქართულ ანბანს პირუკუ ხარის იდეოგრამა-აკროფონი ამთავრებს.

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 270.

² В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. 1957, гв. 202, 203.

შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება? რატომ ვადაადგილდა ხარის იდეოგრაფიკა-აკროფონი ქართულ ანბანში და რატომ მოექცა ქართულ ანბანს ბოლოში?

როგორც ჩანს, ქართული ანბანის ერთების პრინციპს სამი იდეოგრაფიკა-აკროფონი აპირობებს: პირველი, უკანასკნელი და დასასრულის მაუწყებელი ნიშანი:

1. Ⴀ - ა

.....

34. ყ - ჯარ - ხარი

35. ლ - ჯან - ჯარი

რადგან ქართული ასომთავრული ანბანი მთვარის ღვთაების ემბლემატით — ხარით მთავრდება, ხოლო დასასრულის ნიშნად ჯვარია დასმული, საფიქრებელია, რომ ანბანის საწყისი გრაფიკა, სემური ანბანის მსგავსად, მნიშვნელოვანი იდეოგრაფიკა-აკროფონი უნდა იყოს. თუ ქართული ასომთავრული „ან“ მართლაც იდეოგრაფიკა, როგორ ამოვიცნოთ მისი რაობა და მნიშვნელობა?

- 1. „ალფ“ — ხარი
- 21. „სინ“ — მთვარე, მთვარის ღმერთი
- 22. „თავ“ — ჯვარი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულ ანბანში არცერთი იდეოგრაფიკა-აკროფონი არ არის, ამიტომ ქართულ ანბანის ერთების პრინციპს ბერძნული ანბანით ვერ ამოვხსნით. ქართული ანბანის ერთების პრინციპი ისევე სემურ-ქართული აკროფონების ურთიერთ მიმართებამ უნდა გაარკვიოს.

როგორც ჩანს, ქართული ანბანის ერთების პრინციპი და საწყისი ასომთავრულის რაობა, რამდენადმე, მხოლოდ ფინიკიური დედა-ანბანის მეოხებით შეიძლება აიხსნას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა ენიჭება, ქართულისა არ იყოს, ფინიკიური ანბანის სამ აკროფონს: პირველს, უკანასკნელს და დასასრულის მაუწყებელ ნიშანს:

1. „ალფ“ — ხარი

21. „სინ“ — მთვარე, მთვარის ღმერთი

22. „თავ“ — ჯვარი

ე. ი. ფინიკიურ ანბანს „ხარი“ იწყებს და „მთვარე“ ანუ „მთვარის ღმერთი“ ამთავრებს, ხოლო დასასრულის ნიშნად ჯვარია დასმული. ამდენად ფინიკიურ და ქართულ ასო-ნიშნებს შორის შემდეგნაირ შესაბამისობას ვღებულობთ:

1. „ან“ — ?

34. „ქარ“ — ხარი

35. „ჯან“ — ჯვარი



ქართულ ანბანს ფინიკიურის მსგავსად ჯვარი ამთავრებს. მაგრამ თუ ქართულ ანბანში ფინიკიური „მთვარის“ სანაცვლოდ უკანასკნელ გრაფიკად „ხარი“ ზის, პირველ გრაფიკად თითქოს მთვარის აკროფონი უნდა იქდეს. თუ ქართულ ანბანში განხორციელებულია ერთების ფინიკიური პრინციპი, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ხარისა“ და „მთვარის“ აკროფონებს ქართულ ან-

ბანში, ფინიკიურის საპირისპიროდ, მხოლოდ ადგილები აქვთ შენაცვლებული და ამდენად, ქართული ანბანის პირველი გრაფიკა მთვარისა და მთვარის ღმერთის იდეოგრაფიკა-აკროფონი უნდა იყოს.

ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა.


ქართული ანბანის პირველი რეალური გრაფიკა მთვარის იდეოგრაფიკა უნდა იყოს, ხოლო ამ გრაფემის ზემო პორი-

ზონტალური ხაზი ასო-ნიშნის ზემო ზღვარია და მთვარის ცაზე მსვლელობის ზემო მიჯნაა (იხ. ასო-ნიშანი „ან“).

ჩემი ვარაუდით, ქართულ ასომთავრულ ანბანს ასტრალური პანთეონის უპირველესი ღვთაება — მთვარე იწყებს და მთვარის ღვთაების ზოომორ-

ფული სიმბოლო — ხარი ამთავრებს, ანბანის დასასრულის აღმნიშვნელად კი ჭვარი ზის.

ქართული ანბანური მწკრივის ერთების პრინციპიც ეს არის. ე. ი. ფინიკური და ქართული იდეოგრაფია-აქროფონების შემდგენაირ შესაბამისობას ეტყულებოდა:



ამგვარად, ფინიკური ანბანის მთვარის იდეა, ფინიკური „სინ“ ქართულ ანბანში გააზრებულია, როგორც მთვარის ღვთაება, ხოლო ეს იდეა ქართულ ანბანში პირველ, საწყის გრაფიკულ განხორციელდა. რატომ მოხდა ასე?

მთვარეს ქართულ ანბანში პირველი ადგილი მიეკუთვნა, იმის გამო, რომ ძველი ასტრალური კონცეპციით მთვარე პირველ ცაზეა. ხოლო ძველი ასტროლოგიური შეხედულებით ანბანის პირველი ასო-ნიშანი პირველ ცას, მთვარის ცას განეკუთვნება.

ე. ი. ანბანური მწკრივის ერთების პრინციპი ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია უკეთ, ვიდრე თვით ფინიკურ ღვთა-ანბანშიც კი (უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

რადგან ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი მთვარის იდეოგრაფიაა, ამიტომ, დამწერლობის ანბანური პრინციპის შესაბამისად, „ან“ მთვარის აქროფონიც უნდა იყოს, ე. ი. „ან“ — სიტყვა მთვარეს ანუ მთვარის ღმერთს უნდა ნიშნავდეს.

ამის გამო უნდა ითქვას შემდეგი:

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ფინიკური ასო-ნიშნის სახელწოდება — „სინ“ არც-

ერთ ანბანს (გარდა ებრაულისა) არ შეუთვისებია: ბერძნულში შესაბამის ასო-ნიშანს „სან და „სიგმა“ ეწოდება, ხოლო არამეულ და არამეულთან დაკავშირებულ ანბანებში ამ ასოს საერთოდ დაკარგული აქვს „ს“ — ბგერის მნიშვნელობა და მხოლოდ „შ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ასო-ნიშანს არა „სინ“, არამედ „შინ“ ეწოდება (არამეულში „ს“ ბგერის ფუნქციას მე-15 „სამეკ“ გრაფიკა ასრულებს).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ებრაულ დამწერლობას სხვა ერებში გავრცელება არ მოუპოვებია, ქართული ანბანის „მთვარის ღვთაების“ ერთადერთ წყაროდ ფინიკური „სინ“ უნდა მივიჩნიოთ.

„სინ“ აღმოსავლურ სემურ სამყაროში ერთერთი უდიდესი ასტრალური ღვთაებაა. აღმოსავლეთში ასტრალური კულტისა და ასტროლოგიის გაბატონებამ ცის მნათობნი-ვარსკვლავნი უპირველეს ღმერთებად დასახა. ცის მნათობ ღმერთთა შორის „სინ“ მთვარის ღმერთია, ხოლო მნათობ-ღმერთთა ტრიადაში მთვარე-ღმერთი უპირველესი ღვთაებაა.

უკანასკნელი ფინიკური ასო-ნიშნის

სახელი — „სინ“ ასეთი ღვთაებრივი მნიშვნელობით არის გაგებული. მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა ფინიკიური ენით ვერ აიხსნება. სიტყვა „სინ“ რელიგიურ-საკრალური მნიშვნელობით არის გაგებული. იგი აღმოსავლურ — სემურ გარემოში მთვარის ღვთაების სახელი იყო, რომელიც ამავე ღვთაების შუმერული სახელწოდებებისაგანაა მიღებული. (შუმერული ენა

ძველი წელთაღრიცხვის სულ ბოლო დრომდე კულტის მსახურთაქმურქმთა, სწავლულთა და ასტრონომოსთა) სინად ითვლებოდა, შუმერული ენის ცოდნად იღვ განსწავლულობად და პატივად იყო მიჩნეული). „სინ“ — თავისი წარმოშობით, როგორც ჩანს, მართლაც შუმერული სიტყვა უნდა იყოს. „სინ“ — მთვარის ღვთაების შუმერულ-აქადური დაწერილობის ტრანსლიტერაცია ასეთია:

^dEN.ZU > ^dsu'en > ^dsîn & ^dsi-in, ე.ი. ^dsin

სადაც ^d — ღმერთის დეტერმინატივია (დეტერმინატივი არ იკითხება). ვფიქრობ, უკანასკნელი ფინიკიური ასო-ნიშნის სახელი საკრალიზებულია (ქართულ ანბანში ფინიკიური გრაფემების საკრალიზაციის სხვა შემთხვევებიც გვაქვს.

ფინიკიური უკანასკნელი გრაფემის ასო-ნიშნის სახელის ანალოგიით ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანში განხორციელებულია მთვარის ღვთაების იდეოგრაფია. მაგრამ რატომ ეწოდა მთვარის იდეოგრაფას ქართულ ანბანში „ან“?

რადგან ფინიკიური ასო-ნიშნის სახელი — „სინ“ ძირეულად მთვარის ღვთაების შუმერულ სახელწოდებას უკავშირდება, შესაბამისად ქართულ ასო-ნიშნის სახელი — „ან“ აგრეთვე მთვარის ღმერთს უნდა ნიშნავდეს, მითუმეტეს ქართულ ანბანში „ან“ მთვარის იდეოგრაფის სახელია. ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის „ან“ და ფინიკიური ანბანის „სინ“ — სინონიმებია.

„ან“ შუმერული სიტყვაა და ცის ღმერთს ნიშნავს. ღმერთების უძველეს შუმერულ პანთეონში „ან“ — ცის ღმერთი ტრიადის უპირველესი წევრია. ძველი შუმერული ღმერთების სამება ასეთია: 1. ან — ცის ღმერთი, 2. ენლილ — მეუფე ჰაერისა და 3. ენ-

ქი — უფალი მიწისა და ქვესკნელის წყლებსა.

უფრო გვიან, ბაბილონურ ხანაში „ან“ — ცის ღმერთი თავის უპირატესობას ჰკარგავს. ამ დროს, ბაბილონურ ღმერთთა შორის უზენაესი ღვთაება — მარდუქია. თანდათანობით, ასტრონომიისა და ასტროლოგიის ზემოქმედების შედეგად ბაბილონური ღმერთები ცის მნათობ-ღმერთებმა შესცვალეს. შეიქმნა შეიდი ცის რწმენა და შეიდ მნათობ-ღმერთთა ასტრალური პანთეონი. ცის ღმერთების გაბატონებას უნდა გამოეწვია „ან“ — ცის ღმერთის უფუნქციობა. ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო „ან“ — ცის ღმერთის ასიმილაციის პროცესი. შეიდ მნათობ-ღმერთთა შორის „სინ“ — მთვარის ღმერთი უპირველესი ცის ღმერთია, ხოლო მნათობ-ღმერთთა ტრიადაში: (1. სინ — მთვარე, 2. შამაშ — მზე და 3. იშთარ — მთიები), „სინ“ — მთვარის ღმერთი, როგორც ჩანს, უძველესი შუმერული ცის ღმერთის ფუნქციებს იძენს და „ან“ — ცის ღმერთს ენაცვლება.

შესაძლოა კი „სინ“ — მთვარის ღმერთი „ან“ — ცის ღმერთად იწოდებოდეს?

როგორც ჩანს შესაძლოა და ეს მართლაც ასეა: „სინ“ — მთვარის ღმერთს მიემართება სახელი „ან“, სახელი ცის

ლმერთისა.¹ ქართულ ასომთავრულ ანბანში, ჩანს, ასახულია „ან“—ცის ღმერთის ასომილაციისა და „ან“—ცის ღმერთისა და „სინ“—მთვარის ღმერთის სინკრეტიზმის საბოლოო აქტი.

საგულისხმოა, რომ შვიდ ბაბილონურ მნათობ-ღმერთთაგან, შვიდ ცათა ღმერთთაგან არცერთს არ მიემართება სახელი „ან“—ცის ღმერთისა „სინ“—მთვარის ღმერთის გარდა.

ბაბილონური ასტრალური პანთეონის შვიდი მთავარი ვარსკვლავური ღმერთი შემდეგია:

1. მთვარე—სინ—ქვეყნის მაცოცხლებელი ღმერთი.

2. მერკური—ნაბუ—მწერალი ღმერთი.

3. ვენერა—იშთარ—დედოფალი ცისა. სიყვარულის ღმერთი.

4. მზე—შამაშ—მოსამართლე და ღმერთი მეუფე.

5. მარსი—ნერგალ—ომისა და ხანძრის ღმერთი.

6. იუპიტერი—მარდუქ—მწიგნობარ ღმერთი.

7. სატურნი—ნინურთა — მკვდართა სამეფოს ღმერთი.

როგორც უკვე ითქვა, „ან“—ცის ღმერთად მხოლოდ და მხოლოდ „სინ“—მთვარის ღმერთი იწოდება.

თუ კი ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდა, ხოლო „ან“ შემერული სიტყვაა, ეს გარემოება პალეოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად ბუნებრივია. შემერული ენა ძველი სამყაროს კულტურისა და რელიგიის ენაა. ქართულ ანბანში დაფარულად წარმართული ხანის რელიგიურ-ასტრონომიული შეხედულებებია ჩაქსოვილი. ქართული ასომთავრული—კულტის მსახურთა—ქურეთა ენაა, ამიტომაც უძველესი ქართული ასომთავრული დამწერლობა საკრა-

ლიზებულია, ხოლო საკულტო-რელიგიურ მიზნებს, ბუნებრივად შემერული ენა ემსახურება.

გარდა ამისა, კლასიკური ბერძნული ანბანის ასო-ნიშნებს არა ბერძნული, არამედ სემური სახელები აქვთ, ხოლო ქართულ ასო-ნიშნებს კი შემერული. ბერძნული ასო-ნიშნების სახელდების ეს პრინციპი ბერძნულ ანბანში სრულყოფილად განხორციელებული არ არის იმის გამო, რომ შეუსაბამობაა ასო-ნიშანსა და ასო-ნიშნის სახელს შორის. ეს შეუსაბამობა ასო-ნიშანსა და ასო-ნიშნის სახელს შორის ქართულ ანბანში დაძლეულია. ბერძნულ და ქართულ ანბანში შემუშავებულია ასო-ნიშნების სახელდების სხვადასხვა პრინციპი (იხ. ქვემოთ: ანბანის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი).

კიდევ ერთი საკითხი: ქართული ანბანის ერთების თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, ქართულ ანბანს „ან“—იდეოგრამა — აკროფონი იწყებს და „ქარ“—იდეოგრამა — აკროფონი ამთავრებს. ხომ არ არის რაიმე შეუსაბამობა ამ ორ იდეოგრამა-აკროფონს შორის? დარღვეული ხომ არ არის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი? ქართული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ შემერული სახელი, ხოლო უკანასკნელ ასო-ნიშანს კი „ქარ“—ქართული სახელი ეწოდება. სადღაა აქ ანბანური ერთების ზოგადი, ყოვლადი პრინციპი?!

ქართული ასომთავრული ანბანის ერთების პრინციპი ძალაში რჩება, რადგან „ხარ“ (har) შემერული სიტყვაა და ხარს ნიშნავს.

შემერული **hár** აქადური

ha-ar-ru

¹ იხ. სპეკულიტ-რა: Akkadische gottrepitehta von Knut Tallqvist. Helsinki. 1938, გვ. 442-448. Wörterbuch der Mythologie. I Abt. Edzard, D. O. Die Mythologie der sumerer und akkader. Stuttgart. 1965, გვ. 101-103.

იგვევა, რაც ქართული „ხარი“¹ შემერულ პანთეონში ირიცხებოდა აგრეთვე ამავე სახელწოდების შქონე ღვთაე-

ბაც — ^dḪár — ღვთაება ხარი,

რომელიც ითვლებოდა მთვარის ღვთაების „სინ“-ის შვილად².

არ არის გამოიციხული, რომ „ან“ შემერული სიტყვა აგრეთვე როგორც შეთვისებული ჰქონდა ქართულ წარმართულ რელიგიას ამ თვალსაზრისით იქნებ კვლავ განსაზღვრული ქართული წარმართული პანთეონის აღმოსავლურ-ქართული ღვთაება „ანატორი“, დასავლურ-ქართული ღვთაება „ანთარი“, აფხაზური „ანცვა“³.

ამავე თვალსაზრისით იქნებ საინტერესოა ქართული სიტყვა „ანელი“, რა თქმა უნდა ყოველივე ეს საერთოხის დასმის წესით, რადგან ამ სიტყვათა ეტიმოლოგიური კვლევა პალეოგრაფიის კომპეტენციაში არ შემოდის.

ქართული ასომთავრული წარმართული ეპოქის ძეგლია. მასში თანდათანობით იგვეთება ქართული წარმართული კულტურის ასტრალური ღმერთების პანთეონი.

შეიძლება დავასკვნათ:

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი არის მთვარის ანუ მთვარის ღმერთის იდეოგრამა;

ქართული ასომთავრული დამწერლობის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდება, რაც შემერულ ენაზე ცის ღმერთს ნიშნავს და მთვარის ღმერთს იგულისხმება;

¹ იხ. სპეტ. ლიტ-რა: A. Deimel. Sumerisches Lexicon. I. Roma. 1947, № 563:12.

² იხ. სპეტ. ლიტ-რა: K. Tallqvist. Akkadische Gotterepitheta. Helsinki. 1938, გვ. 321. სპეციალურ ლიტერატურაზე მიმითითეს შემერული ენისა და კულტურის სპეციალისტებმა ზურაბ კიკნაძემ და გეზალ შარაშენიძემ.

³ იხ. სპეტ. ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი 1. 1927 წ. გვ. 76-78, 106-107. 3. პარაია. Об отношении абхазского языка к ифетическим. გვ. 31-33. III. Д. Инал-Ипа. О генезисе образа верховного бога абхазов. Всесоюзная науч. сесия... тезисы докладов. Секция этнографии, фольклора и антропологии. Тбилиси. 1971. გვ. 131—132. 12. „მეოთხეტი“. № 2

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი — მთვარის იდეოგრამაა, შეფარულად ცის „ღმერთს“ არის დასახული;

ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანი ასტროლოგიურად შვიდ ცათაგან პირველ ცას განეკუთვნება;

ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანში მთვარემ ცაზე მსვლელობის კულმინაცია, ცის ზემო მიჯნას, ცის ზემო ზღვარს მიაღწია.

ქართულ ასომთავრულ ანბანს მთვარის ღმერთი იწყებს და მთვარის ღმერთის საკულტო ცხოველი — ხარი ამთავრებს, დასასრულის ნიშნად კი ჯვარია დასმული.

ქართული ანბანის ერთების პრინციპს სამი იდეოგრამა-აკროფონი ანხორციელებს — მთვარისა; ხარისა და ჯვარისა;

ანბანური ერთების პრინციპი ქართულ ანბანში განხორციელებულია გაცილებით უკეთ, ვიდრე იგვევ პრინციპი ფინიკიურ დედა-ანბანში.

* * *

საკუთრივ სემური ანბანი ერთი ანბანური ჯგუფია. ამიტომ სემური ანბანური ერთება ერთ ანბანურ ჯგუფში ხორციელდება;

კლასიკური ბერძნული ანბანი ორი ანბანური ჯგუფია: „სემური“ ანბანური ჯგუფი და საკუთრივ ბერძნული ანბანური ჯგუფი. ანბანური ერთების პრინციპი კლასიკურ ბერძნულ ანბანში განხორციელებული არ არის.

ქართული ასომთავრული ანბანის ერთება კი, სემური და ბერძნული ანბანებისაგან განსხვავებით, სამი ანბანურ ჯგუფს აერთიანებს, ე. ი. ქართულ ანბანში თანამიმდევრულად სამი ანბანური ჯგუფი უნდა გამოიყოფოს:

1. „სემური“ ანბანური ჯგუფი („ან“-იდან „ტარ“-ამდის),

2. „ბერძნული“ ანბანური ჯგუფი (ვ, ფ, ჭ, ლ) და

3. ქართული ანბანური ჯგუფი (ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, კ, ხ, ჯ, ჳ).

1. ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში სულ 21 გრაფემაა, ე. ი. მხოლოდდამხოლოდ ერთი გრაფემით

ნაკლები, ვიდრე იდეალურ „სემურ“ ანბანურ მწკრივში (შედარებისათვის ბერძნული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში მხოლოდ 19 გრაფემაა). ქარ-

თული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში გამოტოვებულია „სემური“ მწკრივის მე-19-„კოფტის“ გრაფემა (იხ. ტაბულა „სემური“ ანბანური ჯგუფი).

- | | |
|-----------|-------------|
| 1. ႁ - ა | 12. ႇ - ლ |
| 2. ႁ - ბ | 13. ႁ - მ |
| 3. ႁ - გ | 14. ႁ - ნ |
| 4. ႁ - დ | 15. ႁ - ე |
| 5. ႁ - ე | 16. ႁ - ო |
| 6. ႁ - ვ | 17. ႁ - პ |
| 7. ႁ - ზ | 18. ႁ - თ |
| 8. ႁ - ლ | 19. ႁ - — |
| 9. ႁ - თ | 20. ႁ - რ |
| 10. ႁ - ი | 21. ႁ - ს |
| 11. ႁ - კ | 22. ႁ + - ტ |

ქართულ ასო-ნიშნებს „სემურ“ ანბანურ ჯგუფში სემურ-ბერძნულ-ქართული ფონემური მნიშვნელობა აქვთ მიანიჭებული.

2. ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში სულ 4 გრაფემაა, ე. ო. კლავ ერთი გრაფემით ნაკლები, ვიდრე კლასიკური ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში. ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ მწკრივში გამოტოვებულია ბერძნული ანბანური ჯგუფის მე-4 გრაფემა — „ფს“ — მრჩობლი ბგერა. (იხ. ტაბულა „ბერძნული ანბანური ჯგუფი“).

ქართულ ასო-ნიშნებს „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში ბერძნული ფონემური მნიშვნელობა აქვთ მიანიჭებული, გარდა „ლან“ გრაფემისა.

ქართული ანბანის „ლან“ გრაფემა ერთდროულად „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც.

3. საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში სულ 11 გრაფემაა. რადგან კლასიკურ ბერძნულ ანბანში 24 ასო-ნიშანია ხოლო ქართული „ლან“ გრაფემა რიგითი სათვალავით 25-ე გრაფემაა, ამიტომ ეს ასო-ნიშანი ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაა. (იხ. ტაბულა — ქართული ანბანური ჯგუფი):

- Υ - ჰ
- Φ - ფ
- Χ - ქ
- Ψ - —
- Ω - ზ

- | | |
|------|-------|
| 1. ლ | 7. წ |
| 2. ყ | 8. კ |
| 3. შ | 9. ხ |
| 4. ჩ | 10. ჯ |
| 5. ც | 11. ჭ |
| 6. ძ | |

ქართულ ასო-ნიშნებს ქართულ ან-

ბანურ ჭგუფში ფაქტიურად ქართული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

ქართული ასომთავრული დამწერლობის სამივე ანბანური ჭგუფი ურთიერთ კავშირშია. ქართულ ანბანში ანბანური ჭგუფების უბრალო „მექანიკური“ თანამიმდევრობა კი არა გვაქვს, არამედ მათ შორის გრაფიკულ-ფონეტიკური კავშირია. უფრო მეტიც, ანბანური ჭგუფების კავშირში განხორციელებულია ურთულესი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისიცა და ანბანის ერთების პრინციპიც.

ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია სამი ანბანური ჭგუფის ერთება. სამეხების ერთება.

როგორც უკვე ითქვა, კლასიკური ბერძნული ანბანი ორი ანბანური ჭგუფისაგან შედგება. „სემური“ და საკუთრივ ბერძნული ანბანური ჭგუფისაგან. ეს ორი ანბანური ჭგუფი ერთმანეთისაგან რამდენადმე გამოყოფილია: „სემური“ ანბანური ჭგუფი ბერძნულ ანბანში ჯვარის იდეოგრამით მთავრდება (T—crux commissa, მაგრამ არა ჯვარის იდეოგრამა — აკროფონით. როგორც უკვე ითქვა, ბერძნულ ანბანში არცერთი იდეოგრამა — აკროფონი არ არის. საკუთრივ ბერძნული ანბანური ჭგუფი, უფრო ადრე, შესაძლოა აგრეთვე ჯვარით მთავრდებოდა (X—crux decussata). „ფსი“ და „ომეგა“ ასო-ნიშნების შემოღებამდე. ყოველ შემთხვევაში, რადგან მნიშვნელობა ენიჭება ზოგად-ბერძნულ კლასიკურ ანბანს, მის მთლიანობას ერთი ჯვარი (T—crux commissa) ორ ანბანურ ჭგუფად, ორ ანბანურ ნაწილად ჰყოფს—„სემურ“ და საკუთრივ ბერძნულ ანბანურ ჭგუფებად.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ვათვალისწინებულება ბერძნული ანბანის ეს სტრუქტურა. ქართულ ასომთავრულ ანბანში გვაქვს ორი ანბანური ნაწილი:

ქართული ანბანის პირველი ნაწილია გაერთიანებული „სემურ-ბერძნული“ ანბანური ნაწილი „ან“-იდან „ქან“-ამდის (ჩათვლით) — სულ 24 გრაფემა,

ე. ი. იმდენივე ასო-ნიშანი, რამდენიც კლასიკურ ბერძნულ ანბანშიცა; ვაგრძობინებულ „სემურ-ბერძნულ“ ანბანს ნაწილს ქართულ ანბანში ჯვარის იდეოგრამა ამთავრებს.

ქართული ანბანის მეორე ნაწილია საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილი „ლან“-იდან „ჯან“-ამდის, სულ 11 ასო-ნიშანი. ქართული ანბანური ნაწილი და ამდენად მთელი ქართული ანბანი ჯვარის იდეოგრამა-აკროფონით მთავრდება. ქართულ ანბანში ჯვარის ორი იდეოგრამაა. ა. ჯვარის ერთი იდეოგრამა (T—crux immissa) ქართული ანბანის „უცხოური“ — „სემურ-ბერძნულ“ ანბანურ ნაწილს ამთავრებს, ხოლო ჯვარის მეორე იდეოგრამა (crux decussata) საკუთრივ ქართულ ანბანურ ნაწილსა და მთლიანად მთელ ქართულ ანბანს ამთავრებს.

ქართული ანბანის „უცხოური“ ანბანური ნაწილი „ან“ — მთვარის ღმერთის იდეოგრამა-აკროფონით იწყება და „ქან“ — ჯვარის იდეოგრამით მთავრდება, ხოლო ქართული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილი „ლან“ — უხილავი ღმერთის იდეოგრამა-აკროფონით იწყება და „ჯან“ — ჯვარის იდეოგრამა-აკროფონით მთავრდება („ლან“ — ამ მეტად მნიშვნელოვანი იდეოგრამა-აკროფონის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვიტყვი. იხ. ასო-ნიშანი „ლან“).

ქართული ანბანის „უცხოური“ ანბანური ნაწილში, როგორც უკვე ითქვა, 24 ასო-ნიშანია, ანუ იმდენივე, რამდენიც კლასიკურ ბერძნულ ანბანში. ანბანური დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისით ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან 24 ასო-ნიშნით ამოიწურა არა მხოლოდ ბერძნული ანბანური ასო-ნიშნების რაოდენობა, არამედ საერთოდ, ჩრდილო-სემურ და დასავლურ ეოკალიზებულ დამწერლობათა ანბანური შესაძლებლობა.

ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ნაწილში, როგორც უკვე ითქვა, 11 ასო-ნიშანია. რაოდენობის

თელსაზრისით ეს ანბანური ნაწილი სემური 22 ნიშნიანი ანბანური მწკრივის ზუსტად ნახევარს შეადგენს.

საგულისხმოა, რომ სემური 22 ნიშნიანი ანბანური მწკრივი აგრეთვე ორი ანბანური ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი 11 ასო-ნიშანი სემური ანბანური მწკრივის პირველი ანბანური ნაწილია, ხოლო შემდეგი 11 ასო-ნიშანი სემური ანბანური მწკრივის მეორე ანბანური ნაწილია.

ამის გამო კარგად წერს ივანე ჯავახიშვილი:

„სემური ანბანის მწკრივი არსებულ რიგზე, რასაკვირველია შემთხვევით არ არის დალაგებული, მაგრამ ახლა დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რა მოსაზრებით, ან გარემოებით ხელმძღვანელობდნენ ამ მწკრივის შემდგენელნი. ცხადი ხდება მხოლოდ, რომ სემიანთა ანბანის ეს 22 ნიშნის შემცველი, მწკრივი ორ მთავარ ჯგუფად იგულისხმებოდა. ერთ ჯგუფს 1-11, მეორე ჯგუფს 12-22 ასოები შეადგენდნენ. პირველ ჯგუფს ჯერ ხარის სახელის აკროფონი, ალფი, მიუძღვის, ხოლო შემდეგ Mediae-ბით იწყება (ბეთ, გიმელ, დალეთ), მეორე ჯგუფი კი Liquidae-ბით იწყება, ხოლო ბოლოში დასასრულის მაუწყებელი ჯვარის ნიშანი „თავ“ არის მოქცეული.¹

ამგვარად სემური ანბანური მწკრივის ორივე ანბანური ნაწილს ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად.

ქართული ასომთავრული ანბანური მწკრივის ორივე ანბანური ნაწილს, მსგავსად სემური და ბერძნული ანბანური მწკრივებისა, აგრეთვე ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად.

ამგვარად, 35 ასო-ნიშნის შემცველ ქართულ ანბანში ორი ანბანური ნაწილია გაერთიანებული. ქართული ანბანის პირველი „უცხოური“ — („სემურ-ბერძნული“) ანბანური ნაწილის („ან“-„ქან“ გრაფემების რაოდენობა კლასიკური ბერძნული ანბანის ასო-ნიშ-

ნების რაოდენობის ტოლია — 24-სა, ხოლო საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილის („ლან“-„ქან“) გრაფემების რაოდენობა სემური ანბანის ერთი ანბანური ნაწილის ასო-ნიშნების რაოდენობის ტოლია — 11-სა.

„სემურ-ბერძნულ“ ანბანურ მწკრივს ქართულ ანბანში ჯვარი ამთავრებს, რაც ამ ანბანური ნაწილის დასასრულის მაუწყებელია. საკუთრივ ქართულ ანბანურ ნაწილს კი „ლან“ გრაფემა იწყებს და კვლავ ჯვარი ამთავრებს.

რა კავშირია ამ ორ ანბანურ ნაწილს შორის ქართულ ანბანში? რამდენადმე გათიშულები ხომ არ არიან ეს ანბანური ნაწილები ერთმანეთისაგან?

აქ მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ანბანის ორი ანბანური ნაწილი ერთერთისაგან განუყოფელია და ამ ანბანურ ნაწილებს შორის ფრიად მნიშვნელოვანი გრაფიკულ-ფონეტიკური კავშირია.

უკვე ითქვა, რომ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა (ასო „ლან“-ი) ერთდროულად ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის (ბერძნული „ომეგა“). აქ წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული „ლან“ ზუსტად „ომეგა“ გრაფემის ადგილზე ზის და გრაფიკულად არქაული ბერძნული „ომეგის“ მოხაზულობისაა. თუ რატომ აქვს ამ ერთდროივე გრაფემას ბერძნულ და ქართულ ანბანში სხვადასხვა ფონეტიკური მნიშვნელობა, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი. ე. ი. „ლან“ გრაფემა ქართული ანბანის „ბერძნულ“ და ქართულ ანბანურ ჯგუფებს შორის ერთგვარ გრაფიკულ კავშირს ამყარებს. ამიტომაც „ბერძნული“ ანბანური ჯგუფი და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფი ქართული ანბანისა ერთმანეთისაგან განუყოფელია. რადგან ასო „ლან“-ი „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც, ამიტომ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ქართული ანბანის

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, 1949 წ. გვ. 262.

„ბერძნულ-ქართული“ ერთიანი ანბანური ნაწილის შესახებ. ერთიანი „ბერძნულ-ქართული“ ანბანური ნაწილის გრაფემებია: ჰ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჭ; ჯ, სადაც „ღან“-ი ერთდროულად „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც.

ამგვარად, ქართული ანბანის „სემური“ ანბანურ მწერაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 21 ასო-ნიშანია, ხოლო ერთიან „ბერძნულ-ქართულ“ ანბანურ მწერაში — 14 ასო-ნიშანია. სულ კი ქართულ ანბანში $21 + 14 = 35$ ასო-ნიშანია.

ქართული ანბანის 35 ასონიშანი „სემური“ ანბანური ჯგუფის 21 ასონიშნისა და „ბერძნულ-ქართული“ ანბანური ჯგუფის 14 ასო-ნიშნისაგან შედგება.

საგულისხმოა, რომ 35-ისა, 21-ისა და 14-ის საერთო გამყოფია რიცხვი 7 და არცერთი სხვა რიცხვი. ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჯგუფის 21 გრაფემა სამ შვიდეულს შეადგენს, ქართული ანბანის „ბერძნულ-ქართული“ ანბანური ჯგუფის 14 გრაფემა ორ შვიდეულს, ხოლო ქართული ანბანის 35 გრაფემა მთლიანად — ხუთ შვიდეულს.

შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება? როგორც ჩანს, არა. ქართული ანბანი შვიდეულებად ნაწილდება. ქართული ასომთავრული დამწერლობის ამოცნობის თვალსაზრისით, ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რიცხვი 7 უძველესი დროიდან ყველა ხალხებს წმინდა რიცხვად მიაჩნდათ. რიცხვი 7 თავდაპირველითგან მთვარის რიცხვი უნდა ყოფილიყო¹: 7 დღე მთვარის ერთი ფაზაა, ხოლო ოთხი შვიდეული მთვარის ოთხი ფაზა ანუ მთვარის სრული ციკლია.

ქართული ანბანის ერთება ხუთ შვიდეულს შეადგენს, მაგრამ ამას გარდა, ქართულ ანბანში გამოიყოფა სამი შვი-

დეული ანუ შვიდეულების სამება: $3 \times 7 = 21$ და ოთხი შვიდეული $4 \times 7 = 28$ ანუ მთვარის ოთხივე ფაზა; მთვარის სრული ციკლი.

რადგან ქართულ ანბანს მთვარის ღმერთი იწყებს და მისი ზოომორფული სიმბოლო — ხარი ამთავრებს, ამიტომ ანბანური ერთების პრინციპს ამორი იდეოგრამა-აკროფონის ურთიერთ მიმართება უნდა ამკლავებდეს. არსებობს კი ურთიერთ მიმართების რაიმე ნიშანი ამ ორ იდეოგრამა-აკროფონს შორის?

ასტროლოგიური შეხედულებით ანბანის პირველი შვიდი ასო-ნიშანი თანამიმდევრულად შვიდ ცას განეკუთვნება, ანბანის პირველი ასო-ნიშანი პირველ ცას ეკუთვნის. ძველი ასტრონომიული შეხედულებით პირველი ცა მთვარის ცაა, ხოლო ქართულ ანბანში მთვარე მართლაც პირველ ცაზეა.

მიუხედავად ამისა ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის რაობა ჯერ კიდევ ბოლომდე ამოცნობილი არ არის.

ძველი პითაგორიანული მოძღვრების თანახმად რიცხვი არის ჭეშმარიტი ცნება არსისა. რიცხვი არსის რაობის უბრალო სიმბოლო კი არ არის, არამედ არსის ჭეშმარიტი რაობაა. რიცხვში მკლავდება არსის საიდუმლო. წმინდა რიცხვი 7 — მთვარის რიცხვია. თუ მთვარისა და ხარის იდეოგრამა-აკროფონებს შორის მართლაც რეალური კავშირია, ხარი, როგორც მთვარის ემბლემა, მთვარის საიდუმლო რიცხვს უნდა ამკლავებდეს. ქართულ ანბანში ეს მართლაც ასეა.

შემთხვევითია თუ არა ის გარემოება, რომ ქართულ ანბანში „ქარ“-ი 34-ე გრაფემად ზის? როგორც სჩანს, არა: „ქარ“-ის რიცხვითი მნიშვნელობა ქართულ ანბანში არის 7.000, ხოლო 7.000 იგივე წმინდა რიცხვი შვილია.

გარდა ამისა, რადგან „ქარ“-ი 34-ე გრაფემად ზის, მისი საკრალური მნიშვნელობა კვლავ შვილია.

პითაგორიანული მოძღვრებით ათეული იგივე ერთეულია, ათი სრულყოფილი

¹ Б. Фролов. Как появилась магическая семерка. Атенстические чтения. В. 4. Москва. 1970, გვ. 115—122.

ფილი ერთებაა, სრულყოფილი ერთია¹. „ქარ“-ის რიცხვი 34-ია, 34 კი სამი ათეულისა და ოთხი ერთეულის ჯამია, ე. ი. „ქარ“-ის რიცხვი შეიღია.

ქართული ანბანის მთვარისა და ხარის ურთიერთ-მიმართების საიდუმლო ნიშანიც ეს არის; ქართული ანბანის ერთების საიდუმლო ნიშანიც ეს არის. ეს საიდუმლო რიცხვით ცხადდება. მთვარის წმინდა რიცხვი 7 ქართულ ანბანში „ქარ“-ით ცხადდება.

რადგან ქართულ ანბანს მთვარე იწყებს, ეს უკვე იმას მიგვანიშნებს, რომ ქართულ ანბანში შეიდეულების მწკრი-

ვი უნდა იყოს, ხოლო რადგან ქართულ ანბანს მთვარის ემბლემა² ხარო ამთავრებს და დასასრულად ჯვარი ზის, ეს იმას მიგვანიშნებს, რომ ქართულ ანბანში მთვარის ერთი სრული ციკლი უნდა გვექონდეს.

მართლაც, როგორც უკვე ითქვა. ქართულ ანბანში გამოიყოფა სამი და ოთხი შეიდეული, ხოლო ქართული ანბანი მთლიანად ხუთ შეიდეულს შეადგენს. როგორც შემდეგ გაირკვევა ქართულ ანბანში მთვარის სრული ციკლი დასტურდება. რაც შეეხება რიცხვებს — სამსა, ოთხსა და ხუთს, ეს რიცხვები პითაგორიანული მართკუთხა სამკუთხედის რიცხვებია.

უველა ამის გამო ცალკე მექნება საუბარი.

¹ იხ. სვეც. ლიტ-რა: С. Н. Трубецкой. Собрание сочинений, т. III. Метафизика в древней Греции. М. 1910, გვ. 184, 188, 190—191; А. Маковельский. Досократики. ч. I, Казань, 1914, გვ. 63 და სხვ.

ნაშრომი ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ

ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობის შეცნირულ შესწავლაში დიდი ნაბიჯებია წინგადადგმული. გამოკვლევულია ქართულ-ალმოსავლური, ქართულ-ანტიკური ლიტერატურული ურთიერთობის მრავალი საკითხი. საგანგებო კვლევის საგანი ვახდა აგრეთვე ქართული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები. ამ წერილში უფრადდება გვიანდა შევიჩერთო პრაფ. შ. რევიშვილის მონოგრაფიაზე — ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან, რომელიც ავტორის მიერ მხოვდასხვა დროს დაწერილი ნარკვევების ერთ მხოვან ნაშრომად ვერთიანებებს წარმოადგენს.

მონოგრაფიის ავტორი არ აცხადებს პრეტენზიას, რომ მისი ნაშრომი გვაწვიდს ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის სრულ სურათს. იგი წერს, რომ მიზნად აქვს დასახული ვაარკეოს ამ ურთიერთობის „ცალკე მომენტები“. ამგვარი განცხადება შეიძლება უმართებულოდაც მიგვეჩნიო, რამდენადაც სარეკენიო ნაშრომში ვხვდებით ვაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ცალკე მომენტებს ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობისა, მაგრამ საფუძველში ავტორი უდავოდ მართალია, როცა მის მიერ ვაწეულ შრომას ზევით მოხსენებულ ვეალიდეციას ვეეთებს, უფოოდ კარგად აქვს რა შეგნებული თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მკვლევარს ორი ქვეყნის ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ ნაშრომის შექმნა.

ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევისას შ. რევიშვილისათვის იმოსავალს წარმოადგენს საეესებით სწორი დებულება, რომ უკველი ნაციონალური ლიტერატურის განვითარებას ვანპირობებს, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის შინაგანი ფაქტორები, მაგრამ უმნიშვნელო როლს არ ასრულებს ამ საქ-

მეში ერებს შორის კულტურული ურთიერთობა. ავტორს კარგად აქვს ვათვალისწინებელი, რომ როგორც ქართველი, ისე გერმანული ხალხთათვის მრავალსაეეუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილა გამოჩენული სხვა ხალხების კულტურისაგან, რომ იგი ამდიდრებდა თავის მწერლობას უცხო ლიტერატურიდან ნათარგმნი ნაწარმოებებით და თავის მხრივაც სამსახურს უწევდა სხვა ხალხების კულტურის გამდიდრებას. ავტორი ცხადყოფს ამ ვარემოებას მომეტებულად ქართული ლიტერატურის მავალითზე, უჩვენებს თუ როგორ დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენში საზღვარგარეთული, კერძოდ, გერმანული ლიტერატურის საკითხებისადმი, როგორი თანდათან ღრმავდებოდა ეს ინტერესი და როგორი ფართო ხაკიათი მიიღო მან ჩვენს ეპოქაში, როგორ ჩაეყარა საფუძველი ჩვენში ამ ლიტერატურის შეცნირულ შესწავლას, ქართულ გერმანიისტიკას.

იგივე შეიძლება და უნდა თქმულიყო კიდევაც გერმანული ლიტერატურის, მისი სხვა ხალხების ლიტერატურისადმი, ამ შემთხვევაში ქართული ლიტერატურისადმი დამოკიდებულების შესახებაც, ამ ინტერესის შესახებ, რომელსაც იჩენდა და იჩენს გერმანული ხალხი საქართველოს თემის, ქართული კულტურის, ლიტერატურისადმი. შ. რევიშვილი უფრადლებას ამბავილებს საკითხის ამ მხარეზედაც, ლაპარაკობს იმის შესახებაც თუ როგორ ასახვას პოელობდა და პოელობს საქართველოს თემს გერმანულ ლიტერატურაში, როგორ დაინტერესებას იჩენდნენ გერმანიის მოწინაეე აღამიანები ქართული ხალხისადმი. კიდევ მეტი: სარეკენიო ნაშრომში ლაპარაკია საქართველოს თემისადმი არა მხოლოდ გერმანული, არამედ ევროპის სხვა ქვეყნების მწერლების (გოლდონის, მონტესკიეს, ვოლტერის, ა. დუმას, ა. ბობოლსის და სხვ.) მიერ გამოჩენილი დიდი ინტერესის შესახებაც.

ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ავტორი ივიწყებს თავის მთავარ ამოცანას, ივიწყებს, რომ მის მოეხოვებოდა ქართულ-გერმანული და არა საერთოდ ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ისე 1969 წ.

შ. რევიშვილი, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ისე 1969 წ.

ტრული ურთიერთობის განხილვა. საკითხის კვლევის არის ასე გაფართოება შ. რევიშვილის ნაშრომში იმ მიზანს ემსახურება, რომ უფრო კარგად გამოვლინდეს ის, რაც შეადგენს ძირითადს ამ ნაშრომისა. წინა პლანზე სარეცენზო ნაშრომში, ცხადია, წამოყვლია ქართულ-გერმანული და არა საერთოდ ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები, უპირატესად იმის შესახებაა ლაპარაკი თუ როგორ ინტერესს იჩენდნენ საქართველოსადმი გერმანული კულტურის მოღვაწეები (გრიფიუსი, ლესინგი, კლინგერი, შილერი, ბოლენშტედტი, ა. ლაიტი, ბრეტტი და სხვა და, პირიქით.

შ. რევიშვილის ნაშრომში, ამდენად, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის ორივე მხარეზეა ყურადღება გამახვილებული, იმაზეც, თუ როგორ ინტერესს იჩენდნენ ჩვენში უკერძო ლიტერატურისადმი და იმაზეც თუ როგორ ინტერესს იჩენდნენ გერმანელები საქართველოს თემისადმი, ქართული ლიტერატურისადმი. ეს ასეა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ნაშრომში დასმული საკითხის პირველი მხარის გაშუქებას ვაცოდებთ უფრო დიდი ადგილი აქვს დამოძილი, ვიდრე მეორისას, ვაცოდებთ უფრო ვრცელადაა ლაპარაკი იმის შესახებ, რაც გერმანული ლიტერატურით ქართველი ხალხის დაინტერესებას სფეროს შეეხება, ვიდრე იმის შესახებ, რაც გერმანიაში ქართული ლიტერატურით დაინტერესების საკითხს უკავშირდება. ეს განსაკუთრებით თქმის იმის შესახებ, თუ როგორაა წარმოდგენილი ნაშრომში საქართველოში გერმანული ლიტერატურის, გერმანიაში კი ქართული ლიტერატურის საკითხთა მეცნიერული შესწავლის ისტორია. იმ დროს, როცა ნაშრომში შედარებით ვრცელადაა მიმოხილული თუ როგორ ვერებოდა საქართველოში საფუძველი გერმანული ლიტერატურის შესწავლას, ქართულ გერმანისტებს, მასში შედარებით ცოტაა ნათქვამი თუ რა შესაბამისი მუშაობა წარმოებდა და წარმოებს გერმანიაში, როგორ ვერებდა საფუძველი გერმანულ ქართველოლოგიას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომ მუშაობაში ავტორი საკითხს ამ მხარესაც ჭეղოვან ყურადღებას დაეთმობს.

იმის გარკვევისას, თუ როგორ აისახა საქართველოს თემა გერმანულ ლიტერატურაში შ. რევიშვილი პირველ რიგში ჩერდება ა. გრიფიუსის ტრაგედიაზე — „ქეთვან ქართველი“. ეს ტრაგედია წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ გამოაჩინეს პოელობა დასავლეთში მე-17 საუკუნის საქართველოს ამბები, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ურიგო არ იქნებოდა ადენიშნა ავტორის, რომ გრიფიუსის ეს ტრაგედია, ამ მწერლის შემოქმედებს მთელს პრობლემატიკასთან დაკავშირებით, პირველად და საფუძვლიანად

შეისწავლა ქართველმა გერმანისტმა — დოქტ. ა. ბიბინაძემ, რომელსაც ეკუთვნის „საქართველო ტრაგედიის თარგმანი ქართულ ენაზე“.

თუ როგორ დაინტერესებული ყოფილან საქართველოს ამბებში გერმანული ლიტერატურის მოამბეები, ამას გვეჩვენება ლესინგის პიესა — „შინა ფონ ბარნ-ჰელში“, რომელიც, სასურველი იყო სარეცენზო ნაშრომში უფრო ვრცელად ყოფილიყო განხილული. ამ პიესის ის სცენა, რომელშიც აღწერილია იუსტოლა და პ. ვერნერის შეხვედრა, გვეძლევა წარმოდგენას იმის შესახებ თუ როგორ შეუძლებელია მე-18 საუკუნის საქართველოს ამბებს ევროპაში, როგორი ცხოველი ინტერესი გამოუწვევია იქ იმ ბრძოლებს, რომლებსაც ერეკლეს ღრის ეწეოდა ქართველი ხალხი უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ვერნერი ამ ამბების, ერეკლეს ღრის საქართველოს ბრძოლების ძლიერი შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება. შ. რევიშვილი მართებულად აკრიტიკებს იმ აზრს, რომლის თანახმადაც ვერნერის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში თითქოს ემთხვეოდეს ლესინგის თვალსაზრისს, რამდენადაც ვერნერი წარმოგვიდგება საერთოდ როგორც იმის მოტივირებული, რომელსაც იმის ვარაუდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მას ქართველი ხალხის ბრძოლა დაინტერესებს არა იმ მხრივ, თუ რას წარმოადგენს ეს ბრძოლა, რა მიზანს ისახავს იგი, არამედ როგორც ბრძოლა. ლესინგი, ცხადია, იბრუნით ლაპარაკობს ვერნერის შესახებ, იმით მისი ვატაკების შესახებ, მაგრამ ასეა ბუნება, რომ ამავსე დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის იმ ბრძოლისა, რომლის შესახებაც ვერნერს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, ამ მწერლის ყურადღებაც მიუქცევია, მისდამი ვარკვეულად სიმპათიურად განუწყვია.

თვალსაზრისთ ადგილი აქვს დამოძილი ნაშრომში „კოლხეთის მეფის გრანელი ასლის“ — მედეას თემის დამუშავებას გერმანულს ლიტერატურაში, კონკრეტულად შ. კლინგერის და ფრ. გრილპარციუსის მიერ. შრომაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამ თემის დამუშავებას პირველად ფრ. შილერიც. დამწვრილებით იხილა ავტორი ა. ლაიტიცის როლს ქართული ლიტერატურის ძეგლების გერმანული მკითხველისათვის ვაცნობის საქმეში. ნაშრომში ლაპარაკია ლაიტის მოღვაწეობის სხვა მხარეებზედაც, ვერაძელ, მის საურჩინალო და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე საქართველოში საცხოვრებლად გამოსვლის შემდეგ. ავტორი გუაუწყებს, რომ საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული ლაიტის „ჩაება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდა ჩვენი პრესის მუდმივი თანამშრომელი“ (37), დააარსა გერმანული გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ“, რომ იგი ახლად დაარსებულ

თბილისის უნივერსიტეტში მიწვეული იქნა გერმანული ენის მასწავლებლად.

შ. რევიშვილი მიმოიხილავს ლაისტის იმ შრომებს, რომლებშიც შეიქმნენ მანამ, ვიდრე მწერალი საქართველოში ვადმოსახლდებოდა, იხილავს ლაისტის მიერ პოლონურსა და გერმანულ გაზეთებში დასტამბულ შრომებს ქართული კულტურის, ლიტერატურის შესახებ. იგი მიმოიხილავს აგრეთვე იმ შრომებს, რომლებშიც დიწერა ლაისტმა საქართველოში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, კონკრეტულად, ნაშრომებს — „ქართველი პოეტები“ და „ქართველი ხალხი“. პირველი, გვაუწყებს სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, არის ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა ანთოლოგია, პირველი წიგნი, რომლითაც გერმანელი მკითხველი გაეცნო ქართული პოეზიის უშესანიშნავეს ძეგლებს. მეორე ნაშრომში — „ქართველი ხალხი“ ლაისტი ლაპარაკობს ქართველი ხალხის აწმყოსა და წარსულზე, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის შესახებ. შ. რევიშვილი გვაძლევს აგრეთვე ცნობებს ლაისტის მოღვაწეობის შესახებ მხატვრული შემოქმედების დარგში, მიმოიხილავს ქართულ თემაზე ამ მწერლის მიერ დაბეჭდილ ორიგინალურ ნაწარმოებებს.

ჩვენი დროის იმ გერმანელი მწერლებიდან, რომლებიც შეეხებნ საქართველოს თემას, ავტორი ჩერდება ბ. ბრატუხე, ამ უკანასკნელის ენაზე დრამაზე — „კუკუსისი ცარცის წრე“, რომელშიც ნახეივება „საქართველოს როგორც აწმყო ცხოვრება, სოციალური ყოფა, ასევე მისი ბედშიავე გუშინდელი დღე — აღსაყესე ფეოდალური შინაომებით“ (15).

საუკრადლებთა სარეცენზიო ნაშრომის თავი — „გერმანული გამომხატურების ეტიმოლოგია და ქართული ზღაპრის გამომავალი“, რომელშიც განიხილავს მეგრულ ფოლკლორში შემონახული სანარტიას ზღაპრის დამოკიდებულება „ნიბელუნგების სიმღერასთან“. როგორც ცნობილია, ეს ზღაპარი, სხვა მეგრულ ზღაპრებთან ერთად, გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა 1880 წელს. პროფ. რევიშვილი აცხადებს პრეტენზიას, რომ სანარტიას ზღაპრის „ნიბელუნგების სიმღერასთან“ დამოკიდებულების საკითხი პირველად მის მიერ იქნა დასმული, წერს, რომ ეს საკითხი შესწავლის საგნად აქციეს გერმანელმა მკვლევარებმა ვოლფერმა და ნერიცე. მ. ა. გოლოთერი, ვადმოგვეცნა შ. რევიშვილი, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სანარტიას ზღაპრისა და „ნიბელუნგების სიმღერას“ შორის არსებობს სიუჟეტური ანალოგია, რომ მეგრული ზღაპარი „ნიბელუნგების სიმღერას“ გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს, რომ სანარტიას ზღაპარი დასაბამს გერმანული ეპოსიდან იღებს. ავტორი ვადმოგვეცნა აგრეთვე ნერინგის შესხედულებას ამ საკითხზე, აღნიშნავს, რომ ნერინ-

გსაც არ მიაჩნია ვამორიციხულად, რომ ნიბელუნგების შესაბამის სიუჟეტებს გერმანიიდან ვხა ვეკადით საქართველოსაკენ, მაგრამ მას დურსახულებლად მიაჩნია სანარტიას ზღაპრის გერმანული წარმოშობის თეორია.

ამ საინტერესო პრობლემის განხილვას შ. რევიშვილი უდგება ვოლფერისაგან პრინციპულად განსხვავებული თვალთახედვით. ქართულსა და გერმანულ ზღაპრებს შორის დამოკიდებულების გარკვევისათვის მისთვის ამოსავალი წარმოადგენს, ცხადია, არა ე. წ. ევროპოცენტრისმიის თეორია, არამედ დებულება, რომლის თანახმადაც ამა თუ იმ ქვეყნის ყოველი იდეოლოგიური მოვლენა ამ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებით უნდა აიხსნას. ერთგული ამ პრინციპის, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ქართული სანარტიას თქმულება წარმოიშვა ქართულსავე ნიდაგზე სწორედ ისევე, როგორც ნიდერლანდელი გმირის თქმულება წარმოიშვა გერმანულ ნიდაგზე“ (58).

პროგრესულობას ნერინგისას სარეცენზიო შრომის ავტორი ხედავს და, მართებულადაც, იმაში, რომ ნერინგი არ იზიარებს გოლოთერის აზრს სანარტიას ზღაპრის გერმანული წარმოშობის შესახებ, რომ იგი მოცემულ შემთხვევაში ე. წ. ევროპოცენტრისმიის თეორიის წინააღმდეგ გამოდის. საკითხისადმი, ჩვენი აზრით, ამ სწორი მიდგომიდან ვადახვევად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს გამორიცხულად მიაჩნია მოსხერებულ სიუჟეტის მხოლოდ გერმანიიდან საქართველოში ვადმოსვლის შესაძლებლობა, მაგრამ რომ ის საქართველოდან გერმანიიში ვაგრცელებულიყო, ეს მას ვამორიციხულად არ მიაჩნია. ნაშრომში წარმოდგენილი მასალა კი ამგვარი დასკვნის ვაცემებისთვის საკმარის საფუძველს არ იძლევა.

შ. რევიშვილი მართებულად ეკამათება დასავლეთის მეცნიერებს, მართებულად შენიშნავს, რომ ეს მეცნიერები მაინც ცალმხრივად განიხილავენ სანარტიას ზღაპრის „ნიბელუნგებისსადმი“ დამოკიდებულების საკითხს, რამდენადაც არ უკავშირებენ აღნიშნული საკითხის გარკვევას სერთად „ქართული ზღაპრების სამართს“. იგი მიუთითებს, რომ ამ საკითხის ვადაწყვეტისთვის აუცილებელია ანგარიშის ვაწვევა ქართულ ზღაპრებში დაცული ისეთი მოტივებისთვის, როგორიცაა ვველის ბორცის ქამის მოტივი, შამაშვილის შერკინებისა და ვაუხარებელი მიჯნურობის მოტივი. ეს მოტივები, ვოლოთერისა და სხვათა მიერ შენიშნულ მოტივებთან ერთად, ფიქრობს ავტორი, „მიუთითებენ აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურაში არსებულ დიდსა და თვლსაინო ანალოგიებზე“ (58).

ეს ფრადი მნიშვნელოვანი ვარემოებაა, რომლის ვათვალისწინების ვარევე შეუძლებელია ანალოგიების საკითხის ცველვა აღმოსავლეთისა.

და დასაქმების ხალხთა შესაბამის ფორმულა-
რულ ძეგლებში. ფრიალ მნიშვნელოვანია კერ-
ძოდ, გველის ზორის ქაშის მოტივის განხილ-
ვა და შექერება ამ ხალხთა ფორმულაში და
დასაქმების გაკეთება საკითხის ასე-ფართო პლა-
ნში განხილვის შედეგად. უდავოდ სწორია და-
ბულება, რომ ანალოგიების საკითხის გვლვა
ქართულსა და გერმანულ ენოსს შორის მათ-
ში შემონახულ სხვადასხვა მოტივის შესწავ-
ლას უნდა დაუკავშირდეს, კერძოდ იმ მოტი-
ვების, რომელთაც შ. რეიხშვილი იხსენიებს.
ეს ასეა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში,
სანარტაის ზღაპარსა და „ნიბელუნგების სიმ-
ღერას“ შორის დამოკიდებულების საკითხის
კვლევისას, ცენტრალურ პუნქტს იმის გამოკრ-
ევაა წარმოადგენს — გვაქვს თუ არა ნა-
მდვილად საქმე სიუჟეტური ხა-
ზის ანალოგიასთან მოხსენებულ
ძეგლებს შორის. დავა გოლთერის თეო-
რიის ვარშემო მიმდინარეობს მეტიწილად იმის
შესახებ თუ როგორ ვაგრცელდა ამ ძეგლებ-
ში მოთხრობილი ამბავი, რომელი რომელს და-
ვლვა საფუძვლად, გერმანული თქმულება ქარ-
თულს თუ პირიქით, ქართული გერმანულს, მაგ-
რამ საკითხი იმის შესახებ გვაქვს თუ არა აქ
ნამდვილად სიუჟეტურ ანალოგიასთან საქმე.
გაურკვეველი რჩება. ნერინგმა ეს სცადა, მაგ-
რამ მანაც ვერ მოახერხა. რაც შეეხება სარე-
ცენზო ნაშრომის ავტორს, იგი ანალოგიის არ-
სებობას ამ ორ ეპიკურ ძეგლს შორის კითხვის
ქვეშ არ აყენებს.

არსებითი მნიშვნელობა კი საკითხის სწორედ
ამ მხარის ვარკვევას ენიჭება. გოლთერი ხომ სა-
კითხს ამ პლანში იხილავს, სიუჟეტურ თანხ-
დენილობას ეძებს გერმანულსა და ქართულ
ზღაპრებს შორის და ამ საფუძველზე გამოაქვს
გერმანულს სანარტაის ზღაპრის ვერსიული წარმო-
შობის შესახებ. მისი თეორიის კრიტიკაც ამი-
ტომ სწორედ ამ სიუჟეტური მსგავსების საკით-
ხის ვარკვევას უნდა დაუკავშირდეს.

წინამდებარე ნაშრომის ხასიათი, ცხადია, სა-
შუალებას არ იძლევა წარმოვადგინოთ აქ ამ სა-
კითხის სპეციალური განხილვა. მის მოცემას
ავტორი ცალკე ნაშრომში შეუცდება. აქ კი წი-
ნანსწარი დასკვნის სახით საპიროდ მიგვაჩინა აღ-
ნიშნით, რომ მართებული არ უნდა იყოს არა
მხოლოდ იმის მტკიცება, რომ სანარტაის ზღა-
პარი დასაბამს „ნიბელუნგების სიმღერისა“-
ძებებს, არამედ იმისიც, რომ მათ შორის სიუ-
ჟეტური ხაზის ანალოგიასთან ვაჭრეს საქმე. სა-
ნარტაის ზღაპარი ამოცენებულია ქართულ
ნიადაგზე და მასში ვერ ვხვდებით ისეთ მო-
ტივს, რომელიც საფუძველს იძლეოდეს დავის-
კენთ, რომ მასა და „ნიბელუნგებს“ შორის
აღვლი აქვს სიუჟეტურ დამთხვევებს. რო-
გორც აღნიშნული გვეჩინდა, სარეცენზო ნაშ-
რომში სიმძიმის ცენტრი გადატანილია გერ-

მანული მწერლობისადმი ქართველი ხალხის და-
მოკიდებულების საკითხზე. ეს განხილვა იხსენ-
და თავით — უცხოელი მწერლებში ნაქმუნი-
ძის კონცეფციაში. აქ ვაგმომოქმედებამს ქა-
ტავაძის შეხედულებები დასაქმების გამო-
ჩენილ მწერლებზე — შექსპირზე, ე. როტერ-
დამელზე, რაბლზე, ბაირონსა და სხვებზე. ავ-
ტორის მიზანია უჩვენოს თუ რა როლი შეას-
რულებს დასაქმების გამოჩენილმა მწერლებმა
ი. ჰაუპტმანის როგორც მხატვრისა და მოახრ-
ნის ჩამოყალიბებაში. ილიას დამოკიდებულებ-
ის საკითხის დასაქმების ზევითმობსენებულ
და სხვა მწერლებთან ავტორი შრომის სხვა
თავებშიც უბრუნდება. სასურველი იყო, რომ
მთელი ეს მასალა ერთ თავში ყოფილიყო წარ-
მოდგენილი. იგივე ითქვამს შრომის მომდევნო
თავის — „აკაიე წერეთელი და საზღვარგარე-
თული ლიტერატურა“ შესახებაც. აქაც თე-
მოყრლია ბევრი საინტერესო მასალა, ოღონდ
ისეთი, რომელიც შეუქს ფენს აკაიის უფრო მე-
ტად საერთოდ ევროპულად, ვიდრე გერმანულად
ლიტერატურისადმი დამოკიდებულებას. შედა-
რებით სხვაგვარი ვითარებაა შრომის შემდეგ
თავში — „უფა-ფშაველა და უცხოური ლიტე-
რატურა“. აქ ლაპარაკია მეტიწილად იქვას, რო-
გორც გერმანული ლიტერატურის ძველთა მთა-
გრმწელების შესახებ. შრომაში აღნიშნულია, რომ
იქვას ეუთოების თარგმანი შიგნის დრამის —
„ორლენდელი ქალწული“ და მანეს „სიმღერა-
თა წიგნის“ ერთი ლექსისა. აქვე ლაპარაკია გო-
თეს „ფუსტისაღმი“ იქვას მიერ გამოჩენილი
ინტერესის შესახებაც. ამ საკითხს ავტორი შრო-
მის სხვა ნაწილშიც უბრუნდება.

შრომის მომდევნო თავში — „ლესინგი და
ქართველობა“ ავტორი ეხება ლესინგისადმი
ქართული საზოგადოების დამოკიდებულების
საკითხს. აქ მოკლედ დახასიათებულია ლესინგის
როლი ახალ გერმანულ ლიტერატურაში, ესთე-
ტიკური აზროვნების ისტორიაში, სიმძიმის ცენ-
ტრი კი გადატანილია იმაზე, თუ როგორ ინტე-
რესს იჩენდნენ ქართველები ლესინგის შემოქ-
მელებისადმი, როგორ თარგმნიდნენ მის ნაწარ-
მოებებს და აშუქებდნენ ამ მწერლის შემოქ-
მელების საკითხებს. მკითხველი გებულობს უფ-
რადღენ მახლობელი ყოფილა ლესინგი, მისი
პოლიტიკური და ესთეტიკური იდეალები მე-19
საუკუნის მოწინავე ქართველებისათვის, რო-
გორც ფართო აღგნის უფრომდენე ქართულ პე-
რიოდულ გამოცემებში ამ მწერლის სხვადასხვა
ნაწარმოებს. შრომაში ლაპარაკია იმის შესახებ,
თუ როგორ შეფასებას აძლევდნენ ჩვენში ლე-
სინგის შემოქმედებას, როგორ ეყრებოდა სა-
ფუძველი მისი შემოქმედების მეცნიერულ შეს-
წავლას. ავტორი მითითებს იმ ამაზეც, რომე-
ლიც დასდეს ლესინგის შემოქმედების შესწავ-
ლას გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაევი, ა. ცაგარელ-

მა, ა. ქუთათელაძემ, ხომლელმა, განსაკუთრებით კი ი. ჰაქევაძემ.

შრომის ავტორი გადმოსცემს ა. ცაგარლის შეხედულებებს ლესინგის ნაწარმოებთა შესახებ. არაკუვა, რომ ცაგარლი ყურადღების ღირსად თვლიდა ლესინგის მხოლოდ თეორიულ-კრიტიკულ შრომებს, მისი მხატვრული ნაწარმოებები კი არ მიაჩნდა მნიშვნელოვანად, თვლიდა, რომ მათ არ ჰქონდა ხალხზე ისეთი „ნაყოფიერი ზემოქმედება“, როგორც უნდა ჰქონდეს „ქუშმარიტ პოეტის ქმნილებას“ (122). ეფექტობით, საკმარისი არ იყო ცაგარლის ამ შეხედულებას უბრალოდ გადმოცემა, არამედ საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, რომ ეს შეხედულება არ შეესაბამება ქუშმარიტებს, იმის უზღვეველყოფას წარმოადგენს, რომ ლესინგი დიდად არა მხოლოდ როგორც კრიტიკოსი, არამედ როგორც მხატვარიც.

ასევე, ეფექტობით, საჭირო იყო კრიტიკულად განხილვა ა. ქუთათელაძის ზოგიერთი შეხედულებისა ლესინგისა და იმდროინდელი გერმანიის შესახებ. ა. ქუთათელაძე მართებულად აკავშირებდა ლესინგის შემოქმედების განხილვას იმდროინდელი გერმანიის საზოგადოებრივ ეთარებასთან, მართებულად მიუთითებდა გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენაზე, მაგრამ იმის არღანახეც შეუძლებელია, რომ კრიტიკოსი თავს ვერ აღწევს გულუბრყვილო, უცნაურ მსჯელობას და დასკვნებს. სხვას რას უნდა ვთქვათ? ვთქვათ ის, რასაც წერს ქუთათელაძე მე-18 საუკუნის გერმანიის შესახებ, იმის თქმა, რომ ამდროინდელი გერმანია „ყველა ერობის ხალხებზე უკან იდგაო“? განა მე-18 საუკუნეში გერმანიაზე უფრო ჩამორჩენილი სხვა ქვეყანა არ იყო? ასევე გულუბრყვილობა მტკიცება იმის, რომ ლესინგის დროის გერმანელებს აღარ ახსოვდათ თავისი წარსული, „შესამადბთ თავიანთი თავი, დაქარგეს სიციხეველ“, რომ „საზოგადოებაში ლიტერატურის ფარდა შესწყდა სხვა ღონისძიებთა“ (124).

მართალია, ლესინგის დროის გერმანია უკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილია, მაგრამ ეს არამცდარაა იმ ნიშნავს, რომ იგი „ყველა ერობის ხალხზე“ უფრო ჩამორჩენილია, რადგან ეს ჩამორჩენილი გერმანია მანინდ დამდგარია განვითარების ახალ გზაზე. ასევე არ შეიძლება სწორად მივიხინით მტკიცება, რომ ამდროინდელ გერმანიაში ლიტერატურის ვარდა „შესწყდა სხვა ღონისძიებთა“, რადგან ფაქტია, რომ მძლავრი ლიტერატურული აღმავლობის გასწვრივ გერმანიაში ამ დროს ადვილი აქვს მძლავრ აღმავლობას ფილოსოფიის დარგში. ფაქტია, რომ სწორედ იმ დროს, როცა საზოგადოებრივ სარბელზე გამოდიან ლესინგი, გოეთე და შილერი, მოღვაწეობენ დიდი გერმანელი ფილოსოფოსებიც — კანტი, ფიხტე შელინგი და სხვა. არ შეიძლება ამიტომ, ა. ქუთათელაძის მიერ მოცემული დახასიათება ლესინგის დროის გერმანიისა მიჩნეულ იქნას მტკიცებულად დახასიათებლად, როგორც ქუთათელაძე ვერცხვით ნაწარმოებში აქვს აღვლილი.

თვლიდა, რომ მის მიერ მოცემული დახასიათება ლესინგის დროის გერმანიისა მიჩნეულ იქნას მტკიცებულად დახასიათებლად, როგორც ქუთათელაძე ვერცხვით ნაწარმოებში აქვს აღვლილი. ვერცხვით აღვლილია ა. ცაგარლის ნაწარმოებში „რევივილი ხომლელის აზრებს ლესინგზე. ეს გადმოცემაც ცხადს ხდის თუ როგორი დიდი ყოფილა ჩვენი ინტერესი ლესინგის შემოქმედების არა მხოლოდ საერთო, არამედ ცალკე, სპეციალური საკითხებისადმიც. ხომლელის ნარკვევში ძირითადად სწორადაა ნაჩვენები ლესინგის ადგილი ახალ ლიტერატურაში, ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში, ძირითადად სწორადაა განხილული ლესინგის შესანიშნავი ნაწარმოებები — „მინაფონ ბანჰელში“, „ემილია გალათი“, „ნათან რაბინი“.

სარეცენზიო ნაწარმოებში განხილულია ი. ჰაქევაძის დამოკიდებულება ლესინგისადმი, მიუთითებულა ამ ორი მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებათა თანხვედნილობაზე. ამ თანხვედნილობის დადასტურებას ნახულობს ავტორი ილიას მიერ ლესინგის თეორიული შრომების განხილვაში. იგი უჩვენებს, რომ ლესინგი და ილია ერთმანეთს ხედებთან ხელოვნებისა და სინამდვილის უმნიშვნელოვანესი საკითხების, ხელოვნების სპეციფიკის, ხელოვნებისა და მეცნიერების დამოკიდებულების საკითხების გაგებაში. ლესინგისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულების განხილვას შ. რევივილი ამთავრებს იმის აღნიშვნით, რომ ინტერესი ამ მწერლისადმი „განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა პერიოდში“, რომ ამ პერიოდში ითარგმნა ლესინგის „ყველა ძირითადი დრამა“ და საფუძველი ჩაეყარა მისი შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შ. რევივილის ნაწარმოებში გოეთესადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების განხილვას. ამ უკანასკნელს წამდგარებული აქვს გოეთეოლოგიის მოკლე, არსებითად სწორი განხილვა. მწერლის მიერ შექმნილი უმნიშვნელოვანესი მხატვრული სახეების დახასიათება. ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენი მუდამ დიდი იყო ინტერესი გოეთესადმი, რომ ჩვენი ცნობილი პოეტები და ლიტერატორები თარგმნიდნენ გოეთეს სხვადასხვა ნაწარმოებს, წერდნენ სტატიებს მათ შესახებ. ავტორი იხილავს შ. მლივილის, გ. წერეთლის, ა. ჭიჭინაძის, დ. ნახუცრიანის, პ. მირიანაშვილის და სხვათა ამავე გოეთეს ცალკე ნაწარმოებთა თარგმნის საქმეში. შედარებით უფრო ვერცხვით ჩერდება ავტორი საბჭოთა პერიოდში გოეთეს ნაწარმოებთა თარგმნის საკითხზე, ლაპარაკობს ე. გამსახურდიას, ხ. ვარდოშვილის, დ. იონაშვილის და სხვათა მიერ ამ მიმართულებით გაწეულ შრომაზე. ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ გოეთეს ქართულად თარგმანზე. სხვადასხვა დროს შემოშობდნენ ს.

შანშიაშვილი, გ. ვაჭანიძე, ს. ფაშალიშვილი და სხვები.

ავტორი უბრალო ფიქსირებას კი არ ახდენს იმისა, თუ ვინ რა ნაწარმოები თარგმნა ქართულ ენაზე დიდი გერმანელი მწერლისა, არამედ ცდილობს მოგვეცეს ამ თარგმანების შეფასებაც. ასე, მაგალითად, ლაპარაკობს რა გოეთეს „ტიუს ხელმწიფის“ ი. მკვიდლაშვილი-ხელთ თარგმანზე, ავტორი უჩვენებს, რომ ეს თარგმანი „უმაღლესი წარმოადგენს გოეთესული მოტივების თავისუფალ გადაღებებს“ (142). ასევე, ლაპარაკობს რა დ. ნახუციანიშვილს მიერ „ფაუსტიდან“ ადგილების თარგმანზე, იგი მიუთითებს, რომ ეს თარგმანი „არაა დახვეწილი ცალკეულ პროზაიკულ ნაწილებად... თვით ბარბაროზ-მეობლიანო“ (144). ეს ხელს არ უშლის ავტორს აღნიშნოს, რომ —მთლიანად ნათარგმნი შინადაც არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, ზოგ შემთხვევაში „რამდენადმე ახერხებს კიდევაც ავტორისეული განწყობის გადმოცემას“ (იქვე). ავტორის ამ აზრს საყრდენად ადასტურებს დ. ნახუციანიშვილის თარგმანიდან ვრცელი აბგაღების მოტანა.

ეს ადგილები გვემოწმებენ, რომ თუ ნახუციანიშვილს ძირითადად მაინც ეხერხება ორიგინალის საერთო განწყობის გადმოცემა, სამაგიეროდ იგი ერთობ თავისუფალ დამოკიდებულებას იჩენს ტექსტისადმი. სანამუშოდ შეიძლება მოტანილი იქნას ფაუსტის პირველი მონოლოგის დასაწყისი დ. ნახუციანიშვილის თარგმანში:

ფილოსოფია მთლად შევისწავლე,
ვარ ექიმი და კანონმეტყველი...
ბევრი ვიშრომე, ბევრი ვიწვალე
და ბოლოს გავხდი მე ღვთისმეტყველი“.

ისე ვამოძიებს, რომ ფაუსტის მთელი შრომა იმით დაგვირგვინებულია, რომ იგი ბოლოს ღვთისმეტყველი გამხდარა. და ეს მაშინ, როცა ტექსტში ამის შესავსი არაფერია. იქ ლაპარაკია იმის შესახებ კი არა, რომ ფაუსტი ღვთისმეტყველი გახდა, არამედ იმაზე, რომ სამწუხაროდ ღვთისმეტყველებაც შეისწავლა, რის შედეგადაც დარჩა იგივე, რაც მანამდე იყო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარეცენზო ნაშრომის ის ადგილი, რომელშიც განხილულია თუ როგორ გაიგეს გოეთე საქართველოში როგორც მწერალი და მოაზროვნე. შ. რევიშვილი ამ შემთხვევაშიც არ აცხადებს საკითხს სრულად შესწავლის, საქართველოში გოეთესეული პრობლემათა კვლევის სრულად შესწავლის პრეტენზიას, მაგრამ იგი ვაჭანის მნიშვნელოვან მასალას ამგვარი სტრატეგის დასადაგენად, იხილავს რა თუ ქრონოლოგიურად როგორ გადაწყვეტას პოულობდა ჩვენში გოე-

თეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების საკითხები.

ამ ასპექტში ავტორი პირველ რიგში ჩერდება გოეთეს ილია ჭავჭავაძისეულ შეფასებაზე. გოეთესადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხს სხვებიც შეხებიან, მაგრამ შ. რევიშვილი მას უფრო დაწვრილებით და უფრო ფართო პლანში იხილავს. იგი მართებულად შენიშნავს, რომ „მზავრის წერილებში“ გაცივებულია თვის ირენს კვალი გოეთესადმი იმ დამოკიდებულებისა, რომელიც დამკვიდრებული იყო ტრადიციულ გოეთესოგიაში და რომლის თანახმადაც გოეთეს წარმოადგენენ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მღვდლურ საკითხებისაგან გამდგარს, მთლამი ინდიფერენტულად განწყობილ მწერალს (146). ავტორი, ცხადია, არ თვლის რომ თებულად, რომ გოეთესთან ამგვარი ვითარება იქნას დანახული, არამედ იმ შეხედულების ნიადაგზე დგას, რომ გოეთე ამჟღავნებს მისი გარემომცველი დუჭჭირი სოციალური ყოფისადმი არა მხოლოდ შერიგების თუ მისგან გაქცევის, არამედ მის წინააღმდეგ აშხვრების განწყობილებასაც, რომ სინამდვილისადმი ეს ორგვარი დამოკიდებულება გოეთეს მთელი მისი განვითარების მანძილზე ახასიათებს.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ გოეთეს ილიაშვილი ვაჭანის განხილვისას შ. რევიშვილი არ მიდის იმ გზით, რომ ილიას მიერ მოცემული შედარებიდან გოეთესა და ბაირონისა დასკვნას, რომ ილია გოეთეში მხოლოდ ცხოვრებიდან განდგომას ხედავს. ავტორი უჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ილია ლაპარაკობს სინამდვილისადმი გოეთეს ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე, მაინც არ შეიძლება უარყუთ, რომ იგი გოეთეს შემოქმედებაში ხედავს დიდ საკაცობრივ იდეალებსაც, არა მხოლოდ ცხოვრებიდან განდგომის განწყობილებას, არამედ ცხოვრების მიერ დასმული უმნიშვნელოვანესი საკითხების იხედ გადაწყვეტასაც, რომელიც საყრდენად უდგება ი. ჭავჭავაძის თეატრალიზის. ერთი სიტყვით, სარეცენზო ნაშრომში არა მხოლოდ იმაზე მინიშნებულია, რაც ი. ჭავჭავაძის არ მოსწონს გოეთეში, არამედ იმაზედაც, რაც მოსწონს, მითითებულია იმაზე, რომ დიდი ქართველი მწერალი გრძობს იდეურ სიახლოვეს „ვილჰელმ მასტერისა“ და „ფაუსტის“ ავტორს გოეთესთან. ამ იდეურ სიახლოვის აღნიშვნის საფუძველს აძლევს ავტორის შრომის, ეპოქის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის ვაჭანმა „ჩარდილისა“ და „ფაუსტის“ ავტორების მიერ.

გოეთესადმი ილიას პოზიტიური დამოკიდებულების ცხადყოფას შ. რევიშვილი ახდენს ილიას როგორც მხატვრული, ისე კრიტიკული ნაშრომების განხილვის საფუძველზე, ერთად, ნაშრომების — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა

გვაქვს“ და „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ორივე ამ ნაშრომში შ. რევეშვილი მკითხველს ყურადღებას მიაქცევს იმას თუ როგორ ვაივო ილიამ „ფაუსტში“, მისი ძირითადი პრობლემატიკა ნაშრომში — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ — ილია იძლევა დახასიათებას გოეთეს ნაწარმოებების, მართალია, არა მთავარი გმირის, ფაუსტის, არამედ დოკმატიკოს ვაგნერისა, მაგრამ ამ უკანასკნელს დახასიათებითაც იგი შექს ფენს ფაუსტის მხატვრულ სახეს, ნაწარმოების ძირითად პრობლემატიკას. ამას აღწევს ჩვენი მგოსანი, როგორც ეს ნაჩვენებია სარეცენზიო ნაშრომში, იმით, რომ ახასიათებს ვაგნერს როგორც „შშრალის და უქმი გონების კაცს“, რომელსაც, მართალია, ბევრი ცოდნა გააჩნია, მაგრამ ის უნარი კი არ გააჩნია, არ გახსნია, რომელიც „თავისი უგრასა და კერძო მოასწავებს“, რომელთაც „ცოდნა აქვთ და საკუთარი თქუით ტარების უნარი კი ღმერთს თუ ზედს იხათების არ მიუმიღდება“. ვაგნერის ამაგარი დახასიათებით ილია ცხადს ხდის, რომ ეს მხატვრული სახე ვოეთეს მიერ მოფიქრებულია როგორც ფაუსტის მხატვრული სახის საპირისპირო, რომ ვაგნერისა და ფაუსტის დამოკიდებულება ნაწარმოებში წარმოდგენილია როგორც დამოკიდებულება ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მსოფლმხედველობისა.

ბ. ჭავჭავაძის ზეითიანდინწულ შეორე ნაშრომში — „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ შ. რევეშვილი ყურადღებას მიაქცევს ერთ მნიშვნელოვან ვარსებებს, რომელიც გვირკევეს თუ როგორ ესმის ქართველ მწერალს გოეთეს „ფაუსტის“ ძირითადი პრობლემატიკა, ფაუსტის ი. შავჯავახისეული კონცეფცია. ირვევბა რომ ფაუსტურა ადამიანის მოხანსწრავდას, კონკრეტულად, ვოეთეს „ფაუსტისას, ბ. ჭავჭავაძე ახასიათებდა როგორც იმ საზღვრას ვადალახვის მისწრავდას, რომელიც ადამიანის შემეცნებისათვის კრიტიკულ ფილოსოფიას დაუქნებია. მართალია, ამას ბ. ჭავჭავაძე ლაბარაკობს „მეჩანის“ პრობლემატიკათან დავაშორებით, მასთან დაკავშირებით წერს, რომ „საზღვარდადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზროვნებისა ჩვენის პოეტის სულისკვეთებას „ვერ იტევსო“ მაგრამ აქვე, ილიას მომდევნო მსჯელობიდან, არავითარი ეჭვი არ რჩება, რომ ქართველი მწერალი უყოველივე ამას აერკიდებს ბაიარანის კენსა და ვოეთეს ფაუსტზედაც, იმ უკანასკნელებთანაც ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობის შეზღუდვის იმავე უარყოფას, სამყაროს შემეცნებას ფართო არენაზე იმავე გამოხედვის ხედვას, რასაც ბაიათაშვილის „მერანსე“. „ბაიარანის კენსა ამისათვის, წერს ილია, ლუციფერი ბარბია, გოეტეს ფაუსტმა — ფაუსტის ტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი მერანსე“.

„ფაუსტის“ პრობლემატიკის ამგვარი გაგება წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯს ვოეთეს ამ მონუმენტური ნაწარმოების გაგების საქმეში. ცხადს ხდება, რომ „ფაუსტის“ მიუჭეკვაძებს ესახება ახალი დროის ისეთ მთავროვნედ, რომელიც იბრძვის დრომჭედილისა და დამყაყებულის წინააღმდეგ, ისწრაფვის შეიცუნოს არა მხოლოდ „საგნები ჩვენთვის“, არამედ „საგნები თავისთვისაც“. ცხადი ხდება თუ როგორ დამორება ილია ვოეთეს ფაუსტის გაგებაში ტრადიციულ მეცნიერებას, როგორ დამორება იმით, ვინც ვოეთეს ფაუსტთან ხედავს ზებუნებრივისა და ზეადამიანურისადმი მსწრაფ მისტიკოსს, რომელიც მეცნიერებას არამეცნიერულ ამოცანებს უყენებს, შეუძლებლისა და ვანუზორციელებლისაყენ ისწრაფვის, და, ამდენად, ვანწირულია დასაღუბად.

შ. რევეშვილის მიერ ამ საკითხზე მოტანილი და გაანალიზებული მასალა ცხადს ხდის, რომ ქართველმა მწერალმა წარმოაჩინა ფაუსტი როგორც ახალი დროის დიდი მოაზროვნე, რომელიც ჩანსალი მსოფლმხედველობის ნიადაგზე დგას, წარმოადგენს როგორც ახალი, ტემპარირტი ცოდნის მოპოვებით დაინტერესებულ ადამიანს. შეფიქრაველიც მისთვის, ილიას კონცეფციით, ამ პოზიტიური მიზნის განხორციელებაში ისეთივე სასარგებლო თანამგზავრადა მიჩნეულია, როგორადაც ლუციფერი კავისათვის. ასეთი დასკვნები, საფუძველში იყენებით სწორია, გამომდინარებობენ „ფაუსტის“ ილიასეული გაგების შესახებ ჩვენი ავტორის მსჯელობიდან, დასკვნები, რომლებიც ქროვან ადგილს აკუთვნებენ დიდ ქართველ მწერალს დიდი გერმანელი მწერლის შემოქმედების პრობლემატიკის გაგების საქმეში.

გაჩაკველი ადგილი აქვს დამოხიბილი შ. რევეშვილის ნაშრომში ვოეთესადმი, კონკრეტულად, „ფაუსტისადმი“ ვეფ-ფშაველას დამოკიდებულების საკითხს. ავტორა მართებულად შენიშნავს, რომ „ფაუსტის“ პრობლემას ვეფ-ფშაველა ეგება „ფეფებისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხის ვარკვევასთან დაკავშირებით, მიხნდა აქვს რა დასაბუთო იმის ცხადყოფა, რომ მთავარი მნიშვნელობა ნაწარმოების ორიგინალობის საკითხის ვასარკვევად ენიჭება არასიუეტეს, არამედ იმას, თუ როგორა იგი დამუშავებული. სილუსტრაციოდ ვაქვს მოაქვს ფაუსტის შესახებ თქმულების მავალითი. ამ თქმულებას, აღნიშნავს იგი, სხვა ბევრიც ამუშავებდა, მაგრამ „იმით ნაწერებზე მხოლოდის ვიცი, რომ დაიწერენ და კითხილთ კი ილარავინა კითხულობს“. შ. რევეშვილი არ იზიარებს ვაქვს ასეთ განაჩენს ფაუსტის თქმულების ამ დამუშავებულთა შესახებ, მაგრამ ვაქვს მტკიცებას, რომ მთავარი მნიშვნელობა ეკუთვნის არა სიუეტეს, არამედ იმას თუ როგორა ის დამუშავებულია, რომ „ფაუსტის“

თქმულების ვერცერთი დამმუშავებელი ვერ აღწევს ამ სიმაღლეს, რომელსაც ვოეთემ მიაღწია, ამას იგი საესებთ იზიარებს და, მართებულად.

გოეთესადმი, მსგავსად გერმანიის სხვა გამოჩენილი მწერლებისადმი, ქართული საზოგადოების დამოკიდებულების საკითხის განხილვისას შ. რევიშვილი უჩვენებს თუ როგორი წვლილი შექონდა იქვენი კულტურის მოღვაწეებს ამ მწერლების შემოქმედების ქართული მეთხველისათვის გაცნობის საქმეში. არ შეიძლება ითქვას, რომ ავტორი უგულვებლყოფს საკითხის მეორე, ასევე ფრთხილ მნიშვნელოვან მხარეს, იმას თუ როგორი წვლილი შექონდა და შეაქვთ ამ მოღვაწეებს მოხსენებულ მწერალთა შემოქმედების, შესაუბრებებისა და ახალი დროის გერმანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავების საქმეში. შ. რევიშვილის ნაშრომში ესდებოთ, ცხადია, ამ სახის მისაღებსაც, იმას, თუ როგორ დაინტერესებას იჩენდნენ და იხუნენ ჩვენში გერმანული ლიტერატურის პრობლემებით, მაგრამ საკითხის ამ მხარეს სარეცენზიო ნაშრომში არ აქვს მიტყუებული ჩემოვანი უფრადლება, არაა ნაჩვენები ცოტად თუ ბევრად სრულად ისტორია ქართული გერმანიისტიკის, ქართული ლესინგოლოგიის, გოეთელოგიის და ა. შ.

ცნობილია, რომ გოეთეს ისე, როგორც გერმანიის სხვა გამოჩენილი მწერალთა შემკიდრების მემორიურულ შესწავლას საქართველოში მყარი საფუძველი ჩაეყარა 20-იან — 30-იან წლებში, რომ ამ მხრივაც ტონის მიმცემს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გარკვეული როლი მიუძღვის ამ საქმეში გოეთეს გარდაცვალებიდან 100 წლის თავის იუბილეს, რომელიც ფართოდ აღინიშნა სამუთოთა კავშირში, კრძოდ, საქართველოში. მისი ჩატარება დაემთხვა თბილისის უნივერსიტეტში რომანულ-გერმანულ ფილოლოგიის განყოფილების შექმნას, პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადების დაწყებას საზღვარგარეთული, დასავლეთ ევროპის ცალკე ქვეყნების ლიტერატურის ისტორიანთა და ენებში. არ შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორი გვრდს უელის ამ გარემოებას, არ ცდილობს დაახასიათოს ქართული საბჭოთაო მეცნიერების მიერ ამ მხრივ გაწეული შრომა. ეს ასეა, მაგრამ საჭირო იყო, იმის ჩვენება, რომ ეს იყო ახალი ეტაპი დიდი გერმანული მწერლის შემკიდრების მეცნიერული შესწავლის საქმეში და არა უბრალო გავრცელება ამ მიმართულებით წინა პერიოდებში ჩატარებული მუშაობისა.

თანაც, იმის განხილვისას, თუ ვინ როგორი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა გოეთელოგიის შექმნაში, სარეცენზიო ნაშრომში შეინიშნება გარკვეული ხარვეზი. აკად. შ. ნუ-

ცუბიძის როლი ამ საქმეში, მაგალითად, სარეცენზიო ნაშრომში შედარებულია სტატიით — „გოეთე როგორც მოაზროვნე და ზელოვანი“ მანინ, როდესაც შ. ნუცუბიძის როლი ამბობს არამც და არამც არ შეიძლება შემოიფარგლოს, არამედ იმის ცხადყოფას უნდა დაუკავშირდეს, რომ იგი ამ დროს ზელმძღვანელობს თბილისის უნივერსიტეტში საზღვარგარეთული ფილოლოგიის, კერძოდ გერმანული ფილოლოგიის პრობლემების მეცნიერულად დამუშავებას.

შ. რევიშვილი მოკლედ მიმოიხილავს აკად. ე. გამსახურდიას მიერ გაწეული შრომას გოეთეს შემოქმედების ქართული მეთხველისათვის გაცნობის საქმეში, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ე. გამსახურდიამ აქვროვანი მზავი დასდო გოეთეს საქმიანობა მართებულად გაგების საქმესო“ (156). ავტორი მიმოიხილავს აგრეთვე გოეთეზე გ. ნადირაძის ამ ნაშრომს, რომელიც ერთვის გოეთეს ლექსების ქართული თარგმანის ერთგომიველი.

გარკვეული ადგილი აქვს დამთბილი სარეცენზიო ნაშრომში გოეთეს შესახებ ამ სტრიქონების ავტორის ნაშრომებსაც, გამოქვეყნებულთ 30-იან წლებში, კონკრეტულად, სტატია — „გოეთეს“ „ფუსტის“ „პრობლემისათვის“ და მონოგრაფიის — „გოეთე და რევიშვილი“. უკანასკნელის მიმართ შ. რევიშვილი იფარგლება იმის აღნიშნვით, რომ ამ ნაშრომში „თავის დროზე გარკვეული დახმარება გაუწია გოეთეს შემოქმედების საკითხებით დაინტერესებულ პირებსო“ (160). სამაგიეროდ სარეცენზიო ნაშრომის ავტორი უფრო დაწვრილებით იხილავს ჩვენს 1959 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიას — „გოეთე და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია“, რომელსაც უწოდებს „გოეთე და რევიშვილის“ მეორე გამოცემას, და ეს მაშინ, როცა თვითონ ავტორს დასახლებული ნაშრომის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნული აქვს, რომ იგი დამოუკიდებელი ნაშრომი და არა „გოეთე და რევიშვილის“ მეორე გამოცემა.

თანაც საჭირო იყო იმის განმარტება მეცნიერისთვის თუ რას გულისხმობს სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, როცა „გოეთე და რევიშვილის“ შესახებ წერს, რომ ამ ნაშრომში „თავის დროზე“ გაუწია გარკვეული დახმარება გოეთეს შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერებსო. იმას ხომ არა, რომ მას დღეს გოეთეს შესწავლის მხოლოდ ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა, რომ მასში განყოფილებული კონცეფცია, ძირითადი დებულებები უკვე დიდი ხანია მოძველდნენ და ავტორმა იგი თვითონვე გაასწორა თავის 1959 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაშიო? თუ ამას გულისხმობს სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, ხოლო მეცნიერმა კი მისი ზევიო

ციტირებული სიტყვებიდან შეიძლება მხოლოდ ეს იგულისხმოს, მაშინ საქმის ვითარება საფუძველზე არასწორად იქნება წარმოდგენილი. მაშინ „გოეთე და რევოლუცია“ ვერ იქნებოდა საფუძველი ჩვენი 1959 წელს გამოქვეყნებული, ზეითიდასახელებული იმ მონოგრაფიისა, რომელსაც შ. რევიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს და რომლის შესახებაც თვითონ ავტორი წიგნის ბოლოსიტყვაობაში წერს, რომ ამ ნაშრომს საფუძვლად დაედო „გოეთე და რევოლუცია“, ამ უკანასკნელის „კონსტრუქციის, ძირითადი დებულებების გადასინჯვის გარეშე“. ეფიქრობთ, საჭირო იყო სარეცენზიო შრომის ავტორი უფრო ვრცლად შეჩვენებულყო „გოეთე და რევოლუციაზე“ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ქართულ ენაზე უოეთეს შესახებ პირველ მონოგრაფიას წარმოადგენს, გამოცემის საგნად აღებული პრობლემის მკვლევით კი — საერთოდ პირველ მონოგრაფიის გოეთეს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ იმიტომაც, რომ ეს ნაშრომი გვხდა ჩვენში საფუძველი გოეთელოგიური დისკუსიისა, რომელიც სხვადასხვა ფორმით დღესაც გრძელდება და რომელშიც ტეშმარტების დადგენის მიზნით სწორედ „თავის დროზე“ გარკვეული წვლილი შეიტანა თვით სარეცენზიო ნაშრომის ავტორმაც.

ერცლადაა განხილული შ. რევიშვილის ნაშრომში ფრ. შილერისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას საკითხი. ამ უკანასკნელსაც წინ უსწრებს მწერლის შემოქმედების მოკლე დახასიათება. მართალია, იმის მტკიცება მართებულად არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შილერმა კ. შოპრის მატერიალი სახით ვერმინაში „პირველად იწყო ლაპარაკი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ“, რამდენადაც სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გალაშქრების ასახვას ვერმინელ ლიტერატურაში მანამდეც აქვს ადგილი, მაგრამ იმის მტკიცება კი ექვეის ქვეშ არ შეიძლება დაავუენოთ, რომ ევოლუტური ტრანზის წინააღმდეგ ბრძოლის განწყობილება ადრინდელ შილერთან გაკალენებით უფრო მძლავრსა და რადიკალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ამ პერიოდის რომელიმე სხვა გერმანელი მწერლის შემოქმედებაში.

შ. რევიშვილი მიმოიხილავს შილერის ქართულად თარგმნის ისტორიას, აღნიშნავს ამ დარგში გაწეულ შრომას გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. კერესელიძის, ნ. ავალიშვილისა და სხვების. ავტორი აღნიშნავს, რომ შილერის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის დარგში უარყოფითი მემკვიდრეობა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში, რომ ახლა ამ საქმეს მიეცა სისტემატური ხასიათი. ამ ასპექტში იხილავს შ. რევიშვილი საბჭოთა მწერლების — გ. ნადირაძის, ს. შანშიაშვილის, ვ. ბეწუყელისა

და ბ. ვარლოშვილის მიერ გაწეულ შრომას. ამასთან ერთად სარეცენზიო ნაშრომშიც საკმაოდ სისრულითაა მიმოხილული მწერლის შემოქმედება, რომელიც წარმოებდა და წარმოებს საქართველოში შილერის შემოქმედების კონცენტრირების, საერთოდ მისი შემოქმედებისათვის მიმართულებით. ავტორი ჩერდება არა მხოლოდ იმათი ამაგის ჩვენებაზე, ვინც სპეციალური ნაშრომები უძღვნეს შილერის შემოქმედების საკითხებს, არამედ იმათი ამაგის ჩვენებაზედაც, ვინც სხვა საკითხების განხილვისთან დაკავშირებით გამოთქვებს შეზღუდულებული შილერის შესახებ (ა. ფურცელაძე, ა. ჭუთათელაძე, თ. ხუსკივაძე, გ. წერეთელი, ფ. გოგინიაშვილი და სხვ.).

იმათგან კი, ვინც ცალკე ნაშრომები უძღვნეს შილერის შემოქმედებას, პროფ. რევიშვილი პირველ რიგში ზღერდება ი. გომარათელის ნაშრომებზე — „შილერის პოეზიის ძირითადი თვისებები“ და „შილერი“. შ. რევიშვილი უჩვენებს, რომ ი. გომარათელი შილერის შემოქმედებაში წინ წამოწევს ხოლმე ამ მწერლის პეშანიზმსა და დემოკრატიზმს, ტრანციანდლში შეუთავსებლობას. იგი აღნიშნავს, რომ ი. გომარათელი „უკრიტიკოთა რომ იღებს უკუაღმერთს შილერის ნაზრებუდან“ (180), რომ შილერის მიერ მოწოდებულ ფორმულას — თუ პიროვნება კარგია, საზოგადოებრივი ცხოვრებაც კარგია, ი. გომარათელი უპირისპირებს ფორმულას — თუ საზოგადოებრივი ცხოვრება კარგია, პიროვნებაც კარგია. შილერის შემოქმედების გომარათელისებური გაგების იმ ანალიზიდან, რომელსაც შ. რევიშვილი ვაწყვიდის, ცხადი ხდება არა მხოლოდ ის, თუ როგორ მართებულად წამოწევს წინ ი. გომარათელი შილერში ამ მწერლის მსოფლმხედველობის ქანსალ მხარეებს, არამედ ისიც, თუ როგორი წინააღმდეგობრივია გომარათელის მსჯელობა შილერის შესახებ. ერთი მხრივ დესპოტიზმის წინააღმდეგ რადიკალურად განწყობილი შილერის კ. შოპრის ი. გომარათელი საუვედურობს და, სრულიად მართებულადაც, რომ იგი ეჭრის იღებს „ერთმუქა“ აღამიანებზე და არა ხალხზე. მეორე მხრივ კი, ვაუწყებს, რომ შილერის ადრინდელი დრამები და, იგულისხმება, ცხადია, — „უაბლებიც“, „ნამდვილი რევოლუცია“, სრული დამხობა თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობისა“ (180). თქმა არ უნდა, კ. შოპრის ქმედება ვერ იქნებოდა „ნამდვილი რევოლუცია“, სრული დამხობა ადრინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობისა სწორედ იმიტომ, რომ იგი ეჭრის იღებს მისებრ პროტესტულად განწყობილ „ერთ მუქა“ აღამიანებზე.

ახალ ეტაპს შილერის მეშვიდრეობის ათვისების საქმეში პროფ. რევიშვილი, ცხადია, ხელავს საბჭოთა პერიოდში, აღნიშნავს, რომ ამ

მხრივ ვარკვეული მუშაობა ჩატარდა ჩვენი საუკუნის 20-40-იან წლებში, იხსენიებს მ. აბრამიშვილის მიერ 1924 წელს და გ. ნადირაძის მიერ 1940 წელს გამოქვეყნებულ სტატიებს შილერის შესახებ. ავტორს მიაჩნია, რომ აუთენტიკურ ეს ცოტა იყო* (185), რომ „შილერის შემედიდრების ათვისებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1955 წელი, როდესაც შესრულდა 150 წელი მწერლის გარდაცვალებიდან“. ავტორი უდავოდ მართალია, როცა ახალი ეტაპის შექმნას შილერის შემედიდრების შესწავლის საქმეში აკავშირებს ამ მწერლის გარდაცვალების 150 წლისთავთან, რამდენადაც ფაქტია, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ქართულ ენაზე შილერის შესახებ რიგი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია. მაგრამ ნიშნავს ეს თუ არა, რომ შილერის შემოქმედების შესწავლის დარგში 1955 წლამდე ჩატარებული მუშაობა მხოლოდ ზევითმობხნებული ორიოდ სტატიით ამოიწურება? ცხადია, არა. შილერის შემოქმედების შესწავლა საბჭოთა საქართველოში ორგანიზებულ დაუავშირებელია იმ შემოქმედებით მუშაობასთან, რომელიც ვაიმალა აქ 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში გერმანული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი გერმანული კლასიკური ლიტერატურის შესწავლის მიმართულებით. ამ მწერლის შემოქმედების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ლაპარაკია კერძოდ იმ შრომებში, რომლებიც გოეთეს შემოქმედებას ეძღვნება, აგრეთვე გერმანული ლიტერატურის ისტორიის ქართულ, სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში, რომლებიც ზევითმობხნებულ იუბილეებზე გამოქვეყნდნენ.

თვალსაჩინო ადგილი ეთმობა პროფ. რევიშვილის ნაშრომში შილერის პიესების ქართულად გასცენიერების საკითხს. ავტორი აღნიშნავს, რომ შილერის პიესებში იმთავითვე განსაკუთრებული ადგილი -დააკავს ქართულ

თეატრების რეპერტუარში. იგი იხილავს ამ პიესების რევოლუციამდელ დადგმებს -საქართველოს სხვადასხვა თეატრში განსაკუთრებით ვრცლად კი ჩერდება მათ დადგმებზე საბჭოთა თეატრებში.

ვრცლად იხილავს სარეცენზიო ნაშრომის ავტორი დიდა გერმანელი პოეტის, პ. ჰაინესადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულების საკითხს. ამ შემთხვევაშიც განილავს წინ უსწრებს ჰაინეს მსოფლმშედეგლობრივი და შემოქმედებითი განვითარების მოკლე, მაგრამ არსებითად სწორი დახასიათება, იმის ცხადყოფა, რომ მთელი თავისი მოღვაწეობის განძობაზე ჰაინე წარმოვიდგება საკაცობრიო პროგრესისათვის გაბედულ მებრძოლად.

ჰაინეს შემოქმედებითი განვითარების ამ მოკლე მიმოხილვითაც ავტორი ცხადს ხდის თუ როგორ ესაუბრებოდა ჰაინეს მდიდარი შემოქმედება ცარიზმის უღლის ქვეშ მყოფ ხალხებს, როგორ ინტერესს იჩენდა „რევოლუციის მელოლი“, ჰაინეს შემოქმედებისადმი ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის შეილება. ვრცლად ჩერდება ავტორი ჰაინეს ცალკე ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის ისტორიაზე, იხილავს ამ მხრივ ა. ჰაუპტმანის, ი. ბაქრაძის, ვ. ლომთათიას, ხ. ვარდთელიის და სხვათა მიერ გაწეულ იმავს. ყურადღების გარეშე არაა დატოვებულ აგრეთვე ჰაინეს მსოფლმშედეგლობისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის ისტორია საქართველოში.

პროფ. რევიშვილის ნაშრომში განხილულია ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის რიგი სხვა საკითხიც, მაგრამ ყველა მათგანზე აქ შეჩერება შეუძლებელია. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს საუფრადღებო მოვლენას ქართულ-გერმანული, ასევე ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობის მეცნიერული შესწავლის დარგში.

გრიგოლ ხავთაძი

8260 80 433



ИНДЕКС
76128

«МНАТОБИ»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ